ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხაჯიმიანგელოზის

უახლესი ისტორიის

დოკუმენტური მასალები

(1990–1991)

II წიგნი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები

(1990 – 1991)

ტ. II

მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალაგეს და
გამოსაცემად მოამზადეს ისტორიის დოქტორმა,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორმა
ედიშერ გვენეტაძემ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტმა ზაზა კალანდიამ

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2011

94(479.22)„19/20"(093)

უაკ.(UDC) 94(479.22)„19|20"
ს-323

ს-323

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნში გადმოცემულია საქართველოს 1988-1990 წლების ისტორიის დოკუმენტური მასალები. იგი განკუთვნილია ისტორიკოსების, პოლიტიკოსებისა და საერთოდ უახლესი ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იგორ კვესელავა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თამაზ ბერაძე

რეცეზენტები:

ისტორიის დოქტორი, ასოც. პროფესორი

მაია ყიფიანი

ისტორიის დოქტორი, ასოც პროფესორი

ნარგიზა გამისონია

U279.164

ISBN 978-9941-10-449-7

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ დღეებში საქართველოს ტელევიზიით ხშირად გამოდიან სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები და საუბრობენ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე, სამაჩაბლოს პრობლემებზე, აგრეთვე უზენაესი საბჭოს იმ დადგენილებებზე, რომელშიც საუბარია საგანგებო წესების შემოღების შესახებ. გაისმის პროვოკაციული ბრალდებები უზენაესი საბჭოს მისამართით, თითქოს მან დააკანონა საოკუპაციო ჯარის, კერძოდ შინაგანი მოქმედება საქართველოში იმით, რომ დაუშვა მისი გამოყენების შესაძლებლობა საგანგებო წესების დროს. ეს არის საქმის რეალური ვითარების გაყალბება. ვინაიდან შინაგანი ჯარის დაქვემდებარება საქართველოს იურისდიქციისათვისათ არ ნიშნავს მისი მოქმედების დაკანონებას. დაკანონება მაშინ იქნებოდა, ჩვენ რომ გვეცნო ამ ჯარების საქართველოში ყოფნის კანონიერება. მაგრამ ვიდრე ფიზიკურად ვერ ხერხდება ამ ჯარების გაყვანა საქართველოდან, მათი განეიტრალების პირველი გარანტიაა მათი დროებით დაქვემდებარება ჩვენი კანონმდებლობისათვის. დრომ და პრაქტიკამ უკვე დაადასტურა ამ დებულების სისწორე.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ პროტესტები გაუგზავნა მოსკოვს, ვითარება მკვეთრად შეიცვალა. შინაგანი ჯარის მოქმედება უკვე ექვემდებარება საქართველოს ხელისუფლების კონტროლს, ქართული მილიციის ქვეგანაყოფები უკვე შევიდნენ ცხინვალში. საკომენდანტო საათის რეჟიმის დარღვევისათვის 17 დეკემბერს, ღამით დააკავეს 27 ოსი მოქალაქე, ხოლო 18 დეკემბერს ღამით–14. ამოღებულია იარაღი. იმ დროს, როდესაც 17 დეკემბერს საღამოს ტელეგადაცემაში ერთ-ერთი კონგრესმენი ამტკიცებდა, არც ერთი ქართველი მილიციელი არ არისო ცხინვალში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი, ცხინვალის ახლად დანიშნული კომენდანტი გენერალი გივი კვანტალიანი და შინაგან საქმეთა მინისტრის სხვა თანამშრომლები შემოვლაზე იყვნენ ქალაქ ცხინვალში და ამოწმებდნენ ჯარისა და მილიციის პოსტებს. აი, ამდენად შეეფერება კონგრესმენების განცხადებები სინამდვილეს.

ახლა, ერთი წუთით დავუშვათ, რომ უზენაეს საბჭოს მართლაც არ შეეტანა თავის დადგენილებაში პუნქტი სსრ კავშირის შინაგანი

ჯარის ნაწილების გამოყენების შესახებ საგანგებო მდგომარეობის დროს. რა მოხდება ასეთ შემთხვევაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, ჩვენის მხრივ იგნორირების მიუხედავად, ისინი მაინც დარჩებოდნენ ამ რეგიონში და იმოქმედებდნენ ყოველგვარი კონტროლის გარეშე, რაც გაცილებით უფრო საზიანო იქნებოდა ჩვენთვის. თანაც ყოველივე ამას იმით გაამართლებდნენ, რომ უზენაესი საბჭოს კანონმდებლობაში არსად არ არიან მოხსენიებული შინაგანი ჯარები და არც მათი რეგლამენტი. აი, მაშინ კი, დარწმუნებული ვართ, ჩვენი ოპონენტები ატეხდნენ განგაშს. ოკუპანტები თავის ნებაზე მიუშვეს, არ აკონტროლებენ თავის მოქმედებას და არც საკანონმდებლო გზით ცდილობენო მათ დაქვემდებარებას. ასე რომ, ოპოზიციის ჟინით შეპყრობილი ადამიანები, რომელთათვისაც უზენაესი საბჭოს კრიტიკა თვითმიზნად ქცეულა, ყოველთვის მოძებნიან უკმაყოფილების საბაბს.

ერთ-ერთმა კონგრესმენმა განაცხადა, თითქოს თითქოს აფხაზეთში არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმებას, რაც აგრეთვე არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან სწორედ ამ დღეებში საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო აფხაზეთის უნივერსიტეტის კოლექტივის დეპეშა, სადაც ნათქვამია: „აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი პროტესტს აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების გამო. ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული პერიოდში, იმ დროს როდესაც ყველა ხალხები მიელტვიან თვითგამორკვევას, ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ კანონის მიღება არის აღორძინება მთელი ჩვენი ცხოვრების მიერ უარყოფილი სტალინურ-ბერიასეული მეთოდებისა, მთელი ხალხების წინააღმდეგ ანგარიშსწორებისა. ეს გამოიწვევს მთელი ხალხის ეთნიკური, კულტურული, რელიგიური თვითმყოფადობის ხელყოფას, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას და პარიზის ქარტიას ახალი ევროპისათვის. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ამგვარ მოქმედებას ჩვენ განვიხილავთ, როგორც აქტს, მიმართულს არა მხოლოდ ოსი ხალხის წინააღმდეგ, არამედ კავკასიის ყველა ხალხის წინააღმდეგ. აუცილებლად მიგვაჩნია საკავშირო დეპუტატთა მე-4 ყრილობის დღის წესრიგში შეიტანონ სამხრეთ ოსეთის მდგომარეობის საკითხი. კრების თავმჯდომარე დამენია, კრების მდივანი კოღონია.”

ასე რომ, განცხადება, იმისა, რომ თითქოს აფხაზეთის მხრივ არავითარი რეაგირება არ ჩანს, სიყალბეა. ეს არის, ამავე დროს, აფხაზი სეპარატისტების პროვოცირება, მათი სამოქმედოდ ბრძოლება. კონგრესმენმა ისიც განაცხადა, თითქოს უზენაეს საბჭოს, რაღაც გარიგება აქვს აფხაზ ექსტრემისტებთან და ამიტომ გასაიდუმლოებულია მათთან მოლაპარაკება. ესეც სრული დეზინფორმაციაა. სინამდვილეში ჯერ კიდევ ა.წ. 8 დეკემბრის პრესკონფერენციაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ განაცხადა ამ არაოფიციალური შეხვედრის (და არა მოლაპარაკების) შესახებ: „დათმობები ჩვენის მხრიდან არ ყოფილა. ჩვენ მხოლოდ იმის გარანტია მივეცით, რომ აფხაზთა უფლებებიც დაცული იქნება, მაგრამ აფხაზეთის გამოყოფას საქართველოდან არ დავუშვებთ. არც იმ უკანონო მოთხოვნებს შევასრულებთ, რომელთაც ისინი კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით გვიყენებენ. მაგალითად, მათ მოითხოვეს აფხაზეთის უზენაეს საბჭოში ადგილების 50პროცენტიანი კვოტის გარანტია, რაზედაც უარი მიიღეს, ვინაიდან აფხაზი მოსახლეობა სულ 17 პროცენტია".

ასე, რომ როგორც ვხედავთ, არავინ არაფერს ასაიდუმლოებს, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ სავსებით გარკვევით განაცხადა თუ რაზე ჰქონდა საუბარი აფხაზეთის წარმომადგენლებთან.

რაც შეეხება ზემოხსენებული კონგრესმენის განცხადებებს, ჩვენ სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ აფხაზეთის საკითხში მსგავსი არაკომპეტენტური და გაუფრთხილებელი ჩარევები ძალზე სახიფათოა, და მათ შეიძლება გამოიწვიონ ახალი მღელვარებანი ასეთ აფეთქებადსაშიშ რეგიონში. ტელევიზიით აღარ უნდა დავუშვათ ასეთი გამომწვევი გამოხტომები, რომელთაც შეიძლება ახალ დესტაბილიზაციამდე მიგვიყვანონ.

კონგრესის ზოგიერთი წევრის გამოსვლაში ბოლო ხანებში თითქოს შეინიშნებოდა გარკვეული გაგება უზენაესი საბჭოს მიერ გადადგმული ნაბიჯებისა, იყო სოლიდარობის გამოხატვაც, რასაც აბათილებდა კონგრესის სხვა წევრების საპირისპირო შეხედულებები. ჩვენი შთაბეჭდილებით კონგრესში არ არის არავითარი ერთიანი პოზიცია. უფრო მეტიც, მის წევრებს დიამეტრალურად საპირისპირო პოზიციები აქვთ საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით. **ასე მაგალითად, კონგრესის წევრები ი. წერეთელი და ი. ბათიაშვილი**

იწონებდნენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმებას, ხოლო სხვა წევრები, მაგალითად, ი. ქადაგიშვილი და ი. სარიშვილი არ იწონებენ და ნაადრევად მიიჩნევენ ასეთ ნაბიჯს საქართველოს დამოუკიდებლობის ალ-გენამდე. ზემოხსენებულთაგან ორი პირი მომხრეა უზენაეს საბჭოსთან კონ-სოლიდაციის დემონსტრირებისა, ხოლო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები ასეთ დემონსტრირებას ფარისევლურად თვლიან. თუმცა ა. წ. 17 დეკემბერს გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნდა კონგრესის პრეზიდიუმის დადგენილება, სადაც კრიტიკულად აფასებენ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმებას, კონგრესის პრეზიდიუმში კი ზემოხსენებული პირებიც არიან. ასე რომ, ჩვენის აზრით, მათ ჯერ ურთიერთშორის უნდა გაარკვიონ, რომელი პოზიცია გამოხატავს კონგრესის საერთო აზრს და შემდეგ სცადონ მოლაპარაკება და ურთიერთობის დამყარება მრგვალ მაგიდასთან.

და ბოლოს, ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, კონგრესის ზოგიერთ წევრს სურს ხელოვნურად გამოიწვიოს ისედაც დაძაბული პოლიტიკური ვითარება საქართველოში, ჩირქი მოსცხოს ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, ხელი შეუშალოს მის ღონისძიებებს, რაც უდიდესი უბედურება იქნება საქართველოსათვის. თუმცა რა უნდა გვიკვირდეს იმ პარტიის წევრებისაგან, რომლის ლიდერმა გ. ჭანტურიამ პირდაპირ განაცხადა ერევნის გაზეთ „ რესპუბლიკა არმენიაში" ა.წ. 22 ნოემბერს გამოქვეყნებულ ინტერვიუში: „მოსალოდნელია მკვეთრი კონფრონტაცია კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის. კონგრესი, ალბათ, მიმართავს უკიდურეს, რადიკალურ პოლიტიკურ (და არა სამხედრო) ზომებს უზენაესი საბჭოს წინააღმდეგ. **ჩვენ გვსურს შეძლებისდაგვარად უზენაესი საბჭოს კომპრომიტირება და მისი, ასე ვთქვათ, საქართველოს გარეშე დატოვება"**. . . იქვე მან განაცხადა: „კონსენსუსი ჩვენს შორის შეუძლებელია, თუ ჩვენ კომპრომისზე წავალთ **უნდა დავუთმოთ მტერს,** რაც არ მოხდება, ჩვენ არ წავალთ ასეთ ნაბიჯზე". მან განუცხადა აგრეთვე სომხეთის საზოგადოებას, რომ „თურმე 1990 წლის 28 ოქტომბერი საქართველოსათვის იგივე ყოფილა, რაც 1921 წლის 25 თებერვალი". კომენტარები ვფიქრობთ, ზედმეტია.

ასეთი პოზიციის შემდეგ უკვე გასაგებია, თუ რად არ თაკილობენ ნებისმიერი საშუალებების გამოყენებას ჩვენი დისკრედიტაციისათვის. ოღონდ მათ ერთ რამეს შევახსენებთ: საქართველოს გარეშე ამა თუ

იმ პოლიტიკური ძალის დატოვება თვით საქართველოს საქმეა, ქართველი ერის საქმეა. გვჯერა, რომ ჩვენი ერი კვლავ გააკეთებს ბრძნულ არჩევანს, როგორც უკვე გააკეთა 28 ოქტომბრის არჩევნებში.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი

1990 წლის 18 დეკემბერი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",

20 დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის განცხადება

როგორც ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილია, 1990 11 დეკემბერს უზენაესი საბჭოს სესიაზე გაუქმდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ეს ოლქი შექმნა კომუნისტურმა რეჟიმმა საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდგომ და ამ უკანონო ოლქის გაუქმებით უნდა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მივესალმებით სამაჩაბლოს ტერიტორიაზე უკანონო ადმინისტრაციული პოლიტიკური ერთეულის გაუქმების ფაქტს, ვერ გავიზიარებთ მოსახლეობის დიდ ნაწილის აღფრთოვანებასა და სიხარულს შემდეგი მიზეზების გამო:

1. საქართველოს დეოკუპაციამდე ოლქის გაუქმება არის არარეალური, ფიქტიური, მხოლოდ ჩვენი მხრიდან სერიოზული დათმობის ფასად დათანხმდება ცენტრი ოლქის გაუქმებას.

მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და დეოკუპაციის შემდგომაა შესაძლებელი ქართველი ერის ყველა ძირითადი პრობლემას გადაწყვეტა;

2. პოლიტიკური თვალსაზრისით ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება დღეს საქართველოსთვის არის უაღრესად წამგებიანი ნაბიჯი;

არის კიდევ ერთი მთავარი მიზეზი, რაზეც ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმს სურს ქართველი ერის ყურადღების გამახვილება:

11 დეკემბერს სესიაზე ტაშის გრიალში მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის კანონი საგანგებო წესების შესახებ. ჩვენ აქ გამოწვლილვით არ შევეხებით ამ კანონს, მხოლოდ რამოდენიმე საკვანძო მომენტზე შევჩერდებით. ზემოაღნიშნული კანონის მე-11 მუხლში ვკითხულობთ:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სუკიის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ნაწილები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით".

რა არის ეს? ეს, არც მეტი, არც ნაკლები, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული შეიარაღებული ძალების მოქმედების ლეგიტიმაციაა საქართველოს ტერიტორიაზე. რომელ ჭკუათმყოფელს მიაჩნია, რომ იმპერიის ჯარები თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის გვერდით დადგება და კრემლს დაუპირისპირდება? ნუთუ ქართული მილიცია, საქართველოს „მხედრიონი" და სხვა პატრიოტული ორგანიზაციები ვერ შეძლებდნენ სამაჩაბლოში წესრიგის შენარჩუნებასა და ქართული მოსახლეობის ინტერესების დაცვას? უზენაესი საბჭო, რომელმაც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მოქმედება, როგორც თავად ამტკიცებს შეაჩერა, რატომ აპირებს ვინმე პუზირნის ხელით ისტორიული სამართლიანობის აღდგენას? ნუთუ მთელს უზენაეს საბჭოში ბატონ ნოდარ ნათაძის გარდა არ მოიძებნა ადამიანი, რომელიც რუს გენერალს ტაშს არ დაუკრავდა და სამაჩაბლოში საკავშირო ჯარების შეყვანის წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა? არავის არ უნდა დაავიწყდეს, თუ რა საქმიანობით არის დაკავებული საკავშირო ჯარი სამაჩაბლოს ტერიტორიაზე. იმპერიის ერთგულმა საკავშირო შინაგანმა ჯარებმა, ფაქტიურად, სამაჩაბლო საქართველოს ტერიტორიას მოწყვიტეს და ვერც ქართული მილიცია, ვერც ქართველი ჟურნალისტები ცხინვალში ვერ შედიან. ცხინვალში კი ანტიქართული ძალა აკეთებს ყველაფერს, რაც მას სურს და საკავშირო ძალები ოსი ექსტრემისტების საქმიანობას ყოველმხრივ ხელს უწყობენ (დაჭრილების ცხინვალიდან გამოყვანაც კი ვერ მოხერხდა).

რა, უზენაესმა საბჭომ ეს არ იცოდა? თუ არ იცოდა, მაშინ ჩვენ საფუძვლიანი ეჭვი შეგვაქვს დეპუტატთა კომპეტენციაში. თუკი უზენაესმა საბჭომ ეს შეგნებით გააკეთა, მაშინ ეს შორსგამიზნული ნაბიჯია და მხოლოდ სამაჩაბლოს დაკარგვით არ შემოიფარგლება საქართველოს უბედურება:

საქართველოს უზენაესმა საბჭომ განაცხადა, რომ გადამწყვეტ ეტაპზე, თუ სხვა გზა აღარ იქნება, გამოაცხადებს ეროვნულ დაუმორჩილებლობას... აი, მაშინ არავის გაუკვირდეს თუ ჩვენთან საქართველოს უზენაესი საბჭოს სსრკის მიერ დაკანონებული შინაგანი ჯარები უკვე „კანონიერად დაიწყებენ თარეშს, თუ სახლებში შემოგვივარდებიან, აკრძალავენ პარტიების საქმიანობას, კვლავ დაგვიხოცავენ გოგო-ბიჭებს... სამაჩაბლოსთან დაკავშირებული ეს ორმხრივი პროვოკაცია სწორედ ამისკენ მიგვაქანებს და ქართველი ერი თუ არ გამოფხიზლდა, ძალიან მალე თბილისში ტანკებს იხილავს.

ჩვენ შეგნებულად აღარ ვეხებით იმ საკითხს, თუ რა ბედი გვეწვევა ჩვენ (უზენაესი საბჭო რუსების ხელით გაანადგურებს ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას), რამეთუ გვესმის, იმპერია ასე უცებ არ დაინგრევა და ბევრი ჭირ-ვარამი გვაქვს გადასატანი. საშინელება ის არის, რომ ზემოაღნიშნული ბოროტება ხალხის სახელით გაკეთდება. ხალხის მიერ არჩეული „ეროვნული პარლამენტი" განსაკუთრებით ამ დრაკონული კანონის მიღების შემდეგ კრემლს მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევს საქართველოს ტერიტორიაზე.

დროა, თვითონ ხალხმა ამოიღოს ხმა და შეაფასოს მიმდინარე პროცესი, თორემ ხვალ შეიძლება გვიან იყოს. ჩვენ გვჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს, საღი აზრი გაიმარჯვებს. დღეს აღარა გვაქვს შეცდომის უფლება.

საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმი
14 დეკემბერი, 1990წ.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
20 დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * * *

პოლიტიკურ ბლოკ მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველოს განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა წლის 8 დეკემბერს შედგა პოლიტიკურ ბლოკ მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს" და უზენაეს საბჭოს გარეთ მყოფ პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების შეხვედრაზე გადაწყდა შექმნილიყო კომისია პარიტეტულ საწყისებზე საზოგადოებრიობის მონაწილეობით, რომელიც შეისწავლიდა და უზენაესი საბჭოს წინაშე დააყენებდა საქართველოში არაოფიციალურ შეიარაღებულ ფორმირებათა საკითხს.

13 დეკემბერს მოეწყო საკონსულტაციო შეხვედრა კომისიის შემადგელობის დასაზუსტებლად.

კომისიის მუშაობის დაწყებამდე კომისიის წევრმა ბატონმა ჯაბა იოსელიანმა 16 დეკემბერს ტელევიზიით განაცხადა, რომ არ ჩააბარებს იარაღს. ხოლო საკონსულტაციო შეხვედრაზე მანვე განაცხადა, საქართველოს სახელმწიფოებრიობა არ გააჩნია და "მხედრიონი" არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურას არ დაექვემდებარებაო. ამასთანავე ბატონმა ირაკლი წერეთელმა 17 დეკემბრის მიტინგზე განაცხადა, რომ "მხედრიონი" საქართველოში ერთადერთი შეიარაღებული ფორმირებაა, რომელსაც უნდა ვანდოთ საქართველოს ინტერესების დაცვა, ხოლო ქალბატონმა ი. სარიშვილმა იმავე დღეს ტელევიზიით გამოსვლისას სამაჩაბლოში მხედრიონის შეყვანა მოითხოვა.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან მხარემ კომისიის მუშაობის დაწყებამდე, უგულებელყო რა წინასწარი შეთანხმება და საჯაროდ განაცხადა თავისი გადაწყვეტილება, კომისიის შემდგომი მუშაობა გაუმართლებლად მიგვაჩნია.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 110-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივ მოძრაობებს, მათი რესპუბლიკური ორგანოების სახით, აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

შემდგომში დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ ისარგებლონ ამ უფლებით.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
20 დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ნათაძის ღია პასუხი საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარეო! პირველ ყოვლისა, მინდა გავფანტო ის გაუგებრობა, რომელსაც თქვენი სატელევიზიო გამოსვლა (1990 წელი 15 დეკემბერი) ბადებს ჩემს პოზიციასთან დაკავშირებით „სსრკ-სთვის ომის გამოცხადების თაობაზე". თუ საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარები მართლაც აქტიურად ჩაებნენ საქართველოს და მისი (აწ უკვე ყოფილი) ავტონომიის ურთიერთობაში და შეიარაღებული ძალით შეუდგნენ ჩვენი ქვეყნისაგან მის მიწა-წყლის ერთი ორგანული ნაწილის თანდათანობითი მოწყვეტის ოპერაციას, მაშინ საქართველოს, ჩემი ღრმა რწმენით, მართლაც სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლება ჰმართებს. ჰმართებს იმიტომ, რომ საქართველოს მიწა-წყალი მხოლოდ დღეს არსებულ თაობათა კუთვნილება კი არ არის, არამედ ჩვენი შთამომავლობისა უკუნისამდე, და ჩვენ, დღეს ცოცხლებს, არ გვაქვს უფლება, ჩვენი შემდგომი თაობები ამ პლანეტაზე უმიწაწყლოდ, ან შედარებით უმიწაწყლოდ დავტოვოთ. ამის განცხადება აუცილებლად მიმაჩნია, იმიტომ რომ ბრძოლისა და მშვიდობის თემაზე ჩვენში ბევრია და ბევრიც იქნება ფიქრი და მსჯელობა, რაც მოვალეს გვხდის, ჩვენი პოზიცია იმთავითვე ნათლად განვსაზღვროთ. ჩვენს საზოგადოებას არ იცნობს ის, ვისაც ჰგონია, რომ საქრესტომათიო პრინციპი „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა" და ა. შ. ან ილია ჭავჭავაძისეული მოხევის სიტყვები „ცარიელი მშვიდობა საფლავშიც მეყოფისო", დღეს უკლებლივ ყველას აქვს გაზიარებული, ან რომ ამის დიამეტრალურად მოპირისპირე პრინციპს ბეტტერ ბე რედ ტლენ დეად („სჯობს წითელი იყო, ვიდრე მკვდარი") ცოტა მიმდევარი ჰყავს გული სიღმეში მაინც. მაგრამ ამ შემთხვევაში მე მაღალ მატერიებზე ლაპარაკი არა მაქვს. ლაპარაკია არა ომის დაწყებაზე ვინმეს წინააღმდეგ (კერძოდ სსრკს წინააღმდეგ), არამედ ომის **ფაქტის კონსტატაციაზე,** ანუ იმის კონსტატაციაზე, რომ ჩვენ და სსრკ, რომლის შეიარაღებული ძალებიც ჩვენი ტერიტორიების მიტაცების ოპერაციას ახორციელებენ, ერთმანეთთან ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით. ეს არის ჩვენი ერთ-ერთი იურიდიული იარაღი ჩვენს ბრძოლაში და ჩვენ ვალდებულები ვართ, იგი გამოვიყენოთ საჭიროების შემთხვევაში. რატომ ვართ ვალდებულნი? იმიტომ, რომ, თუ ჩვენ

ეს არ ვთქვით, მსოფლიო იფიქრებს და ისტორიაც, რომ ჩვენი მიწა-წყლის მიტაცება სხვისი ბინძური ხელით, რაც დღეს გვემუქრება, ბუნებრივი განვითარების მიერ გამოტანილი განაჩენი ყოფილა, და აღარც ჩვენ, და აღარც ჩვენს მომავალ თაობებს ამ განაჩენის გადასინჯვის საბაბი და საშუალება აღარ გვექნება. ნურვინ იფიქრებს, რომ ჩვენ ამას დავთმობთ, ჩვენ ვიბრძოლებთ, თუნდაც მთელს გალაქტიკასთან შებრძოლება მოგვიხდეს, და ამ ბრძოლაში გამოვიყენებთ ყველა იარაღს ზემოხსენებული იარაღის ჩათვლით.

ასეთია ჩემი პოზიცია და მე საჭიროდ არ მიმაჩნია მისი მალვა. თქვენ კი, როგორც მაყურებლის, ისე მკითხველის წინაშე ჩემს პოზიციას სულ სხვაგვარად სახავთ. თქვენ წერთ, რომ დეპუტატს, რომლის გვარს არ ასახელებთ (ვიგულისხმები მე), სერიოზულად უთქვამს, „რომ ჩვენ რუსეთს, საბჭოთა კავშირს ომი უნდა გამოვუცხადოთ ჩვენი შეიარაღებული ძალებით სამაჩაბლოს გამო". როგორც ხედავთ, თქვენი ეს განცხადება არ შეესაბამება ჩემს პოზიციას იმ სახით, რომლითაც იგი გამოვთქვი სესიაზე. იქ ვთქვი (იხ. საქართველოს რადიოს ჩანაწერი): „თუ საბჭოთა კავშირის ჯარები ჩაერია საქართველოს ხელისუფლებისა და თვითმარქვია ჯგუფის ურთიერთობაში" (ლაპარაკია ოსი სეპარატისტების ფსევდომთავრობაზე ნ.ნ.), „ეს ჩაითვლება საბჭოთა კავშირის თავდასხმად საქართველოზე. მას წარედგინება ულტიმატუმი, რომ ეს თავდასხმა შეწყვიტოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩავთვლით, რომ ვართ ომის მდგომარეობაში ამ იმპერიასთან". ეს არის და ეს. როგორც ხედავთ, მე ვლაპარაკობ მხოლოდ ჩვენს წინააღმდეგ წარმოებული ომის, ანუ სახელმწიფოებივად ორგანიზებული შეიარაღებული ძალმომრეობის ფაქტის კონსტატაციაზე და არა ჩვენს მიერ ამგვარი ძალადობის ანუ ომის დაწყებაზე ვინმეს მიმართ.

ამგვარად, ბატონო თავმჯდომარევ, ჩემი ნათქვამი სულ სხვაა, ვიდრე თქვენ მომაწერეთ.

ციტირებული სიტყვები შემდეგ მე ვთქვი, რომ ქართველი მენშევიკების მთავრობა „ძალიან შეცდა, როდესაც" (1921 წლის თებერვალში, ნ.ნ.) „რუსეთს არ გაუგზავნა ულტიმატუმი და არ გამოუცხადა ომი". დიახ, ძალიან შეცდა, რადგან ამ დიპლომატიური აქტით ჩვენ არაფერს წავაგებდით (ომი მაინც მიმდინარეობდა), სამაგიეროდ ბევრს მოვიგებდით ჩვენი დღევანდელი სტატუსის მხრივ. ჩვენც შევცდებით,

თუ არ გამოვუცხადებთ ომს იმას, ვისთანაც ფრონტის ხაზი გვექნება და ღია ომში ვიქნებით ჩაბმულნი ფაქტობრივად. მაგრამ ფრონტის ხაზის ქონა საბჭოთა იმპერიასთან, ანუ ღია ომში ყოფნა-მასთან ჩვენ დღეს არ მოველით (მოველით მხოლოდ მისი ჯარების უხმაურო მოქმედებას ჩვენი ინტერესების დათრგუნვის მიმართულებით). მაშასადამე, ჩვენ არც ომის გამოცხადება გვაქვს პერსპექტივაში. პერსპექტივაში მხოლოდ ის გვაქვს, რომ საგნებს მათი სახელი ვუწოდოთ და ჩვენი ტერიტორიის იმ ნელ ოპერაციას, რასაც რუსეთის შინაგანი ჯარები განახორციელებენ, შესაძლოა უახლოეს დღეებში, ის კვალიფიკაცია მივცეთ მტრისა და მოყვარის თვალში, აგრეთვე მსოფლიო საზოგადოების თვალში, რაც მას ნამდვილად ეკუთვნის, სახელდობრ, ჩავთვალოთ იგი იმპერიის ომად საქართველოს წინააღმდეგ.

ეს რაც შეეხება რუსეთისათვის ომის გამოცხადებას. ახლა ს ა კ - მაოდ პროვოკაციული განცხადებები" ვნახოთ, რომლამდისაც თქვენი სიტყვით ბატონო თავჯდომარევ, „ზოგი პიროვნება" მისულა. „პროვოკაცია" ანუ გამოწვევა (ლათინურად) იმას ნიშნავს, რომ ვინმე პიროვნება ან ჯგუფი თავისი სიტყვით ან მოქმედებით იწვევს ისეთი მექანიზმის ამუშავებას, რომელსაც საქმისთვის ზიანი მოაქვს. თუ მე იმპერიის ხელისუფლებას ვეუბნები, თქვენ ამა და ამ ანტიქართული მოქმედების შემთხვევაში სათანადო ულტიმატუმს წარგიდგენთ-მეთქი და ჩემს წინააღმდეგ მეომარ მხარედ ჩაგთვლით-მეთქი, ეს ვერ გამოიწვევს ჩვენი საქმისათვის მავნე რომელიმე მექანიზმის ამუშავებას. პირიქით, ეს ამ მექანიზმის მუშაობას ან შეასუსტებს, ან მათზე გავლენას არ მოახდენს, ამგვარად, ეს პროვოკაციად ვერ ჩაითვლება. მაგრამ, მე თუ რუსეთს განვუცხადებ პარლამენტში ან მიტინგზე „ მინდა ესა და ეს ტერიტორია წაგართვა" ან „მინდა აგიჯანყდე შეიარაღებული ძალით", ან „მზად მაქვს შენი საწინააღმდეგო იარაღი" და ა.შ., ან თუ ამავე წესით განვუცხადებ ადამიანთა ამ და ამ კატეგორიას, „მოვალ და ენას წაგართმევ-მეთქი" ან „მოვალ და რჯულს შეგაცვლევინებ-მეთქი" და ა.შ., ის მართლაც გამოიწვევს, ალბათ, მათ ამოქმედებას ჩემს წინააღმდეგ. და, ამგვარად, ეს მართლაც პროვოკაცია იქნება. მე მგონი, ასეთი – შეგნებული ან შეუგნებელი – პროვოკაციების მაგალითები ყველას ბევრი გვახსოვს! მაშ რაღად უნდა გვიჭირდეს ამ საძულველი სიტყვის სწორად ხმარება?

ასევე შორსაა სინამდვილისაგან თქვენს გამოსვლაში მოცემული

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ის ერთი დეპუტატი, რომლის გვარსაც არ ახსენებთ, „მთელ უზენაეს საბჭოს დაუპირისპირდა იმის გამო, რომ სამაჩაბლოში შემოღებულია კომენდანტის საათი". ჯერ ერთი, მე დავუპირისპირდი საბჭოს იმის გამო, რომ საკომენდანტო საათის განმახორციელებელ ძალებს შორის დასახელებულნი არიან „სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ძალები", და არა თვით საკომენდანტო საათის შემოღების გამო. მეორეც, არც მე, არც თქვენ არ ვიცით, მთელ უზენაეს საბჭოს დავუპირისპირდი თუ მის მხოლოდ ერთ ნაწილს, რადგან კითხვა „თავს ვინ იკავებს?" ამ კენჭისყრისას დასმული არ ყოფილა. თუ არ მეშლება კანონპროექტში მოცემული ფორმულირების სასარგებლოდ ხელი აიწია, ბევრი-ბევრი დეპუტატთა 2/3-მა, დანარჩენი მესამედის აზრი კი ჩვენთვის უცნობი დარჩა. რატომ ვიყავი და ვარ წინააღმდეგი სსრკის შინაგანი ჯარის გამოყენებისა საქართველოს პრობლემების მოსაგვარებლად, ეს თქვენ უკვე იცით და კიდევ შეგახსენებთ: იმიტომ, რომ ის ჯარი არასოდეს და არცერთ ვითარებაში ჩვენს ინტერესებს არ დაიცავს, და არც იცავს, მართლაც აგერ რამდენიმე დღეა, იგი, როგორც თქვენ თვითონ აღნიშნავთ, სწორედ პირიქით მოქმედებს. მე მგონი, ჩვენს ქვეყანას რუსეთთან ურთიერთობის საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, რათა ამ უეჭველი ჭეშმარიტების შემეცნება მოგვესწრო!

თუ რამდენად ზუსტია თქვენს გამოსვლაში გადმოცემული შიდა ქართლის დღევანდელ ვითარებაზე საქართველოს ხელისუფლების რეაგირების ჯერ მოკლე ისტორია, ამ თემას ვერ შევეხები. დაე იგი იმან იკვლიოს, საკუთარი ცნობიერებისა და ღმერთის წინაშე, ვისაც ჩემზე უფრო სრული და ზუსტი ინფორმაცია აქვს ხელთ. შევნიშნავ მხოლოდ: შიდა ქართლში სსრკ-ს შინაგანი ჯარების მოქმედების დაკანონებით ჩვენმა პარლამენტმა თქვენი თავმჯდომარეობით დიდი შეცდომა დაუშვა და თქვენ ამაოდ ლამობთ, რომ ყურადღების გამახვილებით „ჩემს მიერ რუსეთისათვის ომის გამოცხადებაზე" მიჩქმალოთ ეს სამწუხარო და არცთუ სასახელო ფაქტი!

არ ვიცი, მე მეხება თუ მხოლოდ სხვას ვისმე ეხება თქვენი მსჯელობა „თქვენთან დაპირისპირების" (თქვენ წერთ „ჩვენთან დაპირისპირებისას ველარ ზომასო...") მოტივთა შესახებ. ყოველი შემთხვევისათვის მოგახსენებთ ჩემს პასუხს. თქვენთან დაპირისპირება (არც მხოლობით რიცხვში და არც მრავლობითში, მე არ ვიცი,

რომელს გულისხმობთ თქვენ) მე არც მსურს და არც მაინტერესებს. მაინტერესებს მხოლოდ ის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომლის საჭეც დღეს თქვენ გიპყრიათ, რაც შეიძლება ზუსტი და შედეგიანი იყოს. ნუ იფიქრებთ, რომ თქვენი პოლიტიკა 28 ოქტომბრიდან დღემდე უშეცდომოდ მიმაჩნდეს ან თქვენს, ჩემის აზრით მცდარ ნაბიჯებზე ლაპარაკს ვერიდებოდე (ასე, მაგალითად, მე შეცდომად მიმაჩნია ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილება სსრკ-ს შინაგანი ჯარების გამოყენების თაობაზე, ასევე, შეცდომად მიმაჩნია სათანადო რაიონებში მიწის ნაკვეთების დარიგების დაგვიანება კანონის, ანუ ყველასათვის საერთო, ზოგადი წესის მიღებამდე, აგრეთვე წესრიგის დაცვის კორპუსისა და ქართული არმიის შექმნის დაგვიანება დღემდე). მაგრამ, ნურც იმას იფიქრებთ, რომ განსხვავებული აზრის ქონა რაიმე გავლენას ახდენდეს ჩემს დამოკიდებულებაზე ან თქვენი პიროვნების, ან უზენაესი საბჭოს დღევანდელი უმრავლესობის მიმართ. შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს დამოკიდებულება–აბსოლიტურად კეთილისმსურველი დამოკიდებულება–სტაბილურია და ასეთად დარჩება მუდამ. დავაზუსტებ: ადრე, როდესაც თქვენ ოპოზიციას წარმოადგენდით, მე არსად თქვენი კრიტიკით არ გამოვსულვარ და ვერც გამოვიდოდი როგორც ტაქტიკური, ისე მორალური მოსაზრებების გამო (ბევრი-ბევრი პირადად თუ გეტყოდით რაღაცას). ახლა, ცხადია, ვითარება სხვა იქნება, ახლა, როცა საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური ხელმძღვანელი ბრძანდებით, მე ყოველთვის გამოვთქვამ ღიად იმ შენიშვნას, რომელიც თქვენი პოლიტიკის მიმართ მექნება. მაგრამ, ვიმეორებ, ეს ნუ შეგიქმნით შთაბეჭდილებას, რომ ჩემი დამოკიდებულება შეცვალა. იგი არ შეცვლილა და არც შეიცვლება.

ფსიქიატრიული დიაგნოზისათვის, რაც ჩემი მისამართით გამოთქვით, რა თქმა უნდა, უაღრესად მადლობელი გახლავართ. თქვენს ადგილზე რომ ვიყო, ბოდიშს მოვიხდიდი. თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ეს საკითხი საკუთარი არჩევანით და საკუთარი გემოვნებით განსაჯოთ. მაგრამ, ნურც ამ შემთხვევაში გეგონებათ, რომ პირადმა წყენამ შესაძლოა ხელჰყოს ჩემი პოზიტიური დამოკიდებულება ან დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობისადმი ან მისი ბელადისადმი. იმისათვის, რომ ეს ჩემი დამოკიდებულება კეთილისმურველი დარჩეს, არაა საჭირო არც პირადი მადლიერება, არც პირადი მეგობრობა ან პა-

ტივისცემა და წარმოიდგინეთ, არც პირადი ნდობა. ამისათვის სავსებით საკმარისია იმის შეგნება, რომ პარლამენტი და მისი მმართველი სტრუქტურა დღეს ჩვენი ეროვნული ამოცანების გადაჭრის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია და რომ მისი აქტიური ერთგულება საქმით ყოველი ჩვენთაგანისათვის ვალია, და არა გემოვნებისეული არჩევანი, ეს შეგნება ღმერთმა ყველას მოგვცეს! ხოლო რაკი ასეა, ნუ შეშინდებით და ნუ შეშფოთდებით, თუ პარლამენტის კანონპროექტებსაც, გადაწყვეტილებებსაც და ასე განსაჯეთ—შემადგენლობასაც კი ყოველთვის ტაში არ შეხვდეს.

დასასრულ საქმის სუბიექტურ მხარეზეც ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა. თქვენი სატელევიზიო გამოსვლა არა მხოლოდ უსამართლოდ ბრალმდებლურია, ანუ ცილისმწამებლურია ჩემს მიმართ, არამედ შეურაცხმყოფელიც. მე არც შეურაცხყოფითვე გიპასუხებთ, არც კოკისა და მისგან წარმოდენილის ცნობილი ანდაზის დამოწმებით. გიპასუხებთ მხოლოდ რჩევით: ნუ დაგავიწყდებათ, რომ საქართველოში არიან ადამიანები, რომელთაც იციან (ან თავიანთ სფეროში ან ზოგადად), თუ რა სჭირდება საქართველოს. ამ ადამიანთა 99 % მაინც დღეს თქვენდამი რწმუნებული პოლიტიკური ბლოკისა და მის საპარლამენტო უმრავლესობის გარეთაა. ნუ უგულებელჰყოფთ მათ აზრს! ნუ მიიჩნევთ დღეს არსებულ დიდად პატივისაცემსა და პატივცემულ უზენაეს საბჭოს საქართველოს ნაკრებად, უფრო მეტიც – მისი გულისა და გონების ერთადერთ განმსაზღვრელად, ნუ შეგეშინდებათ თქვენი და თქვენი თანამოპარტიეების კრიტიკისა, რაც უნდა მკაცრი იყოს იგი ზოგჯერ, და ყოველთვის მზად ბრძანდებოდეთ თქვენი კურსის შესწორებისათვის, თუკი გონივრულ აზრს სხვათაგან მოისმენთ! ეს არის თქვენი მოვალეობა ქვეყნის წინაშე.

ნოდარ ნათაძე

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
20 დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ

„ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 15 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

K279.164 3

1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას შინაგანი ჯარები – ეროვნული გვარდია.

2. შინაგანი ჯარების–ეროვნული გვარდიის საერთო ხელმძღვანელობისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჩამოყალიბდეს მთავარი სამმართველო, რომლის უფროსი იმავდროულად იქნება შინაგან საქმეთა პირველი მოადგილე.

შინაგან ჯარებს ეროვნულ გვარდიას მეთაურობს სარდალი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

3. შინაგანი ჯარები–ეროვნული გვარდია მოწოდებულია იცავდეს სამშობლოს ინტერესებს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და პირად ღირსებას, მათს კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს დანაშაულებრივი ხელყოფისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისაგან;

მონაწილეობს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა აღკვეთაში, თუ ამ დარღვევებს მასობრივი ხასიათი აქვს, საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, იწვევს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის დეზორგანიზაციას;

მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ გამოცხადებული საგანგებო წესების განხორციელებაში, საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში, ხელს უწყობს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

4. მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის გამოყენება ხდება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

5. შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის დაკომპლექტება ხდება

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებით, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ, ხოლო მეთაურთა შემადგენლობისა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებით ნებაყოფლობითს საფუძველზე, კონტრაქტით.

6. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატმა განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის წვევამდელებითა და მეთაურთა შემადგენლობით დასაკომპლექტებლად.

7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის ორგანიზაციული, მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები.

8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიებმა მოამზადონ შესაბამისი აქტის პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია შინაგანი ჯარების-ეროვნული გვარდიის შექმნასა და ფუნქციონირებასთან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1990 წლის 20 დეკემბერი.
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
21 დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * * *

შიმშილობა გამოაცხადეს ძალებმა

გუშინ, 21 დეკემბერს, მთავრობის სახლის წინ შიმშილობა გამოაცხადა 25 ქალმა.–ქართველი დედები კატეგორიულად მოვითხოვთ შეწყდეს ქართველი ხალხის მიერ არჩეული უზენაესი საბჭოს წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციები – განაცხადა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან სახელდახელო საუბრის დროს ერთ-ერთმა მონაწილემ, ქალბატონმა ეთერ ხახუბიამ.

მოშიმშილეთა დანარჩენი მოთხოვნები ასეთია: უნდა შეწყდეს შიმ-

შილობით პოლიტიკური სპეკულაცია მთელს საქართველოში, მიეცეს უზენაეს საბჭოს ნორმალურად საქმიანობის საშუალება. თუ ბოლო არ მოეღება პროვოკაციებს უზენაესი საბჭოს წინააღმდეგ, ქართველი დედები თავს სასიკვდილოდ გადავდებთ და თანაც ამაზე მთელი პასუხისმგებლობა ე.წ. ეროვნულ კონგრესსა და პირადად ირაკლი წერეთელს დაეკისრება. ქართველ დედებს გვსურს სიმშვიდე და წესრიგი. ირაკლი წერეთლის შიმშილობა ეს უზენაესი საბჭოს წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციაა. თუ რომელიმე პარტიას სასიკეთო წინადადებები აქვს, შეუძლია საკანონმდებლო წესით მიმართოს უზენაეს საბჭოს.

წუხელ, საქართველოს ტელევიზიამ პროგრამა „მოამბეში" გვიჩვენა ორი ქართველი მოშიმშილე დედა.

აი, პირველი მანდილოსნის ნაამბობი: გუშინ, დილის ათ საათზე ქალებმა დავიწყეთ შიმშილი, ჩვენი უზენაესი საბჭოს მხარდასაჭერად, რადგან ახლად არჩეულ პარლამენტს მშვიდი სამუშაო პირობები არა აქვს. საღამოს, დაახლოებით 4 საათზე, მოშიმშილეებთან მოვიდა ახალგაზრდების ჯგუფი,. მათ მოგვთხოვეს ავმდგარიყავით, პირდაპირ ასე გვითხრეს, წადითო, ჩვენ აქ მიტინგი უნდა ჩავატაროთო, მაგრამ უარი მიიღეს. ჩვენმა ერთმა მეგობარმა მშრალი შიმშილობა გამოაცხადა, ამდენად მისთვის ენერგია საჭირო იყო, რათა ჯანმრთელობა დიდხანს შეენარჩუნებინა. ახალგაზრდებს ვთხოვეთ, რომ ჩვენ ადგომა არ შეგვეძლო. მათ კვლავ მძაფრად მოგვთხოვეს ადგომა. ამ დროს გამოჩნდა იარაკლი წერეთელი და იმ ახალგაზრდებს დაწყნარება დაუწყო.–რაკი ქალებს ასე სურთ, სჯობია გავბრუნდეთო. არ გასულა დიდ ხანი და ირაკლი წერეთელი კვლავ დაბრუნდა, ქურთუკით ვიცანი. მერე ჩვენს წინ უცბად გამოჩნდა ჯაბა იოსელიანი. ირაკლი წერეთლის ხალხს უფრო ვიცნობ, ჯაბას ხალხს კი არა. იოსელიანი ტელევიზიით ხშირად მინახავს. ჯაბამ და მისმა თანმხლებლებმა დაგიწყეს ლანძღვა-გინება. ასეთი ლანძღვა ქუჩაშიც კი არ გამიგონია. ჯერ თავს ვიკავებდით, მერე კი ვუთხარით, რო ჩვენ არ გვჯეროდა თუ მათთან ასეთი ხალხი იყო. ისინი გვლანძღავდნენ, რათა იძულებულნი გავმხდარიყავით და ავმდგარიყავით. როცა შეგვატყვეს, რომ ადგომას არ ვაპირებდით, წიხლებით დაგვიწყეს ცემა, მე თავშიც ჩამარტყეს. მოტანილი ჰქონდათ ვიდეოგადამღები, ცინიკური გინებით ცდილობდნენ ჩვენს გამოწვევას, ჯალათურად პირდაპირ ცხვირთან მოიტანეს

აპარატი და ისე გვიღებდნენ.

მეორე მანდილოსნის ნაამბობი: მე ბებია ვარ სპეციალისტი, კონსტრუქტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი, მათ კი უსაქმური მეწოდებ-აი, ეს ქალბატონი ნამდვილად მთვრალიაო. აღშფოთებული ვარ ამ სიტყვების გამო. ფოტორეპორტიორმა ქუდი გადამხადა. თმები სამჯერ ამქაჩეს და სახეში წიხლები მომარტყეს, მერე სამი-ოთხჯერ მომხადეს ქუდი, ჩემთვის ეს ჩარტყმაზე უარესი იყო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 20 დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * * *

ედუარდ შევარდნაძე – საქართველოს მინისტრი!

ღირსების მწარე გაკვეთილმა, როგორც პოლიტიკური მიმომხილველები ედუარდ შევარდნაძის ჟესტს ეძახიან, ლამის დაჩრდილა და მეორე პლანზე გადასწია სპარსეთის ყურის კრიზისი, და ეს არც არის მოულოდნელი!–დიქტატურა, რომლისგან გაფრთხილებაც შევარდნაძის გამოსვლის მთავარი აზრი იყო, ათასი სადამ ჰუსეინით ემუქრება კაცობრიობას!

ყველანი ვუსმენთ, ვუყურებთ ვკითხულობთ! დასკვნა ერთია–ამჟამად შევარდნაძის პოლიტიკური და დიპლომატიური რეიტინგი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. ამ ცოტა ხანში ორი გადადგომის მოწმენი ვართ–ტეტჩერისა და შევარდნაძის! მნიშვნელობისა და რეზონანსის შედარება თქვენთვის მომინდვია, პატივცემულო რედაქცია! ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მეჩვენება: ზოგჯერ, როცა შევარდნაძის ფენომენს ეხებით, თქვენ მხედველობიდან უშვებთ ერთ მომენტს–ყოველი პიროვნება უნდა ცოდვა-მადლით გაიზომოს და აიწონოს, ასე უნდა შევიდეს იგი, თავის დროზე, ან სამოთხეში, ან ჯოჯოხეთში! და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ შევარდნაძეს არა აქვს ცოდვა, მადლით არ ჰქონდეს გამოსყიდული. მისი მსოფლიო იმიჯი პრინციპულად განსხვავდება იმ აზრისაგან, რაც მის შესახებ ქართველთა ერთ წრეში შემუშავდა, ეს კი მე მთლად სწორად არ მიმაჩნია.

ამას წინათ „თავისუფლებას" ვუსმინე–იქნებ ჯობდა, 9 აპრილს გადამდგარიყოო! ვითომ ჯობდა? მე მაინც მგონია, ის ჯობდა, რაც

თავად შევარდნაძემ გააკეთა, ამ ჟესტით, თუნდაც ამ დიპლომატიური ნაბიჯით, მან კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი, როგორც დიპლომატის უმაღლესი რანგი და კლასი! მრავალსაათიანი მიტინგები, რომლებსაც რუსი დემოკრატები მის დასაცავად მართავენ, თავისთავად მეტყველებს!

ამბობენ, მისი წასვლა ჯერ კიდევ არ არისო გადაწყვეტილი საბოლოოდ. ეს ამბავი პრინციპულად არაფერს ცვლის: წავა?—იგი დარჩება, როგორც დიდი კაცი! დარჩება? — იგი დარჩება როგორც დიდი კაცი!

ნაჯახით ვერ ამოჭრი მსოფლიო ისტორიიდან შევარდნაძეს!—აი, ეს გახლავთ ფაქტი!

რასაც ახლა ვიტყვი, ის უკვე ოცნების სფეროდანაა. ხვალ რომ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდეს, ეს ამბავი კიდევ ერთი ბომბივით გასკდება მსოფლიოში. თან ამ მეორე ბომბის ეფექტი განუზომელად მეტი იქნება! არა, პრეზიდენტად ან პრემიერ-მინისტრად კი არა—მაინც და მაინც საგარეო საქმეთა მინისტრად. . .

მაგრამ გვეყოფა კი საამისოდ ის, რაც ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება?!

ამას რომ ვამბობ, არ მინდა ცუდად გამიგოს საქართველოს რესპუბლიკის ახლანდელმა მინისტრმა, შესანიშნავმა ახალგაზრდა კაცმა, ბატონმა ხოშტარიამ, რომლის პიროვნებასა და საქმიანობაზე მხოლოდ კარგი რამეები გამიგონია!

„მამულის" რედაქციას კიდევ ერთხელ ვუხდი ბოდიშს შევარდნაძის თემაზე ამ თავისუფალი ვარიაციების გამო, მაგრამ მაფიქრებინა ამის გაკეთება იმან, რომ ვგრძნობდი, ამ თემაზე გაზეთი უსათუოდ იტყვის რამეს, და ჩემი ფიქრით, მაინც ცალმხრივად და ტენდენციურად!

პატივისცემით ბ. სარჯველაძე.

გაზ: „მამული", № 24, დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას საქართველოს ტელერადიო კომიტეტის თანამშრომელთა მიმართვა

ბატონო ზვიად! მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში ქართველმა ხალხმა გააკეთა ღირსეული არჩევანი, უსისხლო რევოლუციის გზით ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ძალები, რომელთაც უნდა ხორცი შეასხან ჩვენი ერის საუკუნოვან ოცნებას, დამოუკიდებელი, ეკონომიკურად ძლიერი და ზნეობრივად ამაღლებული საქართველოს მკვდრეთით აღდგენას...

მითიურ ფენიქსს მხოლოდ ადამიანთა წარმოსახვაში შეუძლია ფერფლიდან აღდგენა,... გაცილებით ძნელია რეალურ ცხოვრებაში ზნეობრივი და სოციალური ჭაობიდან ამოიყვანო ერი, რომელიც მართალია ეტაპობრივად იბრძოდა თავისუფლებისათვის და თავის სათაყვანო საჩინო და უჩინარ გმირთა გალერეაც შექმნა, მაგრამ არც ბარაბას და იუდას ზნეობაზე უთქვამს უარი. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელ საქართველოში ყველაზე დიდი პრობლემა ერის კონსოლიდაციაა, თუმცა საზოგადოების დემოკრატიულმა ფენებმა ზნეობის პიროვნული იდეალი შექმნეს და კიდევაც გაერთიანდნენ მის გარშემო.

ძველი სტრუქტურები და არსებული სტერეოტიპები ძირეულად რომ არის შესაცვლელი უდავო ჭეშმარიტებაა. ეს ეხება ყველა სფეროს და რა თქმა უნდა იმ ორგანიზაციასაც, რომლის თანამშრომლებიც ჩვენა ვართ, თუმცა თავს უფლებას ვაძლევთ არ გავიზიაროთ არც ის მაქსიმალიზმი, რომელიც ახლად დანიშნულ თავმჯდომარის საპროგრამო* ინტერვიუებში გამოიკვეთა და არც ის განუკითხავი განსჯა, რომელიც თანამშრომელთა ერთმა ნაწილმა გამოიჩინა მის მიმართ. საერთო მიზანს – დამოუკიდებელ საქართველოს ასეთი გზით ვერ მივაღწევთ. . .

ჩვენი პოზიცია, რისთვისაც არსებითად დაიწერა ეს მიმართვა ასეთია: თავისუფალი, დემოკრატიული, ქრისტიანული საქართველოს აშენება, მისი ფერფლიდან აღდგენა ყოვლად შეუძლებელი გახდება, თუ ჩვენ კონკრეტულ ორგანიზაციებში შევქმნით დამატებით კერებს,

რაც დაუშვებელია. დაუშვებელია აგრეთვე, განუკითხავ, ერთსახოვან შეფასებას ეწოდოს მთელი კოლექტივის გადაწყვეტილება, მაშინ როცა ეს განსაზღვრული ნაწილის პოზიციაა, თანაც არა კოლექტიური. ვისურვებდით, რომ ჩვენმა ახალმა ხელმძღვანელმა და ჩვენმა კოლექტივმაც გაითვალისწინოს ორმხრივად დაშვებული შეცდომები და რეალური თანადგომით გამოხატოს ერთგულება ეროვნული პარლამენტისადმი, ეს იქნება ერთგულება გარდამავალი პერიოდის პრინციპებისადმი, ერთგულება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზისადმი.

ქ. ლანდია, ნ. ჯალაღონია, თ. მგალობლიშვილი, თ. ელბაქიძე, ნ. წერეთელი, ა. იოსელიანი, ნ. ერისთავი, თ. ჭყონია, ქ. გვარამია, გ. ზარიძე, ლ. ზანგურაშვილი, დ. ჟღენტი, ხ. ბაქრაძე, მ. შარიქაძე, ლ. ბოკერია, მ. ბარდაველიძე, ბუხრაშვილი, ქ. ფორაქიშვილი, კ. ასატრიანი, ლ. სარქისიანი, ა. ჰასანოვი, ჩობანოვა, ლ. დაუშვილი, ქ. გეგეშიძე, ნ. ხუციშვილი, მ. ფარცვანია, თ. ბეროშვილი, მ. როინიშვილი, მ. მჭედლიშვილი, რ. ქართველიშვილი, ე. ვადაქარია, მ. მალაციძე, ჯაფარიძე, ჯ. მელქაძე, ჩალაძე, ნ. ეთერია, ნ. გოგიშვილი, დონღუზაშვილი, ნ. პერტია, გალოგრე, მ. მეშველიანი, ბ. თაბურიძე, თ. გრძელიძე, ლ. დოლიბაზაშვილი, ე. ლილაშვილი, ე. მარღანია, მ. ლომიძე, მ. ბორაშვილი, მ. თვალჭრელიძე, ი. კრეფსი, ლ. ბეთანელი, ვ. ახვლედიანი, ლ. დოლიძე, ნ. ბროლაძე, დ. ბარაბაძე, ა. ხახუტაშვილი, ს. გვიშიანი, ქ. ბიწაძე, მ. გაბუნია, ნ. ჭოლოკავა, ე. დევაძე, ნ. რევია, ი. გვიშიანი, ნ. ქართველიშვილი, მ. ქავთარაძე, ე. ე. ფხალაძე, ც. ლასურაშვილი, დ. ტატიაშვილი, ნ. ნონიკაშვილი, მ. კუცია, ნ. მოვსესიანი, ნ. ბროძელი, ბერიძე, ც. ქარქაშაძე, მ. კაკაბაძე, მ. შარაბიძე, ი. ჭეიშვილი, ქ. ჩხაიძე, ვ. ბაკიევი, ნ. ობგაიძე, რ. წაქაძე, მ. ბარაბაძე, ლ. მესხი, ნ. ებრალიძე, დ. მაზმიშვილი, თ. ხიზანიშვილი, ბაგდასაროვი, მექვაბიშვილი, ლ. შველიძე, ციციშვილი, ფ. ქათამაძე, მ. ჩომახიძე, ლ. ადამია, ჯ. ვაშაკიძე, ა. ჩხაიძე, მ. წულაძე, დ. ამაშუკელი, ი. ხურცილავა, შ. შერაზადაშვილი, მექვაბიშვილი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
27 დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * * *

კატეგორიულად არ ვეთანხმებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის თანამშრომლები კატეგორიულად არ ვეთანხმებით ჩვენი ზოგიერთი კოლეგის მიერ ატეხილ აჟიოტაჟურ დემარშს, რომელსაც უწყობენ კომიტეტის ახლადდანიშნულ თავმჯდომარეს თ. კვანტალიანს. იგი ეროვნულმა პარლამენტმა დანიშნა ამ პასუხსაგებ პოსტზე. გაზეთებისათვის მიცემული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მას საინტერესო და უაღრესად საჭირო რეფორმები აქვს ჩაფიქრებული – შესაძლოა, მისეული შეფასება ტელევიზიის მუშაობის უაღრესად მკაცრი იყო, მაგრამ მართალი განა ჩვენთვის სადავოა, რომ ჩვენი ტელევიზიის მუშაობა მუდამ დაბალი დონისა იყო? ანდა განა ცუდია, თუ კი უხეირო მუშაობისათვის თანამშრომლები წესად შემოიღებენ მაყურებლის წინაშე ბოდიშის მოხდას. ანდა რა გასაკვირია, თუ კი ახლადდანიშნული თავმჯდომარე საკადრო ცვლილებებს მოახდენს? ასეთი რა შეეძლო დაეშავებინა თ. ვანტალიანს სამ დღეში, რომ კოლექტივის დიდი ნაწილი აუჯანყდა. ეს ის კოლექტივია, რომელსაც ადრე არასდროს არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს, არც მაშინ, როდესაც კომიტეტს ახლანდელი საზოგადოება "სტალინის" ოდიოზური ლიდერი კ. გარდაფხაძე ხელმძღვანელობდა. არც მაშინ როდესაც ნ. ფოფხაძე, ა. სანებლიძე და კომპარტიის სხვა ლაქიები გესლიან ცილისწამებებს ახვავებდნენ ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. არც მაშინ, როცა ტელევიზია ხმას აძლევდა გეგა კობახიძისა და მღვდელ ჩიხლაძის დახვრეტას, როცა ა. სანებლიძემ აპრილის დღეებში ავტომატიანი ჯარისკაცები მოიწვია ტელევიზიაში. არც მაშინ, როცა ტელევიზიის თანამშრომლებს მართლაც ქუჩაში ყრიდნენ. ამ კოლექტივის ეს ნაწილი მუდამ დუმდა, ყველაფერ ამას ეგუებოდა. ეტყობა მოსწონდათ კიდეც, რადგან გაუგებარია ასეთი რა შეცდომის ჩადენა მოასწრო ახლადმოსულმა თავმჯდომარემ სამ დღეში, რომ ნაცვლად მხარდაჭერისა, ამბოხით შეხვდნენ. როგორც ჩანს საქმე სხვაგვარადაა. ჩვენ მხარს არ ვუჭერთ ამ სამარცხვინო აქციას და გვსურს კვანტალიანთან მუშაობა.

ლ. ქათამაძე, ი. სანიკიძე, მ. ჩომახიძე, ა. ბარდაველიძე, ი. ბურჭულაძე, ა. ტაბუცაძე, ნ. გრძელიშვილი, თ. ჩიკოიძე, მ. რუსაძე, გ. ხახუტაშვილი, ლ. დუთიძე. თ. დუგლაძე, მ. შოშიტაშვილი, თ. დალაქიშვილი, გ. მანჯ-

გალაძე, ს. დვალიშვილი, ვ. მაისურაძე, დ. ღუდუშაური, ი. ჯეირანაშვილი, რ. კოლელიშვილი, ვ. ლომთათიძე, გ. კალმახელიძე, ლ. ლელაშვილი, მ. ცინცაძე, თ. გალობლისვილი, ქ. გოგინავა, ლ. იოსელიანი, ლ. ზანგურაშ-ვილი, ფორაქიშვილი, ნ. ეთერია, ლ. ბოკერია, ნ. გოგიშვილი, რ. ჩალაძე, ლომიძე, ბუაჩიძე.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
27 დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * *

მოშიმშილეთა მოთხოვნები

მეექვსე დღეა ტელევიზიის შენობაში, თავმჯდომარის მისაღებში შიმშილობას აგრძელებს ქართველ დედათა ჯგუფი, მათ თავიდან მთავრობის სახლის წინ დაიწყეს აქცია. 18 მოშიმშილე ქალი უკვე გადაყვანილია სამედიცინოპროფილაქტიკურ ცენტრში, ქავთარაძის ქუჩაზე. ზეინაბ ლეჟავა, გულიანა ჯახია, მარგარიტა აფციაური, ფოთოლა სოფრომაძე, ლეილა კეცხოველი.

როგორც მკითხველმა იცის, ტელევიზიის შენობაში მოშიმშილეთა გადმოსვლა ირაკლი წერეთლის ტელევიზიით გამოსვლამ და „მოამბეში" მოშიმშილეთა მოთხოვნების ცალმხრივად, არაობიექტურად გაშუქებამ განაპირობა.

გვესაუბრება ქალბატონი მარგარიტა აფციაური, პედაგოგი დედა და ბებია:

იმის მაგიერ, რომ ტელევიზია რესპუბლიკაში სტაბილურობას და სიმშვიდეს უწყობდეს ხელს, პირიქით ხდება: აშკარაა, რომ იგი კონგრესის დიქტატის ქვეშ იმყოფება. საკითხავია, ვინ მართავს ტელევიზიას, ჩვენთან არავინ მოსულა და არ უკითხავთ, რა გვაწუხებს, რატომ ვშიმშილობთ, ურთიერთგაგებით არავინ მოგვკიდებია. ექვს ქალს, რომლებიც პირველ დღეს გადმოვიდნენ აქ, ტელევიზიის მუშაკთა ლანძღვა-გინებისა და შეურაცხყოფის ნიაღვარი დაატყდა თავს. ტელევიზიის მესვეურნი, თითქოს ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოს სიტყვით მხარს უჭერენ, მაგრამ საქმით კი საწინააღმდეგოს ამტკიცე-

ბენ. მათი მხრივ ასეთი განუკითხაობის შედეგია, რომ საქართველოს რეალური მთავრობის მიმართ ამგვარ ცილისმწამებლურ, უზნეო ხერხებს იყენებენ. რატომ დუმს ჩვენი ინტელიგენცია, რატომ იკავებენ თავს, ზნეობრივი შეფასება მისცენ ფაქტებს, რომლებიც ჩვენს გარშემო ხდება, განა მათი მხრიდან დუმილი ღალატის ტოლფასი არ არის ამ პირობებში?

უცვლელად გთავაზობთ მოთხოვნებს, რომელიც მოშიმშილეებმა ტელევიზიის ხელმძღვანელობას წაუყენეს: **„მოვითხოვთ წერილობით გარანტიას: ტელევიზიით აღარასოდეს გადაიცეს შეურაცხყოფა და ცილისწამება უზენაესი საბჭოსადმი. გადაიცეს მხოლოდ შემოწმებული ინფორმაცია. ი. წერეთელს, ჯ. იოსელიანს, რ. მიქაბერიძეს, ი. ქადაგიშვილს, ი. სარიშვილს, გ. ჭანტურიას და სხვებს არ მიეცეთ ნება ტელევიზიით უზენაესი საბჭოს მიმართ გაუმართლებელი და ცილისმწამებლური გამოსვლებისა, მხოლოდ ამ გარანტიის მიღების შემდეგ შევწყვეტთ შიმშილობას".**

მოთხოვნას ხელს აწერს 12 ქალი: ელზა ჩინჩალაძე, მზია გეგია, ლაი გაგუა, ლელა მარანელი, თამარ სიჭინავა, ლილი დეკანოიძე, ზეინაბ ლეჟავა, ლულიანა ჯახია, ლეილა კეცხოველი, ფოთოლა სოფრომაძე, მარგარიტა აფციაური.

კარს მოგვადგა ახლი წელი. საქართველოს ტელევიზიის თავმჯდომარის მისაღებში კი მოშიმშილეთა აქცია გრძელდება და ქალბატონი ლეილა კეცხოველის სიტყვით პერმანენტულად გაგრძელდება, სანამ მოთხოვნებს ყურად არ იღებენ.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
30 დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ ამერიკელი ჟურნალისტის ედმუნდ სტივენსისადმი

– 1990 წლის 25 მარტს დანიშნული არჩევნების წინ მოეწყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია, რომელზეც თქვენ მოუწოდეთ ხალხს, გამოეცხადებინა ბოიკოტი არჩევნების, საქართველოს უზენაესი საბჭოს, ოპოზიციური ეროვნული სათათბიროს შექმნისადმი, ხოლო არჩევის შემთხვევაში თვითლიკვიდაცია უნდა გამოეცხადებინა (ცნობა ამის შესახებ „ზარია ვოსტოკაში" გამოქვეყნდა 1990 წლის 13 მარტს). ახლა თქვენ არა თუ მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში, არამედ თავმჯდომარეც ბრძანდებით სწორედ იმ უზენაეს საბჭოსი, რომლის ლიკვიდაციასაც მოუწოდებდით სულ რამდენიმე თვის წინ. მით უმეტეს, იმავე კონფერენციის გადაწყვეტილებით გამოცხადდა, რომ ეროვნული მოძრაობიდან უნდა გაირიცხონ საზოგადოებრივი გაერთიანებანი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში.

– 1990 წლის 25 მარტს დანიშნული ერთპარტიული არჩევნები ანტიდემოკრატიულ პრინციპებს ემყარებოდა და ვერ გახდებოდა საქართველოს მოსახლეობის ნების გამომხატველი, სწორედ ამიტომ გამოვუცხადეთ ჩვენი ბოიკოტი ამ არჩევნებს. მაგრამ, როდესაც „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს" ბლოკის ძალისხმევისა და აქციების მეოხეობით მიიღეს არჩევნების ახალი კანონი, შესაძლებელი გახდა გამართულიყო თავისუფალი, მრავალპარტიული, და არა საბჭოური არჩევნები. მხოლოდ ამის შემდეგ მივიღეთ ჩვენ მონაწილეობა ამ არჩევნებში და ღირსეულადაც გავიმარჯვეთ. ასე რომ, ახალ მე ვთავმჯდომარეობ არა „იმ უზენაეს საბჭოს, რომლის ლიკვიდაციასაც მოვუწოდებდი", არამედ ახალ მრავალპარტიულ უზენაეს საბჭოს, რომელიც უკვე აღარ არის საბჭოური სტრუქტურა და რომელსაც ღირსეულად უწოდებენ საქართველოს ეროვნულ პარლამენტს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებმა წინა არჩევნებისაგან განსხვავებით ჩაიარა საბჭოთა კონსტიტუციის რეგლამენტაციის გარეშე—სხვადასხვა პარტიები რეგისტრაციაში გაატარეს არა მმართველმა საბჭოთა ორგანოებმა, არამედ

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ. მეთვალყურეებად მოწვეული გყვავდნენ საზღვარგარეთელი ექსპერტები. ასეთ პირობებში ჩაიარა თავისუფალმა არჩევნებმა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ნების ერთადერთ გამომხატველად მოგვევლინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა — ჭანტურიამ და წერეთელმა — გამართეს ეროვნული კონგრესის არჩევნები. როგორ წარიმართება, თქვენი აზრით, ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლების არსებითად ორ სტურქტურას შორის? მით უმეტეს, რომ თქვენც და თქვენს ოპონენტებსაც განზრახული გაქვთ მოაწყოთ ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნები. გაზეთებში ხშირად წერენ მრგვალი მაგიდის ლიდერებსა და ეროვნული კონგრესის მომხრეებს შორის წამოჭრილ კონფლიქტზე, თანაც თურმე სიტყვიერი შეხლა-შემოხლიდან საქმე მიდიოდა ძალის გამოყენებამდე, მათ შორის, შეიარაღებულ კონფლიქტამდე. როგორ გესახებათ თქვენ ეროვნულ კონგრესთან თანაარსებობა? და კიდევ, საქართველოს მომავალი, როგორც თქვენი წინასაარჩევნო პროგრამიდან ჩანს, თქვენ გესახებთ სრულ თავისთავადობად და დამოუკიდებლობად. მიუხედავად ამისა, ეროვნულ კონგრესში შემავალი თქვენი ოპონენტები არაორაზროვნად აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ ისრაელის მსგავსი გასამხედროებული სახელმწიფოს შექმნას და ნატოს ბლოკში შესვლას. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხში?

— რაც შეეხებათ ჩემს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, მათ არ გაუმართავთ არავითარი ნამდვილი არჩევნები. ეს იყო გაყალბებული არჩევნები, რომლებშიც საქართველოს მოსახლეობის ორ პროცენტსაც არ მიულია მონაწილეობა. მათ არ გამოუქვეყნებიათ დეტალური მონაცემები რაიონებისა და უბნების მიხედვით. ისინი არ შეუმოწმებიათ საზღვარგარეთელ ექსპერტებს, ასე რომ, თვითმარქვია „ეროვნული კონგრესი" არავითარ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს, და მით უმეტეს არ არის „ხელისუფლების სტრუქტურა", როგორც თქვენ მოიხსენიეთ, ისინი მფარველობენ რაიონებში მოკალათებულ შეიარაღებულ ბანდებს, რომლებიც ტერორში ამყოფებენ და ძარცვავენ მოსახლეობას. აი, მთელი მათი „მოღვაწეობა". და კონფლიქტები მათთან მხოლოდ და მხოლოდ ამ ნიადაგზე მოგვდის. შემდგომი „თანაარსებობა"აგრეთვე დამოკიდებული იმაზე, განუდგებიან თუ არა ისინი კრიმინალურ მაფიას, რომელიც ამდენ ავკაცობას სჩადის საქართველოში. ჩემთვის მიუღებელია კონგრესის პოლიტიკური „იდეები", რომლებიც მოგვიწოდებს გამოვაცხადოთ საქართველო კოლონიურ

ქვეყანად, მიუღებელია, რადგან მიგვაჩნია, რომ კოლონიურ ქვეყანას იურიდიულად წართმეული აქვს უფლება, მოაწყოს თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები თავის საკუთარ ქვეყანაში, მაშინ, როდესაც საქართველოში გაიმართა სწორედ ოფიციალური მრავალპარტიული არჩევნები, სადაც გამარჯვება მოიპოვეს დემოკრატიულმა და ეროვნულმა ძალებმა. ეგრეთ წოდებულ ეროვნულ კონგრესს კი არა აქვს ხალხის მხარდაჭერა, ჩვენ იგი მიგვაჩნია ფიქციად, რომელსაც აკლია პოლიტიკური მოწიფულობა და კომპეტენტურობა. ამასვე მოწმობს მათი დამოკიდებულება ნატოს ბლოკში საქართველოს შესვლის საკითხისადმი–ეს იმ დროს, როდესაც ევროპაში მიმდინარეობს ინტეგრაციის პროგრესული პროცესები, შენდება ევროპის საერთო სახლი და ყველანი ესწრაფვიან სრულიად ევროპის სამხედრო უსაფრთხოების მიღწევას.

– რა ტიპის სახელმწიფოებრიობა აშენდება საქართველოში და როგორი იქნება მართვა-გამგეობის ფორმა? თქვენს ბოლოდროინდელ გამოსვლებში ეს საკითხი სხვადასხვაგვარად არის გაშუქებული.

– საქართველოში ავაშენებთ პარლამენტურ დემოკრატიულ რესპუბლიკას, მე მუდამ ვიცავდი ამ იდეას ყველა ჩემს გამოსვლაში.

– მრგვალი მაგიდის მომხრენი იყვნენ საქართველოდან „საოკუპაციო ჯარების" გაყვანისა და საკუთარი არმიის შექმნის პოლიტიკის ინიციატორები და გამტარებლები. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხში ამჟამად და, საერთოდ, როგორ გესახებათ ურთიერთობა საქართველოში განლაგებულ საჯარისო ქვეგანაყოფებთან?

საკუთარი შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო ჯარების, საბაჟოს შექმნის შემთხვევაში რა წყაროებიდან დააფინანსებთ ამ პროგრამებს, სად მოამზადებთ კადრებს?

– საქართველოში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების ყოფნის მართლზომიერება უნდა გადაწყვიტოს საერთაშორისო სამართალმა, ისეთმა ინსტანციებმა, როგორიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის საბჭო და სხვა, მას შემდეგ, რაც საქართველო მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას და შექმნის თავის ეროვნულ არმიას. იქამდე კი საქართველოში მყოფმა ჯარის ნაწილებმა უნდა შეიცვალონ სტატუსი გახდნენ უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლები. ჩვენ ვგმობთ მათთან ფიზიკური ბრძოლის ყოველგვარ ავანტიურისტულ იდეას, ვინაიდან ეს უდიდეს საფრთხეს უქადის საქართველოს.

საქართველოს ახალი ეროვნული არმია დაფინანსდება რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, კადრებს მოამზადებენ ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტები, როგორც ეს ყველა სხვა ქვეყანაში ხდება ხოლმე.

— თქვენი ინტერვიუებიდან გამომდინარეობს, რომ განზრახული გაქვთ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რეორგანიზაცია. რა მიმართულებით წარიმართება ეს რეორგანიზაცია და რა ფუნქციები უნდა შეასრულონ უშიშროების ორგანოებმა, სად მოამზადებთ ამ ორგანოების თანამშრომლებს, თუ თქვენ უარყოფთ კავშირთან შესაძლო ურთიერთობას?

— ჩვენ სახელმწიფო ორგანოების რეორგანიზაციას წარვმართავთ ეროვნული ორიენტაციის გეზით, და კადრებსაც ასევე ჩვენი სპეციალისტები მოამზადებენ.

— ჩვენი აზრით, თქვენს გამოსვლებში ეროვნულ საკითხზე არის წინააღმდეგობანი. მაგალითად, 1988 წლის 1 ნოემბერს მწერალთა კავშირში გამართულ კრებაზე თქვენ განაცხადეთ: ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ საქართველოს მთავრობას განზრახული აქვს, გადასცეს აღმოსავლეთი საქართველო აზერბაიჯანს, და იქვე დააყენეთ საკითხი, რომ საჭიროა გასახლებულ იქნენ აზერბაიჯანელები მიწაწყლიდან, რომელიც მათ უკანონოდ დაიკავეს. 1988 წლის 11 ნოემბერს კინოს სახლთან გამართულ მიტინგზე გამოსვლისას თქვენ ბრძანეთ: ოსებს განუმარტავთ, რომ „თუ მათ არ სურთ ჩვენთან მშვიდობიანად იცხოვრონ, მაშინ საქართველოდან წავიდნენო".

1989 8 დეკემბერს სურათების გალერეასთან გამართულ მიტინგზე თქვენ მოუწოდებდით აჭარელ სეპარატისტთა ალაგმვას.

მესხეთელი თურქების საკითხზე ქართველი ერის მიმართვაში ჰელსინკის კავშირის სახელით ითქვა, რომ თქვენ არ დაუშვებთ საქართველოში არც ერთი ეთნიკური თურქის ან თურქული ეროვნული ცნობიერების მქონე მოქალაქის ჩასახლებას. უფრო მეტიც, იგი (ქართველი ხალხი) იბრძოლებსო ასეთების თურქეთში რეპატრიაციისთვის.

მაგრამ ოფიციალური პრესისათვის გაკეთებულ სხვა განცხადებებში თქვენ ბრძანებთ, რომ ქართველი ხალხისთვის უცხოა ეთნიკური სიძულვილი, ლაპარაკობთ ჰელსინკის შეთანხმების სულისკვეთებისადმი ერთგულებაზე, თავად თქვენ დიდი ხანია ბრძანდებით საქართველოში შექმნილი ჰელსინკის ჯგუფის ლიდერი. როგორ განმარტავდით თქვენს ესოდენ პოლარულ გამონათქვამებს?

— ჩემს გამონათქვამებში ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ. როდესაც აზერბაიჯანიდან, ოსეთიდან ჩამოსახლებულთა გარკვეული

ნაწილი და სხვა გადამთიელები აგრესიულად იქცევიან, ფეხქვეშ თელავენ მკვიდრი ქართველი მოსახლეობის უფლებებს, დისკრიმინაციას უწევენ მას, აგრეთვე, როდესაც ისინი ცდილობენ ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, მოქალაქეთა სიცოცხლე, მაშინ ყოველივე ამას ჩვენ მივიჩნევთ აგრესიისა და დისკრიმინაციის აქტად.

საკუთარ მიწაწყალზე ქართველი მოსახლეობის შევიწროება ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმით შეიძლება შეფასდეს, როგორც საერთაშორისო დანაშაული.

კანონის პატივისცემა მოეთხოვებათ არა მარტო აზერბაიჯანელებს, არამედ სხვა ერის წარმომადგენლებსაც. უკანონოდ დაკავებული მიწები უნდა გაათავისუფლოს ყველამ, მათ შორის ქართველებმაც. მაგრამ საქართველოში უნგრევენ უკანონოდ აშენებულ სახლებს ქართველებს, ხოლო არაქართველი მოსახლეობის სახლებს თითს არ აკარებენ. ჩვენ ასეთი დისკრიმინაციის წინააღმდეგი ვართ, რაც შეეხებათ ნაირნაირ სეპარატისტებს, ჩვენ ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ, ვინაიდან სეპარატისტთა პრეტენზიები—ნაწილნაწილ დააქუცმაცონ საქართველო—ყოვლად უკანონოა.

რაც შეეხება ჰელსინკის შეთანხმებას, იგი როდი მოუწოდებს სახელმწიფოებს, ხელაღებით შეუშვან თავიანთ ტერიტორიაზე ასიათასობით გადამთიელი მუდმივი დასახლებისათვის. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს მოქალაქეობის კანონი, საქართველოს ასეთი კანონი ჯერ არა აქვს. ამიტომ ჩვენ, ამ კანონის მიღებამდე ვერ ჩამოვუშვებთ უცხოტომელებს, **თანაც ესოდენ დიდი ოდენობით, ჩვენს პატარა, მცირე მიწიან ქვეყანაში, სადაც უამისოდაც მოსახლეობის 35 პროცენტს უცხოელები შეადგენენ**. ასეთ შემთხვევებში ჩვენ კვლავ ვხელმძღვანელობთ საერთაშორისო სამართლით, რომელსაც ემყარება ჰელსინკის შეთანხმებაც. ჰელსინკის შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებს ასევე აქვთ კანონები, რომლებიც ზღუდავენ ემიგრანტების, მეტადრე მუშახელის უსაზღვრო მოზღვავებას მათს ქვეყანაში.

— ჯერ კიდევ წინა რეჟიმის დროს დატოვეს საქართველო დაღესტნელებმა, მიდიან ბერძნები, ახლა ვისი ჯერია? არსებობს კი იმის გარანტია, რომ განახლებულ საქართველოში მშვიდობა დაისადგურებს სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს შორის?

— როდესაც გარედან ჩარევა შეწყდება, საქართველოში ყველა

ეთნიკური პრობლემა თანდათან მოგვარდება. ამის დასტურია საქართველოს ისტორია. ჩვენში ოდითგან, მრავალი საუკუნის მანძილზე ტრადიციულად დამკვიდრდა სხვადასხვა ეთნიკურ წარმომადგენელთა მშვიდობიანი და თანასწორუფლებიანი თანაცხოვრება. რაც შეეხება მიგრაციას, იგი მუდამჟამს ხდება ნებისმიერ სახელმწიფოში. ხელს ხომ არ შევუშლით ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ნებით მიემგზავრებიან ისტორიულ სამშობლოში.

— თუ საიდუმლო არ არის რა საკანონმდებლო აქტების პაკეტის განხილვას აპირებს ახლად არჩეული პარლამენტი რესპუბლიკაში ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხთან დაკავშირებით?

— დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეობის სტატუსი იქნება სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთობის ნორმალიზაციის ჭეშმარიტი გარანტი.

— ხომ არ გამოიწვევს აჭარის ავტონომიის გაუქმება მოსაზღვრე თურქეთთან ურთიერთდამოკიდებულების გართულებას? აჭარელები ხომ სხვა რელიგიას მისდევენ. გარდა ამისა, თურქეთში როგორც ცნობილია, 2 მილიონამდე წარმოშობით ქართველი ცხოვრობს.

— შინაური პრობლემების სამართლებრივი გადაწყვეტა ქართველი ერის პრეროგატივაა. აქვე უნდა დავძინო, რომ სხვა რელიგიის აღმასრულებელნი აჭარელთა უმრავლესობას არ შეადგენენ. ჩვენ გავაუქმებთ აჭარის ავტონომიას მხოლოდ აჭარელთა თანხმობით, ე. ი. რეფერენდუმის გზით. რაც შეეხებათ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, მათს სურთ იხილონ ერთიანი, და არა ავტონომიებად დაქუცმაცებული საქართველო. საქართველოში ქართველთა ავტონომიას არავინ არ იწონებს, აჭარის კომუნისტური მაფიის გარდა.

— ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვით საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის საზღვარგარეთ ცხოვრობს. განახორციელებს თუ არა ახლად არჩეული საქართველოს პარლამენტი ღონისძიებებს მათი სამშობლოში დაბრუნებისათვის, ხოლო თუ განახორციელებს, ხომ არ გამოიწვევს ეს ახალ გართულებებს რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნების პირებთან დაკავშირებით? საქართველოს ხომ არც თუ ისე დიდი მიწის მარაგი აქვს?

— ქართველ ემიგრანტთა სამშობლოში დაბრუნება არაფერს ავნებს სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ცხოვრების პირობებს, გარდა ამისა, ჩვენი ემიგრაცია ერთობ მცირერიცხოვანია და მათგან მხოლოდ

ნაწილს სურს დაბრუნდეს სამშობლოში.

— ცალკეულ პუბლიკაციებში გამოსჭვივის აზრი, რომ საქართველოს უნდა დაუბრუნდეს იმ ტერიტორიის ნაწილი, რომლებიც წინათ მას ეკუთვნოდა და ამჟამად სხვა რესპუბლიკების: სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის შემადგენლობაში შედის. რა ტერიტორიებზეა ლაპარაკი? და როგორ აპირებს საქართველოს ახალი მთავრობა ამ უაღრესად რთული საკითხის მოგვარებას?

— მმართველობის ამ სტადიაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა არ განიხილავს ამ საკითხებს.

— საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევის შემდეგ თქვენ გამოაცხადეთ სამწლიანი გარდამავალი პერიოდი. რა რეფორმის განხორციელებას აპირებთ ამ პერიოდში, და რა იქნება შემდეგ?

— ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად აღმოვფხვრათ საქართველოს ანექსიის შედეგები, მთლიანად შევაჩეროთ სსრ კავშირის კონსტიტუციის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე, მოვამზადოთ ახალი საკანონმდებლო აქტები და ეკონომიკური საფუძვლები საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად, შევქმნათ საქართველოს ახალი კონსტიტუცია.

— ცნობილია, რომ ამჟამად საქართველოს ეკონომიკა ძირითადად ჩამოტანილ ნედლეულს ემყარება. სურსათის, ნავთობპროდუქტების, საწვავ-საპოხი მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე ქვეყნის სხვა რეგიონებიდან შემოჰქონდა საქართველოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თქვენ გამოაცხადეთ კავშირისაგან სრული დამოუკიდებლობის კურსი, ეტყობა გაქვთ რაღაცის იმედი, არა? საიდან შემოიტანთ ნედლეულს მრეწველობისათვის, როგორ გადაწყვეტთ სასურსათო პროგრამას?

— საქართველოს საკმარისად აქვს ბუნებრივი რესურსები იმ დეფიციტის შესავსებად, რომელსაც იგი სხვა დარგში განიცდის. ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკონომიკა საკავშირო ეკონომიკაზეა დამოკიდებული, იმის შედეგია, რომ საქართველო ტუსაღია ხალხთა საპყრობილე—საბჭოთა იმპერიისა, იგი იზოლირებულია დანარჩენ მსოფლიოსაგან, არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც. როდესაც საქართველო თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადავა და გახდება მსოფლიო ბაზრის სრულუფლებიანი წევრი, სადაც იგი გაიტანს თავის რესურსებს და მდიდარ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, განავითარებს ტურიზმს და დაეპატრონება თავის შეს-

ანიშნავ კურორტებს.

— მრგვალი მაგიდის წინასაარჩევნო პლატფორმის ეკონომიკურ ნაწილში ლაპარაკია იმაზე, რომ კავშირისაგან უნდა მიიღოთ საქართველოს ეროვნული კუთვნილების ის ნაწილი, რომელიც მრგვალი მაგიდის აზრით, გაიტანეს საქართველოდან საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. როგორ აპირებს საქართველოს ახალი პარლამენტი შეაფასოს გაზიდული კუთვნილების ოდენობა და კონკრეტულად ვის უნდა წაუყენოს სარჩელი: მთლიანად კავშირს, თუ სახელდობრ რუსეთს?

— საფინანსო და ეკონომიკურ ექსპერტებს საკმარისად აქვთ საიმისო ხერხები, თუ როგორ შეაფასონ საქართველოს მრავალი წლის კოლონიური ძარცვის შედეგად ე.წ. ცენტრისათვის წასაყენებელი მოთხოვნების ოდენობა.

— ჯერ კიდევ ამ პოსტზე არჩევამდე თქვენს გამოსვლებში გაისმოდა მოწოდებები, რომ საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი მიღებული უნდა იქნას რეფერენდუმის გზით. რჩება თუ არა ეს ძალაში, როგორ აპირებთ ამის განხორციელებას და რა საკითხებზე მოეწყობა რეფერენდუმი?

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონებმა რეფერენდუმის ძალა შეიძინა, რეფერენდუმის სპეციალურ კანონს ჩვენი პარლამენტი შემოიღებს.

— თქვენი მრავალი გამოსვლიდან ნათლად ჩანს, რომ თქვენ საქართველო რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მსხვერპლად მიგაჩნიათ, და ამაში ძნელია არ დაგეთანხმოთ. ამავე დროს კავშირის ხალხებს ყველაზე მეტი ტანჯვა მოუტანა ეროვნებით ქართველმა სტალინმა. მიუხედავად ამისა, ბევრი ქართველი თაყვანს სცემს მისი როგორც დიდი მოღვაწის ხსოვნას. როგორია თქვენი დამოკიდებულება სტალინის მიმართ და როგორ განმარტავდით საქართველოში არსებულ არაერთგვაროვან დამოკიდებულებას „ხალხთა მამამთავრისადმი"?

— არა არის გამართლებული ხაზგასმით აღნიშნო სტალინის პიროვნებაში მისი ქართველობა. სტალინი ბოლშევიკურმა ტოტალიტარიზმმა წარმოშვა, და როდესაც იგი დიქტატორად და ტირანად იქცა, მასში უკვე ქართული აღარაფერი იყო, როგორც ამას აღნიშნავს თვით მისი ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა. მართალია, მან დიდი ტანჯვა-ვაება მოუტანა კავშირის ხალხებს, მაგრამ ყველაზე მეტი უბედურება დაატეხა თავს თავის „მშობლიურ" საქართველოს,

იმიტომ, რომ მუდამ ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი ინტერნაციონალიზმი. მის ხსოვნას პატივს სცემს საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, ადამიანები, რომლებიც პოლიტიკური შეგნების დაბალ დონეზე იმყოფებიან. ეს დაამტკიცა ჩვენმა არჩევნებმაც, როდესაც არავინ არ დაუჭირა მხარი საზოგადოება „სტალინის" პრეტენზიას, მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, და როდესაც კანონის შესაბამისად იგი ამოირიცხა არჩევნების მონაწილე პარტიების სიიდან.

— საინტერესოა, ერთგვარი პარალელის სახით, გავიგოთ თქვენი აზრი გორბაჩოვზე, რომლის რეფორმებმაც, არსებითად გაუხსნა საქართველოს დამოუკიდებლობის გზა.

— საქართველოს დამოუკიდებლობის გზა გაუხსნეს დასავლეთის იმ პროგრესულმა და ალმაშენებელმა ძალებმა, რომლებიც ახორციელებდნენ და ახორციელებენ ტოტალიტარული იმპერიის პოლიტიკურ დემონტაჟს, პროცესს, რომელშიც გორბაჩოვი ნებით თუ უნებლიეთ აღმოჩნდა ჩათრეული. ვისურვებდი, რომ მისი საქმენი უფრო მეტად შეეფერებოდეს მის სიტყვიერ განცხადებებსა და პროგრამებს.

დასასრულ, ვუსურვებ მსოფლიო ხალხებს საყოველთაო, ჭეშმარიტად ადამიანურ ბედნიერებას. ვისურვებდი, რომ ისინი კიდევ უფრო მეტი გაგებით მოჰკიდებოდნენ სსრ კავშირის ჩაგრულ ხალხებს, რომლებიც დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის იბრძვიან.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს ეროვნული კონგრესის თვალსაზრისი საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ. ბნ თეიმურაზ სუმბათაშვილის მოხსენება, წაკითხული საქართველოს ეროვნული კონგრესის მეორე სესიაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები, დანიშნული 1990 წლის 25 მარტს, როგორც მოგეხსენებათ გადატანილი იქნა შემოდგომისათვის და ჩატარდა 28 ოქტომბერს.

25 მარტს დანიშნული არჩევნების ჩაშლა დაბრალდა შეურიგებელ ოპოზიციას, მაგრამ თუ ობიექტურნი ვიქნებით, შეუძლებელია არ დავინახოთ, რომ შეურიგებელ ოპოზიციას სინამდვილეში, არაფერი უჩვეულო და განსაკუთრებული არ მოუმოქმედია ამ არჩევნების ჩასაშლელად–შეურიგებელი ოპოზიცია ბოიკოტს უცხადებდა უზენაესი საბჭოს არჩევნებს, განუწყვეტლივ ეწეოდა არჩევნების საწინააღმდეგო პროპაგანდას და ამ პოლიტიკური ბრძოლის შედეგი მცირე არ იყო. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ შეურიგებელი ოპოზიციის ძალისხმევას 25 მარტს დანიშნული არჩევნების ჩაშლა მოჰყვებოდა–ხელისუფლება არჩევნების ჩატარებას შესძლებდა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ფალსიფიცირებული არჩევნების ჩატარების მდიდარი გამოცდილება ჰქონდა და ჰყავდა კადრები, რომლებსაც შეეძლოთ ასეთი არჩევნების ჩატარების იურიდიული დადასტურება იმ შემთხვევაშიც კი, თუ დიდი ნაწილი ამომრჩევლებისა საარჩევნო უბნებში არ მივიდოდა.

იმისათვის, რომ დავადგინოთ ჭეშმარიტი მიზეზი 25 მარტს დანიშნული არჩევნების ჩაშლისა, საჭიროა სწორად შევაფასოთ იმჟამინდელი პოლიტიკური სიტუაცია, რადგან ეჭვგარეშეა, არჩევნები ჩაშალა მან, ვინც უშეცდომოდ შეაფასა პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა არჩევნებისწინა საქართველოში – პოლიტიკური ვითარება კი ასეთი გახლდათ: საქართველოს კომპარტია, სახალხო ფრონტი და ეროვნული მოძრაობის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები ჩაბმულნი იყვნენ საარჩევნო კამპანიაში, რადიკალური, შეურიგებელი ფრთა კი ბოიკოტს უცხადებდა უზენაესი საბჭოს არჩევნებს, ამგვარად, 28 მარტს დანიშნული არჩევნების შედეგად, საქართველოს უზენაეს საბჭოში, ბუნებრივია, თავს მოიყრიდნენ საქართველოს კომპარტიის, სახალხო ფრონტის და ეროვნული მოძრაობის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები, ხოლო შეურიგებელი ოპოზიცია ცხადია დარჩებოდა უზენაესი საბჭოს გარეთ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში სწორედ შეურიგებელი მოძრაობის შეურიგებელი ფრთა წარმოადგენდა ძლიერსა და გავლენიან პოლიტიკურ ძალას, მაშინ ადვილად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ისეთი უზენაესი საბჭო, რომლის შემადგენლობაში არ იქნებოდა წარმოდგენილი ეროვნული მოძრაობის ფაქტობრივი წარმმართველი–შეურიგებელი ოპოზიცია–ვერ მოიპოვებდა ქართველი ხალხის ნდობას და იგი არსებითად, ძველ

უზენაეს საბჭოზე მეტ პოლიტიკურ რეპუტაციას ვერ შეიძენდა. ამავე დროს შეურიგებელი ოპოზიცია, დარჩენილი უზენაესი საბჭოს გარეთ, საწინააღმდეგო ფრონტზე, თუნდაც მხოლოდ თავდაცვის ინსტინქტის წყალობით, უეჭველია, დასძლევდა შინაშლილობას, გაერთიანდებოდა, შეიკვრებოდა და უზენაესი საბჭოს პოლიტიკურ გავლენას, ისედაც უმნიშვნელოს, სავსებით გააქარწყლებდა—ერთი სიტყვით, 25 მარტს დანიშნულ არჩევნებს მოჰყვებოდა ოფიციალური ხელისუფლების შესუსტება და ეროვნული მოძრაობის გაძლიერება.

ვისთვის იქნებოდა დამღუპველი პოლიტიკურ ძალთა ამგვარი განაწილება საქართველოში?—რა თქმა უნდა, რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ეგრეთ წოდებული საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლებისათვის, და სწორედ მას გაუჩნდა 25 მარტს დანიშნული არჩევნების ჩაშლის იდეა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება ამ იდეის პასიური განმხორციელებლის როლში აღმოჩნდა. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ოფიციალური გადაწყვეტილება 25 მარტს დანიშნული არჩევნების გადავადების შესახებ მიღებული იქნა ეროვნული მოძრაობის პირველ საგანგებო კონფერენციის წარმატებით ჩატარების შემდეგ. მოგახსენებთ, ამ კონფერენციამ იმუშავა 13, 14, 15 მარტს და დამთავრდა შეურიგებელი ოპოზიციის სრული გამარჯვებით—არჩეული იქნა ეროვნული მოძრაობის პირველი წარმომადგენლობითი ორგანო—ეროვნული ფორუმი!—ამ წარმომადგენლობით ორგანოში შეურიგებელი ოპოზიციის გაერთიანება, ერთ მუშტად შეკვრა გახლდათ ჭეშმარიტი მიზეზი 25 მარტს დანიშნული არჩევნების გადატანისა—იმპერიის უმაღლესმა ხელისუფლებამ არჩევნები გადაიტანა, რადგან დაინახა, რომ 25 მარტს არჩეული უზენაესი საბჭო ეროვნული ფორუმის პოლიტიკურ მეტოქედ ვერ გამოდგებოდა და მხოლოდ მის გაძლიერებას შეუწყობდა ხელს, თავისის სისუსტის გამო. იმპერიული ხელისუფლებისათვის საჭირო იყო ეროვნულ ფორუმში გაერთიანებული შეურიგებელი ოპოზიციის ძლიერი ფრონტის დაშლა—ამ ამოცანის შესრულება კი 25 მარტს დანიშნული ამოცანის შედეგად ფორმირებულ უზენაეს საბჭოს არ შეეძლო. სწორედ ამიტომ არჩევნები გადატანილი იქნა და ჰაერში ბაცილასავით გაჩნდა შემოდგომაზე არა მხოლოდ დემოკრატიული, არამედ მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების იდეა —ამ იდეის ავტორიც იმპერიის უზენაესი ხელისუფლება გახლავთ, მაგრამ იმპერიულმა ხელისუფლე-

ბამ ეს იდეა ისე ოსტატურად შემოგვაპარა, რომ გულუბრყვილო ქართველ პატრიოტებს დღესაც საკუთარი გონების ნაყოფად ეგონ-ნიათ და დარწმუნებულნი არიან, რომ ბრძოლით მოიპოვეს ეს იდეის განხორციელების შანსი–არსებითად კი, დემოკრატიული არჩევნების კიდევ უფრო შელამაზება, გაკეთილშობილება მრავალპარტიულობით, იმპერიულ ხელისუფლებას დასჭირდა სწორედ საქართველოში და სხვაგან არსად, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში ძლიერი და გავლენიანი ფრთა ეროვნული მოძრაობისა უზენაეს საბჭოში შესვლას მიუტევებელ პოლიტიკურ შეცდომად მიიჩნევდა–ვთქვათ, ლიტვაში საქმე სულ სხვაგვარად გახლდათ, იქ, ძლიერი და პოპულარული ძალა–„საუდისი" სწორედ უზენაეს საბჭოში შესვლას ისახავდა მიზნად, ამიტომ იმპერიულ ხელისუფლებას ლიტვაში არ დასჭირვებია ისეთი საცდუნებლის გამოყენება, როგორიც არის მრავალპარტიული არჩევნები.

იმპერიული ხელისუფლების ხერხმა გასჭრა. საქართველო მოიცვა მრავალპარტიული არჩევნების იდეამ – არ დარჩენილა არც ერთი სახელმოხვეჭილი, პოპულარული საზოგადო მოღვაწე–რომელმაც პროპაგანდა არ გაუწია ამ იდეას. იმპერიული ხელისუფლების ოსტატობამ მწვერვალს მიაღწია, მან მტრებიც კი აამუშავა იმპერიის მეორე მოდერნიზაციის გეგმის შესაბამისად. იმპერიალმა ხელისუფლებამ არა მარტო გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა, ქართველი ხალხის აზრთამპყრობელთა შეცდომაში შეყვანა და ამის შედეგად ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის ცდუნება შესძლო, არამედ თავის მთავარ მიზანსაც მიაღწია–გახლიჩა და შეასუსტა ეროვნული ფორუმი. ფორუმიდან გავიდა შეურიგებელი ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი და მრავალპარტიული არჩევნების ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტიურ პროპაგანდისტათ იქცა.

ეროვნულ ფორუმში დარჩენილი შეურიგებელი ოპოზიციის მხრიდან უზენაესი საბჭოს არჩევნების აქტიურმა ბოიკოტირებამ ყოველგვარი აზრი დაჰკარგა–ქართველი ხალხი მონუსხული იყო მრავალპარტიული არჩევნების იდეით და ზარზეიმით მიიღო კიდეც მონაწილეობა დემოკრატიულ და მრავალპარტიულ არჩევნებში 1990 წლის 28 ოქტომბერს.

განსაკუთრებული პოლიტიკური ალღო ან საიდუმლო ინფორმაცია არ სჭირდება იმის დადგენას, რომ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის

ხელისუფლებას შემუშავებული აქვს იმპერიის მეორე მოდერნიზაციის სტრატეგიული გეგმა. დღესავით ნათელია, რომ ამ გეგმის პირველი ნაწილი ითვალისწინებს დაპყრობილ ტერიტორიებზე დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და ვითომცდა სუვერენული, სინამდვილეში კი სუვერენობის, ე.ი. უზენაესობის არმქონე, „უზენაესი" ხელისუფლებების ფორმირებას, თავისი სტრატეგიული გეგმის პირველი ნაწილი იმპერიულმა ხელისუფლებამ განახორციელა უკლებლივ ყველა დაპყრობილ ქვეყანაში, რჩებოდა მხოლოდ საქართველო, მხოლოდ საქართველო არ იყო მომწყვდეული იმპერიის მეორე მოდერნიზაციის სტრატეგიულ მოდელში. 28 ოქტომბერს კი საქართველოც ამ მოდელში მოექცა –პატიოსანი, მაგრამ გულუბრყვილო პატრიოტების პოლიტიკური სიბეცით, ხელისუფლების ხელში ჩაგდების მოსურნე ავტორიტეტების აქტიურობით და მოქნილი, ვერაგული იმპერიული პოლიტიკით დეზორიენტირებულმა ქართველმა ხალხმა ლამის ხელიდან გააგდო ის ერთადერთი პოლიტიკური კოზირი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონიერს ხდის ბრძოლას 1921 წელს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. საქმე ის არის, რომ 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ისე დატოვა დაპყრობილი საქართველო, რომ დამარცხება არ აღიარა, კაპიტულაციას ხელი არ მოაწერა. აქედან გამომდინარე ემიგრაციაში წასული, ფაქტობრივად დამარცხებული დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლება იურიუდიულად, დღესაც დაუმარცხებელი, ერთადერთი კანონიერი ხელისუფლებაა, რომელსაც უფლება აქვს ითვლებოდეს ამ ტერიტორიის უზენაეს მფლობელად, მპყრობელად, რომელიც მოქცეულია ერთა ლიგის მიერ რეგისტრირებულ და დადასტურებულ საზღვრებში. დამპყრობელმა თავისი საერთაშორისო დანაშაულის, ე.ი. სხვა ქვეყნის ტერიტორიის ძალმომრეობით დაპყრობის, ანექსიის შესანიღბავად, საქართველოში მოაწყო გასაბჭოების ინსცენირება და გააბატონა მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ ეს ხელისუფლება არასოდეს არ ყოფილა აღიარებული არც რეფერენდუმის, არც დემოკრატიული არჩევნების გზით. ოფიციალური, მარიონეტული ხელისუფლება დრო და დრო კომპლექტდებოდა ფალსიფიცერებული არჩევნების წყალობით, ე.ი. ფაქტობრივად ინიშნებოდა, ხოლო ვიდრე ეს გრძელდებოდა ურყევ ფაქტად რჩებოდა

ემიგრაციაში წასული, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების იურიდიული კანონიერება. ამგვარად, იმპერიულმა ხელისუფლებამ, 1921 წლიდან დღემდე ვერ მოახერხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული კანონიერების გაბათილება—დღეს კი ქართველმა ხალხმა იურიდიულად თვითონვე დაამარცხა თავისუფალი საქართველოს ხელისუფლება, რადგან დემოკრატიული წესით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო და დიდი ენთუზიაზმით აირჩია უზენაესი საბჭო—ე. ი. 69 წლის შემდეგ ნებაყოფლობით აღიარა ის ინსტიტუტი, რომელიც დამპყრობელმა თავს მოგვახვია 1921 წელს, თავისი დანაშაულის შესანიღბავად. ეს შეცდომა, სამწუხაროდ უკვე ჩადენილია, ჩადენილია, იმის მიუხედავად, რომ შეურიგებელი ოპოზიცია უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყველა მიტინგზე, ყოველ შეკრებაზე ხმის ჩახლეჩამდე ქადაგებდა: დამპყრობლის მიერ დაწესებული ინსტიტუტის არჩევა— დამპყრობილის მიერ საბედისწერო შეცდომაა, არსებითად ისტორიული დანაშაულია, გონს მოვიდეთ, ნუ ჩავიდენთ ამ დანაშაულსო!... მაგრამ, რაც მოხდა უკვე ისტორიას ეკუთვნის, ველარ ამოვშლით მატიანედან. დღეს მაინც ნუ შევცდებით და სწორად შევაფასოთ მდგომარეობა. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, რა პოლიტიკური კაპიტალი დაგვრჩა ხელთ 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ნამდვილად გაუქმდა თუ არა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების კანონიერება, ე.ი. შეწყდა თუ არა მისი სამართლებრივი არსებობა?—საბედნიეროდ, არა! მართალია 28 ოქტომბრის არჩევნებმა სადავო გახადა ის, რაც ადრე ურყევ ფაქტს წარმოადგენდა და სადავო არ იყო. მაგრამ ეროვნულ მოძრაობას დღესაც აქვს საკმარისი არგუმენტები, რათა დაამტკიცოს შემდეგი:

1990 წლის 28 ოქტომბრამდე, საქართველოს უზენაესი საბჭო, დამპყრობლის მიერ შექმნილი, ანექსიის ფაქტის შემნიღბავი, არაკანონიერი ხელისუფლების ორგანო იყო—პოლიტიკურად ფიქტიური, უზენაესობის არმქონე, მარიონეტული. საქართველოს ტერიტორიაზე ძალმომრეობით იყო შეჩერებული თავისუფალი საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, ხოლო დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდნენ არაკანონიერი საკანონმდებლო აქტები: სსრკ კონსტიტუცია და საქართველოს კონსტიტუცია. 1990 წლის 28

ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების კანონი საბოლოოდ დაამტკიცა და აამოქმედა სსრკ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის ძალით არსებულმა, ე.ი. არაკანონიერმა უზენაესმა საბჭომ. ამ არაკანონიერმა უზენაესმა საბჭომ ჩაატარა ეს არჩევნები — არაკანონიერი უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო კანონი არაკანონიერია! არაკანონიერი უზენაესი საბჭოს მიერ არაკანონიერი საარჩევნო კანონის შესაბამისად ჩატარებული არჩევნები არაკანონიერია და ამდენად, 28 ოქტომბერს ჩატარებული არაკანონიერი არჩევნების შედეგად ფორმირებული უზენაესი საბჭოც არაკანონიერია!... ამასთან 28 ოქტომბერს არჩევნები ჩატარდა საქართველოში, ე.ი. დაპყრობილ ქვეყანაში, ხოლო დაპყრობილ ქვეყანაში ჩატარებული არჩევნების შედეგად შეუძლებელია სუვერენული, უზენაესობის მფლობელი ხელისუფლების არჩევა, რადგან დაპყრობილ ტერიტორიაზე ფაქტობრივად მოქმედებს მხოლოდ დამპყრობლის უზენაესობა. გარანტირებული საოკუპაციო ჯარების მიერ, ამიტომ, დამპყრობელს სწორედ დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნების ინსპირირება სჭირდება დაპყრობილ ტერიტორიაზე, რათა საიმედოდ შენიღბოს ქვეყნის დაპყრობის ფაქტი და ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკური ფაქტიურობა—ეს ყოველივე კი უტყუარად ამტკიცებს იმას, რომ დაპყრობილ ტერიტორიაზე ოფიციალური ხელისუფლების არჩევა დამპყრობლის ინტერესების შესაბამისად ჩატარებული პოლიტიკური აქციაა და არსებითად დამპყრობლის შეიარაღებული ძალების მიერ დაწყებული და წარმატებით განხორციელებული აგრესიის სახეცვლილ გაგრძელებას წარმოადგენს—ვინაიდან, 1990 წლის 28 ოქტომბრამდე საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება ძალმომრეობით დამკვიდრებული, ე.ი. არაკანონიერი ხელისუფლება იყო და 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული ოფიციალური ხელისუფლებაც არაკანონიერია, რადგან დამპყრობლის ინტერესების შესაბამისად ჩატარებული არჩევნების შედეგად ჩამოყალიბდა—საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების კანონიერება გაუბათილებელი რჩება და 1991 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მოქმედება შეაჩერა დამპყრობელმა, ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ და საქართველოს კანონიერი ხელისუფლების თანხმობის გარეშე, დღესაც ინარჩუნებს იურიდიულ ძალმოსილებას.

1917 წელს ბოლშევიკური პუტჩის შედეგად განხორციელდა

რუსეთის იმპერიის პირველი მოდერნიზაცია, რამაც იმპერია ხელახლმწიფოდ აქცია, მაგრამ, ერთის მხრივ აგრესიულმა ბუნებამ, ხოლო მეორეს მხრივ, კარჩაკეტილობამ და ტოტალიტარულმა რეჟიმმა, იმპერია მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა—საჭირო გახდა იმპერიის ხელმეორე მოდერნიზება—სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს ამჟამად. როგორ შეიძლება იმპერიის შენარჩუნება?—იმპერიის გარდაქმნით ცივილიზებული კაცობრიობისათვის მისაღებ კონგლომერატად, ე.ი. ძალმომრეობით დამყარებული კავშირის გადაკეთებით ნებაყოფლობით კავშირად. ამის მიღწევა კი შეუძლებელია, თუ დაპყრობილ ქვეყნებში დემოკრატიული წესით არჩეული ოფიციალური ხელისუფლებები არ შეიქმნა, მაგრამ იმისთვის, რომ ეს ოფიციალური ხელისუფლებები საკმარისი ავტორიტეტით იქნან აღჭურვილნი, აუცილებელია ამ ხელისუფლებებში დაპყრობილი ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალების შესვლა—ეს პროცესი საბჭოთა კავშირში დასრულდა 28 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევით. ამგვარად, იმპერიულმა ხელისუფლებამ წარმატებით განახორციელა იმპერიის მეორე მოდერნიზაციის სტრატეგიული გეგმის პირველი ნაწილი. ცხადია, მეორე ნაწილი ამ გეგმისა, ითვალისწინებს ახალი ტიპის ურთიერთობის დამყარებას ყოველ დაპყრობილ ქვეყანასთან დამპყრობლის მხრიდან. იმპერიულმა ხელისუფლებამ მოახერხა იმის დემონსტრირება, რომ ეროვნული ძალები დაპყრობილი ქვეყნების ხელისუფლებებში ბრძოლით შევიდნენ. ახლა, გათამაშდება პოლიტიკური ფარსის მეორე აქტი—ეროვნული ხელისუფლებები არ მოაწერენ ხელს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რომელიც გამოქვეყნდა. იმპერიის ხელმძღვანელობამ იცის, რომ ეს ასეც მოხდება—ადრე თუ გვიან უკან დაიხევს და კაბალურ სამოკავშირეო ხელშეკრულების ამ პროექტს უკან წაიღებს, რათა გზა გაეხსნას სხვა დოკუმენტს, შედგენილს იმპერიის მიერ მოდერნიზაციის შესაბამისად. შესაძლებელია თვით იდეაც ტრადიციული სამოკავშირეო ხელშეკრულებისა უარყოფილ იქნას და ახალი კავშირის, ანუ არსებითად, იგივე იმპერიის იურიდიული არსებობა სულ სხვა ტიპის, საიმედოდ შენიღბული აქტის მეოხებით დადასტურდეს. არც ის არის გამორიცხული, რომ ფალსიფიცირებული ბრძოლის პროცესში ეგრეთწოდებული ცენტრის გაუქმების საკითხიც დადგეს, რადგან იმპერიის ხელისუფლებამ უკვე მიაღწია იმას, რომ იმპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიული პოლიტიკის ერთადერთ გამტარებლად, თვით იმპერიის სიმ-
ბოლოდ, ცენტრია მიჩნეული, ხოლო ეგრეთწოდებულმა სუვერენულმა
რუსეთმა, არა მარტო თავისი, არამედ სხვათა თავისუფლებისათვის
მებრძოლი ქვეყნის რეპუტაცია მოიპოვა—ამ დროს, იმპერია სწორედ
რუსეთი გახლავთ და რუსეთთან დადებული ხელშეკრულება იგივეა,
რაც იმპერიასთან ურთიერთობის გაგრძელება, მის შემადგენლობაში
დარჩენა ფაქტობრივად—საოცარია, რესპუბლიკური ხელისუფლებები,
რომლებიც ირწმუნებიან, რომ დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან,
ისეთი ნიშნისმოგებით აწერენ ხელს ერთმანეთთან და რუსეთთან
პოლიტიკურეკონომიკური კავშირის განმამტკიცებელ დოკუმენტებს,
თითქოს ეს ყოველივე იმპერიული ხელისუფლების ინტერესებს ეწი-
ნააღმდეგებოდეს. სინამდვილეში კი, ნებსით თუ უნებლიეთ, დაპყრო-
ბილი ქვეყნებისა და დამპყრობლის —რუსეთის—შემდგომ ინტეგრირე-
ბას, ე.ი. იმპერიის შენარჩუნებას, მის მეორე მოდერნიზაციას უწყობენ
ხელს.

როგორ შეიძლება თავი დავაღწიოთ იმპერიას?—უპირველეს ყოვ-
ლისა, უნდა ვაღიაროთ, რომ შევცდით და იმპერიის ხელმძღვანელო-
ბის მიერ შემუშავებული გეგმის მოქმედების სფეროში მოვხვდით, ამ
სფეროდან თავის დაღწევა კი ადვილი არ არის. სიმართლე, სიმართლე
და მხოლოდ სიმართლე—სხვა არაფერი უშველის ჩვენს დაპყრობილ
სამშობლოს. როგორ, ან რატომ გახდა ჩვენი ქომაგი საერთაშორისო
სამართალი, თუ ჩვენ თავს მოვიტყუებთ სხვასაც მოვატყუებთ და იუ-
რიდიულად სწორად არ განვსაზღვრავთ ჩვენს რეალურ პოლიტიკურ
სტატუსს, მდგომარეობას. ჩვენი მდგომარეობა კი ასეთია:

1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო საქართველო, ძალ-
მომრეობით გაასაბჭოვა და მმართველად დაუნიშნა მარიონეტული
საბჭოთა ხელისუფლება. ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა საბჭოთა
ხელისუფლებას, ავჯანყდა 1922 წელს, 1924 წელს, შემდეგ იმპე-
რიამ დაიწყო რეპრესიების უწყვეტი სერიების განხორციელება, რა-
მაც შეუძლებელი გახადა მასობრივი გამოსვლების მომზადება დამპყ-
რობლის წინააღმდეგ, მაგრამ ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას
მრავალი პოლიტიკური ჯგუფი და ცალკეული პიროვნება შეეწირა,
ხოლო როცა ტოტალიტარული რეჟიმი ოდნავ შერბილდა, ისე აზ-
ვირთდა ქართული ეროვნული მოძრაობა, რომ 1989 წლის 9 აპრილს
კვლავ აგრესიის განხორციელება, ძალის გამოყენება დასჭირდა იმპე-

რიას 1921 წელს ანექსირებული საქართველოს შესანარჩუნებლად—ეს ყოველივე უტყუარად ადასტურებს იმას, რომ საქართველო, უცხო ქვეყნის ძალები მიერ ოკუპირებული, პერმანენტული აგრესიის ქვეშ მყოფი, ანექსირებული ქვეყანაა. საქართველოს მარიონეტული, უზენაესობის არმქონე ხელისუფლებას არ შეეძლო და არც ამჟამად შეუძლია დამოუკიდებლად იმოქმედოს არც საგარეო პოლიტიკის, არც საშინაო პოლიტიკის და არც ეკონომიკის სფეროში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო არის წმინდა წყლის კოლონია, ე.ი. სუსტი და ჩამორჩენილი ქვეყანა, დაპყრობილი პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო ძლიერი სახელმწიფოს მიერ. ამგვარად, საქართველო არის უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებული, პერმანენტული აგრესიის ქვეშ მყოფი, ანექსირებული, კოლონიური ქვეყანა. როცა იურიდიულად გავაფორმებთ ამ ფაქტს, მაშინ რეალური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა პოლიტიკურ სტატუსად იქცევა და ჭეშმარიტებას, დოკუმენტად ქცეულს, იმპერია ვეღარაფრით ვერ შენიღბავს. ამას მოჰყვება, ერთის მხრივ, ხანგრძლივი და სახიფათო ჭიდილი დამპყრობელთან, ხოლო მეორეს მხრივ, თავისუფალი სამყაროს გაჭიანურებული ჭოჭმანი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, საქართველოს დეოკუპაციისა და დეკოლონიზაციის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსჯელობის საგანი გახდება. მხოლოდ ამ წესით შეიძლება დასაბამი მიეცეს საქართველოს ჭეშმარიტი განთავისუფლების საქმეს. სხვა პოლიტიკური მეთოდი, დაპყრობილი ქვეყნისათვის გამოსადეგი და წარმატების მომტანი ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თანამედროვე კაცობრიობამ არ იცის და ვერც ჩვენ გამოვიგონებთ, როგორც არ უნდა ვეცადოთ.

ფაქტია, რომ იმპერიული ხელისუფლების იურისდიქცია საგრძნობლად შესუსტდა საქართველოში, განსაკუთრებით იმ ზნეობრივი და პოლიტიკური გამარჯვების შემდეგ, რომელიც მოიპოვა ქართველმა ხალხმა 1989 წლის 9 აპრილს—საქართველო დაუმორჩილებლობის სტადიაში შესული საბჭოური კოლონიაა.

ამგვარად, 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭოს ეროვნული მოვალეობაა საქართველოს მიანიჭოს მისი რეალური პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისი სტატუსი. დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიაზე დემოკრატიული და მრავალპარტიული წესით არჩევნების ჩატარების პრეცედენტი არ ცვლის საქართველოს რეალურ

მდგომარეობას – პირიქით, აუარესებს კიდეც, რადგან ეს პრეცედენტი იმპერიის დღევანდელმა ხელისუფლებამ დაუშვა მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ უფრო საიმედოდ შენილბოს ჩვენი დაპყრობის ფაქტი, ანუ სამართლებრივად დაგვიპყროს, ე.ი. დაგვიპყროს უფრო ოსტატურად, ვიდრე ეს მოახერხა 1921 წელს რუსეთის ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ. უზენაესმა საბჭომ საქართველო უნდა გამოაცხადოს დაუმორჩილებლობის სტადიაში შესულ უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალების მიერ ოკუპირებულ, პერმანენტული აგრესიის ქვეშ მყოფ, ანაქსირებულ კოლონიურ ქვეყანად, უნდა დაუყოვნებლივ გააუქმოს საქართველოს უზენაესი საბჭო, როგორც დამპყრობლის მიერ ანექსიის ფაქტის შესანილბად შექმნილი ფაქტიური პოლიტიკური ინსტიტუტი და საკუთარ თავს დააკისროს დაუმორჩილებლობის სტადიაში შესული კოლონიური ქვეყნის თვითმმართველობის დროებითი ორგანოს ფუნქცია. ჭეშმარიტი უზენაესი ხელისუფლება შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ მაშინ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს დეოკუპაციისა და დეკოლონიზაციის შესახებ, როცა საერთაშორისო სამართლის მიერ გარანტირებული იქნება საქართველოს ტერიტორიის ხელშეუხებლობა და დღემდე იურიდიული ძალმოსილების მქონე, მაგრამ დამპყრობლის მიერ ძალმომრეობით შეჩერებული სახელმწიფო კანონის, ე.ი. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კონსტიტუციის საფუძველზე, ჩატარდება საქართველოს წარმომადგენლობითი ორგანოს–ეროვნული პარლამენტის არჩევნები.

იმისათვის, რომ საერთაშორისო სამართალმა თავისი წმიდათაწმიდა მოვალეობა აღასრულოს და საქართველოს დეოკუპაციისა და დეკოლონიზაციის საკითხი მსჯელობის საგნად აქციოს, საკმარისი არ არის ჩვენი რეალური მდგომარეობის იურიდიული გაფორმება, ე.ი. საქართველოსათვის კოლონიური სტატუსის მინიჭება. ამ პოლიტიკურ აქტს უნდა მოჰყვეს ქართველი ხალხის მიერ განხორციელებული ეროვნული დაუმორჩილებლობის პერმანენტული პროცესი. საერთაშორისო სამართალი ჩვენ დაგვიცავს მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდება, რომ თავისუფლების გარეშე ჩვენ სიცოცხლე არ გვინდა, როცა დაინახავს, რომ ქართველი ერი, როგორც ისტორიის სუბიექტი, თავისუფლებისათვის ბრძოლამ შესაძლოა იმსხვერპლოს. ხოლოდ ასეთ შემთხვევაში ამოქმედდება საერთაშორისო სამართალი ჩვენს სასარგე-

ბლოდ–ეს მკაცრი რეალობაა და ქართველმა ხალხმა უნდა შესძლოს ამ ულმობელი ჭეშმარიტებისათვის თვალის გასწორება.

საქართველოს ეროვნული კონგრესი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსული, შეურიგებელი ოპოზიციის განუყოფელი ნაწილი, "მრგვალ მაგიდად" წოდებული პოლიტიკური ალიანსი, არ აპირებს საქართველოს რეალური პოლიტიკური მდგომარეობის იურიდიული გაფორმების საკითხის დაყენებას საქართველოს უზენაეს საბჭოში, არც უზენაესი საბჭოს, როგორც იმპერიული სტრუქტურის, ანუ ანექსიის ფაქტის შემნილბავი ინსტიტუტის გაუქმების საკითხი შეაქვს უზენაესი საბჭოს დღის წესრიგში და საბჭოური სისტემას ლიკვიდაციას კი არ ცდილობს, არამედ, ჯერჯერობით, მხოლოდ კადრების შეცვლით კმაყოფილდება–ეს არა თუ გააუჯობესებს ქვეყნის მდგომარეობას, არამედ გააუარესებს კიდეც. საქართველოს ეროვნული კონგრესი შეშფოთებულია იმის გამოც რომ, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ახლადფეხადგმული დემოკრატიზაციის პროცესი ჩვენი საზოგადოებისა კი არ ძლიერდება, არამედ საგრძნობლად იზღუდება–პრესისა და ტელევიზიის მუშაკებმა ელვის სისწრაფით გადაიტანეს ქვეშევრდომული მზერა კომუნისტური პარტიისაგან მრგვალი მაგიდისაკენ და ამ ანტიდემოკრატიულ მანევრს დაუფარავი სიამაყით ახორციელებენ–სულ ათიოდ დღეში გაჩნდა ახალი ისტებლიშმენტი, პრივილეგირებულთა ჯგუფები, რომელთა შევსებაც სარეკორდო ტემპებით მიმდინარეობს.

საქართველოს უზენაესი საბჭო ამჟამად კანონიერია მხოლოდ იმპერიული კანონმდებლობის თანახმად, მაგრამ კანონიერი გახდება ზნეობრივი, ისტორიული და სამართლებრივი თვალსაზრისით, თუ საქართველოს რეალურ პოლიტიკურ მდგომარეობას იურიდიულად გააფორმებს, უარს იტყვის ფიქტიურ უზენაესობაზე, რადგან საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია იმპერიის შეიარაღებული ძალების მიერ და საკუთარ თავს უწოდებს იმას, რაც უნდა იყოს ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური მრწამსის თანახმად:

დაუმორჩილებლობის სტადიაში შესული კოლონიური ქვეყნის თვითმმართველობის დროებითი ორგანო, არჩეული თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის მიერ! საქართველოს უზენაეს საბჭოს ამ პოლიტიკური აქტის განხორციელება გაუჭირვებლად შეუძლია,

რადგან დეპუტატთა კორპუსის უმრავლესობა გუშინ და გუშინწინ ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას, კერძოდ მის რადიკალურ ნაწილს— შეურიგებელ ოპოზიციას—აკუთვნებდა თავს და თუ მათ დღესაც აქვთ პრეტენზია იმისა, რომ შეურიგებელი ოპოზიციის წევრებად ითვლებოდნენ, მოვალენი არიან ერთგულნი დარჩნენ შეურიგებელი ოპოზიციის პოლიტიკური მრწამსისა!...

1990 წლის 30 ნოემბერი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
11 დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * *

საქართველოს ეროვნული კონგრესის დადგენილება №1

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ეროვნული კონგრესის II სესიაზე წარმოდგენილი პროექტი საქართველოს ეროვნული კონგრესის საქმიანობის უმთავრესი პრინციპების, სტრუქტურებისა და მუშაობის წესების შესახებ.

2. მოცემული დოკუმენტი საფუძვლად დაედოს საქართველოს ეროვნული კონგრესის საქმიანობას მისი უფლებამოსილების პერიოდში.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
11 დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული კონგრესის დადგენილება №2

1. დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით;

ი. ბათიაშვილი, გ. გოგბაიძე, გ. კობახიძე, რ. მიქაბერიძე, ვ. მთავრიშვილი, გ. ჟორჟოლინი, ი. სარიშვილი, თ. სუმბათაშვილი, თემ. ფიფია, ი. ქადაგიშვილი, თ. შარმანაშვილი, თ. ჩხეიძე, ი. წერეთელი, გ. ხაინდრავა, ვ. ხუხუნაშვილი, ნ. ჭავჭავაძე, გ. ჭანტურია.

2. საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმი შეუდგეს თავისი მოვალეობების შესრულებას.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 11 დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * *

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდენტრის განცხადება

ა.წ. 3 დეკემბერს საქართველოს ტელევიზიით გადაიცა ეროვნული კონგრესის წარმომადგენლების თ. სუმბათაშვილის, ი. წერეთლისა და რ. მიქაბერიძის გამოსვლები კონგრესის სესიაზე, სადაც ხსენებულმა პირებმა რიგი ბრალდებები და ულტიმატუმები წაუყენეს ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოს და მის თავმჯდომარეს. კერძოდ ითქვა, რომ ქართველმა ერმა ჩაიდინა დანაშაული იმით, რომ ოკუპაციის პირობებში აირჩია უზენაესი საბჭო, რომ ეს საბჭო არ არის უზენაესი და სხვა ძალას ემორჩილება, რომ არც ერთ სესიაზე არ ხსენებულა საქართველოს ოკუპაცია და კერძოდ საოკუპაციო ჯარების საქართველოდან გაყვანის პრობლემა, რომ საქართველო არ გამოუცხადებიათ ანექსირებულ ქვეყნად, რომ თავმჯდომარის გამოსვლაში არაფერია ნათქვამი საოკუპაციო ჯარების გაყვანაზე და რომ ახალი უზენაესი საბჭო ლამის მოკავშირეა ოკუპანტებისა. ამასთან ეს პირები ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდნენ უზენაესი საბჭოსაგან საქართველოს კოლონიური სტატუსის მინიჭებას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეს-

ცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს შემდეგი: ხსენებული პირების განცხადებები არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს სესიებზე განხილულ და დამტკიცებულ დოკუმენტებში, გამომსვლელთა სიტყვებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველო ოკუპირებული, ანექსირებული ქვეყანაა და რომ საჭიროა საერთაშორისო სამართლის დონეზე დაყენება საკითხისა საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ. უწინარეს ყოვლისა ეს ყოველივე აღნიშნულია საქართველოს კონსტიტუციის შესწორებებში, სახელდობრ ახალ პრეამბულაში, სადაც ვკითხულობთ: **„1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია"** (იხ. გაზეთი „ახალი საქართველო", 15 ნოემბერი, 1990 წელი), ასე, რომ როგორც ვხედავთ საქართველოს ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყნის სტატუს აძლევს თვით შესწორებული კონსტიტუცია. რაც შეეხება საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის საკითხს, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბნ ზვიად გამსახურდიას გამოსვლაში არა მარტო დაყენებულია ეს საკითხი, არამედ ნაჩვენებია, თუ რა გზით უნდა განხორციელდეს ეს ყოველივე, კერძოდ, თავმჯდომარის გამოსვლაში ნათქვამია: „ეროვნული ხელისუფლება იმის გამო ავირჩიეთ, რათა ჩვენს ქვეყანაში დაიწყოს ანექსიის შედეგების ლიკვიდაცია და აღდგეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა. სხვა საკითხია საქართველოს ცნობა ოკუპირებულ ქვეყნად, "**საბჭოთა ჯარისთვის უცხო ქვეყნის სტატუსის მიცემა და საერთაშორისო სამართლის დონეზე საქართველოდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანის საკითხის დაყენება, რისთვისაც აუცილებელი იქნება მოლაპარაკების დაწყება ცენტრთან და დასავლეთის ქვეყნებთან**" (იხ. გაზეთი „ახალი საქართველო", 1990 წლის 16 ნოემბერი). ასე რომ, მტკიცება იმისა, თითქოს თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში არ ახსენა საოკუპაციო ჯარი და არ დააყენა მისი გაყვანის საკითხი, მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა.

ზემოხსენებულმა პირებმა ბრალი დასდეს უზენაეს საბჭოს, თითქოს მან არ გააუქმა საბჭოთა სტრუქტურები და კადრების შეცვლა დაიწყო. ამ ბრალდების აბსურდულობას, პირველ რიგში ცხადყოფს ის, რომ საქართველოში ახალმა ხელისუფლებამ უკვე გააუქმა პარ-

ტოკრატიის ცენტრი, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, როგორც მმართველობის ორგანო, კომპარტია აღარ არის მმართველი პარტია და დღითი დღე მცირდება მისი ზეგავლენის სფეროები. ამავე დროს გაუქმდა ძველი ე.წ. უზენაესი ერთპარტიული საბჭოს დანიშვნითი სტრუქტურა. რაც შეეხება ხელისუფლების უზენაესობას, ეს გამოიხატება იმით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დღეს საბჭოთა კონსტიტუცია აღარ მოქმედებს, ვინაიდან მიღებული სპეციალური დადგენილებები საბჭოთა კანონების მოქმედების შეჩერების შესახებ და შესწორებებიც შეტანილი კონსტიტუციაში. შინაგან საქმეთა სამინისტრო და სუკი პრაქტიკულად გამოეყო მოსკოვის დაქვემდებარებას, რამაც ცენტრის უმწვავესი რეაქცია გამოიწვია. რაც შეეხება კომპარტიის სტრუქტურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაუქმებას რაიონებში, ამას სჭირდება მუნიციპალური არჩევნების ჩატარება, მიწის შესახებ კანონის მიღება, მოქალაქეობის სტატუსის შემოღება და სხვა ღონისძიებები, რასაც სჭირდება გარკვეული დრო.

კონგრესის მესვეურთა მტკიცებით ჩვენ არა გვაქვს უფლება საქართველოს რესპუბლიკად გამოცხადებისა. ამით ისინი ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავს, ვინაიდან არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ აგრესიის, ოკუპაციისა ანექსიის მიუხედავად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას იურიდიულად არსებობა არ შეუწყვეტია, იგი დღესაც არსებობს, მით უმეტეს, რომ მის კანონიერ მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია. რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა იყოს დღეს მემკვიდრე ამ მთავრობისა, რომელიც დღეს ფიზიკურად აღარ არსებობს, ვგონებ დაგვეთანხმებიან, რომ ასეთი პრეტენზია ვერ ექნებათ იმ მთავრობის წარმომადგენელთა მხოლოდ პარტიულ კოლეგებს, ან სისხლით ნათესავებს. მათი მემკვიდრე შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც აირჩია ქართველმა ხალხმა დღეს, რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ ოკუპაციის პირობებში არჩევნების ჩატარება დანაშაულია, რომელიც ქართველმა ხალხმა ჩაიდინა უმეცრებით, მაშინ ასეთ „უმეცრებად" და „დამნაშავეებად" უნდა გამოვაცხადოთ აგრეთვე ჩეხეთისა და სლოვაკეთის, უნგრეთის, გერმანიის, პოლონეთის, ლიტვის ხალხები. ასე რომ, ამგვარი განცხადების ავტორებს თავად ღალატობთ ცოდნა არა მარტო საერთაშორისო სამართლისა, არამედ უახლესი ისტორიისაც.

რაც შეეხება ხსენებულ პირთა განცხადებას კოლონიური სტატუსის შესახებ, აქაც ცნებათა აღრევასთან გვაქვს საქმე. როდესაც კოლონია აცხადებს ეროვნულ და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას, და მიაღწევს ეროვნული ხელისუფლების არჩევას და ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბებას, იგი უკვე აღარ არის კოლონია, არამედ დომინიონი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ინდოეთში. ასე რომ, საქართველოს დღევანდელი სტატუსი შეიძლება უფრო დომინიონს შევადაროთ, ვიდრე კოლონიას. არჩევნები იყო უდიდესი აქტი ე.წ. ცენტრისადმი ეროვნული დაუმორჩილებლობისა, დაუმორჩილებლობა დღესაც გრძელდება, რაზედაც მოწმობს ჩვენი ყოველდღიური ურთიერთობა ცენტრთან და ამაზე თვალის დახუჭვა ძალუძთ მხოლოდ ავისმჩხრეკელებს. მთელი ერი ძალისხმევაზეა დამოკიდებული გარდამავალ პერიოდში სოციალისტური სისტემის სრული დემონტაჟი, ეროვნული საბანკო და სავალუტო სისტემას შექმნა, თვითმყოფადი ეროვნული ეკონომიკის აშენება, ეროვნული არმიის შექმნა, საერთაშორისო სამართლის ჩარევით საოკუპაციო ჯარების გაყვანის მიღწევა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სრული აღდგენა.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
11 დეკემბერი, 1990.

* * * * * * * * * * * * *

სამოქალაქო ომი თუ მშვიდობა?

ჯაბა იოსელიანი:

ეროვნული გვარდია ეს არის ნამდვილი ბლეფი. არავითარი გვარდია საქართველოში არ არსებობს. ეს არის იგივე მოსკოვის შინაგანი ჯარების გაძლიერების პროცესი, რომელიც ემორჩილება მოსკოვს, მხოლოდ მას ახლა ექნება ეროვნული გვარდიის აბრა. გვარდია—ეს არის პრივილეგირებული ჯარი და როცა შენი ჯარი არა გყავს, არც გვარდია უნდა გყავდეს. როცა ეს არის რომელიმე პარტიის ჯარი, ეს არის ნამდვილი მაფია. მე ამას ვამბობდი ყოველთვის და ახლაც ვიმეორებ—ახლა ეს იქნება დაკანონებული მაფია და არავითარი გვარდია,

ან იქნება მოსკოვის მილიცია, რომელსაც ექნება ეროვნული აბრა. „მხედრიონს" დევნიდა მთავრობა, „მხედრიონს" დევნიდა მილიცია და რუსის ჯარი, ასე იყო და ახლაც ასეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ დავემორჩილებით მხოლოდ ისეთ ორგანოს, რომელიც იქნება მთელი ქართველი ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველი. პირადად ვინმეს, თუნდაც ზვიად გამსახურდიას ან სხვას, ჩვენ არ დავემორჩილებით. ჩვენ ისე დავრჩებით, როგორც შევიქმნით. ვინც ჩვენს დაშლას მოინდომებს, ვურჩევ ილუზიებს თავი დაანებოს. მართალია, სისხლი დაიღვრება, მაგრამ ყველამ იცოდეს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგის იარაღი ჩვენს ხელში გადმოვა. სხვა გამოსავალი არ არის. თუ რუსის ჯარს მოიშველიებენ, **ჩვენ ტყეში გავალთ და იქიდან ვიბრძოლებთ. ავღანელები ათი წელიწადი უმკლავდებოდნენ რუსეთს. ჩვენც ვიბრძოლებთ, რამდენ ხანსაც შევძლებთ: სამი წელი, სამი თვე, ერთი თვე ბოლოს და ბოლოს. ცალმხრივ განიარაღებაზე კი არ დავთანხმდებით. რაც იქნება–იქნება. ეს არის ჩემი სათქმელი.**

ეს გახლავთ ბატონ ჯაბა იოსელიანის სათქმელი, რომელიც ოდნავადაც არ ემთხვევა ბატონ აკაკი ასათიანის სათქმელს, აქედან გამომდინარე – არც უზენაესი საბჭოს აზრს.

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობით(იგი საქართველოს რესპუბლიკაშიც მოქმედებს!), რაიმე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და, საზოგადოდ, იარაღის უნებართვოდ ტარებაც კი, აკრძალულია. მეტიც, ეს არის სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება. აქედან გამომდინარე, თავის დროზე სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ შეიარაღებული ჯგუფების ანუ „ფორმირებების" შექმნა იყო დანაშაულის ტოლფასი ქმედება. ბატონი ასათიანი და სხვა პოლიტიკური მოღვაწეები ამ ნაბიჯს ხსნიან „ქართველი ერისათვის სასიცოცხლო აუცილებლობით". ნება გვიბოძეთ, ეჭვი შევიტანოთ ამგვარი განცხადების სისწორეში": იმ იარაღით (ავტომატი, პისტოლეტი, ხელყუმბარა), რომელიც ჩვენს პოლიტიკურ პარტიებთან არსებულ „ფორმირებებს" („მხედრიონსაც") გააჩნიათ, ერის ინტერესების დაცვა, ანუ მომხდური მტრის მოგერიებაზე ლაპარაკი გულუბრყვილობაა. სამაგიეროდ, ეს იარაღი სავსებით საკმარისია ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასასწორებლად (აღარაფერს ვამბობთ, უბრალოდ, სისხლის სამართლის დანაშაულობებზე), და იგი

დღემდე უმთავრესად სწორედ ამ მიზნით გამოიყენება.

სპეციალური დანიშნულების რაზმებში, რომლის შექმნაზეც ბატ-ძანებს ბატონი აკაკი ასათიანი, სავარაუდოა, „მრგვალი მაგიდის" მხარდამჭერი შეიარაღებული ძალების გაერთიანება. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მაგალითად, „თეთრი გიორგის" ზნეობრივი პოზიციები (ბატონი ასათიანი გამოთქმაა) ცნობილი და შემოწმებულია „მრგვალი მაგიდის" მიერ. ჩვენი აზრით, სპეცრაზმების შექმნით შეიქმნება პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ფრიად არაპოლიტიკური ხერხებით ბრძოლის საშიშროებაც.

გავიხსენოთ ერთი, ჩვენი აზრით ფრიად მნიშვნელოვანი დეტალი „დამხობილი კომუნისტური რეჟიმის" უახლოესი წარსულიდან. თავის დროზე ოფიციალური ხელისუფლება თავისი სრული უმოქმედობით აქტიურად უწყობდა ხელს იმ ჯგუფების შექმნა–შეიარაღებას, რომლის გაუქმებაზეც არის დღეს საუბარი. გთხოვთ, კარგად დაუკვირდეთ ამ მოვლენას–კომუნისტური რეჟიმი ეროვნულ მოძრაობას საკმაო წარმატებით ებრძოდა და... ებრძვის ეროვნული მოძრაობის ხელით.

„კანონით გათვალისწინებულ შეიარაღებულ ფორმირებათა გაუქმების შესახებ" დადგენილების განხორციელების შემთხვევაში „მხედრიონი", ფაქტობრივად, უფუნქციოდ რჩება, საეჭვოა, მისი წარმომადგენლები ჩარიცხონ „გვარდიაში" ან „სპეცრაზმებში". ამიტომაც, ბატონ იოსელიანის შეშფოთება შეიძლება გასაგები იყოს. გაუგებარია მხოლოდ, რას მოიგებს ერი და სამშობლო, „მხედრიონი" სისხლისმღვრელ ომს გაუმართავს ოფიციალურ ხელისუფლებას.

ალბათ, ზოგიერთი კითხვაც უნდა დაისვას: ისეთ ვითარებაში, როცა ვდგავართ ეკონომიკური კატასტროფის წინაშე, მოუწესრიგებელია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფერო, არის თუ არა გამართლებული „ეროვნული გვარდიის" და „სპეცრაზმების" შექმნა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საიდან მოვიტანოთ მათ შესანახად და შესაიარაღებლად საჭირო უზარმაზარი თანხები? და საერთოდ, ვიდრე იარაღს ავისხამდეთ, ხომ არ აჯობებდა ჩვენი გაუბედურებული ეკონომიკისათვის მიგვეხედა და მიგვეღო კანონები საკუთრების, მიწის... შესახებ?

უზენაესი საბჭო კატეგორიულად არ ცნობს ეროვნულ კონგრესს და მასში შემავალ პოლიტიკურ ორგანიზაციებს. თავის მხრივ, არც ეროვნული კონგრესი იწვის უზენაესი საბჭოს სიყვარულით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშკარად გამოხატავს თავის უპატივცემულობას. მრგვალ მაგიდასთან დავდგომა და მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყება ვერ ეფექტურად ურთიერთშეურაცხყოფა კი—რამდენიც გნებავთ.

ჩვენი მხრივ, გვინდა დიდი ბოდიშის მოხდით შევახსენოთ ბატონ დეპუტატებსა და ბატონ კონგრესმენებს, რომ ქართველ ხალხს, საქართველოს, რომელსაც ისინი წარმოადგენენ უზენაეს საბჭოსა თუ კონგრესში, სჭირდება სამოქალაქო მშვიდობა, სიმშვიდე, სჭირდება კანონი (რომელიც უნდა „კანონობდეს"). და სჭირდება პირველადი მოხმარების საქონელი (სხვათაშორის, არანაირი ცეცხლსასროლი იარაღი არ შედის პირველადი მოხმარების საქონლის ჩამონათვალში)!

გაზ: „7 დღეყოველკვირეული გაზეთი",
4 იანვარი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ქართველი ყოფილი პოლიტპატიმრების განცხადება

ჩვენ, ყოფილი პოლიტპატიმრები უაღრესად შეშფოთებულნი ვართ იმ კოლექტიური წერილებით, განცხადებებითა და მიმართვებით, რომლებიც განსხვავებული აზრის მქონეთა წინააღმდეგ მიმართული აშკარა კომპანიის სახე ატარებს და მოითხოვს ოპოზიციის რეპრესირებას.

30-იან წლებში სწორედ მსგავსი წერილები უძღოდა, ჩვეულებრივ მტრებად და შერაცხულთა ლიკვიდაციას, ამჯერად მტრებად და მოღალატეებად, დესტაბილიზაციის მოსურნეებად „მხედრიონსა" და ეროვნულ კონგრესს აცხადებენ, მათი აკრძალვისა და განადგურების მოწოდებებიც კი გაისმა.

უკვე მეშვიდე დღეა „მხედრიონი" პროფესორ ჯაბა იოსელინის მეთაურობით ამ პატრიოტული გაერთიანების წინააღმდეგ მიმართული კომპანიისადმი პროტესტს უაღრესად მშვიდობიანი ფორმით—ოპერის ბაღში შიმშილობით გამოხატავს. ასეთი აქციის მონაწილეთა დადანაშაულება დესტაბილიზაციის შექმნაში და ამ მოტივით რუსის ჯარით დამუქრება, მასიური ისტერიის გაღვივება საღი აზრისა და ზნეობის ყოველგვარ ნორმებს ეწინააღმდეგება. ამასთან, აღნიშნული აქცია

არავითარ შემთხვევაში არ უშლის ხელს ახალი ხელისუფლების ნორმალურ ფუნქციონირებას, არამედ მიზნად ისახავს ადამიანის ელემენტარული უფლებებისა და სამართლიანობის დაცვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, ყოველგვარი რეპრესიების დასასაბუთებლად ყოველთვის ხალხის სახელს იყენებდნენ, ჩვენ, კომუნისტური რეჟიმის მიერ განსხვავებული აზრისათვის სხვადასხვა დროს რეპრესირებულნი, ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართულმა საზოგადოებამ მომავალში ასეთი რამ აღარ უნდა დაუშვას.

მარიკა ბალდავაძე, ვახტანგ ძაბირაძე, ნანა კაკაბაძე, ზაქარია ლაშქარაშვილი (პარიზი), ვალენტინა ფაილოძე, ვიქტორ რცხილაძე, გელა ნიკოლაიშვილი, ტარიელ ღვინიაშვილი, ვაჟა ჟღენტი, გიორგი ჭანტურია, თამარ ჩხეიძე, ზურაბ ცინცაძე, ირაკლი წერეთელი, ლუიზა შაკიაშვილი, ბორის კაკუბავა, ლევან ბერძენიშვილი.

გაზ: "ივერია". 18 იანვარი. 1991.

* * * * * * * * * * * * *

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველივე სესიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის შონიას გამოსვლიდან მოყოლებული გაძლიერდა უხეში ცილისწამებისა და დეზინფორმაციის კამპანია პატრიოტული ორგანიზაციის „მხედრიონი" წინააღმდეგ, რაც, ფაქტიურად, ოპოზიციის მომავალი რეპრესიებისათვის საფუძვლის მომზადებას ისახავს მიზნად, ხელისუფლების წარმომადგენლები, ერთის მხრივ, საყოველთაო შემრიგებლობას და ურთიერთთანამშრომლობას ქადაგებენ, მეორეს მხრივ, კი ყალბი საზოგადოებრივი აზრის შექმნის მიზნით ამოქმედდა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მთელი სახელმწიფო მანქანა, ოფიციალური პირები და დეზინფორმაციის სხვადასხვა სამსახურები მიზანდასახულად ცდილობენ შეცდომაში შეყვანილ ადამიანებში ფსიქოზის დათესვას: მთავრობის სახლის გარშემო პერიოდულად იქმნება საალყო მდგომარეობა, დგანან ავტომატიანი მილიციელები, ხელისუფლების წარმომადგენლები საოკუპაციო ჯარის სარდლობის წინაშე თავიანთი თანამემამულეების

პროვოკაციულ დაბეზღებასაც კი არ ერიდებიან და მათ ჯარის ნაწილებზე თავდასხმებს სწამებენ. ამ დროს კი მერვე პოლკის ჯარისკაცები და მილიციის მუშაკები თავს ესხმიან „მხედრიონის" წევრებს, რაც ცემითა და შეურაცხყოფით როგორმე გამოიწვიონ მათი საპასუხო რეაქცია, უფრო მეტიც: ხელისუფლება საერთო ზნეობრივი დაცემის შედეგად მომრავლებულ მკვლელობებსა და სხვა სახის დანაშაულებებსაც კი იყენებს და ცდილობს ისინი პირდაპირ და არაპირდაპირ ხალხის ცნობიერებაში „მხედრიონთან" დააკავშიროს. საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი საგანგებო წესების შემოღებით დაემუქრა საქართველოს მოსახლეობას. ამას მოჰყვა ოფიციალური განცხადება საგანგებო წესების ინსპირატორებზე—ერის მოღალატეებზე. თუ რამდენად ყოვლისმომცველი ცნებაა „მოღალატე" და რამდენი ადამიანის რეპრესირება შეიშლება გალაღებული ხელისუფლების მიერ ასეთი იარლიყით, ეს სამწუხაროდ, ყველასათვის კარგადა ცნობილი.

იმპერიული ძალების მთელი ამ პროვოკაციული მუშაობის დაგვირგვინებას წარმოადგენდა ა.წ. 1 დეკემბერს პროგრამა „ვრემია" შემდეგ გადაცემული რესპუბლიკის პროკურორ რაზმაძის საგანგებო განცხადება, 70-იანი წლებიდან მოყოლებული დანაშაულებრივი მმართველობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ყოველგვარი კანონიერების სრული უგულებელყოფით დაუსაბუთებელი ბრალდებები წამოაყენა „მხედრიონის" და, როგორც თვითონ განაცხადა „სხვების" წინააღმდეგ, რაც განსაკუთრებით ალმაშფოთებელია, საქართველოს ხელისუფლების სახელით იგი ოპოზიციას რეპრესიებით, ხოლო მოსახლეობას საკომენდანტო საათით დაემუქრა.

იმპერიას აშკარად არ აძლევს ხელს სტაბილიზაცია და დესტაბილიზაციის მიზეზებით სამხედრო მდგომარეობის დამყარებისაკენ ისწრაფვის. სამხედრო მდგომარეობის შემოღებისათვის კი აუცილებელია დესტაბილიზაციის პროვოცირება, ან, თუ ეს არ მოხერხდა, სურთ დესტაბილიზაციის დახატვა. მხოლოდ ამ მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ადგილობრივი ხელისუფლების ზემოთაღწერილი ქმედებანი.

ასეთ ვითარებაში ცილისმწამებლური კამპანიის დონეს, რომელიც ჩამოჰგავს ბოლშევიკური მასობრივი რეპრესიების კამპანიას, საკუთარი და ერის გადარჩენის მიზნით კომენდანტის საათის შემოღების

აშკარა მცდელობების საპირისპიროდ გამოინახა პროტესტის ყველაზე მშვიდობიანი და ამ შემთხვევაში ყველაზე გამართლებული ფორმა– „მხედრიონი" ასზე მეტი წევრი პროფესორ ჯაბა იოსელიანის თანაურობით უკვე მესამე დღეა შიმშილობს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება აქციის დაწყებიდანვე მხარს უჭერს „მხედრიონს". მათდამი სოლიდარობის ნიშნად შიმშილობს ჭავჭავაძის საზოგადოების წევრიც.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება აცხადებს, რომ იგი სხვა დემოკრატიულ ძალებთან ერთად ყოველივეს იღონებს, რათა საქართველოში არ იქნეს დაშვებული რეპრესიები, დესტაბილიზაცია და სამხედრო მდგომარეობის შემოღება.

3 დეკემბერი, 1990 წელი.

პ. ს. ა.წ. 3 დეკემბერს „მხედრიონის" და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განცხადებათა საპასუხოდ ტელევიზიით გამოვიდა დეპუტატი თ. ქორიძე, მის სიტყვასთან დაკავშირებით გვსურს ყურადღება მივაპყროთ შემდეგს: ქორიძემ უარყო კომენდანტის საათის შემოღება რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან, მისი თქმით, მთავრობამ მხოლოდ გააფრთხილა ხალხი, რომ გორბაჩოვმა შეიძლება ეს გააკეთოს და ჩვენ არავინ შეგვეკითხებაო.

ჯერ ერთი: პროკურორი რაზმაძე სრულიად არაორაზროვნად ლაპარაკობდა სწორედ რესპუბლიკის მთავრობის სახელით და სწორედ მთავრობის მხრიდან კომენდანტის საათის გამოცხადებით იმუქრებოდა. თუკი რაზმაძე თვითნებურად მოქმედებდა (რაც ძნელი წარმოსადგენია), მაშინ მთავრობამ უნდა განაცხადოს ამის შესახებ.

მეორე: თუკი იმპერიის ხელმძღვანელობა საქართველოში გამოაცხადებს კომენდანტის საათს და საქართველოს მთავრობას ამას არავინ შეეკითხება, მაშინ რატომღა შეუცვალა ახალმა ხელისუფლებამ სსრს სახელი და უწოდა საქართველოს რესპუბლიკა? ქორიძემ ამ სიტყვებით თავისდაუნებურად დაადასტურა ეროვნული კონგრესის პოზიცია, რომ უზენაესი საბჭო არ არის უმაღლესი ხელისუფლება, არამედ არის დაპყრობილი ქვეყნის შეზღუდული თვითმმართველობის ორგანო, რომელსაც ბევრს არაფერს ეკითხებიან.

4 დეკემბერი, 1990 წელი.

გაზ: "ივერია", 18 იანვარი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგად მოსულმა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ აღვირახსნილი ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაკოორდინირებელი, ქართველი ერის ნების გამომხატველი არჩევითი ორგანოსსაქართველოს ეროვნული კონგრესის წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავს ანტიიმპერიული ოპოზიციის დისკრედიტაციას, დეზინფორმირებული ქართული საზოგადოების აქტიური დაპირისპირების მეშვეობით მის სრულ ნეიტრალიზაციას და ამ გზით იმპერიული სტრუქტურის შემდგომ მოდერნიზაცია დამკვიდრებას, ხელისუფლებამ ძალისმიერი ზემოქმედების უმთავრეს ობიექტად აირჩია ეროვნულ კონგრესის მხარდამჭერი არაპოლიტიკური პატრიოტული გაერთიანება „საქართველოს მხედრიონი", რომლის წინააღმდეგაც აამოქმედა წინამორბედი ხელისუფლების მიერ შეჩერებული სსრკ პრეზიდენტის საგანგებო ბრძანება. მეტი დამაჯერებლობისათვის ეს წარმოადგინა ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის აქტად და იდეოლოგიურად გაამაგრა ხელისუფლებისათვის სასურველი საზოგადოებრივი აზრის შექმნის ნაცადი კომუნისტური მეთოდის ე.წ.„მშრომელთა წერილების" მეშვეობით, რომელთაც უკანასკნელ დღეებში უხვად სთავაზობენ საქართველოს მოსახლეობას მასობრივი ინფორმაციის ოფიციალური საშუალებები. „მხედრიონის" წინააღმდეგ ჩართულია საოკუპაციო ჯარების მთელი სადამსჯელო აპარატი.

ამასთან დაკავშირებით ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი თავს მოვალედ თვლის განაცხადოს შემდეგი:

1. აფხაზეთში ეთნიკურ წინააღმდეგობათა უკიდურესად გამწვავების არაერთ შემთხვევაში „საქართველოს მხედრიონი" წარმოადგენდა პოლიტიკური სტაბილიზაციისათვის აუცილებელ, უმნიშვნელოვანეს ქმედით საშუალებად და ასეთად რჩება დღესაც.

2. საქართველოს უზენაეს საბჭოს, რომელიც ქართველი ერის პატრონობაზე აცხადებს პრეტენზიას არავითარი მორალური და სამართლებრივი უფლება არა აქვს გააკეთოს განცხადებაც კი „საქართველოს მხედრიონის" ან მსგავსი ორგანიზაციების დაშლის შესახებ, სანამ არ უზრუნველყოფს ქართველი ხალხის ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას ანტიქართული ძალებისაგან, რისთვისაც დღესდღეო-

ბით არაფერს აკეთებს, ამაზე მეტყველებს ა.წ. 27 ნოემბერს ქ. გუდაუთასთან აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა ბრბის მიერ სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქ ილია II-ის შეურაცხყოფა და თავდასხმა თანმხლებ მორწმუნეებზე, რაზედაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, რამეთუ მას გააჩნია საკმარისი საშუალებები ასეთი თავხედური პროვოკაციის აღსაკვეთად.

უფრო მეტიც, მას ამ ფაქტთან დაკავშირებით არავითარი რეაგირება არ მოუხდენია.

3. საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესების დამცველი ხელისუფლება, უწინარეს ყოვლისა იმ შეიარაღებული სეპარატისტული ბანდების ლიკვიდაციაზე უნდა ზრუნავდეს, რომელთაც კრემლი იყენებდა და უეჭველია კიდევ არაერთხელ გამოიყენებს თავისუფლებისათვის მებრძოლო ქართველი ერის წინააღმდეგ. „მხედრიონის" მიმართ გატარებული რეპრესიები მხოლოდ აგულიანებს სეპარატისტულ ძალებს და აქეზებს მათ მომავალი ანტიქართული ქმედებისათვის. ამ პროცესების განვითარებას აფხაზეთში პოლიტიკურ ფონს უქმნის საქართველოს ხელისუფალთა კიდევ ერთი წინასწარგამიზნული ღონისძიება. სეპარატისტული ძალებისა და „მრგვალი მაგიდის" ფარული გარიგების შედეგად 1990 წლის 4 დეკემბერს ქ. სოხუმში აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სსრკ უზენაესი საბჭოს წევრი, სეპარატისტული ძალების იდეოლოგი და ტრიბუნა ვლადისლავ არძინბა თავისი ანტიქართული საქმიანობით საკმაოდ ცნობილი პიროვნება იმპერიასა და მის ფარგლებს გარეთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების პოლიტიკა ბევრი არაფრით განსხვავდება წინამორბედების შევარდნაძის, პატიაშვილისა და გუმბერიძის კაბინეტების გამყიდველი მარიონეტული პოლიტიკური კურსისაგან, რომლის უმთავრესი ნიშნებია: აფხაზი ეროვნების წარმომადგენლობისადმი დაუმსახურებელი პრივილეგიების მინიჭება, დაუსჯელობა ანტიქართული ქმედებისათვის, წაყრუება ყოველგვარი ქართულის დევნა-შევიწროებისადმი და სხვა. საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება უფრო შორს წავიდა, იმავე სესიაზე ასევე ორმხრივი გარიგების შედეგად მიღებული აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონში ვკითხულობთ: მუხლი 11. "მარტოდმარტო აფხაზე-

თის ასსრ სახელმწიფო საკუთრებას, მისი ტერიტორიის ფარგლებში, წარმოადგენს მიწა, მისი წიაღისეული, წყლები, ტყეები, ბუნებრივი სიმდიდრეები....“ როგორც ვხედავთ, სახეზეა საქართველოდან აფხაზეთის ტერიტორიული გამოყოფის საბჭოურ-სამართლებრივი ფაქტი, რაც გზას უხსნის აფხაზეთის სეპარატისტულ წრეებს დამოუკიდებლად, ქართველი ერის დაუკითხავად მოაწერონ ხელი ახალ ე.წ. „სამოკავშირეო ხელშეკრულებას“, ასეთ ვითარებაში „მხედრიონისა“ და ეროვნული კონგრესის წინააღმდეგ მიმართული კამპანია სხვა არაფერია, თუ არა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვის მცდელობა, ქართველი ერის ყურადღების გადატანა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებიდან ხელოვნურად შექმნილ პრობლემებზე:

4. საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესების დამცველი ხელისუფლება უწინარეს ყოვლისა საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის უმთავრესი დასაყრდენის საბჭოთა არმიის გაძევებაზე უნდა ზრუნავდეს და არა ამ რეჟიმის გაძლიერებაზე.

ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი თანადგომასა და მხარდაჭერას უცხადებს „საქართველოს მხედრიონს“ და გადაჭრით გამოთქვამს პროტესტს საქართველოს ხელისუფლების უკანონო და პროვოკაციული ქმედების გამო.

ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი.

გაზ: “ივერია”, 18 იანვარი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ირაკლი წერეთლის შიმშილობა

8 დეკემბერს მიღწეული შეთანხმება უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის პარიტეტული კომისიის შექმნის შესახებ უზენაესი საბჭოს მიზეზით არ განხორციელდა, რის გამოც ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ, ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის წევრმა ბნა ირაკლი წერეთელმა პროტესტის ნიშნად გამოაცხადა შიმშილობა. უზენაესი საბჭოს შემდგომმა არაკონსტრუქციულმა ნაბიჯებმა, და ბოლოს ეროვნული(!) მთავრობის მიერ

ეროვნული ჰიმნით „დიდებით" მიტინგის უპრეცედენტო, სამარცხვინო ჩახშობამ ბნი ირაკლი წერეთელი დაარწმუნა უზენაეს საბჭოსთან რაიმე თანამშრომლობის შეუძლებლობაში და მან 25 დეკემბერს (ბრალდებულ დღეს) შიმშილობა შეწყვიტა.

გაზ: "ივერია", 18 იანვარი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

უპრეცედენტო, სამარცხვინო(ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და მის მხარდამჭერთა მიერ მოწყობილი მიტინგის ჩახშობა)

23 დეკემბერს მთავრობის სასახლის წინ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და მის მხარდამჭერთა მიერ მოწყობილი მიტინგის ჩასახშობად საქართველოს ეროვნულმა(!) ხელისუფლებამ დედაკაცთა ბრიგადებთან ერთად წარმატებით გამოიყენეს ეროვნული ჰიმნი, რომელიც შემაძრწუნებლად მაღალი ხმით უპაუზოდ მეორდებოდა თითქმის 40 წუთის განმავლობაში, ესაა უნიკალური და უპრეცედენტო შემთხვევა მსოფლიო ისტორიაში, ეროვნული ჰიმნი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ! აი, მოხერხებულობა და გამჭრიახობაც ამას ჰქვიან, ეს ცენტრის დიდი სტრატეგიული კურსის („ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა – ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ!") წარმატებული განხორციელების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია, აფერუმ!

გაზ: "ივერია", 18 იანვარი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება თავს მოვალედ თვლის, თანამემამულეთა ყურადღება მიაპყროს დღევანდელი პოლიტიკური მომენტის დამახასიათებელ რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას:

როგორც ცნობილია, ქართული საზოგადოება დიდი იმედით შეხვდა უზენაესი საბჭოს, კონგრესისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა ერთობლივი კომისიის შექმნას, რაც მოჰყვა პატრიოტული გაერთიანების–„მხედრიონის" მშვიდობიან საპროტესტო აქციას. კომისიის მუშაობა მიზნად ისახავდა ამ დროისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის კონკრეტული პრობლემების გადაჭრას, კონსტრუქციული დიალოგი, ფაქტიურად დაიწყო. მაგრამ, სულ რამდენიმე დღეში აღმოჩნდა, რომ კომისიის შექმნა მხოლოდ მოშიმშილეთა მოსატყუებლად გადადგმული ნაბიჯი იყო, ხელისუფლებამ ცალმხრივად განაცხადა უარი კომისიის შემდგომ მუშაობაზე. მოლაპარაკების შეწყვეტის მოტივად კი კონგრესის ზოგიერთი წევრის (მათ შორის მხოლოდ ერთი იყო კომისიის წევრი) ცალკეული გამონათქვამები იქნა დასახელებული, რაც აშკარად საბაბია, რადგანაც კომისიის არსებობის და მუშაობის პირობად განსხვავებული შეხედულებების გამოთქმაზე უარის თქმა არც ერთ მხარეს არ წამოუყენებია, უფრო მეტიც: სწორედ განსხვავებული პოზიციების გამო იყო აუცილებელი დიალოგის გზით კონკრეტული პრობლემების გადაჭრა.

კომისიის მუშაობის ცალმხრივმა ჩაშლამ ნათელი გახადა, ხელისუფლება დიალოგისაკენ კი არ ისწრაფვის, არამედ კონფრონტაციის პროვოცირებით იმედოვნებს ოპოზიციასთან ანგარიშსწორებას, თანაც ეს ხდება, მაშინ, როდესაც იგივე მთავრობამ მის მიერ მიღებულ კანონში (იხ. კანონი საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ) ოფიციალურად გაამჟღავნა რომ სადამსჯელო მისიით და პარტიების აღსაკვეთად იგი საოკუპაციო ჯარებსაც გამოიყენებს. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და რუსის ჯარის ამოქმედებისათვის კი საჭიროა რაიმე არეულობის პროვოცირება.

რადგან კომისიის მუშაობა მოვლენების მშვიდობიანი განვითარების ერთგვარ გარანტს წარმოადგენდა, დამოუკიდებლობის პარტიის თავ-

მჯდომარემ ირაკლი წერეთელმა გამოაცხადა შიმშილობა ერთობლივი კომისიის აღდგენისა და ზემოალნიშნული კანონიდან განსაკუთრებულ ანტიეროვნული და ანტიდემოკრატიული მუხლების (სარკეპაციის ჯარების გამოყენება, პარტიების აკრძალვა და სხვა) ამოღების მოთხოვნით. ირაკლი წერეთლის შიმშილობის პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან კვლავ ითქვა, რომ თანახმა არიან აღადგინონ კომისიის მუშაობა, გადაწყდა შეხვედრის მოწყობაც, რომელზეც აღდგებოდა ერთობლივი კომისია და განიხილებოდა სხვა ეროვნული საკითხებიც. ასეთ შემთხვევაში 25 დეკემბრისათვის დანიშნული მიტინგიც არ ჩატარდებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ კვლავ გატეხა პირობა და უარი თქვა შეხვედრაზე, ხოლო მთავრობის სასახლესთან გამართული მიტინგის ჩასახშობად ეროვნული ჰიმნის „დიდების" შეურაცხყოფასაც კი არ მოერიდა. ამით ამჟამინდელმა ხელისუფლებამ თავისუფალი სიტყვის ისტორიულად გამომუშავებულ მეთოდოლოგიაში ჭეშმარიტად თავისი სიტყვა თქვა.

ამას თან დაერთო ტელევიზიის თანამშრომლებთან შეხვედრაზე და უზენაესი საბჭოს 28 დეკემბრის სხდომაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მხრიდან პოლიტიკური პარტიების უხამსი ლანძღვა-გინება, მათი მონათვლა კრიმინალურ ბანდებად და გიჟებად, სხვათაშორის კომუნისტური რეჟიმი არასოდეს არ ცნობდა სხვაგვარად მოაზროვნეთა პოლოტიკურ სტატუს და მათ სწორედ და ფსიქიკურად დაავადებულებად აცხადებდა, ეს ტიპიური მოვლენაა, ტოტალიტარულმა ძალამ სახელი კი შეიცვალა, მაგრამ კომუნისტურ რეჟიმთან მისი იგივეობა სრულიად ბუნებრივად აისახა გენერალურ პროკურორად კვლავ ვახტანგ რაზმაძის დანიშვნაში, რომელიც წლების განმავლობაში ეროვნულ მოძრაობასთან მებრძოლი დანაშაულებრივი სადამსჯელო სისტემას ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფიგურა იყო.

მაგრამ ზოგ შემთხვევაში მთავრობა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მაინც იჩენს ორიგინალობას, ამის მაჩვენებელია, მაგალითად, ცნობილი კატეგორიის დედაკაცთა კონტრშიმშილობის ორგანიზება, რომელთა მოთხოვნაა–„აცალეთ მთავრობას". იგივე მოთხოვნით, მაგრამ ამჯერად სახელოვანი კომუნისტური ტრადიციების სრული დაცვით იწერება ე. წ. „მშრომელთა წერილები", რომელთა ავტორებიც ოპოზიციონერებს ხალხის მტრებად და მოღალატეებად აცხადებს. რაც შეეხება „დაცდას", „მხედრიონის" და წერეთლის აქციები სინამდვილეში უმცირეს

დესტაბილიზაციასაც კი არ უქმნიდნენ, ასე რომ, ისმის კითხვა: მაინც რას არ აცდიდნენ ისინი მთავრობას? თავისთავად დაცდა, შესაძლოა, მართლაც ღირდეს, რადგან, ვფიქრობთ, რომ სიმართლეს – ჯერ-ჯერობით განმავლობაში სულ უფრო მეტი ადამიანი დაინახავს, მაგრამ არის ზოგიერთი რამ, რასაც ჩვენ მართლაც ვერ დავაცდით მთავრობას: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წლების განმავლობაში იმიტომ როდი ებრძოდა კომუნისტურ დესპოტიას საქართველოში, რომ დღეს სახეშეცვლილი ტირანია რეპრესიებისა და საოკუპაციო ჯარის გამოყენებით გაუსწორდეს ოპოზიციას, ამის დაცდის უფლება არავის არა აქვს.

მიუხედავად დღეს არსებული უაღრესად რთული ვითარებისა, იმედი გვაქვს, რომ საქართველოში საღი აზრი გაიმარჯვებს და ქვეყნის ჭეშმარიტი სულიერი და პოლიტიკური განთავისუფლება შორეული მომავლისათვის არ გადაიდება.

30 დეკემბერი, 1990 წელი.

გაზ: "ივერია". 18 იანვარი. 1991.

* * * * * * * * * * * * *

ღია წერილი ჩემს ძველ მეგობარს ვახტანგ ბახტაძეს

ძმაო ვახტანგ!

შენ ჩემი ძველი მეგობარი ხარ, და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილ ბლოკში ხარ გაერთიანებული, ამ მეგობრობას, ცხადია არ ვივიწყებ, მაგრამ რახან ჩემთან შეხვედრას ამ ბოლო დროს თავს არიდებ (ალბათ იმიტომ, რომ ნამეტანი უჟმური და უსიამოვნო კითხვების მოცემა ვიცი!), იძულებული ვარ, წერილით მოგმართო.

საქმე ეხება ერთ საჩოთირო საკითხს.

მე და შენ რამდენიმე წლის წინ საზიაროდ (რადგან ფულზე ქესეტად ვიყავით ორივენი) შევიძინეთ იაპონური პორტატული მაგნიტოფონი, რომელსაც რიგრიგობით ვიყენებდით.

მაგრამ, ვაი, რომ ამიერიდან მას ველარც შენ გამოიყენებ და ველარც მე...

საქმე ისაა, რომ გაზეთ „ივერიაში" რამდენჯერმე დაიბეჭდა ზვიად გამსახურდიას გამოსვლები სხვადსხვა მიტინგებზე, სადაც ეროვნული ... ...

* * * * * * * * * * * * *

ინფორმაცია მხედრიონის შიმშილობის აქციის შესახებ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

"საქართველოს მხედრიონმა" საშიმშილო აქცია შეწყვიტა მას შემდეგ, რაც 8 დეკემბერს მიღწეულ იქნა შეთანხმება უზენაესი საბჭოს დეპუტატებსა და ეროვნული კონგრესის წარმომადგენლებს შორის პარიტეტული კომისიის შექმნის შესახებ.

გაზ: "ივერია", 18 იანვარი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ვლადისლავ არძინბა: აფხაზი და ქართველი ხალხები დაიღალნენ კონფლიქტებისაგან, მათ მშვიდობისა და ურთიერთპატივისცემის აღდგენა სურთ

შარშან, დეკემბერში, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ვლადისლავ არძინბა. მას ვთხოვეთ რამდენიმე შეკითხვაზე გეცა პასუხი. პირველად უარი გვითხრა ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული სიტუაციის ნორმალიზაციისათვის, აფხაზებსა და ქართველებს შორის მშვიდობისა და თანხმობის აღდგენისათვისო, მაგრამ დავარწმუნეთ, რომ საზოგადოებას აინტერესებს მისი დამოკიდებულება სხვადასხვა პრობლემისა და მოვლენისადმი.

ვლადისლავ არძინბა დაიბადა 1945 წელს სოხუმის რაიონის სოფელ ეშერაში. იქვე ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

1966 წელს ჩაირიცხა მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1988 წლამდე ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი იყო. 1971 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1985 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (თბილისში).

1988 წელს აირჩიეს დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, 1989 წელს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატია.

— უპირველეს ყოვლისა ჩვენი გაზეთის მკითხველთა სახელით გილოცავთ ამ პასუხსაგებ პოსტზე არჩევას, თანაც ერთხმად არჩევას, რაც იშვიათად ხდება ჩვენს რთულსა და წინააღმდეგობრივ დროში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მილოცვისათვის გმადლობთ, გულახდილად რომ გითხრათ, ახლა იმდენად მილოცვა არ მჭირდება, რამდენადაც გაგება და საზოგადოებრიობის ფართო ფენების მხარდაჭერა, იქნებ — თანაგრძნობაც. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტი რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ხალხების ბედისათვის უზარმაზარ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, ამას გადაუჭარბებლად ვამბობ, იმ რთული ამოცანებიდან გამომდინარე, რომელთა გადაწყვეტაც მოგვიხდება.

— აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიის სხდომა, რომელიც 4 დეკემბერს გაიმართა, რესპუბლიკის მოსახლეობისათვის მოულოდნელი იყო, თუმცა, მანამდე (ნოემბრის დამლევი—დეკემბრის დამდეგი) სოხუმში ლაპარაკობდნენ აფხაზქართველთა კონსულტაციების შესახებ სადაო, კონფლიქტური საკითხების რეგულაციის მიზნით. მაგრამ, ვერავინ ივარაუდებდა, რომ გარეგნულად ასე უბრალოდ, მსუბუქად, წყნარად წარიმართებოდა 4 დეკემბრის სესია, რომელსაც ბევრი რესპუბლიკაში მყარი მშვიდობის აღდგენის, თანხმობის ურთიერთგაგების პროცესის დასაწყისად მიიჩნევს. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ კონსულტაციებზე, ამ სესიისათვის მზადებასა და მოლაპარაკების პირველ შედეგებზე?

— გასაგებია, მკითხველს, რა თქმა უნდა, აინტერესებს ინფორმაცია პირველწყაროდან ე.ი. კონსულტაციები მონაწილისაგან.

თავიდანვე ვიტყვი, რომ ამ მოლაპარაკებთა და კონსულტაციების იდეაში არაფერია უჩვეულო, მოულოდნელი, მით უმეტეს ზებუნებრივი. ყველა სადაო საკითხი, ყველა კონფლიქტური ვითარება, სწორედ მოლაპარაკებათა მაგიდასთან უნდა მოწესრიგდეს და არა მოედნებსა და ქუჩებში.

დიალოგის იდეა დღეს და გუშინ არ წარმოშობილა. ჯერ კიდევ შარშან დაიწყო. აფხაზეთის სახალხო ფრონტის „აიდგილარას" ხელმძღვანელების კონტაქტები, შეხვედრები, საქართველოს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ლიდერებთან. საკმაოდ კარგად ვიყავი ინფორმირებული სოხუმსა და თბილისში შარშან ამ გამართულ შეხვედრების შესახებ. მაშინ, შექმნილი ვითარების გამო, ამ შეხვედრებს გარკვეული შედეგი არ

გამოულია. თუმცა, ერთი კია, ორივე მხარემ იპოვა ურთიერთშეხვედრის წერტილები, ყველასთვის საერთო პრობლემები, რომლებიც დრეულ გადაწყვეტას მოითხოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ კონსულტაციების გარკვეული შედეგიანობა, რომლებიც ჩემი მონაწილეობით გაიმართა ბოლო თვენახევარში (1990 წლიდან დღემდე), გარკვეულად იმით არის გაპირობებული, რომ აფხაზეთის მთელი მრავალეროვანი მოსახლეობა დაიღალა კონფლიქტების, უწესრიგობისა და შინაგანი დაძაბულობისაგან. ყველა ერთნაირად არის დაინტერესებული თანხმობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს აღდგენით.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის მტკიცება თითქოს ეს კონსულტაციები იმის შედეგია, რომ 1990 წლის დამლევისათვის პოლიტიკურ ასპარეზზე „სასწორი" ვინმეს სასარგებლოდ გადაიხარა, თითქოს ერთ-ერთმა მხარემ უპირატესობა მოიპოვა, რომ ვიღაც „გამოერკვა" და ა.შ. სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვა, რომა მ შეხვედრების ინიციატორები ჩვენ არ ვყოფილვართ.

4 დეკემბრის სესიამდე წინასწარ განვიხილეთ და შევთანხმდით დღის წესრიგის ყველა საკითხზე. ინტენსიური მოსამზადებელი მუშაობის შედეგად ამ სესიის მორიგი სხდომა გარეგნულად უბრალოდ და მშვიდად წარიმართა. ღმერთმა ქნას მომავალშიც (წინ ახალი შეხვედრები და კონსულტაციებია), ასევე კონსტრუქციულად გადაიჭრას ყველა რთული პრობლემა.

ნიშანდობლივია, რომ იმ დეკემბრის სესიის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთმა დეპუტატმა კოლეგებთან კერძო საუბრისას თქვა: „ადრე დეპუტატებს ვერ შეკრებდი, ახლა კი დაშლა არ უნდათ"

— არ გაგიკვირდეთ, რომ აფხაზეთში ვითარების ნორმალიზაციის საკითხზე კონსულტაციის მსვლელობისას სწორედ თქვენ მოგიწიათ ყოფილიყავით ამ მოლაპარაკებათა ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი?

— ამის თაობაზე ხშირად მეკითხებიან. თანაც, არა მხოლოდ ჟურნალისტები, ვფიქრობ, იქედან უნდა გამოვიდეთ, რომ მე აფხაზეთის უზენაესი საბჭოსა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ვარ და, ამდენად, ერთ-ერთი იმათ შორის, ვისაც მაქსიმალური ძალისხმევა მოეთხოვება რესპუბლიკაში ვითარების ნორმალიზაციის, აფხაზეთის მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

— რა სირთულეები წარმოიშვა ბოლო ორი თვის შეხვედრების მიმდინ-

არეობისას და დაძაბულია თუ არა ისინი დღეისათვის?

— სირთულე და პრობლემა მრავლად იყო, ისინი დღესაც არსებულ ვფიქრობ, იმათ შესახებ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ, რომელიც ძირითადად მაინც გადაიჭრება. სადაო საკითხების გადაწყვეტა კი მოლაპარაკებათა მაგიდასთან უნდა მოხდეს ურთიერთპატივისცემასა და კომპრომისის საფუძველზე.

— თუ შეიძლება მოკლედ გვითხარით, როგორია თქვენი, როგორც აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სამოქმედო პროგრამა?

— ყველა ჩვენგანის, საზოგადოების წინაშე ორი უმთავრესი ამოცანა დგას: აფხაზეთში ვითარების პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა; მაქსიმალური ძალისხმევა ეკონომიკური კრიზისის შედეგების შერბილებისათვის, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკა მოიცვა.

საქმისადმი სერიოზული და რაციონალური მიდგომის პირობებში აფხაზეთს ძალუძს თავისი მოსახლეობა უზრუნველყოს ყველა აუცილებელით. ამისათვის საჭიროა ეფექტიანად გამოვიყენოთ არსებული ეკონომიკური პოტენციალი, ყველა რეზერვი, რესპუბლიკის მოსახლეობის შრომისმოყვარეობა.

მინდა, აგრე აღვნიშნო, რომ დაახლოებით ბოლო ორი თვის მანძილზე საქართველოს რესპუბლიკაში მოხდა სერიოზული პოლიტიკური მოვლენები, რომლებმაც რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში არსებით ცვლილებებამდე მიგვიყვანა. მინდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას, მხედველობაში იქნეს მიღებული აფხაზეთი არსებული სპეციფიკური ვითარება. ვიმედოვნებთ, რომ მბრძანებლურადმინისტრაციული სტილი, რომელიც **დამახასიათებელი** იყო საქართველოს ადრინდელი ხელმძღვანელობისათვის, თანდათან აღმოიფხვრება ჩვენი ურთიერთობის პრაქტიკიდან.

— თქვენი აზრით, რა როლი უნდა შეასრულოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა აფხაზეთის ვითარების სტაბილიზაციის საქმეში?

— მიმაჩნია, რომ ჟურნალისტებმა არ უნდა მიმართონ უკიდურეს გამოთქმებს, რომლებსაც შეუძლიათ ვითარების გამწვავება.

ჩვენ ხომ ეს-ეს არის დავიწყეთ იმის შენება, რამაც ადამიანები უნდა დაახლოვოს, ჩვენი სახლი ჯერ კიდევ ძალიან მყიფეა.

არ მინდა რაიმე ვასწავლო თქვენს კოლეგებს, თენგიზ, არც ის მინდა, რომ უკანა რიცხვით წარვუდგინო პრეტენზიები ამა თუ იმ

გაზეთს, ჟურნალს, რადიოსა და ტელევიზიას, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ჟურნალისტებს დღეს (ეროვნული კუთვნილების მიუხედავად), როგორც არასდროს სჭირდებათ სიზუსტე, აწონილობა, კორექტულობა, კეთილმოსურნეობა და, ამავე დროს პრინციპულობა. ყველამ, ჩვენცა და ჟურნალისტებმაც, ნდობის, სიკეთისა და ურთიერთპატივისცემის თესლი უნდა ვთესოთ.

ესაუბრა თენგიზ პაჭკორია

სოხუმი. 9 აინვარი.

გაზ: „7 დღეყოველკვირეული გაზეთი",
18 იანვარი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

4 თებერვალს პოლიტგანათლების სახლში ჩატარდა საქართველოს სახალხო ფრონტის ღია სხდომა, დღის წესრიგში იყო 29-30 იანვარს საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული საკანონმდებლო აქტების განხილვა.

ბატონმა ნოდარ ნათაძემ განაცხადა, რომ მას პრეფექტის ინსტიტუტი, როგორც სახელმწიფოს „თვალი" ადგილებზე საჭიროდ მიაჩნია დღეისათვის, გარდამავალ პერიოდში, როცა ზოგიერთ რეგიონში ფაქტობრივად ხელყოფილია კანონიერება. ამავე დროს პრეფექტის ინსტიტუტი არის ქმედითი ძალა მაფიასთან საბრძოლველად. მაგრამ საჭიროა პრეფექტის უფლებამოსილების გარკვეული შეზღუდვა. კერძოდ, მას უნდა დავუტოვოთ ფუნქციები, რომელიც ითვალისწინებს მიწისა და წიაღისეულის კონტროლს, მართლწესრიგის დაცვას, ეკოლოგიური საკითხების მოგვარებას. მაგრამ საკრებულოს დათხოვნა და თანამდებობზე დანიშვნა პრეფექტის ხელისუფლებას განუსაზღვრელს და, აქედან გამომდინარე, დიქტატორულს გახდის. რა თქმა უნდა, ჩვენ გვჭირდება ძალა, მაგრამ გვჭირდება დემოკრატიის ძალა.

საქართველოში ეროვნული გვარდიის შექმნას ორატორმა დროული და საჭირო უწოდა. ამავე დროს აღნიშნა ის გარემოებაც, იგი

არ უნდა იქნას გამოყენებული შინაგანი უთანხმოების დროს. ეროვნული გვარდია უნდა მოქმედებდეს ისეთ სიტუაციაში, როცა საფრთხე ემუქრება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება რეფერენდუმის ჩატარებას საქართველოს ტერიტორიაზე სსრკში ჩვენი ყოფნა-არყოფნის თაობაზე, ბნმა ნოდარ ნათაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხებზე ხალხის ნება გამოხატულია და რეფერენდუმი არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

პრეფექტის ფუნქციების სამართლებრივ მხარეზე ვრცლად ისაუბრა პროფ. თენგიზ ლილუაშვილმა. მან პრეფექტის მიერ საკრებულოს დათხოვნის უფლება შეადარა მინისტრთა საბჭოს მიერ პარლამენტის დათხოვნას და აღნიშნა, რომ ამით აღმასრულებელი ხელისუფლება საკანონმდებლოზე მაღლა დგება. მისი აზრით საკრებულოს ფუნქცია თუ არ გაიზარდა, საერთოდ აზრს დაკარგავს არჩევნებში მონაწილეობა.

გალის რეგიონალური სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ავთანდილ ჯეჯეიამ სხდომის მონაწილეთ მოუწოდა, სახალხო ფრონტი შესულიყო საკანონმდებლო ინიციატივით უმაღლეს საბჭოში პრეფექტის უფლებემოსილების შეზღუდვის თაობაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ნოდარ ლომინაძემ, რევაზ თოდრიამ, გივი ყურაშვილმა, თენგიზ კიკაჩეიშვილმა, თამაზ შილაკაძემ, ჯემალ ჯიქიამ.

დასასრულ სხდომამ მიიღო რამდენიმე დადგენილება:

სახალხო ფრონტი იხსნის პასუხისმგებლობას იმ წევრებზე, რომლებიც ფრაქციულად გამოეყვნენ მას.

სახალხო ფრონტის დეპუტატები ვალდებული არიან შეიკრიბონ ყოველი სესიის წინ და შეიმუშაონ სამოქმედო გეგმა.

გაზ: "საქართველო", 9 თებერვალი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს უზენაესმა საბჭომ და-იღო კანონი „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ" საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზს საჭიროდ მი-აჩნია განაცხადოს შემდეგი:

დემოკრატია, რომელის ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილი ადგი-ლობრივი თვითმმართველობაა – ქვეყნისათვის ძალის წყაროა. და არა სისუსტისა. ამდენად, საქართველოსათვის არ არსებობს არჩევანი ეროვნული ინტერესების დაცვისა და დემოკრატიის განვითარების ამოცანას შორის. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრ-ძოლის მთელი ტრადიცია, ილია ჭავჭავაძისაგან მოყოლებული და უფრო ადრეც, დემოკრატიულია. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგების „ძმობის, ერთობის, (ანუ თანასწორობის) და თავისუ-ფლების" აღიარება ქართველ თერგდალეულთა ბრძოლის ერთ-ერთი უპირველესი საფუძველი იყო. თქმულიდან, და აგრეთვე ჰუმანიზმის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სსფის დარბაზს აუცილებლად მიაჩნია საქართველოში დემოკრატიის განუხრელი დაცვა. როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე მართვის ნებისმიერ დონეზე.

მეორეს მხრივ, სსფს სავსებით აქვს შეგნებული, რომ საქართ-ველოს სახელმწიფოს ისევე, როგორც ყველა სახელმწიფოს, საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები აქვს. ამ ინტერესთა დასაცავად დღეს საქართველოს რაიონებში, საქართველოს სახალხო ფრონტის აზრით, საჭირო კონტროლი სახელმწიფოს მიერ დანიშნული და სათანადო უფლებებით აღჭურვილი პირის სახით. ამიტომ, საქართველოს სახ-ალხო ფრონტი მხარს უჭერს საქართველოში ყველგან, გარდა დიდი ქალაქებისა, პრეფექტის ინსტიტუტის შემოღებისა. ოღონდ, მოითხოვს დემოკრატიის ინტერესებიდან გამომდინარე მოხდეს, ერთის მხრივ, პრეფექტის, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებათა რაციონალური და მკაფიოდ ფორ-მულირებული გამიჯვნა. სახელდობრ, პრეფექტს უნდა ეკისრებოდეს მხოლოდ მიწათსარგებლობის, წიაღისეული და სხვა ბუნებრივი სიმ-დიდრით სარგებლობის, ეკოლოგიური სამსახურის, წესრიგის დაცვი-სა და გზათა სამსახურის კონტროლი და წარმართვა. ყველა სხვა მმართველობითი ფუნქცია ან უშუალოდ საქართველოს მთავრობის, ან

ადგილობრივი არჩევითი ორგანოების ხელში უნდა იყოს.

პრეფექტის ფუნქციებისა და უფლებების ის ფორმულირება, რაც მოცემულია მიღებულ კანონში, სსფის დარბაზი მიიჩნევს დემოკრატიის უხეშ დარღვევად და აცხადებს პროტესტს, რადგან მოცემული სახით კანონი ობიექტურ საფუძველს იძლევა საქართველოში დიქტატურის დამყარებისათვის. რაც დღეს დემოკრატიული წესით არჩეული უზენაესი ორგანოს არსებობის პირობებში იმდენადვე მავნე იქნება ჩვენი სახელმწიფო ინტერესებისათვის, რამდენადაც კომიკური.

დარბაზი მოუწოდებს უზენაეს საბჭოს შეაჩეროს პრეფექტების დანიშვნა, ამ კანონის ამ კანონის ტექსტის სათანადო კორექციამდე.

გაზ: "საქართველო", 9 თებერვალი. 1991.

* * * * * * * * * * * * *

მხედრიონი იარაღს ყრის

ჯარის მიერ „მხედრიონის" დარბევის, შემდეგ კი მილიციას მიერ „მხედრიონის" ხელმძღვანელთა და ზოგიერთი წევრის დაკავებაზე დღეს ბევრი ლაპარაკები და მითქმა-მოთქმაა. აზრი ერთგვაროვანი როდია...

18 თებერვალს შავნაბადიდან მოღწეულმა ხმამ ააფორიაქა ქალაქი— სამხედროებისა და „მხედრიონის" ბრძოლაში 40-მდე კაცი დაიღუპაო. ხალხმა თავში ხელი წაიშინა, ესლა აკლდა ისედაც სისხლნაკლულ საქართველოსო?! მადლობა ღმერთს, ჭორი აღმოჩნდა. შეტაკება მართლაც მოხდა, მაგრამ არავინ დაღუპულა. დაიჭრა ორი ჯარისკაცი და ერთი სამოქალაქო პირი.

სამხედროებმა შავნაბადაზე მდებარე „მხედრიონის" ბაზაში აღმოაჩინეს 200 კილოგრამამდე ამონალი, 4 ავტომატი, 5 დამბაჩა, ტყვიაწამალი, სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გატაცებული ოცამდე მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანა, დააკავეს „მხედრიონისა" და მაშველთა კორპუსის ოცამდე წევრი.

პრესაში გამოქვეყნებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ცნობაში, რომელიც სამხედრო წყაროებს ეყრდ-

ნობა, ნათქვამია, რომ მთელი ეს ამბავი ასე განვითარდა: 17 თებერვალს ღამის ორ საათზე ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ქვედანაყოფს, რომელიც დაგეგმილი საწვრთნელი მეცადინეობიდან ბრუნდებოდა, თბილისის მახლობლად-შავნაბადის გადასახვევთან, სროლა აუტეხეს უცნობმა პირებმა. შამხედროებმა უპასუხეს, შემდეგ კი შავნაბადაზე განლაგებულ კორპუსებში იპოვეს სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღი...

სამხედრო წყაროების ეს ვერსია შკარა გულუბრყვილო მკითხველისათვის არის გამიზნული. ჯავშანტრანსპორტიორებზე ამხედრებულ, კბილებამდე შეიარაღებულ ჯარს მხოლოდ შერეკილი ან თვითმკვლელი თუ დაუწყებს სროლას (ფსიქიატრი კი, რამდენადაც ვიცით, ჯერ საქმეში არ ჩაურთვიათ!) სხვა, უფრო სანდო წყაროზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს იყო არა შემთხვევითი, არამედ კარგად გათვლილი და ორგანიზებული სამხედრო ოპერაცია, რომელიც საკმაოდ მაღალპროფესიულად განხორციელდა კიდეც („ორმხრივ სროლაში" აკი მხოლოდ სამი კაცი დაიჭრა!). ეჭვით ისიც ვიცით, რომ მასში სათანადოდ აღჭურვილი სპეცნაწილი მონაწილეობდა, მგონი სულაც გენერლის ხელმძღვანელობით. დიახ, კარგად გათვლილი ოპერაცია გახლდათ (ალბათ, სათანადო დაზვერვითაც კი). ამას მისი განხორციელების დროც მიგვანიშნებს: „მხედრიონის" ბაზაში ყოველდღიურად ასი კაცი მაინც იყრიდა ხოლმე თავს, შაბათ-კვირაობით კი ძალიან ცოტანი რჩებოდნენ. ახლაც ასე იყო: ბაზაში 40 კაცი თუ იქნებოდა. მათგან 20 დააკავეს (ეს ახალგაზრდები ამჟამად თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან), დანარჩენები სიბნელეში გაუჩინარდნენ.

როგორც კი შავნაბადის ექო მოგვწვდა „ნაომარი" ადგილის მოსანახულებლად გავწიეთ. მხოლოდ დასახლების კარიბჭემდე მივედით— გზა ჯავშანტრანსპორტიორმა და ავტომატიანმა ჯარისკაცებმა გადაგვიღობეს, მუხლუხებით ძირიანად მოთხრილ და დასახიჩრებულ ფიჭვებს და დალეწილ ავტობუსსღა შევავლეთ თვალი. „ომი" აქედან დაწყებულა...

სამხედროების მოქმედება, რათქმა უნდა, სუვერენული რესპუბლიკის უფლებების შელახვაა. აკი, ამ მოქმედებასთან დაკავშირებით განუცხადა პროტესტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

პრეზიდიუმმა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს.

18 თებერვალს, შუადღისას, რუსთაველის პროსპექტზე ერთდროულად ორი მიტინგი გაიმართა—მთავრობის სახლისა და ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ.

მთავრობის სახლთან მრავალათასიან მიტინგზე გამოსულმა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, უზენაესი საბჭოს წევრებმა თემურ ქორიძემ და მანანა ძოძუაშვილმა, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი ხოშტარიამ და სხვებმა დაგმეს სამხედრო ძალის გამოყენება რესპუბლიკის მოქალაქეთა წინააღმდეგ, ამასთან განაცხადეს, რომ შავნაბადსთან მომხდარი შეტაკება „მხედრიონის" მიერ არის ინსცენირებული და მიზნად ისახავს საფრთხე შეუქმნას ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს, რესპუბლიკის მთავრობას, რომ საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ ყოველგვარი გამომწვევი მოქმედება, შეძლება ჩვენს რესპუბლიკაში ჯარის დამატებითი ნაწილების შემოყვანისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ სისხლიანი ანგარიშსწორების საბაბი გახდეს.

ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობასთან შენობასთან გამართულ მიტინგზე კი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრმა ჯუმბერ კოპალიანმა, პროფესორმა გურამ ყორანაშვილმა, ჯაბა იოსელიანმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ და სხვებმა შავნაბადის კონფლიქტში ბრალი დასდეს რესპუბლიკის პარლამენტსა და მის თავმჯდომარეს.

იმავე, 18 თებერვლის საღამოს, 19 საათზე და 40 წუთზე საბჭოს ქუჩაზე დააკავეს საკუთარი ავტომანქანის საჭესთან მჯდომი „მხედრიონის" მეთაურის მოადგილე ზაზა ვეფხვაძე, რომელსაც აღმოაჩნდა და ჩამოერთვა ჩახმახზე შეყენებული მაკაროვის სისტემას დამბაჩა, დიდი რაოდენობით ვაზნა და 42 ათასი მანეთი. მის მანქანას სახელმწიფო ნომრები არ ჰქონდა.

19 თებერვალს კი, დილის რვა საათზე, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მეგობრის ბინაში დააკავეს „მხედრიონის" მეთაური ჯაბა იოსელიანი. იგი შეირაღებული იყო, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ჯ. იოსელიანსა და ზ. ვეფხვაძეს უკვე წაუყენეს ბრალდება, პირველს—საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 228ე მუხლის II ნაწილითა და 238ე მუხლის I ნაწილით, მეორეს—238ე მუხლის პირველი ნაწილით.

ჯაბა იოსელიანს ბრალი ედება, რომ „მან პირთა ჯგუფთან ერთად ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა, ე.ი. განზრახი მოქმედება, რითაც ეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა, რაც თავისი შინაარსით გამოირჩეოდა უაღრესად დიდ ცინიზმითა და განსაკუთრებული თავხედობით. გარდა ამისა, მან შეიძინა და უკანონოდ, სათანადო ნებართვის გარეშე ინახავდა და ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს და საბრძოლო მასალას.

სახელდობრ: 1990 წლის 21 დეკემბერს, დაახლოებით 16 საათსა და 30 წუთზე, ჯ,. იოსელიანი და მისი თანმხლები, გამოძიებით დაუდგენელი პირები, თბილისში, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახლის წინ თავს დაესხნენ ე.წ. ეროვნული კონგრესისა და მაშველი რაზმის „მხედრიონის" უკანონო მოქმედებათა წინააღმდეგ მიმართულ შიმშილობის აქციის მონაწილე ქალებს, სახალხოდ აგინეს მათ უცენზურო, დამამძიმებელი სიტყვებით, სიტყვიერად და ფიზიკურად შეურაცხყვეს ისინი, რის შემდეგაც პირადად ჯ. იოსელიანმა მოქალაქეებს მზია მიმინოშვილსა და ცისმარ ზანგალაძეს მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. ჯ. იოსელიანისა და მისი თანმხლები პირების მიერ ჩადენილი ხულიგნური მოქმედება გრძელდებოდა 15-20 წუთის განმავლობაში.

გარდა ამისა, 1991 წლის 19 დეკემბერს ჯ. იოსელიანს დაკავების დროს, აღმოაჩნდა და ჩამოერთვა მაკაროვის სისტემის ტექნიკურად გამართული და სროლისათვის ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღი და 16 ცალი საბრძოლო ვაზნა, რაც უკანონოდ შეიძინა, ინახავდა და ატარებდა სათანადო ნებართვის გარეშე."

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განგვიმარტეს, მთავრობის სახლის წინ 1990 წლის 21 დეკემბერს ჩადენილი ხულიგნობის ფაქტზე იმავე დღეს აღუძრავს მოკვლევა მთაწმინდის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას. ზაზა ვეფხვაძეს ბრალად ედება, რომ „შეიძინა და უკანონოდ, სათანადო ნებართვის გარეშე ინახავდა და ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას".

ჯ. იოსელიანისა და ზ. ვეფხვაძის საქმეს იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს ცენტრალური აპარატის გამომძიებელთა ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც საზოგადოებამ იცის დაკავებული არიან „მხედრიონის" გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, სამტრედიის ორგანიზაციების წევრები. ბევრ მათგანს ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდა.

დასამალი როდია, რომ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა არა მარტო „მხედრიონის" საქიანობის, არამედ მის მიმართ განხორციელებულ ღონისძიებათა ირგვლივაც, მაგრამ ერთი კი უტყუარია, რესპუბლიკა ერთობ შეშფოთებულია იმით, რომ მომრავლდა შეიარაღებული თავდასხმების, ძალადობის ფაქტები; უკანონოდ გასამხედროებული ფორმირებები, რომელთა ხელშიც დიდძალი იარაღია, რესპუბლიკაში ძაბავს საზოგადოებრივ – პოლიტიკურ ვითარებას.

როგორც შევიტყვეთ „მხედრიონის" ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის წევრებმა უკვე დაიწყეს იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარება.

გაზ: „7 დღეყოველკვირეული გაზეთი",
22 თებერვალი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

გიორგი ჭანტურია: „ჩვენი მიზანია უზენაესი საბჭოს კომპრომეტაცია ხალხის თვალში"

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ბატონ გიორგი ჭანტურიას პრესკონფერენცია, რომელიც 20 თებერვალს საზოგადოება „ცოდნის" სხდომათა დარბაზში გაიმართა, თითქმის სამ საათს გრძელდებოდა. დასამალი არ არის, რომ მისი დიდი ნაწილი იმ საკითხების გარკვევას დაეთმო, რომელიც ბატონ ზვიად გამსახურდიასა და ბატონ გიორგი ჭანტურიას შორის არსებულ კონფლიქტურ სიტუაციას უკავშირდება. საუბარი ზოგჯერ ეთიკური ნორმების დარღვევამდეც მიდიოდა, თუმცა ჩვენთვის გაცილებით საინტერესო იყო ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერის შეხედულებანი საქართველოში დღეს შექმნილი პოლიტიკური ვითარების ირგვლივ.

ბატონმა გიორგი ჭანტურიამ სამაჩაბლოს კრიზისიდან გამოსვლის ორი ვარიანტი წარმოადგინა. პირველი—სტატუსკვოს აღდგენა (როცა

ორივე მხარე თავის გადაწყვეტილებებს გააუქმებს და კვლავ აღდგება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი). ეს კარგი გადაწყვეტილება იქნებოდა, გვიანი რომ არ იყოს, დღეს სტატუსკვოს აღდგენა უკან დახევას ნიშნავსო. მეორე—სამაჩაბლოში საგანგებო მდგომარეობის გაუქმება, უკიდურეს შემთხვევაში—დადგენილებიდან მე—11 მუხლის ამოღება, რომლითაც საგანგებო მდგომარეობის რაიონში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მოქმედება კანონდებოდა. აფხაზეთთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დროულად უნდა გაუქმდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ყველა ის კანონი თუ დადგენილება, რომლის ძალითაც აფხაზეთის ასსრ კანონები პრიორიტეტით სარგებლობს საქართველოს კანონებთან შედარებით, ხელი უნდა ავიღოთ პრეფექტების დანიშვნაზე აფხაზეთში (თვით გალის რაიონშიც), აუცილებელია საერთო ენის გამონახვა იმ ახალ აფხაზურ დემოკრატიულ ძალებთან, რომელნიც ანტიქართულად არიან განწყობილნი, მაგრამ არა კომუნისტური, არამედ აფხაზური პოზიციებიდან.

დღეს საქართველოში მიმდინარეობს ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური, მორალური და ფიზიკური განადგურების პროცესი, განაცხადა გიორგი ჭანტურიამ. პრესკონფერენციაზე მის მიერ მოწოდებული ცნობით, საქართველოში უკვე დაპატიმრებულია 67 კაცი—ზოგი „საქართველოს მხედრიონის" ზოგი კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მოკლულია სამი „მხედრიონელი", მათ შორის ერთ-ერთი თელაველი მღვდელია. ზაზა ვეფხვაძე ორთაჭალის ციხეშია მოთავსებული, თავად ჯაბა იოსელიანის ადგილსამყოფელი კი უცნობია, არსებობს ვარაუდი, რომ ის მოსკოვშია გადაყვანილი.

23 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ დანიშნული აქციის შესახებ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ თქვა: საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ მიმართულ ყველა აქციას მივესალმები, მაგრამ დღეს, როცა უზენაესი საბჭო ჩასაფრებულია, რათა სისხლი დაიღვაროს, მე ამ აქციის წინააღმდეგი ვარ. გამსახურდიასა და პატრიკეევს გამზადებული სცენარი არ უნდა შევთავაზოთ. აქცია რომ კინოს სახლთან გაიმართოს ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ.

სიბეცე იქნება, ჩვენი ეკონომიკური კრიზისი უზენაეს საბჭოს

რომ დავაბრალოთ, ეს 70-წლიანი კომუნისტური რეჟიმის შედეგია, დასძინა ბატონმა გიორგი ჭანტურიამ ეკონომიკურ საკითხებზე საუბრისას, საქმე ის არის, რომ უზენაეს საბჭოს არ სურს კონტრაქტების დადება რესპუბლიკებთან, ფირმებთან. იგი დადგა ეკონომიკური ხელშეკრულების კურსს, რომელიც პოლიტიკურ ასპექტსაც გულისხმობს. ჩვენ მივდივართ სამოკავშირეო ხელშეკრულებისაკენ. ყველა უზენაესი საბჭო, მათ შორის საქართველოსიც, აქეთკენაა მოწოდებული. არმიის პროვოკაციულმა გამოხდომებმა ლიტვაში მთელი ლიტველი ხალხი, თვით რადიკალური, შეურიგებელი ოპოზიციაც კი გააერთიანა უზენაესი საბჭოს გარშემო. კრემლი ხედავს, რომ მისი მარიონეტული ხელისუფლების აქციები საქართველოში ეცემა, თქვა ედპ-ს თავმჯდომარემ.

კითხვაზე, როგორი იქნება თქვენი პარტიის უახლესი მომავლის სამოქმედო პროგრამა, ბატონმა გიორგი ჭანტურიამ უპასუხა: „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კრემლთან, საოკუპაციო ჯართან და საქართველოს უზენაეს საბჭოსთან ბრძოლა ერთი და იგივეა. ჩვენი მიზანია უზენაესი საბჭოს კომპრომეტაცია ხალხის თვალში. უნდა დაინიშნოს ხელმეორე არჩევნები, რომელშიც ჩვენ – შეურიგებელი ოპოზიცია, ისევ არ მივიღებთ მონაწილეობას, მაგრამ მხარს დავუჭერთ ყველა პატიოსან ეროვნულ ძალას"

.შ. ჩვენს ხელთ არსებული ცნობით, სამართალში მიცემული ჯაბა იოსელიანი თბილისში იმყოფება.

გაზ: „7 დღეყოველკვირეული გაზეთი",
22 თებერვალი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა

18 თებერვალს პოლიტგანათლების სახლში ჩატარდა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა დარბაზისა და სამდივნოს წევრი ამირან დოლიძე.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების (საკრებულოების) არ-

ჩევნებზე ვრცლად ისაუბრა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრმა ლევან მესხმა. მან დაწვრილებით გააცნო სხდომის მონაწილეთ. არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ითვალისწინებენ კანდიდატების დასახელებასა და სიების წარდგენას საოლქო და საუბნო კომისიებში, სხვა პარტიებთან ერთად ბლოკში მონაწილეობასა და სააგიტაციო პროპაგანდისტულ მუშაობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამაჩაბლოში შექმნილი, ფაქტიურად, საომარი ვითარების პირობებში გრძელდება არჩევნების ჩატარება. რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, მიმდინარეობს მოლაპარაკება და ჯერჯერობით გაურკვეველია მათი მონაწილეობაარ მონაწილეობა არჩევნებში.

ზღვისპირეთის დაცვისადმი მიძღვნილი საბავშვო პლაკატების კონკურსის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საზოგადოება „აიეტის" თავმჯდომარემ ჰენრი კუპრაშვილმა. მან ასევე ისაუბრა იმ კატასტროფულ ვითარებაზე, რაც შექმნილია შავი ზღვის აუზში.

საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრმა დეპუტატმა დავით არევაძემ ისაუბრა საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ ვითარებაზე, ენერგეტიკულ კრიზისზე და აღნიშნა რომ, უზენაესი საბჭოს ეკონომიკური კომისია მუშაობს კრიზისიდან თავის დაღწევის გზებზე და თუ სწორედ იქნება გამოყენებული ჩვენს ხელთ არსებული ქვანახშირის, ნავთობის, დარიშხანისა და სხვა წიაღისეულის საბადოები, თუ გამოვიყენებთ საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, რაც ხელსაყრელ პირობას ქმნის ევროპააზიის ქვეყნების სავაჭრო მიმოსვლისათვის და გასაქანს მივცემთ ნიჭიერი ადამიანების საინტერესო მოსაზრებებს–ჩვენ შევძლებთ ფეხზე დავაყენოთ ფაქტიურად გაჩანაგებული ეკონომიკა.

გაწეულ საქმიანობაზე ვრცელი ანგარიშით წარსდგა ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის" ხელმძღვანელი დავით ხომასურიძე. მან აღნიშნა, რომ „იმედი" თანახმაა შევიდეს ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში იმ პირობით, თუ მათ გამოიყენებენ არა შინაური უწესრიგობის ჩასაწყნარებლად, არამედ გარეშე ძალისაგან საქართველოს დასაცავად.

დარბაზმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება შავნაბადაზე მომხდარ შემაძრწუნებელ ფაქტთან დაკავშირებით, აღშფოთება გამოთქვა ქართველ ახალგაზრდებზე საბჭოთა ჯარის შეიარაღებული თავდასხ-

მის გამო. მიაჩნია, რომ ეს აქტი არის მორიგი დემონსტრირება საქართველოს შინაურ საქმეებში უცხო ძალის ჩარევისა.

გაზ: „საქართველო", 26 თებერვალი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

თბილისში, ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით გამართული საპროტესტო მიტინგი

4 მარტს, თბილისში, ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით გაიმართა მიტინგი. ორატორებმა განაცხადეს, რომ საქართველოში იკვეთება ტირანიისა და დიქტატურის საფრთხე; ახალი ხელისუფლება ბევრ შეცდომას უშვებს; შეზღუდულია რადიოტელევიზიისა და პრესის თავისუფლება.

რესპუბლიკაში სადღეისოდ შექმნილ ვითარებაში გაუმართლებლად მიიჩნიეს გასამხედროებულ ფორმირება „მხედრიონის" დევნა.

მიტინგის მონაწილეებმა მოაწყვეს სვლა თავისუფლების მოედანზე. აქცია დასრულდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წინ, სადაც იმყოფებიან „მხედრიონის" დაპატიმრებული ხელმძღვანელები ჯაბა იოსელიანი და ზაზა ვეფხვაძე.

მომიტინგეთა მოთხოვნით, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი ჯ. კოპალეიშვილი და თენგიზ შარმანაშვილი მიიღო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ოთარ ხატიაშვილმა, იმის გასარკვევად, თუ სად იმყოფება კასპის რაიონის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი თამაზ ტუხიაშვილი. შეკრებილთა განცხადებით თ. ტუხიაშვილი, რომელმაც ერთ დროს ფული ჩარიცხა „მხედრიონის" ფონდში ახლახან დააპატიმრეს.

მომიტინგეებს ეცნობათ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობის განცხადება, რომ ასეთი პიროვნება სუკის იზოლატორში არ იმყოფება.

გაზ; „7 დღეყოველკვირეული გაზეთი",
8 მარტი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტელიგენციის ნაწილის მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაწყებლობის ხელმძღვანელობას

საქართველოს გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორებს

ასლი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას

28 თებერვალს ორჯერ გადაიცა საქართველოს ტელევიზიისა რადიომაუწყებლობის კომიტეტის ხელმძღვანელობის განცხადება, რომელშიც შეფასებულია ბატონ აკაკი ბაქრაძისა და ბატონ ვალერიან ადვაძის სატელევიზიო გამოსვლები. ამ განცხადებაში აღინიშნა, რომ აკაკი ბაქრაძის გამოსვლამ გამოიწვია არა მარტო ბატონ ვახტანგ ბოჭორიშვილისა და რამდენიმე წერილის ავტორთა გულისწყრომა, არამედ ლამის სრულიად საქართველო აღაშფოთა.

ტელევიზიის ხელმძღვანელობა უკვე მერამდენედ მოაგონებს ქართველ ხალხს, რომ უზენაესი საბჭო არა სხვა ვინმემ, არამედ ქართველმა ხალხმა აირჩია, თითქოს ეს საეჭვო იყოს! საჭიროა მას მხარში ამოვუდგეთო. განცხადების ავტორს, თუ ავტორებს, რომელთაც გვარსახელად „ხელმძღვანელობა" ჰქვიათ, მიაჩნიათ, რომ ბატონ ვალერიან ადვაძის გამოსვლამ შეიძლება შეიარაღების გუნებაზე დააყენოს ახალგაზრდობა და გამოიწვიოს პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია.

ნება მოგვეცით, გკითხოთ, ბატონო „ხელმძღვანელობავ", განა მოწოდება ეროვნული თანხმობისაკენ, განა მოწოდება დიალოგისაკენ, პრესის თავისუფლებისაკენ, რომლითაც გამსჭვალული იყო აკაკი ბაქრაძის ბიერ წარმოდგენილი ინტელიგენციას მიმართვა, ან განა ვალერიან ადვაძის ცდა უსამართლო თავდასხმებისაგან დაეხსნა იგი დესტაბილიზაციისაკენ იყო მიმართული?

საქართველოს მტრები აკლია ბატონო ტელევიზიის „ხელმძღვანელობავ", რომ ბაქრაძის, ადვაძის და სხვათა სახით კიდევ მტრები ვეძებოთ? თქვენ ვერ ამჩნევთ, როგორ თანდათანობით „ხედნით" მაყურებლის სმენას, თითქოს გარშემო მხოლოდ ერის მოღალატეები და კრემლის აგენტები არიან? ასე ბოლშევიკები ეძებდნენ ხალხის

მტრებს და მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტებს! არ გეცნობათ ოფიციალურ ტელევიზიაში და ოფიციალურ პრესაში ატეხილი „მუშურ-გლეხური" კამპანია ინტელიგენციის წინააღმდეგ? აქედან ხომ ერთი ნაბიჯი რჩება ამბროსი კათალიკოსის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის, ევგენი მიქელაძის, სანდრო ახმეტელის და სხვათა მოკვეთამდე! ბოლო დიქტატურამდე ის ერთი საბედისწერო ნაბიჯიც ალარაა დარჩენილი!

ბატონო ტელევიზიის „ხელმძღვანელობავ" თქვენ ბრძანეთ, რომ „ვერ გავეხვევით პოლიტიკურ თამაშშიო" და ამავე დროს პოლიტიკურ შეფასებას აძლევთ, უფრო მეტიც, პოლიტიკურ პორტრეტებს ხატავთ არასაიმედო, ამბიციებით განმსჭვალული ინტელიგენტების, და აფრთხილებთ ხალხს, ნუ ენდობით ქრისტიანული მიმტევებლობით შენილბულ მოწოდებებს ეროვნული თანხმობისაკენ, მათ სულ სხვა რამ უდევთ გუნებაშიო. თქვენმა უმრავლესობამ ხომ უზენაეს საბჭოს მიეცით ხმა და ამიტომ ისინიც და მათ უკან მდგარი უმცირესობა მოიკვეთეთო. ბოლშევიკებიც „პროლეტარიატის დიქტატურას" უწოდებდნენ ვითომც უმრავლესობის ბატონობას უმცირესობაზე და კარგად მოგეხსენებათ, რა დღეში ჩააგდო მან უმრავლესობა!

და ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ პოლიტიკაში არ ერევით? არა თუ ერევით, არამედ პირდაპირ პოლიტიკური პარტიის ფუნქციას ასრულებთ!

თქვენ სარგებლობთ არა მარტო იმით, რომ შეგიძლიათ შეარჩიოთ გამომსვლელებიც და მათი ტექსტებიც, გარკვეული და ერთმნიშვნელოვანი იდეოლოგიური დატვირთვით წარმართოთ გადაცემები, არამედ ოფიციოზისგან განსხვავებულ ყოველ აზრს, თუკი ასეთი რამ თქვენდა უნებურად „გაიპარა" ეთერში, თქვენი შეხედულებით „გამანადგურებელ", მაგრამ არსებითად დემაგოგიურ კომენტარს ურთავთ, სარგებლობთ რა საბოლოო, შემაჯამებელი სიტყვის ბატონკაცური უფლებით.

რატომ აყენებთ შეურაცხყოფას ქართველ ხალხს, რატომ „ულეჭავთ" თქვენებურად გაგებულ „ჭეშმარიტებას", რატომ გგონიათ, რომ განსხვავებული აზრებიდან იგი სწორ არჩევანს ვერ გააკეთებს? ხომ გააკეთა ხალხმა არჩევანი 28 ოქტომბერს, რატომ არ შეუძლია იგივე თებერვალმარტში? თუ თქვენ ეჭვი გეპარებათ, სხვაგვარად ფიქრობთ?

არავის აქვს უფლება, მონოპოლიას აცხადებდეს სამშობლოს სიყვარულზე, არავის აქვს უფლება, ხალხზე უფრო ბრძენად წარმოადგინოს თავი, თუნდაც ხალხის რჩეული იყოს, ვერც ჩვენ მივცემთ თავს უფლებას, ხალხის სახელით ვილაპარაკოთ, მაგრამ ერთი რამ შეგვიძლია შეუცდომლად ვთქვათ: ხალხს არავინ უნდა მოუსპოს საშუალება, თვითონ განსაჯოს ვინ არის ძე წრფელი და ძე შეცთომილი.

ის, რაც ტელევიზიაზე ითქვა, მთლიანად ეხება მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებსაც. დღეს ჩვენს რესპუბლიკას ჰელსინკის კავშირის დამაარსებელი ხელმძღვანელობს, ნუთუ ეს არაფერს გვეუბნება, რომ უნდა ვახორციელებდეთ ადამიანის უფლებათა დაცვის მე19 მუხლის მოთხოვნებს, რომელიც გამორიცხავს ხელისუფლებისაგან განსხვავებული აზრის გამოდევნას და აკანონებს საკუთარი შეხედულების თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობას?

შეიქმნა საშიშროება, რომ ქართული ტელევიზია და პრესა შეიძლება გაჰყვეს „უფროსი მოსკოველი ძმების" კვალს, საბჭოურ ოფიციალურ პრესას, რომელიც ლენინის განსაზღვრებით არის „არა მარტო არის მასობრივი აგიტატორი, არამედ მასობრივი ორგანიზატორიც". რის „ორგანიზებას" აპირებს ჩვენი პრესა—ავტორიტარული მმართველობის, საზოგადოებრივი ურთიერთდაპირისპირების თუ ეროვნული თანხმობისა? კარგად გვესმის, რომ ჩვენი მოწოდება მასობრივი ინფორმაციის მესვეურებზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს, თუ ხმა არ მიწვდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. აზრთა პლურალიზმისათვის საინფორმაციო არხების დახშობა იწვევს არა სტაბილიზაციას და კონსოლიდაციას, არამედ საზოგადოების გათიშულობას, რამაც დაღუპვის პირამდე შეიძლება მიიყვანოს ეროვნული მოძრაობა.

მოვუწოდებთ რესპუბლიკის პარლამენტს, მასობრივი ინფორმაციის ხელმძღვანელებს, ყველა პოლიტიკურ პარტიას კონსტრუქციული, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული დიალოგისაკენ და ამ მიზნით მოვითხოვთ შემდეგ ღონისძიებებს:

1. ტელევიზია, რადიო და პრესა პირუთვნელად ასახავდეს საზოგადოების ყოველი ფენისა და პოლიტიკური პარტიის აზრსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

2. მოხდეს უზენაესი საბჭოს ყოველი სხდომის სრული ტრანსლაცია საქართველოს ტელევიზიითა და რადიოთი. ხალხს არ უნდა

სჭირდებოდეს დეპუტატთა დაგვიანებული კომენტარები პარლამენტის სესიის მიმდინარეობაზე.

3. ოფიციალური ხელისუფლებისაგან განსხვავებული [illegible] პოზიციისათვის, თუ იგი საერთაშორისო სამართლის ნორმებს არ ეწინააღმდეგება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, შანტაჟი, პოლიტიკური დამღების მიკერება და ადმინისტრაციული ზემოქმედება კანონით აიკრძალოს.

მხოლოდ ეს არის გზა დემოკრატიისაკენ!

მხოლოდ ეს არის გზა ეროვნული თანხმობისაკენ!

მხოლოდ ეს არის გზა თავისუფლებისაკენ!

ჭაბუა ამირეჯიბი, მზია ბაქრაძე, ირაკლი ვერიაშვილი, გოგი გეგეჭკორი, მანანა გიგინეიშვილი, ნაირა გელაშვილი, რომან მიმინოშვილი, კოტე მახარაძე, ოთარ მელვინეთუხუცესი, ნანა მჭედლიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, მანანა კობახიძე, ზურაბ კიკნაძე, მერაბ კოკოჩაშვილი, თამაზ კვაჭანტირაძე, გურამ საღარაძე, ვახტანგ გოგუაძე, ვახტანგ რურუა, ლაშა თაბუკაშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, ვახტანგ ჭიჭინაძე, სოფიკო ჭიაურელი, თეიმურაზ ქორიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, იორამ ქემერტელიძე, გურამ ყორანაშვილი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, ჯემალ ქარჩხაძე, ანზორ ერქომაიშვილი.

გაზ: „საქართველო", 12 მარტი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს უზენაეს საბჭოს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების მოთხოვნა

ფაქტები გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობას განზრახული აქვს საქართველოს ფარგლებში ქართველი მოსახლეობის გენოციდის გამოყენება იმ მიზნით, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო აიძულოს, ხმა მისცეს საქართველოს შესვლას ახალ ფედერაციაში, ანუ მოახდინოს სსრკში საქართველოს ყოფნის დაკანონება. ეს გენოციდი უკვე წარმოებს შიდა ქართლში და ყოველდღე შესაძლებელია მისი დაწყება საქართველოს სხვა რეგიონებში. შინაგანი ჯარები ეხმარებიან ქართველი მოსახლეობის მკვლელთა ბანდებს იმით,

რომ არც მილიციას, არც მეზობელი ქართველი მოსახლეობისაგან შემდგარ მაშველ ჯგუფებს საშუალებას არ აძლევენ, იერიშებისა ქართულ სოფლებში მივიდნენ და მოსახლეობა დაიცვან. ცნობილია, რომ ოსი ეროვნების ბანდიტური რაზმების ხელში მყოფი საბრძოლო იარაღი (როგორც სამსროლელო, ისე რაკეტები) მიღებულია საბჭოთა არმიის ნაწილებისაგან.

ოსი ეროვნების ბანდებში, რომლებიც ქართველ მოსახლეობას ძარცვავენ და ხოცავენ, მონაწილეობენ როგორც საქართველოს მაცხოვრებლნი, ისე საქართველოს გარედან შემოყვანილი პიროვნებები. ეს იმას ნიშნავს, რომ არაქართველი ეროვნების ყველა ბანდა, რომელსაც კრემლი მომავალში შექმნის საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ საბრძოლველად, დაკომპლექტებული იქნება არა მარტო საქართველოს მაცხოვრებლებით, არამედ ამავე არაქართველი ეროვნების ისეთი პიროვნებებითაც, რომლებიც საქართველოს გარეთ ცხოვრობენ. ამგვარად, იმპერია საშუალება ეძლევა, რომ საქართველოში გამუდმებით იყოლიოს საქართველოს წინააღმდეგ მეომარი რაზმები, რომელთა სიდიდე პრაქტიკულად შეუზღუდავი იქნება.

სამწუხაროდ, ვერც საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრმა, ვერც ინფორმაციის რომელიმე სხვა ორგანომ ვერ უზრუნველყო ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის შესახებ ობიექტური და საკმარისი ინფორმაციის მოწოდება მსოფლიოსათვის, მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელდება, ძირითადად, ცილისწამება საქართველოს მიმართ, კერძოდ, საკავშირო პრესიდან და ტელევიზიიდან მიღებული ცნობები, რომელთა მიხედვითაც ადგილი აქვს ოსი მოსახლეობის პოლიტიკურ და ფიზიკურ შევიწროებას, მასზე თავდასხმას, მის რბევას და ხოცვას.

ასეთ პირობებში საქართველოს უზენაესი საბჭო ვალდებულია ერის წინაშე, რომ:

1. საქვეყნოდ და ოფიციალურად მოახდინოს ამ ფაქტის კონსტატაცია, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები ომს აწარმოებენ საქართველოს წინააღმდეგ, და სათანადო ნოტით მიმართოს საბჭოთა კავშირის მთავრობას. ამასთანავე უნდა მიმართოს მსოფლიოს მთავრობებს და გაეროს თხოვნით, რათა შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიონ აგრესიისაგან დაცვის საქმეში; ნოტებით მიმართოს ოსეთს (ე.წ. „ჩრდილო ოსეთს") და რსფსრ-ს მთავრობებს მათი

ტერიტორიიდან საქართველოში ბანდიტებისა და იარაღის შემოსვლის შეწყვეტის შესახებ.

2. შექმნას თავდაცვის სახელმწიფო საბჭო, რომელიც ხელში აიღებს მართვის ძირითად ფუნქციებს მანამდე, სანამ არ ჩაითვლება, რომ საქართველოში მშვიდობაა. საბჭო შედგეს პიროვნებებისაგან, რომელთა ვინაობა და რომელთა დანიშვნის მოტივირება ეცნობება მოსახლეობას.

3. გამოაცხადოს საქართველოს ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზაცია და დაქვემდებარება თავდაცვის მიზნებისათვის.

4. დაადგინოს, რომ შიდა ქართლში მყოფი ქართველი მოხალისე, რომელიც იარაღით ხელში იცავს ქართველი მოსახლეობას, საქართველოს რესპუბლიკის სამსახურშია და მასზე თავდასხმა საქართველოზე თავდასხმას ნიშნავს; დაავალოს თავდაცვის კომიტეტს ამ მოხალისეთა მოქმედების კონტროლი.

5. ვინაიდან არაობიექტური და საქართველოსათვის საზარალო ინფორმაცია ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ დღეს საყოველთაოდ გავრცელებულია. საქართველოს უზენაესმა საბჭომ როგორც თავის მიმართვებში გაეროსა და მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებისადმი, ისე თავის ნოტაში სსრკ მთავრობისადმი ჩართოს სრული და კონკრეტული ინფორმაცია ცხინვალის რეგიონში მომხდარი დანაშაულების შესახებ; სთხოვოს მსოფლიოს საზოგადოებრიობას ცხინვალის რეგიონში ობიექტური კომისიის გამოგზავნა.

მოვითხოვთ ამ ზომების მიღების საკითხის გატანას უზენაესი საბჭოს სესიაზე კენჭის საყრელად.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები:

ნ. ნათაძე;

ა. მარგიანი;

პ. კოღუაშვილი;

გ. ლობჟანიძე;

გრ. მარგიანი;

გ. ქავთარაძე;

რ. მემარნიშვილი.

მიმართვა წაკითხულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 20 მარტს.

გაზ: „საქართველო", 26 მარტი, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * * *

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების II ყრილობა

1991 წლის 24-25 იანვარს თბილისში შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების II ყრილობა. ყრილობას ესწრებოდა 163 დელეგატი თბილისიდან და რეგიონალური განყოფილებებიდან. ყრილობაზე მიწვეულნი იყვნენ სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების I ყრილობა შედგა 1988 წლის 8 ოქტომბერს, მას შემდეგ ორ წელზე მეტმა დრომ განვლო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანმა მონაკვეთმა უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი საქართველოს ისტორიაში. ისტორიის კუთვნილება გახდა პირველი ლეგალური პოლიტიკური ორგანიზაციის – ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ განვლილი მეტად საინტერესო და ნაყოფიერი გზაც. იგი ხომ საფუძველი გახდა დღეს არსებული ბევრი პოლიტიკური პარტიისა თუ ორგანიზაციის ფუნქციონირებისა.

II ყრილობა გახსნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრმა ბნმა ნიკო ჭავჭავაძემ, პირველი სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საზოგადოების გამგეობის წევრი ბნი ჯუმბერ კოპალიანი, საანგარიშო მოხსენება–„ყრილობიდან ყრილობამდე"–წარმოადგინა საზოგადოების გამგეობის წევრმა ბნ-მა კახაბერ კახაძემ, სიტყვებით გამოვიდნენ ალეკო ცუკილაშვილი (ყვარელი), აბესალომ მიქელაძე (სოხუმი), ჯონი ლატარია (გაგრა), ირინა ტოტოჩავა (ოზურგეთი), დათო დანდლიშვილი (ქარელი) და სხვები.

საზოგადოების II ყრილობამ გაანალიზა განვლილ პერიოდში ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, დაისახა თანამედროვე ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში საზოგადოების წინაშე მდგარი უმთავრესი მიზნები და ამოცანები, განხილულ იქნა ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხები.

დღის მეორე ნახევარში ყრილობას თავმჯდომარეობდა საზოგა-

დოების დარბაზის წევრი ბნ-ი ვალერი ვაშაკიძე, სიტყვებით გამოვიდნენ დემურ ანთია, თემურ კვირკველია, გელა ნიკოლაიშვილი, ნუკრი ცისკარიძე („მხედრიონი"), გურამ გოგბაიძე (წმ. ილია მართლის საზოგადოება), რუსლან მიქაბერიძე, გურამ ყორანაშვილი, გივი ღამბაშიძე, კობა ლიპარტიანი და სხვები.

25 იანვარს II ყრილობამ მუშაობა განაგრძო, თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბნ-ი რაულ კუპრავა, ყრილობამ მიიღო ახალი პროგრამა და წესდება, რომელთა გარშემო გაიმართა საქმიანი მსჯელობა. აზრთა ცხოველი ურთიერთგაზიარება გამოიწვია საზოგადოების თავმჯდომარის საკითხმა, დელეგატების ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ საზოგადოების ორგანიზაციული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭირო იყო საზოგადოების მმართველობის სტრუქტურის შეცვლა, კერძოდ, ერთი ხელმძღვანელის თავმჯდომარის არჩევა, რაც საყოველთაოდაა მიღებული და დადებითადაა აპრობირებული მსოფლიო პრაქტიკაში, მეორე ნაწილი თვლიდა, რომ არსებული სტრუქტურის დახვეწისა და პირადი პასუხისმგებლობის გაზრდის საფუძველზე შესაძლებელია, ამ გამგეობისა და დარბაზის შემწეობით, თავმჯდომარის გარეშედაც ეფექტურად იმართოს საზოგადოება, საბოლოოდ ამ საკითხზე კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ საზოგადოება ფუნქციონირებას განაგრძობდა ტრადიციულ სტრუქტურებში.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კამათში მონაწილეობდნენ: აკაკი ბობოხიძე, ვალერი ვაშაკიძე, მერაბ გვაზავა, ჯუმბერ კოპალიანი, მარინა ტოტოჩავა, მიხეილ ქურდიანი, გელა ნიკოლაიშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, აბესალომ მიქელაძე, კახა მახვილაძე, გურამ სხირტლაძე, ბორის კაკუბავა, თამარ ჩხეიძე და სხვები.

ამავე დროს ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა საზოგადოების მმართველი სათათბირო ორგანო–„დარბაზი" შემდეგი შემადგენლობით: (53 კაცი);

ანზორ აბჟანდაძე, დემურ ანთია, ციალა არდაშელია, გუმა აფაქიძე, იოსებ ბანძელაძე, აკაკი ბობოხიძე, გურამ გაბიძაშვილი, მერაბ გვაზავა, სოფიკო გაიხარაშვილი, ლერი გოშაძე, ციცინო დათუკიშვილი, დათო დანდლიშვილი, ვალერი ვაშაკიძე, ნატო ზუკაკიშვილი, გიზო თავაძე, ბორის კაკუბავა, კახაბერ კახაძე, დავით კვიჟინაძე, რეზო კვირკვაია, ზურაბ კიკნაძე, ჯუმბერ კოპალიანი, რაულ კუპრავა, ირაკლი კუჭავა, ჯონი ლა-

ტარია, თემურ ლომაია, ლადო მენაბდე, ოთარ მელვინეთუხუცესი, აბესალომ მიქელაძე, ზურაბ მშვილდაძე, ნანა მჭედლიძე, გელა ნიკოლაიშვილი, თემურ ნინოშვილი, მალხაზ პატარაია, მარინა ტოტოჩავა, მალხაზ ქანდაურაშვილი, ბორის ქარჩავა, გივი ღამბაშიძე, ლალი ღვალაძე, ტარიელ ღვინიაშვილი, გურამ ყორანაშვილი, მურმან ყურაშვილი, მზია შეწირული, ნიკო ჩიგიგიძე, გოგა ჩიტაიშვილი, თამარ ჩხეიძე, ზურაბ ცინცაძე, ალეკო ცუკილაშვილი, ლადო ხუსკივაძე, რეზო ხვისტანი, დიმიტრი ჯაიანი, ვახტანგ ჯაფარიძე.

II ყრილობამ საზოგადოების საბჭოს წევრად აირჩია დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე ბ–ნი მიხეილ ქურდიანი.

II ყრილობამ დაამტკიცა სარევიზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თემურ ანთია, აკაკი ბობოხიძე, ციცინო დათუკიშვილი, გელა ნიკოლაიშვილი, ნიკო ჩიგოგიძე.

ყრილობამ დაავალა ძველ გამგეობას, რომ ახალი დარბაზის სპეციალურ სხდომაზე კვლავ შეესრულებინა მისთვის დაკისრებული ფუნქცია. ამით ილია ჭავჭავაძის საზოგადოების II ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

გაზ: "ივერია", 5 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის I სხდომის შესახებ

10 თებერვალს შედგა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის I სხდომა, რომელზეც დარბაზის ახლადარჩეულ წევრთაგან აირჩა საზოგადოების გამგეობა თერთმეტი კაცის შემადგენლობით: ნიკო ჭავჭავაძე, თამარ ჩხეიძე, ვალერი ვაშაკიძე, კახაბერ კახაძე, რაულ კუპრავა, ჯუმბერ კოპალიანი, თემურ ლომაია, ანზორ აბჟანდაძე, იოსებ ბანძელაძე, ტარიელ ღვინიაშვილი, გურამ ყორანაშვილი.

სხდომაზე არჩეულ იქნა გაზეთ „ივერიის" სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ანზორ აბჯანდაძე, გუძა აფაქიძე, კახაბერ კახაძე, ზურაბ მშვილდაძე, გურამ ყორანაშვილი, თამარ ჩხეიძე, ნიკო ჭავჭავაძე.

გაზ: "ივერია". 5 აპრილი. 1991.

* * * * * * * * * * * * *

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

1991 წლის 29 იანვარს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ". ამ კანონთან და ა.წ. 31 მარტს დანიშული ადგილობრივი მმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას სურს განაცხადოს შემდეგი:

ზემოაღნიშნული კანონი წარმოადგენს ტოტალიტარული მმართველობის დაკანონებისა და განმტკიცების ცდას, რასაც საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან და ქართულ სახელმწიფოებრივ ტრადიციებთან, ამ მხრივ, ახალი ხელისუფლების პოლიტიკური აზროვნების „ხელთუპყრობ ქმნილებას" წარმოადგენს ე.წ. „პრეფექტის" ინსტიტუტი. ამ კანონის ძალით პრეფექტი ადგილობრივი მმართველობის დიდმოხელეა, რომლის უფლებამოსილებაც შორს სცილდება ჩვენში ადრე არსებულ ერისთავის, სარდლის, მოურავის და ბოლშევიკთა მიერ დამკვიდრებულ რაიკომის მდივნის თანამდებობასაც კი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელის თავნებობის სფერო იურიდიულად არსად არ ყოფილა დაფიქსირებული, პრეფექტი კი ჩვენში პროვინციის კანონიერ მემკვიდრედ ცხადდება და სწორედ ის გაატარებს დიქტატორის ნებასურვილს ადგილზე.

აღნიშნული კანონის დეტალურმა შესწავლამ იმაში დაგვარწმუნა, რომ ქართულ პრეფექტს პარალელი არ მოეძებნება მსოფლიოს სინამდვილეში და მხოლოდ რომის იმპერიის ეპოქის პრეფექტი ეხმიანება მის ბუნებას. მაგალითად, საფრანგეთში ეს თანამდებობა 1982 წლამდე არსებობდა და ქვეყნის დეცენტრალიზაციის კურსის გატარების შემდეგ საერთოდ იქნა ლიკვიდირებული (ამჟამად პრეფექტი საფრანგეთსა და იტალიაში საპოლიციო მოხელის თანამდებობად დარჩა). ფუნქციონირების დროსაც პრეფექტის ინსტიტუტი საფრანგეთში შეუდარებლად უფრო შეზღუდული და მოკრძალებული იყო. უფრო მეტადაა შეზღუდული პრეფექტის თანამდებობა იაპონიაში დემოკრატიული სტრუქტურების საშუალებით. ამდენად განუსაზღვრელი უფლებამოსილების მქონე პრეფექტის ინსტიტუტის შემოღება მაშინაც

სახიფათო და მიუღებელი იქნებოდა ჩვენთვის, საქართველო მარიონეტა დამოუკიდებელი რომ იყოს! მით უმეტეს დაუშვებელია ეს ეს ... ერგვა დღეს—ოკუპაციისა და მოჩვენებითი სუვერენიტეტის პირობებ-ში, როდესაც რეალურ პოლიტიკურ კონტროლსა და ძალაუფლებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარი ახორციელებს, ასეთ ვითარებაში ტოტალიტარიზმის სახეცვლილი აღორძინება მხ-ოლოდ იმპერიის სასარგებლოდ შეიძლება წარიმართოს.

„ადგილობრივი მმართველობის კანონში" დემოკრატიული გზით არჩეული ე.წ. ადგილობრივი „საკრებულო", პრეფექტის პერსონის უღიმღამო დანამატს წარმოადგენს მხოლოდ, მას შეუძლია ხელის ერთი მოსმით გააუქმოს საკრებულოს გადაწყვეტილება და საჭიროე-ბის შემთხვევაში სრულიად დაშალოს ეს, ფაქტიურად უუფლებო ორგანო. პრეფექტის ბრძანების გაუქმება, რაოდენ საშინელი და არაა-დამიანური არ უნდა იყოს იგი, მხოლოდ უზენაეს საბჭოს შეუძლია, ამდენად, ასარჩევი საკრებულოს მნიშვნელობა თითქმის ნულამდეა დასული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძის საზოგადოე-ბა პროტესტს გამოთქვამს 29 იანვრის კანონის მოქმედებაში შეს-ვლასთან დაკავშირებით. პრეფექტის თანამდებობის შემოღება წარ-მოადგენს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მორიგ შელახვას, რაც ესოდენ დამახასიათებელი გახდა საქართველოს უზენაესი საბჭოს წამყვანი პოლიტიკური ძალის საქმიანობისათვის. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მონაწილეობას ვერ მიიღებს 31 მარტის არჩევნებში, რომელიც ასეთ პირობებში მხოლოდ პოლიტიკური ფარსი და ენ-ერგიის უაზრო ხარჯვა იქნება.

1991 წლის 7 თებერვალი.

გაზ: "ივერია", 5 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების

განცხადება

ა.წ. 16 მარტს განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობისა და ეროვნული კონგრესის წევრ ვალერი ვაშაკიძეზე და მის ოჯახზე. ვ. ვაშაკიძეს წინასწარ გადაუჭრეს სატელეფონო ხაზი, ხოლო შემდეგ კარის სახელურზე დაამაგრეს საბრძოლო ხელყუმბარა, რომლის აფეთქების შედეგადაც შეინგრა კარები, ხოლო ყუმბარის ნამსხვრევებმა დააზიანა საცხოვრებელი სახლის შემოსასვლელი დერეფანი. აფეთქების დროს შინ იმყოფებოდნენ მცირეწლოვანი ბავშვებიც, საბედნიეროდ დერეფანში არავინ იყო. აღსანიშნავია, რომ ვალერი ვაშაკიძე არის ხელისუფლების ანტიდემოკრატიული პოლიტიკის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ახლადშექმნილი პოლიტპატიმართა დაცვის კომიტეტის წევრი.

აშკარაა, რომ ზემოაღნიშნული აქცია იმ პოლიტიკური ტერორის გაგრძელებაა, რასაც თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ახორციელებს ახალი ხელისუფლება ოპოზიციის დაშინებისა და ფიზიკური განადგურების მიზნით. სამწუხაროდ, მსგავსი ქმედებები სანქცირებულია თავად უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ, რომელმაც თავის საჯარო გამოსვლებში არაერთხელ მოუწოდა ოპოზიციის ფიზიკური განადგურებისაკენ.

მომხდარი თავდასხმა იმ სავალალო ფაქტის ილუსტრაციაა, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ საქართველოში კიდევ უფრო შეილახა ადამიანის უფლებები, ხელისუფლებისათვის არასასურველ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სიცოცხლეც კი შეიძლება დანაშაულებრივი თვითნებობისა და უკანონობის მსხვერპლად იქცეს.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება კატეგორიულ პროტესტს გამოთქვამს ვალერი ვაშაკიძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორის გამო და მოითხოვს სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნა—შევიწროების შეწყვეტას. ფიზიკური ტერორის გაგრძელების შემთხვევაში მივმართავთ პოლიტიკური პროტესტის უკიდურეს ფორმებს.

1991 წლის 16 მარტი.

მინაწერი. საქართველოს ეროვნულმა ტელევიზიამ არა თუ ეს განცხადება არ გადასცა, არამედ სამარისებურად დადუმდა ამ ტერ-

ორისტული აქტის შესახებ. მკითხველს ვთხოვთ წარმოიდგინოს, რა აუწერელი გნიასი ატყდებოდა ტელევიზიით და პრესით ასეთი ტერორისტული აქტი „მრგვალი მაგიდის "რომელიმე (თუნდაც რომელიმე) წევრის მიმართ რომ განეხორციელებინათ! აი, ასე მუშაობენ დღეს „ეროვნული" ხელისუფლების დიქტატის ქვეშ მყოფი „ეროვნული" მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი (მცირეოდენი გამონაკლისის გარდა), გამოცდილება, იცოცხლეთ, დიდი აქვთ!

გაზ: "ივერია", 5 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * *

ორი თვის ქრონიკა

თებერვალში ოფიციალური პრესის სამიზნედ იქცა „მხედრიონი", ეროვნული კონგრესი, ცალკეული ქართველი პატრიოტები, განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ნეობოლშევიკური პრესის ყურადღების ცენტრში ილია ჭავჭავაძის მარტს თსუ-ში განზრახული იყო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შეხვედრა, რომელზეც უნდა ემსჯელათ ადამიანის უფლებების იმ სერიოზული დარვევების შესახებ, რასაც ამ ბოლო დროს აქვს ადგილი საქართველოში. ხელისუფლებამ წინასწარ „იზრუნა" და ისევე, როგორც 70-იან წლებში, 1991 წლის გაზაფხული ამ პირველ დღესაც საგულდაგულოდ ჩაურაზა ახალგაზრდობას სააქტო დარბაზის კარი, რათა მათ არ მისცემოდათ საღი, მართალი მსჯელობისა და ურთიერთგაზიარების საშუალება. თსუს რექტორატი, როგორც ჩანს, კვლავაც ერთგულია ბოლშევიკების მმართველობაში შემუშავებული ჩვევებისა, სტუდენტებმა მაინც მოახერხეს დარბაზში შესვლა და მეტად საჭირო სჯაბაასის გამართვა მრავალ საჭირბოროტო საკითხზე, სტუდენტთა წინაშე სიტყვით გამოვიდნენ: ვალერიან ადვაძე, გურამ ყორანაშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი, მაია ნათაძე და სხვები. აუდიტორიამ შეკითხვებით მიმართა დარბაზში მყოფ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს ვ. ცაგარეიშვილს და ა. ბობოხიძეს.

4 მარტს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თაოსნობით ოპერის წინ კვლავ გაიმართა მიტინგი, რომელსაც უამინდობის მიუხედავად ათასობით ადამიანი დაესწრო, მიტინგზე კვლავ მწვავე მსჯელობა გაიმართა

ჩვენში ანტიდემოკრატიული პროცესების ირგვლივ, მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი რეზოლუციები, რომლებიც დაეგზავნა ადრესატებს და გადაიცა დასავლეთში. მიტინგის დასასრულს მომიტინგეებმა საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს სუკის შენობასთან.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მიტინგების, მსვლელობების, პიკეტების და სხვა მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის სხვა ხერხებთან ერთად „საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საგანგებო კომიტეტის" ერთ-ერთი ინიციატორიცაა, რომელშიც პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად, ჩვენი ინტილიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც გაერთიანდნენ. დაიწყო და გრძელდება მასობრივი ხელმოწერები პოლიტპატიმართა განთავისუფლების მოთხოვნით.

8 მარტს, კვლავ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით, ოპერის წინ ჩატარდა მიტინგი, მიტინგის მონაწილეებმა დასასრულს კვლავ სუკის შენობასთან მოაწყვეს საპროტესტო აქცია პოლიტპატიმართა განთავისუფლების მოთხოვნით.

13 მარტს, საზოგადოების თაოსნობით შესდგა ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტის წარმომადგენელთა პრესკონფერენცია, რომელშიც ჩვენი საზოგადოების წევრებთან ერთად (ბ. კაკუბავა, მ. პატარაია, ა. მიქელაძე) მონაწილეობდნენ სხვა კონგრესმენებიც აფხაზეთიდან. პრესკონფერენცია მეტად საინტერესოდ წარიმართა და მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფართო საზოგადოებრიობის სწორი ორიენტაციისათვის აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და აფხაზეთში მოსალოდნელი გართულებების წინასწარი პროფილაქტიკის მიზნით.

15 მარტს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ მორიგი მიტინგი გამართა ოპერის წინ, ჩვენი საზოგადოების მოწოდებაში კერძოდ ნათქვამი იყო: „ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ იოსელიანის, ვეფხვაძის და არა ერთი სხვა პირის დაპატიმრების ნამდვილი მიზეზი ნებისმიერ დიქტატურასთან მათი შეურიგებლობაა. აი, რატომ განახორციელეს მათ წინააღმდეგ პატრიკეევ-გამსახურდიას ერთობლივი აქცია 1991 თებერვალს, როდესაც ისინი ჯერ დამპყრობელთა ჯარმა დაარბია, ხოლო შემდეგ „ეროვნულმა მილიციამ" დააპატიმრა!

თუ საზოგადოებაში ტოტალურმა შიშმა და განუკითხაობამ დაისადგურა, რეპრესიები სულ უფრო და უფრო გავრცელდება და

თვით იმ საზოგადოების წრეების წარმომადგენლებსაც კი გადასწვდება, დღეს რომ დიქტატორის უშუალო გარემოცვას შეადგენენ.

ამავე დღეს, როგორც წესი, ხელისუფლება შეეცადა უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა პრომთავრობისეული მიტინგის მოწყობას მთავრობის სასახლის წინ, მაგრამ ხალხის სიმცირის გამო (დიდი ტელერეკლამის მიუხედავად) ეს მიტინგი, ფაქტიურად, ვერ შედგა. ახალმა მთავრობამ მთავრობის სასახლეს და სუკს რამდენიმე წრედ შემოარტყა ჯერ მილიციას, შემდეგ გვარდიის გაძლიერებული რაზმები. ამ „ეროვნული" ძალების ზურგს უკან იდგნენ უკვე ყველასათვის ცნობილი და "ახლობელი" მომწივანი დედაკაცები, მათ უკან კი, „მრგვალთა" მხარდამჭერი მამაკაცები. ასეთი ოპერატიული ღონისძიების მიუხედავად, საპროტესტო მიტინგმა შესანიშნავად ჩაიარა. მოეწყო მსვლელობა მთავრობის სასახლისაკენ. მომიტინგეები მოითხოვდნენ პოლიტპატიმართა განთავისუფლებას და ადამიანის უფლებების დაცვას.

19 მარტს თსუ ეზოში გაიმართა ჯაბა იოსელიანის მიერ ერთი წლის წინათ გამართული „ურთიერთშეწყნარების, პატიებისა და მიტევების" ღონისძიების ერთი წლისთავისადმი მიძღვნილი თავყრილობა, რომელზეც კვლავ გაისმა დემოკრატიული ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის ბრძოლის მოწოდება.

23 მარტს პოლიტგანათლების სახლში „ადამიანის უფლებების დაცვის საგანგებო კომიტეტმა" მოაწყო მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი შეხვედრა ინტელიგენციასთან, შეხვედრაზე განიხილებოდა: ადამიანის უფლებათა დაცვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების საკითხები, მონაწილეები შეეხნენ აქტუალურ პოლიტიკურ პრობლემებს, დასახეს ეროვნული მოძრაობის კრიზისიდან გამოყვანის გზები, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაფუძნდა „დემოკრატიული ტრიბუნა", რომელმაც თავისის სიტყვა უნდა თქვას მომავალში ჩვენს წინაშე არსებული მწვავე პრობლემების მოგვარების საქმეში. საზოგადოება აღმოჩნდა , ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გაზეთ „კომუნისტის" „სახელოვანმა" მემკვიდრემ – „საქართველოს რესპუბლიკამ".

გაზ: "ივერია", 5 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით 1991 წლის 4 მარტს გამართული მიტინგის რეზოლუცია № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ხელისუფლება აშკარა ძალადობასა და დევნის გზას ადგას. დაიწყო ნამდვილი ტერორი და რეპრესიები, მათი მთავარი სამიზნე ამჟამად „მხედრიონი" და ქართველ მაშველთა კორპუსია, ხოლო უახლესი—ეროვნული კონგრესი. ხელისუფლებას ოპოზიციისა და საერთოდ განსხვავებული აზრისადმი ნამდვილი პოლიტიკური ალერგია სჭირს და, როგორც ამაში დავრწმუნდით, იგი აშკარა შეურაცხყოფასა და ცილისწამებასთან ერთად, ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც არ ერიდება, როგორც ჩანს, პატრიოტული გაერთიანება „მხედრიონი" და მისი ლიდერი პროფესორო ჯაბა იოსელიანი მუდამ ხელს უშლიდა „მრგვალ მაგიდას"— ეთნოკრიზისების გაღვივებაში, ადამიანი უფლებათა ხელყოფაში, დემოკრატიის აბუჩად აგდებაში, ცალკეულ პიროვნებათა დევნა—შევიწროებაში, მცდარი იდეოლოგიის დანერგვაში და ა.შ. მართლაც, „მხედრიონი" მისი ორგანიზებულობითა და ტრადიციულ ქართულ სამხედრო ჩვევებთან სიახლოვის გამო აშკარად უპირისპირდებოდა როგორც ოკუპანტებს, ისე უზენაეს საბჭოში შემავალ პოლიტიკურ ძალებს. აკი მათ განახორციელეს კიდეც ერთობლივი წარმატებული ოპერაცია მაშველთა კორპუსისა და „მხედრიონის" წინააღმდეგ—ჯერ შავნაბადაზე, ხოლო შემდეგ მთელი საქართველოს მასშტაბითაც.

რაოდენ ცინიკურად ჟღერს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით პათეტიკური გამოსვლები "მხედრიონის" უვნებელყოფის თაობაზე, მტრისაგან შევიწროებული და დევნილი ათიათასობით დაუცველი ქართველი ლტოლვილის ფონზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული კამპანია საკავშირო და რესპუბლიკური ხელისუფლების წინასწარდასახული გეგმითა და შეთანხმებით ხორციელდებოდა. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ხელისუფლების მიერ „მხედრიონის" საშშვიდობო ინიციატივების სისტემატური უარყოფა. საკმარისია გავიხსენოთ „მხედრიონის" განცხადება სპეციალური კომისიის შექმნისა, რომელიც მას გარკვეულ ადგილს მიუჩენდა დღეს არსებულ სტრუქტურებში, ან მისი განცხადება შიდა ქართლში მდგომარეობის

მოწესრიგების თაობაზე, რომელშიც იგი კისრულობდა ქართველების დაცვას შიდა ქართლში. ყველაზე კურიოზული მაინც ისაა, რომ ხელისუფლება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საბჭოთა არმიას არ მიიჩნევს უკანონო შეიარაღებად, ხოლო „მხედრიონს" კი კანონგარეშე აცხადებს. უფრო მეტიც, იგი წარმატებით იყენებს ოკუპანტებს ქართველი ახალგაზრდობის წინააღმდეგ ბრძოლაში, განა ეს ჭეშმარიტი მამულიშვილობაა?

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „მხედრიონის" დარბევა წარმოადგენს არა კრიმინალებისა და ყაჩაღების განიარაღებას, როგორც ცდილობს ამაში დაგვარწმუნოს ხელისუფლებამ, არამედ ესაა ნამდვილი პოლიტიკური ტერორი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ესაა ოპზიციის განადგურების მცდელობა, ამდენად, დაპატიმრებული ჯაბა იოსელიანი, ზაზა ვეფხვაძე და სხვები სისხლის სამართლის დამნაშავენი კი არ არიან, არამედ ნამდვილი პოლიტპატიმრები. სწორედ ამიტომ მიტინგი მოითხოვს ყველა პოლიტპატიმრის განთავისუფლებას, რამეთუ პოლიტპატიმრებით ავსებული ციხეებით საქართველო ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას ვერ მიაღწევს. ჯაბა იოსელიანის და სხვათა განთავისუფლება წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ეროვნული თანხმობის მისაღწევად საქართველოში.

ღვთისმშობელი ჰფარავდეს მის წილხვედრ საქართველოს.

1991 წლის 4 მარტი.

გაზ: "ივერია", 5 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

რეზოლუცია № 2

საქართველოში დღეს შექმნილი განსაკუთრებული მძიმე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარება—ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი ნიშნების შენარჩუნება—განვითარება, ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა; მოჩვენებითი დამოუკიდებლობა და სინამდვილეში იმპერიულ სტრუქტურებზე უფრო დიდი დამოკიდებულება; მწვავე ეთნიკური კრიზისები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რბევა; სრულიად მოშლილი ეკონომიკური სისტემა და ხელისუფლების მცდარი ეკონომიკური კურსი,

რომელიც ლენინური „სამხედრო კომუნიზმის" პოლიტიკას უფრო წააგავს; ინფლაცია და ფასების განუხრელი ზრდა, რაც [illegible] სად მძიმე მდგომარეობაში აყენებს ქვეყნის მოსახლეობას, საჭიროებს [illegible] მოგვარება მოითხოვს.

ამ მიზნით მიტინგის მონაწილენი მოითხოვენ:

1. უზენაესმა საბჭომ სასწრაფოდ გააუქმოს კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა არმიის სადამსჯელო მოქმედებას აკანონებს. ამასთან, შეწყდეს ცეცხლი და სისხლისღვრა შიდა ქართლში, ხელისუფლებამ დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკება, რათა საბოლოოდ გაირკვეს ჩვენი დამოკიდებულება საქართველოში მოსახლე ოსებთან. შეიქმნას პოლიტიკური და მატერიალური პირობები შიდა ქართლიდან აყრილი ათიათასობით ქართველი ლტოლვილის უკან დასაბრუნებლად. ერთდროულად, ხელისუფლებამ უნდა გაარკვიოს დამოკიდებულება მის მიერვე ხელდასმულ აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან და აცნობოს ამის შესახებ ფართო საზოგადოებრიობას.

2. შეწყდეს საქართველოში ადამიანის ელემენტარული უფლებების სისტემატური დარღვევები და ხელისუფლებისაგან განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ადამიანთა დევნა–შევიწროება. საქართველოს მთავრობამ შეასრულოს ჰელსინკის, მადრიდისა და ვენის საერთაშორისო ფორუმებზე მიღებული გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

3. შეწყდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საქართველოს ტერიტორიაზე ქართველებსა და სხვა ერის წარმომადგენლების, აგრეთვე თავად ქართველთა შორის ეროვნული და სოციალური სიძულვილის ხელოვნური გაღვივება, მოსახლეობის ურთიერთწაკიდების კამპანია, აღიკვეთოს კომუნისტური და ფაშისტური რეჟიმისათვის დამახასიათებელი სპეკულაცია „მშრომელთა წერილებითა" თუ „მოთხოვნებით", რასაც მშრომელი ადამიანის ინტერესებთან საერთო არაფერი აქვთ და სინამდვილეში მხოლოდ დიქტატურის განმტკიცებას უწყობს ხელს.

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

გაზ: "ივერია", 5 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო იზოლატორის უფროსი, პოდპოლკოვნიკი ტარიელ დილიბაზაშვილი ტელედებატებში იწვევს გიორგი ჭანტურიას

ამას წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა დოკუმენტები თქვენი პირადი საქმიდან (№132), რომელიც ინახება სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, თქვენ წერილობით განაცხადეთ იმავე გაზეთში, რომ ეს დოკუმენტები ყალბია და ჩვენს მიერ შეთითხნილი, რომ თქვენ პატიმრობის დროს არ დაგიწერიათ განცხადება სამეურნეო ნაწილში სამსახურის მოთხოვნით და არ დაგვინიშნავს თქვენთვის ჯამაგირი (70მან.) ამასთან დაკავშირებით მე და ჩემი თანამშრომლები გიწვევთ ტელედებატებში უახლოეს დღეებში და თუ თქვენ არ გამოცხადდებით, გამოვალთ ტელევიზიით და ვამხელთ თქვენს ურცხვობას და ცილისწამებას ჩვენზე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო იზოლატორის უფროსი, პოდპოლკოვნიკი

ტარიელ დილიბაზაშვილი.

1991 წელი, 4 აპრილი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა", 5 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ

ძვირფასო მკითხველო, დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარია ბატონი ზვიად გამსახურდია. ჩვენს ინტერვიუში საუბარი არ იქნება არც პოლიტიკაზე, არც ეკონომიკაზე, არც სამომავლო პროგნოზებზე. ჩვენი მიზანია უფრო ახლოს გაგაცნოთ ზვიად გამსახურდია, როგორც პიროვნება, ოღონდ ერთი თხოვნა გვექნება: დავარღვიოთ ტრადიცია და არაორდინალურ პიროვნებებს დავუმეგობრდეთ არა იმისათვის, რაც მათ შეუძლიათ მოგვცენ, არამედ იმისათვის, რაც ჩვენ შეგვიძლია მათ ვუწილადოთ.

— ბატონო ზვიად! მამაჩემისაგანაც და უფრო ხანდაზმული ადამიანე-

ბის წრეშიც ხშირად მსმენია ერთი ამბავი: 1957 წელს, უნივერსიტეტის პირველკურსელებისათვის რუსული ენის პედაგოგს, ბატონ გიორგი მდივანს: თავის თავი რუსულ ენაზე წარუდგენია, წამომდგარა ერთ-ერთი სტუდენტი და მოუთხოვია მას ეს ქართულ ენაზე გაეკეთებინა... იმ დღიდან ბევრმა წყალმა ჩაიარა. რა აკავშირებს პირველკურსელ ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას?

— პირველად რომ დამაპატიმრეს ჩვიდმეტი წლის, მე11 კლასის მოსწავლე ვიყავი. ჩემი საქმე ასაკოვან, „გამობრძმედილ" გამომძიებელს ჩააბარეს. როდესაც საქართველოს თავისუფლებაზე, იმპერიიდან თავის დახსნაზე, ეროვნულ აღორძინებაზე ჩემი შეხედულებები მოისმინეს, ბევრი იცინეს. ბოლოს მითხრეს, გეტყობა, რომ ბავშვი ხარ, დარწმუნებული ვართ, ასაკთან ერთად ჭკუაც მოგემატება, გონს მოეგები და ასეთ რაღაცეებზე ფიქრს სამუდამოდ თავს დაანებებო. თქვენ კარგად იყავით და ოთხმოცი წლისაც ივივეზე ვიდარდებმეთქი,—არ ჩამოვრჩი „უფროსებს". მართალი მითქვამს! აგერ 52 წლის გავხდი და ზუსტად ისე მწყურია საქართველოს დამოუკიდებლობა, თავისუფლება, როგორც მაშინ! ჩემს სიყმაწვილესთან ალბათ უპირველესად ეს მაკავშირებს.

— წარმოუდგენელია, რომ თქვენ და თქვენს თანამოაზრეებს მაშინ ხელისუფლების თავში მოქცევაზე გეფიქრათ. მით უმეტეს, კარგად უწყოდით, რომ დასჯის გარდა არაფერი გელოდათ.

— მართალს ბრძანებთ, ხელისუფლების თავში მოქცევაზე არასოდეს მიოცნებია, არც მდომებია. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ჩემი საქმიანობისათვის მხოლოდ დავისჯებოდი. ჩემი დღევანდელი თანამდებობაც მხოლოდ ვითარებამ განაპირობა. ერის ნებამ განსაზღვრა. ამ სავარძელში ჯდომას არასოდეს ვესწრაფოდი და ეს ჩემს გარშემო მყოფმა ადამიანებმა კარგად იციან.

— წარსულში თქვენი დევნისა და შევიწროების ამბავი ყველამ იცის, მაგრამ კონკრეტული ფაქტები უცნობია. იქნებ მოკლედ მოგვითხროთ, თუნდაც თქვენს პირველ პატიმრობაზე, გადასახლების წლებზე.

— პირად არქივში ჩემი დევნისა და შევიწროების ზღვა მასალა დამიგროვდა. ამ მასალას უეჭველად გამოვამზეურებ. პატიმრობაში, გადასახლებაში ყოფნისას ნანახს, განცდილსა და გადატანილს ხალხი შეიტყობს. ჩემს გატეხვას იმპერია ყოველნაირად ცდილობდა.

არაფერს თაკილობდა, რათა მრწამსი შემეცვალა, ბრძოლაზე ხელი ამეღო. მართალია, ტაქტიკური თვალსაზრისით გარკვეული უკანდახევები მქონდა, მაგრამ ჩემი იდეალებისთვის არასოდეს მოღალატია, ბრძოლა არ შემიწყვეტია და საქართველოს მომავალზე ფიქრი არასოდეს გადამიდვია.

— ჰომო ჰიბეერთავისუფალი ადამიანი, როგორია იგი თქვენთვის?

— თავისუფლება მეტაფიზიკური ცნებაა და ბევრი მას საკუთარი თავის მილმა ეძიებს. თავისუფალი ადამიანი კი სინამდვილეში ისაა, ვინც სინდისის წინაშე მართალია. სინდისის კარნახით ცხოვრობს, იღწვის და გარემოებებსა თუ სხვის დიქტატს არ ეპუება. ასეთ ადამიანს ვერაფერი დაიმონებს, იგი მუდამ თავისუფალია.

— ხალხში მოარული ერთი ნახევრად სიმართლე, ნახევრად ანეკდოტი მინდა მოგიყვეთ: მოქეიფე ქართველებს სანუკვარი სურვილის სადღეგრძელოს თქმა გადაუწყვეტიათ. ზოგმა ქონება ინატრა, ზოგმა ულამაზესი ქალები. ბოლოს სუფრასთან მჯდარი ერთი სომეხი გახსენებით და მისთვისაც უკითხავთ, რას ინატრებდიო. საქართველოს დამოუკიდებლობასო! უთქვამს მას. ეს სარკაზმი არ გაშინებთ?

— ჰმ, სომეხი მეგობარიც ბევრი გვყავს და ნაკლებად მოკეთეც. რაც შეეხება ქართველს, ასეთები, ჩემი ღრმა რწმენით ცოტანი არიან, ისინი სუფთა ქართველები არ იქნებიან.

— 1990 წელს, არჩევნების წინ, ერთი თქვენი დავალება შევასრულე. მუშაობის პროცესი კარგად მახსოვს, თქვენი მაქსიმალური მომთხოვნელობა და სიმკაცრე ბევრ თქვენს მომხრეს ხომ არ აშინებს? ანუ, უფრო მეტიც, ბევრ ერთგულსაც ხომ არ გაკარგვინებთ?

— მომთხოვნელობას რაც შეეხება, ჭეშმარიტებასთან ახლოს ხართ. სიმკაცრისა კი რა მოგახსენოთ. ჩემი სიმკაცრე უფრო ვიზუალურია. პირიქით, იცით, სიმკაცრე კიდეც მინატრია. აუცილებელ სიმკაცრეს ხშირად ვერ ვიჩენ და ამ მიზეზით ბევრი რამ წამიგია... განსაკუთრებით უზენაეს საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნისას.

— საქართველოს დღევანდელი და 1918-1921 წლების მდგომარეობის მსგავსებაზე ბევრს ლაპარაკობენ. ჩემი აზრით, მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპული სხვაობა ისიცაა, რომ ნოე ჟორდანიას მთავრობა ათეისტური იყო.

— გეთანხმებით, ნოე ჟორდანიას მთავრობის უმთავრესი შეცდომა ის იყო, რომ მარქსისტული ათეიზმი ირწმუნა, ულალატა ილიას

ჭეშმარიტი ღვთისმოსაობისა და პატრიოტიზმის გზას, ამან დალუპა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ქართველ ხალხს მრავალსაუკუნოვანი მსოფლმხედველობა შეურყია. მე მათ გზას სიმბოლურად „ბარაბას" გზა ვუწოდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უნივერსიტეტის სტუდენტები, როგორც ჩანს „პირველების" სტუმრობას შეეჩვივნენ და, რამდენადაც ვიცი, უკანასკნელი ექსცესის ერთი ერთი მიზეზთაგანი ის იყო, შეხვედრაზე ზვიად გამსახურდია რატომ არ მოვიდაო.

— სტუდენტების ერთი ჯგუფის განწყობას მთელ უნივერსიტეტს ნუ მივაწერთ. ეს ჯგუფი ე.წ. „კანონიერი ქურდების" კულტს ნერგავს. მას სათავეში ზოგიერთი ლექტორი უდგას, რომლებსაც მოსკოვის ჯაშუშებს ვუწოდებდი. მათი მიზანია ჩვენი ახალგაზრდები კრიმინალებად და ნარკომანებად აქციონ, ასეთები ხომ ნაკლებად საშიშნი იქნებიან მოსკოვისთვის. ახალგაზრდების გახრწნას, გადაგვარებას არავის დავანებებთ. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში „კანონიერი ქურდების" და მაფიების ადგილი არ არის. დავით აღმაშენებლის და რუსთაველის ქვეყანაში ისინი ვერ იბოგინებენ.

— გამომცემლობა „საქართველომ" გამოსცა ბოდლერის თქვენეული თარგმანი. ეს კონკრეტული ავტორისადმი სიმპათიაა, თუ ლიტერატურული მიმდინარეობით „გახელება" (ტოლსტოის შექსპირი „ახელებდა"), რომელსაც ბოდლერი ეკუთვნის.

— რაც შეეხება ბოდლერს, ეს ახალგაზრდობის დროინდელი თარგმანებია. მე ისინი დავხვეწე და გამოვეცი, რათა ხალხს ჩემი, ასე ვთქვათ, ლიტერატურული ბიოგრაფიის კიდევ ერთი ფაქტი სცოდნოდა. ბოდლერი სიმბოლისტების სულიერი მამა იყო, ხოლო სიმბოლიზმმა რა გამოძახილი ჰპოვა ქართულ ლიტერატურაში ყველას კარგად მოეხსენება. გარდა ამისა, მინდოდა მკითხველი ამ შესანიშნავი ავტორის სულიერ სამყაროს გასცნობოდა.

— დაისტამბა აგრეთვე თქვენი წიგნი, რომელშიც გენიალური „ვეფხისტყაოსანი" სრულიად ახლებურადაა წაკითხული. პროფესიონალ ლიტერატორებთან საუბარში წინასწარი ვარაუდიც გამოითქვა, რომ იგი ისეთივე რევოლუციური იქნება, როგორც თავის დროზე იოანე—ზოსიმეს "ქებაი"ს ახლებური გააზრება.

— ჩემს ნამუშევარზე მე თვითონ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მიზანი მართლაც რევოლუციური მქონდა. სასურველი იქნებოდა, რომ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნთან დაკავშირებით რუსთველოლოგებმა თავიანთი აზრი გამოთქვან.

— „მთვარის მოტაცების" რეალური მსოფლმხედველობა საკვანძო მომენტში გამოჩნდა: „ახალი ხელისუფლების" წარმომადგენელი საკუთარი ხელით კლავს მამას... დიდოსტატს იგი შეაცვლევინეს. ეს პირველი და უკანასკნელი ძალადობა არ ყოფილა.

— „მთვარის მოტაცების"საკვანძო მომენტი — „ახალი ხელისუფლების" წარმომადგენლის მიერ საკუთარი მამის მოკვლის ეპიზოდი, მამაჩემის უკითხავად შეცვალეს. ყველაზე აღმაშფოთებელი სწორედ ეს იყო. ავტორის დაჟინებული პროტესტებიც არ იღეს ყურად. საბედნიეროდ, ჩვენ შევძელით ამ წიგნის პირვანდელი სახით გამოცემა.

— თქვენი ბიბლიოთეკის უძვირფასესი წიგნი დაგვისახელეთ.

— ჩემი ბიბლიოთეკის უძვირფასესი წიგნია ბიბლია, სახარება, იესო ქრისტე.

— უცხოელს საქართველოში, უპირველესად რის ნახვას ურჩევდით?

— უცხოელს საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, თბილისის, ქუთაისისა და გელათის შემდეგ, ჩვენი წმინდა ადგილების დათვალიერებას ვურჩევდი.

— ბატონი მერაბი, მისივე თქმით, თქვენი „ქრისტესმიერი ძმა", მოახლოებულ... დღეს როგორ მოგილოცავდათ?

— მერაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, საქართველოში დღეს სულ სხვა ვითარება იქნებოდა. მერაბი ძალზე დააკლდა ეროვნულ მოძრაობას, მთელ საქართველოს და ყველაზე მეტად—მე. დიახ, ყველაზე მეტად—მე.

— გაგვიმხილეთ რაიმე ისეთ, რაც ჟურნალისტებისთვის ჯერ არ გითქვამთ.

— რა გაგიმჟღავნოთ? იმპერია სამაჩაბლოში ჯარის შემოყვანას, ახალ სისხლისღვრას გეგმავს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ეს არ დავუშვათ. მაპატიეთ, რომ სასიხარულოს ვერაფერს გეუბნებით.

გაზ: „რესპუბლიკა", 9 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის 1991 წლის 10 აპრილს

ეს ბატონ ზვიად გამსახურდიას პირველი პრესკონფერენცია იყო მას შემდეგ, რაც უზენაესმა საბჭომ მიიღო აქტი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. გთავაზობთ საუბრის ძირითად მომენტებს.

— როგორ შეხვდა კრემლი საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე?

— ჯერჯერობით დეზინფორმაციის ნიაღვარმა იმატა, და მეტი არაფერი. ავრცელებენ ხმებს, თითქოს მე აჭარის ავტონომიის გაუქმება გამომეცხადებინოს. და ეს იმ დროს, როდესაც სრულიად მკაფიოდ და საქვეყნოდ ითქვა დაიბეჭდა კიდეც, რომ აჭარის ავტონომიის ბედი იქაურთა რეფერენდუმმა უნდა გადაწყვიტოს.

— რესპუბლიკის სტატუსის შეცვლამ, როგორც ჩანს, ცენტრთან ურთიერთობის ფორმაც უნდა შეცვალოს. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ამბებს, რომლებიც ამ ბოლო ხანს ხდება სამაჩაბლოში...

— გუშინ იქ ყოვლად აღმაშფოთებელი ამბები მოხდა. სოფელ ოქონაში საბჭოთა ჯარები თავს დაესხნენ ქართველ მილიციელებს. განაიარაღეს და დააპატიმრეს ოცზე მეტი კაცი, რომლებიც ჯერაც არ გაუთავისუფლებიათ. ქართული მილიცია განაიარაღეს თამარაშენშიც. ჯარები ერედვშიც შეცვივდნენ, მაგრამ იქ მილიცია არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ პროკურორის ოთახი დაარბიეს. წაიღეს იმ ოსი ბანდიტების საგამოძიებო ნივთმტკიცებანი რომლებმაც ხალხი დაწვეს. იყო ისეთი ფაქტებიც, როცა არმია ცეცხლს უშენდა მშვიდობიან მოსახლეობას. იგი ნამდვილი აგრესორივით იქცევა და უხეშად არღვევს ჩვენს სუვერენიტეტს.

— როგორია თქვენი პოლიტიკური პროგნოზი უახლესი მომავლისათვის?

— ახლა პროვოკაციებს უნდა ველოდოთ. მით უმეტეს, რომ შიდა ქართლის ამბებზე ინფორმაციასთან ერთად მოსკოვიდან სხვა ამბებიც

მოდის. მაგალითად, სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრმა პუგომ გამოგვიგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ თითქოს „უკანონო" იყოს ჩვენი შინაგანი ჯარების–ეროვნული გვარდიის შექმნა; იგი იმეორებს სსრკ პრეზიდენტის ბრძანებულებას უკანონო სამხედრო ფორმირებათა დაშლის შესახებ. ერთი სიტყვით, დიდმასშტაბიან პროვოკაციებს უნდა ველოდოთ. არც პირდაპირი ინტერვენციაა გამორიცხული.

– ცენტრის რეაქცია რომ ნეგატიური იქნებოდა, ამას ლაპარაკი არ უნდა. რა შეგვიძლია ამას დავუპირისპიროთ, რა რეზერვები გვაქვს?

– ნებისმიერ ოკუპირებულ ქვეყანას, მით უმეტეს სსრ კავშირში შემავალს, ერთადერთი რეზერვი აქვს–ცენტრის პოლიტიკას მძლავრი საპროტესტო მოძრაობა უნდა დავუპირისპიროთ, პრეზიდენტი, სახელმწიფოს ხელმძღვანელი ეს აუცილობელი პირობაა.

– რა არის პარიზში გიორგი ხოშტარიას ჩასვლის უმთავრესი მისია?

– ჩასვლის მიზანია ქვეყნებს გააცნოს მართალი ინფორმაცია ჩვენში მიმდინარე პროცესებზე. გარდა ამისა, კონტაქტები დამყარდება საფრანგეთის ოფიციალურ წრეებთან.

– როგორ არის დასავლეთის სახელმწიფოთა მხრივ ეკონომიკური დახმარების საქმე?

– პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მნიშვნელოვან კრედიტებს მოველით, სხვაგვარადაც დაგვეხმარებიან.

– ხომ არ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვითხრათ წამოწყებულ გაფიცვაზე?

– რაც შეეხება საქართველოს რკინიგზას, მისი გაფიცვა დამბლას დასცემს საბჭოთა კავშირის რკინიგზის დიდ ნაწილს–ადლერიდან დონის როსტოვამდე. ბათუმსა და ფოთის ნავსადგურების გაფიცვასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ აქედან გააქვს საბჭოთა კავშირს საექსპორტო ნავთობი და ქვანახშირი.

– ამას წინათ, ლიტვა ზოგიერთ საერთაშორისო ხელშეკრულებას შეუერთდა. მაგალითად, ადამიანის უფლებების დეკლარაციას და ა.შ.

– მაგას ჩვენც აუცილებლად ვიზამთ.

– დღეს სრულიად აშკარაა ბორის ელცინისა და მიხეილ გორბაჩოვის დაპირისპირება. როგორ გგონიათ, რით დამთავრდება ეს?

– ეგ დაპირისპირება მალე ელცინის გამარჯვებით დამთავრდება. ცენტრი სულ უფრო კარგავს თავის მნიშვნელობას. თუ, რა თქმა უნდა, მემარჯვენე ძალებმა რაიმე გადამწყვეტი არ იღონეს, ვთქვათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო გადატრიალება. ან გორბაჩოვი რომელიმე რეაქციონერმა არ შეცვალა.

— როგორ უყურებთ იმას, რომ, თურმე, საბჭოთა კავშირში საშუალო ხელფასი ექვსი დოლარი ყოფილა?

— ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ დავაჩქაროთ ეროვნული ვალუტის შექმნის პროცესი.

— ბალტიისპირა რესპუბლიკებში მიიღეს კანონები ეროვნულ უმცირესობათა შესახებ. რა კეთდება ამ მხრივ საქართველოში?

— ჩემთვის ეს გაუგებარია. ელცინს გავუგზავნე საპასუხო დეპეშა, რომელშიც ვწერდი „სამხრეთ ოსეთის" შესახებ საბჭოური წყაროების ინფორმაციას ნუ დაეყრდნობითმეთქი. რეალური ფაქტების საფუძველზე ერთხელ კიდევ დავუმტკიცე, რომ ყოფილ სამხრეთ ოსეთში სწორედ ქართველ მოსახლეობას ესხმიან თავს. ამის შემდეგ, რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ტელეფონით ვესაუბრეთ. კვლავ დადასტურდა, რომ კარგად გვესმის ერთმანეთისა. ამ ცოტა ხნის წინათ ინტერვიუში მან კვლავ დაადასტურა, რომ რაზეც ყაზბეგში მოვრიგდით, ძალაში რჩება.

— როგორ გაიმართება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები.

— ეს იქნება საყოველთაო სახალხო არჩევნები.

— როგორ დაახასიათებდით ელცინს?

— მისთვის პოპულიზმის დაბრალება კრემლიდან, მისი ხელმძღვანელობიდან მოდის, რომლებიც ხალხს სძულს. ეს შურია. ხალხი კი უმიზეზოდ, უსაფუძვლოდ არავის შეიყვარებს. ელცინი სადა, გულღია კაცია, განსაკუთრებით საუბრის დროს, უბოროტოა, არავითარი დიქტატორული მიდრეკილებანი არა აქვს. პატიოსანი კაცია, მაგრამ, როგორც ჩანს, მის გარემოცვაში არიან ადამიანები, რომლებიც ხშირად ჯიუტად მოითხოვენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მის ბუნებას არ შეესაბამება. სხვათა შორის, ამას ადასტურებს რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობის ჩარევაც საქართველოს საქმეებში. გორბაჩოვისადმი მიმართვაც, რომელშიც სთხოვდნენ წესრიგი დაემყარებინა ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში. მიმართეს გორბაჩოვს, რომლის გადადგომასაც თვით ელცინი მოითხოვს?! პარადოქსია!

— საქართველოს ახალი კონსტიტუციის შექმნისას თუ დაეყრდნობით დასავლური ქვეყნების კონსტიტუციებს?

— ალბათ, არ იცით, რომ ჩვენში უკვე მიღებულია დამოუკიდებელი

დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია. სწორედ ის დაედება საფუძვლად ახალ კონსტიტუციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს ცხინვალში ბრძანდება გენერალი შატალინი. ხომ არ გიცდიათ მასთან დიალოგი? და კიდევ: საძრახისად ცნობილ კიმ ცაგალოვს თქვენთან მოლაპარაკება მოუსურვებია. თქვენ რას იტყოდით?

— თავად შატალინს არ სურს ჩვენთან არავითარი კონტაქტები, მაშასადამე არც ჩვენ გადავდგამთ ნაბიჯს. საერთოდ კი ადრე იყო ჩემთან. განაცხადა, თქვენ მართალი ხართ, კონფლიქტი ოსმა ექსტრემისტებმა წამოიწყესო. გამიკვირდა კიდეც, ახლა კი სხვაგვარად მოქმედებს, მაშასადამე, ახალი ინსტრუქციები მიუღია. რაც შეეხება ცაგალოვს, ეგ ლიდერი არ არის. ეგ გენერალი, უფრო სწორედ გაფილოსოფოსებული ექსტრემისტი, კარგს არაფერს აკეთებს, ადამიანთა მცირე ჯგუფი უჭერს მხარს და მასთან მოსალაპარაკებელი არაფერი მაქვს. იქ ოსთა რამდენიმე დაჯგუფებაა და ერთმანეთში დავობენ, გავლენის სფეროები ვერ გაუყვიათ.

— საქართველოს დამოუკიდებლობისათვის აუცილებელია გორბაჩოვის კრახი, თუ სხვა ვარიანტებიც არსებობს, მაგალითად, მოლაპარაკება?

— მოლაპარაკების არავითარი საშუალება არა გვაქვს, მით უმეტეს, რომ ცენტრი კვლავ დიქტატურის პოლიტიკას ადგას. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ იმპერიისა და გორბაჩოვის კრახი ახლოა—აი, ეს იქნება საქართველოს ფაქტობრივი თავისუფლების დასაწყისი.

— შეიძლება თუ არა ლაპარაკი საბჭოთა კავშირთან ეკონომიკურ ომზე და შეძლებს თუ არა საქართველო ასეთ ომში გამარჯვებას?

— საქართველოში დემოკრატიული არჩევნები სწორედ ეკონომიკურ ომში გამარჯვების შემდეგ გაიმართა, როცა რკინიგზა ჩაიკეტა ადლერიდან როსტოვამდე. ცენტრმა მხოლოდ იმ გაფიცვის შემდეგ დათმო პოზიციები და დაუშვა ჩვენში დემოკრატიული არჩევნები. დღეს კი, რა თქმა უნდა, გვაწუხებს, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, გარკვეულ მიზეზთა გამო, ზარალს მივაყენებთ სომხეთს. ჩვენ გავაფრთხილეთ და ბოდიში მოვუხადეთ ბატონ ტერპეტროსიანს. ზარალს ჩვენც ვნახავთ, რა თქმა უნდა ნაწილობრივ აზერბაიჯანიც და თვით ყაზახეთიც, მაგრამ განსაკუთრებით სომხეთი დაზარლდება. მაგრამ რა ვქნათ, სხვა გამოსავალი არა გვაქვს. ფაქტობრივად საომარი მდგომარეობაა. მაშასადამე უნდა გავძლოთ. ისე კი ვიტყვი, გაფიცვის დაწყება ჩვენი ბრალი არ არის. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაობის, ხალხის წარმომადგენლებმა, კერძოდ „მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველოს" ბლოკის ორგანიზაციების ეროვნული კომიტეტებმა შემოგვთავაზეს.

– როგორ გესახებათ გორბაჩოვის პოლიტიკური პორტრეტი?

– გორბაჩოვმა გარდაქმნა მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ საკუთარი ხელისუფლების განმტკიცება უნდოდა, ეს არის მთავარი. ძალაუფლების გულისთვის არაფერს არ თაკილობს. მიხვდა, დაინახა რა კრახი მოელით მას და მის იმპერიას, სწორედ ამიტომ გაითამაშა „გარდაქმნის" სპექტაკლი.

– გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან პასუხი ხომ არ მიგიღიათ თქვენს მიმართვებზე და პეტიციებზე?

–სამწუხაროდ, ჯერ არა. ჯერჯერობით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მხოლოდ აზია –აფრიკის ქვეყნებისათვის არსებობს და არა საბჭოთა კავშირის დამონებული ხალხებისათვის. ჩვენთან კონტაქტებს ისე აფასებენ, როგორც საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში ჩარევას.

– როგორ გამოეხმაურნენ კუზბასელი მუშები დახმარებას, რომელიც ამას წინათ გაუწიეთ?

– მადლობის დეპეშებს ვიღებთ. მხარი დაგვიჭირეს და მიაჩნიათ, რომ საერთო მიზანი გვაქვს–ბრძოლა კომპარტიის მონოპოლიის წინააღმდეგ და არსებული დანაშაულებრივი სახელმწიფო სტრუქტურებში წინააღმდეგ.

– გამოითქვა იდეა, რომ მოეწყოს მიერთებული სახელმწიფოების კონფერენცია და შეიქმნას ამ რესპუბლიკების საკონფერენციო საბჭო...

– დიახ, არის ასეთი იდეა. კიშინიოვში უნდა გამართულიყო შეხვედრა, მაგრამ გადაიდო.

– როგორ გამოეხმაურება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი?

გუშინ მოგვილოცა

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
13 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ლ. ტერ-პეტროსიანის მილოცვა

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარე! ვულოცავთ საქართველოს რესპუბლიკის ხალხს დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს აღდგენისათვის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებს და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხალხების ტრადიციული მეგობრობა აისახება საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის განვითარების ახალ ისტორიულ ეტაპზე.

სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ტერპეტროსიანი.
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
13 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის განცხადება

1991 წლის 9 აპრილს, როგორც ცნობილია, საქართველოს უზენაესმა საბჭომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ჩვენ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება ე.წ. ლიტვური გზის მიმართ და ამჯერად აღარ გავიმეორებთ, თუ რატომ მიგვაჩნია „დამოუკიდებლობის დეკლარაციები" მიზანშეუწონლად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

სამაგიეროდ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო და მოწონება დაიმსახურა უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ საქართველოს დეოკუპაცია ეროვნული დაუმორჩილებლობის გზით უნდა განხორციელდეს.

სრული კატეგორიულობით ვაცხადებთ, რომ მიუხედავად პოზიციების სხვაობისა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით, ასევე უაღრესად დაძაბული დამოკიდებულებისა ჩვენსა და ოფიციალურ ხელისუფლებას შორის, საქართველოს ეროვნულ-

დემოკრატიული პარტია საქართველოს უზენაეს საბჭოს ყველანაირად ხელს შეუწყობს ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელებაში და საქართველოს დამპყრობლებისაგან განთავისუფლებაში. ... თქმა უნდა, უზენაესი საბჭო სერიოზულად აპირებს ჩვენი რეალური დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე შედგომას.

ჩვენთვის მთავარია არა ის, თუ ვინ გაათავისუფლებს საქართველოს, არამედ ის, თუ როდის განთავისუფლდება ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო. საქართველოს განთავისუფლების ერთადერთ საშუალებად კი სწორედ ეროვნული დაუმორჩილებლობა მიგვაჩნია, რამეთუ მსგავსი მოვლენები აჩქარებს იმპერიის რღვევის პროცესს, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მოჰყვეს შედეგად.

დაუმორჩილებლობის გზით—ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ!

ღმერთი შეეწიოს მებრძოლ საქართველოს!

(გაერთიანებული) ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი.

* * * * * * * * * * * * *

„მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადება

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აცხადებს, რომ იგი, მიუხედავად დაპირისპირებისა, მომავალში მხარს დაუჭერს უზენაეს საბჭოს ეროვნული დაუმორჩილებლობის შემთხვევაში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ასეთი განცხადება განცვიფრებას იწვევს, ვინაიდან საქართველოში ეროვნული დაუმორჩილებლობა უკვე დიდი ხნის დაწყებულია, რისი უმძლავრესი გამოვლინებაც იყო 4-9 აპრილის მოვლენები, შემდგომი დიდ გაფიცვები და აქციები, სამტრედიის რკინიგზის აქცია გასული წლის ივლისისა, რომელმაც აიძულა კრემლი საქართველოში დაეშვა თავისუფალი არჩევნები, გარდა ამისა თვითონ არასაბჭოური დემოკრატიული არჩევნები, კომუნისტური რეჟიმის გაუქმება, ახალი წყობილების შექმნა საქართველოში და ბოლოს დამოუკიდებლობის გამოცხადება—ეს ყოველივე ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოვლინებაა.

რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, იგი არათუ მხ-

არს უჭერდა მრგვალ მაგიდას ბოლო აქციებში, არამედ გამუდმებით ებრძოდა და ცდილობდა მისთვის სახელის გატეხვას. ასე რომ, ახლა საჭვოა ჩვენთვის მისი მხრით რაიმე მხარდაჭერა ეროვნული დაუმორჩილებლობის შემდგომ აქციებში.

მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები.

1991 წლის 11 აპრილი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 13 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა საბჭოს განცხადება საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე ამბების გამო

ამ ბოლო დროს საქართველოს რესპუბლიკაში მომხდარმა ამბებმა, განსაკუთრებით მის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტების ზრდამ და მათში სსრ კავშირის ჯარების მონაწილეობამ არ შეიძლება არ შეაშფოთოს ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა საბჭო.

ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა საბჭო, მიესალმება რა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადებას, აცხადებს, რომ ინტერესთა შეჯახება და საშინაო კონფლიქტები როგორც საქართველოს რესპუბლიკაში, ისე დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე დამდგარ სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც უნდა გადაიჭრას დაინტერესებული მხარეების უშუალო დიალოგისა და მოლაპარაკების გზით, ძალმომრეობაზე ოფიციალური და ფაქტობრივი უარის თქმის პირობებში.

ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა საბჭო მზად არის ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრას.

ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ლანდსბერგისი;
ლატვიის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. გორბუნოვი;
ესტონეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. რიუიტელი;

იურმალა, 1991 წლის 12 აპრილი

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 16 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

"მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, რითაც განხორციელდა ქართველი ხალხის ნება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭოს რამდენჯერმე მიმართა მოსკოვის ხელისუფალთ, ისინი არ აპირებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაიჭრას მოსკოვსა და საქართველოს შორის მომავალი ურთიერთობების პრობლემები და მიმართავენ ძალისმიერ მეთოდებს, რაც გამოიხატება საქართველოში შინაგანი ჯარების ახალ-ახალი კონტინგენტების შეყვანით და საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გააქტიურებით მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

აქედან გამომდინარე, მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები მოუწოდებენ ქართველ ერს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას საყოველთაო ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაკენ, ყოველგვარი საპროტესტო აქციებისა და გაფიცვების გაძლიერებისაკენ. ისინი სოლიდარობას უცხადებენ იმპერიაში შემავალი ერების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და იმედოვნებენ, რომ მალე იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდება სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოები, რომელთაც სამართლიანი და კეთილმეზობლური დამოკიდებულება ექნებათ ერთმანეთთან.

მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები

თბილისი. 1991 წლის 15 აპრილი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",

16 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

უკანასკნელ ხანს იმპერიის შემადგენლობაში მყოფმა ძალებმა გააძლიერეს საპროტესტო პოლიტიკური საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს იმპერიული ცენტრულური ხელისუფლების გაუქმებას და სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობას. ამასთან დაკავშირებით აგრეთვე სამაჩაბლოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ე.წ. იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ მრგვალი მაგიდის პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა გამოაცხადეს გაფიცვები სატრანსპორტო საშუალებებისა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა.

გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ აღნიშნულ საპროტესტო აქციებს აქვს ერთი მიზანი: საქართველოს სრული, ფაქტობრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, იმპერიული სტრუქტურების დაქვემდებარებისა და დიქტატისაგან მისი გათავისუფლება, რაც წარმოადგენს უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის პროცესის უშუალო გაგრძელებას, ვადგენ:

1. სამინისტროებმა, უწყებებმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საყოველთაო ეროვნულ და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას.

2. თანამდებობის პირთაგან შეიქმნას საკონსულტაციო და საკოორდინაციო საბჭოები, რომლებიც საგაფიცვო კომიტეტებთან ერთად სისტემურ ხასიათს მისცემენ დაუმორჩილებლობის მოძრაობას, რათა არ შელახოს რესპუბლიკის ეკონომიკური ინტერესები.

3. შეიქმნას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გაერთიანებული საბჭო, რომელიც უზენაესი საბჭოს პრესცენტრთან და პრეზიდენტის პრესის სამსახურთან ერთად ერთად უზრუნველყოფს სწორი და შემოწმებული ინფორმაციის გავრცელებას და საზღვარგარეთ გადაცემას საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ.

4. შეიქმნას საგანგებო საგაფიცვო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს გაფიცულთა ყოველგვარ დახმარებას და უზრუნველყოფას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია

თბილისი. 1991 წლის 15 აპრილი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",

16 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს მწვანეთა განცხადება

საქართველოს მწვანეთა პარტია და მოძრაობა ულოცავს სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებას. 31 მარტის რეფერენდუმმა ცხადყო, რომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა არის არა მხოლოდ ქართველი ერის, არამედ საქართველოში მოსახლე ყველა ხალხის ნება.

ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს, რომ მიუხედავად მოსკოვის გამალებული პროპაგანდისა, ამ უმნიშვნელოვანეს მომენტში გაერთიანდა საქართველოს მთელი მოსახლეობა; ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ყველა ხალხის წარმომადგენელმა გააცნობიერა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენა მათ სასიცოცხლო ინტერესსაც წარმოადგენს. ამის გასამტკიცებლად მეტად მნიშვნელოვანი იქნება უახლოეს მომავალში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების კანონის მიღება.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი დღეის შემდეგ რეალური ცხოვრებისეული შინაარსით უნდა აივსოს. თუ ვერ გავწიეთ ის უზარმაზარი ტვირთი, რაც ამ აქტის გამოქვეყნებით თითოეულს დაგვაწვა. ის მხოლოდ დეკლარაციად დარჩება. ამიტომ დღეს ყველას განსაკუთრებული შემართება, შეთანხმება და ეფექტიანი მოქმედება მოგვეთხოვება.

მხოლოდ ერთიანი ძალით, არადათიშულნი და არა დაპირისპირებულნი, შევძლებთ დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს აშენებას.

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",

18 აპრილი, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * * *

პოლიტიკურ ბლოკ „თავისუფლებისაგან"

პოლიტიკური ბლოკი „თავისუფლება" უსურვებს ქართველ ერს, რომ 1991 წლის 9 აპრილი გამხდარიყოს მისთვის ახალი და საბოლოო 26 მაისი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა". 16 აპრილი. 1991.

* * * * * * * * * * * * *

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების განცხადება

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებას, როგორც კულტურტრეგერულ, საზოგადოებრივ, თავისუფალ, არაპოლიტიკურ ორგანიზაციას, მიაჩნია, რომ 31 მარტის რეფერენდუმი და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერა რუსთაველის საზოგადოების ყოველ წევრს, საქართველოს ერთგულ ყოველ ადამიანს ახალ კონკრეტულ ამოცანებს უსახავს.

ოცდათერთმეტ მარტს გამოვლენილი ერთიანობით ჩვენ ყოველდღიურად და ყოველწამიერად გონივრულად და ფრთხილად უნდა ვიღვაწოთ საქართველოს რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, ერის დასაბრუნებლად მისსავე ტრადიციულ ღირებულებებთან.

14 მარტს პრეზიდენტის არჩევნებმა საქართველოს დამოუკიდებელი ქვეყნისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი უცილობელი ნიშანი შესძინა.

მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ დგას საოკუპაციო ჯარი, ჯერ კიდევ იღვრება სისხლი შიდა ქართლში, ჯერ კიდევ საბჭოთა ფული ტრიალებს ჩვენს ბაზარზე, ჯერ კიდევ სოციალისტური ეკონომიკის სისტემაში ვართ, ჯერ კიდევ შებორკილნი ვართ ტოტალიტარული სახელმწიფოს ლოგიკითა და ზნეობით.

როდესაც ეს აღარ იქნება, როდესაც ყოველი ჩვენგანი განთავისუ-

ფლდება ყოველივე ამისგან, როდესაც ყოველი ჩვენგანი თავისუფალი პიროვნება გახდება, მხოლოდ მაშინ მოიპოვებს საქართველოს ჭეშმარიტ თავისუფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
20 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

RESOLUTION

ეძღვნება საქართველოში, თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საბჭოეთის მიერ ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციის 2 წლისთავს და მოითხოვს საბჭოთა კავშირისაგან, აღიაროს ქართველი ხალხის ნება და სცნოს 1991 წელს მარტის რეფერენდუმის ლეგიტიმურობა.

შეერთებული შტატების სენატში 1991 წლის 9 აპრილს, ბატონმა ჰელსმა წარადგინა შემდეგი რეზოლუცია, რომელიც გადაეცა საგარეო კომისიას.

რეზოლუცია

ვუძღვნით საქართველოში, თბილისში 1991 წლის 9 აპრილს საბჭოეთის მიერ ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციის 2 წლისთავს და მოითხოვს საბჭოთა კავშირისაგან, აღიაროს ქართველი ხალხის ნება და სცნოს 1991 წელს მარტის რეფერენდუმზე ლეგიტიმურობა.

ვინაიდან 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა წითელი არმიის ჯარისკაცები მხეცურად დაესხნენ თავს უიარაღო და მშვიდობიან დემონსტრანტებს ლენინის მოედანზე (ახ. თავისუფლების მოედანი) თბილისში, საქართველოში გამოიყენეს რაკეტები, გალესილი ნიჩბები და საწამლავი გაზი და დახოცეს 20 უდანაშაულო დემონსტრანტი, დაასახიჩრეს რა ასობით ადამიანი.

ვინაიდან, მიუხედავად მცდელობისა, დაეფარათ საბჭოეთის სისასტიკე, მსოფლიო ჰუმანიტარული ლიდერები, ისეთი როგორც დედა ტერეზა კალკუტიდან და საწამლავი გაზის მსხვერპლთა მკურნალობაზე სპეციალიზირებულ დასავლეთ გერმანული ექიმების ჯგუფი, ჩამ-

ოვიდნენ თბილისში დაშავებულთა დასახმარებლად.

ვინაიდან 9 აპრილის სისასტიკემ გამოიწვია საქართველოში პოლიტიკურ ძალთა ბალანსის გადანაწილება, რასაც შედეგად მოჰყვა კომუნისტური მმართველობის დასასრული საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით.

ვინაიდან საქართველომ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ცენტრალური საბჭოთა მთავრობის 17 მარტის რეფერენდუმში და საპასუხოდ 1991 წლის 31 მარტს ჩაატარა საკუთარი რეფერენდუმი, რომელშიც ამომრჩეველთა 98,9 პროცენტმა დაუჭირა მხარი საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობის აღდგენას, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ქართველი ერი უძველესი, განსაკუთრებული და ინდივიდუალური თვისებების მქონე ერია, რომელიც სათავეებს ქრისტეს შობამდე იღებს. ვინაიდან დღეს 1991 წლის 9 აპრილს – თბილისში დემონსტრაციის დარბევის 2 წლისთავია, ვადგენთ, რომ სენატი:

1. ადასტურებს, რომ მხარს უჭერს ქართველი ხალხის მშვიდობიან მცდელობებსა და დემონსტრაციებში გამოხატულ მოთხოვნებს, ეროვნული და ტერიტორიული დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

2. ადასტურებს, რომ მხარს უჭერს ქართველი ხალხის თვითგამორკვევის მოთხოვნას, რომელიც ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის თათბირის მონაწილე ქვეყნების საბოლოო აქტიდან გამომდინარეობს, საბჭოთა კავშირი კი ამ ორგანიზაციის წევრია.

3. ადასტურებს, რომ მხარს უჭერს ქართველი ხალხის სურვილს, ისარგებლოს ღმერთის მიერ ნაბოძი ადამიანთა უფლებებით.

4. პატივს ვაგებთ ქართველთა დიდ მსხვერპლს, რომლებიც დაიღუპნენ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში, რამეთუ ისინი იყვნენ მშვიდობიანი დემონსტრანტები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

5. და მოვითხოვთ საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან, აღიაროს ქართველი ხალხის ნება და სცნოს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ლეგიტიმურობა.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
24 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

კანონი პრეფექტურის შესახებ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად „პრეფექტების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი არეგულირებს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი რგანოს – პრეფექტურის მუშაობას, განსაზღვრავს მის კომპეტენციას, აწესრიგებს ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან, დარგობრივ სამსახურებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. პრეფექტურის ცნება

პრეფექტურა არის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო რესპუბლიკური დაქვემდებარეების რაიონსა და ქალაქში. იგი შესაბამის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს საერთო–რესპუბლიკური ინტერესების დაცვას, სახელმწიფო მმართველობის, მმართველობის ზემდგომი ორგანოებისა და შესაბამის საკრებულოთა გადაწყვეტილებების განხორციელებას, წარმართავს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ–კულტურულ განვითარებას; უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ის საკითხები, რომლებიც მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება.

პრეფექტურის კომპეტენცია, საქმიანობის წესი, მისი ურთიერთობა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საწარმოებთან და მოქალაქეებთან განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 2. პრეფექტურის სისტემა

პრეფექტურა იქმნება:

ა) რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონში;

ბ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში, რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა და ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი;

გ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში, რომელსაც აქვს რაიონული დაყოფა;

დ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში, რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა;

ე) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში, რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა და რომლის თანამოსახელე რაიონიც არსებობს;

ამ მუხლის „ე" პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში იქმნება და მოქმედებს ერთი საერთო პრეფექტურა.

მუხლი 3. პრეფექტურის მოქმედების ძირითადი პრინციპები

პრეფექტურა ხელმძღვანელობს შემდეგი ძირითადი პრინციპე-

ბით: საერთორესპუბლიკური და ადგილობრივი ინტერესების ურთიერთშეთანხმება, კანონიერება და მისი უზრუნველყოფა, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, საჯაროობისა და საზოგადოებრივი აზრის, ეროვნული ტრადიციებისა და წეს–ჩვეულებების გათვალისწინება.

კარი II

პრეფექტურის სტრუქტურა და პრეფექტურის თანამდებობის პირები

მუხლი 4

პრეფექტურა შედგება პრეფექტის, მისი მოადგილის (მოადგილეების), პრეფექტის კაბინეტის, პრეფექტურის კანცელარიის, პრეფექტურის სამსახურებისაგან.

რაიონის (ქალაქის) თავისებურბათა გათვალისწინებით იქმნება: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, არქიტექტურისა და მშენებლობის, კომუნალური და საბინაო მეურნეობის, სოციალურ საკითხთა (განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანმრთელობა, სპორტი და სხვა). საყოფაცხოვრებო და სავაჭრო დაწესებულებათა, საფინანსო, ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის, დემოგრაფიის სამსახურები.

პრეფექტურის სტრუქტურას წინადადებებს და მის მუშაკთა რაოდენობისა და მათი შესანახი ხარჯების ოდენობის შესახებ შეიმუშავებს პრეფექტი და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით.

ქალაქ თბილისის მმართველობის ორგანიზაციას განსაზღვრავს ცალკე კანონი.

მუხლი 5. პრეფექტი

პრეფექტი რაიონისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის უმაღლესი თანამდებობის პირია, რომელიც ხელმძღვანელობს რა სახელმწიფო ინტერესებით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, პრეფექტურის მეშვეობით წარმართავს სამეურნეო და სოციალურკულტურულ განვითარებას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

პრეფექტი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი

საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებშიავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებისა და მინისტრთა საბჭოების წინაშეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 6. პრეფექტის მოადგილე

პრეფექტის მოადგილეს ნიშნავს პრეფექტი.

პრეფექტის მოადგილე (მოადგილეები) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობს მეურნეობის ცალკეულ დარგებს, კოორდინაციასა და კონტროლს უწევს პრეფექტურისა და მისი საქვეუწყებო სამსახურების საქმიანობას, აძლევს მათ მითითებებს პრეფექტის ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

ხელმძღვანელობს პრეფექტურის კანცელარიას, კოორდინაციას უწევს პრეფექტურის საქმიანობას მასზე დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად. პრეფექტის არყოფნის შემთხვევაში მოადგილე ახორციელებს მის უფლებამოსილებას, რომელიც განსაზღვრულია ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

პრეფექტის მოადგილე (მოადგილეები) არ შეიძლება იყოს საკრებულოს წევრი.

მუხლი 7. პრეფექტის კაბინეტი

პრეფექტის კაბინეტი პრეფექტის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოა, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს პრეფექტისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

პრეფექტის კაბინეტი იქმნება პრეფექტის უფლებამოსილების ვადით.

პრეფექტის მოადგილე (მოადგილეები) შემადგენლობაში შედიან: პრეფექტი, პრეფექტის მოადგილე (მოადგილეები), პრეფექტურის კანცელარიის გამგე, პრეფექტურის იურიდიული განყოფილების გამგე (იურისტი) და პრეფექტის შერჩევით პრეფექტურისა და მისი საქვეუწყებო სამსახურების ცალკეული ხელმძღვანელები.

პრეფექტის კაბინეტის სხდომას იწვევს და უძღვება პრეფექტი ან მისი მოადგილე.

პრეფექტის კაბინეტის სხდომაზე განიხილება ამ კანონით გათვალისწინებული საკითხები და დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ პრეფექტი და კანცელარიის გამგე. კაბინეტის აზრის გათვალისწინებით პრეფექტი იღებს აქტებს და ხელს აწერს მათ. აქტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძალაში შედის ხელის მოწერის დღიდან, თუ მას სხვა რამე რ არის გათვალისწინებული.

მუხლი 8. პრეფექტურის კანცელარია

პრეფექტურის კანცელარია აერთიანებს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობის განყოფილებას, საერთო და იურიდიულ განყოფილებებს (იურისტს), კადრების სექტორს, ბუღალტერს და ტექნიკურ პერსონალს; იგი ემსახურება პრეფექტურას; შეიმუშავებს წინადადებებს, ამზადებს პროექტებს გადაწყვეტილებების პროექტებს და სისტემატურად აკონტროლებს მათ შესრულებას.

პრეფექტურის კანცელარიის საქმიანობას წარმართავს პრეფექტურის კანცელარიის გამგე, რომელსაც ნიშნავს პრეფექტი.

პრეფექტურის კანცელარიის მუშაობის ორგანიზაცია და კომპეტენცია განისაზღვრება შესაბამისი დებულებით.

მუხლი 9. პრეფექტურის სამსახურები

პრეფექტურის სამსახურები რაიონისა და რესპუბლიკის დაქვემდებარების ქალაქებში მმართველობის ორგანოებია, რომლებიც წარმართავენ სამეურნეო კომპლექსის სხვადასხვა დარგების საქმიანობას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

პრეფექტურის სამსახურის ხელმძღვანელებს ნიშნავს პრეფექტი მმართველობის შესაბამის რესპუბლიკურ (ავტონომიური რესპუბლიკის) ორგანოებთან შეთანხმებით. შინაგან საქმეთა რაიონული (სამოქალაქო) განყოფილების უფროსს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი რაიონის (ქალაქის) პრეფექტთან შეთანხმებით.

პრეფექტურის სამსახურების ხელმძღვანელები არ შეიძლება იყვნენ საკრებულოს წევრები.

პრეფექტურაში შეიძლება შეიქმნას ახალი საქვეუწყებო სამსახურები. მომხდარი ცვლილებების დამტკიცების საკითხი წყდება ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

პრეფექტურათა სამსახურები ორმაგ დაქვემდებარებაში იმყოფებიანემორჩილებიან როგორც პრეფექტს, ისე შესაბამის რესპუბლიკურ უწყებას.

პრეფექტურის სამსახურები იღებენ გადაწყვეტილებას თავიანთი კომპეტენციის საკითხში.

მუხლი 10. პრეფექტურის სამსახურებისა და საქვეუწყებო ორგანოების ხელმძღვანელები, პრეფექტურის კანცელარიის გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეფექტურის სამსახურების, სხვა საქვეუწყებო ორგანოების ხელმძღვანელთა, აგრეთვე პრეფექტურის კანცელარიის მმართველის უფლებამოსილებას განსაზღვრავს შესაბამისი დებულება.

კარი III

პრეფექტის უფლებამოსილება

მუხლი 11. პრეფექტის უფლებამოსილების ზოგადი საკითხები

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონების შესაბამისად პრეფექტი:

ა) ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს შესაბამისი ტერიტორიის მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისადმი, უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ საქმიანობას;

ბ) ხელმძღვანელობს და წარმართავს პრეფექტურისა და სხვა საქვეუწყებო სამსახურების საქმიანობას;

გ) ხელმძღვანელობს ადგილობრივ მეურნეობას მიკუთვნილი საწარმოების, დაწესებულებისა და ორგანიზაციების საქმიანობას;

დ) კონტროლს უწევს მოქმედი კანონმდებლობის დაცვას ბუნებათსარგებლობის, მათ შორის მიწათსარგებლობის, გარემოს დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების, მოსახლეობის სოციალკულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმინობას, რომლებიც ადგილობრივ საკუთრებას არ განეკუთვნებიან;

ე) უზრუნველყოფს არჩევნებისა და რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარებას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე;

ვ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციაში ატარებს საწარმოებს, იძლევა სამეურნეო დაწყების ნებართვას, აჩერებს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობას;

ზ) უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების სამთავრობათშორისო ხელშეკრულებების შესრულებას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

პრეფექტისა და შესაბამისი საკრებულოს ან რესპუბლიკის დარგო-

ბრივი სამსახურების მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე პრეფექტურა და შესაბამისი საკრებულოს გამგეობა (გამგებელი) ხელმძღვანელობს პრეფექტის განკარგულებებითა და ბრძანებებით. სადავო საკითხები განიხილება და წყდება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის დადგენილი წესით.

მუხლი 12. პრეფექტის მიერ პრეფექტის კაბინეტთან ერთად გადასაწყვეტი საკითხები

პრეფექტი კაბინეტთან ერთად:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს საკრებულოს რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ;

ბ) ამტკიცებს დებულებებს პრეფექტურის, მისი კანცელარიისა და სხვა საქვეუწყებო სამსახურების შესახებ;

გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს სამეურნეო, ამხანაგობების, საზოგადოებებისა და სხვა გაერთიანებების რეგისტრაციის შესახებ;

დ) ამტკიცებს პრეფექტურის საქმიანობის ანგარიშს;

ე) აუქმებს პრეფექტურისა და საქვეუწყებო სამსახურების აქტებს, დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების აქტებს, თუ ისინი არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

ვ) იღებს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა არასაბიუჯეტო ფონდის შექმნისა და გამოყენების შესახებ (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად);

ზ) იღებს გადაწყვეტილებებს რაიონის (ქალაქის) სესხისა და სხვა გრძელვადიან ვალდებულებათა შესახებ (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად);

თ) იღებს გადაწყვეტილებებს საკადრო საკითხებზე ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონების შესაბამისად.

მუხლი 13. უშუალოდ პრეფექტის მიერ გადასაწყვეტი საკითხები

პრეფექტი:

ა) ნიშნავს მოადგილეს (მოადგილეებს), პრეფექტურის კანცელარიის მმართველს;

ბ) კონტრაქტის საფუძველზე ნიშნავს ადგილობრივი საკუთრების საწარმოს ხელმძღვანელს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დებს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს უცხოეთის სახელმწიფოების, სხვა რესპუბლიკების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის სამსახურებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

დ) დებს სამეურნეო ხელშეკრულებებს უცხოეთის ფირმებთან საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით;

ე) პასუხს აგებს პრეფექტურის მთელ საქმიანობაზე;

ვ) ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 14. პრეფექტის უფლებამოსილება საბიუჯეტოსაფინანსო საქმიანობის სფეროში

პრეფექტი:

ა) შეიმუშავებს რაიონის (ქალაქის) ბიუჯეტს (ბიუჯეტის ანგარიშს) და წარუდგენს დასამტკიცებლად შესაბამის საკრებულოს;

ბ) ანგარიშს აბარებს საქართველოს მთავრობასა და შესაბამის საკრებულოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაშიავტონომიურ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს;

გ) ახორციელებს ერთიან საფინანსო, საკრედიტო და ფულად პოლიტიკას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე;

დ) წარუდგენს შესაბამის საკრებულოს წინადადებებს ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების, ბაჟების დაწესების, აგრეთვე ადგილობრივი სესხების, აქციებისა და სხვა ფასიანი ქარალდების შემოღებისა და გავრცელების შესახებ;

ე) ქმნის ადგილობრივი მმართველობის განვითარებისათვის საჭირო ფონდებს, აგრეთვე სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების შედეგების სალიკვიდაციო ფონდებს;

ვ) მონაწილეობს ფასების ერთიანი პოლიტიკის განხორციელებასა და ფასების სისტემის სრულყოფაში.

მუხლი 15. პრეფექტის უფლებამოსილება გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში

პრეფექტი:

ა) ახორციელებს კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენებაზე. წყვეტს მიწათსარგებლობის, ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენების საკითხებს;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს იმ ობიექტების მშენებლობის ან რეკონსტრუქციის შეწყვეტის შესახებ, რომელთა მიმართაც არსებობს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აჩერებს იმ ობიექტების სამეურნეო საქმიანობას, რომლებიც არღვევენ რესპუბლიკურ კანონმდებლობას ბუნების დაცვის შესახებ, აკისრებს მათ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით;

დ) ქმნის სამშენებლო ობიექტების მიმღებ სახელმწიფო კომისიებს, ამტკიცებს დამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების აქტებს;

ე) საჭიროების შემთხვევაში ქმნის არასაბიუჯეტო ფონდებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენებისათვის;

ვ) საერთო რესპუბლიკური კანონმდებლობიდან გამომდინარე უწესებს მის ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს (მიუხედავად საკუთრების ფორმისა) დიფერენცირებულ გადასახადს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;

ზ) უზრუნველყოფს ეკოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზაციის მისაღწევად აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელებას.

მუხლი 16. პრეფექტის უფლებამოსილება მოქალაქეთა პოლიტიკური და სოციალური უფლებების დაცვის სფეროში

პრეფექტი:

ა) უზრუნველყოფს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, აუქმებს მისდამი დაქვემდებარებულ ორგანოთა და ორგანიზაციათა აქტებს, რომლებიც ლახავენ მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს;

ბ) იხილავს მოქალაქეთა განცხადებებს, საჩივრებსა და წინადადებებს, აკონტროლებს მათში დასმული საკითხების დროულ და სწორ გადაწყვეტას ყველა ორგანოსა და ორგანიზაციის მიერ, ისმენს მათ ხელმძღვანელთა ანგარიშებს დასმულ საკითხებთან დაკავშირებით და აკისრებს ადმინისტრაციულ სახდელებს მოქალაქეთა უფლებების შელახვისათვის;

გ) ორგანიზაციას უწევს დაუსაქმებელ მოქალაქეთა აღრიცხვასა და დასაქმებას;

დ) კოორდინაციას უწევს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულტექნიკური სასწავლებლების, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის დაწესებულებების საქმიანობას;

ე) ხელს უწყობს ეკლესიების, სხვა საკულტო და რელიგიურ ნაგებობათა მშენებლობას;

ვ) აკონტროლებს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების საქმიანობას, უზრუნველყოფს პენსიებისა და სხვა დახმარების სწორად დანიშვნას და დროულად გადახდას, მოქალაქეებისათვის კანონით გათვალისწინებული შეღავათების მიცემას;

ზ) კოორდინაციას უწევს საბინაო მშენებლობას, უზრუნველყოფს მოქალაქეთა ბინის უფლებების დაცვას;

თ) დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილების საერთორესპუბლიკური პროგრამების განხორციელებას.

მუხლი 17. პრეფექტის უფლებამოსილება კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში

პრეფექტი:

ა) კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური ორგანოების აქტების დაცვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე;

ბ) კონტროლს უწევს კანონიერების დაცვას ადგილობრივი მმართველობის ქვემდგომი ორგანოების საქმიანობაში;

გ) კოორდინაციას უწევს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, ყველა სახელმწიფო ორგანოსა და შესაბამისი თანამდებობის პირის საქმიანობას სამართალდარღვევების აღსაკვეთად;

დ) იღებს ზომებს სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების დროს მატერიალურ ფასეულობათა გადასარჩენად, კანონიერებისა და მართლწესრიგის დასაცავად;

ე) ხელმძღვანელობს სახანძრო დაცვის ორგანოებისა და ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების საქმიანობას.

მუხლი 18. პრეფექტის უფლებამოსილება თავდაცვის საქმეში

პრეფექტი:

ა) უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ;

ბ) ხელს უწყობს მოქალაქეთა გაწვევას ნამდვილ სამხედრო სამსახურში, აგრეთვე სამხედრო სასწავლო შეკრებებისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების ორგანიზაციასა და განხორციელებას;

გ) ხელმძღვანელობს სამოქალაქო თავდაცვის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

კარი IV

მუხლი 19. პრეფექტის აქტები

1) პრეფექტი თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს განკარგულებებსა და ბრძანებებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მთელ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

2) პრეფექტის აქტი, რომელსაც აქვს ნორმატიული ხასიათი, მიიღება განკარგულების სახით, ხოლო ოპერატიულ და სხვა მიმდინარე არანორმატიულ საკითხებზე გამოიცემა ბრძანების სახით.

3) პრეფექტის აქტების შეჩერება შეუძლია საქართველოს მთავრობას, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში—ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

4) პრეფექტის აქტების გაუქმება შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს თავისი ინიციატივით ან საპროკურორო ზედამხედველობის მასალებზე დაყრდნობით. პრეფექტის აქტების გაუქმება შეუძლია სასამართლოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში.

მუხლი 20. პრეფექტურის სამსახურების აქტები.

პრეფექტურის სამსახურები იღებენ გადაწყვეტილებებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

კარი V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 21. პრეფექტურისა და საკრებულოს ურთიერთობა

1) პრეფექტურა და საკრებულო ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ახორციელებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს.

2) პრეფექტის კაბინეტის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესაბამისი საკრებულოს მდივანს, გამგეობის თავმჯდომარეს (გამგებელს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) პრეფექტს უფლება აქვს სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს საკრებულოებისა და მათი გამგეობის საქმიანობაში.

4) პრეფექტურისა და საკრებულოს (გამგეობის) ურთიერთობის საკითხებს, რომელთაც არ ითვალისწინებს ეს კანონი, განსაზღვრავს მოქმედი კანონმდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 23 აპრილი.
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
25 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების–ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ დროებითი დებულების" დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს „დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ" და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.
თბილისი. 1991 წლის 28 აპრილი.
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 26 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 23 აპრილის დადგენილებით დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების–ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების-ეროვნული გვარდიის სამხედრო ნაწილებსა და გასამხედროებულ მუშათა რაზმებში.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადად ყველა სამხედრო მოსამსახურისთვის დაწესებულია 2 წელი, რომელიც იწყება სამხედრო სამსახურზე გაწვევის დღიდან და მთავრდება სამხედრო ნაწილის მეთაურის ბრძანების საფუძველზე.

უმცროსი მეთაურებისა და სპეციალისტების მომზადება ხდება სათანადო სამხედრო სკოლებში ან სამხედრო ნაწილებში. უმაღლესი ან საშუალი სპეციალური განათლების მქონე სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულნი, როგორც წესი, იგზავნებიან უმცროსი მეთაურებისა და სპეციალისტების მოსამზადებელ სამხედრო სკოლებში.

სასწავლო ნაწილების მოსწავლე რიგითები იწოდებიან კურსანტებად.

სასწავლო ნაწილებიდან კურსანტები შეიძლება გაირიცხონ უდისციპლინობისა და ცუდი სწავლისათვის., აგრეთვე ავადმყოფობის გამო.

კურსანტებს, რომლებმაც დაამთავრეს სასწავლო ნაწილები სერჟანტის მომზადების პროგრამით და ჩააბარეს დაწესებული გამოცდები ენიჭებათ სამხედრო წოდება.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირებს პირადი შემადგენლობის სიაში ჩარიცხვისთანავე ენიჭებათ სამხედრო წოდება „რიგითი", შემდგომში, თუ ისინი გამოავლენენ სამხედრო ნიჭსა და თავდადებას, შესაძლებელია მიენიჭოთ სერჟანტის წოდება.

სერჟანტებს, უფროს სერჟანტებსა და ზემდეგებს შეიძლება ჩამოუქვეითონ სამხედრო წოდება ან იგი ჩამოართვან ჩადენილი დანაშაულისათვის.

სერჟანტები და ზემდეგი, რომლებმაც გაიარეს სამხედრო მომზადება სამხედრო ნაწილებში ან პრაქტიკულ სამუშაოზე სამხედრო ნაწილში, დაინიშნებიან საშტატო თანამდებობაზე მიღებული სპეციალობისა და სამხედრო წოდების მიხედვით.

უმცროს მეთაურთათვის დაწესებულია შემდეგი სამხედრო წოდებები:

სერჟანტი, უმცროსი სერჟანტი, ზემდეგი.

სერჟანტებისა და ზემდეგებისათვის დაშვებულია შემდეგი სათანადო საშტატო ერთეულები:

ათეულის მეთაური-სერჟანტი;

ოცეულის მეთაურის მოადგილე-უფროსი სერჟანტი;

ასეულის ზემდეგი—ზემდეგი;

თანამდებობაზე დანიშვნის უფლება აქვთ:

ათეულის მეთაურის, ოცეულის მეთაურის მოადგილესა—ცალკე ბატალიონის მეთაურს;

ასეულის ზემდეგებისა—პოლკის მეთაურს;

სავალდებულო სამსახურში მყოფ რიგითებსა და სერჟანტებს ეძლევათ შვებულება:

სამსახურის გავლის პერიოდში ერთხელ—25 დღე;

ავადმყოფობის გამო;

ოჯახური მდგომარეობის გამო.

სამხედრო მოსამსახურეებს შვებულება ავადმყოფობის გამო ეძლევათ საექიმო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

შვებულება ოჯახური მდგომარეობის გამო შეიძლება მიეცეთ შემდეგ შემთხვევებში:

სამხედრო მოსამსახურის ახლო ნათესავების გარდაცვალების ან მძიმე ავადმყოფობის გამო;

სტიქიური უბედურების შემთხვევაში, რომლის დროსაც დაზარალდა სამხედრო მოსამსახურის ოჯახი.

ოჯახური მდგომარეობის გამო შვებულების მიცემის აუცილებლობა დადასტურებული უნდა იყოს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ. ასეთ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეებს შვებულება ეძლევათ 10 დღის ვადით.

სამხედრო მოსამსახურეებისათვის შვებულების მიცემის უფლება აქვს სამხედრო ნაწილის მეთაურს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც ეძლევათ შვებულება უფორმდებათ სათანადო საბუთები.

შვებულება შეიძლება გაგრძელდეს 68 დღით;

სამხედრო მოსამსახურის ავადმყოფობის გამო;

სტიქიური უბედურების შემთხვევაში, რასაც მოჰყვა ოჯახის წევრების მძიმე ავადმყოფობა ან გარდაცვალება.

შვებულების გაგრძელების საკითხს წყვეტს სამხედრო ნაწილის მეთაური სათანადო შეტყობინების საფუძველზე.

მობილიზაციის გამოცხადების დროს შვებულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები ვალდებული არიან სასწრაფოდ გამოცხადდნენ თავიანთ სამხედრო ნაწილებში.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფნი ასრულებენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებულ საქართველოს მოქალაქის ყველა მოვალეობას;

სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის დროს სამხედრო მოსამსახურეები არიან ფულად და სანივთე კმაყოფაზე, რომელიც დაწესებულია საქართველოს მთავრობის მიერ.

საყოველთაო სამხედრო სამსახურში ყოფნის დრო მოქალაქეებს ჩაეთვლებათ საერთო სამუშაო სტაჟად.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულთ ენახებათ საცხოვრებელი ფართი და ისინი არ იხსნებიან საბინაოპირობებგასაუმჯობესებელთა სიიდან.

სამხედრო მოსამსახურეები ჩადენილი დანაშაულის გამო შეიძლება მიცემულ იქნან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

სამხედრო დისციპლინის დარღვევისათვის სამხედრო მოსამსახურე პასუხს აგებს წესდების თანახმად.

სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც მოიხადეს კანონით დადგენილი სავალდებულო სამხედრო სამსახური, დათხოვნილი იქნებიან სამხედრო სამსახურიდან თადარიგში.

სამხედრო მოსამსახურეებს სამხედრო სამსახურიდან თადარიგში ითხოვს სამხედრო ნაწილის მეთაური თანახმად საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების—ეროვნული გვარდიის მთავარსარდლის ბრძანებისა, რომელიც მიღებულია მთავრობის დადგენილების საფუძველზე.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახ-

ურენი შეიძლება ვადამდე დაითხოვონ:

ავადმყოფობის გამო, თუ სამხედრო საექიმო კომისიების დასკვნით ისინი ცნეს სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარად;

ოჯახური მდგომარეობის გამო, თუ სამხედრო სამსახურის მოხდის პერიოდში მათი ოჯახური მდგომარეობა შეიცვალა.

სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც დაამთავრეს სავალდებულო სამხედრო სამსახური და გამოთქვეს სურვილი გააგრძელონ სამხედრო სამსახური, შეიძლება მიღებულ იქნან სურვილისამებრ ზევადიან სამასახურში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
26 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ინტელიგენციის ნაწილის მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოში მოქმედ ყველა პარტიას

დღეს რომ მთელ სსრკ–ში ურთულესი და უმძიმესი ვითარებაა, ეს არავისთვის არის ახალი ამბავი, აშკარად ახლოვდება დიდი სამოქალაქო ომი. ეს საფრთხე კიდევ ერთხელ დადასტურდა 19 თებერვალს ბ. ელცინის განცხადებით. ამ განცხადების მერე ან ელცინი უნდა დაეცეს ან გორბაჩოვი. ორივეს მძლავრი ძალები ჰყავთ მომხრე. მათი დაპირისპირება და დაჯახება რა უბედურებასაც მოიტანს, ამის მიხვედრა ძნელი არ არის. ეს ხდება იმ დროს, როცა სრულიად მოუგვარებელია ეკონომიკური პრობლემები (რაც არავინ უწყის როდის მოწესრიგდება), გადაუწყვეტელია ეროვნული საკითხები, ყველა დარგში მძვინვარებს ეკონომიკური კრიზისი, საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარეობს ომი, რომელიც ემუქრება მსოფლიო ომად გადაქცევით.

საქართველოს თავისი დიდი სატკივარი აქვს: ომია გაჩაღებული შიდა ქართლში. ჯერჯერობით ამ ომში ქართველობა მარცხდება. ეს იმიტომ, რომ საქართველოს არ ჰყავს არმია, ქართულ მილიციას

არ აქვს იარაღი. საქართველოს წინააღმდეგ კი იბრძვის „ადამის ნიხასის" ტერორისტები +საბჭოთა არმია+კრემლის ხელისუფლება. ეს უაღრესად უთანასწორო ბრძოლაა. ამას ემატება საბჭოთა პროპაგანდას ინფორმაციული ომი ქართველთა წინააღმდეგ. ამ პროპაგანდის მიზანია გამოიყვანოს ქართველი დამნაშავედ, ხოლო დამნაშავეთა დასასჯელად მოახდინოს ახალი ინტერვენცია საქართველოში.

ამ სიტუაციაში ქართველი ხალხი უნდა იყოს ერთიანი. ყოვლად დაუშვებელია ერის შიგნით განხეთქილება. არადა, ყველა ნათლად ხედავს ამ განხეთქილებას: უზენაესი საბჭო და ეროვნული კონგრესი, უზენაესი საბჭო და ქართველ მაშველთა კორპუსი მხედრიონინთურთ. ამის გამო ერიც ორად იყოფა. მართალია, უზენაეს საბჭოს მეტი მომხრე ჰყავს, მაგრამ ეროვნული კონგრესიც და მაშველთა კორპუსი არ არის დარჩენილი უმოკავშირეოდ. ეს რეალობაა და იგი უნდა დავინახოთ. შეტაკებისა და სისხლის ღვრისათვის ეს დაპირისპირება საკმარისია, დაჭერა-დაპატიმრებით ეს უმძიმესი პრობლემა არ მოგვარდება. პირიქით, კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას, ხალხს ორად გათიშავს და გარდაუვალს გახდის სისხლიან შეტაკებას, რითაც უთუოდ ისარგებლებს სსრკის ხელისუფლება. არც ის საბედისწერო შეცდომა უნდა დავივიწყოთ, რაც ერთხელ უკვე ჩაიდინა ქართველმა ხალხმა, როცა „სოციალისტური ბედნიერების" მოპოვება თანამოძმეთა სისხლით სცადა. ნუ გავიმეორებთ ამას, არც ეროვნული თავისუფლების მოპოვება შეიძლება თანამოძმეთა სისხლით. ჩვენს ხალხს დღემდე სტკივა ბაზალეთის ტრაგედია. ამ ტრაგედიაზე პასუხისმგებელია არა მარტო გიორგი სააკაძე და თეიმურაზ პირველი, არამედ ქართველი ხალხი, რომელმაც ვერ გამონახა გზა მათ შორის არსებული კონფლიქტის მოსაგვარებლად. თუ დღესაც მოხდება ქართველთა შორის სისხლიანი შეჯახება, დამნაშავე მარტო უზენაესი საბჭო, ეროვნული კონგრესი, მაშველთა კორპუსი არ იქნებიან. დამნაშავე იქნება მთელი ქართველი ხალხი, რომელმაც ვერ უპატრონა თავის შვილებს. ახლა ჩვენ თვალწინ უნდა დაგვიდგეს ის ძეგლი, რომელიც ესპანეთშია აღმართული. ერთ მხარეს დასაფლავებულია 1936-1937 წლების სამოქალაქო ომში დაღუპული კომუნისტები, მეორე მხარეს — ფრანკისტები. შუაში ჯვარია აზიდული. საფლავის ძეგლს წარწერა აქვს: თქვენ, ორივენი, ესპანეთის შვილები ხართ. დედას შეუძლებელია ერთი შვილი სძულდეს და მეორე უყვარდეს.

ასეთი დედა უბედურზე უბედურია. თუკი ესპანეთში შესაძლებელია თანაბრად პატივი სცენ ორი მტრული ბანაკის წარმომადგენლებს: ნუთუ საქართველოში შეუძლებელია ერთი და იმავე ეროვნულ-მოსახლეობის რაობის ორი ფრთის მორიგება–შეთანხმება?

უეჭველია, უდაოა, უთუმცაოა: დაპირისპირებულ ძალთა პრობლემა უნდა მოგვარდეს მშვიდობიანი გზით.

ამ მიზნით გთავაზობთ შემდეგს;

პირველი: შედგეს საბჭო ქართველი ინტელიგენციას იმ წარმომადგენელთაგან, რომელნიც არ ეკუთვნიან არც ერთ პარტიას და არ ოცნებობენ რაიმე პოლიტიკურ კარიერაზე. ეს საბჭო იქნება შუამავალი უზენაეს საბჭოსა და ეროვნულ კონგრესს (მაშველთა კორპუსს+მხედრიონს) შორის. ამ საბჭომ უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ შეთანხმება არ დაირღვეს არც ერთი მხრიდან, რომ ყველა სადაოსაკამათო საკითხი მოგვარდეს პრესაში აზრთა თავისუფალი გაცვლაგამოცვლით და არა შეიარაღებული დაპირისპირებით.

მეორე: ყველა დღეს არსებული შეიარაღებული დაჯგუფება, დამოუკიდებელი სახით (მაგალითად, დივიზია, ,,მხედრიონი'', პოლკი, ,,შევარდენი'' და ა.შ.), შევიდეს ერთიან ქართულ შეიარაღებულ ძალებში. შეიარაღებულ დაჯგუფებათა მეთაურები თანაბარი უფლებით, იქნებიან საერთო სამხედრო საბჭოს წევრები. სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელებად კი დაინიშნონ ან ავღანეთში ნაომარი ქართველი ოფიცერი ან გადამდგარი ქართველი გენერალი, რომელიც არ ეკუთვნის არც ერთ პარტიას. არა აქვს პოლიტიკური ამბიციები.

ეს შეიარაღებული ძალა (მნიშვნელობა არა აქვს, რას დავარქმევთ მას, გვარდიას თუ რაიმე სხვა სახელს), დამცველია მთელი ქართველი ხალხის, მთელი საქართველოს ინტერესებისა და არა რომელიმე პარტიისა ან პოლიტიკური დაჯგუფებისა.

მესამე: ყოველ მოძრაობას, ყოველ პარტიას შეიძლება მიეტმასნოს ნაძირალა, მაგრამ ამ ნაძირალას მიხედვით არ შეიძლება მსჯელობა ამ მოძრაობაზე, ამ პარტიაზე, არ შეიძლება, არც ის, რომ ერის ერთ ნაწილს მოვუწოდოთ ამხედრდეს ერის მეორე ნაწილის წინააღმდეგ, თუნდაც ეს ნაწილი მცირეც იყოს. ყოველ დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებობს უმცირესი ნაწილის უფლებაც, მისი დაცვის შესაძლებლობაც. თუ ეს წესი დავარღვიეთ, მაშინ ერს ვუბიძგებთ ბოროტმოქმედებისაკენ. დიქტატურა იქ იწყება, სადაც უმცირესობა

იჩაგრება უმრავლესობის სახელით.

აუცილებლად მიგვაჩნია შეიქმნას ნეიტრალური იურისტთა კომისია, რომელიც შეისწავლის დღეს არსებული ყველა არაოფიციალური, შეიარაღებული დაჯგუფების, ცხადია, მხედრიონისა და მის დაპატიმრებულ წევრთა საქმიანობას, თუ ეს კომისია დაადგენს მხედრიონის დაპატიმრებულ წევრთა კონკრეტულ, დღევანდელ დანაშაულს, მაშინ მიეცეს ისინი სამართალში, მანამდე კი დატუსაღებულნი, მათ შორის მხედრიონის მეთაური პროფ. ჯ. იოსელიანი, გათავისუფლებულნი იქნენ თავდებით.

მეოთხე: სამწუხაროდ, გაზეთების სიმრავლის მიუხედავად, ქართულ პრესაში შეიქმნა ინფორმაციული ვაკუუმი. ინფორმაცია ცალმხრივია. ამ ცალმხრივობას ბოლო უნდა მოეღოს, რომ მთელ საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება ობიექტური ინფორმაციის საფუძველზე თავად გააკეთოს დასკვნა. ყოველ დროში და ყველა ქვეყანაში ცალმხრივი ინფორმაცია არის დანაშაულის ხელისშემწყობი პირობა.

აუცილებელია, რომ რადიოთი, ტელევიზიით, ჟურნალგაზეთებით, ერთი სიტყვით, პრესის ყველა საშუალებით, თავისუფლად სარგებლობდეს ყოველი მოქალაქე. რა თქმა უნდა, ინფორმაცია საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ობიექტურად და ეთიკის ყველა ნორმის დაცვით.

ჩვენ ვგმობთ 1991 წლის 17 თებერვალს შავნაბადაზე მომხდარ ბოროტმოქმედებას, როცა საბჭოთა არმიის ნაწილები თავს დაესხა ქართველ მაშველთა კორპუსის მძინარე წევრებს შუაღამით. საზოგადოებას არ აკმაყოფილებს ამ ფაქტზე პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია და მოვითხოვთ: სრულ და ობიექტურ ინფორმაციას, გამჟღავნებას იმისას, ვისი განკარგულებით მოხდა ეს და იმათ დასჯას, ვინც მძინარე ადამიანთა წინააღმდეგ გამოიყენა იარაღი.

აკაკი ბაქრაძე, თენგიზ ბუაჩიძე, მამუკა კიკალეიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, გიგა ლორთქიფანიძე, თენგიზ აბულაძე, ლევან ხაინდრავა, როსტომ აბრამიშვილი, ზურაბ კიკნაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, რომან მიმინოშვილი, კობა იმედაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ მელვინეთუხუცესი, რევაზ ესაძე, ნაირა გელაშვილი, თემურ ბაბლუანი, ელდარ შენგელაია, ნიკო ჭავჭავაძე, ვალერიან ადვაძე, ჯანსუღ ღვინჯილია, მარიამ ლორთქიფანიძე, რობერტ სტურუა, ერლომ ახვლედიანი, თემურ ჩხეიძე, მიხეილ ქვლივიძე, მიხეილ კობახიძე, კოტე მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი, გივი გეგეჭკორი, გურამ

თევზაძე, ნოდარ კაკაბაძე, ვახტანგ ჭიჭინაძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, გიორგი ხაინდრავა, ნანა მჭედლიძე, რევაზ ჩხეიძე, მალხაზ ზაალიშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",
7 აპრილი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ნოდარ ნათაძის ღია წერილი „მრგვალი მაგიდის" წევრებს–საქართველოს უზენაესი საბჭოს უმრავლესობას!

ძვირფასო მეგობრებო!

ყველამ ვიცით, რომ საქართველომ ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ისტორიული მასშტაბის ნაბიჯი გადადგა თავისუფლებისაკენ. 1988 წლის 25 თებერვალს მასობრივი სამგლოვიარო მანიფესტაციით ქართველმა ხალხმა მკაფიოდ გამოთქვა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი. 1990 წლის 9 მარტს საქართველოს უზენაესმა საბჭომ აღიარა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტი და ყველა იმ დოკუმენტის უკანონობა, რომლის ძალითაც საქართველო სსრკს ნაწილი გახდა, 1990 წლის არჩევნებით საქართველოს მოსახლეობამ აირჩია ისეთი პარლამენტი, რომელსაც თავისის პროგრამის უპირველეს პუნქტად საქართველოს განთავისუფლება ჰქონდა, 1991 წლის რეფერენდუმით საქართველოს მთელმა მოსახლეობამ ნათლად უთხრა საკუთარ თავსაც და მსოფლიოსაც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა სურს, დასასრულ, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაადგინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მით ჩვენს ხელისუფლებას საბოლოო იურიდიული გაფორმება მიანიჭა. რა თქმა უნდა ის, რაც გაკეთდა, ყველა ქართველი პატრიოტის აზრისა და სულისკვეთების ერთობლივი გამოხატულებაა და საქართველოს ეროვნული ძალების ერთობლივი ძალისხმევის ნაყოფია: იმათიც, ვინც ცოცხალია, და იმათიც, ვინც ცოცხალი აღარაა: იმათიც, ვინც პარლამენტში იღვაწა, და იმათიც, ვინც ქალაქის ქუჩაში ან ქალაქის გარეთ გასულა ჩვენი უმაღლესი ინტერესების დასაცავად. ეს ჩვენი ყველაზე უფრო ერთობლივი და

ძირეული ზრახვის განხორციელებაა და, ამდენად, ყველასათვის ცხადია, რომ ამას, ისეთივე სახით გააკეთებდა ეროვნული ძალების ნებისმიერი ნაწილი, რომელიც კი ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა. სახელი და დიდება ყველას, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეთა შესრულებაში მონაწილეობა მიიღო!

მაგრამ ის, რაც მოპოვებულია, რაღა თქმა უნდა, ჯერ საბოლოო გამარჯვება არაა, იურიდიული აქტი, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ჩვენს ფაქტობრივ განთავისუფლებას. ჯერ კიდევ მრავალი განსაცდელი გვიძევს წინ, ჯერ კიდევ მრავალი ბრძოლა გველის ვერაგსა და ძლიერ მტერთან, რომელსაც ჩვენს დამონებაზე და ჩვენი მიწაწყლის მიტაცებაზე ხელის აღება არ სურს. ჩვენ გვმართებს უდიდესი სიმტკიცე და უდიდესი სიბრძნე, რათა ბრძოლა, რომელიც უკვე დაწყებულია, მოვიგოთ, ამასთან, მოვიგოთ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის ფასად.

დღეს საქართველოს ბედი ჩვენი უზენაესი საბჭოსა და მთავრობის ხელშია. ჩვენს ხელთაა მოქმედების ის გზა, რომელსაც დაადგება ჩვენი ქვეყანა თავისი სახელმწიფო აპარატით, თავისი მატერიალური რესურსებითა და შესაძლებლობებითურთ. ეს გზა სწორადაც შეიძლება იქნას არჩეული და მცდარადაც. დღეს ვერ დავიჩივლებთ იმაზე, რომ ვინმე გვიშლის ჩვენი მატერიალური და სულიერი ძალების გაშლას, რათა ეს ძალები გამოვიყენოთ ჩვენი მიწა-წყლის დაცვისათვის, კეთილდღეობის მოპოვებისათვის და ეროვნული პრესტიჟის განმტკიცებისათვის. დღეს მხოლოდ ჩვენ — და არა ვისმე სხვას — გვიწევს ვალი შთამომავლობის წინაშე, რომ ჩვენი ბედი ვმართოთ, გამარჯვება მოვიპოვოთ და დამარცხება ავიცილოთ.

დღეს საქართველოს უზენაესი საბჭოს აბსოლუტური უმრავლესობა თქვენ ბრძანდებით. მაშასადამე, სწორედ თქვენ—ყველას ერთობლივად და თითოეულს ცალცალკე—გაკისრიათ უპირველესი ვალდებულება, რომ საქართველო სწორედ მართოთ. ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს რომელსამე წევრს თქვენზე ნაკლები ვალი აძევს. (ცხადია თუ უზენაესი საბჭო თავის საქმეს ვერ გაუძღვება, სამარცხვინო ბოძზე გასაკრავი ყველანი ვიქნებით: უმრავლესობაც, რომელმაც არასწორი გადაწყვეტილებები მიიღო, და უმცირესობაც, რომელმაც ეს დაუშვა), მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენთვის, საპარლამენტო უმცირესობის წარმო-

მადგენლებისათვის, მართალი სიტყვის თქმა მხოლოდ მორალური მოვალეობაა, რომლის მოხდასაც შესაძლოა პრაქტიკული შედეგი ვერ მოჰყვეს. თქვენთვის კი, ვისი ერთობლივი აზრიც უზენაეს საბჭოში ყოველთვის იმარჯვებს, ეს მორალური მოვალეობა ამავე დროს პრაქტიკულიც არის: თქვენი ერთობლივი ხელის აწევა რეალურად წყვეტს საქართველოს ბედს, და, ამდენად, თქვენი აწეული ან დაშვებული ხელი რეალური ძალაა საქართველოს დღევანდელ ცხოვრებაში. თავს უფლებას ვაძლევ, ეს მარტივი ჭეშმარიტება შეგახსენოთ, ვინაიდან საპარლამენტო გადაწყვეტილებათა სიზუსტე დღეს და მომავალში ჩვენი გამარჯვების აუცილებელი პირობაა, ხოლო აბსოლუტური პირუთვნელობა ერთმანეთის მიმართ, როგორც დეპუტატთა შორის, ისე პოლიტიკაში ჩაბმულ სხვა პირთა შორის—სწორედ საპარლამენტო გადაწყვეტილებამდე მისვლის აუცილებელი პირობაა.

სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი ჩემი დღევანდლამდე დაკვირვებების საფუძველზე, რომ თქვენ, ჩვენი უზენაესი საბჭოს მრგვალ მაგიდისეული უმრავლესობა, თქვენს მოვალეობას ყოველთვის ისე ასრულებთ, როგორც ამას საქმის ბრძნულად განჭვრეტილი ინტერესები მოითხოვს. მეტსაც მოგახსენებთ: შეუძლებელია პარლამენტში ბრძნული გადაწყვეტილებების მიღება რთულ პრობლემაზე, თუ მასზე აზრთა ჭიდილი არაა, და ძალიან იშვიათად თუა შესაძლებელი, სწორი გადაწყვეტილება მოინახოს, თუ აზრთა და პოზიციათა გაყოფა ხმათა გაყოფაშიც არ აისახა. დღეს საქართველოს უზენაეს საბჭოში აზრთა გაყოფა კი არსებობს, მაგრამ ხმების დათვლა ჯამში ყოველთვის იმ გადაწყვეტილებას იძლევა, რომელიც თავმჯდომარის მიერ (ან დარგობრივი კომისიის მიერ) იყო შემოთავაზებული, ან რომელსაც ბნი ზ. გამსახურდია დაეთანხმა. ამგვარ ერთსულოვნებას, უკრიტიკო ერთსულოვნება ჰქვია. როგორც ცნობილია, იგი ქვეყნისათვის სასარგებლო არასოდეს ყოფილა და ვერც იქნება. ამიტომაცაა, რომ იმ ექვსიოდე თვეში, რაც ჩვენი უზენაესი საბჭო არსებობს, მან ზემოხსენებული დიდებული დოკუმენტების შექმნასთან ერთად უკვე არაერთი ფუნდამენტური მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა. ეჭვი გეპარებათ? მაშ საკუთარი კრიტიკული განსჯით მომეცით (ან თქვენს თავს მაინც მიეცით) რამდენიმე კითხვის პასუხი, რომლებიც თქვენი საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკას ეხება.

რატომ და როგორ მოხდა, რომ ცხინვალის რეგიონში საგანგებო

მდგომარეობის განხორციელება საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ დაეკისრა შინაგან ჯარებს (მათ შორის—სსრკ შინაგან ჯარებს, რომ-ლებიც დღეს იქ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებენ და [illegible] ახალი კონტინგენტის შემოსვლა დღეს საქართველოს უბედურების ზღვას უქადის?) როგორ და რატომ მოხდა, რომ დღეს საქართ-ველოს ერთ-ერთი ყველაზე ცხელი ადგილიდან—ცხინვალიდან—გამოყ-ვანილ იქნა მილიცია? რატომ და რა ტაქტიკური მოსაზრებით იდება არათანასწორუფლებიანი შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და რსფსრს შორის, რომელიც უფლებას აძლევს ამ უკანასკნელს, ჩვენს ტერიტორიაზე იმოქმედოს ბანდების განიარაღების მიზნით? (აქ აღარ ვკითხულობ: ვინ და რა მოტივით ურჩია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ქართველ დეპუტატებს, დეკემბრის სესიაზე ხმა მიეცათ ჩვენი საერთო საქმისათვის მავნე კონსტიტუცი-ური ცვლილებებისათვის, რომელთა მიღებასაც ხმათა ორი მესამედი, მასასადამე—ქართველ დეპუტატთა ხმებიც ესაჭიროებოდა). თუ ამ კითხვათა პასუხი გეგულებათ, გვიბრძანეთ იგი! ხოლო თუ არ გეგ-ულებათ, მაშინ რატომ უწევთ ხელს იმ დადგენილებას, რომელშიც სისწორეს ვერ ხედავთ და რა პასუხს აძლევთ ქვეყანას, რომელიც თქვენგან სწორ მართვას მოელის?

ეს, რაც შეეხება შეცდომებს, ანუ იმას, რაც უზენაეს საბჭოს არ უნდა გაეკეთებინა, ან სხვანაირად უნდა გაეკეთებინა, ვიდრე გააკეთა. ახლა, პატივცემულო დეპუტატებო, გკითხავთ იმის თაობაზე, რაც საბჭოს უნდა გაეკეთებინა, მაგრამ არ გააკეთა.

გთხოვთ მიბრძანოთ: სწორია ის, რომ სოფლის მეურნეობა, ანუ საქართველოს გამოკვების ძირითადი წყარო, ამ ექვსი თვის მანძილზე, რაც ახალი უზენაესი საბჭო არსებობს, ფაქტობრივად ურეფორმოდაა დატოვებული? განა მოგებულნი არ ვიქნებოდით, იმ რაიონებში, რომ-ლებიც დამატებით სირთულეებს არ შეიცავენ, თუკი მიწის საბო-ლოოდ დარიგებას ვერ მოვახერხებდით, ის მაინც მოგვეხერხებინა, რომ საკარმიდამო და სამოსახლო ნაკვეთები იმ მაქსიმუმამდე მაინც შეგვევსო რასაც არსებული კანონი უშვებს? ნუთუ თქვენ დაგაკ-მაყოფილათ სესიაზე გაცემულმა პასუხმა, ამას ვერ ვიზამთ ამა და ამ კანონის შემოღებამდეო, და ვერ გათვალეთ რა ეკონომიკური და არაეკონომიკური პერსპექტივები იმალებოდა ამ წინადადებაში? მოგ-წონთ ის, რომ მართვის სოციალისტური პრინციპები საქართველოში

ჯერჯერობით ხელშეუხებელია. შეცვლილია მხოლოდ სტრუქტურები და სახელები („პრეფექტი" „მდივნის" ნაცვლად)? არ მოგდით აზრად, რომ მიუხედავად ზოგი პრეფექტის უაღრესი პიროვნული ღირსებისა (რომელთაც დიდი მოწიწებით შევცქერი), თვით სტრუქტურა „აქეთ–ყოვლისშემძლე აპარატი, იქით–პოლიტიკურად, სოციალურად და ეკონომიკურად პასიური მოსახლეობა" თავისი არსით სოციალისტურია? კიდევ მაგალითს მოვიყვან. ზოგმა თქვენგანმა მაინც (თუ ყველამ არა) იცით, რომ ცხინვალის რეგიონი დღეს ბანდიტებისაგან ალყაშემორტყმულია და ქვეყანას მოწყვეტილია (ისე, რომ ვერც ექიმი შევა და ვერც ავადმყოფი გამოვა) რვა ქართული სოფელი: თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, სვერი, ქემერტი, ძარწემი და ხეითი. იმასაც საკუთარი თვალით ხედავთ და ყურით ისმენთ, რომ მასობრივი დეზინფორმაციის საშუალებებში („ვრემია" „ტეესენი" და საბჭოთა პრესა) დღემდე არ არსებობს, ხოლო მასობრივი დეზინფორმაციის საშუალებებში (საქართველოს ტელევიზია და პრესა) ბოლო დრომდე არც ერთხელ არ გამომკრთალა (ახლა კი ოდნავ გამოკრთდა)ამ რვა სოფლის ალყის თემა. არც მსოფლიომ, არც საქართველოს მოსახლეობამ (გარდა ცხინვალის მიმდებარე რეგიონებისა) არ იცის, რომ ოსური ბანდები, რომლებიც დღეს მოქმედებენ, ნახევარზე მეტად და ეგებ ცხრა მეათედადაც არაადგილობრივებით არიან დაკომპლექტებულნი (ე.წ. „ჩრდილო" ოსეთიდან და სსრკ მთელი ტერიტორიიდან). თქვენ ხედავთ ჩვენს მიუტევებელ დამარცხებას (დღესდღეობით) საპროპაგანდო საინფორმაციო ომში იმპერიის წინააღმდეგ. მე გეკითხებით: ნუთუ დასკვნას ვერ აკეთებთ, რომ უზენაესი საბჭოს საინფორმაციო ცენტრი, რომლის პირითაც საქართველო დღეს ელაპარაკება საკუთარ მოსახლეობას და მსოფლიოს, ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, და არ გიჩნდებათ მოვალეობის გრძნობა, რომ როგორც უზენაესი საბჭოს წევრებმა, ამ პრესცენტრის პირადი შემადგენლობის შეცვლას, გაუმჯობესებას ან გაფართოებას მიაღწიოთ? ეძებთ თუ არა თქვენ, ხალხის რჩეულნი, როცა ერთად ბრძანდებით ან თქვენს თავთან მარტო რჩებით, იმ ახალი სისხლიანი ვერაგული შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკას, რომელსაც დღეს იმპერია ეწევა ჩვენი ქვეყნის მიმართ? თუ არ ეძებთ, მაშინ რა უფლებით თვლით თავს ხალხის რჩეულებად? ხოლო თუ ეძებთ, ნუთუ თქვენი მაღალი გონება და ცხოვრების გამოცდილება არაფერს გკარნახობთ იმის

გარდა, რასაც უზენაესი საბჭოსა და მისი სათანადო კომისიებისაგან ისმენთ?

აქ აღარას ვამბობ თქვენი პოლიტიკური მოღვაწეობის ამ ნაწილზე, რომელიც მართვის დემოკრატიული მექანიზმების დაცვას შეეხება. ბევრი ფიქრობს (და ამბობს კიდეც), რომ დემოკრატია სისუსტის წყაროა. მე, პირიქით, იგი სიძლიერის წყარო მგონია (სხვა თუ არაფერი, იმიტომ მაინც, რომ დემოკრატიის გარეშე ადამიანთა პროფესიული და პიროვნული ზრდა არ ხდება). დიდად სამწუხაროა, რომ ამ მარტივ ჭეშმარიტებას თქვენთვის შეხსენება სჭირდება!

სამწუხაროდ, იძულებული ვარ მორალური ხასიათის კითხვებითაც მოგმართოთ. არ გაწუხებთ, რომ ქართველი ჯარისკაცი, რომელიც გამოექცა დამამცირებელ წამებას საბჭოთა არმიაში და თბილისში იმყოფებოდა, მილიციას თანამშრომლებმა აბრამიანმა და საფაროვმა მოტყუებით გამოიყვანეს სახლიდან, გვარდიაში უნდა მიგიყვანოთო, და სამხედრო პროკურატურას ჩააბარეს? თუ ეს იცით, რატომ არ ეძებთ ამ დანაშაულის პასუხს? კიდევ გკითხავთ: გაწუხებთ თუ არა, რომ თქვენს ძვირფას სიცოცხლეს, როცა უზენაესი საბჭოს შენობაში იმყოფებოდით, ერთობ ინტენსიურად იცავენ (ვისგან—ღმერთმა უწყის), იმ დროს როცა შიდა ქართლის ქართული სოფლების მოსახლეობას ქართველის სისხლს მოწყურებული ბანდების თავისი ცოლ—შვილის დასაცავად ფილთა თოფიც კი ათასში ერთს თუ აქვს? კიდევ კითხვა: არ გაწუხებთ, როგორც მოქალაქეებს, ის ფაქტი, რომ უზენაესი საბჭოს სხდომები იმრავლეს შემთხვევაში დახურულია და ქვეყანა ვერ ხედავს, როგორ წყდება თქვენს მიერ მისი ბედი?

ზემოთქმული (სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ) მე მგონი, იმის საილუსტრაციოდ, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო სათანადოდ ვერ იყენებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გამოსწორების იმ შესაძლებლობებს, რაც დღეს გვაქვს, შეგახსენებთ, რომ ამ შესაძლებლობათა ნაყოფიერი გამოყენება (50%ით მაინც) პარლამენტის წევრებისათვის გმირული ღვაწლი კი არაა, ან სახელის მომხვეჭი საქმე, არამედ პირდაპირი მოვალეობაა, ხოლო ამ საქმის ვერ შესრულება) ამ მოვალეობის ნებსითი, თუ უნებლიე ღალატი. თავს უფლებას ვერ მივცემ, თქვენს დღევანდელ მოღვაწეობას უზენაეს საბჭოში რაიმე კვალიფიკაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივცე, მაგრამ იმის უფლებას კი მივცემ, ახლა მაინც გადავდგათ ის ნაბიჯები, რომელიც ჩვენი ქვეყნის გადარჩენას ეხმარება სახელდობრ:

1. როგორც მოგეხსენებათ, დღეს ცხინვალის დესტაბილიზაციას და ქართველი მოსახლეობის სიცოცხლის ხელყოფის ატმოსფეროს ქმნის, პირველ ყოვლისა, სსრკ შეიარაღებული ძალების მოქმედება, რომლებიც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელს—მილიციას—არ აძლევენ ბანდიტების განიარაღების საშუალებას, ხოლო ბოლო ხანებში თვით მილიციასაც იარაღს ჰყრიან და ატყვევებენ. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დააფიქსიროს ეს ვითარება ოფიციალურად, მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა აბსტრაქტული განცხადებების სახით, არამედ სსრკ მთავრობისადმი ნოტის სახით,. ამასთან, მან უნდა აღნიშნოს ამ ნოტაში, რომ თუ სსრკ შეიარაღებული ძალების ახალი კონტინგენტები არ დატოვებენ ცხინვალის რეგიონს განსაზღვრულ ვადაში, საქართველოს ხელისუფლება ამას მიიჩნევს საქართველოზე შეიარაღებულ თავდასხმად, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით.

2. როგორც მოგეხსენებათ, სსრკ მთავრობა არ ცნობს არც ჩვენ ეროვნულ გვარდიას, არც მით უმეტეს, სოფლელთა უფლებას, თავისი სიცოცხლე იარაღით დაიცვან. ყოველდღე შესაძლებელია, სსრკ შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლი გაუხსნან გვარდიელებსაც და ფილთა თოფებით შეიარაღებულ მოსახლეობასაც. საქართველოს ხელისუფლება მოვალეა, უშუალო მიმართვით აცნობოს სსრკ ხელისუფლებას, აგრეთვე მსოფლიოს სხვა ქვეყნებს, რომ გვარდია ჩვენი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალაა, ხოლო სოფლის აქტივისტები, რომლებიც მოსახლეობას იცავენ—საქართველოს სახელმწიფოს (ანუ სამშობლოს) დამცველი პიროვნებები, და როგორც ერთზე ისე მეორეზე თავდასხმა სსრკ რეგულარული ჯარის მხრიდან, საქართველოზე თავდასხმაა.

3. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიმართოს გაეროს კონკრეტული თხოვნით საქართველოში, ცხინვალის რეგიონში კომისიის გამოგზავნის თაობაზე.

4. ცხინვალის რეგიონში დანაშაულებისა და „დანაშაულების" გამოძიების უფლება არა აქვთ სსრკ ორგანოებს. საქართველოს ორგანოებმა ეს ოფიციალურად უნდა თქვას და ოფიციალურად უნდა

განაცხადოს, რომ, თუკი ვისმე შეიძლება მიეცეს ცხინვალის ამბების ძიების უფლება, საქართველოს პროკურატურის დარგა, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მიერ მოწვეული საერთაშორისო ორგანიზაციისა.

ვიმეორებ: ამ ნაბიჯთა არგადადგმა ერის ღალატის ტოლფასია.

20 მარტი, 1991 წელი.

გაზ: „საქართველო", 1 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 28 აპრილს

საღამო მშვიდობისა, ძვირფასო ტელემაყურებლებო!

პირველ ყოვლისა მინდა მადლობა მოვახსენო საქართველოს მოსახლეობას ბოლო ხანებში აღმოჩენილი დიდი მხარდაჭერისათვის, რეფერენდუმში მონაწილეობისათვის, იმ მოლოცვებისათვის, რომლებიც გამოაგზავნეს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტად ჩემს არჩევასთან დაკავშირებით, ცალკეულ პირებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და აგრეთვე იმათ, ვინც წარმოადგინეს მხარდამჭერთა სიები.

დღევანდელი ჩემი გამოსვლა, დაკავშირებულია მრგვალი მაგიდის ბლოკის მიერ ჩემს წარდგენასთან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად. გარკვეული გაგებით მსურს განვმარტო ზოგიერთი რამ, განსაკუთრებით, ჩვენი ოპონენტების გამოსვლასთან დაკავშირებით. მსურს ავღნიშნო უწინარეს ყოვლისა, რომ არ მინდა ვტოვებდე შთაბეჭდილებას ისეთი ადამიანისას, რომლის ცხოვრების უმთავრესი მიზანი პრეზიდენტობაა. არასოდეს მქონია ასეთი მიზნები. ეს ყველამ ყველამ კარგად იცის, ვინც ასე თუ ისე მიცნობს, მაგრამ ქვეყნის მდგომარეობამ, ჩვენი ერის დღევანდელმა ვითარებამ განაპირობა ეს ყოველივე. გუშინ ჩვენ მოვისმინეთ ჩვენი ოპონენტების გამოსვლები. იქ იყო ყალბი საყვედურები ჩვენს მიმართ და მრგვალი მაგიდის ბლოკის მიმართ, გადაკრული სიტყვები, რომლებზეც მსურს მოგახსენოთ

შემდეგი. პირველ რიგში საუბარი იყო ფასების ზრდაზე და ეკონომიკურ კრიზისზე. ის ადამიანები, რომლებიც საუბრობენ საქართველოში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაზე, ცხოვრების დონის დაცემაზე, რატომღაც არასოდეს არ ახსენებენ მთავარ მიზეზს — კრემლს და საბჭოთა იმპერიას, რომლის შემადგენლობაშიც, ჯერჯერობით, იძულებით ვიმყოფებით, და ცდილობენ გადმოიტანონ ბრალდების მთელი სიმძიმე საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაზე, მთავრობაზე.—ამას სჩადიან უპირველეს ყოვლისა სწორედ კრემლის მოციქულები, რომელთა მიზანია დისკრედიტაცია ჩვენი ხელისუფლებისა და ჩვენი მთავრობისა. სინამდვილეში სანამ საქართველო წარმოადგენს ნაწილს ცენტრალიზებული საბჭოთა იმპერიისას, სადაც ჩვენი ეკონომიკა იმყოფება იზოლაციაში, რეალური ეკონომიკური ძვრები წარმოუდგენელია. სანამ ჩვენს რესპუბლიკას არ ექნება ეკონომიკური საზღვრები, რომელიც დაგვიცავს ცენტრის თვითნებობისაგან, ცხოვრების დონის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება შეუძლებელია. მაგრამ ჩვენი ქვეყანა მიდის სრული დამოუკიდებლობისაკენ, დამოუკიდებლობის დეკლარაცია პირველი რეალური ნაბიჯი გახლავთ ამისი. ზოგი პოლიტიკოსი დღეს უკიჟინებს ჩვენს ხელისუფლებას არასაკმარის ელასტიურობას. გუშინ იყო საუბარი იმაზე, რომ საჭიროა უფრო მეტი ელასტიურობა ცენტრთან ურთიერთობაში, საჭიროა ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც უფრო ელასტიური იქნება, ვთქვათ, უფრო მეტად მოერგება კრემლის პოლიტიკას. მაშინ გამოდის, რომ ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება, თუ დავთმობთ ჩვენს პრინციპებს, ხელს ავიღებთ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე და ხელს მოვაწერთ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, მაგრამ ეს იქნება ღალატი ჩვენი იდეალებისა, ჩვენი პრინციპებისა და, მე მგონი, ქართველი ერი ამას არ მოიწონებს, ასე რომ ჩვენს წინაშეა არჩევანი, ერთი მხრივ, ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, რომელიც ჩვენ გამოვაცხადეთ და რომლის მიზანიც არის სრული და საბოლოო დამოუკიდებლობის მიღწევა და, მეორე მხრივ, კრემლთან და ცენტრთან ელასტიური დამოკიდებულება, შემგუებლობა და საბოლოო ანგარიშით ერის ღალატი. მე მგონი არჩევანი გაკეთებულია, დღეს ვერავითარი დემაგოგიით ვერავინ ვერ დაარწმუნებს ქართველ ერს, რომ პირველი გზა არ არის სწორი და მეორე გზას უნდა დაადგეს. ასე რომ, ვინც საუბრობს იმაზე, რომ საქართველოში ეკონომიკური

მდგომარეობა გაუარესებულია, უწინარეს ყოვლისა უნდა ისაუბროს-
მის გამომწვევ მიზეზებზე და ეს მიზეზი გახლავთ ჩვენი უკომპრო-
მისო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, რომელსაც ჩვენ არ გადავუ-
ვევთ. ჩვენი ისტორია, ჩვენი წინაპრების იდეალები სწორედ ამასთან
იყო დაკავშირებული ყოველთვის, საქართველო ყოველთვის იცავდა
თავის დამოუკიდებლობას, თავის სარწმუნოებას, და ის ტრაგიკუ-
ლი ისტორია, რომელიც საქართველოს აქვს არ იქნებოდა ესოდენ
ტრაგიკული, მას რომ უარი ეთქვა სარწმუნოებაზე, თავის ეროვნულ
თვითმყოფადობაზე, არ ებრძოლა თავისუფლებისათვის. ასევე არის
დღესაც. ჩვენ რომ ხელი ავიღოთ ჩვენს რწმენაზე, ჩვენს ეროვნებაზე,
მაშინ ცენტრი დიდ სიხარულით გამოგვიწვდის ხელს, მაგრამ ჩვენი
პრინციპები ამის უფლებას არ მოგვცემს. საუბარია დღეს აგრეთვე
ჩვენი ოპონენტების მხრივ იმაზე, რომ მიწის კერძო მფლობელობაში
გადაცემა დაუყოვნებლივ არ მოხდა. ამასთან დაკავშირებით ისევ ვი-
მეორებთ, რომ საჭიროა ჯერ მოქალაქეობის კანონის შემოღება. ის,
ვინც დღეს ქადაგებს მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას მოქალაქე-
ობის კანონის გარეშე, საქართველოს მტერია, ნამდვილი მოღალატეა
ჩვენი ეროვნული ინტერესებისა. ჯერ უნდა გვქონდეს მოქალაქეობის
კანონი, რომელიც ამჟამად მუშავდება, ხოლო შემდეგ კანონი მიწის
შესახებ, მიწის კოდექსი. აი, ამის მერე უნდა დავიწყოთ მიწის გა-
დაცემა კერძო საკუთრებად. მაგრამ ამისათვის საჭიროა უწინარეს
ყოვლისა, დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო პოზიციე-
ბის განმტკიცება, შინაგანი სტაბილურობა და აუცილებლად დიპლო-
მატიური აღიარება ჩვენი ქვეყნისა ერთი ან ორი სახელმწიფოს მიერ
მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეობის კანონის შემოღება
გართულდება გარკვეული შინაპოლიტიკური და საგარეო პოლიტი-
კური მიზეზების გამო. აი, ასე გახლავთ ურთიერთდაკავშირებული
მიწის საკითხი მოქალაქეობის საკითხთან.–რასაკვირველია, ოპონენ-
ტების აზრის მოსასმენად ჩვენ მზადა ვართ, მაგრამ ყველას ვთხოვთ,
რომ პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლას ნუ გადავაქცევთ საქართ-
ველოს რესპუბლიკის დისკრედიტაციად და ჩვენი ეროვნული ინტერ-
ესების ხელყოფად. ჩვენი ოპონენტები ამბობენ აგრეთვე, თითქოს
ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებით თვითბლოკადას
ვეწეოდეთ. ესეც დემაგოგიური და პროვოკაციული განცხადებაა,
ვინაიდან ცნობილია თუ რა დიდ ზიანს აყენებს ჩვენს მიერ გამოცხა-

დებული ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობა უპირველეს ყოვლისა საბჭოთა ეკონომიკას, რაზედაც მეტყველებენ ის წერილები, და დეპეშები, რომლებიც მოდის საქართველოში ცენტრიდან. — უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დოგუჟიევის ტელეგრამა, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა ეკონომიკას უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენმა რკინიგზელთა გაფიცვამ. დოგუჟიევი კატეგორიულად მოითხოვს ამ გაფიცვის შეწყვეტას. სხვადასხვა საწარმოებიდანაც მოდის დეპეშები. ყოველივე ეს გამოქვეყნდა პრესაში, მართალია, არც ის არის დასამალი, რომ ჩვენი ეკონომიკის ინტრესებიც ზიანდება, მაგრამ მსხვერპლის გარეშე თავისუფლება არავის მოუპოვებია. ამიტომ გთხოვთ ნუ აჰყვებით დემაგოგების მოწოდებებს, კაპიტულანტების მოწოდებებს, რომ ხელი ავიღოთ ჩვენს ბრძოლაზე და დავნებდეთ კრემლს, ასე რომ აქ ელასტიურობის გამოვლინება და ყოველგვარი ლავირება მიგვიყვანს მხოლოდ ეროვნული ინტერესების ღალატამდე. ჩვენ არ ვაპირებთ, გადავუხვიოთ იმ გეზს, რომელიც ავიღეთ დამოუკიდებელი საქართველოს აღორძინებისათვის ბრძოლაში.

იყო აგრეთვე გარკვეული საყვედურები იმასთან დაკავშირებით, თითქოს საქართველოს უზენაესი საბჭო ერთპარტიულია. ესეც აშკარა და უხეში ცილისწამებაა. იქ გახლავთ მრავალი პარტის წარმოდგენილი, მრავალი ორგანიზაცია, იქ არის სრული თავისუფლება შეხედულებებისა, პოზიციებისა; არავითარი ძალდატანება, არავითარი შეზღუდვა, არავითარი რეგლამენტირება არ ხდება არავისი. ყველა თავისუფლად გამოთქვამს იქ თავის შეხედულებას და იმარჯვებს მხოლოდ ის აზრი, რომელსაც მხარს უჭერს დიდი უმრავლესობა და რომელიც მისაღებია პარლამენტისთვის და ერისათვის. რაიმე არადემოკრატიულობის დაბრალება ჩვენი პარლამენტისთვის, ჩვენი ხელისუფლებისთვის, მე მგონი, გაუმართლებელია. გაუმართლებელია აგრეთვე ბრალდება იმის შესახებ, თითქოს კულტურის საქმეებში ვერევით. არავითარი ჩარევა რა ხდება. ჩარევა ხდება მხოლოდ მაშინ, თუ ესა თუ ის კულტურული დაწესებულება გამოავლენს რაიმე მძიმე ფინანსურ დარღვევებს, კორუფციას. — სხვა არავითარი იდეური დიქტატი, არავითარი ცენზურა არ არსებობს. არავითარი თავს მოხვევა რაიმე იდეოლოგიისა. ახლა უნდა მოგახსენოთ, რომ არის რეალური საფრთხე პრეზიდენტის არჩევნების ჩაშლისა. ცენტრი უკვე ემზადება საამისოდ,

ვინაიდან ეს მიაჩნია უდუდეს საფრთხედ თავისი მართველობისათვის. მე მგონია, გაცილებით უფრო დიდი მცდელობები იქნება, ვიდრე ეს, რეფერენდუმის შემთხვევაში, ან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში. უკვე ემზადებიან ამისთვის, უკვე დაწყებულია ცდები დესტაბილიზაციისა. განსაკუთრებით ავტონომიურ რეგიონებში. ჩვენ ყოველგვარი ძალები უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ არ დავუშვათ დესტაბილიზაცია. შესაძლოა აი, ამ საყოველთაო დესტაბილიზაციის მცდელობით მოინდომონ ჩაშლა პრეზიდენტის არჩევნებისა. არის უკვე ამის მონაცემები. ჩვენ უფრო დეტალურად მოგახსენებთ იმის შესახებ, თუ რატომ არ აძლევს ხელს კრემლს ეს არჩევნები. იმის გამო, რომ მას არ სურს, საქართველოს ჰყავდეს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი. ვინაიდან ეს განამტკიცებს საქართველოს პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე და დააჩქარებს საქართველოს ცნობას, დიპლომატიურ ცნობას, მსოფლიოს სახელმწიფოების მიერ. აი ამ მიზეზით, ყოველგვარ ზომებს ღებულობენ, რომ არ დაუშვან საქართველოში ეს არჩევნები. მაგრამ ქართველი ერი უნდა დაირაზმოს და მიღწიოს ამ არჩევნების ჩატარებას. ჩამოვლენ საერთაშორისო მეთვალყურეები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. დასავლეთის ქვეყნებიდან, ამერიკიდან, ალბათ ესეც გაართულებს საქმეს იმ ძალებისთვის, რომლებსაც სურთ დესტაბილიზაციის გამოწვევა, მაგრამ მანამდე ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ არ მოხდეს დესტაბილიზაცია. საპრეზიდენტო არჩევნები იმდენადვე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც რეფერენდუმი და როგორც დამოუკიდებლობის დეკლარაცია. საფრთხე რასაკვირველია კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ არის ჯერ კიდევ დამნაშავეობის ცალკეული გამოვლინებები საქართველოში და თუ რამე საფრთხე ემუქრება ჩვენს ერს, ეს არის ზნეობრივი თავაშვებულება, დამნაშავეობის ზრდა, რასაც უნდა დავუპირისპიროთ, აუცილებლად, დიდი ძალისხმევა, ჩვენი ეკლესია უფრო აქტიურად უნდა ამოქმედდეს და უფრო მეტად უნდა შეებრძოლოს ყოველივე ამას. ჩემის აზრით, ჩვენი ყველა უბედურების მიზეზი ისტორიულად, დღესაც, არა მარტო ჩვენი, საერთოდ მთელი კაცობრიობისა ამ ზნეობრივ თავაშვებულებაშია, რასაც, რასაკვირველია, უნდა მოვუაროთ მთელი ძალებით, დამნაშავეობა ყველა ქვეყანაში გავრცელებულია, მაგრამ, სამწუხაროა როცა დამნაშავეთა სამყაროს მხარში ამოუდგება ინტელიგენციის ნაწილი და ცდილობს რაღაცით გამართლებას ამა

თუ იმ პირთა მოქმედებისას. ეს ყოველივე შეუწყნარებელია.

საპრეზიდენტო არჩევნების ჩატრება ყველაზე მეტად მიზანშეწონილად ვცანით სწორედ 26 მაისს, ვინაიდან 26 მაისი, როგორც მოგეხსენებათ, არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე. ამ დღისთვის უნდა ვემზადოთ, რათა ვაჩვენოთ უცხოელ სტუმრებს, თუ როგორ აღნიშნავს ქართველი ერი დამოუკიდებლობის დღეს და როგორ იბრძვის იგი დამოუკიდებლობისათვის. ჩვენი გზა საქართველოს ზნეობრივი აღორძინების გზაა, სარწმუნოების აღორძინების გზაა, ქრისტეს გზაა, ამაში ვხედავ გადარჩენას ჩვენი ერისას.

გვფარავდეს ღმერთი ეკლიან და მოწამებრივ გზაზე.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 1 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინებისა კავშირის გამგეობის წერილი „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

27 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა 21 თებერვალს დაწერილი ქართველი ინტელიგენციის მიმართვა სარედაქციო რუბრიკით „ვინ ვინ არის?". ერის წინაშე „რევოლუციური პირდაპირობით მხილებულ" ინტელიგენციას არავინ ჰკითხა, იყო თუ არა თანახმა ორ თვეზე მეტი ხნის ამაო ლოდინის შემდეგ დაბეჭდილიყო მიმართვა. ამას კი ელემენტარული ეთიკა მოითხოვდა რედაქციისაგან, რომელსაც დემოკრატიულობის პრეტენზია აქვს. რედაქციამ ისიც კი არ მიიჩნია საჭიროდ, თარიღი მაინც დაესვა, რაც, თუნდაც, იმ გაუგებრობას მოხსნიდა, თუ რატომ არის მიმართვაში საუბარი მესამე მსოფლიო ომის საშიშროებაზე და აჩვენებდა, რა პოლიტიკურ ვითარებაში სეიქმნა ეს დოკუმენტი.

ჩვენთვის გასაგებია „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტური ჟონგლიორობა, რომელმაც ეს წერილი ორი თვით შემოინახა, მაგრამ მანამდე ოფიციალური პრესის სხვა ორგანოებთან და სახელმწიფო ტელევიზიასთან ერთად გააჩაღა პროპაგანდისტული კამპანია

გამოუქვეყნებელი დოკუმენტის წინააღმდეგ, გააცნო დაინტერესებულ-პირებს ტექსტი, როგორც „არალეგალური ლიტერატურა" და შეეცადა შეექმნა საზოგადოებრივი აზრი „სამშობლოს გამყიდველი" ან „ტვინგადაბრუნებული" ინტელიგენციის შესახებ, რომელიც, თურმე ნუ იტყვით, იბრძვის ბანდიტების დასაცავად. ერთი მხრივ „მხედრიონის" და მისი ლიდერის ჯაბა იოსელიანის დისკრედიტაცია, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოური რეჟიმის ნოსტალგიით შეპყრობილი ინტელიგენციის იმიჯის შექმნა, როგორც ეტყობა, „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციამ, რომელიც იფიციოზის პოზიციის გამომხატველია, დასრულებულად ჩათვალა და თუ არათუ „ერის მოღალატეთა მამხილებელი" რუბრიკა, არამედ ბანდიტიზმის შედეგის ამსახველი ფოტოსურათიც წარუმძღვარა.

რა გვაქვს საწინააღმდეგო, თუ რედაქცია მართლა შეძლებს, გაარკვიოს „ვინ ვინ არის", მაგრამ ამისათვის მან სულ ცოტა, ის მაინც უნდა იცოდეს, თვითონ ვინ არის, რას ემსახურება, თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის კონსოლიდაციას, თუ მის პარტიებად დაშლა–დანაწევრებას? უნდა გაარკვიოს, ნიშნავს თუ არა საქართველოს თავისუფლება მისი თითოეული მოქალაქის თავისუფლებას? ხომ არ უნდა იქცეს საქართველო საკაცობრიო ოკეანეში დამოუკიდებელ მეკობრეთა გალერად, რომლის მერხებზეც მონები მიუჯაჭვავთ? ასეთი კითხვა დარწმუნებული ვართ, აღაშფოთებს პატივცემულ რედაქციას. მაშინ უნდა დაგვეთანხმონ, რომ დამოუკიდებელი საქართველო უნდა იყოს თავისუფალ მოქალაქეთა რესპუბლიკა! რას აკეთებს რედაქცია საქართველოს მოქალაქეთა თავისუფლებისათვის? რატომ ულობავს გზას თუნდაც ახლახან დაბეჭდილი მიმართვის ხელმომწერებს ხალხთან დიალოგისაკენ, რატომ იმეორებს კომუნისტური პრესის მეთოდებს, რატომ სურს საქმე ისე წარმოაჩინოს, თითქოს, საქართველოში არ არსებობს სხვა აზრი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ საკითხებზე, ვიდრე უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობის აზრია და თუკი არსებობს, აუცილებლად კრემლის აგენტურის აზრს წარმოადგენს?

ჩვენდა სავალალოდ გამოთქმა „მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტურა", რომელსაც აბრალებდნენ ბოლშევიკები არა მარტო საკუთარ წარუმატებლობას, არამედ თავისუფალი, მათი დოგმებისაგან განსხვავებული აზრის არსებობას, შიცვალა გამოთქმით „კრემლის

აგენტურა", რომელიც რეალურად არსებობს და მით უფრო, საშიშია თავისუფალი, ოფიციოზისაგან განსხვავებული აზრისათვის, კრემლის სამსახურის დაბრალება. ეს არის პირდაპირი გზა დიქტატურისაკენ. მხოლოდ ერთი პიროვნების აზრია სწორი, ყველა დანარჩენი კრემლის ხრიკებია!

კრემლი ხელს უშლის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, მაგრამ იგი ვერარ უშლის ხელს რესპუბლიკის მოქალაქეთა თავისუფლებას, თავისუფალი აზრის გამოთქმას, დემოკრატიის განმტკიცებას. „საქართველოს რესპუბლიკა" გაბედულად აკრიტიკებს საკავშირო მთავრობას პრეზიდენტის ჩათვლით, მაგრამ თუ როგორ ექცევა იგი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიციისაგან განსხვავებულ აზრს კარგად ჩანს ინტელიგენციის მიმართვისადმი მის დამოკიდებულებასი. აქაც კრემლია დამნაშავე?

რატომ აფრთხობს რედაქციას აზრთა სხვადასხვაობა, რატომ აქვს იმედი, რომ ხალხი თვითონ გაარჩევს მტყუანს და მართალს? ნუთუ ინტელექტუალურად ისე დაძაბუნდა ქართველი ერი, რომ „კრემლის აგენტებს" დაუჯერებს და არა მის მიერ არჩეულ ხელისუფლებას? ნუთუ მას არა აქვს უფლება თვითონვე შეამოწმოს, ვინ აირჩია და რამდენად გაამართლა მან ხალხის იმედი?

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინებისა კავშირი პროტესტს გამოთქვამს ეროვნული ინტელიგენციისადმი რესპუბლიკური ოფიციალური პრესის, განსაკუთრებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" დამოკიდებულების გამო. რედაქციის მიერ ხელისუფლებასთან კონსულტაციის შემდეგ გაზეთში ამ პროტესტის გამოუქვეყნებლობის შემთხვევაში ვიტოვებთ უფლებას ჩვენი მოსაზრებანი დამოუკიდებლად გავაცნოთ მსოფლიო დემოკრატიულ საზოგადოებრიობას და ამ უკიდურეს ნაბიჯს მივიჩნევთ ერთადერთ გამოსავლად საქართველოში დემოკრატიის გადარჩენისათვის.

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინებისა კავშირი მოითხოვს:

1. საქართველოს უზენაესი საბჭოს ორგანოებში, განსაკუთრებით „საქართველოს რესპუბლიკაში" და „სვობოდნაია გრუზიაში" შეიქმნას მუდმივი რუბრიკა „ალტერნატიული გვერდი", რომელშიც გამოქვეყნდება ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის თუ ცალკეული პიროვნების მოსაზრებანი, რომელთაც შეიძლება დაუპირისპირდეს არგუმენტირე-

ბული პროფესიული მოსაზრებანი და არა „მშრომელთა მასებში" აღშფოთებული წერილები— ეს იაფფასიანი ბოლშევიკური პროპაგანდისტული ტრიუკი, რასაც უკანასკნელ ხანებში ფართოდ გამოიყენებენ მიეცა.

2. საქართველოს ტელევიზიასა და რადიოში აგრეთვე მუდმივად, კვირაში ორჯერ მაინც, გამოიყოს ალტერნატიული საათი, რომელიც თუ პირდაპირი ეთერით არ გადაიცემა, აუცილებლად დამონტაჟების შემდეგ უნდა იყოს შეთანხმებული ავტორთან (ავტორებთან). გარდა ამისა აუცილებელია შეიქმნას თავისუფალ ტელეჟურნალისტთა რედაქცია, რომელიც მოამზადებს პროგრამა „ვზგლიადის" ტიპის რეგულარულ გადაცემებს პირდაპირ ეთერში. ამ გადაცემაში მონაწილეობას მიიღებენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც, ოპოზიციონერებიც, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენიც. თავისუფალი საქართველოს ტელევიზიამ უნდა აჩვენოს, რომ იგი კრავჩენკოს ტელევიზიის ასლი კი არაა, დემოკრატიული ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებაა.

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და
აღორძინებისა კავშირის გამგეობა.

რედაქციისაგან:

მეტისმეტად მძიმე და საგანგაშო ბრალდებები წამოუყენა ჩვენი გაზეთის რედაქციას საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინებისა კავშირის გამგეობამ—ჟურნალისტური ჟონგლიორობა, „სამშობლოს გამყიდველი" და „ტვინგადაბრუნებული" ინტელიგენციის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შექმნა, ერის კონსოლიდაციისათვის ხელის შეშლა, საქართველოს რესპუბლიკის მოქლაქეთა პიროვნული თავისუფლების შეზღუდვა, განსხვავებული აზრის ჩახშობა, ახლადდაბადებულ ქართულ დემოკრატიაზე მომაკვდინებელი იუერიშები და სხვა.

ჩვენთვისაც მეტისმეტად გულდასაწყვეტია ამდაგვარი განწყობა და დამოკიდებულება ჩვენი საქმინობისა და პოზიციის მიმართ. არ დავმალავთ — არ გვეგონა, თუ ჩვენი მართლაც მოკრძალებული ძალისხმევა ჩვენსავე საწინააღმდეგოდ შემობრუნდებოდა. გვენდეთ, ამას არც ველოდით და მითუმეტეს, არც სურვილი გვქონია.

ახლა კონკრეტულად. საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინებისა კავშირის გამგეობის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია

„საქართველოს რესპუბლიკი" 21 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულმა ინტელიგენციის მიმართვამ სარედაქციო რუბრიკით „ვინ ვინ არის".

შევეცდებით მკითხველის ყურადღება არ დავღალოთ და ლაკონურად ავხსნათ ჩვენი პოზიცია (სამწუხაროდ, „ჟურნალისტურმა ჟონგლიორობამ" მიზანს ვერ მიღწია და დამატებითი განმარტება გვიხდება). ჩვენ არანაირ პარალელს არ ვავლებთ ყბადაღებულ მკვლელებსა და ქართველ ინტელიგენციას შორის. ღმერთმა ყველა დაგვიფაროს ამგვარი საშინელებისაგან. ჩვენს პუბლიკაციაში არანაირი მინიშნება რა არსებობს. უბრალოდ გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება (ვგონებთ, ივივე დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, ამის უფლება გვქონდა) იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ გაუმართლებლად მიგვაჩნდა ქართველი ინტელიგენციის მხრიდან „მხედრიონისა" და მისი თავკაცის დაცვა, რადგან მაშინაც მიგვაჩნდა და ახლაც მტკიცედ გვწამს, რომ ეს ორგანიზაცია თავისი არსებობის ბოლო პერიოდში უკიდურესად გადაგვარდა და მხოლოდ ადამიანების სიმშვიდის ხელმყოფად გვევლინებოდა. რაც შეეხება სარედაქციო პოზიციას–პარალელსა და მინიშნებას, იგი იმით გამოიხატებოდა, რომ სწორედ უნივერსიტეტის კედლებთან ახალგაზრდა ბიჭების მკვლელობის საშინელ პრობლემას იწვევს დაუსჯელობის შეგრძნება, იარაღითა და ბომბებით ქუჩა-ქუჩა სირბილი, პოლიტიკით სპეკულაცია და პატრიოტიზმის ფასადს შეფარებული აბსოლუტურად იაფფასიანი კრიმინალური ფსიქოლოგია.

ეს რომ სწორედ ასეა, დარწმუნებული ვართ, ჩვენმა ოპონენტებმაც მშვენივრად იციან. ასე რომ არავითარი სხვა პარალელი ჩვენ არ გაგვივლია და აზრადაც არ მოგვსვლია ინტელიგენციის შეურაცხყოფა.

რაც შეეხება ჩვენი მხრიდან განსხვავებული აზრის ბოლშევიკური მეთოდებით ჩახშობას, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს აშკარა ცილისწამება გახლავთ (ეტყობა ჩვენი ოპონენტები ნაკლებად იცლიან „საქართველოს რესპუბლიკის" საკითხავად), ყველანაირ უკიდურესობამდე რადიკალურ, ზოგჯერ უზენასი საბჭოსა და მისი ორგანოებისათვის მიულებელ პუბლიკაციებსაც კი. ამდენად ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვაღიარებთ, რომ ჩვენი საქმინობით დიქტატურის აყვავებასა და დემოკრატიის ჩაგვრას ვუწყობთ ხელს. იმის უფლება ხომ გვაქვს, რომ ჩვენი მრწამსი და ჩვენი პოზიცია გვქონდეს? იმის უფლება ხომ გვაქვს, რომ გაზეთის ფურცლებზე მივყვეთ ჩვენს რწმენას, ხაზი გავუსვათ ჩვენს პოზიციას?

ნამდვილად ვეთანხმებით ჩვენს ოპონენტებს, რომ მიმართვის ტექსტისათვის თარიღი უნდა მიგვეწერა. ჩვენი მხრიდან ეს უნებლიე შეცდომაა,

რის გამოც ბოდიშს ვიხდით და თანაც გარწმუნებთ, რომ ამ შემთხვევაში არანაირ წინასწარგანზრახულობასა და ვერაგობას ადგილი არ ჰქონია.

და ბოლოს, „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია გულწრფელად ინატრებდა უფრო მეტ გაგებას, უფრო მეტ თანადგომას ჩვენს შორის. ეს ხომ, პირველ ყოვლისა, ჩვენს საერთო მიზანს წაადგება.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 4 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

მრგვალი მაგიდის ბლოკის პარლამენტური უმრავლესობის ღია წერილი ბატონ ნოდარ ნათაძეს

ბატონო ნოდარ!

წავიკითხეთ თქვენი ღია მომართვა ჩვენდამი, რომელიც როგორც ჩანს ერთგვარი შეჯამებაა პარლამენტში თქვენი ბრძოლისა მრგვალი მაგიდის ბლოკის წინააღმდეგ. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გიპასუხოთ უმართებულო ბრალდებებზე.

წერილის დასაწყისში თქვენ ჩამოთვლით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიღწევებს 1988 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე, ე.ი. დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებამდე. თქვენ ყოველივე ამას ერთობლივი ძალისხმევის შედეგს უწოდებთ და ერთი სიტყვითაც არ აღნიშნავთ, თუ ვინ იყო სულისჩამდგმელი და მამოძრავებელი ყოველივე ამისა, რომელი პიროვნება, რომელი პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელი ბლოკი. ასე, რომ თავიდანვე საცნაურია თქვენი არაობიექტურობა და მრგვალი მაგიდის როლის მიჩქმალვა იმ ეპოქალურ ძვრებში, რომელიც მოხდა საქართველოში ბოლო ხანებში.

რაც შეეხება „ერთობლივ ძალისხმევას", ჩვენ კარგად გვახსოვს თქვენი ალიანსი კომუნისტებთან და პირადად ბნ გუმბარიძესთან, რომელიც ცდილობდა, არასგზით არ დაეშვა დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღება გასული წლის 18 აგვისტოს სესიაზე, რომელიც ზღვარს დაუდებდა კომუნისტების ბატონობას საქართველოში. ისიც კარგად გვახსოვს, რომ თქვენ არცერთი საპროტესტო განცხადება არ გააკეთეთ და არ დატოვეთ დარბაზი მაშინ, როდესაც გუმბარიძის უტიფრობით აღშფოთებული ყველა ოპოზიციონერი გარეთ გამოვიდა და შეუერთდა საპროტესტო აქციას მთავრობის სახლის წინ. თქვენ

კი ამას სჩადიოდით იმ იმედით, რომ ჩვენ მთავრობას გადავაყენებდით, ხოლო თქვენ კომუნისტები ნებით დაგითმობდნენ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობას, როგორც საბჭოთა საქართველოს დეპუტატს. აი, ამის გამო ეგუებოდით თქვენ გაცილებით უკეთ გუმბარიძის პარლამენტს, ვიდრე დღევანდელს ხალხის მიერ არჩეულს.

უფრო ადრე კი სახალხო ფრონტის ყრილობაზე, თქვენ მომხრე იყავით სახალხო ფრონტში კომუნისტების დატოვებისა, რის გამოც მას გამოეყო რადიკალური კავშირი, თქვენ და სახალხო ფრონტს არ მიგიღიათ მონაწილეობა არცერთ საპროტესტო აქციაში, რომელიც მიზნად ისახავდა დემოკრატიული არჩევნების დაშვებას, მათ შორის არც სამტრედიის რკინიგზის აქციაში, რომელმაც აიძულა მთავრობა დაეშვა ეს არჩევნები. ასე რომ თქვენი ძალისხმევა უფრო იმ ბრძოლის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელმაც მოიტანა დემოკრატიული არჩევნები და უსისხლო რევოლუცია საქართველოში.

აი, ასეთი „ობიექტურობით" იწყებთ თქვენ თქვენს წერილს და შემდეგ უშუალოდ გადმოდიხართ ბრალდებებზე, რომელთაც ამავე წინასწარ აკვიატებული ტენდენციურობით აყალიბებთ.

დავიწყოთ პირველი ბრალდებით. თქვენ ბრძანეთ, რომ თურმე ცხინვალის რეგიონში საგანგებო მდგომარეობის განხორციელება საქართველოს უზენაესმა საბჭომ დააკისრა სსრკ შინაგანი ჯარების იმ ნაწილებს, რომლებიც დღეს იქ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებენ. ეს თქვენის მხრით საქმის რეალური ვითარების გაყალბებაა, ვინაიდან იმჟამად ცხინვალში იდგა არ ეს ნაწილები, არამედ თბილისში დისლოცირებული მერვე პოლკი, რომლის ხელმძღვანელობაც გარკვეულ ანგარიშს უწევდა ჩვენს პარლამენტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, რის გამოც მოგვიანებით მას უნდობლობა გამოუცხადა ე.წ. ცენტრმა და მის მიერ გამოგზავნილმა შინაგანმა ჯარებმა გამოაძევეს კიდევაც ისინი ცხინვალიდან, მათთან ერთად დაითხოვეს გენერალი სკრიპნიკი, პოლკოვნიკები პუზირნი და პავლიჩენკო, ხოლო ხოლო ეს უკანასკნელი საერთოდ გადაიყვანეს საქართველოდან. აი ამ შინაგანი ჯარის ნაწილს დაევალა იმჟამად ქართულ მილიციასთან ერთად ცხინვალში წესრიგის დაცვა, ვინაიდან სხვა გამოსავალი არ ჩანდა, ჯარი მაინც იქ იდგა ისედაც. ასე, რომ ჩვენი გადაწყვეტილების სისწორეს სწორედ პუგოს და გრომოვის რეაქცია ადასტურებს, რომელთაც მერვე პოლკი თავის მეთაურებითურთ დაითხოვეს ცხინ-

ვალიდან და იქ მოსკოვიდან გამოგზავნილი პოლკოვნიკი ალექსანდროვი დანიშნეს. შინაგანი ჯარის ახალმა კონტინგენტმა კი ჩვენი მილიცია დაითხოვა ცხინვალიდან. მართალია, ჩვენს მილიციელებს შეეძლოთ წინააღმდეგობა გაეწიათ, თავი გაეწირათ და ერთიანად გაწყვეტილიყვნენ ჯართან ბრძოლაში, მაგრამ განა ეს სიკეთეს მოუტანდა საქართველოს? განა ამას არ მოჰყვებოდა კიდევ უფრო დიდი მსხვერპლი საქართველოსთვის, რომლის მასშტაბების გათვალისწინება წინასწარ შეუძლებელი იქნებოდა?

თუმცა თქვენ ეს ყოველივე კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ ეწევით შეგნებულ დემაგოგიას და პროვოკაციას, რათა როგორმე სისხლი დაიღვაროს ჩვენს მილიციასა და საბჭოთა ჯარს შორის, შემდეგ ამას კიდევ უფრო დიდ მსხვერპლი მოჰყვეს და თქვენ კიდევ ახალახალი ბრალდებები წამოუყენოთ პარლამენტსა და პრეზიდენტს, აქაოდა თქვენი მიზეზით მოხდაო ეს ყოველივე. ამავე მიზნით წამოაყენეთ თქვენი კონცეფცია საბჭოთა კავშირისათვის ომის გამოცხადებისა, ხოლო ე.წ. 27 აპრილის სესიაზე პირდაპირ უსაყვედურეთ პარლამენტს, რომ მან არ მისცა ბრძანება მილიციას საბჭოთა ჯარისთვის ესროლა და სხვა. ასეთი პროვოკაციული მოწოდებები კარგად ავლენენ თქვენს შორს მიმავალ განზრახვებს, რასაც არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი არ მოიწონებს.

ამავე მოტივით იმეორებთ თქვენ სისტემატიურად საბჭოთა კავშირისათვის ნოტის გაგზავნის აუცილებლობას. ცნობილია, რომ ნოტას აგზავნის სახელმწიფო, რომელსაც აქვს დიპლომატიური აღიარება სხვა სახელმწიფოებისაგან, არის გაეროს წევრი, საერთაშორისო, სამართლის სუბიექტი და ა.შ. როდესაც ასეთი ელემენტარული ამბები არ მოგეხსენებათ, საერთოდ არ უნდა ჩაერიოთ პოლიტიკაში. გარდა ამისა, ის ვინც ნოტას უგზავნის მეორე სახელმწიფოს, მზად უნდა იყოს მასთან ომისთვის ყოველგვარი თვალსაზრისით, რასაც ვერასგზით ვერ ვიტყვით დღევანდელ საქართველოზე. ალბათ ყველა ჭკუათმყოფელი ადამიანი დაგვეთანხმება, რომ ისეთი სამხედრო გიგანტის პირისპირ, როგორიც არის დღევანდელი საბჭოთა იმპერია, იარაღის ჩხარუნი არ გამოგვადგება. ნოტების გაგზავნამ და ცარიელმა ფუჭმა მუქარამ კი, პრაქტიკული ქმედების გარეშე, შეიძლება ჩაგვაყენოს ისეთსავე კომიკურ მდგომარეობაში, როგორშიც აღმოჩნდა ჩინეთი, როდესაც აშშს გაუგზავნა რამდენიმე ასეული სერიოზული

გაფრთხილება. ასე რომ, ჩვენ ძალზე უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს საერთაშორისო პრესტიჟს. მაგრამ თქვენეული „ნოტის"' გამოცხადების იდეაც „ომის გამოცხადების" ავანტიურასთანაა დაკავშირებული, რომელიც თქვენ გსურთ თავს მოახვიოთ მთავრობასა და პარლამენტს, თქვენი პოლიტიკური, კარიერისტული მიზნებიდან გამომდინარე.

ჩვენი ბრძოლა მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლა იყო მუდამ, ამაში იყო ჩვენი მოძრაობის ძალა. ჩვენ მუდამ წინააღმდეგი ვიყავით შეიარაღებული ავანტიურებისა, რომლებმაც შეიძლება დაღუპვამდე მიიყვანონ ქართველი ხალხი, ხოლო, ის, ვინც ამგვარი ავანტიურებისკენ უბიძგებს საქართველოს, ნამდვილი მოღალატეა თავისი ერისა. ვისაც ნამდვილად სურს ხელი შეუწყოს ჩვენი ეროვნული საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტას, მან ეროვნულ და სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში უნდა შეგვიწყოს ხელი.

რაც შეეხება იმას, თითქოს ჩვენ ნება მივეცით რსფსრ-ს ჩვენს ტერიტორიაზე თავისუფალი მოქმედებისა, ბანდების განიარაღების მიზნით, ესეც უხეში ცილისწამებაა. საქართველოსა და რსფსრს შინაგან საქმეთა სამინისტროების ერთიანი რაზმის შექმნის გეგმა გამოიწვია სწორედ იმან, რომ სამაჩაბლოში რსფსრ-დან უკონტროლოდ შემოდის უამრავი სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელთა ვინაობაც რსფსრ-ს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უწყის, ვიდრე ჩვენმა. ასეთი ერთობლივი რაზმი იმოქმედებდა ისევ ჩვენი ხელისუფლების კონტროლის ქვეშ და შეებრძოლებოდა ამ პროცესს. მაგრამ სწორედ ეს არ აწყობდა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამიტომაც ჩაშალა მან ეს განზრახვა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ მერვე პოლკისა და რსფსრ-ს მილიციის გამოყენების დაგმობა იგივეა, ვინმეს დავით აღმაშენებლისთვის რომ ეთქვა საყვედური, ყივჩაღები, თურქული მოდგმის ხალხი რად გამოიყენეო მტერთან ბრძოლაში. აქ ფრჩხილებს აღარ ვხსნით ბევრ რამეზე, რაც შესაძლოა მომავალში გაირკვეს საზოგადოებისათვის.არ შეიძლება ყველაფერზე ხმამაღლა ყვირილი.

რაც შეეხება ჭორებს იმის შესახებ თითქოს ჩვენ „ვურჩიეთ" აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს ქართველ დეპუტატებს, რომ მათ ხმა მიეცათ ჩვენი ერისთვის საზიანო კონსტიტუციური ცვლილებებისთვის, ეს ყოველივე ე.წ. „კონგრესმენების" მოჩმახულია და ავლენს ალიანსს თქვენსა და მათ შორის. საერთოდ ასეთ სერიოზულ ბრალ-

დებებს ყოველთვის კონკრეტული ფაქტებით სჭირდება დასაბუთება და არა ცალკეულ პირთა ჰალუცინაციებით. თუმცა ამაზე დეტალური პასუხს გაგცემენ თქვენ აფხაზეთის ქართველი დეპუტატები. ამიტომ აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ახლა რაც შეეხება სოფლის მეურნეობაში რეფორმების გატარების საკითხს.

თქვენი მოსაზრებანი სოფლის მეურნეობაში „რადიკალური" რეფორმების გატარების შესახებ როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სამეურნეო თვალსაზრისით მოგვაგონებს ღია კარების მტვრევას, იმდენად, რამდენადაც უზენაესი საბჭოს, კერძოდ კი, სოფლის მეურნეობის მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის ქმედება მიმართული იყო და არის ამ პრობლემათა ოპტიმალურად გადაჭრის გზების ძიებისაკენ. ერთი რამ კი ცხადზე ცხადია, არ შეიძლება სოფლის მეურნეობაში ისევე, როგორც მეურნეობის სხვა სფეროში არსებული პრობლემების განყენებულად განხილვა, ის აუცილებლად უნდა იქნას შეჯერებული ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ მდგომარეობასთან, მან უნდა გაითვალისწინოს ეს ყოველივე.

დღეს მსოფლიო პრაქტიკაში ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, სადაც სოფლის პრობლემა სრულად არის გადაჭრილი, მითუმეტეს ჩვენს სინამდვილეში, როდესაც მემკვიდრეობით გვერგო ათეული წლებით სტრუქტურულად დეგრადირებული, ჩვენთვის არატრადიციული სამეურნეო მექანიზმი, რომლის ნაუცბადევად შეცვლა სრულიად გაუთვალისწინებელი პრობლემების წინაშე დაგვაყენებდა, მითუმეტეს, როდესაც ქართული სოფელი გამორჩეულად სპეციფიურია და სხვისგან ნასესხები მზა რეცეპტი ჩვენ არ გამოგვადგება, ისიც არსებითია, რომ ჩვენი მოსვლა ხელისუფლების სათავეში ფაქტობრივად დაემთხვა ისეთ პერიოდს, როდესაც სოფლის მეურნეობაში ახალი საკოლმეურნეო წელი პრაქტიკულად უკვე დაწყებული იყო და ყოველგვარი რადიკალური რეფორმის გატარება სამეურნეო თვალსაზრისით გაუმართლებელი იქნებოდა, რაც დღევანდელობით დადასტურებულია.

ამჟამად უზენაესი საბჭოს შესაბამის კომისიაში მზადაა პაკეტი კანონპროექტებისა, რომლებიც დაარეგულირებს სოფლად საწარმოო ურთიერთობებს, მიწების კერძო მფლობელობაში გადაცემას და იმედი გვაქვს სოფლის მცხოვრებთა მოწონებას დაიმსახურებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესახებ ზედმიწევნით ინფორმირებ-

ული ბრძანდებით თქვენც, ვინაიდან პირადად მონაწილეობდით კომისი-
ის სხდომებში და ჩვენს გაოცებას იწვევს თქვენი პოზიცია გამოცხადებ-
ული 1 მაისის გაზეთ „საქართველოში". ამით თქვენ მოსახლეობის
შეგნებულ დეზინფორმაციას ეწევით ჩვენი კომისიების მუშაობასთან
დაკავშირებით, ისევ და ისევ პარლამენტის გაშვების მიზნით.

თქვენ ჩქმალავთ იმ ფაქტს, რომ სოფლად ფართო მეურნეობის რეფორმებზე, თქვენი მსჯელობაც იმავე მიზანს ისახავს, რაც ომის გამოცხადებისკენ მოწოდება. როგორც ჩანს, თქვენ დიდად მოწადინებული ხართ, მოქალაქეობის კანონის შემოღებამდე დაურიგდეს მიწები განურჩევლად ყველას, რათა შემდეგ მოხდეს დემოგრაფიული კატასტროფა ცალკეულ რეგიონებში, დავა, სისხლისღვრა და ეს ყოველივე ისევ მრგვალ მაგიდას დაბრალდეს, რათა თქვენ და თქვენმა ფრონტმა იქნებ ქულები მოიპოვოთ. თქვენ ჩქმალავთ იმ ფაქტს, რომ სოფლად ფართოდაა გაშლილი ივჯარა, საკარმიდამოები სწორედ მაქსიმუმამდეა შევსებული, ასე რომ სოფლად შრომის მსურველებს ყველა შესაძლებლობა გააჩნიათ საამისოდ, მაგრამ ვაი რომ, ყველას გული ქალაქისკენ მოუწევს, აღარავის უნდა გარჯა, ამის მიზეზი კი თქვენ კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ ამაზედაც დუმხართ.

კურიოზულია თქვენს მიერ „კონგრესის" ბრალდების განმეორება, თითქოს ჩვენ უცვლელად დავტოვეთ სოციალისტური სტრუქტურები საქართველოში და „მდივნის" ნაცვლად პრეფექტი შემოვიღეთ. თურმე იმპერიის აგენტი კომპარტიის მიერ დანიშნული ნომენკლატურული უზურპატორი, კორუმპირებული, ქართული მიწების გამყიდველი რაიკომის მდივანი, ანტიეროვნული და ანტიხალხური პოლიტიკის გამტარებელი იგივე ყოფილა, რაც ხალხის არჩეული პარლამენტის მიერ დანიშნული მმართველი, მოსახლეობის გამოკითხვის შემდეგ, მისი რეიტინგის მიხედვით! რაიკომის მდივანი, რომელსაც არავინ აკონტროლებდა ცეკას პირველი მდივნის გარდა და პრეფექტი, რომელიც ანგარიშვალდებულია როგორც პარლამენტის, ისე მთავრობის წინაშე, და რომელსაც აკონტროლებს ხალხის მიერ არჩეული საკრებულო. აი, სადამდე მიდის თქვენს მიერ ფაქტების გაყალბება. როგორ შეიძლება საუბარი ერთის მხრივ „ყოვლისშემძლე აპარატზე", მეორეს მხრივ კი „პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად პასიურ მოსახლეობაზე", როცა მოსახლეობის როლი უდიდესია არამარტო პრეფექტის დანიშვნაში, არამედ მთელს მის საქმიანობაში და როდე-

საც გვაქვს არაერთი შემთხვევა პრეფექტის შეცვლისა მოსახლეობის მოთხოვნით? აბა თუ ახსოვს კომპარტიის ისტორიას ერთი შემთხვევა მაინც მოსახლეობის მოთხოვნით რაიკომის მდივნის დანიშვნისა ან მოხსნისა? ან თქვენ დღეს ასეთი გაბედული „ოპოზიციონერი", სად ბრძანდებოდით მაშინ, როდესაც რაიკომის მდივნების თვითნებობისგან და მექრთამეობისაგან გმინავდა საქართველოს რაიონების მოსახლეობა და გლეხობა? რატომ პროტესტის ერთი სიტყვა არ შეაწიეთ მაშინ მართლაც რომ ჩაგრულ და დათრგუნულ ქართველ ხალხს, უფრო მეტიც, თქვენ არც ერთხელ საჯაროდ არ დაგიცავთ ის დისიდენტები, რომლებიც სუკიის ჯურღმულებში იტანჯებოდნენ სწორედ საბჭოთა რეჟიმის მხილებისათვის. ახლა კი ასე გაბედულად იბრძვით არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. ხომ არ არის ეს პირველი ნიშანი იმ ხელისუფლების დემოკრატიულობისა? ასე, რომ ამაოდ გვიკიჟინებთ არადემოკრატიულობას, ამასთან თქვენ არავინ დაგიჯერებთ. საბჭოთა წყობილების დროს არა თუ მსგავს ღვარძლიან ცილისწამებას, უბრალო კრიტიკასაც არავის აპატიებდნენ.

განსაცვიფრებელია საყვედური იმის შესახებ, რომ თურმე ტელევიზია არ აშუქებს სამაჩაბლოს ალყაშემორტყმული სოფლების მდგომარეობას. ამაზე არც ერთი ტელემაყურებელი არ დაგეთანხმებათ. იმპერიის საპროპაგანდო აპარატთან გამკლავება კი მართლაც გვიჭირს, მაგრამ ეს უზენაესი საბჭოს ბრალი კი არ არის, არამედ ჩვენი დაპყრობილი მდგომარეობისა, იმპერიის მიერ საქართველოს იზოლაციასა დანარჩენი მსოფლიოსაგან და აგრეთვე დასავლეთის საინფორმაციო სამსახურის ზოგიერთი წარმომადგენლის გაყიდულობისა, მათი გარიგებისა ბოროტების იმპერიასთან.

რაც შეეხება უზენაესი საბჭოს პრესცენტრის მუშაობას, მას მართლაც აქვს ზოგი ნაკლი, ზოგი პიროვნება მართლაც ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ არ შეიძლება თვალის დახუჭვა იმ პოზიტიურ საქმეზე, რომელსაც ეს პრესცენტრი აკეთებს.

თქვენ ბრძანებთ, რომ ჩვენ თურმე არ ვებრძვით იმპერიას ვერაგული შემოტევების წინააღმდეგ. იმპერიის ვერაგული შემოტევების წინააღმდეგ რომ არ გვებრძოლა, ჩვენს ქალაქებს და რეგიონებს არ დაუბრუნდებოდა მშვიდობა ჩვენი ღონისძიებების წყალობით, ან იქნებ არ გახსოვთ ის დრო, როცა სულ რამდენიმე თვის წინათ ღამე ქუჩაში არ გამოისვლებოდა, იმპერიის აგენტების მიერ შექმნილი ბანდის

„მხედრიონისა" და სხვა კრიმინალური ბანდების თარეშის წყალობით, რომელთაც თქვენ ესოდენ თავდადებით იცავდით პარლამენტის ყველა სხდომაზე და ყოველთვის მართლწესრიგის დაცვის ლონისძიებათა ფინაალმდეგ აძლევთ ხმას, ვინაიდან „მხედრიონის" ტყუპისცალია თქვენი იმჟამინდელი „იმედი", რაც საყოველთაოდ ცნობილია. თუ თქვენ მართლაც რამე იცოდით მილიციის თანამშრომლებზე, აბრამიანსა და საფაროვზე, რომელთაც ქართველი ახალგაზრდა ჩააბარეს სამხედრო კომენდატურას, ეს დროზე უნდა შეგეტყობინებინათ ჩვენთვის და ეს ინფორმაცია არ უნდა შემოგენახათ გაზეთში გამოსაქვეყნებლად ჩვენი „გაშავების" მიზნით. რაც შეეხება პარლამენტის დაცვას, მისი არსებობა განაპირობა იმან, რომ თქვენს მიერ და ზოგიერთი გადაგვარებული ინტელიგენციის მიერ წაქეზებული ზემოხსენებული „მხედრიონი" ნიადაგ თავდასხმებს გეგმავდა პარლამენტზე და არა ერთხელ მოუწყვია დარბევა მშვიდობიანი მანიფესტაციისა მთავრობის სახლის წინ.

თქვენ წყალს ამღვრევთ, როდესაც ამბობთ, რომ თითქოს ჩვენ არ მიგვიმართავს გაეროსათვის კონკრეტული თხოვნით ცხინვალის რეგიონში კომისიის გამოგზავნის თაობაზე. ეს მეორეჯერ გაკეთდა სწორედ ახლახან, რაც „საქართველოს რესპუბლიკაშიც" გამოქვეყნდა, მაგრამ როგორც ჩანს, თქვენ არც ის იცით, რომ გაერო ასეთ რამეს საბჭოთა კავშირის საქმეებში ჩარევად თვლის და უსარგებლოა ყოველგვარი ამგვარი თხოვნა, უფრო მეტად უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ საქართველო გახდეს გაეროს წევრი. მხოლოდ მაშინ ექნება აზრი ასეთ თხოვნას. ცხინვალის ამბებში საკავშირო ორგანოების ჩარევის წინააღმდეგაც არაერთხელ განგვიცხადებია პროტესტი ჩვენც და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაც, მაგრამ როგორც ჩანს თქვენ გაზეთებს არ კითხულობთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან ის როდი გამომდინარეობს, რომ ჩვენ არავითარი ნაკლი არა გვაქვს და არცერთი შეცდომა არ დაგვიშვია ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ნაკლისა და შეცდომის მხილება კეთილი განზრახვით უნდა ხდებოდეს და არა ჩასაფრებით, არა მტრული ავისმზრახველობით. მიზანი ამ შემთხვევაში უნდა იყოს პარლამენტის მუშაობის გაუმჯობესება ქვეყნის სასიკეთოდ და არა მისი გაშავება და საკუთარი პოლიტიკური დივიდენდების მოპოვება... განა ცხადი არ არის, რომ კომუნისტების მიერ სამოცდაათი წლის მანძილზე წახდენილ საქმეს ჩვენ ერთი დარტყმით ვერ გამოვასწორებთ თუ მთელი

ერი არ ამოგვიდგა მხარში და ჩვენთან ერთად არ იბრძოლა ყველა ფრონტზე? ასეთ დროს კი მოშაინური ქილიკი და უნებლიე შეცდომების წამოძახება როდი კმარა, საჭიროა კონსტრუქციული წინადადებები და დახმარება, რათა მართლაც ერთობლივი ძალისხმევით მივაღწიოთ საერთო მიზანს – ჩვენი ერის კეთილდღეობას. თქვენ კი იმ საპარლამენტო კომისიაშიც არაფერს აკეთებთ, რომლის წევრიც თქვენ ბრძანდებით და არც ესწრებით მის სხდომებს.

თქვენ დღევანდელი საქართველოს უზენაეს საბჭოს ერთპარტიულს უწოდებთ იმის გამო, რომ მას ვერ ახვევთ თავს თქვენს აკვიატებულ მოსაზრებებს და ვერ ახერხებთ მიაღებინოთ ერისათვის დამღუპველი გადაწყვეტილებები. ამას კი იმის გამო როდი სჩადიხართ, რომ თქვენ მართლაც განსხვავებული აზრი გაქვთ ამ პრობლემებზე, არამედ იმის გამო, რომ თვითმიზნად გიქცევიათ ოპოზიცია და კრიჭაში ჩადგომა ერთადერთი პიროვნებისთვის, რომლის დისკრედიტაცია და წონასწორობიდან გამოყვანა, როგორც ჩანს, მართლაც რომ ცხოვრების მიზნად დაგისახავთ. თუმცა, შურისაგან დაბრმავებული, ველარ ხედავთ, რომ ეს ყოველივე თქვენი ავტორიტეტისა და პრესტიჟისათვის უფრო საზიანოა, ვიდრე ამ პიროვნებისათვის.

უზენაესი საბჭოს სხდომების დახურულობის ერთ-ერთი მიზეზი ზოგჯერ ისიც არის, რომ ხალხმა არ იხილოს და არ მოისმინოს საპარლამენტო ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის ისტერიული ღრიალი და უხამსობა და ამით პარლამენტი არ შერცხვეს. თუმცა ბოლოსდაბოლოს პარლამენტის მოთმინების ფიალაც აღივსება და სადეპუტატო ეთიკის კომისია იმსჯელებს ზოგიერთი დეპუტატის ამგვარ დაუშვებელ მოქმედებაზეც.

ამრიგად, რაც შეეხება თქვენი და „კონგრესის" დღევანდელ ერთობლივ „ძალისხმევას", იგი იმავე მიზნებს ისახავს, რასაც წარსულში ისახავდით მიზნად თქვენ და თქვენს უკან მდგარი ძალები. თქვენ ძველი მოდელის აღდგენას ცდილობთ და ამადაც არ იშურებთ სალანძღავ პასკვილებს იმ ბლოკის მისამართით, რომელსაც ხალხმა ნდობა გამოუცხადა. თუმც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ წარსული აღარასოდეს მობრუნდება, ვინაიდან ხალხმა საბოლოო განაჩენი გამოუტანა იმპერიის აგენტებს და მათ ტროიანულ ცხენსაც.

მრგვალი მაგიდის ბლოკის პარლამენტური უმრავლესობა.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 4 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. დ. სახაროვის, პ. გ. გრიგორენკოს, ს. ვ. კალისტრატოვის წერილი – სსრკ პროკურორს

1977 წლის 7 აპრილს თბილისში დაპატიმრებულ იქნა ჰელსინკის შეთანხმებათა ხელშემწყობი ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი ჟურნალისტი – ზვიად გამსახურდია. დაპატიმრების შემდეგ ზვიად გამსახურდიას სახლს გამუდმებით ჩხრეკენ ხოლმე და მოაქვთ სხვადასხვა ნივთები.

გამსახურდიას მეუღლისაგან ჩვენთვის ცნობილია, რომ ჩხრეკა და ნივთების ამოღება ხდება კანონიერების უხეში დარღვევით.

1977 წლის 7 აპრილს (მას შემდეგ, რაც გამსახურდია დააპატიმრეს სახლს გარეთ) – ჩხრეკისათვის გამოცხადებულმა სუკიის თანამშრომლებმა კარები იმ გასაღებით გააღეს რომელიც თვითვე ჰქონდათ და ისე შევიდნენ სახლში, რომ ოჯახის წევრთათვის არც კი უცნობებიათ, რომ ჩხრეკა იწყებოდა. ჩხრეკის დროს დოკუმენტებისა და ნივთების ამოღება ისე ხდებოდა, რომ მათი აღწერა არ შეუდგენიათ. ჩხრეკისა და ნივთების ამოღების ოქმები ოჯახის წევრთათვის არც წარუდგენიათ და არც დაუტოვებიათ.

მომდევნო დღეებში სუკიის თანამშრომლები ყოველდღე მიდიან ხოლმე გამსახურდიას სახლში და „ჩხრეკასა" და „ნივთების ამოღებას" აწარმოებენ ოჯახის წევრთა დაუსწრებლად, რომელთაც შინ არც კი უშვებენ.

სახლიდან გააქვთ ყუთები, წიგნები, ძვირფასეულობა, დოკუმენტები და გამსახურდიას მეუღლე იმის საშუალებასაც მოკლებულია, რომ ნახოს მაინც, რა გააქვთ სახლიდან. ერთ-ერთი ასეთი ჩხრეკის შემდეგ მან აღმოაჩინა რომ წაღებულია არქივი გამსახურდიას აწ განსვენებული მამის – ცნობილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიასი.

ძიების ასეთი მეთოდები, რომლებიც უხეშად არღვევენ კანონით ნორმებსა და ბრალდებულის უფლებათა გარანტიას, ჩხრეკასა და ნივთების ამოღებას ლეგალიზებული ძარცვის ერთგვარ სახედ აქცევენ.

ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ ზემოთ მოყვანილი ცნობების დაუყ-

ოვნებლივ და ობიექტურ შემოწმებას და სასწრაფო ზომების მიღებას თვითნებობის აღკვეთისა და კანონიერების აღდგენისათვის.

ა. დ. სახაროვი, პ. გ. გრიგორენკო, ს. ვ. კალისტრატოვა

14. 4. 77 წ.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",

8 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ზვიად გამსახურდიას მიმართვა დასავლეთის ქრისტიანული ორგანიზაციებისადმი

მოგმართავთ თხოვნით დაეხმაროთ ჩემს მეგობარს მერაბ კოსტავას, რომელიც ამჟამად განსაცდელშია. იგი არის მუსიკის ისტორიკოსი, მორწმუნე ქრისტიანი, ქრისტიანთა უფლებებისათვის მებრძოლი სსრ კავშირში, წევრი ქართული ჰელსინკისეული ჯგუფისა, 1977 წელს დაპატიმრებული ე.წ. ანტისაბჭოური აგიტაციისათვის, ამჟამად იხდის პატიმრობის მეორე ვადას ციმბირში, ანგარსკის № 15 კოლონიაში, ვინაიდან 1981 წელს მას კიდევ 5 წლით გაუგრძელეს პატიმრობა.

მ. კოსტავა თავდადებით იბრძოდა ჩაგრული და დისკრიმინირებული ქართული ეკლესიის დასაცავად, ქრისტიანთა უფლებების დასაცავად. მისი დაპატიმრების შემდეგ, 1977 წ. აპრილში, მოსკოვში ქრისტიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის წევრებმა მამა გლებ იაკუნინმა, ვარსანოფი ხაიბულიანმა მიმართეს მსოფლიო საზოგადოებას და მოუწოდეს მის დასაცავად, ამასთან მაღალი შეფასება მისცეს მის მოღვაწეობას. აკადემიკოსმა სახაროვმაც რამდენიმეჯერ მიმართა მსოფლიო საზოგადოებას და საბჭოთა ხელისუფალთ მის დასაცავად.

მ. კოსტავამ ამჟამად გამოაცხადა უვადო შიმშილობა, ვინაიდან ბანაკის ადმინისტრაციამ აუტანელი პირობები შეუქმნა მას: იგი უმკაცრეს იზოლაციაშია, მას ართმევენ წიგნებს, ართმევენ ახლობლებთან შეხვედრის უფლებას, აძლევენ ძალზე ულირს სამუშაოს. ბანაკიდან მიღებული უკანასკნელი ცნობების მიხედვით, მან განიზრახა აღარასოდეს მოხსნას შიმშილობა, იმდენად აუტანელი გახდა მისი წამება და დამცირება.

ქრისტიანულ თანაგრძნობის სახელით, კაცობრიობისადმი სიყვარულის სახელით მოგიწოდებთ მიმართოთ საბჭოთა ხელისუფალნი, რათა მათ შეუმსუბუქონ ხვედრი მერაბ კოსტავას და გამოანთავისუფალონ იგი, ვინაიდან მას სიკვდილი ელის, თუ მსოფლიო საზოგადოება არ დაიხსნის მას.

მ. კოსტავას ხსნა ძალუძთ უწინარეს ყოვლისა იმ ქრისტიანულ ორგანიზაციებს, რომელნიც ამას წინათ ჩაერივნენ ახალგაზრდა ლენინგრადელი მუსიკოსის, მორწმუნე ბაპტისტის, ბარინოვის საქმეში და იხსნეს იგი ფსიქიატრიული საავადმყოფოდან.

პატივისცემით

ზვიად გამსახურდია.

ქართული ჰელსინკისეული ჯგუფის ფუძემდებელი.

1984 წ. 10 დეკემბერი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 8 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს ეროვნული ფრონტი–რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული ფრონტი–რადიკალური კავშირის (სეფრკ) მთავარმა კომიტეტმა 1990 წლის 7 სექტემბერს მიიღო განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს სახალხო ფრონტი (სსფ) დაუპირისპირდა, ხოლო მომავალში შეიძლება უფრო აშკარად და მძაფრად დაუპირისპირდეს ეროვნულ ინტერესებს. ეს განცხადება საჯაროდ არ გამოქვეყნებულა, რაც დღეს შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს, მაგრამ სეფრკ მთავარი კომიტეტის აზრით, იმ დროს მიზანშეუწონელი იყო მიმდინარე საარჩევნო კომპანიის ერთ-ერთი მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ ფართო მსჯელობისათვის საბაბის მიცემა. გათვალისწინებული იქნა აგრეთვე სსფსა და მისი თავმჯდომარის შესახებ საზოგადოებრივი აზრი.

დღეს საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სეფრკ მთავარ კომიტეტს აუცილებლად მიაჩნია 1990 წლის 7 სექტემბრის განცხადების გამოქვეყნება მცირეოდენი კომენტარით.

ამჟამად, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ შესძლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე გარკვეული (თუ მნიშვნელოვანი არა) წარმატებების მოპოვება, რიგი პოლიტიკური ორგანიზაციები და პიროვნებები შეგნებულად არ ამჩნევენ მათ და ცდილობენ საზოგადოებასაც აუბნიონ გზაკვალი. პროვოკაციულად იგონებენ ობიექტური მიზეზებით გამოწვეულ სიძნელეებს და არად დაგიდევენ საერთო სახალხო განწყობილებას, ეროვნულ ინტერესებს.

სეფრკ მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ სსფის, კონკრეტულად კი მისი თავმჯდომარის, ბატონ ნოდარ ნათაძის პოზიცია და პოლიტიკური ქმედებანი არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ ინტერესებს და რაოდენ სამწუხაროა, რომ ისინი ლოგიკური გაგრძელებაა მთელი მისი პოლიტიკური გზისა.

სეფრკ მთავარი კომიტეტი მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც კი პოლიტიკა ერის სამსახურია და არა ამბიციების დაკმაყოფილების საშუალება, მკაფიოდ გაემიჯნოს პროვოკაციული მსჯელობების კორიანტელს, საქმით დადგეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გვერდით და ჩვენი სამშობლოს ისტორიაზე ამ გადამწყვეტ ეტაპზე თავისი სახელი შთამომავლობის მეხსიერებაში მავანთა პოლიტიკანურ ინტერესებს არ ანაცვალოს.

სეფრკ მთავარი კომიტეტი.

მაისი, 1991 წელი.

საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი (სეფრკ) წარმოადგენს, პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომლის წევრებიც ერთობლივად გამოვიდნენ საქართველოს სახალხო ფრონტის (სსფ) შემადგენლობიდან და რომელიც საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციათა და პარტიათ მრგვალ მაგიდაშია გაერთიანებული. ეს არის განპირობებული არსებული ვითარების კონიუნქტურული შეფასებით, დროებითი წარმავალი მიღწევების გამოდევნებითა და პიროვნული ზესვლის სურვილით. სეფრკ წევრთა მიერ განვლილი გზა საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესის შემადგენელი ნაწილია და შესაბამისად იგი უნდა განვიხილოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითერების მთლიანობაში.

1988 წლის ბოლოს 1989 წლის პირველ ნახევარში, ჩვენში უკვე არსებობდნენ ერთმანეთისაგან საკმაოდ გარკვეულ პოზიციებზე

მდგარი პოლიტიკური ორგანიზაციები, ამდენად სსფ შექმნა ჩაფიქრებული იყო არა როგორც მათი გაერთიანების ან საქმინობის კოორდინაციის საშუალება, არამედ მათთვის ნახევრადარაფორმალური საზოგადოებრივ –პოლიტიკური ალტერნატივის შექმნა. იმთავითვე განსაზღვრული იყო, რომ სსფ თანდათანობით დაკომპლექტდებოდა კომფორმისტული, არსებული კომუნისტური ხელისუფლებისადმი არაანტაგონისტურად განწყობილი პიროვნებებით, რომელნის თავის საზოგადოებრივი იმიჯის მეშვეობით შეეცდებოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალურსაზოგადოებრივ მოძრაობად გადაქცევას, ეროვნული სატკივარის მორჩენისათვის ბრძოლის ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვით შეცვლას, არსებული სახელმწიფოებრივი სისტემის რადიკალური ცვლილებების საკადრო საკითხებით შენაცვლებას და საბოლოო ჯამში მმართველ პარტოკრატიას მისცემდნენ დროის მოგებისა და უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებში გამარჯვების საშუალებას. ყოველივე ამის გათვითცნობიერებას საკმაო დრო დასჭირდა, როგორც სსფში იმთავითვე არსებული რადიკალური პოლოტიკური ძალებისა, ასევე სსფსთან ორგანიზაციულად არ დაკავშირებული პოლიტიკური ორგანიზაციების მხრივ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან სსფ პირველი აშკარა დაპირისპირება 1990 წლის 25 მარტისათვის დანიშნული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შეფასებაში გამომჟღავნდა. იმ დროს, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის უმრავლესი პოლიტიკური ორგანიზაციები ბოიკოტს უცხადებდნენ არჩევნებს, ხოლო სსფ რადიკალური ფრაქცია მას განიხილავდა როგორც ეროვნული ძალების გაერთიანებისა და მოსახლეობის მასობრივი აგიტაციის საშუალებას, სსფ ხელმძღვანელობა უკანმოუხედავად ჩაება საქაერთველოს სსრ უზენაესი ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ისე, რომ მის მიერ დასახელებული დეპუტატების კანდიდატთა მნიშვნელოვანი ნაწილი სკკპ და რიგი კოლაბორაციული ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ.

1990 წლის 79 მარტისა და 18 მარტის პოლიტიკური აქციების შედეგად, რომელიც სსფ რადიკალურმა ფრაქციამ წამოიწყო და რომელმაც რეალური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების მხარდაჭერა ჰყოვა, მოხერხდა 25 მარტისათვის დანიშნული არჩევნების გაუქმება და ამის შედეგად დაისახა პოლიტიკური პროცესების

პარლამენტური გზით წარმართვის პერსპექტივა.

სწორედ ამ პერიოდში მოხდა სსფ რადიკალური ფრაქციის ბაზაზე რადიკალური კავშირის დაფუძნება, რომელმაც თავის ძირითად მიზნად განახლებულ სსფსა და იმხანად ახლად შექმნილ საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციათა და პარტიათა მრგვალ მაგიდას შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარება დაისახა. ამ მიმართებით კი აუცილებელი იყო სსფში გარკვეული ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, უპირველეს ყოვლისა კი მისი შემადგენლობიდან სსკ წევრთა გამოყვანა.

სსფ II ყრილობაზე, ამ ერთი შეხედვით სრულიად არასადაო საკითხის შესახებ, რომელიც წესდების ერთ-ერთი მუხლის ფორმულირებას განსაზღვრავდა, ხანგრძლივი დიკუსიის განმავლობაში აშკარად გამოიკვეთა, რომ სსფ ხელმძღვანელობა (კონკრეტულად ბატონი ნოდარ ნათაძე) და ყრილობის დელეგათთა სრულიად გარკვეული ნაწილი მზად იყვნენ სრულიად შეგნებულად ეთქვათ უარი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაერთიანების ცდაზე სსკ წევრთა სსფში შენარჩუნებისათვის. საბოლოო ჯამში, სსფ II ყრილობა, რომელიც ორ ეტაპად გაიმართა, ცხარე დისკუსიებში ფორმალურად რადიკალური ძალების გამარჯვებით დასრულდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სსფ დარბაზის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ რადიკალური კავშირის წევრთა უმრავლესობა, მაგრამ დარბაზის პირველივე სხდომაზე აშკარა გახდა, რომ ბატონი ნოდარ ნათაძე, სარგებლობდა რა თავმჯდომარეობის უფლებებით, განუხრელად შეუდგა დარბაზის აზრის იგნორირებას. ამდენად, რადიკალური კავშირის წევრებმა სავსებით გაათვითცნობიერეს შექმნილი მდგომარეობაცა და მოვლენათა შემდგომი განვითარების სავარაუდო ვარიანტები, რომელთა შორის ყველაზე უარესი უახლოეს ხანებში დადასტურდა.

იმ დღეებში, როდესაც სრულიად საქართველოში ფართოდ გაიშალა საპროტესტო მოძრაობა (ე.წ. სამტრედიის სარკინიგზო აქცია), სსფ ხელმძღვანელობა აშკარად დადგა კოლაბორაციონისტურ პოზიციაზე. დემაგოგიური მსჯელობებითა და განცხადებებით ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა ფართო საზოგადოება და ხელი შეეშალა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ისეთი კანონის მიღებისათვის, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს შეესაბამებოდა. ამით სსფ და მისმა ხელმძღვანელობამ სავსებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოააშკარავეს თავისი ჭეშმარიტი სახე.

1990 წლის 13 აგვისტოს რადიკალური კავშირის მთავარ კომიტეტის გაფართოებული სხდომის გადაწყვეტილებით შეიქმნა სეფრკ, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციათა და პარტიათა მრგვალ მაგიდაში გაერთიანდა.

სეფრკ წევრებს არ მიაჩნიათ საჭიროდ, უარყონ და მით უმეტეს დამალონ თავისი წარსული. მათი აზრით სსფში მისი შექმნის დღიდან მიმდინარეობდა ერთმანეთისადმი ანტაგონისტურ პოზიციებზე მდგარი პოლიტიკური ძალების ჭიდილი, რომლის დროსაც გამოიწრთო და ჩამოყალიბდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბევრი მონაწილის პიროვნება და პოლიტიკური პოზიცია. გარკვეულ პირობებში შესაძლებელიცა სსფ ხელმძღვანელობის სახალხო გამოაშკარავება და გაბათილება, მაგრამ მიმდინარე საარჩევნო კამპანიის პერიოდში პრაქტიკული საჭიროებების გამო ამ მიმართებით ნაბიჯები არ გადადგმულა, მითუმეტეს, რომ სსფრკ არავითარი ურთიერთობა არა აქვს სსფთან.

სეფრკ მთავარ კომიტეტს მიაჩნია, რომ სწრაფად ცვლადი პოლიტიკური ვითარება ყოველივეს მოჰფენს ნათელს და სამშობლოს უზენაესი ინტერესების მიმართ ბუნებრივად გამოიკვეთება ყოველი პოლიტიკური ორგანიზაციისა და პოლიტიკური მოღვაწის არსი–რეალური სახე და საქმიანობის შედეგი.

სეფ-რკ მთ. კომიტეტი

7 სექტემბერი, 1990 წელი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 8 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიადი გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 8 მაისს

ძვირფასო მეგობრებო!

მოგმართავთ საქართველოს ძირძველი მრავალტანჯული კუთხის– აჭარის მოსახლეობას.

როგორც ხედავთ, ჩვენი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის საბოლოო ფაზაში შედის. ამ დროს გვმართებს დიდი დარაზმულობა, მაღალი პასუხისმგებლობა და უდიდესი სიფხიზლე, რათა ჩვენმა ძლიერმა მტერმა არ მიაღწიოს თავის საწადელს– ჩვენს გათიშვას, ჩვენს დაქსაქსვას ამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. მრავალი რამ არის დამოკიდებული ყოველ ჩვენთაგანზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ვერაგი და გამოცდილი მტერი ფლობს სიტუაციას გარკვეული გაგებით, იგი იყენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ჩვენს წინააღმდეგ, იყენებს თავის აგენტურას და ხშირად აღწევს თავის საწადელს.

ე.წ. ოპოზიცია, რომელიც ცდილობს ჩვენი ხელისუფლების, ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციას ხშირად ეხმარება მტერს და შედეგიც სახეზეა – არის ცალკეული გაუგებრობანი, არის ცალკეული ექსცესები რომელთაც შეიძლება გამოიწვიონ ჩვენი გათიშვა, ჩვენი ეროვნული მოძრაობის წარუმატებლობანი.

დავიწყებ იმით, რომ აჭარა იმთავითვე აქტიური იყო ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში და გადამწყვეტ როლს თამაშობდა. დავიწყებ სულ ადრეული პერიოდიდან, მაშინ, როდესაც ტოტალიტარული კომუნისტური ხელისუფლების პირობებში, საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ შესძლო ორგანიზება თბილისში 14 აპრილის მრავალათასიანი მანიფესტაციისა, რაც წარმოუდგენელი იყო საბჭოთა კავშირის ნებისმიერ კუთხეში. თბილისის დემონსტრაციას დაუყოვნებლივ მოჰყვა ბათუმის დემონსტრაცია, რომელმაც დაიცვა ქართული ენა და იმ დროიდან მოყოლებული, ბათუმი არის ავანგარდში ჩვენი ეროვნული მოძრაობისა, ისევე, როგორც მთელი აჭარა.

არც არის ეს გასაკვირი მეგობრებო, და ჩვენ საგანგებოდ არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღვნიშნავდეთ, მაგრამ ამას ვამბობ იმის გამო, რომ არის ცდები დღეს აჭარაში გარკვეული დესტაბილიზაციის შექმნისა.

რით არის ეს გამოწვეული?

უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ არასწორი ინფორმაციები ვრცელდება, თუნდაც ჩემს პოზიციასთან დაკავშირებით. კერძოდ, აჭარაში გავრცელდა ინფორმაცია, რასაკვირველია მტრული წყაროებიდან მომდინარე, თითქოს მე მსურს აჭარის ავტონომიის გაუქმება და დაუყოვნებლივ მსურს მივიღიო ამისთვის ზომები. ეს გახლავთ სიცრუე, მეგობრებო, ეს გახლავთ დეზინფორმაცია. სინამდვილეში დაწყებული პირველივე სესიიდან, როგორც კი გაიმარჯვა მრგვალმა მაგიდამ და საქართველოში შეიცვალა კომუნისტური წყობილება, მე ვქადაგებ, რომ ავტონომიის საკითხი, ეს არის სათუთი საკითხი, ეს არის ხალხის გადასაწყვეტი საკითხი, ეს არის მოსახლეობის ნებით გადასაწყვეტი საკითხი, კერძოდ, რეფერენდუმით. თანაც, ხაზს ვუსვამ, იმას, რომ ეს უნდა გადაწყვიტოს ხალხმა, კერძოდ აჭარის მოსახლეობამ მხოლოდ და მხოლოდ, და რომ აქ არავითარი დაძალება, არავითარი დიქტატი არ იქნება, არავითარი თავსმოხვევა ცალკეული შეხედულებებისა, ცალკეული პირების პოზიციებისა, თუნდაც პრეზიდენტის პოზიციისა. და ვიმეორებ, რომ არასწორად იქნა გაშუქებული ჩემი პოზიცია ცალკეული პირების მიერ, რამაც გამოიწვია საკმაოდ უსიამოვნო შედეგები. ჩემთან მოდიან ხშირად აჭარის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მე ყველას განვუმარტავ და რამდენადაც ვიცი, ისინიც ეწევიან ახსნა-განმარტებით მუშაობას. თუმცა, ცალკეული ცდები არის ჩვენი მტრებისა რომ დაამახინჯონ ჩვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით. ამ საკითხს, ავტონომიის შენარჩუნებისა და არშენარჩუნების საკითხს, უკავშირდება არჩევნების პრობლემა. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მრავალი უბედურება დაატყდა თავს. იყო მრავალი ხელისშემშლელი პირობა და არჩევნები ცოტათი გაჭიანურდა. ამას დაერთო ისიც რომ, ცალკეულმა წრეებმა აჭარაში, უმეტესად ახალგაზრდობამ, რასაკვირველია არა ბოროტი განზრახვით, იჩქარეს და იყო ცალკეული ცდები ავტონომიის წინააღმდეგ აგიტაციისა და მცდელობები საპროტესტო აქციებისა, და ეს აღქმული იქნა, როგორც ჩემგან მომდინარე და მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციებიდან მომდინარე აქცია, რაც არ გახლავთ სწორი, მეგობრებო. ეს ჩემს გარეშე გაკეთდა. ამასთან დაკავშირებით

მიიღო შენიშვნები გარკვეულმა ორგანიზაციებმა და უნდა ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო და მე არ ვდგავართ ამ აქციების უკან. ჩვენ როგორც მოგახსენეთ და როგორც არაერთხელ ვამბობ, გვსურს მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ნებით გადაწყდეს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი. როგორც აღვნიშნე, ამას უკავშირდება აგრეთვე არჩევნების პრობლემა, აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების პრობლემა. დგას საკითხი, რომ ეს ჩატარდეს ახლავე, დაუყოვნებლივ. შეიძლება თუ არა ეს იურიდიულად? ყოვლად გამორიცხულია, მეგობრებო. ამასთან დაკავშირებით, თქვენ მოგმართავთ ჩვენი იუსტიციის მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი—თუ რა ვადებია საჭირო, თუ რამდენად შეუთავსებელია ორი არჩევნების ერთად ჩატარება, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა და აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებისა. ჩვენ არ უნდა დავტოვოთ შთაბეჭდილება დანარჩენ მსოფლიოზე თითქოს აქ არ არიან იურიდიულად საკმაოდ კომპეტენტური ადამიანები ჩვენს წრეებში და ჩვენს ხელისუფლებაში, ამიტომ, ჩემის მოსაზრებით, აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები აუცილებლად უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის არჩევნების შემდგომ. მხოლოდ, რასაკვირველია, შემჭიდროებულ ვადებში და როგორც ჩანს ეს არჩევნები—აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები, ჩატარდება უშუალოდ პრეზიდენტის არჩევნების შემდგომ, ივნისის შუა რიცხვებში. დამატებით ვადის შესახებ თქვენ მიიღებთ ინფორმაციას. ასე რომ, მე ვთხოვ იმ წრეებს რომლებიც ამჟამად ძაბავენ სიტუაციას არჩევნების მოთხოვნასთან დაკავშირებით —მათ რაფერი აქვთ ასაღელვებელი, ყოველგავრი ბრძოლა დღეს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის, ეს არის ღია კარების მტვრევა—ეს პრობლემები გადაწყვეტილია, ყოველივე შეთანხმებულია აჭარის ხელისუფლებასთან და როგორც მოგეხსენებათ, უახლოეს ხანში, პრეზიდენტის არჩევნების შემდგომ, ეს ყოველივე განხორციელდება. მე ვთხოვ ყველას, ამ მძიმე დღეებში, საქართველოსათვის მძიმე დღეებში, ამ მძიმე პერიოდში შევკავშირდეთ. იყოს ჩვენს შორის დიდი კონსოლიდაცია, ურთიერთგაგება, რათა არ ვათქმევინოთ მტრებს, რომ ქართველები რაღაც გარკვეული მოსაზრებებით ან თუნდაც რელიგიური მოსაზრებებით ურთიერთს დაუპირისპირდნენ და არის მათ შორის განხეთქილება, რომ ისინი არ არიან ერთიანი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ნუ დავტოვებთ ასეთ

შთაბეჭდილებას მსოფლიოზე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ უდიდესია ჩვენი სიყვარული თქვენდამი, ჩვენი თანადგომა და გვწამს, რომ აჭარა—ეს ძირძველი კუთხე საქართველოსი—მარად და მარად—იქნება ერთიანი დანარჩენ საქართველოსთან და იბრძოლებს საქართველოს სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ჩვენთან ერთად.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 10 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ნახვამდის „საღამო მშვიდობის"...

ასე იმიტომ ვემშვიდობებით საქართველოს ტელევიზიის პოპულარულ გადაცემას, რომ ეკრანებზე მისი დაბრუნების იმედს ვიტოვებთ.

6 მაისს საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო თავმჯდომარის (იგივე—საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიო დეპარტამენტის დირექტორს) ბატონ თეიმურაზ კვანტალიანის ბრძანებით დაიშალა შემოქმედებითი ჯგუფი საინფორმაციო მუსიკალური პროგრამისა „საღამო მშვიდობისა". ახლა გაირკვა, რომ ეს ჯგუფი იურიდიულად არ არსებობდა და პროგრამა სხვადასხვა რედაქციებში მომუშავე ადამიანების ინიციატივით კეთდებოდა, რაც თურმე შრომითი დისციპლინის შესუსტებას იწვევდა.

პროგრამის ერთ-ერთმა ავტორმა ნანა ჯაფარიძემ გვითხრა, რომ კოლეგიის დადგენილებაცა და დირექტორის ბრძანებაც ისე გამოქვეყნდა, რომ წინასწარ ჯგუფის არცერთი წევრისთვის არაფერი უცნობებიათ.

დეპარტამენტის დირექტორის პირველი მოადგილის ბატონ გელა ლეჟავას აზრით, ეს ნაბიჯი დღეს პოლიტიკურად გაუმართლებელია, თურმე ტელევიზიისა და რადიოს რეფორმა უფრო მკვეთრ ნაბიჯებს საჭიროებს. ისე კი, ამ ბოლო დროს მოდად იქცა, თითოეულ პოლიტიკურ ნაბიჯს ფინანსური სარჩული გამოეკეროს.

გაზ: „7 დღეყოველკვირეული გაზეთი",
10 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ბლოკის დეპუტატებს

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სასწავლო-საბრძოლო ნაწილი—ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის" საწინამძღვროს მიმართვა

პატივცემულო დეპუტატებო, კატეგორიულად მოვითხოვთ გაგვიმართოთ:

1) რაში გამოიხატება „იმედის" „მხედრიონთან" ტყუპისცალობა (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 4 მაისი, 1991 წელი).

2) რა კრიმინალური ბრალდებები შეგიძლიათ წამოუყენოთ ასოციაციას.

3) რა გაეგებით იხმარება სიტყვა „იმჟამინდელი" თქვენს წერილში.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ „იმედი", როგორც სტრუქტურული ერთეული, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ გვარდიაში გაერთიანდა. გვარდიაში შესვლის შემდეგ „იმედის" შემადგენლობაში არაფერი შეცვლილა, არც რაოდენობრივად, არც ხარისხობრივად, არც სტრუქტურულად გარდა ერთისა, გვარდიამ მიგვიღია თავის დაქვემდებარებაში და მოგვცა გარკვეული რაოდენობის იარაღი, რომლითაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მოსახლეობას ვიცავთ. ამის შესახებ თვით ფაქტები მეტყველებენ. ჰკითხეთ: სვერელ, თამარაშენელ, აჩაბეთელ, ქურთელ, ქემერტელ, კეხველ მოსახლეებს ვინ იცავდა მათ სოფლებს მაშინ, როცა ცხინვალიდან დაუკითხავად იქნა გაყვანილი მილიციის ქვედანაყოფები, ან მაშინ, როცა ცხინვალის რაიონში დამატებითი ჯარები შევიდა და განაიარაღა, მერე ზოგი დააკავა, დანარჩენი კი გამორეკა. ჰკითხეთ სვერელ მოსახლეებს ვინ იგერიებდა და ვინ იღებდა თავის თავზე ოსი ბანდების სარაკეტო შემოტევებს.

ჰკითხეთ მილიციის კურსანტებს ვინ იღებდა თავის თავზე მათთან ერთად ყველაზე ძნელ საქმეს ცხინვალში. უმცა ეს ყველაფერი თქვენ ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ, მაგრამ „რატომღაც" მაინც აუგად მოგვიხსენიებთ. აქ ფრჩხილებს ალბათ ისევ ვაჟას ლექსი გახსნის „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრინი"

იცოდეს ყველამ (ამ სიტყვებით ჩვენ საქართველოს მოსახლეობას მივმართავთ)! რაც არ უნდა გვიმტრონ, როგორ აუგადაც არ უნდა მოგვიხსენიონ და რა პროვოკაციაც არ უნდა მოგვიწყონ, ჩვენ ერთ ქართველს როგორი „უკანასკნელიც" არ უნდა იყოს იგი, მტრად არ მოვეკიდებით (ამისათვის სათანადო ორგანოები არსებობენ) ჩვენი იარაღი მხოლოდ საქართველოს დასაცავად, გარეშე მტრის წინააღმდეგ არის შემართული. რას არ უნდა ეცადნენ, ჩვენ არც ერთი ქართველისაგან გამოწვევას არ მივიღებთ, ჩვენ ვერცერთი ქართველი ვერ დაგვიპირისპირდება, იმიტომ, რომ, ჩვენ არავის ვუპირისპირდებით. სწორედ ამაშია ჩვენი სიძლიერე და სწორედ ასეთი რწმენა მიგვიყვანს გამარჯვებამდე.

დავით ხომასურიძე, გია მიქელაძე, ნოდარ ქინქლაძე, დავით გაგნიძე, გივი ფურცელაძე, პაატა ნაზარიშვილი, ნიკა გაგაური, შმაგი ლიკლიკაძე.

გაზ: "საქართველო", 11 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო გაეცნო სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 12 მაისის დადგენილებას „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, საქალაქო, სარაიონო, სახალხო და სასოფლო საბჭოების დეპუტატთა ყრილობის 1991 წლის 4 მაისის დადგენილებას პრეზიდენტის 1991 წლის 1 აპრილის დადგენილების შესრულების შესახებ" და აცხადებს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილება წარმოადგნს სსრკ უზენაესი საკანონმდებლი ორგანოს მიერ საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის უხეშ მცდელობას. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია შეადგენს საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს და არავის აქვს მისი სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან შეერთების საკითხის განხილვის უფლება. სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 12 მაისის დადგენილება ეწინააღმდეგება თვით თვით სსრკ კონტიტუციას, „სსრკ-სა ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ" სსრკ

1991 წლის 26 აპრილის კანონს, სსრკ პრეზიდენტისა და ცხინვალის მოკავშირე რესპუბლიკის ერთობლივ განცხადებას და ახალ-ნოვოოსეთის შირეო ხელშეკრულების შესახებ მიღებულ ყველა დოკუმენტს.

სამწუხაროა, რომ სსრკ უზენაესი საბჭოს 12 მაისის დოკუმენტი მიიღეს მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ინიციატივით და საკავშირო დეპუტატთა მონაწილეობით შექმნილია სამმხრივი საპარლამენტთაშორისო კომისია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, სსრკ უზენაესი საბჭოს, რსფსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობით, რომელმაც უნდა შეიმუშაოს წინადადებანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კონფლიქტური სიტუაციის მოსაგავრებლად. სსრკ უზენაესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება ეჭქვეშ აყენებს სსრკ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს 1991 წლის 24 აპრილს მიღებული დადგენილებით დასახული ღონისძიებების რეალიზაციის შესაძლებლობას. არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ეროვნებათა საბჭოს აღნიშნულ სხდომაზე ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. ნიშანოვის წინადადებით მიაღწიეს „კონსენსუსს", რომელიც ითვალისწინებდა ყოფილი ავტონომიური ოლქის დეპუტატთა თავყრილობაზე უკანონოდ გამოცხადებული რესპუბლიკის გაუქმებას და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების მონაწილეობას სსრკ, რსფსრ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების დეპუტატთა ერთობლივ კომისიაში. ამგვარად, დეპუტატ ა. ჩეხოვის აქცია ქ. ცხინვალში უნდა შევაფასოთ როგორც პროვოკაციული ნაბიჯი, სადეპუტატო ეთიკის უხეში დარღვევა და ეროვნებათა საბჭოს დადგენილების უგულებელყოფა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ უზენაეს საბჭოს, როგორც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, უფლება არ ჰქონდა განეხილა იმ ყოფილი დეპუტატების დადგენილება, რომლებმაც თვითონ მოიხსნეს სადეპუტატო უფლებამოსილება ავტონომიური ოლქის რესპუბლიკად გამოცხადებით.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ სსრკ ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს თავისუფლებისათვის მებრძოლი ყველა რესპუბლიკების დასასჯელად და ამ მიზნით მათი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასაც არ ერიდება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მტკიცე პროტესტს

გამოთქვამს სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 12 მაისის დადგენილების გამო, მიიჩნევს მას საქართველოს საქმეებში უხეშ ჩარევად, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, საქართველოს რესპუბლიკის მიმართ მსგავსი პოლიტიკის გაგრძელება მიგვიყვანს ყოვლად გაუთვალისწინებელ შედეგებამდე. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 14 მაისი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 15 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია უცხოელი ჟურნალისტებისათვის

— არსებობს მოსაზრება, რომ ეთნოკონფლიქტები ინსპირირებულია მოსკოვის, კერძოდ სუკიის მიერ. გაქვთ თუ არა ამისი დამატკიცებელი რაიმე საბუთი?

—ამის დამატკიცებელი ბევრი საბუთი და ნიშანი არსებობს. უპირველეს ყოვლისა ის, რომ ოსი ექსტრემისტები მარაგდებინ იარაღით საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარის მიერ. ისინი ეხმარებიან ოს ექსტრემისტებს ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. როდესაც აპატიმრებენ ქართველებსა და ოსებს, ოსებს, ჩვეულებრივ ათავისუფლებენ. არც ერთი ოსი არ ზის იქ ამჟამად ციხეში. ოსი ექსტრემისტები საბჭოთა შინაგანი ჯარების ტანკებში სხდებიან და თავს ესხმიან ქართულ სოფლებს, ისინი ერთად ებრძვიან ქართველებს, სამხედრო პირებსა და ოს ექსტრემისტებს მძევლებად აჰყავთ ქართველი სოფლების მოსახლეობა. აქ იგივე ხდება, რაც სომხურ სოფლებში, სადაც აზერბაიჯანის ომონი და საბჭოთა არმია ერთად მოქმედებენ. ისე როგორც აზერბაიჯანში საბჭოთა არმია მხარს უჭერს აზერბაიჯანის ომონს, ასევე საქართველოში იგი მხარს უჭ-

ერს ოს ექსტრემისტებს, რადგანაც ოსი კომუნისტი ექსტრემისტები იბრძვიან სსრკსთვის, მათ უნდათ აღადგინონ საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური რეჟიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეკითხვა ტელეფონით დანიის ტელევიზიიდან: როდის აპირებს საქართველო ცენტრისაგან დამოუკიდებლად იქონიოს საკუთარი ფული, ჯარი საბაჟო და დამოუკიდებლად შეძლოს საზღვრების დაცვა?

— პირველ რიგში ეს დამოკიდებულია ამაზე გვაღიარებენ თუ არა დასავლეთის ქვეყნები დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

როდესაც ცენტრი ჩვენ გვაღიარებს უცხო ქვეყნად, ეს ფაქტობრივად დიპლომატიური აღიარების ტოლფასი იქნება. ჩვენ უკვე დავიწყეთ საკუთარი არმიის ჩამოყალიბება, მალე დავიწყებთ ფულის მოჭრას და გვექნება საზღვრებიც, მაგრამ ეს ყველაფერი იქნება ოფიციალური აღიარების შემდეგ.

— ვინ ამარაგებს ქართულ გვარდიას?

— ჩვენ ამჟამად გვყვავს მხოლოდ შინაგანი ჯარები და მას ამარაგებს სახელმწიფო.

— თუ სწორად გავიგეთ თქვენი ნათქვამი, 15 რესპუბლიკას სურს მიიღოს თავისუფლება, ამ რესპუბლიკებში არის არა ეთნოკონფლიქტები, არამედ ცალკეული ხალხების ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმპერიას სურს გააღვივოს ეთნოკონფლიქტები რესპუბლიკებში.

— თქვენ იცით, რომ სსრკში შემავალი 9 რესპუბლიკა ხელს აწერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ხოლო 6 უარს ამბობს მასზე, მას შემდეგ, რაც ეს 9 რესპუბლიკა ხელს მოაწერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, საბჭოთა ფედერაცია 9 რესპუბლიკისაგან იქნება შემდგარი. ამის შემდეგ 6 რესპუბლიკას მიეცემა უცხო სახელმწიფოს სტატუსი. ჩვენ ცხადია იმედი გვაქვს, რომ თვით სსრკ ცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას.

— როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუა არა ევროპული თანამეგობრობის ისეთი მოდელი, როგორიც არის, მაგალითად, ბრიუსელში, გადმოღებულ იქნას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის?

— მე ვფიქრობ, რომ იმ ექვს რესპუბლიკას, რომელიც ხელს არ მოაწერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, შესაძლებელია ჰქონდეს ბრიუსელის მოდელი და ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა ერთმანეთთან.

— კითხვა ეხება 26 მაისს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს, 27

აპრილს თქვენ სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადეთ, რომ შესაძლებელია 26 მაისის არჩევნები არ ჩატარდეს. რა არის ამის მიზეზი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე უშუალოდ ასეთ განცხადება არ გამიკეთებია. მე ვფიქრობ, რომ კრემლი იბრძვის, რათა გამოიწვიოს დესტაბილიზაცია, რადგან მას ეშინია ამ არჩევნების. გუშინ, მაგალითად, მოხდა კრემლის ძალზე არასაიამოვნო პროვოკაცია. მოსკოვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხი წარმომადგენელი, რომელნიც ახლდნენ პრეზიდენტობის წარმომადგენლის ერთ კანდიდატს და არაკანონიერად იმყოფებოდნენ საქართველოში, დროებით დაკავებულნი იქნენ, ამ კანდიდატმა მოსკოვიდან მოიწვის სსრკს სპეცსამსახურის, სუკის თანამშრომლები მისი პირადი დაცვის მიზნით. ისინი აქ საიდუმლოდ ჩამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ნებართვის გარეშე და მათ თავი წარმოგვიდგინეს ამ კანდიდატის მცველებად. სინამდვილეში კი ჩვენ არ ვიცით, ისინი რა ფუნქციას ასრულებენ. როგორც კანდიდატი ამბობს, მან ისინი მოიწვია, როგორც მოსკოვის ერთ-ერთი კოოპერატივის წევრები, მაგრამ ამ დროს მათ აქვთ მოსკოვის შინაგან საქმეთა სამინისტროს დოკუმენტები. გუშინ საქართველოს ტელევიზიით ნაჩვენები იყო, თუ როგორ შემოიჭრნენ ეს სუკიის აგენტები, რომლებიც თავს მილიციის თანამშრომლებს უწოდებენ. მაგრამ, ცნობილია, რომ სუკი ხშირად იყენებს ამ მეთოდს, და აძლევს თავის წარმომადგენლებს მილიციის თანამშრომლის მოწმობას. ეს ერთ-ერთი პროვოკაციაა ჩვენი არჩევნების წინააღმდეგ. ცენტრი ცდილობს, რომ იაქტიუროს წინასაარჩევნო კამპანიაში და მას ჰყავს ამისათვის ისეთი ხალხი, როგორიც ხსენებული კანდიდატია, რომელიც საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატია.

— როგორ ფიქრობთ, ამ ფაქტის შემდგომ იგი მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში?

— მე არ ვიცი, ეს მასზეა დამოკიდებული, გუშინ ტელევიზიით ნაჩვენები იყო, რომი იგი თანამშრომლობს საბჭოთა სპეცსამსახურთან, როდესაც მას ჰკითხეს, თუ რატომ ვერ იპოვნა დაცვა საქართველოში და რატომ მოიწვია დაცვა მოსკოვიდან, მან უპასუხა, მე არ ვენდობი ქართველებს და ამიტომ მოვიწვიე ისინი მოსკოვიდანო. მაშინ მას ჰკითხეს: თუ თქვენ არ ენდობით ქართველებს, რად გინდათ, რომ გახდეთ პრეზიდენტი?

— მე გავიგე, რომ გარკვეული პრობლემები არსებობს ერთ-ერთი კანდი-

დატის მხაედამჭერთა ხელმოწერებთან დაკავშირებით.

— ზოგიერთ კანდიდატს ყალბი ხელმოწერები აღმოაჩნდა. ისინი ეუბნებოდნენ ხალხს, რომ ეს ხელმოწერები საჭიროა გამსახურდიასთვის, ვინაიდან სხვები იქნებიან მისი მოადგილეები, ანუ თანაპრეზიდენტები. ისინი მოტყუებით და ზოგჯერ ძალადობით აღწევდნენ ამას. „მხედრიონის" ზოგიერთი წარმომადგენელი ძალადობით აგროვებდა ხელმოწერებს ზოგი კანდიდატისათვის. გუშინ, როდესაც სუკიის თანამშრომლები დააკავეს მილიციის წარმომადგენლებმა, მათ შორის აღმოჩნდნენ „მხედრიონის" წევრებიც.

— თქვენთვის ცნობილია, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ აშშში, მაგრამ მათ საკმარისი მხარდაჭერა ვერ მიიღეს. გენშერის განცხადებით, ცენტრისა და რესპუბლიკების კონფლიქტი გამოწვეულია იმით, რომ ერთის მხრივ მოსკოვში შეინიშნება სურვილი კონფედერაციის შექმნისა, ხოლო მეორეს მხრივ, გარკვეული რესპუბლიკები იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის. ეს წინააღმდეგობა კრემლს აგონიაში აგდებს. მოსკოვს აქვს დიდი სამხედრო პოტენციალი, როგორ ფიქრობთ, ხომ არ არის საშიშროება, რომ მას ხალხის წინააღმდეგ გამოიყენებენ?

— სამწუხაროა, რომ აშშს არ სურს სცნოს ბალტიისპირეთის, საქართველოს და სხვათა დამოუკიდებლობა. აშშ, გერმანია და სხვა დიდი ქვეყნები კვლავ იმედებს ამყარებენ სსრკზე, გორბაჩოვზე, მაგრამ მე ვფიქრობ, მომავალში წარმოუდგენელია სსრკს არსებობა.

— ლატვიამ ერთი წლის წინ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაიწყო მოლაპარაკებები მოსკოვთან, თქვენ როდის ფიქრობთ მოლაპარაკებების დაწყებას მოსკოვთან?

— ჩვენ დავიწყებთ მოლაპარაკებებს და მე შევხვდები პრეზიდენტ გორბაჩოვს თვის ბოლოს. ჩვენი მოლაპარაკებები ისეთივე იქნება, როგორც ლიტვისა, ეს იქნება დამოუკიდებლობის შესახებ.

— თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოსთვის უმთავრესი პრობლემა ამჟამად ეკონომიკური განვითარებაა. როგორი იქნება თქვენი პირველი ნაბიჯები ამ გზაზე?

— ჩვენი პირველი ნაბიჯებია პრივატიზაცია, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და ეკონომიკური კავშირების განმტკიცება დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნებთან.

— ბატონი ხოშტარია იმყოფებოდა საფრანგეთსა და გერმანიაში. როგორია ამ ვიზიტის შედეგები?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შედეგები დიდია, რადგან ჩვენ დავამყარეთ ახალი, განსაკუთრებით ეკონომიკური კონტაქტები ამ ქვეყნებთან.

— თქვენი ხელისუფლება უკვე რამდენიმე თვეა სათავეშია, მაგრამ ჯერ არ მოხერხდა პრივატიზაციის შესახებ კანონის მიღება. რა არის ამის მიზეზი?

— მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ჯერ არა ვართ ეკონომიკურად დამოუკიდებელნი საბჭოთა კავშირისაგან. როგორც ჩვენ გამოვეყოფით სსრკს და გავარღვევთ ეკონომიკურ იზოლაციას, ჩვენ გვექნება ამის შესაძლებლობა, ახლა კი თქვენ იცით, რომ ჩვენ წარმოვადგენთ საბჭოთა სოცუალისტური ეკონომიკის ნაწილს. ამჟამად ჩვენ გვაქვს ნაწილობრივი პრივატიზაცია, მაგრამ სრული პრივატიზაცია შესაძლებელია მხოლოდ სსრკდან გამოყოფის შემდგომ.

თქვენ დაიწყეთ საყოველთაო გაფიცვა. გრძელდება თუ არა იგი?

— არა, გაფიცვა შეწყდა მიწისძვრის გამო.

— ბალტიისპირეთში ჩვენ გვითხრეს, რომ საქართველო მოქცეულია ენერგეტიკულ ბლოკადაში, კერძოდ მას არ აწვდიან გაზს, რამდენი ხანია ეს მიმდინარეობს?

— ჩვენ ყველა სახის ბლოკადაში ვართ მოქცეული, ენერგეტიკული, პროდუქტების, ახლა დაიწყო ფინანსური ბლოკადა.

— კომუნისტურმა რეჟიმმა 70 წლის მანძილზე შექმნა ომო სოვიეტიკუსის **ტიპი. საზოგადოების ფართო ფენები კორუმპირებულია, შეცვალა ადამიანთა ფსიქოლოგიაც, საქართველოს თავისუფლების გამოცხადება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ქართველები განათლებისა და კულტურის შედეგად გახდნენ მართლაც თავისუფალნი?**

— ძალიან ძნელია კორუფციის და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელსაც ამ 70 წლის განმავლობაში ჰქონდა ადგილი. ძალიან ძნელია ადამიანთა ფსიქოლოგიის შეცვლა, ჩვენ არ შეგვიძლია ამის სწრაფად გაკეთება, ამას დრო სჭირდება. ჩვენ ამისათვის გვჭირდება სრული გამოყოფა სსრკდან.

— ზოგიერთი ფიქრობს, რომ უმჯობესია ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნვა სსრკდან გამოყოფამდე, როგორია თქვენი აზრი?

— დამოუკიდებლობის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური განვითარება, ჩვენ მოწყვეტილი ვართ მთელ მსოფლიოს სწორედ მოსკოვის წყალობით. ჩვენ ვცდილობთ ეს იზოლაცია გავარღვიოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარაციით და დიპლომატიური

აღიარების მიღწევით. მხოლოდ ამის შედეგად გახდება შესაძლებელი ნამდვილი ეკონომიკური დამოუკიდებელობის მიღწევა. ამჟამად ჩვენ არა გვაქვს ეკონომიკური საზღვრები. ჩვენ არ შეგვიძლია ეკონომიკის შეცვლა, სანამ სსრკ შემადგენლობაში ვართ.

— ოსეთის პრობლემის გარდა არსებობს მღელვარება აჭარაში, აფხაზეთში, ყველაფერი მოსკოვის ბრალია? თქვენ დარწმუნებული ბრძანდებით?

— დიახ, იმიტომ, რომ გორბაჩოვმა ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ თუ ჩვენ ხელს არ მოვაწერთ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, გვექნება პრობლემები ოსეთსა და აჭარაში. ასეთივე პოლიტიკა აქვს მას მოლდავეთის და სომხეთის მიმართ. იგი იყენებს ეთნოკონფლიქტებს რესპუბლიკებზე ზემოქმედებისათვის.

— გაქვთ თუ არა კონტაქტი სსრკში და მთელ დასავლეთ სამყაროში კარგად ცნობილ პიროვნებასთან, ვგულისხმობ ედუარდ შევარდნაძეს?

— დიახ, მე მქონდა მასთან კონტაქტი და მე ვუთხარი, რომ მან უნდა მოახდინოს გავლენა გორბაჩოვზე და ემსახუროს საქართველოს. მან მიპასუხა, რომ იგი შეეცდება დაეხმაროს საქართველოს, მაგრამ მე რეალურად ამას ვერ ვხედავ.

— როდის ელაპარაკეთ მას?

— დაახლოებით ერთი თვის წინ.

— გორბაჩოვი იზოლირებულია სამხედრო ძალებისა და სუკის მიერ, მისი უფლებამოსილებანი შეზღუდულია. ყველაფერი მის სურვილზე არ არის დამოკიდებული, რადგან მას უჭირს მოერიოს ამ უზარმაზარ სამხედრო აპარატს. თქვენ რას ფიქრობთ?

— დიახ, გორბაჩოვი მართლაც მათი გავლენის ქვეშ იმყოფება. მას ამჟამადაც მართლაც უჭირს ამ გავლენის დაძლევა, მაგრამ მე ვფიქრობ, ამაში მას დასავლეთი, აშშ, გერმანია დაეხმარება. თუ მას დაეხმარებიან, იგი შეძლებს ამ სიტუაციიდან თავის დაღწევას.

— გქონდათ თუ არა რაიმე კონკრეტული მიზანი ამ პრესკონფერენციის მოწყობისათვის?

— დიახ, მე უკვე გითხარით, რომ მოსკოვი აგრძელებს პროვოკაციებს წინასაარჩევნო პერიოდში. მოსკოვის პრესსამსახური იჭრება ამ პროცესში. ჩვენ არ ვიცით, რას აკეთებდნენ მისი წევრები თბილისში 12 დღის განმავლობაში. მათ განაცხადეს, რომ ისინი პრეზიდენტობის კანდიდატის დაცვის მიზნით ჩამოვიდნენ თბილისში. მაგრამ

სინამდვილეში ჩვენ არ ვიცით, ისინი რას აკეთებდნენ, ვინაიდან მათ ურთიერთობა ჰქონდათ დანაშაულებრივ ორგანიზაცია „მხედრიონის" წევრებთან, რომლებიც ძალიან გააქტიურდნენ არჩევნების წინ. ჩვენ ამას მივიჩნევთ მოსკოვის ჩარევად წინასაარჩევნო კამპანიაში, საკუთარი კანდიდატების მხარდაჭერის მიზნით. ჩვენ განზრახული გვაქვს, რომ გამოვააშკარაოდ ასეთი ფაქტები, ვაუწყოთ ხალხს და გადავცეთ ინფორმაცია დასავლეთს.

— თქვენ ხშირად ახსენეთ საქართველოში მოქმედი კრიმინალური ჯგუფები, რა გაქვთ მხედველობაში?

— კრემლმა შექმნა დიდი კრიმინალური არმია მთელს საქართველოში, რომელსაც გარკვეული ძალაუფლება ჰქონდა. ჩვენ დავაპატიმრეთ ამ კრიმინალური დაჯგუფების 70 წევრი და მათი ლიდერი იოსელიანი, თუმცა მისი სხვა წევრები კვლავ მოქმედებენ და სჩადიან დანაშაულებებს, განსაკუთრებით ღამით, ისინი მოქმედებენ როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში. ზოგიერთი მათგანი ახლაც ემალება მილიციას.

— მე ექვსი კვირის განმავლობაში საქართველოში ვარ და მსგავსი არაფერი მინახავს.

— თქვენ არ გინახავთ, მაგრამ საქართველოში ხედავენ.

ხდება ძარცვა, ადამიანის გატაცება, გამოძალვა და სხვა არასაიამოვნო ინციდენტები. ამჟამდ კი ისინი დაკავებულნი არიან საარჩევნო კამპანიით. ისინი აიძულებენ ხალხს, ძალით მოაწერონ ხელი ამა თუ იმ კანდიდატის მხარდამჭერ სიებს და ა. შ.

— ჯერ კიდე ერთი წლის წინ საქართველოში არსებობდა ერთიანი დემოკრატიული ეროვნული მოძრაობა, მიმართული კომუნიზმის წინააღმდეგ, შემდეგ კი ეს ერთიანობა დაიშალა, რა მოხდა?

— ეს ცენტრის დამსახურებაა, ცენტრის და სპეციალური სამსახურის, რომელნიც ძალიან აქტიური და ძლიერია საქართველოში. ამ ძალებმა ჩამოაყალიბეს სპეციალური სამხედრო შენაერთები, რომლებმაც დაშალეს ეს მოძრაობა და გადაიბირეს მისი ნაწილი. ეს კრიმინალური ჯგუფები ემუქრებოდნენ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს და მოახერხეს ზოგიერთის ჩათრევა კორუფციასა და მაფიაში. ამგვარად, ამ მოძრაობის ერთი ნაწილი ჩვენ ეროვნულ ხელისუფლებას უჭერს მხარს, ხოლო მეორე ნაწილი კი მაფიას, კრიმინალურ ჯგუფებს და მოსკოვის სპეცსამსახურს.

— რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ მოსკოვს?

— ვგულისხმობ ცენტრს, როდესაც ვამბობ მოსკოვს, ვგულისხმობ, რომ მოსკოვი მხარს უჭერს ამ კრიმინალურ დაჯგუფებებს. ეს ჯგუფები კომუნისტური პარტიის ლიდერებმა შექმნეს და მოახდინეს მათი ლეგალიზაცია, მოსკოვი, რა თქმა უნდა, ამას უარყოფს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ისინი სპეცსამსახურის აგენტები არიან.

— თუ მიმართეთ უცხო ქვეყნების წარმომადგენლებს, რომ დაესწრონ 26 მაისის არჩევნებს?

— დიახ, იქნებიან ოფიციალური დამკვირვებლები, როგორც ეს რეფერენდუმზე და არჩევნებზე იყო.

— როგორ ფიქრობთ, როცა ექვსი რესპუბლიკა არ მოაწერს ხელს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ხომ არ აღმოჩნდებიან საფრთხეში?

— ეს ექვსი რესპუბლიკა დიდ საფრთხის წინაშე დგას. ცენტრს შეუძლია განახორციელოს სამხედრო აგრესია. ხოლო სპეცსამსახური ყოველმხრივ ეცდება, რომ გააკონტროლოს აქ სიტუაცია —ამიტომ აუცილებელია დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერა, ხოლო დასავლეთის საინფორმაციო წყაროებმა უნდა გადასცენ სწორი ინფორმაცია და დაგვეხმარონ ჩვენ ამ ბრძოლაში.

— რამდენიმე ხნის წინ თქვენ ბრძანეთ, რომ საზღვარგარეთ ხშირად გადაიცემა არასწორი ინფორმაცია, რა არის ამის მიზეზი, მე არა მგონია, რომ ჩემი კოლეგები ამას განზრახ აკეთებდნენ.

— არა, შეიძლება ისინი ამას განზრახ არ აკეთებენ, მაგრამ დასავლეთის საინფორმაციო წყაროები მოსკოვის დიდ გავლენას განიცდიან, განსაკუთრებით გერმანელი ჟურნალისტები, რომლებიც ზედმეტად ენდობიან საკდესს და მოსკოვს, რომელიც ყალბ ინფორმაციას გადასცემს.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 15 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება

საქართველოს უზენაეს საბჭოსა და ეროვნულ კონგრესთან დაკავშირებით

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას იმთავითვე მიჩნდა და ახლაც მიაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა უნდა დაემყაროს საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის სტრატეგიას, რაც ითვალისწინებს როგორც ერის დაპირისპირებას უშუალოდ იმპერიულ ცენტრთან და მის საოკუპაციო რეჟიმთან და ჯარებთან, აგრეთვე ერის სრულ გამიჯვნას იმ ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურებისაგან, რომლებიც კრემლმა იძულებით დაამკვიდრა საქართველოში ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში, აგრესიისა და დაპყრობის ფაქტის შესანიღბავად. ბოიკოტის გამოცხადება საბჭოთა ერთპარტიული თუ მრავალპარტიული არჩევნებისადმი ითვალისწინებდა ქართველი ერის მიერ უარის თქმას იმ შეზღუდულ სახელმწიფოებრიობასა და სუვერენიტეტზე, რომელიც საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში დამყარდა გარეშე იმპერიული ძალების სამხედრო ჩარევის შედეგად, მხოლოდ და მხოლოდ აგრესიის ფაქტის შენიღბვისა და საქართველოს სრული ანექსიის წარმატებით განხორციელების მიზნით. საბჭოთა რუსეთმა, როგორც ცნობილია, 1921 წელს თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს მიმართ განახორციელა შეიარაღებული აგრესია, რაც გამოიხატა ქვეყნის ინტერვენციასა და ოკუპაციაში, მაგრამ აგრესიისათვის საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ოკუპირებულ საქართველოს მიენიჭა სუვერენული სტატუსი, რითაც იურიდიულად დაფარა საქართველოს დაპყრობის ფაქტი. ქართველი ერის აბსოლუტური უმრავლესობის შეგნებული არმონაწილეობა ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალურ არჩევნებში, არც მეტი არც ნაკლები, შედეგად მოიტანდა საქართველოში ე.წ. მოკავშირე სუვერენული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და მისი სახელმწიფო ხელისუფლების სრულ გაუქმებას, რაც მსოფლიოს თვალში გააშიშვლებდა საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერიის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტს და, შესაბამისად, საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის წარმატებით განხორციელების რეალურ სიტუაციას. რაც შეეხება ეროვნულ კონგრესს იგი უნდა ყოფილიყო დამპყრობლის მიერ შემოთავაზებულ სახელმწიფოებრიობასა და სუვერენიტეტზე უარნათქვამი, დაუმორჩილებლობის სტადიაში შესული ქართველი ერის მიერ ალტერნატიული და არა პარალელური პრინციპით არჩეული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო და ამდენად თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველი ერის უზენაესი ნების ერთადერთი გამომხატველი.

მას შემდეგ, 1990 წლის 28 ოქტომბერს დიდი წარმატებით ჩატარდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ საბჭოთა კანონის საფუძველზე დანიშნული საბჭოთა დამპყრობლის მიერ დაწესებული ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოს საყოველთაო, დემოკრატიული პრინციპით არჩეულმა, დაკარგა დაპყრობილი ერის უზენაესი ნების ერთდაერთი გამომხატველის სტატუსი და გადაიქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარკვეული ნაწილის წარმომადგენლობით სათათბირო ორგანოდ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მიაჩნია, რომ ქართველი ერის დიდ უმრავლესობის აქტიური მონაწილეობა უზენაესი საბჭოს არჩევნებში იყო საბჭოთა იმპერიის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებში კრემლის მიერ ინსპირირებული და თავს მოხვეული ე.წ. პარლამენტური გზის გამარჯვება შეურიგებელი ბრძოლისა და ეროვნული დაუმორჩილებლობის სტრატეგიაზე, რამაც უკან დასწია და შეაფერხა 4-9 აპრილის საყოველთაო გამოსვლების დროს აზვირთებული ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ყველა იურიდიული მანიპულაცია, გარდა 1991 წლის რეფერენდუმისა გამოცხადებული საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ, დაწყებული გარდამავალი პერიოდის კანონით, დამთავრებული 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით, არის გაგრძელება კრემლის იმპერიულ მიზნებთან თანხვედრი ადგილობრივი სახელმწიფო ხელისუფლების ტრადიციული პოლიტიკისა, რომელიც იმთავითვე აგრესიისა და დაპყრობის ფაქტის შენიღბვას ემსახურე-

ბოდა, ხოლო ამჟამად ლოგიკურად ჯდება გარდაქმნის პოლიტიკით, რეალიზებულ საბჭოთა იმპერიის სამართლებრივ ერთიან, სახელმწიფოდ მოდერნიზაციის სტრატეგიულ გეგმაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია თვლის, რომ ეროვნულმა კონგრესმა შეგნებულად უნდა თქვას უარი ერის ნების ერთადერთი გამომხატველის სტატუსზე და პატიოსნად დაჯერდეს ეროვნულგამნათავისუფლებელი მოძრაობის გარკვეული ნაწილის წარმომადგენლობით—სათათბირო ორგანოს სტატუსს, რადგან მოცემულ ეტაპზე ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა იზიარებს ჩვენი პარტიის თვალსაზრისით იმ უაღრესად მცდარ პოლიტიკას, რომელსაც უზენაესი საბჭო ეწევა.

რაც შეეხება ერის უზენაესი ნების ერთადერთ გამომხატველ სუბიექტს, ასეთი ორგანოს, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოს არჩევა, თუკი საერთოდ იქნება ამის აუცილებლობა, შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდგომ, როდესაც საზოგადოებრიობის თვალში საბოლოოდ გაკოტრდება პარლამენტური ბრძოლის იდეა და დაუმორჩილებლობის სტადიაში შესული ერი, ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში, აგრესიის სრულ აღკვეთამდე, შგნებულად იტყვის უარს სახელმწიფო ხელისუფლების ხელში აღებაზე.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ერთგულად გაყვება ეროვნული დაუმორჩილებლობის იმ ტრადიციულ ხაზს, რომელიც საბჭოთა აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტების სრული და უსიტყვო ლიკვიდაციის გზით ესწრაფვის ერთა ლიგის მიერ დეფაქტოდ და დეიურედ ცნობილი, 1918 წლის 26 მაისს დაფუძნებული საქართველოს დემომკრატიული რესპუბლიკის აღდგენას.

ირაკლი წერეთელი.

მაისი, 1991 წელი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 15 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ჰელსინკის შეთანხმებათა შესრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფის მიმართვა იურისტთა საერთაშორისო ასოციაციას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლიგას, საერთაშორისო ამნისტიას

1977 წლის 2 თებერვალს თბილისში საბჭოთა ხელისუფლებმა დახვრეტა მიუსაჯეს გაბედულ ქართველ პატრიოტს ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანიას (წარსულში იგი მსჯავრდებული იყო საზღვრის გადასვლისათვის), საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ მას მსჯავრი დასდო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 69ე მუხლით (დივერსია). ჟვანიას ბრალდებაა ის, რომ ქუთაისსა, სოხუმსა და თბილისში მთავრობის შენობების წინ სხვადასხვა დროს აფეთქებდა კუსტარულად დამზადებულ ყუმბარებს. ჟვანიამ გამოძიებას და სასამართლოს განუცხადა, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის და მარიონეტული მთავრობის გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები, იგი ძირს უთხრის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, ხელს უწყობს ქართველი ხალხის გადაგვარებას და რუსიფიკაციას და პროტესტის ნიშნად სიმბოლური ხასიათის აფეთქებები მოვაწყვე, რათა საზოგადოების ყურადღება მიეპყრო. ის ცდილობდა აგრეთვე, რომ აფეთქებას არ დაეზიანებინა შენობები და სახელმწიფოსათვის არ მიეყენებინა მატერიალური ზარალი. ამის გამო არ შეიძლებოდა ჟვანია ეცნოთ დამნაშევედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლით, რომელიც გულისხმობს საწარმოთა, ნაგებობათა, გზათა და მიმოსვლის საშუალებათა, კავშირგაბმულობის საშუალებათა ანდა სხვა სახელმწოფო ან საზოგადოებრივი ქონების დანგრევას თუ დაზიანებას, მასობრივ მოწამვლას ანდა ეპიდემიისა გავრცელებას საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტების მიზნით.

დანიშნულმა სახელმწიფო დამცველმა ბ. ხომერიკმა გაითვალისწინა ეს და თავის დავით სიტყვაში გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ჟვანია 69-ე მუხლით დაესაჯათ. მან მოითხოვა ჟვანის დასჯა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 8 წლით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლს შეესაბამება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლი, რომელსაც რსფსრ სისხლის სამართლის კომენტარები ასე განმარტავს: 68-ე მუხლთან ანუ დივერსიასთან საქმე მაშინ გვაქვს, როცა ბრალდებული განზრახ აფეთქებს, ცეცხლს უჩენს და ზიანს აყენებს სახელმწიფო ქონებას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური დასუსტების მიზნით.

მაგრამ არც ჟვანიას ჰქონია ასეთი განზრახვა, არც მისი მოწყობილი აფეთქებები ისახავდნენ ამ მიზანს და არც ზარალი მიუყენებიათ სახელმწიფოსათვის. სასამართლომ იცის, რომ ჟვანიას მოქმედება 69-ე მუხლის (დივესიის) ნიშნებს არ შეიცავს და სასჯელი მაინც ამ მუხლით გამოუტანა, რათა დაეშინებინა ქართველი ხალხი, რომელიც არ ეთანხმება საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის და მისი მარიონეტული მთავრობის გზას. სოხუმში თავისი გაუფრთხილებლობის გამო აფეთქებისაგან მოკვდა ერთი კაცი, მაგრამ არც შენობა და არც სამრეწველო ობიექტი არ დაზიანებულა.

გთხოვთ ჩაერიოთ ამ საქმეში და ყველა შესაძლებელი საშუალებით იხსნათ თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გაბედული მებრძოლის სიცოცხლე. ცხადია, დრო არ ითმენს და საჭიროა საჩქარო ზომები.

საქართველოში ჰელსინკის შეთანხმებათა შესრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 17 მაისი, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობის წერილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიწყო ბეჭდვა რესპუბლის სამინისტროების და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიმართვებისა საქართველოს საზოგადოებრიობისადმი, რომელშიც ცალსახადაა მოწოდება არა პრეზიდენტის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ზვიად გამსახურდიასათვის ხმის მიცემის შესახებ. ამაში თითქოს არაფერი იქნებოდა საგანგაშო, რომ არა ის გარემოება, რომ სამინისტროები სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ და მათი ასეთი განცხადება მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისადმი დიქტატად აღიქმება. განსაკუთებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სამი სხვადასხვა სამინისტროს განცხადებაში ფიგურირებს ერთი და იგივე ფორმულირება, რომლის მიხედვითაც ზვიად გამსახურდია აღიარებული პრეზიდენტობის „ერთადერთ სრულუფლებიან კანდიდატად". საინტერსოა, რატომ და ვისი გადაწყვეტილებებით დაკარგეს სხვა კანდიდატებმა „სრულუფლებიანობა"? ყოველგვარ ეჭვს მოკლებულია, რომ ეს ფორმულირება სამინისტროებს ერთი მაკოორდინირებელი ცენტრის დავალებით აქვთ ჩაწერილი თავიანთ განცხადებაში.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი მაისის სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ რიგ რაიონებში ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ მილიციის უფროსები, პრეფექტები და სხვა სახელმწიფო თანამდებობრივი პირები, რომლებიც გასაგებია, რომ იმავე მაკოორდინირებელი ცენტრის დავალებით მოქმედებენ.

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს აღნიშნული ფაქტებისადმი და მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში სახელმწიფო ორგანოების უხეში ჩარევა და სხვა სრულუფლებიანი კანდიდატების დისკრედიტაცია საქართველოს საზოგადოების მიერ ერთხელ და სამუდამოდ დაგმობილი ბოლშევიკური მეთოდებით.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა გაატაროს ყველა ღონისძიება პრეზიდენტის არჩევნების კანონის განუხრელი დაცვისათვის.

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობა.

რედაქციისაგან: ჩვენ დავუკავშირდით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. როგორც დავრწმუნდით, არავითარი უკანონობა არ ჩაგვიდენია ისევე, როგორც სხვა სამინისტროებსა და უწყებებს.

მხარდაჭერის ამდაგვარი გამოხატვის უფლება აქვს ყველა პიროვნებას და ორგანიზაციას. იგივეს გავაკეთებდით, პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებზე რომ შემოსულიყო მიმართვები. რაც შეეხება „მაკოორდინირებელი ცენტრის" „ზემოქმედებას" და ვითომდაც რაიონებში მომხდარ ყურმოკრულ ამბებს—ამას სერიოზულ საზოგადოებაში ცილისწამებად აღიქვამენ.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა". 17 მაისი. 1991.

* * * * * * * * * * * * *

ვაქარწყლებთ ცრუ აზრს

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულმა ვნებათაღელვამ აპოგეას მიღწია. მძიმე მორალურეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას თან დაერთო პრეზიდენტობის მაძიებელთა, მათ მხარდამჭერთა მიერ საზოგადოების გამოწვევის, დაპირისპირებისა და ზოგჯერ შეურაცხყოფის შემთხვევებიც. გამოდიან ინტელიგენციის სახელით, ქართულ ერს ხან ბრბოდ, ხან კერპთაყვანისმცლებადაც კი მოიხსენიებენ.

საქართველოს მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა ერთი ნაწილი მტკიცე პროტესტს გამოვთქვამთ ამის გამო და თანამემამულეებს მოვუწოდებთ სიმშვიდის, გონიერების, მოთმინებისა და ერთიანობისაკენ.

ვაქარწყლებთ ცრუ აზრს, თითქოს ინტელიგენცია მხარში არ ედგეს ზვიად გამსახურდიას, — მხარს ვუჭერთ მას, — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ უპირველეს და უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, მომავალი ახალი საქართველოს მე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საძირკვლეს, ჩვენს ღირსეულ კანდიდატს და ამით ხმას ვაძლევთ საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ანა კალანდაძე, ზურაბ სოტკილავა, ნოდარ ამაღლობელი, მედეა ამირანაშვილი, ნოდარ კეკელიძე, ალექსი მაჭავარიანი, ელგუჯა ხინთიბიძე, ანტონ წულუკიძე, ბიძინა კვერნაძე, ლამარა ჭყონია, კორნელი დანელია, სიმონ ხეჩინაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, შოთა სიდამონიძე, თალეს შონია, ვასილ კიკნაძე, არჩილ ჩიმაკაძე, იოსებ კეჭაყმაძე, გიზო ჟორდანია, ამირან კავსაძე, კარლო მეშველიანი, თენგიზ ფერაძე.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა".

24 მაისი. 1991.

* * * * * * * * * * * * *

ინტერვიუ მერაბ კოსტავას დედა ქალბატონ ოლღა დემურიასთან

ქალბატონო ოლღა ჩვენ ვიცით თქვენი დამოკიდებულების შესახებ ბატონ ზვიად გამსახურდიასთან. ამიტომ ალბათ ვერ დავიკვეხნი დიდ მიხვედრილობით, თუ ვიტყვი, რომ პრეზიდენტის არჩევნებში ხმას ბატონ ზვიადს მისცემთ.

— რა თქმა უნდა ზვიად გამსახურდიას. ზვიადის პიროვნებაში თავმოყრილია სამშობლოს უდიდესი სიყვარული. თავდადება და ერთგულება. პოლიტიკური სიბრძნე, დიდი განსწავლულობა. ამიტომ მე ვიტყვი, რომ ჩვენი პრეზიდენტი მხოლოდ ზვიადი უნდა იყოს, რათა ბოლომდე მიიყვანოს ჩვენი დაჩაგრული ერის საქმე, რომელიც თავიდანვე მისი დაწყებული იყო.

ხომ არ გაიხსენებდით მერაბის და ზვიადის ბავშვობას?

— ზვიადისა და მერაბის ჩამოყალიბებაში დიდ როლი ითამაშა გარემომ, ოჯახმა რომელიც სიკეთით იყო სავსე.

მერაბი 26 მაისს დაიბადა და ამის გამო ჩვენი სიხარულიც გაორკეცდა. ბიძამისმა იმ საღამოსვე მოინდომა მისი ნახვა. ის ხომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაიბადა. შემდგომ ეს თვით მერაბსაც ეამაყებოდა.

ზვიადი და მერაბი სიყრმიდანვე ერთად იზრდებოდნენ, მეორე კლასიდან ერთად სწავლობდნენ. სწავლით ყველასაგან გამოირჩეოდ-

ნენ. თითქმის ყველა საგანს ერთნაირად იყვნენ დაუფლებულები. პარალელურად სწავლობდნენ მუსიკას, უცხო ენებს. ყოველივე ამან შედეგი გამოიღო. ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, როცა საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრობნენ. ბავშვობა თითქმის არც ჰქონიათ. თამაშისათვის არ ეცალათ (მერაბი ზოგჯერ ფეხბურთს თუ ითამაშებდა), ზვიადი თავისუფალ დროს სულ კითხულობდა.

მეათე კლასში ორივენი დააპატიმრეს ანტისაბჭოური პროკლამაციების გავრცელებისათვის, მე კი ამისთვის ცეკაში დამიბარეს და მკაცრად მკითხეს: „იცით, თქვენმა შვილმა რა დაწერა?!...

როცა ჩემი შვილი მაჩვენეს და ვკითხე, რა დაწერე-მეთქი, მან ამაყად მიპასუხა: „მალე დადგება განკითხვის დღე კრემლის ჯალათებისთვის".

ხუთი თვის შემდეგ ზვიადი და მერაბი გაათავისუფლეს, რადგან არასრულწლოვანები იყვნენ, მაგრამ მაინც ძალიან ავიწროებდნენ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, შინაგან საქმეთა ორგანოები. მეტიც, ქუჩაში ერთად დგომა არ შეეძლოთ.

მეორედ რისთვის დააპატიმრეს მერაბი?

– 1977 წელს მეორედ დააპატიმრეს მერაბი. ზვიადმა და მერაბმა გამუშვეს ჟურნალები „ოქროს საწმისი" და „საქართველოს მოამბე", სადაც თავიანთი აზრებით ილაშქრებდნენ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. სამ-სამი ნომერი გამოუშვეს, მერე კი ისინი გააფრთხილეს, რომ ჟურნალები დაეხურათ. მათ მაინც გააგრძელეს გამოშვება და აკრძალვის შემდეგ კიდევ სამი ნომერი გამოუშვეს. ამიტომ დააპატიმრეს ორივე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანთა უფლებების დაცვის დეკლარაციის მე-19 მუხლი ითვალისწინებს სწორედ ადამიანის ამ უფლებეის დაცვას. ამის მიხედვით ისინი უნდა გაეთავისუფლებინათ, მაგრამ არა. მერაბი ციხეში თითქმის მთელი წელიწადი შიმშილობდა. მან მაშინ დაწერა პოემა „შიმშილობა", აგრეთვე ლექსები გალაქტიონზე, შვილზე. მერაბი და ზვიადი ძველ ქართულ ენას იყვნენ ნაზიარებნი.

რა ურთიერთობა გქონდათ ზვიადის ოჯახთან, ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასთან?

– ბატონ კონსტანტინეს მაშინ ვნახულობდი, როცა ორივეს ერთნაირი გაჭირვება გვადგა. ჩვენი შვილების მეგობრობამ ჩვენი ოჯახებიც შეადუღაბა. ზვიადი და მერაბი რომ დაიჭირეს კონსტანტინე

ლოგინად ჩავარდა.

მამაჩემიც ავად გახდა. გვეგონა ყველას გადაგვასახლებდნენ. მაშინ, მართალი გითხრათ, რატომლაც ხრუშოვმა გამოიჩინა შემწყალებლობა. გასცა ბრძანება, ბავშვები არ ეცემათ ციხეში. მაშინვე შეუცვალა ზვიადს და მერაბს პატიმრობა პირობით სასჯელად, როგორც არასრულწლოვანებს. ეს მაშინ, პირველად რომ დააპატიმრეს. მშობლებს ძალიან გვიჭირდა. ზვიადი და მერაბი ორივენი კონსტანტინეს სულიერი შვილები იყვნენ.

გაზ: „შანსი", 25 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ПРЕЗИДЕНТИ ПОЛИТИКИС ГАРЕШЕ

გთავაზობთ (შემოკლებით) ინტერვიუს ბატონ ზვიად გამსახურდიასთან. ეს ინტერვიუ რომელიც ახლახან გადაიცა საქართველოს ტელევიზიით, პრეზიდენტს ჩამოართვა მწერალმა გურამ პეტრიაშვილმა.

— ბატონო ზვიად, ერთ თქვენ ოპონენტს არ მოეწონა თქვენი ნათქვამი, რომ გზა ნამდვილი დამოუკიდებლობისაკენ უნდა დაიწყოს ეროვნული სულის, ეროვნული ხასიათის რესტავრაციით და ეროვნული სიამაყისა და ღირსების აღორძინებით.

ჩემთვის კი, როგორც ქართველი მოქალაქისათვის, სწორედ ისაა სასიხარულო, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენი ქვეყნის სათავეში მოვიდა თქვენნაირი კაცი, რომელსაც ეროვნული სულის რესტავრაცია მიაჩნია უპირველეს საზრუნავად. გვითხარით უფრო ვრცლად, თუ რატომ არის ეს უპირველესი ამოცანა.

— ზოგიერთ პოლიტიკანებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს გადარჩენისათვის საკმარისია კარგი პოლიტიკური პროგრამის შექმნა, კარგი ლოზუნგების წამოყენება, და კარგი მიტინგების და დემონსტრაციების მოწყობა.

ჩვენ არასოდეს არ ვთვლიდით ასე, ვინაიდან მიგვაჩნდა, რომ ადამიანის სულია, უპირველეს ყოვლისა, მთავარი. ჩვენი წინაპრებისათვის სული იყო მთავარი, სულიერი საწყისი. სწორედ სულის

აღორძინებით იწყება ყველა ჭეშმარიტი აღორძინება და არცერთ ერს არ გაუმარჯვია, ვისაც სწორედ სულიერი აღორძინებით არ დაუწყია და ეროვნული სულის რესტავრაციაზე, ეროვნული სულის აღორძინებაზე არ უფიქრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ რიგში სული ჩაკლა ჩვენში იმ ჯოჯოხეთურმა წყობამ, რომელიც ჩვენში ბატონობდა 70 წლის განმავლობაში. მისი ძირითადი მიზანი იყო სწორედ სულიერი საწყისის მოსპობა, ეროვნული სულის განადგურება და ადამიანების ქცევა ყოველგვარ სულიერებას მოკლებულ ბრბოდ, რომელსაც მხოლოდ მატერიალური მოთხოვნები ექნებოდა. აი, ეს იყო ყველაზე დიდ დანაშაული ავტორიტატული სისტემისა და სწორედ ამის წინააღმდეგ და სწორედ ამის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. მართალია პოლიტიკურად შეიცვალა წყობილება, მაგრამ სიღრმეში, ეს ყოველივე არ შეცვლილა. ამას ძალიან დიდი ბრძოლა, დიდი მუშაობა სჭირდება, რომ ეროვნული სული აღორძინდეს ჩვენს ქვეყანაში.

— წერილების წიგნში თქვენ პასუხობთ ერთ ოპონენტს იმის თაობაზე, რომ თურმე ვიღაც-ვიღაც უცხოელები ირონიულად იღიმებიან, როდესაც საქართველოს განსაკუთრებულ როლზე ან მისი კულტურის განსაკუთრებულ როლზე ვლაპარაკობთ.

— როგორც მოგეხსენებათ, კომუნისტური ტოტალიტარული წყობილება ებრძოდა ეროვნულ სულს ჩვენში. იგი ნერგავდა ეროვნულ ნიჰილიზმს. ცდილობდა არასრულფასოვნების კომპლექსი შეექმნა ქართველი კაცისთვის, არა მარტო ქართველი, არამედ ყველა ეროვნებისთვის და დაერწმუნებინა ისინი, რომ ყველანი, რუსი ერის გარდა, უმცროსი ერი ვართ, ნაკლებმნიშვნელოვანი ერები ვართ, ნაკლებმნიშვნელოვანი კულტურა გვაქვს და რომ ჩვენს კულტურას არაფერი თვითმყოფადი და უნიკალური არ გააჩნია. ზოგნი იმ ზომამდეც კი მიდიოდნენ, რომ საერთოდ ხაზს უსვამდნენ ყოველივე ქართულს, ეროვნულს. ეს იყო საშინელი ნიჰილიზმის ხანა. შეიძლება ეს ახალ თაობას არც ახსოვს. ამ ნიჰილიზმს ჰყავდა თავისი, ასე ვთქვათ, მესიტყვეები, რომლებიც მეთოდურად გეგმავდნენ ამ ნიჰილიზმს ჩვენს ახალგაზრდობაში და მიაღწიეს კიდეც. სხვათა შორის შედეგებს. ძალიან აგდებით საუბრობდნენ მაშინ ქართულ კულტურაზე, საქართველოზე, საქართველოს ისტორიაზე. ზოგიერთ ისტორიულ რომანში გაბიაბურებული იყო საქართველოს ისტორია. ჩვენი მეფეები, დე-

დოფლები პათოლოგიურ პიროვნებებად იყვნენ გამოყვანილი. ეს ყველაფერი შეგნებულად, მიზანმიართულად ხდებოდა, რათა ქართველ კაცში ჩაეკლათ ეროვნული სიამაყის სული. მოგეხსენებათ, რა დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მამაჩემს იმჟამად, მაგრამ მასაც კი უჭირდა ხმის ამოღება. პრესა მისთვის დახურული იყო. მითუმეტეს, ჩემთვის. მე მაშინ ახალგაზრდა ლიტერატორი ვიყავი, მაგრამ მაინც მოვახერხე, რომ გამეცა პასუხი. იმჟამად მე ვამბობდი, რომ ის ადამიანები, რომლებიც საუბრობენ რაღაც ირონიულ ჩაღიმებაზე უცხოელი სპეციალისტების მხრივ ქართული კულტურის ძეგლებზე ლაპარაკისას, როგორც ჩანს არ იცნობენ კარგად უცხოეთის ქართველოლოგების მიღწევას და არ იციან რაოდენ დიდი დაინტერესებაა უცხოეთში ქართული კულტურით, ან ამას შეგნებულად ჩქმალავენ-მეთქი.

ქართული კულტურის უნიკალობას ბევრმა დიდმა მეცნიერმა და შემოქმედმა მიაქცია ყურადღება. მსოფლიო ინტერესდებოდა საქართველოთი. თუმცა უშლიდნენ ხელს, ამუხრუჭებდნენ, მაგრამ შემდეგ დაიწყო სიმპოზიუმები, დაიწყო ადრეული ხუროთმოძღვრების სერიოზული შესწავლა და მსოფლიო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქართული კულტურა მართლაც უნიკალურია. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ასეთი რამ მსოფლიოში არავის გააჩნია და ამის მტკიცება ზედმეტიცაა, მაგრამ ქართული კულტურის ინდივიდუალური პროფილი უკვე გამოიკვეთა და ამაში უკვე თანხმდებიან სხვადასხვა ერების წარმომადგენლები, რომ ქართული კულტურა დიდი კულტურაა, დიდი მოვლენაა.

— თქვენ გიწერიათ, რომ შექსპირი იყო უდიდესი პატრიოტი. სხვათა შორის არცერთი სხვა მკვლევარის წიგნში მე ეს არ წამიკითხავს.

— ჩემი ზოგიერთი კოლეგა ივიწყებდა საერთოდ ქართულ კულტურას, ქართულ მწერლობას და ხდებოდა ან ანგლომანი, ან გერმანოფილი. მათ ეგონათ, რომ კარგი სპეციალისტობა ამა თუ იმ უცხოურ ენაში გულისხმობს შენი საკუთარი ლიტერატურის დავიწყებას. ჩემთვის გაუგებარია რით შეიძლება შექსპირის სიყვარულმა დაგავიწყოს ვაჟა-ფშაველა ან ბოდლერის სიყვარულმა დაგავიწყოს გალაკტიონი. მე ყოველთვის ვებრძოდი ამას, მქონდა პოლემიკა ჩემს კოლეგებთან—არასოდეს არ ვეთანხმებოდი.

შექსპირზე რომ ბრძანეთ, სწორედ ამაშია ამ დიდი გენიის საოცრება, რომ აი იმ ზეეროვნულობას, ათავსებდა საოცარ პატრი-

ოტიზმთან, მე ვიტყოდი ნაციონალიზმთან, რაც ჩანს მის ისტორიულ ქრონიკებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე, რომ თქმა იმისა, რომ ყველა გენიოსი იყო ზეეროვნული მხოლოდ და კოსმოპოლიტი და არავითარი კავშირი ეროვნულ ფესვებთან არ ჰქონდა, ეს უმეცრებაა. პირიქით... შექსპირზე მოგახსენეთ, ასევე დანტეც, უდიდესი ნაციონალისტი იყო, მიუხედავად თავისი კოსმიური ზეეროვნულობისა.

— თქვენ ერთ წერილში ამბობთ, რომ ლოსევი, რომელიც იყო ნამდვილი რუსი და ჭეშმარიტი ქრისტიანი, ხედავდა საქართველოს კულტურის უნიკალურობას. ხოლო იმპერიული პლებეური რუსეთი ამას ვერ ხედავდა.

ოპონენტები ხშირად გაბრალებენ ნაციონალიზმს. ვფიქრობ, რომ ნაციონალიზმი არაფერ შუაშია. თქვენ პლებეი არ მოგწონთ, რუსი იქნება ის თუ სხვა ერის შვილი. ხოლო ლოსევისნაირი კაცი რუსი იქნება ის თუ გერმანელი, თქვენთვის მახლობელია.

რას ფიქრობთ ბავშვის აღზრდის თაობაზე ოჯახსა და სკოლაში. რას იტყვით ბატონ კონსტანტინეზე, როგორც ბავშვის აღმზრდელზე?

— რაც შეეხება ბავშვის აღზრდას, ეს არის ყველაზე უმძიმესი, ურთულესი პრობლემა, რომელიც ჩვენს წინაშე არის ამ უკიდურესად გართულებულ ეპოქაში, რომელმაც წიგნი დაავიწყა ადამიანს. სამწუხაროდ, ჩვენი ბავშვები მიუსხდნენ ეკრანებს და არავინ არ ზრუნავს იმაზე, რომ წიგნი შეახსენოს, წიგნთან მოაბრუნოს. ყველა მანკიერება, რაც ჩვენს მოზარდ თაობაშია გავრცელებული, იმის შედეგია, რომ წიგნს მოწყდა ჩვენი მოზარდი თაობა, და სხვა წყაროთი ღებულობს ვითომცდა სულიერ საზრდოს, რომელიც, სინამდვილეში სულიერი საზრდო კი არ არის, ეს არის მე ვიტყოდი დამღუპველი რამ.

მეორე. რელიგიური აღზრდის პრობლემა. კომუნისტური ლოზუნგი—გავთიშოთ სკოლა ეკლესიისგან—ეს ნიშნავს ახალგაზრდობის დაღუპვას. სკოლა და ეკლესია უნდა შეერთდნენ, სკოლა და ეკლესია უნდა დაუკავშირდნენ მჭიდროდ, თუ ჩვენ გვინდა, რომ აღზრდა ისევ დავაყენოთ სწორ გზაზე. ეს ყველა პედაგოგიური მეცნიერების მესვეურის კონცეფცია იყო. რელიგიის გარეშე არ არსებობს არავითარი აღზრდა, ის აღზრდა, რომელიც არ ექვემდებარება რელიგიას, ერს დაღუპვას უქადის. ეს უნდა იყოს ძირითადი კონცეფცია, როდესაც საუბარია ბავშვის აღზრდაზე, სწავლაგანათლებაზე.

მიუხედავად იმ საშინელი ეპოქისა, ეკლესიისკენ გახედვაც რომ შეშინოდათ ადამიანებს, მითუმეტეს მწერლებს, მამაჩემი ცდილობდა, რომ მე მცოდნოდა ბიბლია, მცოდნოდა სახარება. დედაჩემი განსაკუთრებით მიწყობდა ამაში ხელს — ის უაღრესად მორწმუნე ადამიანი იყო.

მამაჩემის წყალობით ბიბლია იყო ძირითადი წიგნი ჩემს ცხოვრებაში—არა მარტო ბიბლიური, არამედ ფილოლოგიური თვალდაზრისით. ფილოლოგიური მუშაობა ბიბლიაზე სწორედ ადრეულ ასაკში დავიწყე. ძნელი იყო მორევა ძველი ქართული ენისა. მაგრამ მე მაშინ „ვეფხისტყაოსანს" და „ვისრამიანს" ვეუფლებოდი და ამან შედარებით გამიადვილა. შემდეგ, როდესაც უცხო ენასაც დავეუფლე, ვადარებდი თარგმანებს და დღემდე ვადარებ. ეს არის ძირითადი—დავუბრუნოთ ჩვენს ბავშვებს წიგნი, დავუბრუნოთ ბიბლია, დავუბრუნოთ რელიგიური აღზრდა.

— ბატონო ზვიად, ცნობილი, რომ თქვენ შესანიშნავად იცით რამდენიმე უცხო ენა. ამასთანავე იკვლევთ ქართული ენის საკითხებს. შედარებისას უკვე წარმოჩინდება ხოლმე საგანი. გვითხარით ქართული ენის თაობაზე.

— ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ ქართული ენით შეიძლება გადმოცემა ყველა ნიუანსისა. ყოველგვარი აზრის, ყოველგვარი ემოციისა. არაფერია ისეთი მზისქვეშეთში, რომლის გადმოცემაც არ შეიძლებოდეს ქართული ენით. ნიკო მარი ქართულს უნივერსალურ ენად თვლიდა და უფრო შორსაც მიდიოდა. მას ჰქონდა თეორია პროტოქართულის შესახებ. რომ შეითავსებს უკიდურესობებს. არის ენა მსოფლიო ენებისა. აი, ასეთი გახლავთ ქართული ენა. მე ვიტყოდი ქართული ენის თვისებები, მსოფლიოსთვის შეუსწავლელია. ის არის პოეტების ენა, პოეტური მეტყველებისთვის გაჩენილი და მაღალი სულის გადმოსაცემი ენა, და მეორეს მხრივ, უაღრესად პრაქტიკული, უაღრესად მოსახერხებელი. ამ ენის უნივერსალურობა სწორედ ამაშია, რომ შეითავსებს უკიდურესობებს. რის ენები, რომლებიც უფრო განყენებულისთვის და უფრო ამაღლებულისთვის არის შექმნილი. არის ენები, რომლებიც უფრო ამქვეყნიური და პრაგმატული გამოყენებისთვის არსებობენ. ქართული ენა ყოველივე ამას შეიცავს. მასში სულიერება იმდენადვეა რამდენადაც ამქვეყნიური.

— ბატონო ზვიად, ეს კითხვა მე იმიტომ დაგისვით, რომ ეროვნული ნიჰილიზმი, რომლის ჩანერგვასაც ცდილობდა იმპერია ქართველებში, სამწუხაროდ გარკვეულ ფენებს ახასიათებს. განა არის რომელიმე ენა,

რომელიც აღემატება ქართულს?

— ვინც ამგვარი ნიჰილიზმითაა შეპყრობილი, მან უბრალოდ არ იცის ქართული ენა. სხვათა შორის, საბა ბრძანებს ერთ ადგილას: მე სხვა ენა არ ვიცოდი ქართულის გარდაო. საბამ ბრწყინვალედ იცოდა სხვა ენები, მაგრამ ის რასაც ჩვენ ენის ცოდნას ვუწოდებთ, საბასთვის არ იყო ნამდვილი ცოდნა.

ბევრ ქართველს შეუძლია თქვას, რომ მან არც ერთი ენა არ იცის. აი, ასეთი ადამიანები ხშირად ნიჰილიზმით საუბრობენ ქართულ ენაზე.

ერთ ჩემს კოლეგას დისერტაციის დაცვის დროს ჰკითხეს, ქართული ბიბლია რატომ არ გამოიყენეთო. სამწუხაროდ, არა მაქვს წაკითხული ქართული ბიბლიაო. ეს ადამიანი შემდეგ ნიჰილიზმს ავითარებდა ქართულ ენაზეც და ლიტერატურაზეც. აგდებით საუბრობდა ქართულ ენაზე, იმის გამო, რომ ქართული ენა არ იცოდა და ბუნებრივია, ქართული მწერლობის მადლიც არ ჰქონდა შეგრძნებული. ვინაიდან, თუ ქართული ენა არ იცი, ქართულ მწერლობასაც ვერ ეზიარები. აი, ასეთი ადამიანებისაგან მომდინარეობს ეს ნიჰილიზმი.

არც ერთ მსოფლიო ენას ქართული ენა რა ჩამოუვარდება. ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ, ეს მრავალი სპეციალისტის აზრია, და არა მარტო ქართველი სპეციალისტისა. — თვით რუსი მეცნიერიც აკადემიკოსი ლოსევიც ლაპარაკობდა ქართული ენის მსოფლიო როლზე. ასე, რომ ვინც ღრმად ჩასწვდება ქართულ ენას, მისთვის ნათელია ამ ენის დიდ მნიშვნელობა.

— ბატონო ზვიად, მე მინახავს ფოტო, რომელზედაც თქვენ სანადირო თოფიანი ხართ გადაღებული. მონადირეები ის ხალხია, ვისაც მშობლიურ მიწაზე სიარული უყვარს...

— მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ მამაჩემი იყო დიდი მოყვარული ნადირობისა. მას ნადირობა კი არ აინტერესებდა, საქართველო უყვარდა. აი, ამ საქართველოს სიყვარულით, ქართველი კაცის სიყვარულით დადიოდა. ნადირობით ეზიარებოდა ყოველივე ამას. ჩემშიც ეს იყო გადამწყვეტი. მერაბიც დიდი მოყვარული იყო ამისა. ხშირად ვნადირობდით, ვთევზაობდით, იმიტომ, რომ ქვეყანა გვენახა, შევხვედროდით ხალხს, ძირითადი ეს იყო.

მაგრამ შემდეგ, როცა ასაკში შევედი, სამწუხაროდ აღარ მეცალა ამისთვის. მაგრამ კარგად გამახსენდება, ბევრი რამ მომცა ამ ამბავმა. არც ის არის დასამალი, რომ მებრალებოდა ნადირი და ფრინველი.

მამაჩემმაც ამიტომაც მიატოვა ნადირობა და მეც ამიტომ მივატოვე.

— ბატონო ზვიად, ღმერთს უნდოდა, რომ თქვენ და მერაბ კოსტავას არა მარტო იმპერიასთან საბრძოლველად აგეყოლიებინათ ერი, არამედ ქართული სულის ასალორძინებლად ერთი დიდი საქმეც აღგესრულებინათ და ყველასათვის დასანახი მაგალითი ყოფილიყავით ჭეშმარიტი მეგობრობისა. გვითხარით მერაბზე.

— მთელი ჩემი ბრძოლა, მთელი ჩემი საქმინობა, ამ ასპარეზზე, დაკავშირებულია მერაბ კოსტავასთან. მე ხმამაღლა ვაცხადებ ამას. ეს ყოველივე წარმოუდგენელი იქნებოდა მერაბი რომ არ ყოფილიყო. ის უნიკალური, საოცარი პიროვნება იყო. საოცარი სულიერი ძალის, საოცარი ნებისყოფის ადამიანი და საოცარი თავდადებისა მამულისათვის. უწინარეს ყოვლისა ის იყო უდიდესი მაგალითი ჩემთვის. პრაქტიკულად მე თუ რამ გამიკეთებია, მერაბის დახმარებით და მერაბთან ერთად. მარტო არასოდეს ჩემ თავს არ გამოვყოფ და ვამაყობ ამით. ისიც ასე ამბობდა. და მიუხედავად იმისა რომ, მთელი იმპერიის აგენტურის მუშაობა მიმართული იყო იქით, რომ ჩემი და მერაბის სულირი დაპირისპირება და გათიშვა მომხდარიყო მათ ამას მაინც ვერ მიაღწიეს. მიაღწიეს მხოლოდ ფიზიკურად.

— ბატონო ზვიად, „ვეფხისტყაოსანზე" საუბრის ბოლოში, თქვენ ამბობთ, რომ უფრო კარგად მსოფლიოს არც ერთ შედევრში მეგობრობაზე არაა ლაპარაკი, ვიდრე „ვეფხვისტყაოსანში" და ამიტომაა ის მსოფლიო კლასიკის გვირგვინი ეს მეცნო და ამაში გამოსჭვივის სწორედ თქვენი და მერაბის მეგობრობა.

მსოფლიო ლიტერატურაში ვიცნობთ იმ პერიოდის რაინდულ ნაწარმეობებს, რაინდულ რომანებს, მოთხრობებს, ყველგან არის თემა ქალისადმი სიყვარულისა, მაგრამ მეგობრობის თემა ისე როგორც „ვეფხისტყაოსანშია" არსად არის. მეგობრობის გრძნობა და მეგობრობის პარაქსისი, ისე როგორც ეს ქართველ ერშია, არცერთ ერში არ არის. მე წინააღმდეგი ვარ რაღაც ულტრა, თავზეხელაღებული ნაციონალიზმისა და რაღაც ასეთი მოვლენებისა, მაგრამ არ შეიძლება რა აღინიშნოს, რომ არცერთ ერს არ შეუქმნია ისეთი წიგნი, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი". მეგობრობის ასეთი ჰიმნი არ მოუცია არც ერთ ლიტერატურას და როგორც ჩანს ეს ეროვნულ ხასიათთან არის დაკავშირებული.

— თქვენი ერთი ლექცია, რომელიც წაკითხულ იქნა ქუთაისში, ლ.

მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში, ასე იწყება: „ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი წინაპრები თვით უკიდურესი პოლიტიკური ვნებათაღელვის დროსაც არ ივიწყებდნენ მეცნიერებას, პოეზიას, შემეცნებას, ჩვენ რომ დღეს თავი იმით ვიმართლოთ, პოლიტიკურ ბრძოლაში ვართ ჩაბმულნი და მეცნიერებისა და კულტურისათვის არ გვცალიაო, ამით ჩვენს ისტორიულ ტრადიციებს ვუღალატებთ ჭეშმარიტად“

— ამ თვალსაზრისით უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემთვის იდეალი იყო და არის აღმაშენებელი იმ გაგებით, რომ დავითი ომშიც კი დადიოდა წიგნებით, თვით უსასტიკეს, უკიდურეს ომშიც. ყოველთვის მოჰყვებოდნენ წიგნისმტვირთველნი. საფარში მჯდარიც კი ამუშავებდა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებას. ერთხელ კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს თურქებმა. საფარში შეუვარდნენ, როცა გართული იყო ამ თეოლოგიური თხზულების დამუშავებით. ეს უნდა იყოს ჩვენთვის მაგალითი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გაველურდებით, აღარ ვიქნებით ცივილიზებულნი. იმპერია ყველანაირად ცდილობს, რომ ჩვენ ჩაგვაბას ომში. ჩაგვაბას ისეთ ცხოვრებაში, რომელიც მოწყვეტილია სულიერებასაც, განათლებასაც, კულტურასაც, ველურ ერად გვაქციოს. არა მარტო ჩვენ, არამედ ყველა დაპყრობილი ერი. ეს არის ლიბანიზაციის არსი, რომ ერები შეაჯახონ ერთმანეთს, და დაავიწყონ ყველაფერი, გარდა ეთნიური შულლისა, არსებობისათვის ბრძოლისა. ეს არის იმპერიის მიზანი და ჩვენ ეს არ უნდა დავანებოთ. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი სულიერი კულტურა, ჩვენი აზროვნება, ჩვენი მეცნიერება. ეს ყოველივე უნდა შევათავსოთ პოლიტიკურ, და სხვა მოღვაწეობასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩვენს ტრადიციებს მოვწყდებით და სხვაგვარი ერი ვიქნებით. აღარ ვიქნებით ის ერი, რომელმაც შვა დავით აღმაშენებელი, რომელმაც შვა ვახტანგ VI და თამარ მეფე.

ძველი ქართველებისგან ჩვენ იმით განვსხვავდებით, რომ ძველი ქართველობა ეს იყო უაღრესად სულიერი მსოფლმხედველობის ერი. ამ იმპერიულმა მონობამ ჩვენში სწორედ ეს ჩაახშო და მატერიალურმა საწყისმა წამოიწია წინა პლანზე. ამ პატარა ქვეყანაში 20 ათასი ეკლესია შემორჩა და გაცილებით მეტი იყო. სულით ცხოვრობა, სული იყო პირველი. თანამედროვე ეპოქის მიერ მოტანილი მატერიალიზმი უნდა დაიძლიოს და სულიერება უნდა აღსდგეს და ის სერიოზული დამოკიდებულება რელიგიისადმი, რომელიც სამწუხ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აროდ დღეს ჯერ მაინც არ არის. თუმცა რასაკვირველია დიდი შემობრუნებაა რელიგიისკენ.

აუცილებელია ძალიან სერიოზული დამოკიდებულება რელიგიისადმი.

აი, ეს არის ჩვენი გადრჩენის ერთ-ერთი უმთავრესი საწინდარი.

გაზ: „შანსი", 25 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

მიმართვა
აფხაზეთის ასსრ მოსახლეობას

ძვირფასო თანამემამულენო!

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე შემზარავი საბჭოთა იმპერია სწრაფი ტემპით იშლება. მოახლოვდა ყოფილი „მოკავშირე" რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოსგანთავისუფლებისა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვების ჟამი.

1990 წლის 28 ოქტომბრიდან, შემდეგ კი 1991 წლის 31 მარტიდან ქართველმა ხალხმა, რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი არაქართველი მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყო მაღალი პოლიტიკური შეგნება, ერთიანობა, თავისუფლებისაკენ სწრაფვის საერთო ნება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი სეპარატისტებისა და „ინტერფრონტელების" ცენტრალური პოზიციის მიუხედავად აფხაზეთის მცხოვრებლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს 1990 წლის 28 ოქტომბრის, შემდეგ კი მიმდინარე წლის 31 მარტის ისტორიულ გამარჯვებაში, როცა ავტონომიური მოსახლეობის 60 პროცენტმა ხმა მისცა თავისუფალ საქართველოს.

9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, დაემყარა რა რეფერენდუმის შედეგებს, მიიღი აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ და პრეზიდენტის არჩევნები დანიშნა 1991 წლის 26 მაისისათვის, რომლის წარმატებული მოწყობა კიდევ ერთ საგრძნობ დარტყმას მიაყენებს ძირმომპალ იმპერიას. სწორედ ამიტომაც იმპერიულმა ცენტრმაც გააქტიურა თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობა საქართველოს და მისი საყოველთაოდ

ალიარებული ლიდერის ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ, რისთვისაც, ეგი ყველაზე ბინძურ მეთოდებს იყენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება მიიყრო ე.წ. ბლოკის „სოიუზის" განცხადებამ, რომელიც აერთიანებს აფხაზეთის სხვადასხვა ჯგურის საზოგადოებრივპოლიტიკურ ორგანიზაციებს. კავშირი—ეს ერთგვარი „ეროვნული ხსნის კომიტეტი", მოწოდებულია თავგამოდებით დაიცვას ბოროტების იმპერიის დანაშაულებრივი ინტერესები, იმპერიისა, რომელიც სულს ღაფავს, და მთელი ძალებით იბრძოლოს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ესენი არიან ჟირინოვსკისა და მისთა მსგავსთა ყაიდის თანამედროვე შავრაზმელთა თანამოაზრენი, რომლებიც მაღალი ტრიბუნიდან და ტელევიზორის ეკრანიდან აშკარად მოუწოდებენ სისხლში ჩაახშონ ურჩი რესპუბლიკების და განსაკუთრებით საქართველოს და სომხეთის თავისუფლებისაკენ სწრაფვა.

უსაფუძვლოა განცხადების ავტორთა მტკიცება, თითქოს საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებს აშკარად არ შესწევთ უნარი აფხაზეთის მოსახლეობის პრობლემები გადაჭრან. ადამიანის უფლებების დეკლარაციისა და სხვა საერთაშორისო აქტების შესაბამისად. არ ვეხებით იმ საკითხებს, თუ როგორ ჭრიდნენ ამ პრობლემებს „გუშინ" საქართველოს კომუნისტი „ლიდერები", როგორი პატივისცემით ეკიდებოდა, ან ახლა როგორ სცემს პატივს კრემლი ადამიანის უფლებებს. და გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ახალი პარლამენტი და რესპუბლიკის პრეზიდენტი მოქმედებენ და კვლავაც იმოქმედებენ საერთაშორისო სამართლის პოზიციებიდან, რომელიც ხშირად საერთოდ ეწინააღმდეგება არაადამიანურ იმპერიულ სამართალს, რომელსაც ასე საგულდაგულოდ იცავს „კავშირი".

საქართველოს უზენაესი საბჭოს, რესპუბლიკის პრეზიდენტის—პრეზიდენტობის კანდიდატის პრაქტიკული საქმიანობა, მისი წინასაარჩევნო პროგრამა მთლიანად აქარწყლებს ცენტრის აგენტებისა და ლაქიების მონაჭორებს თითქოს უგულებელყოფილია „ადმინისტრაციულ, კულტურულ, ენობრივ, გვარტომებრივ და ფსიქოლოგიურ დარგში ხალხთა თვითგამორკვევის" უფლება. ასეთი ბრალდებები მხოლოდ ბინძური ცილისწამებაა.

„სოიუზი" ამაოდ ცდილობს არაქართველ მოსახლეობას საწინააღმდეგო შთაბეჭდილება შეუქმნას, დაუპირისპიროს იგი ქართველებს.

პროვოკაციული ხასიათისაა განცხადებების ის ადგილები, სადაც ლაპარაკია „საქართველოს, როგორც მეტროპოლიის და აფხაზეთის... "როგორც კოლონიის" ურთიერთობის გადასაწყვეტ საკითხებზე, ნაჩენენებია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეკლარაცია, დამოწმებულია საკავშირო რეფერენდუმის შედეგები და ა. შ.

განცხადებების ავტორები მოუწოდებენ ყველას, „ვინც დაინტერესებულია ორივე სახლში იყოს მშვიდობა, წესრიგი და დოვლათი", მონაწილეობა არ მიიღოს არჩევნებში. სამუდამოდ წავიდა ის დრო, როცა ხალხი იძულებული იყო „დაეჯერებინა ასეთი იდეებისა და აზრების ამ გენერატორებისათვის". თითოეულმა ჩვენგანმა ხომ კარგად იცის, რომ რუსეთის (შემდგომში საბჭოთა) იმპერიამ თავის არსებობის მრავალი საუკუნის განმავლობაში რუს ხალხსაც კი ვერ შეუქმნა მშვიდობა, წესრიგი, მითუმეტეს, დოვლათი. მან ბევრ ხალხს მხოლოდ მონობა, ეკონომიური და სულიერი სიღატაკე, ეროვნებათშორისი შუღლი, ზღვა სისხლი და ცრემლი მოუტანა.

ჩვენ მოვუწოდებთ, აფხაზეთის მოსახლეობას, რომლის უმრავლესობა ყოველთვის ჩვენთან იყო, 1991 წლის 26 მაისს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენს ცხოვრებაში, პრეზიდენტის პირველ დემოკრატიულ არჩევნებში და ხმა მისცეს დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას, საქართველოს პოლიტიკურ სტაბილურობას და ტერიტორიულ მთლიანობას, მის ეკონომიკურ და სულიერ აყვავებას, ხალხთა თანასწორუფლებიანობას, ადამიანის უფლებათა განუხრელ დაცვას, ანუ—ზვიად გამსახურდიას.

პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდის" ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია;

საქართველოს ჰელსინკის კავშირი — ეროვნული აღორძინების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ირგანიზაცია;

სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია;

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია;

საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის ცხუმის განყოფილება;

სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი".

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 25 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ირაკლი კაკაბაძე–რამდენიმე მოსაზრება და ფაქტი საქართველოს შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წერილის ავტორი უკვე 6 თვეა, რაც ჩამოშორებულია საქართველოს და აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას. ამ გარემოებას ორი მხარე აქვს. პირველი ის, რომ მიმდინარე მოვლენებს ათასობით კილომეტრით მოწყვეტილმა შეუძლებელია იქონიო ამომწურავი ცოდნა მათ შესახებ და მერეც ის, რომ ეს იძლევა საშუალებას ტენდენციურობის გარეშე შეაფასო საქართველოში შექმნილი სიტუაცია დაუინტერესებელი დამკვირვებლის პოზიციიდან. ამ შემთხვევაში დაუინტერესებელში ვგულისხმობ პარტიული და შიდა პოლიტიკური ვნებებისაგან დროებით განთავისუფლებას და არა სამშობლოს დავიწყებას და საკუთარ ობივატელურ ნაჭუჭში ჩაკეტვას.

აქ ყოფნისას, მე მომეცა საშუალება გავცნობოდი ქართულ პრესას, რომელიც მიმოიხილავს ახლანდელ პოლიტიკურ მოვლენებს და შევხვედროდი საქართველოდან ჩამოსულ მრავალ ადამიანს. ამ წერილში შევეცდები გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება და მოსაზრებები რამდენიმე ძირეულ საკითხზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ნამდვილად უსისხლო გადატრიალება მოხდა, დაეცა კომუნისტური რეჟიმი და საქართველომ გაბედული ნაბიჯები გააკეთა დამოუკიდებლობისაკენ. გვინდა თუ არ გვინდა, აუცილებლად უნდა გავიაზროთ ის, რომ ახალმა პარლამენტმა, მიუხედავად მრავალი სადავო საკითხისა, უმთავრესად პოზიტიური ცვლილებები მოახდინა და საკმაოდ წასწია წინ ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმე. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ საქართველოს კანონიერი მოსახლეობის დაახლოებით 90-მა პროცენტმა ხმა მისცა დამოუკიდებლობას. ქართველი ერი ერთსულოვანია საკუთარ არჩევნებში: მან ერთიანად უარყო მონური არსებობა და თავისუფალ ცხოვრებაზე აიღო ორიენტაცია.

მე მშვენივრად მესმის მათი, ვინც კონსტრუქციული პოზიციებიდან აკრიტიკებს ახალ მთავრობას. აზრთა სხვადასხვაობის გარეშე არ არსებობს დემოკრატია. თუ კი რეალისტები ვართ, იმასაც უნდა ვხვდებოდეთ, რომ არ არსებობს უნაკლო რეჟიმი, თუ მთავრობა, მით

უმეტეს, რომ ჩვენ ახლა საქმე გვაქვს ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახლა დაბადებასთან, მშობიარობა კი უმტკივნეულო პროცესი როდია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა დღეს ჩვენ შორს ვართ იდეალური სახელმწიფო სტრუქტურებისაგან და ნამდვილი დემოკრატიისაგან. მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ბუნებრივი პროცესია. ამას თავისი სიღრმისეული მიზეზები აქვს, რომელთა გაუთვალისწინებლობაც უბრალოდ არ შეიძლება. პირველი მიზეზი ის არის, რომ საქართველო დღეს ფაქტიურად ომის მდგომარეობაშია, თანაც ისეთი ომისა, რომელიც დღეს გარედან მოახვიეს თავს. ნურავის ეგონება, რომ ამერიკა ან რომელიმე დემოკრატიული ქვეყანა თავისი არსებობის დასაწყისში გადაურჩა ქაოსს, განუკითხაობასა და ურთიერთქიშპს.

მოვიყვან ერთ საინტერესო მაგალითს, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია ძალაში 1777 წლის 4 ივლისს შევიდა და ქვეყანა ფაქტიურად განთავისუფლდა დამპყრობლისაგან. თანაც ისეთი დამპყრობლისაგან, რომელსაც უკიდეგანო ოკეანე აშორებდა. მიუხედავ იმისა, რომ იმ დროს კონსტიტუციურ კომისიაში არჩეულ იყვნენ ისეთი დიდი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორც ბენჯამინ ფრანკლინი, თომას ჯეფერსონი, კეიმზ მედისონი და სხვებია, სახელმწიფოებრივმა კრიზისმა სულ ცოტა 12 წელს მაინც გასტანა. ერთიანი ფედერალური კონსტიტუცია მიღებულ იქნა მხოლოდ 1789 წლის 4 მარტს, ამის მიზეზები მრავლად იყო. უპირველეს ყოვლისა კი ახლად განთავისუფლებული (ან ნახევრად განთავისუფლებული, რადგან ბრიტანეთის ჯარები 1783 წლამდე ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ ამერიკის ტერიტორიაზე) სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილების სეპარატისტული მიდრეკილებები. 13 შტატიდან ოთხი განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას უწევდა ერთიანი სახელმწიფოს შექმნას. ეს ოთხი შტატი ბოლომდე წინ ედგა კონსტიტუციის რატიფიკაციას. რომ არა ჯორჯ ვაშინგტონის დიდ ავტორიტეტი ვირჯინიაში და ჰამილტონის, მედისონის და ჯეის გამჭრიახული პოლიტიკა ნიუორკში, ალბათამერიკა ვერც გაერთიანდებოდა. საქმე ის არის, რომ ამერიკის კონსტიტუცია და სხვა საკონონმდებლო აქტები დასაბამიდანვე უაღრესად დემოკრატიული იყვნენ. მაგრამ გამოიძებნა მრავალი ისეთი, რომელმაც ეს დემოკრატია ზედმეტ უფლებად მიიღო. ეს ეხება არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ, ზოგ შემთხვევაში მთელი შტა-

ტის ლეგისტატურასაც. ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი–ჯორჯ ვაშინგტონი სწორედ პრაქტიკული პოლიტიკური ალღოთი დაჯილდოებული კაცი იყო. გარდა მშვენიერი თეორიული დებულებებისა, მას შეეძლო განეხორციელებინა ახლად წარმოქმნილი ქვეყნის სრული დეკოლონიზაცია და მისი გაერთიანება ერთი დროშის ქვეშ. სწორედ მისი წყალობით ქაოსსა და არეულობას ბოლო მოეღო, ფედერალურმა მთავრობამ საკუთარი ფუნქცია შეიძინა და შეწყდა ცალკეულ შტატებს შორის დაპირისპირება. ის, რაც ვერ შეძლეს დიდმა თეორეტიკოსებმა, შეძლო დიდმა პრაქტიკოსმა. თუმცა ვერავინ ვერ იტყვის იმას, რომ ჯეფერსონის მიერ შექმნილი კონსტიტუცია ან მედისონის მიერ ჩამატებული „ბილი უფლებების შესახებ" ამ ქვეყნის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენები არაა, ანდა ბენჯამინ ფრანკლინის წარმოთქმული სიტყვები პოლიტიკური ხელოვნების ნიმუშს არ წარმოადგენდეს.

ამით იმის თქმა მინდა, რომ აუცილებელია თეორიისა და პრაქტიკის გონივრული შერწყმა. მით უმეტეს გარდამავალ პერიოდში, როდესაც ჩვენ ქვეყანას გაცხადებული აქვს საკუთარი ნება დამოუკიდებლობისაკენ და ფაქტიურად განმათავისუფლებელ ომს ეწევა მსოფლიოს ბოლო იმპერიის წინააღმდეგ. თუნდაც პარალელების მაგალითზე ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ თავისუფლება თავისით არ მოდის, როგორც ვილაცვილაცეებს ჰგონიათ. მონობიდან გამოსვლა და ნამდვილი ცხოვრების დაწყება ყოველთვის გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს ჩვენგან. მაგრამ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ სულიერ სიკვდილს და მონობასთან შეგუებას ათასჯერ ჯობს ფიზიკური სიკვდილი.

მეორე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩვენი პრობლემებისა არის 200 წლის მანძილზე ერის ფსიქოლოგიური განწყობა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბოლო ორო საუკუნის განმავლობაში ჩვენ გადაგვაჩვიეს სრულფასოვან შრომას, თავისუფლად აზროვნებას, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას. რუსეთის იმპერიის მიზანი ქართველი ხალხის საბოლოო დაჩაჩანაკება იყო და, გულახდილად რომ ვთქვათ, ნაწილობრივ მიღწიეს კიდეც მას. ბედნიერება ის არის, რომ ჩვენი განადგურება ვერ შეძლო ვერავინ, თუმცა ბევრი კი ცდილობდა ამას. მე კარგად მესმის ჩვენთვის დამახასიათებელი მაქსიმალიზმი, ის, რომ გვინდა უცებ გავთავისუფლდეთ და რამდენიმე წელიწადში ხალხის სცხოვრების დონითა თუ საზოგადოებრივი ცნო-

ბიერებით ამერიკის შეერთებულ შტატებს ან უკიდურეს შემთხვევაში დასავლეთ ევროპის რომელიმე ძლიერ სახელმწიფოს გავუტოლდეთ. ეს ძალიან ლამაზი ოცნებაა. მაგრამ რეალისტები რომ ვყოთ, დღეს ჩვენ საკმაოდ შორს ვართ ამ კონდიციისაგან. იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ ჩვენ ვერ მივაღწევთ ძლიერ სახელმწიფოებრიობას. მე ამისი მჯერა და ამის იმედით ვცოცხლობ. მაგრამ ამ მიზნისათვის აუცილებელია თავაუღებელი შრომა ყოველი ჩვენთაგანისა, ახალგაზრდობის მომზადება მსოფლიოს საუკეთესო საგანმანათლებლო ცენტრებში. (რა თქმა უნდა მე ვგულისხმობ პრაქტიკულ მეცნიერებებს, ისეთებს, როგორიცაა საერთაშორისო ეკონომიკის საფუძვლები და ა.შ. ხელოვნებასა და ფილოსოფიაში ჩვენ სულაც არ ვდგავართ ამერიკაზე დაბლა), უფლებებთან ერთად ყველა მოქალაქის მიერ საკუთარი მოვალეობის შეგრძნება და ამავე დროს სახელმწიფოებრივი სისტემის ფუნდამენტური შეცვლადახვეწა. თავისთავად სისტემის ცვლილება ნელნელა დაუბრუნებს ქართველ ერს პასუხისმგებლობის გრძნობასა და შრომისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, მაგრამ ამას გარკვეული პერიოდი სჭირდება. ამ პერიოდში საჭიროა ყველამ ნათლად შეიგრძნოს საკუთარი როლი სამშობლოს წინაშე. დღეს ხომ ყოველი ქართველი ისტორიაში შევა თავისი განსაკუთრებული ადგილით, რადგან ახლა ჩვენ ვიმყოფებით ისტორიულ რუბიკონზე. სულაც არ არის აუცილებელი ყველამ ლიდერად წარმოიდგინოს თავი. საჭიროა მოვალეობის გრძნობა და ბედნიერების განცდა, ლიდერებს კი სახალხო არჩევნები გამოავლენს—სახალხო არჩევნები ხელისუფლების ყველა სტრუქტურაში სწორედ ეს არის დემოკრატია.

ასე რომ, ახლად არჩეული პარლამენტი, ჩემი აზრით, თავის ძირითად ფუნქციას კარგად ასრულებს. რა თქმა უნდა, არის გარკვეული შეცდომებიც, რომლებიც ალბათ გარდაუვალია ამ დროს, მთავარი ჩვენთვის ის უნდა იყოს, რომ საქართველო ნელნელა ადგილს იკავებს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე და მტკნარი ტყუილია ის, თითქოს დასავლეთს და შეერთებულ შტატებს არ სურდეთ დამოუკიდებელ საქართველოსთან ურთიერთობა. ასეთი მოსაზრებები შეგნებულად ვრცელდება, რათა ქართველებს იმედი დაუხშონ და ისინი ისევ რუსეთის მოკავშირეობის უღელში შეაბან.

ჩემი აქ ყოფნის მანძილზე დავრწმუნდი, რომ საქართველოს მიმართ ამერიკის წამყვან პოლიტიკურ წრეებში დიდ პატივისცემითა და სიყ-

ვარულით არის განწყობილი, უბრალოდ საქართველოსთვის სახელის გატეხას ცდილობენ მოსკოვის საინფორმაციო საშუალებები. ექსპრესესქრონიკის მაგვარი ვითომდაც დემოკრატიული გამოცემები და, რაც ყველაზე უცნაურია, თვითონ ქართველებიც. განსაკუთრებით ბეჯითად ირჯებოდნენ აქამდე ძმები გუდავები. მე არ მინდა მათს პიროვნებაზე ვილაპარაკო, უბრალოდ რამდენიმე ფაქტს მოვიყვან.

1991 წლის 5 მარტს რუსულ ემიგრანტულ გაზეთში „ნოვოე რუსკოე სლოვო" გამოქვეყნდა თენგიზ გუდავას წერილი, რომელშიც საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის თითქოსდა ანალიზია, მაგრამ სინამდვილეში ეს არის მცდელობა საქართველოს არაკომუნისტური პარლამენტის და მთელი ქართველი ხალხის ლაფში ამოსვრისა. ღრმად პატივცემული თენგიზ გუდავა ამჟღავნებს ყველაფერთან ერთად ფილოსოფიის სრულ უცოდინარობას, როდესაც ერთ კონტექსტში განიხილავს ზვიად გამსახურდიას, ნიცშესა და შტაინერის მეცნიერულ ნაშრომებს, როგორც ფაშიზმის აპოლოგიას. როგორც ეტყობა, ძვირფას თენგიზს ნიცშესა და შტაინერის ასეთ შეფასებაში „შპარგალკად" მარქსიზმ-ლენინიზმის რომელიმე სახელმძღვანელო გამოადგა, თორემ სხვაგან აბა სად წაიკითხავდა ასეთ „სიბრძნეს". მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ავტორი შემდეგ წერს. თურმე ნუ იტყვით, გამსახურდია ქართული ფაშიზმის იდეოლოგია და მისი განმახორციელებელი „ქართველი საბჭოთა ხალხია" (პერიფრაზი ზუსტია. სწორედ ასეთ შეფასებას აძლევს სიტყვასიტყვით ეს „ადამიანის უფლებებისათვის ტანჯული" წერილის ავტორი საკუთარ ერს), და დასავლეთს ემუქრება საშიშროება საქართველოს განთავისუფლების შემთხვევაში ახალი ერაყი გაიჩინოს ახლო აღმოსავლეთში. თუ კი ფილოსოფიაში ბატონი თენგიზი ჩვენდა საბედნიეროდ მეტისმეტად ბრიყვის შთაბეჭდილებას ტოვებს, პოლიტიკაზე ამახ ვერაფრით ვერ იტყვი. მისი მოწოდება ამერიკის მთავრობისადმი, რომ როგორმე დაიგმოს და გაიკიცხოს საქართველოს არაკომუნისტური მთავრობა, სხვა არაფერია, თუ არა გამიზნული ვერაგობა სამშობლოს წინაშე. თენგიზ გუდავს მშვენივრად ესმის, რომ ერთადერთი ძლიერი შემაკავებელი ფაქტორი ქართველი ერის სრული გენოციდის წინააღმდეგ არის დემოკრატიული სამყაროს დაწოლა სსრ კავშირზე და ახალახალ კრედიტებზე უარის თქმა მსოფლიოს ბოლო იმპერიისათვის. თუკი შეერთებული შტატებისა და მისი დასავლელი

მეგობრების აზრი საქართველოზე ჩამოყალიბდა როგორც ფაშისტური ქვეყანაზე, რუსის ჯარს აღარაფერი დაუდგება წინ. მაგრამ, ეტყობა, ბატონი თენგიზი დარწმუნებულია, რომ მიუნჰენამდე საბჭოთა ტანკები ვერ ჩააღწევენ და თბილისში თუ გინდ ქვა-ქვაზე ნუ დაუტოვებიათ. აი ამ სულით არის გაჟღენთილი ეს სტატია, რომელიც საოცრად ჰგავს ფილიპე მახარაძისა თუ სერგო ორჯონიკიძის პუბლიცისტურ დემაგოგიებს ინტერნაციონალიზმის შესახებ.

ბატონ თენგიზ გუდავას მინდა შევახსენო, რომ ჩვენ ახლა იმ პატიმრის მდგომარეობაში ვართ, რომელიც უდანაშაულოდ დააპატიმრეს და გარეთ გამოსვლისათვის იბრძვის. ამ შემთხვევაში სულ ერთია ციხის შესასვლელს ზემოდან ნამგალი და ურო ეხატება, თუ ორთავიანი არწივი. ციხეში სერგოცა და ფილიპეც ისხდნენ თავის დროზე და არც ემიგრაცია ყოფილა უცხო ხილი მათთვის, მაგრამ საბოლოოდ მათ ერთი იმპერიის ადგილას უარესი შექმნეს. მე მგონი ქართველი ერის უმრავლესობა იმ აზრს გაიზიარებს, რომ საქართველოს აღარ სჭირდება დღეს ახალი სერგო ორჯონიკიძეები და ფილიპე მახარაძეები.

თავის უფროს ძმას გულმოდგინებაში არ ჩამორჩება „სსრკ დემოკრატიის ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი ნიუორკში ედუარდ გუდავა. ის ფრიად გულმოდგინედ ავრცელებს ამერიკის უკიდეგანო სივრცეში დეზინფორმაციას საქართველოს შესახებ. მისი პრესბიულეტენები იგზავნება ყველა სამთავრობო ორგანიზაციაში, ფონდში, პოლიტიკურ ინსტიტუტში და აგრეთვე ამ ქვეყნის ყველა გავლენიან გაზეთში. მე შემთხვევით ხელთ ჩამივარდა ერთ-ერთი ასეთი ბიულეტენი, რომელიც დათარიღებულია 1991 წლის 18 თებერვლით და სახელად ჰქვია „ ნ ტჰე შიტუატიონ ინ ეორგია", ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს თუ რა სახის ინფორმაციაა მოწოდებული ამ „ ნ ტჰე შიტუატიონ" უსტარში. უფროსი ძმისაგან განსხვავებით ედუარდ გუდავა ცდილობს თავი შეიკავოს საკუთარი ანალიზისაგან და მოყვანილი ფაქტების (რომელთაგანაც თითქმის არც ერთი არ შეესაბამება სიმართლეს) წყაროებად ასახელებს პოდრაბინეკის გაზეთსა და ირინა სარიშვილს თბილისში. ფაქტების ჩამოთვლას აღარ დავიწყებ, რადგანაც ნამდვილად ვიცი, რომ ამ პრესბიულეტენის ერთი ეგზემპლარი თბილისშიც არის, ასე რომ მისი გადათარგმნა და გამოქვეყნება, ჩემი აზრით, დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.

უბრალოდ მინდა აღვნიშნო ის, რომ ყველგან ხაზს უსვამს საქართველოს ახალი მთავრობის ანტიდასავლურ, ანტიდემოკრატიულ ორიენტაციას, აგრეთვე ბრალად სდებს გამსახურდიას და ძველ მთავრობას მკვლელობებში, რეპრესიებსა, ტერორიზმში. „პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდათავისუფალი საქართველო" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ის პოლიტიკური უფლებები, რომლებიც ხალხმა მიიღო პერესტროიკის შედეგად დაყვანილ იქნა ბრეჟნევის ეპოქის დონემდე" ეს მართლაც საინტერესო დასკვნაა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ გავერკვიე ვის ეკუთვნის იგი: თვით ედუარდ გუდავას თუ მის წყაროებს, ერთი რამ კი ცხადია –ამ აზრის პატრონი, ვინც არ უნდა იყოს იგი შორს ვერ წავა.

და კიდევ ერთი თავალნათლივი ფაქტი 28 ოქტომბრის „ვაშინგტონ პოსტში" მოთავსებულია– „ასოშეიტედ პრესის" კორესპონდენტის მიერ მოწოდებული სტატია, რომელიც მოგვითხრობ პოლიტიკური მკვლელობის მცდელობაზე საქართველოში. დაბეჭდილია გაშიშვლებული გია ჭანტურიას სურთი და მისი კომენტარი, სადაც შავით თეთრზე წერია: ჭანტურიამ მასზე თავდასხმაში ბრალი დასდო არაკომუნისტური პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდის" თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას, რომელიც მისი თქმით კომპარტიის დავალებას ასრულებდა. ამ შემთხვევაში კორესპონდენტს ვერაფერში ვერ დაადანაშაულებ: რაც უთხრეს, ის დაწერა. თურმე ნუ იტყვი, არჩევნებამდე ორი დღით ადრე საქართველოს პრეზიდენტმა კომუნისტების ბრძანებით ჭანტურიას მოკვლა სცადა და ამის მიუხედავად მაინც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა არჩევნებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი სისხლისმსმელი და ტირანია თავისი ბუნებით, ესეც არ ჰგავს გულუბრყვილობას.

გულახდილად რომ ვთქვა, ეს საგაზეთო სტრიპტიზი საკუთარი თვალით რომ არ მენახა, სხვის ნათქვამს პროვოკაციად ჩავთვლიდი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს გია ჭანტურიას ბევრ მოსაზრებას ძირშივე უმართებულოდ ვთვლიდი, იგი მაინც მართმადიდებელ ქრისტიანად მიმაჩნია.

ასე რომ, ყველაფერი ჩვენზე დამოკიდებული, სიძნელეების მიუხედავად დიდ პერსპექტივები გვაქვს წინ.

ასეა თუ ისე, ამერიკულ პრესასა და მთავრობას ვერაფრით ვერ გავამტყუნებთ იმაში, რაც მათი მოსკოველი და თბილისელი რესპო-

დენტების სინდისზეა. პირიქით საქართველოსადმი ინტერესი ამ ბოლო ხანებში საკმაოდ გაიზარდა. ამაში დიდ როლი შეასრულა ჩვენი საპარლამენტო დელეგაციის ჩამოსვლამ, აგრეთვე სენატორ ჯესი ჰელმსისა და კონგრესმენ რობერ მაკივენის უკომპრომისო პოზიციამ ლეგისლატურის უმაღლეს ორგანოში. ჩვენი დელეგაცია საკმაოდ მაღალ დონეზე მიიღეს ვაშინგტონში, შემდეგ სახელმწიფო მდივანი ჯიმ ბეიკერი მოსკოვში შეხვდა ზვიად გამსახურდიას და ბოლოს ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ახლანდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის დავალებით ჩამოვიდა საქართველოში სიტუაციის შესასწავლად. ვფიქრობ, რომ ეს მრავლისმეტყველი ფაქტებია, თუმცა მუშაობა ამ მხრივ აუცილებლად უნდა გაფართოვდეს.

თანამედროვე დასავლური სამყარო არამცთუ წინააღმდეგია, არამედ დაინტერესებულია თავისუფალ საქართველოსთან ურთიერთობით. უპირველეს ყოვლისა ამას განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა და საქართველოს ისტორიული მისია—იყოს ქრისტიანული და ცივილიზებული სამყაროს ფორპოსტი ახლო აღმოსავლეთში. თუ კი ყველაფერი ისე წავა, როგორც საჭიროა, დარწმუნებული ვარ შეერთებული შტატები, დასავლეთ ევროპა და ისრაელი დიდ დახმარებას აღმოუჩენენ თავიანთ ახალ მეგობარს.

ასე რომ, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. სიძნელეების მიუხედავად დიდი პერსპექტივები გვაქვს წინ, თუ კი მივაღწიეთ სრულ თავისუფლებასა და ნამდვილ ერთიანობას, ერთიანობა კი ხვევნაკოცნა არაა, ის უპირველეს ყოვლისა საქმეა.

ირაკლი კაკაბაძე

14 მაისი, 1991 წელი.

ნიუორკი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 25 მაისი, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * * *

ბიორგი ჭანტურიას ლია წერილი
დეპუტატ არჩილ მინდიაშვილს

სხვანაირად ვერ მოგმართავთ ბატონო არჩილ, რამეთუ თქვენს ქცევას არაფერი საერთო არა აქვს მღვდელობასთან (ნომოკანონზე რომ აღარ ვილაპარაკოთ).

ბევრჯერ ვიკავებდი თავს, გულით არ მსურდა შემოსილ კაცზე მსგავსი წერილის დაწერა, მაგრამ 11 მაისს თქვენმა სატელევიზიო გამოსვლამ საბოლოოდ დამარწმუნა რომ, თქვენი მხილება აუცილებელი იყო: აუცილებელი იყო თქვენი სამწყსოსათვის, რომელსაც თქვენ აბნევთ და ცოდვაში აგდებთ, აუცილებელი იყო მთელი ერისათვის, რომელიც კვირაში ერთხელ მაინც ისმენს თქვენს ქადაგებებს ტელევიზიით და აუცილებელი იყო პირადად თქვენთვის, რამეთუ ადრე წესიერ კაცად, პატიოსან მოძღვრად გიცნობდით და ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ ადამიანს, მით უმეტეს, შემოსილს, ეყოფა ძალა საკუთარ შეცდომებზე მაღლა დადგომის და პეტრეს ცრემლებით სულის განბანვის.

თქვენ, მღვდელი, „მრგვალი მაგიდის" პოზიციიდან უყურებთ საქართველოს, მაგრამ საქართველო ღვთის მადლით „მრგვალი მაგიდაზე" უფრო დიდია და დროა ყველა კერპთაყვანისმცემელმა გაიგოს ეს.

არ მოგვწონდა, მაგრამ ვითმენდით, როდესაც თქვენ ქაშვეთის ტაძარში ქადაგებისას უშვერი სიტყვებით ლანძღავდით ეროვნულ კონგრესს, ოპოზიციის ხელში ეროვნულ დროშას ჩვრად წარმოსახავდით და მრევლს ოპოზიციის მიტინგებზე სიარულს უკრძალავდით: აღსარებაში ცოდვასავით ათქმევინებდით.

ეროვნული კონგრესის თქვენ რა არ მოგწონთ? დავიჯერო ის, რომ ზოგი ჩვენგანი თეოდემოკრატიას ქადაგებს და მთელი კონგრესი კი მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის ზრუნავს? იქნებ ნომოკანონის პრინციპების დაცვისათვის ზრუნვას გვიწუნებთ, აკი, არც შეგრცხვათ და ძველმართლმადიდებლობა დამაბრალეთ.

21 მაისს გადაცემაში თქვენ მრავალი მომაკვდინებელი ცოდვა ჩამოთვალეთ (რასაც თქვენი ინტერპრეტაციით მიწისძვრა გამოუ-

წვევია საქართველოში) და ბოროტების ერთ-ერთ წყაროდ (ე.ი. მიწისძვრის მიზეზადაც) ოპოზიცია („ცრუ ოპოზიცია", როგორც თქვენ გაიმეორეთ თქვენი „რჩეულის" სიტყვები) დაასახელეთ (?!).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელი(?!) ხართ, მაგრამ მაინც შეგბედავთ—ღმერთის არ გწამთ? სამსჯავროსი არ გეშინიათ? რა თქმა უნდა მიწისძვრა, ისე როგორც სხვა მრავალი უბედურება, ჩვენი ცოდვების გამო მოგვივლინა უფალმა, მაგრამ მხოლოდ ერთი— ღვთის გმობა არის მიზეზი ჩვენი დღევანდელი უბედურების და ამ მთავარს შეგახსენებთ: ქართველმა ერმა მეოთხე საუკუნეში მიიღო ქრისტიანობა და მართლმადიდებლობის ერთგული იყო მარად, მაგრამ დღეს, მეოცე საუკუნის დასარულს, ჩვენი ხალხის გარკვეული ნაწილი კერპთაყვანისმცემლობას მოუბრუნდა და თქვენ, ბატონო არჩილ, ასევე როგორც მრავალ სხვას, დიდი „წვლილი" მიგიძღვით ამ საქმეში.

აკაკი ასათიანი ზვიად გამსახურდიას რომ წმინდა გიორგის უწოდებს, რატომ არ იღებთ „მეფეთა მამხილებელო" ხმას? პრესა და ტელევიზია, რომ ამ ახალი „მესიის", „ზეკაცის", „სულით წმინდასა" და „ქრისტესავით მშვენიერის განდიდებას ემსახურება, რატომ დუმხართ „ერეტიკოსთა შემმუსვრელო"? საოკუპაციო ჯარები და „ეროვნული ხელისუფლება" რომ გაერთიანებული ძალებით ანადგურებს პატრიოტულ გაერთიანება „მხედრიონს", თქვენ, ქრისტიანს, როგორ შეგიძლიათ მშვიდად ძილი? (აღარ არის „მხედრიონი", მაგრამ დანაშაულებათა რიცხვმა კი არ იკლო, არამედ იმატა, ხოლო ტელევიზიით ლამის ყოველდღე გვზაფრავენ ახალახალ დაკარგულთა შესახებ ცნობით). რეპრესიებს ვერ ხედავთ, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს ვერ ამჩნევთ, უზენაესი საბჭოს დეპუტატთა დიდი უმრავლესობის უწიგნურობა არაფერს არ გეუბნებათ, პრეფექტების მიერ რაიონებში სამოქალაქო ომის გაჩაღების მცდელობა არ გაღელვებთ, ნოდარ იმნაძე რა ვითარებაში დაიღუპა და ვინ არის მის სიკვდილში დამნაშავე, არც ეს გაინტრესებთ... რატომ, ბატონო არჩილ, რა მიზეზით? დღეს საქართველოს მთელი განათლებული მსოფლიო ველურ ქვეყნად მიიჩნევს და მისი განთავისუფლების კიდეც ეშინიათ, რადგანაც დასავლეთს დესტაბილიზაცია არ აწყობს და მეორე ლიბანი ან მეორე ერაყი მას ნამდვილად არ სჭირდება. ამაში კი, ბატონო არჩილ, კრემლთან ერთად დამნაშავეა ის ბლოკი, რომლის წევრიც თქვენ ბრძანდებით და რომელსაც პოლიტიკასთან

დაახლოებით ის კავშირი აქვს, რაც მე „სტაროობრიადობასთან"

მე, უბრალო ცოდვილს, არ უნდა მჭირდებოდეს თქვენთვის ეს შეხსენება, რომ მხოლოდ სიყვარული გადარჩენს ცოდვილ კაცობრიობასა და მის ვოდვილ ნაწილს—საქართველოს. მე მჯერა წინასწარმეტყველების, მე მჯერა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მჯერა იმ პატიოსანი კაცის, რომელიც ღმერთმა ესოდენ დიდებული ხილვის ღირსი გახადა... მე მწამს, რომ საქართველო გადარჩება და გაბრწყინდება კიდეც, მაგრამ ეს მაშინ მოხდება მხოლოდ, როდესაც ფარისევლობასა და ღმერთის დიადი სახელის წამდაუწუმ ხსენებას თავს გავანებებთ. კერპის ფეხებთან თავის რახუნს შევეშვებით და შინაგან ქრისტიანობას ავაღორძინებთ მივიწყებულ ნომოკანონთან ერთად.

ამპარტავანი კაცი გვესაუბრება, ბატონო არჩილ, ტელეეკრანიდან და შემოსილს, როგორც არავის ამპარტავნება არ შეშვენის, რა მარგალიტებსაც არ უნდა აფრქვევდეს ბაგეთაგან. მე, პოლიტიკოსმა არ უნდა შევახსენო კაცს, რომელსაც ღვთისმსახურებაზე აქვს პრეტენზია, რომ მთავრობები მოდიან და მიდიან, ხოლო სიმართლე სიმართლედ რჩება.

ღმერთმა ინებოს, რომ ამ წერილს თქვენს სულში არა ღვთის უარმყოფი მრისხანება გამოეწვიოს, არამედ სიყვარული და უნარი დიდი გაგებისა, რამეთუ მკაცრად ვსაუბრობ, მაგრამ სიყვარულით. ღმერთმა ინებოს, რომ მალე კვლავ ისე მეწოდებინოს თქვენთვის, როგორც მრავალი წლის წინათ... მამაო არჩილ!

გიორგი ჭანტურია.

12 მაისი, 1991 წელი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 24 მაისი, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის განცხადება

ათასწლეულების მანძილზე ქართველმა ერმა უაღრესად თავისუფალი, მდიდარი სულიერი და მატერიალური კულტურა შექმნა, გამოიმუშავა თავისებური, სპეციფიური ცხოვრების წესი და მსოფლმხედველობა. ქართული ცივილიზაციის ნაყოფია ორიგინალური დამწერლობა, შესანიშნავი ლიტერატურა, ხალხური მუსიკა, ცეკვა, ფოლკლორი მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიღწევები; მისივე შედეგია ჯანსაღი ინდივიდუალიზმი, პიროვნული ღირსების გრძნობა, ღრმა პატრიოტიზმი და ამავე დროს ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, ტოლერანტობა, ადამიანთა ურთიერთობის დახვეწილი ფორმები. ყოველივე ეს წარმოადგენს ქართველი ერის წვლილს საკაცობრიო ცივილიზაციის საგანძურში, მაგრამ ბოლო ორასი წლის მანძილზე უცხო ტომის არანახული, პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ზემოქმედების შედეგად ამ ცივილიზაციის მაგისტრალური გზა გამრუდდა, შენელდა, ფაქტობრივად შეჩერდა მისი განვითარება, რაც მორალურ, კულტურულ დეგრადაციას უქადის ქართველ ერს. სწორედ ამ კატასტროფის თავიდან აცილებას, ცივილიზაციის გამრუდებული გზის გასწორებას, ჯერ კიდევ შემორჩენილი პოტენციალის ამოქმედებას და ყოველივე ამის მეშვეობით მსოფლიოს ერთა დიდ ოჯახში კუთვნილი ადგილის დაკავებას, მკაფიო ეროვნული სახის შენარჩუნებას უნდა შეუწყოს ხელი არა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებამ, არამედ მონარქიის აღდგენამ საქართველოში. სახელმწიფოებრიობის ტრადიციული ფორმის აღდგენა მძლავრ სტიმულს მისცემს ამ სტრუქტურების, ეთნოფსიქოლოგიის და მათი მეშვეობით, ეროვნული ზნეობისა და პიროვნული ღირსებების აღორძინებას. სახელმწიფოებრიობის ტრადიციული ფორმის აღდგენა საქართველოს საშუალებას მისცემს აღადგინოს აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციათა შორის შუამავლის ისტორიული ფუნქცია; საქართველოს შეეძლება აგრეთვე შეასრულოს კავკასიის შემაკავშირებლის როლი, რომელსაც იგი ისტორიულად და გეოგრაფიულად ყოველთვის ასრულებდა. დარწმუნებული ვართ, რომ არა პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკანონება,

არამედ მონარქიის აღდგენა უთუოდ გაანელებს შიდაეთნიკურ დაძაბულობასაც, რისი საწინდარიც ისევ და ისევ ისტორიული გამოცდილებაა. არის კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ძალზედ მწვავედ დგას და რომლის მოგვარებაც მხოლოდ მეფის ინსტიტუტის რესტავრაციით არის შესაძლებელი: ესაა ხელისუფლების ავტორიტეტის საკითხი. საქმე ის გახლავთ, რომ უცხოელთა ორასწლოვანმა, მეტადრე კი სამოცდაათწლიანმა ბოლშევიკურმა მმართველობამ, ხელისუფლების ინსტიტუტის სრული დისკრედიტაცია გამოიწვია ხალხში და რეალური დამოუკიდებლობის შედეგადაც ძნელი იქნება დემოკრატიას უჩვევ საზოგადოებაში ხელისუფლებისადმი პატივისცემის ატმოსფეროს შექმნა, რის გარეშეც წარმოუდგენელია სახელმწიფოს ნორმალური არსებობა და რამაც,—უარეს შემთხვევაში ანარქია და ქაოსი, ხოლო უკიდურეს შემთხვევში – დიქტატურა შეიძლება გამოიწვიოს. მაგრამ თუ უზენაეს ხელისუფლად ხალხს მის გმირი მეფეების შთამომავალი მოევლინება—პოლიტიკური თუ სოციალური კონიუნქტურისაგან დამოუკიდებელი მონარქი, იგი უსათუოდ იქცევა სტაბილურობისა და ერის შეკავშირების გარანტად და ამ ფუნქციას შემდეგშიც შეასრულებს.

სწორედ ზემოჩამოთვლილი მიზეზებისა და ჩვენი შეხედულებების შედეგია, რომ ჩვენ, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მონარქიზმის იდეამ უკვე საკმაო პოპულარობა მოიპოვა ხალხში, მის მხარდამჭერთა სია ჯერ კიდევ არ შეადგენს უმრავლესობას და როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ქართველობა მაინც აირჩევს პრეზიდენტად ამა თუ იმ პირს. ამიტომ, ჩვენ როგორც საქართველოს შვილები და აგრეთვე, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია ვალდებული ვართ გავაცნოთ ერს ჩვენი დამოკიდებულება შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით.

დავიწყოთ იმით, რომ საქართველო ჯერაც დაპყრობილი და ანექსირებული ქვეყანაა 1991 წლის 9 აპრილს მიღებული დამოუკიდებლობის აქტი სულაც არ ავალებს საოკუპაციო ჯარს ჩვენი ქვეყნის დატოვებას. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის აღმაშფოთებელი ფაქტი, რომელიც მოხდა გორში 14 მაისს, თავად აქტიც, ჩვენ ფარსად, ფარატინა ფურცლად და იმპერიის „პერესტროიკული" პოლიტიკის

ნაყოფად მიგვაჩნია. სხვას ვერაფერს მიაწერ იმ ფაქტს, რომ ამგვარი აქტები მიღებული აქვთ არა მარტო იმ რესპუბლიკებს, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, არამედ შუა აზიის ქვეყნებსაც. უფრო მეტიც, არცერთ რესპუბლიკაში არ აუგდიათ თავიანთი სახელმწიფო დოკუმენტები ისე აბუჩად, როგორც საქართველოში...

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ნებსით თუ უნებლიედ აწარმოებს დანაშაულებრივ პოლიტიკას თავის ქვეყანაში. ოპოზიციას ხშირად უკიჟინებენ—„აცალეთ, ბატონო, და ყველაფერს გააკეთებენო", მაგრამ იმ შვიდი თვის განმავლობაში რაც ეს ხელისუფლება ფუნქციონირებს, ჩვენ ფაქტობრივად დავკარგეთ სამაჩაბლო, არ კლებულობს დაძაბულობა აფხაზეთსა და ჯავახეთში; ისიც მოვახერხეთ, რომ აჭარაც ავალაპარაკეთ. არა ბატონებო! კიდევ რომ ვაცალოთ, საქართველო იმ რუკიდანაც გაქრება, რომელზეც დღესაა აღნიშნული.

ოპონენტები ასეთ დროს ხშირად კრემლისაკენ მიგითითებენ—„მათი პროვოცირებულიაო ეს ყველაფერი". გეთანხმებით, მაგრამ განა 1989 წლის მარტ-აპრილშიც არ იყო ამის მცდელობა აფხაზეთთან მიმართებაში? როგორ მოახერხა მაშინ ქართველობამ მოახლოებული ეთნოკონფლიქტებიდან თავის დაღწევა? თუ მაშინ ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებს ეყოთ სიბრძნე სხვა მიმართულებით წარემართათ დაძაბულობა, მით უფრო არ მოეთხოვება ეს სიბრძნე „მრავალპარტიულ" ხელისუფლებას? მაგრამ საქართველოს მმართველი აპარატი ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით უფრო შორს მიდის—სწორედ ის აღვივებს თავისი პოპულისტური პოლიტიკით ერში ნაციონალისტურ ფსიქოზს. ამის დადასტურებაა ის, რომ მთელ რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა წარმოება-დაწესებულებებში კადრების შერჩევა და გადარჩევა ეროვნული ნიშნით.

დღეს საქართველოში 70—ზე მეტი პოლიტპატიმარია. დიდად საეჭვოა, ამაზე მეტი პოლიტპატიმარი იყოს მთელს საბჭოთა იმპერიაში, მიმდინარეობს ოპოზიციური აზრის დევნა, პარტიების ყოველგვარი შევიწროება, პოლიტიკური ტერორი. უსინდისოდაა მონოპოლიზირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას მეხოტბეთა პაექრობის არენადაა ქცეული, ხოლო თუ შემთხვევით გაიპარა მათში განსხვავებული აზრი, მას აუცილებლად

ახლავს ან „რედაქციის მინაწერი" ან ტელევიზიის დიქტორის „კომენტარი", თითქოს ერს თავად არ შეუძლია განსაზღვროს, რომელი აზრია სწორი და რომელი მცდარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს მიერ მოყვანილი ეს მცირეოდენი არგუმენტებიც კი ცხადყოფენ, რომ რესპუბლიკაში გამეფებულია დიქტატი და სრული განუკითხაობა. ამას კარგად ხედავს მსოფლიო და სათანადოდაც აფასებს შექმნილ სიტუაციას. დასავლეთის ქვეყნებისათვის ნამდვილად არაა სულერთი, დემოკრატია გაიმარჯვებს ჩვენში თუ დიქტატურა, ამიტომაცაა რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა საზღვარგარეთული ვოიაჟების დროს არც ერთი მათგანი არ შეხვედრია ოფიციალურ დონეზე რომელიმე მეტნაკლებად მნიშვნელოვან მოქმედ პოლიტიკოსს; და ეს ხდება რა სსრკ-ს შიშითა თუ ხათრით (საილუსტრაციოდ გაიხსენეთ კაზიმირა პრუნსკენეს ვიზიტი აშშ-ში), არამედ მათი ანტიპათიური დამოკიდებულების გამო ქართველ ხელისუფალთა მიერ წარმოებული პოლიტიკის მიმართ. მსგავსი სურათია დასავლეთის დემოკრატიულ პრესაშიც. მაგალითად, „შტუტგარტენ ცაიტუნგი" 1991 წლის 26 მარტს სტატიაში „საბჭოთა კავშირი–შოვინიზმი საქართველოში" წერს– „...ზვიად გამსახურდია არა მარტო პარლამენტის თავმჯდომარეა, არამედ საქართველოს რესპუბლიკის განუსაზღვრელი ბატონი. ბევრი შიშობს, რომ იგი მომავალი დიქტატორი იქნება...ის მრავალთა შორის არ არის ერთადერთი ეროვნული ლიდერი, რომელიც რესპუბლიკის სუვერენიტეტისათვის იბრძვის, არამედ იგი, უპირველეს ყოვლისა, თავის ძალაუფლებისათვის მებრძოლია მრავალ მის თანამემამულეთაგან, რომლებიც სხვადასხვა ერის ხალხთან ერთად ამ მიწაზე ძმურად ცხოვრობდნენ, მათ შორის ინტელიგენტის, "მოღალატეებად" და იმ ძალად თვლის, რომელსაც "მოსკოვი მართავს", ეროვნულ კონგრესში გაერთიანებული მისი. კონკურენტი პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებს თვლის კრემლის და "კაგებეს აგენტებად" და მაფიოზებადაც კი... ეს საკმაოდ განათლებული წარმოსადეგი კაცი, რომლის ელეგანტურობა უცხოზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, დაუნდობელია თავის თანამემამულეთა მიმართ.." 1991 წლის "ბალთიმორ სანის" ნომერში ვკითხულობთ: "...ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური იდეები და ტაქტიკა მეტყველებენ მის ულტრნაციონალისტობასა და ტირანიაზე.. საქართველოში დამოუკიდებლობა არ არის, ხოლო მისმა ახალმა

მეთაურმა ზვიად გამსახურდიამ ყველაფერი იღონა რესპუბლიკაში ახალი ლიბანის შესაქმნელად.." მსგავსი მასალა მრავლად იბეჭდება უცხოურ პრესაში: "ფილადელფია ინქვაიხერერი" 1991 წლის მარტი, ჟურნალი "ტიმი". 1991 წლის მარტი, აპრილი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საქართველო სულიერი საშიშროების წინაშე დგას. ჩვენ უკვე გვყავს დიქტატორი–ზვიად გამსახურდია, მაგრამ მისი პოზიცია ჯერჯერობით არ არის მყარი, რადგან იგი მისი მარიონეტი უზენაესი საბჭოს მიერაა დანიშნული. მის პოზიციის გამყარებას ერის ნდობის მანდატი ესაჭიროება, ე. ი. იგი ხალხმა უნდა აირჩიოს პირდაპირი არჩევნების გზით. თუ ამ უბედურებასაც მოვესწარით 26 მაისს. მაშინ ჩვენ საბოლოოდ შეგვაქცევს ზურგს დემოკრატიული სამყარო და ასეთ ვითარებაში საქართველოს მხოლოდ ერთი ალტერნატივა დარჩება ან სრული პოლიტიკური იზოლაცია ან რუსეთის სატელიტობა.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ საქართველოს ხელისუფლება ნებსით თუ უნებლიეთ აწარმოებს დანაშაულებრივ პოლიტიკას. თუ ეს შეცდომები უნებლიეა, მაშინ ყველა პატიოსანი, თავისი ქვეყნის მოყვარული პოლიტიკოსის ვალია გადადგეს და სხვას დაუთმოს ადგილი პოლიტიკურ ასპარეზზე, რისკენაც ჩვენ მონარქისტები მოვუწოდებთ დღევანდელ ხელისუფლებას, ხოლო თუ ყველა მოვლენა წინასწარი განზრახვით გახორციელდა, მაშინ ხალხის ვალია თავად მოიშოროს ეს დანაშაულებრივი კლანი და მხარი დაუჭიროს დემოკრატიას, თავისუფლებას, ზნეობას. მოგიწოდებთ დაფიქრდეთ ჯერ კიდევ არის ამის დრო რადგან თქვენ ხელთაა – საქართველოს, დემოკრატიის, პიროვნული და ეროვნული თავისუფლების ბედი.

დიდება თავისუფლებას.

საქართველოს მონარქისტული) კონსერვატიული) პარტია.

გაზ: „საქართველო", 24 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახალხო ფრონტი–უხალხოდ?
(ლია წერილი ბ-ნ ნოდარ ნათაძეს)

ბ-ნო ნოდარ, ამ ბოლო დროს თქვენს საჯარო გამოსვლებსა თუ პუბლიკაციებში გამრუდებული ფაქტებითა და ცილისწამებით უსაფუძვლო ბრალდებებს უყენებთ ხელისუფლების ხელმძღვანელს, „მრგავლი მაგიდის" პოლიტიკურ ორგანიზაციებს და მათ შორის „საქართველოს ეროვნული ფრონტი რადიკალურ კავშირს"!

გულახდილად გეტყვით, სადავო თქვენთან ბევრი გვქონდა რახანია, მაგრამ თავს ვიკავებდით, რადგან ანგარიშს ვუწევდით თქვენს ასაკსა და ჩვენს ადრინდელ ურთიერთობას, მაგრამ აივსო მოთმინების ფიალა, ბნო ნოდარ, გადავწყვიტე მხოლოდ რამოდენიმე საკითხზე შევჩერდე, თავი რომ არ შევაწყინო ამ ბოლო დროს პოლემიკით გადაქანცულ მკითხველს.

„საქართველოს რესპუბლიკაში" (10.V.91) თქვენ ბრძანებთ, რომ თუ „რადიკალური კავშირი" სახალხო ფრონტში დარჩებოდა, თითქმის ვერავინ სსფს საარჩევნო სიით ვერ დასახელდებოდა. საკითხავი, რა გზით? სსფს II ყრილობაზე არჩეული დარბაზის უმრავლესობას ხომ „რადიკალები" წარმოადგენდნენ. მაშ, როგორ, თქვენ პიროვნულად აპირებდით სიების შედგენას არჩეულ დარბაზთან შეუთანხმებლად? ნამდვილად შეუსაბამობაა! ეტყობა რაღაც განსაკუთრებული, თქვენეული დემოკრატიული მეთოდი გაქვთ, რომელსაც სწორედ სიების შედგენისას გამოიყენებდით(!)

მანამდე კი თქვენ ბრძანეთ, რომ სსფს II ყრილობაზე, როდესაც სახალხო ფრონტში სკკპს წევრები სსფში ყოფნაარყოფნის საკითხი დადგა, თქვენთვის ჩვეული ლოგიკით განმარტავთ, „ასეთი პარტიის წევრი ვალდებული იყო გამიჯნოდა თავისი პარტიის პროგრამის სათანადო პუნქტს(!), აგრეთვე განეცხადებინა, რომ ფრონტისა და თავის პარტიის განსხვავებულობებს შორის წინააღმდეგობების შემთხვევაში იგი ფრონტის მხარეზე დადგებოდა"(!).

ყოველივე ეს ხდებოდა, მაშინ, როდესაც მაშინდელი კომუნისტები სხვა ქვეყნის პარტიის წევრები იყვნენ, ამასთანავე მათი პროგრამა და წესდება მთლიანად ეწინააღმდეგებოდა სსფს პროგრამასა და წესდებას, და თქვენ რაღაც პუნქტებზე მსჯელობთ, ბნო ნოდარ საოცარია

პირდაპირ! იქვე (ე.ი. აღნიშნულ წერილში) გეცინებათ კიდეც, რომ თურმე, აღმოჩნდნენ პიროვნებები, რომლებიც სკკპ წევრებისგან განდევნას მოითხოვდნენ სსფს რიგებიდან და ახლაც სასაცილოდ არ ჰყოფნით, რომ მათ თავიანთ თავს „რადიკალები" უწოდეს! საკვირველია, პრეზიდენტობაზე პრეტენზიის მქონეს მეხსიერება აგრერიგად, რომ გღალატობთ.

განა პირველმა თქვენ არ შეგვარქვით ეს სახელი, ბნო ნოდარ? თქვენი საყვარელი გამოთქმისა არ იყოს: „მოდით ლოგიკური მსჯელობის გზით მივიდეთ ჭეშმარიტებამდე", ბატონო! თქვენ ხშირად გაგიცხადებიათ: (ბევრს უნდა ახსოვდეს) სსკ – ხელისუფლების ოპოზიცია კი არა, რეალური პოზიციაა!

რას ნიშნავდა შარშან ამ დროს „პოზიცია"?!

სწორედ ნერვების დაწყვეტამდე, ყელის ჩახლეჩამდე (რადგან ნებისმიერ შეკრებაზე იყო ეს, გამგეობა, დარბაზის სხდომა თუ კონფერენცია) ვცდილობდით თქვენთვის, თქვენი მხარდამჭერთათვის გულთან მიგვეტანა სსფს უმოქმედობა, უნიათობა, არაორგანიზებულობა, რადგან იმდროინდელი მთავრობის საწინააღმდეგოდ დაწყებულ საპროტესტო აქციებში არ ვიღებდით მონაწილეობას („ეს ძალიან რადიკალურია". „დავიცვათ ზომიერება", „კარტებს ნუ გავზსნით", „ვმონაწილეობთ პიროვნულად და არა ორგანიზაციულად", „არ ვმონაწილეობთ, მაგრამ მხარს ვუჭერთ" და სვა), და თუ ვიღებდით,– დიდი დაგვიანებით.

ჩემი აზრით, ეს იყო აშკარად გამოხატული პოზიცია ხელისუფლებისასდმი დაუპირისპირებლობისა! სწორედ ასეთი პოზიციით გახდა სახალხო ფრონტი მშვენიერი დასაყრდენი უწინდელი ხელისუფლებისათვის. ამის მაგალითად გამოდგება „სამტრედიის რკინიგზის აქცია", ახლა ასე ხშირად რომ ახსენებთ. სახალხო ფრონტს იმ აქციისთვის მხარდაჭერა რომ გამოეცხადებინა, საქმე აგრერიგად არ გამწვავდებოდა. სახალხო ფრონტი რომ ჩართულიყო აქციაში, მთავრობაც ბევრად უფრო ადრე დათმობდა და საქართველოც ნაკლებად დაზარალდებოდა (ახლა რომ თითქოს ძალიან განიცდით იმ ზარალს, მიყენებულს საქართველოსთვის). თქვენ კი მაშინ დუმილი არჩიეთ, სამაგიეროდ ახლა ამოიღეთ ხმა!

ახლა გახდით ოპოზიცია! განა ამჟამინდელი ხელისუფლება უფრო საშიშია ეროვნული ინტერესებისთვის, ვიდრე მაშინდელი? თუ ახლა ადვილია ოპოზიციაში ყოფნა?

მინდა გაგახსენოთ, ბნო ნოდარ, რომ ჩვენს არაერთგზის კატეგორიულ მოთხოვნაზე, დაგვეჭირა მხარი „მრგვალი მაგიდის“ ფრაქციისთვის (მითუმეტეს, ჩვენ თითქმის არც ერთი აქციის ინიციატორები არ ვყოფილვართ), თქვენ მუდამ მიბრძანდებოდით ხელისუფლებასთან შესათანხმებლად (ამ ხელისუფლებას კი რატომღაც არაფერს უთანხმებთ) და უკან ბრუნდებოდით უარით. თქვენ კი რადიკალებს მოგვიწოდებთ ზომიერებისაკენ. ასე და ამგვარად, უზარმაზარი ორგანიზაცია და ძალა უმოქმედო გახადეთ და ამით დაშალეთ კიდეც. ჩვენ კი გვაიძულეთ შეგვექმნა ფრაქცია (რომელიც შემდეგ კავშირად გარდაიქმნა), რომ ჩვენი ფრაქციის სახელით მაინც მიგველო პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა და განგვეხორციელებინა სსფს II ყრილობაზე მიღებული რეზოლუცია–ვყოფილიყავით „მრგვალი მაგიდის“ მხარდამჭერი.

თქვენ, რომელიც ორგანულად ვერ იტანდით ფრაქციულობას თქვენს მიერ რწმუნებულ ორგანიზაციაში, ახალი ფრაქციის შემქმნელად მოგვევლინეთ პარლამენტში, საარჩევნო კომპანიის დროს, თანც თქვენეული შესაფერისი სახელწოდებით“ ფრაქცია–დემოკრატიული ცენტრი“–ცენტრი და თანაც დემოკრატიული რაღა შუაშია, ბნო ნოდარ?

ნეტავ ასეთი სახელწოდებებით თავს იტყუებთ თუ ხალხს? რომელი დემოკრატი თქვენა ბრძანდებით ეს იმათ ჰკითხონ, ვინც სსფ ს II ყრილობას ესწრებოდა და კარგად ახსოვს თქვენი „დემოკრატიულობა“ დიდი ბრძოლით გატანილი საკითხები და ყრილობის მიერ დამტკიცებული რეზოლუციები (მაგალითად, I, ე.წ. პრაღის 24 რეზოლუციის უარყოფა. II სსფს მხრიდან „მრგვალი მაგიდის“ მხარდაჭერის შესახებ) დღემდე არ გამოქვეყნებულა. ვისი ბრძანებით? რა უფლებით? ფრიად საინტერესოა.

ყრილობა, რომელიც თქვენი თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, ნათელი მაგალითი იყო არადემოკრატიულობისა, ვინაიდან თქვენ არღვევდით ელემენტარულ პროცედურულ და საწესდებო ნორმებს. ამათან ერთად ვისაც გივდოდათ აძლევდით სიტყვას, ვინც არ გაწყობდათ–ან ვინმეს გამოცლა თუ არ მოგეწონებოდათ, გამოურთავდით მიკროფონს. ასევე ხდებოდა დარბაზის სხდომებზეც. ეს ხომ კარგად ახსოვს იქ დამსწრე საზოგადოებას, და თქვენ გაქვთ პრეტენზია დემოკრატიულობისა, მით უმეტეს ასეთი კაცი ქმნით პარლამენტში

„დემოკრატიულ“ ფრაქციას?!

ასეთი მოულოდნელობებით აღსავსე პიროვნება ბრძანდებით ბნო ნოდარ, რომ კაცმა არ იცის მეორე დღეს რას მოიმოქმედებთ და ვის საზიანოდ? ჩვენ, რადიკალები ადრე გავერკვიეთ, გაცილებით ადრე – 28 ოქტომბერს, როდესაც პროტესტის ნიშნად ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა 20 ივნისს სესია დავტოვეთ. თქვენ იქ დარჩით, ალბათ იმიტომ, რომ მიღებული იყო საარჩევნო კანონი სადაც, „მრგვალი მაგიდა“ ვერ მიიღებდა მონაწილეობას.

ერთხელ მაინც გულახდილად მინდა მიპასუხოთ, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დამფუძნებელ ყრილობაზე თქვენთვის აქტიურად რომ არ დაეჭირათ მხარი, გახდებოდით კი სსფს თავმჯდომარე?

და ბოლოს, განცვიფრებას იწვევს ის გარემოება, რომ ვერასგზით ვერ მოახერხეთ სსფს შენარჩუნება, როგორც თავად ბრძანებდით, სსფ მოძრაობაა და მასში უნდა იყოს გაერთიანებული მთელი საქართველო, ხალხმა დატოვა ფრონტი, თუმცა ჯიუტად აცხადებთ, სახალხო ფრონტი მაინც იარსებებს, თუ გინდ იქ ერთი კაცი დარჩესო. შესაშური ოპტიმიზმია. გაგეცალათ ხალხი სახალხო ფრონტიდან, ბნო ნოდარ. დარჩა სახალხო ფრონტი უხალხოდ. თქვენ კი ჯიქურ პრეტენზიას აცხადებთ სრულიად საქართველოს ხელმძღვანელობაზე. ახლა რაღა გსურთ ბნო ნოდარ საქართველოდან გაიქცეს ხალხი?!

რას ერჩით საქართველოს?

რუსლან ლონღაძე

საქართველოს ეროვნული ფრონტი რადიკალური კავშირის თავმჯდომარე.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“.

25 მაისი. 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი ძადაგიშვილის
ღია წერილი „მრგვალ მაგიდას"

21 მაისს „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის წევრის თემურ ჯანელიძის „ღია წერილი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას". თ. ჯანელიძე ბრძანებს ნოემბრის აქციების დროს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ არსებობდაო. შევახსენებთ ბნ თემურს (თუმცა არა გვგონია ეს მეცნიერების ბრალი იყოს), რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 1981 წელს შეიქმნა, რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტია IV დასს, იგი დღესაც იმ ფორმით არსებობს, როგორიც წინა წლებში იყო, თუ არ ჩავთვლით დღევანდელ დროებითს პრეზიდენტს, რომელიც მეოთხე დასში გ. ჭანტურიამ მიიღო და რომელმაც, შემდგომ ალბათ, ჩვეული ტაქტიკური მოსაზრებით, სხვა ორგანიზაციის რიგით წევრობას ხელმძღვანელის პოსტი აირჩია და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ნაწილს ჩაუდგა სათავეში (არ გეგონოთ „ჰელსინკის ჯგუფის" არსებობა დაგვავიწყდა, მაგრამ ვის-ვის, და თქვენ ბნო თემურ, ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ, რამდენი კაცი იყო მაშინ ამ ჯგუფში).

ბნი თ. ჯანელიძე წერს, ნოემბრის აქცია კოლხურ კოშკში დაიგეგმაო. გაუგებარია ნოემბრის რომელ აქციას გულისხმობს იგი, თუმცა იმის სათქმელად, რომ ეს სიცრუეა, ამის გარკვევა არც არის აუცილებელი, რადგან ნოემბრის არც ერთი აქცია არათუ კოლხურ კოშკში არ დაგეგმილა, არამედ გამსახურდიას უკეთეს შემთხვევაში, არანაირი კავშირი მასთან არ ჰქონია. 12 ნოემბრის აქცია დაიგეგმა იასონ ფავლენიშვილის სახლში, სადაც ბრძანდებოდა გამსახურდიაც, რომელიც სასტიკი წინააღმდეგი იყო ამ აქციისა და, უკიდურეს შემთხვევაში თუ ეს აქცია მაინც მოეწყობოდა, დამოუკიდებლობის ლოზუნგის მოხსნას ითხოვდა(?!). მისმა „ავტორიტეტმა" არ გაჭრა, და როდესაც იგი ფაქტის წინაშე დადგა, სხვა რაღა დარჩენოდა, მონაწილეობაც მიიღო. რაც შეეხება 22-29 ნოემბრის შიმშილობის აქციას (რომელსაც, როგორც ჩანს დღევანდელი ხელისუფლებაც ჯეროვნად აფასებს და სწორედ იმიტომ მიაწერეს იგი გამსახურდიას), გამსახურდია სხვებთან ერთად ამ აქციის კატეგორიული წინააღმდეგი

იყო. რაც შეეხება თავად ბნ თემურ ჯანელიძეს, მან ამ აქციის ამბავი რუსთავში, სამუსიკო სკოლის შენობაში შეიტყო ვახტანგ ტალახაძისგან, რომელიც დღეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრია. შევახსენებთ თ. ჯანელიძეს ტალახაძის სიტყვებს: „თბილისში ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მთავრობის სახლის წინ შიმშილობა გამოაცხადა და ჩვენ მათთან ერთად უნდა ვიყოთ". არ გახსოვთ ბნო თემურ? რაც შეეხება გამსახურდიას ავტორიტეტს და იმას, რომ მას ყველა იცნობდა, ჩვენ კი არავინ, ეს სრული სიმართლეა, მაგრამ ეგებ გეკითხათ იმ სტუდენტებისთვის, მუშებისა და საზოგადოების ყველა ფენისათვის, რომლებსაც თქვენ ასე თამამად იმოწმებთ, რა კუთხით იცნობდნენ ისინი გამსახურდიას და, საერთოდ რა სახელი ჰქონდა მას საქართველოში, მით უმეტეს ახალგაზრდობაში? ან რაში გჭირდებათ ამის კითხვა, ეს ხომ თვითონაც კარგად მოგეხსენებათ, ისიც არ იკმარეთ, რომ ნოემბრისა და აპრილის აქციებზე (რომელთა ორგანიზატორი ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია იყო და, დაპატიმრებულთა შორის კი, უფრო სწორად, იმათ შორის, ვისაც თქვენ დღეს „და სხვებში" იხსენებთ, სამი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან იყო) მოსული ზღვა ხალხი გამსახურდიასთვის მიგეწერათ, ჩვენს დღევანდელ აქციებზე დამსწრეთა რაოდენობასაც, 500-600 კაცს რომ უწოდებთ, სულ ცოტა ათჯერ მაინც ამცირებთ, თუმცა რა გენაღვლებათ, ტელევიზია ამ აქციებს არ გადასცემს და ოფიციალური პრესა არ აშუქებს, ხოლო იმ ხუთი, ექვსი და ათი ათასი კაცის აზრი, რომელმაც ნამდვილად იცის სიმართლე თქვენ სულ არ გაინტერესებთ.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, როგორც თ. ჯანელიძე წერს, ვაკის პარკის მიტინგზე გამსახურდია მთავრობის სახლთან წასვლის წინააღმდეგი იყო და არც ის და არც მერაბ კოსტავა მთავრობის სახლთან „სულ რამდენიმე" კაცს არ გაჰყოლიან, მაგრამ კოსტავა რომ არ გაჰყოლია, სიცრუეა, იგი იქ სულ ცოტა ხანში მოვიდა. გამსახურდია რომ მთავრობის სახლთან არ მისულა სრული სიმართლეა, ისევე, როგორც სრული სიმართლეა ისიც, რომ გამსახურდია არავის დაუნახავს არც 1988 წლის 14 აპრილს, არც 1988 წლის 26 მაისს, თუმცა ამაზე ბნი თემური უკვე აღარაფერს წერს. დავიჯეროთ აღარაფერი აღარ ახსოვს თ. ჯანელიძეს? დარწმუნებულები ვართ ჩვენს წერილს „აღშფოთებულ" მშრომელთა კოლექტიური წერილე-

ბი მოჰყვება, შეიძლება „მრგვალი მაგიდის" ზოგიერთმა კალმოსანმაც არ დაიზაროს და პასუხი დაგვიწეროს, მაგრამ მოდით ყველამ ჩვენს გულში ჩავიხედოთ (ერთმანეთისთვის თვალებში ძუნძულვაზე აღარაფერს ვამბობ) ან თუ გულმა გვიმტყუნა, მაშინ ყოფილ სუკ-ის, დღეს კი „ეროვნული უშიშროების დეპარტამენტის" არქივებს ჩავხედოთ, იქ ხომ ყველაფერი ინახება, თან—დაუმონტაჟებლად, რადგან უზენაესი საბჭო იცვლება, სუკ-ი კი სუკ-ად რჩება, სანამ საბჭოთა იმპერია არსებობს.

ირაკლი ქადაგიშვილი
ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1981 წლიდან

P.S მათ, ვისშიც შეიძლება უახლესი ისტორიის ასეთმა გაყალბებამ ნოემბრის შიმშილობისა თუ სხვა აქციების თაობაზე გულწრფელი ეჭვი დაბადოს და ვისაც ხელისუფალნი „ეროვნული უშიშროების დეპარტამენტის" არქივებამდე არ მიუშვებენ, ვურჩევთ მიაკითხონ ოპერატორ გოგა ხაინდრავას, რომელთანაც ამ აქციის თაობაზე დიდძალი ვიდეომასალა ინახება, „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას კი ვთხოვთ, დაბეჭდოს ნოემბრის აქციის მნიშვნელობაზე და მის ორგანიზატორზე ბნ თემურ ქორიძის იმდროინდელი წერილი, რომელიც უკვე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არქივში ინახება. თუ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ამაზე თანახმაა, რასაც, ალბათ, მის სარედაქციო მინაწერში შევიტყობთ, ჩვენ მას გავუგზავნით აღნიშნულ წერილს, რომელიც სხვათაშორის ნაბეჭდი არ გახლავთ, ხელნაწერია.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 25 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია საზღვარგარეთის და საქართველოს ჟურნალისტებისათვის 1991 წლის 27 მაისს

ბნო გამსახურდია, რა შედეგებს მოელოდით არჩევნებში?

იცით, არჩევნებში გამარჯვება ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა! საარჩევნო კომპანიის დროს მოეწყო სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის შედეგებიც არჩევნების საბოლოო შედეგებს დაემთხვა. გულახდილად რომ გითხრათ წინათ მაინც და მაინც არ ვენდობოდი ასეთ გამოკვლევებს თუ გამოკითხვებს, მაგრამ ახლა ვირწმუნე მათი.

ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველები, მივესალმებით თქვენს გამარჯვებას არჩევნებში. როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი?

მომავალი ოპტიმისტურად მესახება. მიმაჩნია, რომ მსოფლიო საზოგადოება სამხედრო მანქანით ჩვენი ჩახშობის ნებას არავის მისცემს. ადრე იქნება თუ გვიან გვცნობენ.

მაგრამ, ამისათვის მარტოოდენ თვით საქართველოში გაწეული მუშაობა როდი კმარა, ბევრი რამ იმაზეც არის დამოკიდებული, თუ რაოდენ აქტიური იქნებიან უცხოეთში ქართველი ემიგრაციის წარმომადგენლები.

როგორია თქვენი ურთიერთობა მიხეილ გორბაჩოვთან ამ ცოტახნისწინანდელი დეპეშების შემდეგ, როდის აპირებთ მასთან შეხვედრას? და მეორეც ველოდოთ თუ არა თქვენს მოლაპარაკებას ბატონ ელცინთან 18 ივნისამდე?

მე მგონი, 12 ივნისამდე ბატონ ბორის ელცინთან არ არის მოსალოდნელი ჩემი შეხვედრა, ხოლო ბატონი გორბაჩოვი ცოტა უცნაურად იქცევა. ის მომხრე იყო ჩვენი შეხვედრის და აპირებდა ჩემთან დარეკვას. მე რამდენიმე დღეა ველი, მაგრამ ის არ რეკავს, მე დავასკვენი, რომ მუშაობენ რაღაც ძალები, რომელთაც უნდათ ჩემი და გორბაჩოვის შეხვედრის ჩაშლა. მე ასეთ დასკვნას ვაკეთებ. მისმა პრესცენტრმა გააკეთა განცხადება, რომ არავითარი შეხვედრა არ შედგებაო. 20 მაისს მივიღე სამთავრობო დეპეშა, რომელშიც

იგი მთხოვდა 24 მაისს მოსკოვში ჩასვლას, მაგრამ მე რამდენადაც წინასაარჩევნო კამპანია მქონდა ვერ წავედი მოსკოვში. ეს, ახლა ვიკვლევთ ჩვენ–რა პოზიციას იჭერს გორბაჩოვი ჩვენი შეხვედრის საკითხში. ეს ალბათ დღეს გაირკვევა. მე რატომღაც მგონია, რომ ელცინის არჩევნებამდე შეიძლება არც გორბაჩოვთან შეხვედრა მოხერხდეს. თვითონ გორბაჩოვსაც არა აქვს გარკვეული თუ რა პოზიცია დაიჭიროს, ვთქვათ ისეთ რესპუბლიკასთან მიმართებაში როგორიც საქართველოა. ეს ყველაფერი რუსეთის პრეზიდენტობის საკითხის და რუსეთის ფედერაციასთან ცენტრის ურთიერთობის საბოლოოდ გარკვევის შემდეგ გახდება ნათელი, ვინაიდან, ამაზე ძალიან ბევრი არის დამოკიდებული.

ბატონო ზვიად, თქვენ ამ დღეებში მიიღეთ წერილი უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან, რას ფიქრობთ, უნგრეთსაქართველოს უახლოეს ურთიერთობებზე?

ჩვენ უკვე დავიწყეთ მოლაპარაკება უნგრეთთან, ე.ი. მოლაპარაკება ჩვენი შეხვედრის საკითხზე. ეს ჩვენ ძალიან გვაინტერესებს და ჩემის აზრით ეს შეხვედრა შედგება უფრო 30 ივნისის შემდეგ, როდესაც უკანასკნელი ოკუპანტი დატოვებს უნგრეთის ტერიტორიას. მაშინ უფრო ხელგახსნილი და მზად იქნება ბატონი პრეზიდენტი ასეთი შეხვედრისთვის. გასაგები მიზეზების გამო, ბატონ უნგრეთის პრეზიდენტს, ისევე როგორც ჩეხეთ-სლოვაკეთის პრეზიდენტს ხელს უშლის ის გარემოება, რომ ჯერჯერობით მათ ქვეყნებში საბჭოთა ჯარი დგას. ასე რომ, ეს ყველაფერი უახლოეს ხანში მოწესრიგდება და ჩვენ შევხვდებით.

როგორ აფასებთ იმას, რომ საზღვარგარეთის პრესამ კინალამ დიქტატორი გიწოდათ?

ძალიან ძლიერი და დიდია კრემლის გავლენა საზღვარგარეთის პრესაზე. კერძოდ, ისეთი სააგენტოს მხრიდან როგორიც „საკდესია". ისინი ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ხშირად იმეორებენ ცრუ ინფორმაციებს, რომელსაც „საკდესი" გადასცემს. მე შეგახსენებთ რაც გუშინ ვთქვი, რომ არცერთ დიქტატორს, მსოფლიო ისტორიის მანძილზე, თავისი პირადი ინიციატივით არ დაუნიშნავს საპრეზიდენტო არჩევნები. ამაზე, ალბათ დამეთანხმებით.

აპირებთ თუ არა თქვენ ზომების მიღებას იმისათვის, რათა საქართველო მსოფლიომ სცნოს?

დიახ, მე განზრახული მაქვს მივიღო ზომები წამყვანი ქვეყნების მიერ საქართველოს საერთაშორისო აღიარებისათვის, დიპლომატიური ცნობისათვის. ამისთვის უკვე ვამყარებ კონტაქტებს და ვამზადებ შეხვედრებს უწინარეს ყოვლისა შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ბატონ ჯორჯ ბუშთან. შეხვედრის თარიღი უახლოეს ხანში გაირკვევა.

თქვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგე გიორგი ჭანტურია ამტკიცებს, რომ პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას ოკუპირებულ ქვეყანაში აზრი არა აქვს. თქვენ როგორ მიგაჩნიათ?

მე ვიტყოდი, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები არიან ოკუპირებულნი საბჭოთა ჯარის მიერ. მიუხედავად ამისა, იქ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, მართალია არაპირდაპირი, მაგრამ პარლამენტის მიერ არჩეულნი არიან პრეზიდენტები, ჭანტურიასნაირი არასერიოზული პიროვნებების ციტატების აქ მოყვანა ცოტა უხერხულია. მან ისიც არ იცის, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებობს ჯარი და მაინც ტარდება ასეთი არჩევნები.

ბატონო პრეზიდენტო ნება მოგვეცით პორტუგალიის ტელევიზიისთვისაც გვიპასუხოთ. როგორ აპირებთ მოქმედებას მომავალში იმ ძალებთან, რომლებსაც არ უნდათ თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. როგორ აპირებთ მათთან დიალოგის გამართვას. გაატარებთ თუ არა პირადად თქვენ პოლიტიკას, თუ მიაღწევთ ერთიან ეროვნულ თანხმობას. და მეორეც. როგორ გესახებათ მომავალში ოსეთის პრობლემის დაძლევა?

საერთო ეროვნული თანხმობა საქართველოში უკვე მიღწეულია. მიღწეულია იმიტომ, რომ როგორც დაინახეთ ამ არჩევნებით ქართული მოსახლეობის 99 პროცენტი და არაქართველი მოსახლეობის 65 პროცენტი მე მიჭერს მხარს. ასე, რომ ორად გაყოფა ეროვნული მოძრაობისა, ქართველი ხალხის ორად გაყოფა, განხეთქილება და სხვა ყველაფერი ჭორია. გთხოვთ ამას ნუ დაიჯერებთ. ეს ცრუ ინფორმაციებია. რაც შეეხება იმ ძალებს, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგია, ისინი ძალიან მცირე არიან ოსური და აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებში. თვით მათშიაც უმცირესობაში არიან. ოსურ მოსახლეობაში, მხოლოდ უმცირესობა არ უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას. აფხაზური მოსახლეობის კი დაახლოებით ნახევარიც კი არ უჭერს, მაგრამ, ეს არავითარი ძალა არ არის ხუთმილიონიან ქვეყანაში. ეს ერთად აღებული არის სულ

დაახლოებით 80 ათასი ადამიანი. ასე, რომ, აქ დიდ უმცირესობასთან გვაქვს საქმედა, რასაკვირველია რეპრესიებს არ მივმართავთ მათ მიმართ. მათ შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი აზრი და გასაკიცხავი ეს აზრი და იბრძოლონ, ასე ვთქვათ, თავიანთი პოზიციის დასაცავად. ჩვენ არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ ასეთ უმნიშვნელო ოპოზიციას. მითუმეტეს, რომ ისინი, უმეტესწილად, კრემლის მიერ არიან ინსპირირებულნი.

ოსების საკითხს რაც შეეხება, საქართველოში მცხოვრები ოსების დიდი ნაწილი ჩვენ გვიჭერს მხარს და წინააღმდეგია ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა. ამ ოლქის აღდგენას მოითხოვენ მხოლოდ კომუნისტი ექსტრემისტები, რომლებიც ემსახურებიან კრემლის იმპერიას და საბჭოთა ჯარის დახმარებით ებრძვიან ქართულ მოსახლეობას, საქართველოს ამ უძველეს ისტორიულ ნაწილში.

ბატონო ზვიად, ახლა რას უსურვებდით თქვენს ოპონენტებს და ოპოზიციას.

ჩემს ოპონენტებს და ოპოზიციას ვუსურვებდი კეთილსინდისიერი მეთოდებით მოქმედებას და პოლიტიკური, ასე ვთქვათ, ამბიციების დავიწყებას. და უფრო მეტად ფიქრს ქართველი ერის დღევანდელ მდგომარეობაზე. ვინაიდან მათი ე. წ. ოპოზიციური საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ჩემს წინააღმდეგ ბრძოლას, გამოდის საქართველოს წინააღმდეგ და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ. იგი აზიანებს ამ ინტერესებს განსაკუთრებით საზღვარგარეთ, ვინაიდან, ისინი ჩემთან ბრძოლის ჟინით შეპყრობილნი, ჩემი დამარცხების მიზნით, ყალბ ინფორმაციას აგზავნიან საზღვარგარეთ და ამით საქართველოს ინტერესებს აზიანებენ. და ამას არცერთი ერის წარმომადგენელი არ აკეთებს. მაგალითად წარმოუდგენელია ისეთი სომეხი, რომელიც უცხოეთში თავისი ქვეყნის დისკრედიტაციას ეწევა. ასეთი სომეხი არ არსებობს ბუნებაში. და ჩვენ კი, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი გვყავს აი ასეთი პიროვნება, რომელიც თავის თავს ოპოზიციონერს უწოდებს. არც ისეთი აზერბაიჯანელი არ არსებობს, რომელიც აზერბაიჯანს, თავის ერს უტეხს სახელს საზღვარგარეთ და უვრცელებს ყალბ ხმებს. აი. ჩვენ კი, სამწუხაროდ, გვყავს ასეთი ქართველები, რომლებიც პოლიტიკური ამბიციებით და თავისი პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის ცილისწამებას ეწევიან საზღვარგარეთ. ისე, რომ მე ვუსურვებ ჩემს ოპოზიციას, რომ ამაზე დაფიქრდნენ

და არ გამოვიდნენ თავიანთი სამშობლოს მოღალატეების როლში, და თუ მებრძვიან მე მაკრიტიკონ პირადად. შეუძლიათ მაკრიტიკონ, შეუძლიათ ყალბი ხმებიც გაავრცელონ, ოღონდ ჩემზე! ქართველი ერის შესახებ ნუ ავრცელებენ ყალბ ინფორმაციებს. აი, ამას ვუსურვებ მათ (ტაში).

როგორც ჩვენთვის ცნობილია თქვენ აპირებთ საქართველოში მცხოვრები ხალხების ასამბლეის შექმნას. რას ნიშნავს ეს. და რას იტყოდით კომუნისტური მაფიისა და საქართველოში კრიმინოგენული სიტუაციის შესახებ?

რაც შეეხება ასამბლეას, ეს ეხება კავკასიის ხალხთა ასამბლეას და არა მარტო საქართველოში მცხოვრები ხალხების. ჩვენ გვაქვს განზრახული შევქმნათ ფორუმი კავკასიის ხალხებისა, სადაც გაერთიანდებიან ყველანი, ვინც რეპრესირებულია კომუნისტური რეჟიმისაგან, კომუნისტური იმპერიისაგან და ისინი თავიანთი თავისუფლების და ადამიანთა უფლებების დასაცავად გაერთიანდებიან. აი, ასეთი მიზანი გვაქვს.

რაც შეეხება კომუნისტურ მაფიას და კრიმინალებს, სამწუხაროდ იგი ძალზე ძლიერია საქართველოში. სამწუხაროდ, ეს არის მოსკოვის მიერ, ასე ვთქვათ, შექმნილი ძალა, რომელიც ჩვენს ეროვნულ მოძრაობას უპირისპირდება, სახელს უტეხს მას საზღვარგარეთ და რომელიც პირდაპირ მოსკოვიდანაა სუბსიდირებული. უფრო მეტიც: იარაღითაც მარაგდება მოსკოვის აგენტურის მიერ საქართველოში, მათ მიმართ ჩვენ შეურიგებელნი ვიქნებით. ვინაიდან, ისინი დესტრუქციულ ძალას წარმოადგენენ და ემუქრებიან საქართველოს მოსახლეობას, მოქალაქეების უსაფრთხოებას, დამნაშავეობა ძალზედ გავრცელებულია საქართველოში და ეს ყველაფერი, ჩვენ, კომუნისტური რეჟიმის დამსახურებად მიგვაჩნია, ამიტომ, ჩვენ დამნაშავეობას შევებრძოლებით ყველა ძალებით. ვინაიდან საქართველოში კატასტროფული მდგომარეობაა, კრიმინოგენური თვალსაზრისით.

თქვენი კომენტარი, თუ შეიძლება, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მცხოვრები სომხების აბსოლუტურმა უმრავლესობამ თქვენ მოგცათ ხმა?

სხვათაშორის, აი ის დეზინფორმატორები, რომლებიც აქედან აგზავნიან დასავლეთში ცრუ ინფორმაციას და მოტყუებული ყავთ ჟურნალისტები, რომლებიც აქ მე მისვამენ ისეთ შეკითხვებს, რომ-

ლებიც თქვენ მოისმინეთ, ავრცელებენ, რომ მე ვარ სომხების მოსისხლე მტერი და ვაპირებ სომხების გენოციდის მოწყობას საქართველოში. თითქოს სომხებს ვჩაგრავ, და რომ ყველაზე დაჩაგრული ერი საქართველოში სომხები არიან. როგორც ხედავთ აი, ამ „დაჩაგრულმა" სომხებმა, რომელთა მტერიც თურმე ვარ ხმა მომცეს. ასე რომ, მე მგონი ნათელია, რამდენად მართალ ინფორმაციას აგზავნიან აქედან ჩვენი ე. წ. ოპოზიციონერები. იგივე ეხება აზერბაიჯანელებს. ამ ზაფხულში ჩვენმა ე. წ. ოპოზიციამ პრაღაში კონფერენციაზე მიაღწია რეზოლუციის შექმნას, რომელშიც ეწერა, რომ ჩვენ ვართ ყველა ეროვნული უმცირესობის მტრები და ვაპირებთ მათ გასახლებას საქართველოდან. აგრეთვე, ვიწვევთ ეთნიკურ კონფლიქტებს ყველა ეროვნების წარმომადგენლებთან. სინამდვილეში კი, როგორც ხედავთ, საქართველოს არაქართულმა მოსახლეობამ, ძირითადმა მასამ, დიდმა უმრავლესობამ დამიჭირა მხარი ამ არჩევნებში. აი ასე გაბათილდა ყველა სიცრუე, რასაც მთელ მსოფლიოში ეს პროვოკატორები ავრცელებენ.

თქვენ პირველები იყავით ამ საბჭოთა იმპერიაში, ვინც ჩაატარეთ მრავალპარტიული არჩევნები. და პირველდღეებშივე ჩაატარეთ ძალიან კარგად საპრეზიდენტო არჩევნები. თუ შეიძლება კიდევ რაში უნდა იყოთ პირველნი ამ იმპერიაში?

დემოკრატიაში, ადამიანის უფლებების პატივისცემაში და ლოცვაში. და უნდა ვიყოთ ამ ტოტალიტარულ იმპერიაში დემოკრატიული კუნძული, რომელიც მთელ მსოფლიოს ჩვენებს, თუ რა შეუძლია მთელი ერის, მთელი მოსახლეობის გაერთიანებულ ბრძოლას და ძალისხმევას. ამას ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ.

ბატონო ზვიად, თანამედროვე ან წარსული დროის რომელი პოლიტიკოსი, ქართველი თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენელია თქვენთვის ყველაზე ახლო თავისი მოღვაწეობით და სულიერი კულტურით?

ჩემთვის ყველაზე ახლობელი პოლიტიკური მოღვაწე დღევანდელობაში არის პრეზიდენტი რეიგანი. რომლის უდიდესი თაყვანისმცემელიც ვარ და დავრჩები ასეთად მთელი ჩემი ცხოვრება. არც თუ ისე შორეულ წარსულში უდიდეს პატივს ვცემდი პრეზიდენტ დე გოლს, რომელიც აგრეთვე მიმაჩნია იდეალად სახელმწიფო მოღვაწისა.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ხომ არ გვეტყოდით როგორ პროგნოზს აკეთებთ აფხაზეთის მოვლენების შემდგომ განვითარებაზე, რადგან თუნდაც

აფხაზეთის მოსახლეობის უმცირესობა ცალკე დგას საქართველოსაგან, თუნდაც ეს ასე იყოს არძინბა მონაწილეობდა იმ რესპუბლიკის შეკრებაზე, რომლებიც აპირებენ ცალკე მოაწეროს ხელი საბჭოთა კავშირის შესაბარჩუნებლად. ასევე, ამბობენ, რომ აფხაზეთში უკვე შესულია საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების ნაწილები, არ ვიცი მართალია თუ არა, მაგრამ ასე ამბობენ. როგორ განვითარდება ეს მოვლენები, უფრო სწორედ, როგორი გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოთ, როცა ერთი მხრივ ისინი ხელს აწერენ სამოკავშირო ხელშეკრულებაზე, ხოლო მეორე მხრივ, საქართველო მოითხოვს გამოყოფას. მეორე შეკითხვაც, ადვაძე, რომელმაც მიიღო წინასწარი მონაცემებით ხმების 7 პროცენტი ამბობდა, რომ ის ყოველთვის მომხრეა თქვენთან თანამშრომლობისა და რომ ის, ყოველთვის მზას არის იმუშაოს საქართველოს სასიკეთო საქმის საკეთებლად და რომ არსებობს რაღაც გაერთიანებული ფორუმი, რომელშიც პრაქტიკულად მონაწილეობს მთელი ოპოზიციაც. ფიქრობთ თუ არა, გააკეთოთ რაიმე ჟესტი ოპოზიციასთან თუ უბრალოდ გააგრძელებთ მათ იგნორირებას.

პირველ შეკითხვაზე მინდა მოგიგოთ, რომ აფხაზეთში ჩატარდა რეფერენდუმი, საბჭოთა რეფერენდუმი, რომელშიც მოხდა გაყალბება შედეგებისა. რეფერენდუმი ფალსიფიცირებული იყო, ასე რომ, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს არძინბას არა აქვს უფლება აფხაზეთის მოსახლეობის სახელით ამტკიცოს, რომ აფხაზეთის მოსახლეობას სურს საკავშირო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და თუ ის მაინც გააკეთებს ამას, გადადგამს ამ ნაბიჯს, მიიღებს კატასტროფულ შედეგებს მისი და მთელი მისი „კლიკისათვის". მაგრამ ის, ამას ვერ მიაღწევს იმიტომ, რომ აფხაზეთის პარლამენტში ძალთა ისეთი თანაფარდობაა, რომელიც მას ამის ნებას არ მისცემს. მაგრამ, ეს არის შანტაჟი საქართველოს წინააღმდეგ ცენტრის მხრივ. არძინბას ასეთი პროვოკაციული მოქმედება, რისთვისაც აუცილებლად მოსთხოვს პასუხს აფხაზეთის მოსახლეობა.

გარდა ამისა, აფხაზეთში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, რომელშიც აფხაზეთის მოსახლეობის 62 პროცენტმა მისცა ხმა. ასე რომ, აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა მომხრეა საქართველოს დამოუკიდებლობის. ამ რეფერენდუმს ნამდვილი იურიდიული ძალა აქვს. იმიტომ, რომ იგი არ ყოფილა ფალსიფიცირებული. წინა რეფერენდუმი კი ფალსიფიცირებული იყო. ჩვენ, პროკურატურის მონაცემები გვაქვს ამის შესახებ.

რაც შეეხება ადვაძის განცხადებას, თითქოს ის ცდილობდა ჩვენთან თანამშრომლობას და კარგი ურთიერთობის დამყარებას, ეს სრული სიცრუეა და სიყალბეა, რასაც ის ყოველდღიურად ღაღადებს. ასევე სიცრუეა, რაც ყველა მისი განაცხადი. გარდა ამისა, მისი დახმარება ჩვენ არ გვჭირდება არც ეკონომიკაში. სხვათა შორის, ის არის კომუნისტური მარქსისტული ეკონომიკის წარმომადგენელი ოფიციალური მრჩეველი ცენტრალური კომიტეტების მდივნებისა შევარდნაძისა, პატიაშვილისა, რომლებმაც დააქციეს ჩვენი ეკონომიკა. ჩვენ ეკონომიკის მრჩეველებად გვინდა მოვიწვიოთ იმ ქვეყნებიდან ეკონომისტები, რომლებმაც მოახდინეს ეკონომიკური სასწაულები. კერძოდ: იაპონიიდან, დასავლეთ გერმანიიდან, სამხრეთ კორეადან და სხვა. ადვაძის მსგავსი რეტროგრადები, მარქსისტული, სოციალისტური ეკონომიკის წარმომადგენლები, სულ არ გვჭირდება ჩვენ არაფერში.

ოპოზიციის გაერთიანებას რაც შეეხება, ისინი გაერთიანდნენ, მაგრამ ქართველი ხალხის ერთმა პროცენტმაც კი არ დაუჭირა მათ მხარი, როგორც ხედავთ, უმრავლესობა ხმებისა ადვაძემ მიიღო არაქართველებისაგან და სხვათა შორის სამხედროთა ოჯახებისაგან.

დადის ხმები, რომ შევარდნაძე აპირებს გაეროს გენერალურ მდივნობას. როგორ აფასებთ ამას და მეორეც, საერთოდ გქონდათ თუ არა რაიმე ურთიერთობა ამ ბოლო დროს შევარდნაძესთან?

ჩემის აზრით გაეროს მდივნობა შეუძლებელია შევარდნაძისათვის, იმის გამო, რომ ის არის წარმომადგენელი საბჭოთა კავშირისა. ხოლო, როგორც ცნობილია გაეროს მდივნებად უფრო მესამე სამყაროს წარმომადგენლებს აქვთ შანსი. კერძოდ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც არ შედიან უშიშროების საბჭოში. ეს ელემენტარულად შეუძლებელია. გარდა ამისა, მან არ იცის ინგლისური ენა, არ იცის ფრანგული ენა. რაც აუცილებელია გაეროს გენერალური მდივნისათვის. მე მგონი, უფრო სარეკლამო მიზნები აქვს შევარდნაძისათვის ასეთი ამბების განცხადებას. რაც შეეხება **მასთან** ურთიერთობას მე მაქვს მასთან ურთიერთობა. კონტაქტები მაქვს და კატეგორიულად მოვუწოდებ შეწყვიტოს ამ იმპერიის სამსახური და ჩადგეს ქართველი ერის სამსახურში. და დაეხმაროს ჩვენი პრობლემების სწორად გაშუქებას მსოფლიოში, რასაც იგი სამწუხაროდ არ აკეთებს.

ჩემი შეკითხვა აქ მყოფი ჩეხეთსლოვაკეთის ჟურნალისტების ინტერესების გამოვლინებაცაა. დღეს, თქვენთან იმყოფებოდა ჩეხეთსლოვა-

კეთის პარლამენტის ჯგუფი. თუ შეიძლება გვითხარით, რა კონკრეტულ საკითხებზე იყო საუბარი, რა სამომავლო კონკრეტული გეგმები დაისახა ჩეხეთსლოვაკეთთან ურთიერთობასთან დაკავშირებით. ან თუ ოფიციალურ დონეზეა მოსალოდნელი თქვენი შეხვედრა თქვენს პირად მეგობართან და ჩეხეთსლოვაკეთის პრეზიდენტთან ჰაველთან.

არის მოლაპარაკება ჩვენს ქვეყნებს შორის უფრო ინტენსიურ პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა ურთიერთობებზე და სწორედ ამ მიმართულებით განვითარდება ყველაფერი.

თქვენ გახდით საქართველოს პრეზიდენტი. ხალხის ერთი ნაწილი ამბობს, რომ პრეზიდენტის პოლიტიკური კურსი სხვანაირი იქნება. თუ შეიძლება ამის შესახებ გვითხარით რამე.

არასწორი აზრია, ჩვენ პოლიტიკური კურსის შეცვლას არ ვაპირებთ, ჩვენი პოლიტიკური კურსი ყოველთვის დაემყარება სამართლის პრინციპებს, ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს, მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ დავუშვებთ ანარქიას საქართველოში. ანარქია დესტაბილიზაციას, და კრემლის ბნელი ძალების თარეშს.

როგორია თქვენი ურთიერთობა ამერიკის კონგრესთან?

ამერიკის კონგრესთან გვაქვს საუკეთესო ურთიერთობები. თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, თუმცა ამას შეიძლება მე არ უნდა ვამბობდე, მაგრამ მე მგონი ჯერ საბჭოთა კავშირიდან არც ერთ პიროვნებას არ ღირსებია ის, რომ მის საპატივცემულოდ ამერიკის კონგრესის კაპიტოლიუმის შენობაზე დროშა აღემართათ. კონგრესმენების დიდ ჯგუფი ჩვენ გვიჭერს მხარს, განსაკუთრებით ბატონი მაკკუინი და ალბათ, აგვისტოს ბოლოს საქართველოში ჩამოვლენ და გვექნება სერიოზული საინტერესო მოლაპარაკებები.

კიდევ ერთი შეკითხვა. ახლახან მოვიდა ინფორმაცია, რომ 6 რესპუბლიკა, რომელიც არ მოაწერს ხელს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, თითქოს გუშინ შეხვდნენ ერთმანეთს და ცდილობენ თავისი მოქმედების კოორდინაციას. საქართველო მასში მონაწილეობს?

საქართველო მონაწილეობს და მონაწილეობას მიიღებს აი, ამ 6 რესპუბლიკის საკოორდინაციო მოქმედებაში და აუცილებლად შევქმნით ერთიან ანტიიმპერიალისტურ ფრონტს, რომელიც დაუპირისპირდება კრემლის ყოველგვარ დიქტატსა და მის მცდელობებს ჩვენი სუვერენიტეტის ხელყოფისას.

პრეზიდენტის ინსტიტუტის დამკვიდრება საქართველოში რამდენად

შეუწყობს ხელს ჰელსინკის პროცესში საქართველოს მონაწილეობას.

მე მგონი ძალიან შეუწყობს ხელს იმის გამო, რომ ჰელსინკის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა და მათი პრინციპი არის სწორედ ისეთ ქვეყნებთან ურთიერთობა, სადაც არის ნამდვილი დემოკრატია და დაცულია ადამიანის უფლებები.

თუ შეიძლება მოგვახსენეთ თქვენი, როგორც პრეზიდენტის პირველი ნაბიჯების შესახებ?

ჩემი ნაბიჯები დაკავშირებულია სწორედ საქართველოს პოზიციის განმტკიცებასთან საერთაშორისო ასპარეზზე, უნდა მივაღწიოთ საქართველოს აღიარებას მსოფლიო ქვეყნების მიერ, საქმიანობა ძირითადად ამისკენ იქნება მიმართული. მეორეც, ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილიზაციისაკენ, ისეთი ღონისძიებებისაკენ, რომელიც გააუმჯობესებს ხალხის ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ ორი ძირითადი მიმართულებით ვიმუშავებთ.

წინასაარჩევნო კამპანიაში, თქვენსა და პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ურთიერთობა მეტად დაძაბულად განვითარდა, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი პრეზიდენტობის კანდიდატი და მათი ნდობით აღჭურვილი პირი დღევანდელი მთავრობის ყოველგვარ მოქმედებას დიქტატორულს უწოდებდა, ალბათ, ყველასათვის საინტერესო იქნება, როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება მომავალში?

მე არავითარ, ასე ვთქვათ გამწვავებას არ ვაპირებ არც ერთ მათგანთან და მართალი გითხრათ, არც მიმაჩნია ისინი რაიმე რეალურ საფრთხედ ჩვენი ხელისუფლებისა და ჩვენი სახელმწიფოსთვის. . სიცრუე და ასეთი ყალბი ლოზუნგები, ყალბი კრიტიკით გამოსვლა ჩვენ პირიქით გვიწყობს ხელს. მე მიმაჩნია, რომ აი, ის ფაქტი რომ მე ამდენი ხმა მოვაგროვე მათი დამსახურებაა. მათმა უსამართლო კრიტიკამ, მათმა ცილისწამებამ ჩემზე, აღაშფოთა ხალხი და იმიტომ მომცეს ამდენი ხმა. შეიძლება მე მიმელო დაახლოებით 65 პროცენტი, უცხოელებს შეიძლება ეს გაუკვირდეს, მაგრამ იმდენად უსამართლო იყო მათი გამოსვლები, იმდენად ცრუ და ყალბი, რომ ხალხმა გადაწყვიტა ისინი საერთოდ დატოვოს ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე.

უამრავი ადამიანი, რომელიც პირიქით ჩემს მიმართ ნეგატიურად იყო განწყობილი, მათ გადმოიყვანეს ჩემს მხარეზე. ჩემს მხარეზე გადმოიყვანეს აი, ამ კრიტიკით ძალიან ბევრი.

სხვათა შორის პირველი არჩევნების დროსაც ასე იყო. მაშინაც იყო ძალიან დიდი ნაწილი მოსახლეობის, რომლებიც არ აპირებდნენ ჩვენთვის ხმის მოცემას, მაგრამ კომუნისტური რეჟიმი მაშინ ასევე კავშირდა ე. წ. ოპოზიციას, რომელიც მასთან ასე ვთქვათ თანამშრომლობდა ფარულად და არჩევნების წინა ღამეს გამოიყვანეს ერთი პიროვნება, ტელევიზიით ე.წ. დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე წერეთელი და ალანძღინეს ჩემი თავი. ამან მე ოცი პროცენტით მომიმატა ხმები მაშინ. საერთოდ იმდენად აღმაშფოთებელი იყო ამ პიროვნების გამოსვლა, რომ მოსახლეობამ, იმ ნაწილმაც კი, რომელიც არ აპირებდა ხმის მიცემას, მოგვცა ხმა. იგივე მოხდა ახლაც, მათ რომ ცოტა მეტი პოლიტიკური ტაქტი ჰქონოდათ, ალბათ სხვანაირად უნდა წარემართათ ეს კამპანია.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 30 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

1991 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების საერთაშორისო მეთვალყურეთა დასკვნა

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი 1991 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწვეული დამკვირვებლები ვართ. ჩავატარეთ რა საარჩევნო პროცესის ზედამხედველობა ვაცხადებთ შემდეგს:

არჩევნებმა ამომრჩეველთა თავისუფალი ნება გამოხატა და დემოკრატიული არჩევნების საყოველთაო ნორმების მიხედვით წესისამებრ წარიმართა.

ჩვენი დაკვირვებით ამომრჩევლებზე ზეგავლენის და საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის შემთხვევები არ ყოფილა.

რამდენიმე მეთვალყურემ უმნიშვნელო გადახრები შეამჩნია საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით, იყო უმნიშვნელო დარღვევებიც, რომლებიც გავლენას ვერ მოახდენდა საარჩევნო პროცესზე, ხმის მიცემაზე ან კიდევ საბოლოო შედეგზე.

ვითვალისწინებთ რა საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მცირე გამოცდილებას, ვაცხადებთ, რომა არჩევნები ჩინებულად იყო ორგანიზებული.

თუ მომავალ არჩევნებში საქართველოს ხელისუფლება გადაწყვეტს უცხოელ მეთვალყურეთა მოწვევას, სასურველი იქნებოდა შემდეგი რჩევის გათვალისწინება:

არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ერთ საარჩევნო უბანში რამდენიმე მეთვალყურის ერთად გაგზავნა. უფრო თანაბარი განაწილებით შესაძლებელი იქნებოდა მეთვალყურეობის გეოგრაფიის გაფართოება.

საარჩევნო კომისიებმა თავიანთი ინიციატივით უნდა წარუდგინონ საერთაშორისო მეთვალყურენი კომისიის წევრებს.

თბილისი. 1991 წლის 27 მაისი.

საერთაშორისო მეთვალყურეთა ჯგუფი, სულ 27 ხელმოწერა

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 30 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიშინიოვის ფორუმის
დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

კიშინიოვის ფორუმი ადასტურებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პარტიებს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და საერთაშორისო სამართლის სხვა პრინციპების ერთგულია და აცხადებს:

კონფლიქტების გაძლიერება, იმის გამო, რომ დამონებულ ხალხებს უარს ეუბნებიან თავისუფლებაზე ან დაბრკოლებებს უქმნიან თავისუფლების გზაზე, სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას.

სსრ კავშირის ვითარების მოწესრიგება და მსოფლიო სტაბილურობა შეუძლებელია ისე, თუ არ ცნეს და დაიცვეს რესპუბლიკების უფლებები, რომლებიც სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის გზას დაადგნენ.

სსრ კავშირი, რომელიც უგულებელყოფს ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას, ჩვენი ხალხებისა და სახელმწიფოების წინააღმდეგ ეკონომიკურ ბლოკადებს, იდეოლოგიურ ომს, სახელმწიფო ტერორიზმს და უშუალო სამხედრო აგრესიას მიმართავს სახელმწიფო გადატრიალების მიზნით, პროვოკაციულად იწვევს და ახალისებს პროსაბჭოური დაჯგუფებების სეპარატისტულ ტენდენციებს.

მშვიდობისა და თავისუფლების პირობებში ჩვენი ხალხების სახელმწიფო დამოუკიდებლობის უფლების განხორციელების მიზნით, სსრ კავშირმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ყოველგვარი ზეგავლენა გარედან და გაიყვანოს თავისი საოკუპაციო სტრუქტურები (ჯარები, სუკი, სკკპ და სხვა). ჩვენი ქვეყნების ტერიტორიიდან.

ხალხებს განუყოფელი უფლება აქვთ დამოუკიდებლად განსაზღვრონ და დააწესონ თავიანთი პოლიტიკური სტატუსი, უზრუნველყონ საკუთარი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება, განახორციელონ თავიანთი სახელმწიფო სუვერენიტეტი, და ამ უფლების ყოველგვარი ხელყოფა ადამიანის ძირითად უფლებათა უხეში დარღვევაა, ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგა-

ნიზაციის წესდებას და აბრკოლებს მსოფლიოში სტაბილურობის შენარჩუნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია ისე, თუ არ უზრუნველვყავით ადამიანის ძირითადი უფლებები, არ დავიცავით ეროვნულ უმცირესობათა უფლებები საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

ქ. კიშინიოვი.
1991 წლის 25 მაისი.

სომხეთის საერთო ეროვნული მოძრაობის სახელით
დავით შახნაზარიანი;
სომხეთის ეროვნული მოძრაობის გამგეობის წევრი;
ესტონეთის სახალხო ფრონტის სახელით
ანდრეს ეხინი
ესტონეთის სახალხო ფრონტის საბჭოს წევრი;
საქართველოს „მრგვალი მაგიდის "სახელით
გია მაისაშვილი
ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი და „მრგვალი მაგიდის" წევრი;
ლატვიის სახალხო ფრონტის სახელით
მალდა შინტა,
ლატვიის სახალხო ფრონტის სათათბიროს წევრი;
ლატვიის „საიუდისის" მოძრაობის სახელით
ალვიდას მედალინსკასი,
„საიუდისის" სეიმის საბჭოს წევრი;
მოლდოვეთის სახალხო ფრონტის სახელით
იურიე როშკა,
მოლდოვეთის სახალხო ფრონტის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 30 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხეთის საერთო ეროვნული მოძრაობის, ესტონეთის სახალხო ფრონტის, საქართველოს „მრგვალი მაგიდის", ლატვიის სახალხო ფრონტის, ლიტვის „საუდისის" მოძრაობისა და მოლდოვეთის სახალხო ფრონტის

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

კიშინიოვის ფორუმის დაფუძნების შესახებ

სომხეთის საერთოეროვნული მოძრაობის, ესტონეთის სახალხო ფრონტის, საქართველოს „მრგვალი მაგიდის", ლატვიის სახალხო ფრონტის, ლიტვის „საუდისის" მოძრაობისა და მოლდოვეთის სახალხო ფრონტის სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რომლებიცხელმძღვანელობენ იმით, რომ ჩვენმა ხალხებმა დეკოლონიზაციის და სახელმწიფო დამოუკიდებლობის გზა აირჩიეს,

ითვალისწინებენ ჩვენი ქვეყნების ტერიტორიის ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტს, ხელმძღვანელობენ ჰელსინკის პროცესის ძირითადი პრინციპებით,

ერთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე, რომელსაც ითვალისწინებს დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ(გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1960 წლის 14 დეკემბრის 1514 (XV) რეზოლუცია) და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად სახელმწიფოებრიობის აღდგენის უფლების საფუძველზე, მხედველობაში იღებენ სიტუაციას, რომელიც შეიქმნა რეფერენდუმის შემდეგ, თავს რომ მოახვია სსრ კავშირმა და უარყვეს ჩვენმა ხალხებმა, ითვალისწინებენ, რომ იმპერიის შენარჩუნების მიზნით სსრ კავშირი ჩვენს სახელმწიფოებზე პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო ზეგავლენას ახდენს,

ესმით პოლიტიკური, ეკონომიკური და დიპლომატიური ძალისხმევის კოორდინაციის აუცილებლობა ჩვენი ქვეყნების სახელმწიფო დამოუკიდებლობის და პრაქტიკული რეალიზაციისათვის,

აფუძნებენ სამოკავშირეო ხელშეკრულების უარმყოფელი რესპუბლიკების სახალხო ფრონტებისა და მოძრაობის ასაბლეას **კიშინიოვის ფორუმს**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიშინიოვის ფორუმის მიზნებია:

კორდინაცია გაუწიოს საქმიანობას და მოაწყოს ერთიანი პოლიტიკური აქციები;

ხელი შეუწყოს უშუალო ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარებას;

უზრუნველყოს ინფორმაციის სისტემური გაცვლა და გავრცელება.

კიშინიოვის ფორუმი მხარეთა თანაბარი წარმომადგენლობის საფუძველზე იქმნება და რეგულარულად (სულ ცოტა თვეში ერთხელ) მოაწყობს სხდომებს რიგრიგობით ჩვენს ქვეყნებში.

კიშინიოვის ფორუმი ესწრაფვის მხარი დაუჭიროს და განავითაროს თანამშრომლობა დემოკრატიულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან.

ქ. კიშინიოვი. 1991 წლის 25 მაისი.

სომხეთის საერთო ეროვნული მოძრაობის სახელით
დავით შახნაზარიანი;
სომხეთის ეროვნული მოძრაობის გამგეობის წევრი;
ესტონეთის სახალხო ფრონტის სახელით
ანდრეს ეხინი
ესტონეთის სახალხო ფრონტის საბჭოს წევრი;
საქართველოს „მრგვალი მაგიდის "სახელით
გია მაისაშვილი;
ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი და „მრგვალი მაგიდის" წევრი;
ლატვიის სახალხო ფრონტის სახელით
მალდა შინტა,
ლატვიის სახალხო ფრონტის სათათბიროს წევრი;
ლატვიის „საიუდისის" მოძრაობის სახელით
ალვიდას მედალინსკასი,
„საიუდისის" სეიმის საბჭოს წევრი;
მოლდოვეთის სახალხო ფრონტის სახელით
იურიე როშკა,
მოლდოვეთის სახალხო ფრონტის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 30 მაისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიშინიოვის ფორუმის მიმართვა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

გენერალურ მდივანს ბატონ პერეს დე კუელიარს

სსრ კავშირის პრეზიდენტს ბატონ მიხეილ გორბაჩოვს

კიშინიოვის ფორუმი გმობს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, რომელიც ცდილობს საქართველოს რესპუბლიკაში ეთნიკური შუღლი გააჩაღოს იმ მიზნით, რომ ზეგავლენა მოახდინოს და ხელი მოაწერინოს რესპუბლიკისაგან უარყოფილ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე.

ჩვენი აზრით, სსრ კავშირის ხელმძღვანელობის პოლიტიკა, რომელსაც თან სდევს ადამიანთა მსხვერპლი, განწირულია, რადგან შეუძლებელია მეგობრობისა და ერთმანეთის პატივისცემის უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართველ და ოს ხალხებს შორის მტრობის გაუთავებელი გაღვივება.

ჩვენ მოვითხოვთ, ბოლო მოელოს საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩაღებულ კომპანიას ერთაშორისი შუღლის გაღვივების მიზნით, შეწყდეს სამხედრო აგრესია და ყოველგვარი ჩარევა საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში და დაუყოვნებლივ გაიყვანონ საბჭოთა ჯარები მისი ტერიტორიიდან.

ქ. კიშინიოვი. 1991 წლის 25 მაისი.

სომხეთის საერთო ეროვნული მოძრაობის სახელით დავით შახნაზარიანი;
სომხეთის ეროვნული მოძრაობის გამგეობის წევრი;
ესტონეთის სახალხო ფრონტის სახელით ანდრეს ეხინი
ესტონეთის სახალხო ფრონტის საბჭოს წევრი;
საქართველოს „მრგვალი მაგიდის“ სახელით გია მაისაშვილი
ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი და „მრგვალი მაგიდის” წევრი;
ლატვიის სახალხო ფრონტის სახელით მალდა შინტა,
ლატვიის სახალხო ფრონტის სათათბიროს წევრი;
ლატვიის „საიუდისის” მოძრაობის სახელით ალვიდას მედალინსკასი,
„საიუდისის” სეიმის საბჭოს წევრი;
მოლდოვეთის სახალხო ფრონტის სახელით იურიე როშკა,
მოლდოვეთის სახალხო ფრონტის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“. 30 მაისი. 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიშინიოვის ფორუმის მიმართვა

სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს;

სსრ კავშირის პრემიერ-მინისტრს ვ. ს. პავლოვს;

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს ბ. კ. პუგოს;

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს დ. ტ. იაზოვს;

ამ ბოლო თვეების მანძილზე, პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ომონის ქვედანაყოფები ბანდიტურად ესხმოდნენ თავს საბაჟო კონტროლის პუნქტებს და ლატვიის რესპუბლიკაში, ლიტვის რესპუბლიკაში და ესტონეთის რესპუბლიკაში ხელთ იგდეს შენობა – ნაგებობანი.

საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფები დღემდე რჩებიან რიგისა და ვილნიუსის ჯერ კიდევ იანვარში ოკუპირებულ ბეჭვდითი სიტყვის სახლებში, აგრეთვე ლიტვის ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის შენობაში. ლიტვის რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის მრავალგზისი მიმართვის მიუხედავად, ვილნიუსის სისხლიანი ამბების დამნაშავენი ჯერაც არ დაუსჯიათ და არც კი დაუდგენიათ. ასეთი დაუსჯელობა ძალადობის ახალახალ ტალღებს იწვევს.

სსრ კავშირის ხელმძღვანელობა და პირადად სსრ კავშირის პრეზიდენტი მთლიანად აგებენ პასუხს ადამიანთა დაღუპვისათვის, მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალისათვის.

კიშინიოვის ფორუმი მტკიცე პროტესტს აცხადებს და მოითხოვს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მხრივ ტერორისა და პროვოკაციების შეწყვეტას და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ომონის დაუყოვნებლივ დაშლას.

ჩვენ მოვითხოვთ გაათავისუფლონ სსრ კავშირის შეიარაღებული ფორმირებების მიერ ხელში ჩაგდებული შენობანაგებობანი და გადასცენ ისინი კანონიერად არჩეულ ხელისუფალთ.

ქ. კიშინიოვი. 1991 წლის 25 მაისი.

სომხეთის საერთო ეროვნული მოძრაობის სახელით დავით შახნაზარიანი,

სომხეთის საერთო ეროვნული მოძრაობის გამგეობის წევრი;

საქართველოს „მრგვალი მაგიდის" სახელით გია მაისაშვილი,

ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი და „მრგვალი მაგიდის" წევრი;
მოლდოვეთის სახალხო ფრონტის სახელით იურიე როშკა,
მოლდოვეთის სახალხო ფრონტის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
ესტონეთის სახალხო ფრონტის სახელით ანდრეს ეხინი,
ესტონეთის სახალხო ფრონტის საბჭოს წევრი;
ლატვიის სახალხო ფრონტის სახელით მალდა შინტა,
ლატვიის სახალხო ფრონტის სათათბიროს წევრი;
ლატვიის „საუდისის" მოძრაობის სახელით ალვიდას მედალინსკასი,
„საიუდისის" სეიმის საბჭოს წევრი;
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 30 მაისი, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * * *

პ რ ო ე ქ ტ ი

კიშინიოვის ფორუმის მიმართვა სომხეთის, ესტონეთის, საქართველოს, ლატვიის, ლიტვისა და მოლდოვეთის პარლამენტებს

ჩვენ, ექვსი სახელმწიფოს პოლიტიკური მოძრაობის სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ჩვენი ქვეყნების პარლამენტებს მოვუწოდებთ ამიერიდან უარი თქვან საბჭოთა კავშირის, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩვენი წარმომადგენლის სამსახურზე, რადგან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სსრ კავშირს არავითარი იურიდიული საფუძველი არა აქვს.

ყოველ პარლამენტს წინადადებას ვაძლევთ გამონახოს თავისის ქვეყნის შესაფერისი დელეგაცია, რომელიც წარმოდგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მზად არის მოცემული რესპუბლიკის ინტერესებს წარმოადგენდეს, სანამ მას თვითონ არ ეყოლება სრულუფლებიანი წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ქ. თბილისი. ივნისი.

სომხეთის საერთოეროვნული მოძრაობა; ესტონეთის სახალხო ფრონტი; ლატვიის სახალხო ფრონტი; ლატვიის „საუდისის" მოძრაობა; მოლდოვეთის სახალხო ფრონტი; საქართველოს „მრგვალი მაგიდა".

მინაწერი: საქართველოს დელეგაციის თხოვნით, ფორუმის მონაწილენი ივნისში უნდა შეიკრიბონ თბილისში. შეკრებაზე უნდა მიიღონ მიმართვა, რომლის პროექტი ზემოთ არის დაბეჭდილი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა". 30 მაისი. 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ბატონ ზვიდ გამსახურდიას ინტერვიუ, რომელიც გაზ. მისცა თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ცენტრალური გაზეთის "თურქიას" რედაქტორს ევროპის დეპარტამენტის ხაზით ბატონ გილალ ქოჩაკს და ეკონომიკურ მიმომხილველს ბატონ ენგინ სენოლს

ბატონო პრეზიდენტო, გაზეთი „თურქიას" რედაქციის ყველა წევრის სახელით მაქვს პატივი მოგესალმოთ და მოგილოცოთ საქართველოს პრეზიდენტად არჩევა. ასეთი უზარმაზარი უპირატესობით გამარჯვება არჩევნებში შესანიშნავია. თქვენ ჭეშმარიტად სახალხო გმირი ბრძანდებით. ბევრი წამება და გაჭირვება გადაიტანეთ, არ შეშინდით საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, დიდი გზა გამოიარეთ და ღირსეულ ადგილას მოხვედით. ჩვენ ეს გვსმენია თურქეთში და ახლა თვალნათლივ დავრწმუნდით. გმადლობთ, რომ მოიცალეთ და დაგვთანხმდით ინტერვიუზე. ვეცდებით დიდად არ მოგაბეზროთ თავი. გვინდა ჩვენი საუბარი ერთგვარად ნაწილებად დავყოთ; იგი შეეხება მსოფლიო პოლიტიკურ სიტუაციას, საბჭოთა კავშირს და საქართველოს დღევანდელ დღეს.

შარშან პარიზის ცნობილი შეხვედრის შემდეგ, სადაც 55 ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობა შეიყარა, საბოლოოდ შეწყდა „ცივი ომი", კიდევ უფრო გამოიკვეთა პოლიტიკური შერბილების პროცესი. თქვენ როგორ აფასებთ მსოფლიოს დღევანდელ ვითარებას და საბჭოთა კავშირის პოზიციას?

მართალია, დღეს ვითარება შეიცვალა, მსოფლიოს პროგრესიული საზოგადოების ძალისხმევით საომა აზრმა იმარჯვა, საბჭოთა კავშირი უფრო რეალისტური პოლიტიკის გზაზე დააყენეს (მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის დაშლა, გერმანიის გაერთიანება და ა. შ.) მან შეწყვიტა „ცივი ომი" საზღვარგარეთ, მაგრამ კომუნისტურმა რეჟიმმა „ცივი ომი" ახლა ქვეყნის შიგნით წამოიწყო იმ რესპუბლიკების წინააღმდეგ, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ეს „ცივი ომი" ნამდვილ ომშიც კი გადაიზრდება ხოლმე

კავშირის სხვადასხვა წერტილებში, რაც გამოიხატება საბჭოთა ჯარების თავდასხმით რესპუბლიკებზე. უშუალო შეიარაღებული ჩარევის ნათელი მაგალითია ბალტიისპირეთი და კავკასიის რეგიონალური კონფლიქტები. მოსკოვი პირდაპირ აგრესიას მიმართავს საქართველოს წინააღმდეგ ჩრდილოეთ საქართველოში, ანუ ყოფილ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოლქში. გრძელდება მუქარა კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ. თუ ბრეჟნევის დოქტრინა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეიარაღებული ძალით დამორჩილება და მათზე დიქტატი იყო, გორბაჩოვის დოქტრინა შინაკავშირის ქვეყნების ძალით დამორჩილებაა. აი, ასეთია დღეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური კურსი. ცენტრის ძალები ცდილობენ სამხედრო ძალით ჩაახშონ დემოკრატია და დამონებული ერების სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

როგორ ფიქრობს ბატონი პრეზიდენტი, ნუთუ უკან დაბრუნებას ნიშნავს ეს ყველაფერი?

დიახ, უკან, ტოტალიტარიზმისკენ დაბრუნება სურთ, რისთვისაც თავგამოდებით იბრძვის ე. წ. საბჭოთა პარლამენტში საკმაოდ მძლავრი ფრაქცია „სოიუზი", იგი სისხლიანი რეპრესიების მომხრეა დემოკრატიის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

70 წლის განმავლობაში კომუნისტური რეჟიმით ცხოვრობდა ქვეყანა. თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მთელი შეგნებული ცხოვრება იბრძოდით ამ რეჟიმის წინააღმდეგ. რა შეგიძლიათ გვითხრათ „კომუნიზმის" შესახებ, რა არის ეს „კომუნიზმი"? საერთოდ როგორ აღიქვამთ სიტყვა „კომუნისტს"?

როგორც ყოველგვარი სიცრუის და სიყალბის სიმბოლოს! რაც შეეხება თვითონ კომუნიზმის თეორიას, ეს არის უდიდესი საფრთხე კაცობრიობისათვის, მისი მომავლისათვის. კომუნიზმი ნიშნავს ყოველგვარი დემოკრატიის, ყოველგვარი ეროვნული თვითგამორკვევის, განადგურებას, იგი ანტიკულტურული და ანტიადამიანური, დემონური მოძღვრებაა.

დღეს, კრემლი ინიღბება დემოკრატიული ლოზუნგებით, ვითომცდა „პერესტროიკით" და „გლასტნოსტით", მაგრამ საქმით კვლავ ივივეს განაგრძობს, რასაც აკეთებდა წინა პერიოდის მთავრობა.

ბოლო 8 წელია მთელი მსოფლიოს პრესა გორბაჩოვზე „პერესტროიკაზე" და „გლასტნოსტზე" ლაპარაკობს და თქვენი აზრით ეს მაინც ნილა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია? და კიდევ, იგივე საბჭოთა პარლამენტში რუსი დემოკრატები ამბობენ, რომ კომუნიზმით რუსული შოვინიზმი ინიღბება და ბოგინობს. თქვენ ამას ბრძანებთ?

სრული ჭეშმარიტებაა. რასაკვირველია ნიღაბია. ვინაიდან მსოფლიოში კომუნისტურ იდეებს, ტოტალიტარიზმს საბოლოოდ გაუტყდა სახელი. ამიტომ მოიგონეს საბჭოთა წყობის ეს ახალი ფორმები „პერესტროიკა" და „გლასტნოსტი", რაც არაფერ სიკეთეს არ აძლევს დაპყრობილ ერებს. კრემლი ისევ აგრძელებს თავის შოვინისტურ და დამპყრობლურ პოლიტიკას, და ისიც სწორია, რომ რუსული შოვინიზმის ნიღაბია ეს ყოველივე.

დღეს ჯარები გერმანიიდან და ჩეხოსლოვაკიიდან მოჰყავთ ჩვენთან, ვითომდა, ადგილი არა გვაქვს და რა ვქნათო. აღმოსავლეთი ევროპა დაკარგეს და ეხლა ეს ერები უნდათ შეინარჩუნონ მონებად. აი, გორბაჩოვის დოქტრინის პრაქტიკული განხორციელება.

გორბაჩოვსა და ელცინს თუ ადარებთ ერთმანეთს? ამბობენ, ელცინი გორბაჩოვის მიმდევარია, ოღონდ გაცილებით რეაქციულიო?!

ძალიან ძნელია ამის თქმა, სანამ ელცინი არჩევნებს არ დაამთავრებს, სანამ არ გაიმარჯვებს და არ გამოჰკვეთს თავის პოლიტიკურ კურსს.

გორბაჩოვის პოლიტიკა კი ეს იგივე ძველი ლენინურსტალინისტურო იმპერიალისტური პოლიტიკაა, ოღონდ შელამაზებული იმ ე. წ. „პერესტროიკით" და „გლასტნოსტით", ვითომცდა უფრო დემოკრატიული სამოკავშირეო ხელშეკრულებებით და ა. შ.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოში უკანასკნელი იმპერიაა, რომელიც უკვე ირღვევა. ექვს რესპუბლიკას და მათ შორის გამოკვეთილად საქართველოს, სურს თავისი დამოუკიდებლობის აღდგენა. შემდგომი მოვლენები როგორ გესახებათ?

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მსოფლიო როგორ დაეხმარება ამ რესპუბლიკებს, რამდენად ცნობს მათ მისწრაფებათა კანონიერებას, დამოუკიდებლობას.

მოლდოვეთში მოხდა ამ ექვსი რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეხვედრა. რას გვეტყოდით იქ მიღებულ გადაწყვეტილებებზე?

დიახ, გაიმართა ამ ექვსი რესპუბლიკის ეროვნულ მოძრაობათა წარმომადგენლების შეხვედრა. გადაწყდა, რომ მეტი კონსოლიდაციაა საჭირო, მეტი კოორდინაცია მოქმედებების მეტი ურთიერთგაგება

და დახმარება კოლონიური იმპერიალისტური რეჟიმის აგრესიული პოლიტიკისგან თავდაცვაში.

ეს ექვსი რესპუბლიკა რაიმე ოფიციალური ხელშეკრულების დადებას ხომ არა აპირებს?

ჯერ, ამას წინ უნდა უსწრებდეს ექვსი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს შეხვედრა უმაღლეს დონეზე?

ეს ბლოკი, თქვენი აზრით, კრემლის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნება?

საბრძოლველადარა, თავდაცვისათვის–კი, მოსკოვის აგრესიის წინააღმდეგ. კავშირ-ურთიერთობა იქნება კულტურულიც, ეკონომიკურიც. ის კი არა, როცა გავალთ, საბჭოთა კავშირთანაც გვინდა გვინდა გვქონდეს კარგი ურთიერთობა.

7 წამყვან კაპიტალისტურ ქვეყანას სურს ვალუტით (ლაპარაკია მილიარდობით დოლარზე) დაეხმაროს გორბაჩოვს. ნუთუ ასეთ მძიმე მდგომარეობაშია დღეს საბჭოთა ეკონომიკა?

ძალიან მძიმე ვითარებაა. და ეს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი არ ანებებს თავს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გაძლიერების ცდებს. კვლავაც უნდა, წამყვანი მილიტარისტული ქვეყანა იყოს. სამხედრო ძალის მეშვეობით ჰქონდეს ჰეგემონია მსოფლიოში. ეს მილიარდებიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შენარჩუნებისათვის უნდათ, თან ხალხის ეკონომიკური მდგომარეობაც კატასტროფულად რომ არ დაეცეს და შეინარჩუნონ შინაგანი სტაბილიზაცია.

წითელ არმიას და სუკს იგივე ძალა აქვთ რაც უწინ?

არმიას, რასაკვირველია აქვს, სუკი კი პოლიტიკურ ცხოვრებაში ისე აშკარად და აქტიურად ველარ ერევა, თუმცა, რა თქმა უნდა, მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს ტოტალიტარიზმის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ისევ საქართველოს მინდა დავუბრუნდეთ. შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ თარიღი, როდის განთავისუფლდება რეალურად საქართველო?

ასეთი თარიღის დასახელება შეუძლებელია, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია ცხრა+ერთი რესპუბლიკის მიერ სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ხელმოწერის თარიღზე, მათ პოზიციაზე ექვსი „ურჩი" რესპუბლიკის მიმართ.

ბატონო პრეზიდენტო. როგორი მმართველობითი და ეკონომიკური სისტემა გსურთ დღეს საქართველოში?

მხოლოდ დემოკრატიული. საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. ის კიდევ დაიხვეწება. საქართველოს ჰყავს მრავალპარტიული პარლამენტი, რომელიც აქტიურ როლს ასრულებს. მასში 10 პარტიის წარმომადგენლები არიან გაერთიანებული.

კომუნისტური პარტიისაც?

დიახ, მაგრამ ამ პარტიას არავითარი პოლიტიკური ძალა აღარ გააჩნია. ხალხმა ზურგი შეაქცია მას.

თურქეთი, მოგეხსენებათ საქართველოს მეზობელი ქვეყანაა. იგი 10 წელია გადავიდა თავისუფალ საბაზროეკონომიკურ სისტემაზე. ჩვენი აზრით, სწორედ დღეს, როდესაც იწყება საქართველოს ბრძოლის ახალი ეტაპი თავისუფლებისათვის, ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის, ჩვენ კი ვიცით რას ნიშნავს თავისუფალ საბაზრო-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა რაკი თვითონ გავიარეთ დაახლოებით ასეთივე გარდამავალი რთული ეტაპი დემოკრატიზაციის გზაზე, როგორ უყურებთ მეზობელ თურქეთს და რას მოელით სასიკეთოს მისგან? შეიძლება თურქეთი თქვენთვის ევროპაში გასასვლელი კარი გახდეს?!

ეს ნამდვილად ასეც უნდა იყოს. მეზობელი ქვეყნები ვართ, ტრადიციულად მეგობრობით დაკავშირებულნი, და ჩვენს შორის საუკეთესო ურთიერთობა ყველა დონეზე უნდა აღდგეს. მოსკოვის იმპერიული ძალები ყველანაირად ცდილობენ, რომ ხელი შეუშალონ ჩვენს კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. რისთვისაც ყოველგვარ დეზინფორმაციას ავრცელებენ როგორც აქ, ასევე თურქეთში, მაგრამ რამდენადაც თურქეთს ვთვლით ევროპულ სახელმწიფოდ, ჰელსინკის ხელშეკრულებაზე ხელის მომწერ ქვეყნად, ამდენად იგი საიმედო პარტნიორად მიგვაჩნია.

ისარგებლებთ თუ არა თურქეთის გამოცდილებით თავისუფალ საბაზროეკონომიკურ სისტემაზე გადასასვლელად?

რასაკვირველია. აუცილებლად მოვიწვევთ ექსპერტებს.

თუ არ ვცდები, ამ ცოტა ხნის წინ თქვენთან ჩამოვიდა თურქეთის ელჩი სსრკ-ში?

დიახ, გვეწვია. ჩვენ საუბარი გვქონდა მომავალი ურთიერთობის განვითარებაზე ყველა დონეზე.

გყავთ თუ არა კადრები და არის თუ არა ბაზისი, რათა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შედარებით უმტკივნეულოდ მოხდეს?

ალბათ ცოტა გაგვიჭიანურდება ეს პროცესი, ვინაიდან, სანამ

მთლიანად არ გამოვეყოფით საბჭოთა კავშირს სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა გაგვიჭირდება. მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ ნაწილობრივ მთელი საკავშირო ეკონომიკური სისტემისა. ამ გზაზე თურქეთის მხრივ უდიდესი დახმარება იქნებოდა საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური ცნობა და ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება.

უცხოურ კაპიტალდაბანდებაზე რას ფიქრობთ?

რასაკვირველია ინვესტიციებს ფართოდ გავულებთ კარს, ცხადია, გარკვეული საიმედოობის გარანტიით, კანონიერად, სახელმწიფო კონტროლის შენარჩუნებით.

საქართველოში ხშირად ვაწყდებოდით ამერიკულ დროშებს. რა ურთიერთობა გაქვთ ამ სახელმწიფოსთან, თუ იღებთ მისგან რაიმე დახმარებას?

კარგი ურთიერთობა გვაქვს. სწორედ ამ დღეებში მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩემს მომავალ შეხვედრაზე ვაშინგტონში. მალე გაირკვევა საბოლოოდ რა პოზიციას დაადგება ჩვენს საკითხში ამერიკის ადმინისტრაცია. ამერიკის კონგრესი ძალზე მეგობრულად არის საქართველოს მიმართ განწყობილი, ხშირად იხილავენ ჩვენს საკითხს, მალე კონგრესმენთა დელეგაციაც გვეწვევა.

მატერიალურად თუ დაგეხმარნენ?

არც ისე საგრძნობლად, მაგრამ გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობა გვაქვს.

მსოფლიოში ორი სისტემაა კაპიტალისტური და სოციალისტური. რომელს აძლევთ უპირატესობას?

ჩვენი მიზანია ავაღორძინოთ კაპიტალისტური წყობილება, ოღონდ სახელმწიფოს გარკვეული კონტროლის შენარჩუნებით.

ნატოს წევრობას თუ ფიქრობთ?

ჯერ ეს არ გადაგვიწყვეტია, მომავალი გვიჩვენებს.

როგორ დაიცავს საქართველო თავს?

ფორმირების პროცესშია ქართული ჯარი. ჩვენ გვინდა სამხედრო მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ მეზობელ ქვეყნებთან.

საბჭოთა არმიაში თუ მსახურობენ ქართველები?

ჩვენი კანონით გავაუქმეთ საკავშირო კანონი, რომელიც აუცილებელს ხდიდა საბჭოთა არმიაში ქართველი ჭაბუკების გაწვევას. ისინი, ახლა, ქართულ გვარდიაში იხდიან სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

თქვენს საუბარში ახსენეთ რეგიონალური კონფლიქტები. აჭარაზე მინდა გკითხოთ. ათასგვარი ჭორი და ხმებია დარხეული. აქ 400 ათასი მაჰ-

მადიანი ცხოვრობს. თითქოს მათ უკრძალავენ მუსლიმანურ სარწმუნოებას, ბავშვებისათვის მუსულმანური სახელების დარქმევას, ქართულად არა აქვთ ყურანი, შევიწროებულებივით არიან. დემოკრატიული რეჟიმის პირობებში აპირებთ თუ არა ამ მხრივ მაჰმადიანთა მათ მხარდაჭერას?

სწორი ინფორმაცია არა გქონიათ, ჯერ ერთი, რაოდენობაც ძლიერ გაბერილია, თანაც ხნიერი ადამიანები მისდევენ უმეტესად ამ სარწმუნოებას. მათთვის გარანტირებულია ყველა უფლება, აქვთ მეჩეთები, არავინ დევნის, არავინ უშლის რწმენას, ძალიან ბევრს ჰქვია აჭარაში მუსულმანური სახელი, არსებობს მაჰმადიანთა საზოგადოება და ა. შ. კარგი პირადი ურთიერთობა მაქვს ბათუმის ყადისთან. ყურანი ქართულად არსებობს და მათთვის მისაწვდომია. მუსულმანთა შევიწროება კომუნისტების დროს შეიძლება იყო, ახლა აღარ! მაგრამ ჩვენ აგრეთვე წინააღმდეგი ვართ ქრისტიანთა შევიწროებისა მუსულმანთა მხრივ.

თურქეთის პრეზიდენტმა ბატონმა თურქუთ ოზალმა წამოაყენა შავიზღვისპირეთის სახელმწიფოთა ეკონომიკური კავშირის წინადადება, ჯერჯერობით თეორიულად, საქართველოც ფიგურირებს ამ წინადადებაში.

ჩვენ მოგვწონს ეს და აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ წინადადების შემუშავებაში. მით უმეტეს, ახლა ძალზედ მწვავედ დგას საერთოდ შავი ზღვის ეკოლოგიის პრობლემა. საერთოდ გვინდა თურქეთში წარმომადგენლობის გახსნა. ვნახოთ დრო გვიჩვენებს. ბევრ ქვეყანას სურს ჩვენთან ეკონომიკური და კულტურული თანამეგობრობა, მაგრამ ჯერჯერობით მოსკოვთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებიან.

და ბოლოს, ხომ არ მიმართავდით თურქ ხალხს, როგორც საქართველოს პრეზიდენტი?

თურქეთის ხალხს მინდა ვუსურვო ყოველივე საუკეთესო, და გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის სანიმუშო კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდება. იმედი გვაქვს, თურქი ხალხი დაგვეხმარება, რომ თქვენმა სახელმწიფომ დიპლომატიურად ცნოს საქართველოს რესპუბლიკა.

ბატონო პრეზიდენტო, დიდ მადლობას მოგახსენებთ ინტერვიუსთვის, რომელიც ჩვენი გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდება. გისურვებთ ბედნიერებას და მშვიდობას პირადად თქვენ და თქვენს სამშობლოს.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 10 ივნისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს

პატივცემულო დეპუტატებო, პატივცემულო სტუმრებო, ძვირფასო მეგობრებო!

დღეს მოგმართავთ ვითარცა თანამემამულეთა არჩეული პრეზიდენტი საქართველოსი. ვიდრე სრულად გავისიგრძეგანებდეთ იმ მდგომარეობას, რომელშიც აღმოვჩნდით დღეს, ესოდენ ცვალებად და დაძაბულ ეპოქაში, უპირველეს ყოვლისა მსურს მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ხმა მომცა და მხარი დამიჭირა ამ არჩევნებში. მსურს აგრეთვე თქვენი ყურადღება მივაპყრო უდიდეს მნიშვნელობას საერთო სახალხო არჩევნებისა. 28 ოქტომბრის შემდეგ განვლილი პერიოდი გახლდათ ურთულესი გამოცდა, როგორც ხალხის, ისე მის მიერ არჩეული ხელისუფლებისა და მთავრობისათვის, ვინაიდან მძიმე და ეკლიანია თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა. მითუმეტეს ძნელია ამ გზაზე ყოველდღიური სიარული, როდესაც გაივლის პირველი ენთუზიაზმი, გამოჩნდებიან პირველი და სამწუხაროდ არა უკანასკნელი შეცდომილნი და გზააბნეულნი, როდესაც ფიზიკური შეზღუდულობა ადამიანისა, ამქვეყნიური ხორცისმიერი პრობლემები თითქოსდა შურს იძიებენ შინაგანად უკვე თავისუფალ ერზე. უნდა ვაღიაროთ, რომ ოცნება თავისუფლებაზე, სტიქიური მოქმედება მისი სახელით შეუდარებლათ უფრო იოლი იყო, ვიდრე სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი, რეალურ სამუშაოდ ქცეული ეროვნული აღორძინება. მოგეხსენებათ, პრეზიდენტის ძალაუფლების კანონიერება უეჭველი იყო პარლამენტის მიერ ჩემი არჩევის დროსაც, არავითარი იურიდიული საჭიროება არ არსებობდა საერთო სახალხო არჩევნების მოსაწყობად და მაინც, ხელისუფლება ვალდებული იყო შეემოწმებინა ხალხის შინაგანი მზაობა თავისუფლებისათვის, რადგან არ შეიძლება ოდენ გარეგანად მივანიჭოთ ხალხს იგი. პოლიტიკურ ინსტიტუტებს შეუძლიათ, მხოლოდ ხელი შეუწყონ ხალხის ნების გამოვლენას, მისცენ მას სწორი კალაპოტი, ძალადობით აქ ფონს ვერ გავალთ.

სწორედ ამიტომ, ნებისმიერი ტოტალური სისტემა ისტორიულად განწირული გახლავთ, დღეს, უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ურყევია ქართველი ერის ნება დააღწიონ თავი იმპერიულ ბორკილებს. იგი თანამიმდევრულად და პრინციპულად ადგას ამ გზას. ეს არ გახლავთ მოულოდნელი. ჩვენ ვდგავართ საქართველოს ისტორიის გზის გასაყარზე, სადაც ქართველი კაცი კიდევ ერთხელ ამბობს უარს ამქვეყნიურ, ფიზიკურ კეთილდღეობაზე, სულისმიერი ეროვნული აღორძინების სახელით. აღორძინება კი განახლებისა და საკუთარი ჭეშმარიტი მეობისაკენ დაბრუნებას ნიშნავს. მხოლოდ ღვთის შეწევნითა და თითოეული ჩვენგანის თავდაუზოგავი საქმიანობით შეიძლება მივაღწიოთ მას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გადამწყვეტ მომენტში ქართველთა გვერდით დადგა არაქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ამას ჩვენი ერი არასოდეს დაივიწყებს. უპრეცედენტო ანტიქართული პროპაგანდის პირობებში ჩატარებულმა არჩევნებმა მსოფლიოს წინაშე დაამტკიცა, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელს გააჩნია არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ყველა უფლება, არამედ არსებობისთვის ესოდენ აუცილებელი კულტურული სივრცეც, რომლის გარეშეც ვერცერთი ეროვნული უმცირესობა ვერ იარსებებს და რომლის გარანტირებაც არ შეუძლია არცერთ დაწერილ კანონს. საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კომპანიამ და არჩევნებმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ წარმოაჩინა ახლად ჩამოყალიბებული ეროვნული ხელისუფლების მაღალი ავტორიტეტი, ამ არჩევნებმა გამოხატა ქართველი ერის, საქართველოს მთელი მოსახლეობის ნებისა და ეროვნული ხელისუფლების პოლიტიკური გზის ჭეშმარიტი ერთიანობა. საპრეზიდენტო არჩევნებში მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვების ერთერთი საწინდარი გახლდათ ხალხის საყოველთაო მხარდაჭერა იმ ძირეულ რეფორმებისადმი, რომელთაც არჩევნებისთანავე ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა. დამოუკიდებლობისაკენ მავალ საქართველოსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული მწვავე პოლიტიკური კონფრონტაცია, ამ კონფრონტაციით გამოწვეული მძიმე პოლიტიკური და სოციალურეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, უაღრესად მოკლე ვადაში ეროვნულმა ხელისუფლებამ განახორციელა რადიკალური საშინაო რეფორმა. ამ რეფორმის პოლიტიკური მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებელი

სახელმწიფოს აღდგენა და საბჭოების სანაცვლოდ მმართველობის დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბება. ხალხის მხარდაჭერა-დასტურია იმისა, რომ უზენაესმა საბჭომ პრინციპულად სწორად წარმართა საქმიანობა, მის მიერ განხორციელებულ იქნა სახელმწიფო მმართველობის სამართლებრივი სისტემის ეროვნულსახელმწიფოებრივი მოწყობის რეფორმირება. საფუძველი ჩაეყარა ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის დამოუკიდებელი სტრუქტურების ჩამოყალიბებას და რაც მთავარია, რეფერენდუმში ხალხის უპრეცედენტო მხარდაჭერის შედეგად, სამართლებრივი აქტით აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

1991 წლის 31 მარტი და 9 აპრილი ქართველი ერის და ეროვნული ხელისუფლების უდიდესი გამარჯვებაა. ეროვნულმა ხელისუფლებამ, გატარებული უმნიშვნელოვანესი ცვლილებების, მრავალპარტიულობის იურიდიული და ფაქტობრივი დამკვიდრების, მთავრობის რეორგანიზაციის, ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტების – საკრებულოების და პრეფექტურების შემოღების, პრეზიდენტის ინსტიტუტის დაწესების შედეგად, საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახით დაამკვიდრა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა. ეროვნულმა ხელისუფლებამ რეალური პერსპექტივა შეუქმნა საქართველოს თავდაცვის სისტემის ფორმირებას. 1991 წლის 26 აპრილს, სამშობლოს ერთგულების ფიცი დასდეს ეროვნული გვარდიის პირველმა შენაერთებმა. ეროვნული ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმების შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით იურიდიულად დასრულდა გარდამავალი პერიოდი და შეიქმნა რეალური წინაპირობა მისი ფაქტობრივი ასრულებისათვისაც. ქართველი ერის ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია, ქართული კულტურა და ტრადიციული ღირებულებანი, ეს არის ჩვენი წარსული, ეს არის ჩვენი სიამაყე. თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ხალხი, რელიგიური მსოფლხედვისა და ეროვნული ცნობიერების აღორძინების საზოგადოება – ეს არის ჩვენი აწმყო, ჩვენი ბრძოლის შედეგი. მივიღეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და ამრიგად წარვსდექით მსოფლიოს ერთა წინაშე. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარება, მსოფლიოს ერთა თანაარსებობის ევროპული და კავკასიური უსაფრთხოების პრობლემაა. საქართველოს საერთაშორისო ცნო-

ბის პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული გლობალურ პოლიტიკურ ცვლილებებთან. ფაქტობრივად დამთავრდა ცივი ომი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. სულ უფრო მეტ მხარდაჭერას იძენს თანასწორუფლებიანი, თანამშრომლობის იდეები. ამის ნათელი დადასტურებაა ევროპის გაერთიანებული ქვეყნების კავშირურთიერთობანი, ინიციატივა, ამერიკის კონტინენტის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის თაობაზე განცხადებულია ახალი პოლიტიკური აზროვნებისა და მსოფლიოს ახალი წესრიგის პრინციპები. ზემოთქმულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ ქართველი ერის უფლებას და ურყევ ნებას–იცხოვროს დამოუკიდებელ სახელმწიფოში, ექნება მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების თანადგომა. საქართველოს რესპუბლიკა მსოფლიოს სახელმწიფოებთან ურთიერთობას ააგებს თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთხელსაყრელობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებებს ერთა მშვიდობიანი თანაარსებობის ყველა სფეროში. ჩვენ, არაერთგზის გაგვიცხადებია და ახლაც ვადასტურებთ, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოგვარება უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის. ეს ერთი მხრივ განპირობებულია საქართველოს რეალური სამართლებრივი სტატუსით, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს, როგორც ორი მეზობელი სახელმწიფოს დღევანდელი ურთიერთობით. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფმა 9 რესპუბლიკამ ფაქტობრივად განსაზღვრა თავის მომავალი სახელმწიფოებრივი არსებობა რესპუბლიკათა კავშირის სახით. ეს არის მათი ნება და უფლება. აშკარად გამოხატულია აგრეთვე დანარჩენი 6 რესპუბლიკის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა სულ ახლახანს, კიშინიოვის ფორუმზე მიღებული დოკუმენტები. ეს და სხვა პოლიტიკური პროცესები გვაძლევს იმედს, რომ შესაძლებელია ჩატარდეს თანასწორუფლებიანი მოლაპარაკება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულ, ანექსირებულ და არასამართლებრივად ინკორპორირებულ სახელმწიფოთა შორის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მოლაპარაკების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართვაც. ამ ინიციატივის წარმატებით განხორციელება,

ჩვენის აზრით, უზრუნველყოფს მსოფლიოს დიდ ნაწილზე მშვიდობისა და დემოკრატიის საბოლოო დამკვიდრებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილიზაციას. ჩვენის აზრით, ეს არის ერთადერთი გზა იმ გლობალური პრობლემების გადაწყვეტისა, რომელიც დგას მსოფლიოს წინაშე 70 წლის მანძილზე. ყოველივე ეს შესაძლებელია გახდეს გორბაჩოვისეული „პერესტროიკის" პოლიტიკისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკების მიზანთა ურთიერთშეხების წერტილიც. ჩვენს მეზობლებთან, სახელმწიფოთა შორის სამთავრობოთაშორისო დონეზე ურთიერთობის განსაზღვრა დაემყარება არსებული საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპს. მეგობრობისა და კეთილმეზობლობის საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს. საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ერი, ვერ იქნება გულგრილი ჩვენი ისტორიული მეზობლების – სომხებისა და აზერბაიჯანელებს შორის არსებული კონფლიქტის მიმართ. ყარაბახის პრობლემა კავკასიელთა სატკივარია და მისი მშვიდობიანი მოგვარებისათვის საქართველოს რესპუბლიკამ უკვე იკისრა შუამავლის როლი. ქართველ ერსა და ქართულ სახელმწიფოს ტრადიციულად ჰქონდა კავკასიის რეგიონში მასტაბილიზირებელი როლი პოლიტიკური, ეროვნებათაშორისო და სხვა პრობლემების თვალსაზრისით და ყოველთვის ღირსეულად ართმევდა მას თავს. ამ ფუნქციის ღირსეულად შესრულებას საქართველო უფრო მეტად შესძლებს საშინაო ვითარების შემდგომი სტაბილიზირების შემთხვევაში, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდება მისი პოლიტიკური სისტემა და გაირკვევა მისი ეროვნულტერიტორიული მოწყობა. ამავე დროს, მოხდება სამაჩაბლოს კონფლიქტის მოწესრიგება, რისთვისაც აგრეთვე აუცილებელია საქართველოსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია და საქართველოს დიპლომატიური ცნობა უცხოეთის სახელმწიფოთა მიერ, საქართველოს მიღება გაეროს წევრად, რასაც დააჩქარებს ცენტრთან ჩვენი მოლაპარაკება. სახელმწიფოს მოწყობას საფუძვლად უნდა დაედოს მმართველობისა და თვითმმართველობის ისეთი პოლიტიკური პრინციპები, რომლებიც გამორიცხავენ სახელმწიფოსა და მისი შემადგენელი ნაწილების დაპირისპირებას. დაიცავენ სახელმწიფოს ერთიანობას და ხელს შეუწყობენ რესპუბლიკის სტრუქტურულ ერთეულთა ინტერესების დაცვას. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი უნდა

იყოს, აფხაზების როგორც საქართველოს მკვიდრი ერის პოლიტიკურ უფლებათა აღიარება. ტრადიციული ქართულ-აფხაზური მეგობრობა... აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი. იგი ... როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა. საქართველოს რესპუბლიკის მიერ კონსტიტუციურად გარანტირებული იქნება აფხაზეთის პოლიტიკური ავტონომია და აფხაზთა ეროვნული უფლებების ხელშეუხებლობა. საქართველოს დამოუკიდებლობის რეალურ აღდგენასთან ერთად უნდა აღდგეს ტრადიციული ურთიერთობა აფხაზთა და ქართველთა შორის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მომავალს განსაზღვრავს თავად აჭარის მოსახლეობა. ეროვნულ სახელმწიფოებრივი მოწყობა ისევე, როგორც მთელი პოლიტიკური სისტემა უნდა განისაზღვროს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებით. ეროვნული სამართლებრივი სისტემა უნდა დაეფუძნოს ქართულ სამართლებრივ კულტურასა და ტრადიციებს, რომელთა საფუძველზეც და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, აღორძინდება ეროვნული კანონმდებლობა. აღდგება სამართლის სუვერენიტეტი, რომელიც შესაბამის საზღვრებსა და პროცესიულურ ფორმებში მოაქცევს სახელმწიფო აპარატის ფაქტობრივ შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და პიროვნების სამართლებრივ ურთიერთკავშირს, პოლიტიკურ და სამართლებრივ რეფორმათა გატარებამ უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი სახელმწიფოს შენება, რაც გულისხმობს კანონის უზენაესობის და ავტორიტეტის დამკვიდრებას. სახელმწიფო ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, სამართლებრივი ნიჰილიზმის შეცვლას სამართლებრივი რწმენით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიების შექმნას, რომლის დაცვა და პატივისცემა სავალდებულოა ხელისუფალთათვის, რამეთუ სახელმწიფოს უპირველესი მიზანია მის მოქალაქეთა ღირსეული არსებობის პირობები. აუცილებელია, რომ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობა და ურთიერთმიმართება განისაზღვროს სამართლებრივი კანონებით და უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო გარანტიებით. სამართლებრივი რეფორმის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორ-

განოთა ურთიერთგამიჯვნა. ეს გამორიცხავს ხელისუფლების მონოპოლიზაციას, უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლებების მექანიზმის სისტემის შესაბამისობას სამართლის მოთხოვნებთან და მათ თანმიმდევრულ აღსრულებას. სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების გზაზე საჭიროა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უზენაესობის უზრუნველყოფა. ეს უზენაესი წარმომადგენლობითი ორგანო, როგორც ეროვნული სუვერენიტეტის გამომხატველი გამოდის არა უბრალო საკანონმდებლო, არამედ არსებითად დამფუძნებელი ორგანოს სახით, რომელიც ადგენს სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტებს, ნორმებსა და პროცედურების სისტემას. ამ გზით იგი უნდა იქცეს სამართლებრივი სახელმწიფოს დაფუძნებისა და მისი რეალური ფუნქციონირების სუვერენულ ხელისუფლებრივ გარანტად. საქართველოს სახელმწიფოს არსებობის ისტორია ცხადყოფს ეროვნული თავდაცვის სისტემის აუცილებლობას. ტრადიციულად ცნობილია ქართველთა მხედრული შემართება და მებრძოლი სული. დღეს, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების და მოსახლეობის ერთიანი ძალისხმევით შეიქმნა ეროვნული არმიის ჩამოყალიბების პერსპექტივაც. საქართველოს სამხედრო დოქტრინა თავდაცვითი ხასიათისაა. პირველ რიგში იგი გაითვალისწინებს საერთო ევროპული სისტემის შექმნისათვის ხელშეწყობას. ეს არის საქართველოს შეიარაღებული ძალების არსებობისა და მათი სტატუსის ძირითადი პრინციპი. ეროვნული დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, კონსტიტუციური წყობის გარანტიების დაცვა, ეროვნული უშიშროების სამსახურის და საქართველოს შეიარღებული ძალების უპირველესი ამოცანაა. საქართველოში, როგორც მართმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ყოველნაირად უწყობდა ხელს ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის აღორძინების გარეშე. ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც. სწორედ ამიტომ, ჭეშმარიტად ქართული ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ

ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან. დღევანდელი მოძრაობა თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა., რამდენადაც ეგი: არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით. ეროვნული ხელისუფლება იღვაწებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად. ამ ერთობის არსი შემდგომში მდგომარეობს – ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი უნდა დაემყაროს არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს. სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობასა და ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას. ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთ გათიშვას. სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმეში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველჰყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა. ჩვენ მომხრენი ვართ არა სახელმწიფოსა და ეკლესიის, ეკლესიისა და სკოლის ურთიერთგამიჯვნისა, არამედ მათი ბუნებრივი კავშირისა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც ემყარება. სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა იქცეს. ამ პრინციპებიდან გამომდინარე ქართულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველჰყოს ეკლესიის უფლება იყოს საერო ცხოვრების აქტიური მონაწილე. სახელმწიფომ უნდა დაიცვას საეკლესიო ქონება, ხელი შეუწყოს ეკლესიას ტრადიციულ სამონასტრო მშენებლობაში. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რათა ეკლესიამ მიიღოს საჭირო მატერიალური დახმარება. საგანმანათლებო საქმიანობის, ტაძრების მშენებლობისა და შეკეთებისათვის უნდა აღდგეს საეკლესიო საკუთრება მიწაზე. მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელჰყოფს სხვა რელიგიების აღმასრულებელთა, აგრეთვე ათეისტთა უფლებებს. სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნება სინდისის

თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მიეცემა თავისუფლება იყოს აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს. ამ ქალაქეთა უფლებები არ შეიზღუდება რელიგიური ნიშნით. საქართველოს სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა. საბჭოთა სახელმწიფოს აგების ძირითადმა პრინციპმა – მონოპოლიზმმა, თავსმოხვეულმა ეკონომიურმა სისტემამ, ქართველი კაცისთვის უცხო, არატრადიციულმა წარმოებითმა ურთიერთობებმა დავიწყებას მისცა საუკუნეებით გამომუშავებული და მის ეთნოფსიქიკაზე დაფუძნებული სამეურნეო სისტემა. ყოველივე ამან, გამოიწვია ეკონომიკის მოშლა, მეურნეობის მართვის გაუარესება, ეკონომიკური მიზანშეწონილობისათვის ძირის გამოთხრა და საზოგადოება მიიყვანა ზნეობრივ დეფორმაციამდე. საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ღრმადკრიზისული. დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ერთი აუცილებელია ძირეული ეკონომიკური რეფორმის გატარება. იგი უნდა დაეყრდნოს ქართული ეროვნული ტრადიციების, სამეურნეო ჩვევების და ურთიერთობის აღორძინებას, რისი განხორციელებაც შეუძლებელი გეგმური მმართველობის პირობებში. ჩვენ ვთვლით, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში უნდა ჩაერიოს იმ ზომით, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ერთიანი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის. სახელმწიფო მონოპოლისტური სისტემის ლიკვიდაცია ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ისეთი, ეკონომიკური სისტემის შექმნას, რომელიც პასუხობს ადამიანთა მოთხოვნილებებს. ასეთად, სოციალური საბაზრო მეურნეობა მიგვაჩნია: იგი ანსახიერებს ამ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ფასეულობას, თავისუფლებას, ეფექტიანობას და სოციალურ თავისუფლებას. მის პირობებში ერთმანეთთან შეხამებულია შრომის და სოციალური უფლებების გარანტიები– საკუთრებისადმი პატივისცემა და საზოგადოებრივი სარგებლიანობა, თავისუფალი მეწარმეობა და კეთილსინდისიერი კონკურენცია. სოციალურ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლას გარკვეული დრო სჭირდება და თანაც პოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესება. ჩვენ გვესმის, რომ ამ გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე შეიძლება მოხდეს წარმოების მოცულობის დროებითი შემცირება, მაგრამ ეს არის ჩვენი

საზღაური 70-წლიანი ტოტალიტარული სისტემისაგან გასათავისუფლებლად, რადგან მხოლოდ ეს გზა იძლევა თავისუფალ დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის შესაძლებლობას. ამავე დროს, ჩვენი მიზანია ეს გადასვლა განხორციელდეს მინიმალური დანაკარგებით, რადგან დგება საქართველოს განთავისუფლების ჟამი და იგი არ უნდა ასოცირდებოდეს უმუშევრობასა და ინფლაციასთან. ეკონომიკის მძიმე, კრიზისული მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია საქართველოსათვის თავსმოხვეული საკუთრებითი ურთიერთობების სისტემა. წარმოების საშუალებები პრაქტიკულად მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაში იმყოფება. ამიტომ ეკონომიკური რეფორმის მთავარ ამოცანას საკუთრების სხვადასხვა ფორმებისა და სახეების თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით თანაბარი სასტარტო პირობები შევუქმნათ ყველას, რათა პრივატიზაციის შედეგებით ისარგებლონ ნამდვილად სამეურნეო და მეწარმეობის უნარის მქონე პირებმა. პრივატიზაცია ჩვენ გვესმის, როგორც საქონლისა და მომსახურების გადაცემის სტრატეგია., რომელიც ორგანიზებულია სახელმწიფო საწარმოებში კერძო კომპანიების ხელში მთავრობის ხარჯების შემცირებისა და იმ უპირატესობის გამოყენების მიზნით, რომელსაც იძლევა საბაზრო სისტემა რონალდ რეიგანი?—უპირველეს ყოვლისა უნდა ჩატარდეს საქართველოს ეროვნული სიმდიდრის ინვენტარიზაცია. მოხდეს მისი სწორი ეკონომიკური შეფასება, რაც განსაზღვრავს თუ სახელმწიფო ქონების რა ნაწილი, რა სფეროები და როგორი თანმიმდევრობით გადაეცეს კერძო სექტორს. პრივატიზაციასთან ერთად, უნდა გატარდეს ბიუჯეტური დეფიციტის აღმოფხვრის მკაცრი ზომები და კრედიტის შეზღუდვა. თავისუფალ ფასებზე გადასვლა და საზღვარგარეთულ ინვესტიციების მოზიდვა. ყოველივე ეს კი წარმოადგენს ეკონომიკის გაჯანსაღების ერთადერთ წინაპირობას. პრივატიზაციის განხორციელება საშუალებას მოგვცემს არამარტო შევამციროთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაუმართლებელი დანახარჯები, რომლებიც მიმართული იყო ზარალიანი საწარმოებისა და ორგანიზაციების შესანახად, არამედ ხელს შეუწყობს მოსახლეობიდან გადავადებული მოთხოვნის სახით ფულადი სახსრების ამოღებას ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამით შემცირდება აჟიოტაჟური მოთხოვნა სამომხმარებლო ბაზარზე და ურთ-

იერთშესაბამისობაში მოვა მოთხოვნა და მიწოდება.

დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მტკივნეული პრობლემა: მიწის საკითხი. კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში მოწყვეტილ-მა, ძალადობით თავსმოხვეულმა სამეურნეო წყობამ ქართველ გლეხს წაართვა ყველაზე მთავარი – მიწა და თავისუფლება, შეაძულა მას შრომა. მეურნე გლეხი ფაქტობრივად კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული. ასეთმა მიდგომამ უარყოფითად იმოქმედა ქართველი კაცის ბუნებაზე, მის ფსიქიკაზე, მისი ცხოვრების ტრადიციულ წესზე. სწორედ ამით დაიწყო სოფლის გაჩანაგება და დაცარიელება. აქაც კარდინალური რეფორმის გატარებაა საჭირო. მიწის რეფორმა საქართველოს ყოველ ისტორიულ მხარეში, მათ თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს, რათა დავამაგროთ მოსახლეობა სოფლად, რაც ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული ამოცანაა. უპირველესად იგი მთანი ზონის რეგიონებში უნდა გატარდეს, აგრეთვე უნდა მოხდეს ზარალიანი და გადახდის უუნარო მეურნეობების დაშლა და მათ ბაზაზე გლეხური საკომლო მეურნეობების ჩამოყალიბება. მიწა უნდა დაუბრუნდეს გლეხს. ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი სოფლად სხვადასხვა ასოციაციების, გაერთიანებების შექმნასა და ფუნქციონირებას. მათ უნდა შეასრულონ გლეხური მეურნეობებისათვის აუცილებელი მასალებითა და ტექნიკით მომარაგების ფუნქცია: ამ გზით, ნაბიჯნაბიჯ ჩვენ სათავეს დავუდებთ სოფლად ქართული ტრადიციული მეურნეობრივი პრინციპების აღდგენას. ამავე დროს, ჩვენი აღორძინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. საზღვარგარეთულ პარტნიორებს საშუალება მიეცემათ იმოქმედონ ჩვენს ბაზარზე, დააბანდონ თავიანთი სახსრები, აიღონ იჯარით საწარმოები, გახსნან თავიანთი წარმომადგენლობები, ფილიალები და ა. შ. ამ ეტაპზე, საგარეო ვაჭრობაში აუცილებლად მიგვაჩნია ლიცენზირების პოლიტიკის გატარება. ლიცენზირების პოლიტიკა და საბაჟო, ურთიერთკავშირში უნდა იქნას მოყვანილი სასაქონლო ბაზრის მოთხოვნილებასთან და უზრუნველყოფდეს იმპორტული და სამამულო საქონლის კონკურენციის შესაძლებლობას. ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად, მოხდება საგარეო ვაჭრობის თანდათანობითი ლიბერალიზაცია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ უნდა ააღორძინოს შრომის სტიმულები, აამაღლოს სამუშაო ძალის ფასი, ხელფასის სიდიდე ძირითადად დამოკიდებული უნდა იყოს

საწარმოს ეფექტიანად მუშაობაზე და სახელმწიფოს მიერ მისი რეგულირება ხდებოდეს საგადასახადო სისტემის მეშვეობით.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა წარმოადგენს. საჭიროა შედგეს სპეციალური პროგრამა, გატარდეს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა, რომელიც დასაქმებულია რაოდენობის გაზრდასა და ახალი სამუშაო ადგილების სტიმულირებით.

დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით უნდა გატარდეს შელავათიანი დაბეგვრის პოლიტიკა იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც შექმნიან ახალა სამუშაო ადგილებს. ამავე დროს, საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, ვისაც ობიექტური მიზეზების გამო არ შეუძლია წარმოების პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის მიღება. ამის მიზეზი მრავალია: ადამიანთა ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მრავალშვილიანობა, სამუშაოს დროებითი დაკარგვა და ა. შ. აუცილებელია ამ ადამიანებს შევუქმნათ სოციალური დაცვის გარკვეული მექანიზმი, რომელიც მათ ცხოვრებას საარსებო მინიმუმის დონეზე მაინც უზრუნველყოფს, როგორც ამას ადგილი აქვს ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში. ეს მექანიზმი უნდა მოიცავდეს პენსიებს, სტიპენდიებს, შემოსავლების ინდექსაციას, მცირე შემოსავლიან და მრავალშვილინ ოჯახთა მატერიალურ დახმარებას, ხელფასის გარანტირებულ მინიმალურ დონეს, დროებით არაშრომისუნარიანთა დახმარებას, სამედიცინო მომსახურების გარკვეულ დონეს, კადრების მომზადებას და გადამზადების სისტემას და ა. შ. სოციალური გარანტიების ამ ელემენტების შემოტანამ უნდა შეარბილოს საბაზრო მეურნეობაზე გადასვლით გამოწვეული პრობლემების სიმწვავე და უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა.

ქალბატონებო და ბატონებო!

ქართველი ერი გამოირჩევა თანასწორთა შორის თავისი ყოფით, ადგილით და ენით. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეს არის მოწამეობრივი, ქრისტესმიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა. ისტორია გვაძლევს შესაძლებლობას, რათა დავუბრუნდეთ მამაპაპისეულ გზას. ავაღორძინოთ რწმენით თავისუფალი საქართველო. დგება ჟამი, როცა უკლებლივ ყველას სიცოცხლე მამულს ეკუთვნის. ერი უეჭველად

მზად არის გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ეროვნული ხელისუფლების ვალია, იყოს ღირსი უდიდესი მისიისა, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, საქართველოს დაუბრუნოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში. დიდი მიზნები მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან. დაე აღსრულდეს ნება ღვთისა! ნება ერისა!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

გვფარავდეს ღმერთი!

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 10 ივნისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტრის განცხადება

საქართველოს ფაქტობრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი საერთაშორისო აღიარება დასავლეთის სამყაროსთვის უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ გლობალურ საკითხთან, როგორიც სსრკ იმპერიის დაშლაა. დასავლეთი, რომელიც საბჭოთა იმპერიის ტოტალური დემონტაჟის ინიციატორად და შემსრულებლად ითვლებოდა, იმპერიის აგონიის ბოლო სტადიაში, ითვალისწინებს რა იმ მოსალოდნელ რეაქციულ საშიშროებას, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მის დაშლას, ორიენტაციას სტაბილურ ხელისუფლებაზე აკეთებს. ასეთ ძალად, მათ ჯერჯერობით ცენტრალური საკავშირო ხელისუფლება მიაჩნიათ. სწორედ ამ ფაქტორით არის გამოწვეული, რომ დასავლეთის პოლიტიკური წრეები სათანადო დახმარებას არ უწევენ იმ რესპუბლიკებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ყველანაირი დაცვით კანონიერად ითხოვენ დახმარებას სსრკდან გასვლის თაობაზე. ეს ყველაფერი გასაგები გახდება, თუ პოლიტიკას მივუდგებით როგორც თვითმყოფად დისციპლინას, რომელსაც თავისი წესები, კანონები და ღირებულებები აქვს, როცა სასწორზე ძევს სამართლებრივი, ზნეობრივი ნორმები და ეროვნული პრობლემები, ხოლო მეორე მხარეს სახელმწიფოსა და დიდი პოლიტიკის ინტერესები, სამართლებრივი,

ზნეობრივი და ეროვნული მხარეები უკანა პლანზე გადადის იშვიათი გამონაკლისის გარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის მასობრივი საინფორმაციო ორგანიზაციების ნაწილი, ეროვნული გენელთა უდიდესი უმრავლესობა, რომლებსაც რაიმე კავშირი აქვთ საქართველოს პოლიტიკურ საკითხებთან, სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული პოლიტიკური კურსის გამტარებლები არ არიან, და ეს ბუნებრივიცაა. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს აქვს პირადი და არაორდინალური დამოკიდებულება ჩვენი რესპუბლიკის პრობლემების ირგვლივ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პირველი ბრძანებულების თანახმად, შეიქმნა საინფორმაციო სამსახურების გაერთიანებული საბჭო. მაგრამ შემდგომ განვითარებულმა, უფრო ზუსტად განუვითარებელმა მოვლენებმა ცხადყო, რომ საქართველოში ბევრს არ ესმის კრემლის მიერ შექმნილი დეზინფორმაციული მასალის ძალა და შესაძლებლობანი. პრესაში და ტელევიზიით გამოთქმული პრეტენზიები ცალკეული ორგანიზაციების თუ სამსახურების მიმართ კიდევ უფრო აძლიერებს ამ ეჭვს, რადგან 70 წლის მანძილზე ჩამოყალიბებული აზროვნების ინერციის გამო მავანნი და მავანნი დარწმუნებულნი არიან, რომ ტელევიზიის, გაზეთის თუ უზენაესი საბჭოს პრესცენტრის „სუსტი" მუშაობის გამო საქართველო თავს ვერ აღწევს ინფორმაციულ ბლოკადას.

სრულიად კატეგორიულად ვაცხადებთ, ერთჯერადი აქციებით თუ ნიჭიერი მთავარი რედაქტორების დახმარებით ბლოკადა ვერ გაირღვევა. ამაზევე მიგვითითებს მესამე სამყაროს გამოცდილებაც: ოთხი ათეული წლის დამოუკიდებლობაც კი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ახლგაზრდა სახელმწიფოებს თავი დაეღწიათ „ინფორმაციული იმპერიალიზმისაგან" (ტერმინი, რომელზეც დღეს ასე ბევრი იწერება მთელ მსოფლიოში) ათეული წლებია, რაც ყოფილი კოლონიები კატეგორიულად მოითხოვენ „ახალი ინფორმაციული პოლიტიკის" დამკვიდრებას, მაგრამ პრობლემა დღესაც გადაუჭრელია. როგორც ჩანს, არც ახლო მომავალში გადაწყდება იგი. ახალ საერთაშორისო წესრიგს ადრე თუ გვიან ახალი ინფორმაციული პოლიტიკაც უნდა მოჰყვეს, მაგრამ ამას დრო და დაძაბული მუშაობა სჭირდება.

ყოველივე ზემოხსენებულის თვალსაზრისით, როგორ გამოიყურება ჩვენი სადღეისო, გადაუდებელი ამოცანები?

საჭიროა სერიოზული სახელმწიფო გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროფესიული, ფინანსური, ტექნიკური და საერთაშორისო სხვა ასპექტები. რომელშიც კონცენტრირებული იქნება ყველა საინფორმაციო სამსახურის შესაძლებლობანი. მოხაზული იქნება ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების კონტურები.

ნებისმიერი სახელმწიფო თავისი განვითარების რევოლუციურ ფაზებში უამრავი გადასაწყვეტი პრობლემიდან ყოველთვის გამოყოფს ძირითადს და მეორეხარისხოვანს. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განვითარების და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პროგრამების გვერდით აუცილებლად უნდა დადგეს ინფორმაციის მოპოვებაგავრცელების სახელმწიფო პროგრამაც., რომელიც დაფუძნებული იქნება სოციოლოგიის, პრაქტიკული ჟურნალისტიკის, ინფორმაციული პროგრესული მიმდინარეობების ბაზაზე. აღჭურვილი იქნება თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებებით და დაფინანსდება, როგორც ბიუჯეტის გასავლის პრიორიტეტული ნაწილი, თორემ გარდაუვალი გახდება მოვლენების სპონტანური, გაუთვალისწინებელი განვითარება, რაც შეიძლება საქართველოსათვის არასასურველი შედეგებით დასრულდეს.

უზენაესი საბჭოს პრესცენტრი თავს მოვალედ თვლის იყოს აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის შექმნის ინიციატორი. მოხარული ვიქნებით თუ, უზენაესი საბჭოს მეცნიერების, კულტურის, განათლების კომისიის ინფორმაციის ქვეკომისია შეიმუშავებს ალტერნატიულ სახელმწიფო პროგრამას. ასეთი პროგრამა შეიძლება შეიქმნას აგრეთვე ჟურნალისტთა კავშირის ძალებით.

სერიოზული პროგრამის შემუშავება გარკვეულ დროს მოითხოვს, ამიტომ წინასწარ წარმოგიდგენთ კონცეფციურ მონახაზს.

საქართველო დღეს სერიოზულ ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის, ამიტომ, ალბათ შეუძლებელი იქნება მყისიერი მძლავრი ფინანსური მხარდაჭერა. ამიტომ პროგრამა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ნაწილად, რომელთაგან პირველი იქნება დღეს ჩვენს ხელთ არსებული საშუალებების და ძალების გათვალისწინებით აუცილებელ შესასრულებლად, ღონისძიებების ნუსხა, ანუ ე.წ. მოკლევადიანი ნაწილი.

მეორე. გრძელვადიანი ნაწილი გათვლილი უნდა იყოს საქართ-

ველოს ახალი საერთაშორისო მდგომარეობის, გეოპოლიტიკური მდგომარეობის, თავისუფალი ეკონომიკური განვითარების გათვალისწინებით და მძლავრი ფინანსური მხარდაჭერა ჰქონდეთ უკვე 1992 წლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლევადიანი პროგრამის შემადგენელი ნაწილები და ეტაპები შემდეგი სახის წარმოგვიდგენია:

— მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში პრესწარმომადგენლის მოძიებით ან გაგზავნის საშუალებით ინფორმაციის გადაცემის საშუალედო სისტემის შექმნა:

საქართველო უფრო და უფრო ხშირად ექცევა მსოფლიო პრესის ყურადღების არეში, მაგრამ, იმის გამო, რომ ძალიან მწირია ენციკლოპედიური ხასიათის ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაზე, ოპერატიული ინფორმაცია ხშირად ისტორიული, გეოგრაფიული ხასიათის შეცდომებითაა სავსე, რაც მიმდინარე მოვლენების მცდარი ინტერპრეტაციის წყარო ხდება. ამიტომ აუცილებელია მსოფლიოს ყველა ქვეყნის ძირითად ბიბლიოთეკებს გადაეგზავნოს საქართველოში გამოცემული წიგნები, ნებისმიერ ენაზე გამოცემული, გასაგზავნ წიგნთა ხასიათს უნდა განსაზღვრავდეს შესაბამისი კომისია ან უკვე არსებული ქართული ენციკლოპედიის ინსტიტუტი:

— მას შემდეგ, რაც ოქტომბრის არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მოვიდა, საკავშირო ცენტრალიზებულმა გაერთიანებამ „საერთაშორისო წიგნმა" შეწყვიტა ქართული ჟურნალგაზეთების გაგზავნა საზღვარგარეთ. ეს ყოვლად შეუწყნარებელია. დასავლეთის უამრავი პოლიტოლოგი, ქართველოლოგი, ქართული ემიგრაცია ელოდება ჩვენგან თუნდაც მხოლოდ პრესას:

— შესანიშნავი გეგმები აქვს საქართველოს ტელევიზიას და რადიოს. ვითვალისწინებთ რა, რომ ტელეინფორმაცია ინფორმაციის ძირითადი წყარო გახდა, აუცილებელია უპირველესი ფინანსური დახმარება გაეწიოს საქართველოს რადიოს და ტელევიზიის დეპარტამენტს;

— სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს ცენტრალური გაზეთების საკუთარი კორესპონდენციების გაგზავნა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და იაპონიაში, სასურველია კორესპონდენტების გაცვლა ან სხვა ურთიერთმისაღები ფორმების გამოძებნა;

– უნდა მოწესრიგდეს ქრონიკალური ხასიათის ვიდეოინფორმაციის სისტემატიზაციის და ტირაჟირების საკითხი;

– მასობრივი ხასიათი უნდა მიეცეს საინფორმაციო ბიულეტენების, პრესრელიზების გამოცემაგავრცელებას;

– უნდა დაჩქარდეს პარლამენტის ბიბლიოთეკის შექმნის უკვე დაწყებული პროცესი;

– მიუხედავად რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის იმპერიული ხასიათისა, აუცილებელია ჩვენდამი კეთილგანწყობილ გაზეთებთან თუ ორგანიზაციებთან (მაგ. ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი) აქტიური თანამშრომლობა;

– ინფორმაციის მიღება-გადაცემის პრიორიტეტული წყარო შეიძლება გახდეს საინფორმაციო კომპიუტერული ბანკები. აუცილებელია რომელიმე ან რამდენიმე მძლავრი ბანკის ქსელში ჩართვა, რაც მართალია, გარკვეულ სავალუტო დანახარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მიღებული ეფექტი განუზომლად დიდი იქნება. კერძოდ, უნდა მივაღწიოთ კომპიუტერული ბანკების კატალოგებში ქვეკატალოგ „საქართველოს" შექმნას;

– უნდა შეიქმნას საქართველოს ერთიანი კომპიუტერული საინფორმაციული ქსელი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტი უნდა განხორციელდეს მიმდინარე წლის ბოლომდე, პარალელურად უნდა შემუშავდეს ინფორმაციის მოპოვება-გადაცემის პერსპექტიული სახელმწიფო პროგრამა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი

12 ივნისი 1991 წელი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 14 ივნისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას

მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს მოსახლეობისადმი

თანამემამულენო! მოკლე ისტორიული პერიოდის მქონე ჩვენმა სახელმწიფოს მკვიდრმა მოსახლეობამ გამოხატა თავისი ნება. 1990 წლის 28 ნოემბრის არჩევნებმა, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმმა და 26 მაისის პრეზიდენტის საერთოსახალხო არჩევნებმა ცალსახად განსაზღვრა ჩვენი მისწრაფებანი, ეს არის და იქნება ყველაზე ძლიერი არგუმენტი კრემლთან მოლაპარაკებისათვის და სხვა ქვეყნების მიერ საქართველოსთვის დამოუკიდებლობის დიპლომატიური ცნობისათვის. მიუხედავად ასეთი ერთსულოვნებისა საქართველოში დღეს კვლავ მერყევი მდგომარეობაა. იზრდება დამნაშავეობა შიდა ქართლში იღვრება სისხლი, კვლავ ქვეითდება წარმოება. როდესაც ქვეყნის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, გასაგებია, რომ მერყეობა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებით ვერ იქნება გამოწვეული, ის ე. წ. ცენტრის ძალისხმევის შედეგია. ასეთ ვითარებაში მხოლოდ ჩვენი სულიერ და ფიზიკური დაქსაქსულობა მისცემს ცენტრს საშუალებას ბოლომდე განახორციელოს ინტერსიფიკაციული მიზნები საქართველოში. პარადოქსულია სიტუაცია: ხალხი ერთსულოვნად გამოხატავს უალტერნატივო პოლიტიკურ ნებას, ჩვენში კი გრძელდება კომუნისტური წყობილებისათვის დამახასიათებელი მოვლენები: კორუფცია, შრომისადმი ინდეფერენტული დამოკიდებულება, საბოტაჟი, დამტაცებლობა, მაფიოზური კლანების თარეში.

გასაგებია რომ ძველი სისტემის ნგრევისა და ახლის შენების დროს გარდაუვალია ასეთი მოვლენების ამოძირკვა, რომ ქვეყნის საკანონმდელო და აღმასრულებელმა ორგანოებმა ჯერჯერობით ვერ ნახეს კრემლის ეკონომიკური მარწუხებიდან თავის დაღწევის ოპტიმალური გზა. მაგრამ თანამემამულენო არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველო არის დაპყრობილი ქვეყანაა, ჩვენ უფლებას ვერ მივცემთ საკუთარ თავს სოციალური გაჭირვება თუ შიმშილობა ძველთან რღვევისა და ახლის შენების პროცესს დავაბრალოთ.

პოლიტიკური აქტიურობის პარალელურად უეჭველად იგრძნობა სოციალური თუ შემოქმედებითი პასიურობა, რაც შეიძლება ერთ-ერთ ღუპველი აღმოჩნდეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ან კიდევ მეს სამე სამყაროს ქვეყნების მსგავსად ტვირთად დავაწვეთ მსოფლიო ეკონომიკას, რაც კიდევ უფრო მძიმე იქნება ჩვენთვის. საქართველოში მრავალი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ლოზუნგებმა ისინი თავდაპირველად შეაშინა, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, არსებული სტატუს კვოს დარღვევის საშიშროებით, ხოლო მეორე მხრივ შედეგი კრემლის "ინტერნაციონალისტური" გაკვეთილებისა. საბედნიეროდ არაქართველმა მოსახლეობამ სწორად შეაფასა მიმდინარე პროცესების ხასიათი და მიზნები და განუდგა საბჭოთა იმპერიალიზმს. ქართველი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებულმა ტოლერანტობამ და რელიგიურმა შემწყნარებლობამ უკვალოდ არ ჩაიარა. სხვა ეროვნების წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყანა მათი კულტურული თუ სოციალური თვითმყოფადობის შენარჩუნების გაცილებით უფრო ძლიერი გარანტი იქნება, ვიდრე საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც დიდი იმპერიის ერთ-ერთ გეოგრაფიულ პროვინციას წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, ისეთი ღირებულებები როგორიცაა ენა, კულტურა ხალხის კეთილდღეობა, ნაკლებად აწუხებთ ცხინვალის და ჯავის რაიონებში თავმოყრილ ოს ექსტრემისტებს.

ზოგ-ზოგთა პოლიტიკურმა ამბიციებმა დიდ სისხლისღვრა გამოიწვია, რაც თანაბრად სტკენს გულს ყველას, ვისთვისაც თანასწორუფლებიანობა და კეთილმეზობლობა ლიტონი სიტყვები არ არის.

კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით გადაჭრის მიზნით საქართველოს უზენაესი საბჭოს ინიციატივით შეიქმნა და თვეზე მეტია კონფლიქტის რაიონებში მუშაობს რომელმაც დასახა სტაბილიზაციის გზები. გამოინახა ოს მოსახლეობასთან შეხების წერტილები. გაირკვა, რომ ისინიც არანაკლებ შეწუხებული არიან გაჭიანურებული საომარი მდგომარეობით. საპარლამენტთაშორისო კომისიამ პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გზად დასახა საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. ვასრულებ რა კომისიის თხოვნას, ვადასტურებ, რომ ყველა, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს მართლწესრიგის

დამცველ ორგანოებს, გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იარაღის უკანონო ტარებისათვის. იარაღის ნებაყოფლობითი ჩაბარებით და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება იქნება გარანტია ძმათა შორის სისხლისღვრის შეწყვეტისა, ოს ხალხთა ტრადიციული მეგობრობისა და მშვიდობის აღდგენისა, საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოების დაწყებისა, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის აღდგენისა მთელს რეგიონში.

გარდა ამისა დასრულების ფაზაშია საქართველოს მოქალაქეობის კანონი, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეობის მინიჭებას ყველასათვის, ვინც მუდმივად არის ჩაწერილი საქართველოს რესპუბლიკაში.

თანამემამულენო! საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ და შფოთიან ხანაში ყველა ჩვენგანის ვალია გამოიჩინოს ეროვნული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში დავაღწევთ თავს იმპერიის მარწუხს და მხოლოდ ამ შემთხვევაში გავხდებით მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს სრულფასოვანი წევრი. დაე, იყოს ჩვენი დევიზი სამოქალაქო თანხმობა, ურთიერთგაგება და მშვიდობა!

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
12 ივნისი 1991 წელი.
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 ივნისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის განცხადება

ხალხების მარადიული მისწრაფება სოციალური სამართლიანობისაკენ მრავალგზის ქცეულა ბოროტების იარაღად ათასი ჯურის ავანტიურისტთა ხელში. ბოლშევიზმმა განსაკუთრებული ცინიზმით გამოიყენა ეს იარაღი, როცა, კომუნისტური ფრაზეოლოგიით შენიღბულმა, არსებითად მაფიოზური, ბანდიტური რეჟიმი შექმნა. დროთა განმავლობაში ამგვარი იდეოლოგიური ნაჭუჭი სულ უფრო ზღუდავდა მომ-

ძლავრებულ მაფიას, რომელსაც თავისი ნამდვილი არსის გამჟღავნება და უსაზღვრო შესაძლებლობათა ლეგალური ექსპლუატაცია, უწყდება. იმპერიის მოდერნიზაციის გზით მისი გადარჩენის სურვილთან ერთად პრივილეგილებული მმართველი კასტის ხსენებული მისწრაფებაც „პერესტროიკის" ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა გახდა.

საქართველოს მოსახლეობამ საბოლოოდ გააცნობიერა და გაითავისა ეროვნულგამათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრესი მიზანი— დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენმა მოძრაობამ ხალხს ჩაუსახა მაფიოზური რეჟიმის დამხობისა და ტოტალური, ყოვლისშემრყვნელი კორუფციის მოსპობის იმედიც და ეს იმედი რომ არა, ალბათ, გაჭირდებოდა მოძრაობისათვის ჭეშმარიტად რევოლუციური, მასობრივი ხასიათის მინიჭება.

როცა 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ კომუნისტურმა რეჟიმმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა, მან ხელოვნურად შექმნილი ქაოსისა და არასტაბილურობის ვითარებაში კიდევ უფრო გაიმაგრა პოზიცია ეკონომიკაში, ხოლო ეროვნული მოძრაობის რიგებში ჩანერგა თავისი აგენტურა, რათა დროებითი უკან დახევის შემდეგ მალევე დაებრუნებინა პოლიტიკური ძალაუფლება ეროვნული ხელისუფლების ნაწილის გარყვნისა და სათანადო ლობის ჩამოყალიბების გზით. იყენებს რა ნაცად იარაღს კორუფციას, მაფია დღესაც წარმატებით ახორციელებს ამ გეგმას.

გასაგებია, რომ ორგანიზებული დამნაშავეობის საბოლოო დამარცხება შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური სისტემის ძირეული ცვლილებით, მაგრამ ცხადია ისიც, რომ რეფორმათა განხორციელების პროცესში ბევრი მოისურვებს სახელმწიფოს ხარჯზე ხელის მოთბობასა და რეფორმის არასწორი მიმართულებით წარმართვას, რასაც შედეგად მოჰყვება დიდი სოციალური კატაკლიზმები. ამგვარი ვითარების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაუყოვნებელი მოქმედებაგალაღებული მაფიოზური ძალების მოთოკვა პრეზენტული დარტყმით. ეს პირველ რიგში ეხება იმ ადამიანებს, ვინც მართვის ახალ სტრუქტურებში მოკალათებულან და სახელს უტეხენ ეროვნულ ხელისუფლებას და მთლიანად ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას.

მათ, ვისაც კორუფციის ყოვლისშემძლეობის იმედი აქვს, შევახსენებთ, რომ რევოლუცია არ დამთავრებულა და ჩვენ კვლავაც ვეყრდნობით იმ ერთადერთ ძალას, რომელსაც მუდამ ვეყრდნობოდითხალხს.

თუ მაფიოზური ელემენტები გონს არ მოეგებიან, ხვალ ხალხს ისევ მოუწევს ქუჩაში გამოსვლა მათი თარეშის ასალაგმავად და ამ შემთხვევაში იგი იმოქმედებს ეროვნული ხელისუფლების დასაცავად და არა მის წინააღმდეგ, როგორც ეს მავანთა და მავანთ ეოცნებებათ.

მალხაზ კვანჭილაშვილი, მერაბ ურიდია, თედო პაატაშვილი, ლევან ასათიანი, გოგი გულბანი, გელა კობერიძე, თამაზ ობგაიძე, მედეა თუშმალიშვილი, გიზო კორძაძე, ზვიად ძიძიგური, პაატა ჩხეიძე, გელა ჩორგოლაშვილი, ალეკო ახვლედიანი, თენგიზ დიხამინჯია, გურამ პეტრიაშვილი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 ივნისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

დისიდენტ ესაია გოლდშტეინის ღია წერილი ვალერი ჭალიძეს

„მეორე ასეთი კაცი, რომელმაც მწვერვალი აეროსტატით აიღო, გახლდათ ვ. ჭალიძე. თავდაპირველად იგი უშვებდა უაღრესად მოსაწყენ თვითგამოცემულ იურიდიულ ჟურნალს, შემდეგ გამოიგონა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი...“

„ყველაზე გულუბრყვილო კაციც კი დამეთანხმება, რომ სსრ კავშირში ადამიანის უფლებათა შესახებ ლექციების წასაკითხად საზღვარგარეთ გამგზავრების ვიზის მისაღებად გვერდს ვერ აუვლის ვერავინ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან შემუშავებულ მორიგებას, რომელსაც ერთი შეხვედრით ვერ მიაღწევ“.

სოლჟენიცინი „ურქენდა ხბო მუხას“.

პატივცემულო პროფესორო ვ. ჭალიძევ!

გწერთ დოქტორი ესაია გოლდშტეინი, რომელიც 30 წელზე მეტი ხნის წინათ თქვენთან ერთად სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. მე გახლავართ ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მაგრამ როცა 1986 წელს ისრაელში წავედი, იქ რატომღაც ფილოსოფიის ხარისხი მივიღე საბჭოთა საკანდიდატო დიპლომის საფუძველზე. ეტყობა ამერიკაში თქვენ უფრო გაგიღიმათ ბედმა, ვიდრე მე ისრაელში, რამეთუ პრესაში პროფესორს გიწოდებენ, თუმცა

არავითარი მეცნიერების კანდიდატიც კი არ ბრძანდებით.

ბედმა იმიტომაც გაგიღიმათ, რომ მოსკოვის „ცენტრის" ხელმძღვანელობამ არა თუ ნება დაგრთოთ გამგზავრებულიყავით 70-იანი წლების დამდეგს ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირში დევნილი სხვა რიგ მოაზროვნეთა შესახებ ლექციების წასაკითხავად (თვითონ სხვა რიგ მოაზროვნეებს ამ დროს საპყრობილეებში, ბანაკებსა და საგიჟეთში ამწყვდევდნენ), არამედ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებით 1990 წელს დაგიბრუნდათ საბჭოთა მოქალაქეობა. მე კი, საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის ყოფილ წევრს, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტი ზ. გამსახურდია, არ დამიბრუნებს საბჭოთა მოქალაქეობა. უფრო მეტიც, დიდხანს ვიყავი „პერსონა ნონ გრატა" სსრ კავშირში და მხოლოდ 1988 წელს აწ გარდაცვლილი აკადემიკოს ა. სახაროვის ჩარევის შემდეგ დამრთეს ნება ჩამოვიდე ხოლმე სტუმრად სსრ კავშირში. არ შეგაწუხებდით, პატივცემულო პროფესორო, ჩემი წერილით, თბილისში რომ არ წამეკითხა თქვენი სტატია სათაურით „ღირს კი ხალხთა საპყრობილე გავცვალოთ ცალკეულ საკნებზე", რომელიც თქვენ ვერმონტში (ამერიკის შეერთებული შტატები) 1991 წლის 20 მაისს, დაგიწერიათ. იგი დაბეჭდილია „კომსომოლსკაია პრავდაში", რომელიც ამჟამად დემოკრატებს შორის პატივში არ არის.

გული დამწყდა, რომ ამ ექვსსვეტიან სტატიაში ათჯერ მაინც, საქართველოს პრეზიდენტის სახელის ზ. გამსახურდიას გვერდით შევხვდი ეპითეტებს „ნაცისტი", „ნაცისტური" და ა.შ.

ზვიადს 16 წელია ვიცნობ, მერწმუნეთ იგი ნაცისტი არ არის. ჩემი ძმა გრიგოლ გოლდშტეინი და მე საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელმა ზ. გამსახურდიამ მის შემადგენლობაში შეგვიყვანა 1976 წელს, ჯგუფის შექმნისთანავე. არადა, ძმები გოლდშტეინები ხომ წმინდა სისხლის ებრაელები ვართ და ქართული სისხლი არ გვირევია. ზ. გამსახურდია ხელს აწერდა მისასალმებელ დეპეშებს ისრაელის ხელმძღვანელებისადმი, როგორც ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელი, თუმცა ეს არც კი შედიოდა უშუალოდ ჯგუფის საქმიანობის წრეში. და ბოლოს, წმინდა ადამიანურად, ზვიადი და მისი მეუღლე მანანა არჩვაძე არასოდეს არ „თაკილობდნენ" ჩვენთან „არაარიელებთან" ურთიერთობას სუფრაზე. კაცმა რომ თქვას, არა მარტო ჩვენთან, არამედ მრავალ სხვა „არაარიელთანაც"–რუსებთან,

სომხებთან, ოსებთან... მათგან არავის არასოდეს დაუბრალებია ზ. გამსახურდიასათვის ნაციზმი, თქვენ კი, ბატონო ვ. ჭელიძევ, ათეული წლების მანძილზე არ ყოფილხართ საქართველოში, არ იცნობთ ზვიად გამსახურდიას და უსაფუძვლოდ აბრალებთ ნაციზმს.

გადავიდეთ „ნოსტალგიური" ჰელსინკის სამოცდაათიანი წლებიდან 1991 წლის ივნისზე.

საქართველოს მცხოვრებთა (ქართველთა, სომეხთა, რუსთა, ებრაელთა, ბერძენთა, აბხაზთა, ქურთთა და ა.შ.) ხმების უდიდესი უმრავლესობით არჩევიდან ერთი დღის შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში პირველად დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია შემომეგება თავის საპრეზიდენტო კაბინეტში, გადამეხვია, გადამკოცნა, მოიკითხა დედაჩემი, ძმა, ცოლშვილი. ამ დროს ძალზე დაღლილი სახე ჰქონდა–უამრავი საზრუნავი აქვს.

ზ. გამსახურდიასათვის ანტისემიტიზმის დაბრალება უსაფუძვლოა არა მარტო ჩემი მაგალითით. სრული პასუხისმგებლობით ვადასტურებ, რომ საქართველოში ებრაელები ქართველთა უმრავლესობაზე უარესად არ ცხოვრობენ, ზოგიერთი–უკეთაც.

დღეისათვის საქართველოში ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლდნენ ყოველგვარი სიონისტური ჯგუფები და ასოციაციები. აქ მთელი ძალით გაშალა თავისი საქმიანობა ებრაელთა მსოფლიო სააგენტომ. სამიოდე კვირის წინათ ჩამოვედი თბილისში ისრაელიდან და კარგად ვიცი, რომ საქართველოდან ისრაელში ებრაელთა ემიგრაცია ამ ბოლო ხანს დიდი არ არის და ემიგრაციის მიზეზები არ შეიცავს „საქართველოში ებრაელთა დევნას".

ყოველი პატიოსანი კაცი დაგეთანხმებათ, ბატონო ვ. ჭალიძევ, რომ (ციტატა თქვენი სტატიიდან) „როგორც კი ადამიანების განსხვავებას დაიწყებენ სისხლით იმაში, რაც მათს უფლებებს ეხება, ეს არაადამიანურობის დასაწყისია". ნაციზმი დაჰკრავს ლოზუნგსაც: „საქართველო ქართველებისათვის". თქვენ წარმოთქვამთ ანბანურ ჭეშმარიტებებს, რომლებიც მავნედ იქცევა, როცა მათ იმისთვის იყენებთ, რომ უსაფუძვლოდ ჩირქი მოსცხოთ საქართველოს პრეზიდენტს. ალბათ არ იცით, რომ ზ. გამსახურდია სულაც არ მიერეკება ოსებს საქართველოდან, მაგრამ ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ქართული მიწაწყლის ნაწილი არ გადაეცეს რუსეთს. წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ, ბატონო ვ. ჭელიძევ, ა. სოლჟენიცინთან ერთად გადაწყვიტეთ ვერმონტის

შტატი (სოლჟენიცინი ხომ თქვენსავით ვერმონტის მცხოვრებია) გადასცეთ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან კანადას. პრეზიდენტი ჯ. ბუში უეჭველია, ამ ფანტასტიკურ შემთხვევაში საჭირო ზომებს მიმართავს, მაგრამ არა იმიტომ, თითქოს იგი შოვინისტი, რასისტი, ნაცისტი, იყოს.

თქვენს სტატია პასკვილში განზრახულად ცილს სწამებთ საქართველოს პრეზიდენტს, როცა აცხადებთ (მომყავს ციტატა): „... ხომ აშკარაა, რომ „გამსახურდიასეული" ისტერიკები მიმართულია არა იმდენად უმცირესობათა წინააღმდეგ, რამდენადაც მიზნად ისახავს ხმა ჩააწყვეტინოს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს...". ვიმედოვნებ, რომ ამერიკელი სტუდენტებისათვის (მეც მყავდნენ ამერიკელი სტუდენტები და ვიცი მათი მენტალურობა) თქვენ არჩევთ გამოთქმებს, უფრო რომ ეკადრება პროფესორს, ამ ბინძური ფრაზის არსით კი შეიძლება მხოლოდ მოგაგონოთ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგები. პრეზიდენტ გამსახურდიას ხუთივე კონკურენტმა, ერთად აღებულმა, მიიღო ამომრჩეველთა ხმების 13.4 პროცენტი, ხოლო მან – 86.6 პროცენტი.

არა ჰყავს ზ. გამსახურდიას საქართველოში არავითარი სერიოზული ოპოზიცია!

რა თქმა უნდა, ხალხთა საპყრობილეს გაცვლა ცალკეულ საკნებზე არ ღირს, მაგრამ იყო დამოუკიდებელი და თავისუფალი ხალხი – ძალიანაც ღირს. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევა ძნელია. ამ პასუხსაგებ პერიოდში ყველა, ვისთვისაც ძვირფასია საქართველო, უნდა შეკავშირდეს პრეზიდენტ გამსახურდიას გარშემო. მას აქვს კანონიერი უფლება უხელმძღვანელოს რესპუბლიკას იმ პრინციპებისა და მითითებების შესაბამისად, რომლებიც მოიწონა საქართველოს მცხოვრებთა უდიდესმა უმრავლესობამ.

ჩვენ, ამა თუ იმ მიზეზით „უცხოელები" რომ გავხდით საქართველოსათვის, შეგვიძლია დავეხმაროთ რესპუბლიკას და მის პრეზიდენტს კონსტრუქციულად და მრავალმხრივ. თუ ვინმეს არ სურს დახმარება, ნუ ავნებს მაინც მას მსოფლიო საზოგადოებრიობის დეზინფორმაციით.

ესაია გოლდშტეინი,ისრაელი, ნათანია,

1991 წლის 12 ივნისი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა",

15 ივნისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის“ განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მუშაობაში დამკვიდრდა მიუღებელი ტრადიცია, როცა კანონპროექტები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები განიხილება რეგლამენტით დადგენილი წესის მიხედვით, ოღონდ ყოველმხრივ შეუსწავლელად. ხშირია შემთხვევები, როდესაც მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები მიიღება ტექსტზე თვალის ერთი გადავლებით ან ზოგჯერ ზეპირად მოსმენითაც კი.

მრავალგზისი მოთხოვნის მიუხედავად ვერ მოხერხდა სესიებზე განსახილველად წარსადგენი მასალების წინასწარ, თუნდაც ერთი დღით ადრე გადაცემს დეპუტატებისათვის.

ფრაქციას მიაჩნია, რომ უზენაესი საბჭოს რეგლამენტში საჭიროა აისახოს პარლამენტების პრაქტიკაში დამკვიდრებული წესი, რომლის თანახმად უზენაესი საბჭოს ყოველი სხდომის დასასრულს უნდა დამტკიცდეს მომდევნო სხდომის დღის წესრიგის ძირითადი საკითხები. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით უზენაესი საბჭოს სხდომის თარიღის გამოცხადებასთან ერთად უნდა გამოცხადდეს დღის წესრიგიც.

გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშების გამოქვეყნება გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, „დემოკრატიული ცენტრი“ ვალდებულია განაცხადოს: თუ უზენაესი საბჭოს სესიებზე კვლავაც გაგრძელდება კანონპროექტების ასეთი წესით მიღება, ფრაქციის წევრები უფლებას იტოვებენ მოითხოვონ საკითხის განხილვის გადადება.

„დემოკრატიული ცენტრის“ სამდივნო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“,

15 ივნისი, 1991.

* * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ ხავიერ პერეს დე კუელიარს;

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ მანფრედ გერნერს;

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მუდმივ საბჭოს;

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო კომიტეტს;

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაერთიანებული ქვეყნების სახელმწიფო მეთაურებსა და მთავრობათა ხელმძღვანელებს;

საქართველოს ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრის

მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს ანტისაოკუპაციო მოძრაობაში გაერთიანებული ეროვნულპოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა ქართველი ერის უზენაესი ნებითა და მისწრაფებით საქართველოს ეროვნულსახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში, თავს უფლებას აძლევენ წამყვანი დემოკრატიული ქვეყნებისა და უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე გააკეთონ შემდეგი განცხადება:

მრავალსაუკუნოვანი, ისტორიული, სარწმუნოებრივი, სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების მატარებელმა ქართველმა ერმა 1918 წლის 26 მაისს თავისუფალი ეროვნული თვითგამორკვევით აღადგინა მე-19 საუკუნეში მეფის რუსეთის იმპერიის ანექსიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობა და შექმნა დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სუვერენული და ქართული სახელმწიფო — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც სრული პოლიტიკური სუვერენიტეტის მქონე დამოუკიდებელი სახელმწიფო, ოფიციალურად ცნო მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ, და, ბოლოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საერთაშორისო სამართლებრივი ცნობის უნივერსალური ეტაპი იყო ის, როცა ერთა

ლიგამ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცნო დე ფაქტო და დე იურე.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთი შეიარაღებული ძალებით თავს დაესხა და დაიპყრო საქართველო, დაამხო კანონიერი ხელისუფლება და სახელმწიფოებრიობა, იძულებით გაასაბჭოვა და შემდგომ, შეიყვანა რა საქართველო საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში, მისი ფაქტობრივი ანექსია მოახდინა.

ქართველი ერი არ შერიგებია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვას და ოკუპაციის მთელ სამოცდაათი წლის მანძილზე არაერთხელ აღმდგარა საბჭოთა აგრესიის წინააღმდეგ. ბოლო სამი წლის მანძილზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აზვირთდა საქართველოში და ქართველი ერის მისწრაფებამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ საყოველთაო ხასიათი მიიღო, საბჭოთა იმპერიის შეიარაღებული ძალების მიერ სისხლში ჩახშობილი აპრილის საყოველთაო გამოსვლები 1988 წელს, მრავალათასიანი მანიფესტაციები, დემონსტრაციები და გაფიცვები, რომლებიც მთელ საქართველოში გაიმართა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის გაგზავნილი უამრავი მიმართვა საქართველოს სხვადასხვა ეროვნულპოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების სახელით, და ბოლოს, 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმი მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ ურყევი და შეუვალია ქართველი ერის ნება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში.

ჩვენ, ანტისაოკუპაციო მოძრაობაში გაერთიანებული ეროვნულ-პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, წარმოვადგენთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ ნაწილს, რომელიც შეგნებულად ამბობს უარს ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში ითანამშრომლოს და დაჯდეს დაპყრობილი ქვეყნის ოფიციალური ხელისუფლების სტრუქტურაში. ვესწრაფით რა ერთა ლიგის მიერ ოფიციალურად ცნობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას, მოცემულ ისტორიულ ეტაპზე საქართველო მიგვაჩნია საბჭოთა იმპერიისაგან ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნად. საქართველოში საბჭოთა იმპერიის, ეგრეთ წოდებული სსრ კავშირის ჯარებისა და შეიარაღებული ძალების დისლოკაციასა და

საბჭოთა იმპერიის სახელმწიფო საზღვრების შიგნით საქართველოს ფაქტობრივ ყოფნას ჩვენ მივიჩნევთ სამოცდაათწლიან შეიარაღებულ აგრესიად, რომელიც 1921 წლის თებერვლიდან იღებს დასაბამს და დღემდე გრძელდება. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ერთადერთ გარდამავალ და აუცილებელ პირობად მიგვაჩნია სამოცდაათწლიანი საბჭოთა შეიარაღებული აგრესიის აღკვეთა, რაც ითვალისწინებს:

ა) საქართველოდან საბჭოთა იმპერიის შეიარაღებული ძალების—საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობით გაყვანას;

ბ) საქართველოს გამოსვლას საბჭოთა იმპერიის სახელმწიფო საზღვრების შემადგენლობიდან.

ამ პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებული უდიდეს სირთულეებთან, რადგან გულისხმობს უკომპრომისო ბრძოლას კრემლის იმპერიისა და მისი უშველებელი სამხედრო აპარატის წინააღმდეგ, რაგინდ რთულიც უნდა იყოს ეს ბრძოლა, ჩვენ ვალდებული ვართ არ შევუდრკეთ ამ დაპირისპირებას, რადგან აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტის ფუნდამენტური ლიკვიდაციის გარეშე საქართველო სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ვერ აღიდგენს და ნამდვილ თავისუფლებას ვერ დაიმკვიდრებს. საბჭოთა შეიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მოპოვება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დემოკრატიული ქვეყნების მხარდაჭერაზე. მოცემულ ეტაპზე თქვენი უდიდესი თანადგომა იქნებოდა, თუ საქართველოს ოფიციალურად განუსაზღვრავდით ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყნის სტატუსს და სსრ კავშირს საქართველოსთან მიმართებაში განიხილავდით აგრესორად.

საქართველოს ანტისაოკუპაციო მოძრაობაში გაერთიანებული პარტიები და ორგანიზაციები გაეროს პარალელურად იმიტომ მოგმართავთ ჩრდილოატლანტიკურ ბლოკსა და მასში გაერთიანებულ დემოკრატიულ ქვეყნებს, რომ თქვენში ვხედავთ იმ პროგრესულ ძალებს, რომელთა სამხედრო ძლევამოსილებამ კომუნისტური იმპერიის ტოტალიტარული მოძალებისა და იავარქმნისაგან იხსნა თანამედროვე მსოფლიოს დემოკრატიული ცივილიზაცია. ამასთან ერთად მომავალ თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს ჩვენ ვჭვრეტთ, როგორც სამართლებრივ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელიც

სურვილს გამოთქვამს სამხედროპოლიტიკური სტატუსით გაერთიანდეს ჩრდილოატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში.

1991 წლის 28 ივნისს საქართველოს ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრი საქართველოს დედაქალაქში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ აწყობს საპროტესტო ხასიათის პოლიტიკურ დემონსტრაციას საქართველოდა საბჭოთა იმპერიის საოკუპაციო ჯარების გაყვანის მოთხოვნით. საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას დიდად დაეხმარებოდით, თუ ამა წლის 28 ივნისს თბილისში წარმოაგზავნიდით მეთვალყურეებს აქციაზე დასასწრებად!

ღმერთი ფარავდეს თავისუფლებისა და სიმართლისათვის მებრძოლ ძალებს!

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია:
ირაკლი წერეთელი, თეიმურაზ სუმბათაშვილი, თორნიკე ფიფია, ვასილ ტალახაძე, მერაბ პაიჭაძე, მამუკა მამაცაშვილი.
საქართველოს მონარქისტული პარტია:
თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ნიკო სვანიშვილი, კახა დევდარიანი, მამული ჟლენტი.
წმინდა ილია მართლის საზოგადოება:
გურამ გოგბაიძე, კონსტანტინე გუგულაშვილი, პაატა თავზარაშვილი.
საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის პარტია:
დავით ონანიშვილი, აკაკი მაჭავარიანი.
1991 წლის 18 ივნისი.
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ივნისი, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * * *

ზვიად გამსახურდია – სამახსოვრო ჩანაწერი საქართველოს ეროვნული პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი

უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა მრავალი პარტია და ორგანიზაცია, რაც უდავოდ მისასალმებელია სამოცდაათწლიანი ტოტალიტარული ერთპარტიული სისტემის ბატონობის შემდგომ. მაგრამ ამ პარტიებისა და ამ პარტიებისა და საზოგადოებების საქმიანობაზე დაკვირვება ზოგჯერ შიშსაც იწვევს, ვაი თუ, ყოველივე ამან ნანატრი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ნაცვლად უფრო დიდი ქაოსისა და საფრთხის წინაშე დაგვაყენოს. გამოითქმის მრავალი შეხედულება ჩვენი მოძრაობის მიმართულებისა და მიზნების შესახებ. ერთ-ერთი მათგანია ის, რომ თითქოს საქართველოში დღეს არსებობს ერთის მხრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მხოლოდ დამოუკიდებლობისათვის იბრძვის და სხვა პრობლემებისთვის არა სცალია, ხოლო მეორეს მხრივ—ეროვნული ხსნის მოძრაობა, რომელიც იბრძვის კულტურული, ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და სხვა პრობლემებისთვის.

ჩემის აზრით, დაუშვებელია ასეთი დაყოფა. ეროვნულმა და სამართალდაცვითმა მოძრაობამ მაქსიმუმი უნდა გააკეთოს როგორც ერთ, ისე მეორე ფრონტზე. ეს უნდა იყოს მისთვის ერთიანი ფრონტი. სამწუხაროდ, ზოგიერთი პარტია იჩემებს პრიორიტეტებს ე.წ. პირველ ფრონტზე, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფრონტზე, ხოლო მეორე ფრონტზე მოღვაწეობა თავის მოვალეობად არ მიაჩნია, „მთავარია დამოუკიდებლობა!" გაიგონებთ მათგან, სხვა დანარჩენი კი—ზედმეტია დღეს. მოდით განვიხილოთ, რამდენად სერიოზულია და გამართლებული ასეთი დამოკიდებულება ეროვნული მოძრაობისადმი.

მოდით, ვიქონიოთ რეალობის გრძნობა. თვალი გავუმართოთ იმ საფრთხეს, რომლის წინაშეც დგას ჩვენი ერი. ეროვნული ხსნის მოძრაობას, საზოგადეოებრივი ხსნის მოძრაობას ნუ გამოვყოფთ ეროვნულგამათავისუფლებელი მოძრაობისაგან, რამეთუ ეს ორი რამ უერთიერთგანპირობებული და განუყოფელია.

იმთავითვე ვიტყვი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებანი პირდაპირ არის დამოკიდებული მის მასობრივ ხასიათზე, ეს მოძრაობა კი საერთო სახალხოდ ვერ გადაიქცევა, თუ მასებმა არ დაინახეს მისის აუცილებლობა, თუ იგი თავიანთ ღვიძლ საქმედ არ აქციეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ჩვენ მასების შეგნებამდე უნდა დავიყვანოთ, რომ საქართველოს ყველა ეროვნულ და სოციალურ პრობლემას საბოლოო ჯამში ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის გარდა არაფერი უშველის, რომ ყველა ამ პრობლემის მოგვარება თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაშია. მაგრამ, ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ მთელ ქართველ ერს ვერ დავრაზმავთ, სანამ მას თავალნათლივ არ ვაჩვენებთ ყოველივე იმას, რასაც ხედავს დღეს მხოლოდ ეროვნული მოძრაობა, სანამ თითოეული ქართველის შეგნებამდე არ დავა ის ცხადი ჭეშმარიტება, რომ არსებულ რეჟიმში განწირულია არა მხოლოდ ერი, არამედ ყოველი ადამიანის ინდივიდუალურობა და კეთილდღეობა, სხვაგვარად ჩვენ ვერ შევქმნით მასობრივ, სტაბილურ, დინამიურ მოძრაობას, რომელიც საყოველთაო, ეროვნულ დაუმორჩილებლობაში გადაიზრდება.

დღეს საქართველოს დამოუკიდებლობა აქსიომაა მხოლოდ ჩვენთვის, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებისათვის, მასებისათვის კი იგი ჯერაც თეორემაა, რომელსაც დამტკიცება სჭირდება. (ეს არის უდიდესი მიღწევა კრემლის სამოცდაათწლიანი ტაქტიკისა და პროპაგანდისა). ამის დამტკიცების საუკეთესო გზა კი არის ეროვნული მოძრაობის ფართოდ გაშლა მასებში, ჩვენი ეროვნული და სოციალური წყლულების გაშიშვლება, ხალხისთვის ინფორმაციის მიწოდება მათ შესახებ, ნათელყოფა იმისა, თუ რა მოაქვს საბჭოთა იმპერიალიზმს და ბიუროკრატიას საქართველოსთვის, ფაქტებით დასაბუთება იმისა, რომ მოსკოვს განზრახული აქვს არა მხოლოდ რუსიფიკაცია და დემოგრაფიული აბსორბირება ჩვენი ერისა, არამედ მისი ფიზიკური განადგურებაც: ეკოლოგიური გენოციდით, ნარკომანიით, სამხედრო ბეგარით და სხვა საშუალებებით. ყოველივე ამას კი მასების შეგნებამდე დავიყვანთ იმ შემთხვევაში, თუ გავაცნობთ მათ ჩვენი პროგრამა მინიმუმის დეტალებს, მემორანდუმის მოთხოვნებს და მათი შესრულებისათვის ბრძოლის გზებს, თუ ხალხის თანადგომით არ განვახორციელებთ ეროვნული ხსნისა და აღორძინების პროგრამას,

წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენი პროგრამა მაქსიმუმით, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩვენ მარტონი დავრჩებით, ეს ნაბიჯი რაობა საერთო-სახალხო მოძრაობად ვერ გადაიქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საბჭოთა იმპერიალიზმი გარდაქმნისა და საჯაროობის, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის ნიღბით მოქმედებს. უკანასკნელ ხანს მან გააქტიურა კოოპერაცია, ვაჭრობა—საქმიანობას გაუხსნა ფართო გზა მასსებში, რათა ამ გზით მეშჩანურ კეთილდღეობაში ჩაითრიოს მასსები და მოსწყვიტოს შეგნებულ პოლიტიკურ აქტივობას. ეს ჯერ კიდევ ლენინის ანდერძი იყო, ლენინი ურჩევდა კავკასიის ბოლშევიკებს, არ შეეზღუდათ წვრილბურჟუაზიული ტენდენციები კავკასიის ხალხებში, მიეცათ მათთვის ფართო საშუალება ვაჭრობა—საქმიანობისა.

კავკასიის სოვეტიზაციის შემდგომაც იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აქ არ არის საჭირო, რუსული შაბლონის გადმოტანა. ამ სფეროში აკრძალვა ვაჭრობისა, წვრილი მეწარმეობისა ეს ყოველივე ეროვნულპილიტიკური, შორს მიმავალ მიზნებს ისახავდა. აქტივობის ჩაკვლისას და დღეს კვლავ განახლებულია ლენინის მიმდევართა მიერ. ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა უნდა იყოს ამ მუხანათური პოლიტიკის მხილებაც.

დღევანდელ პირობებში ჩვენი პროგრესული აგიტაცია და პროპაგანდა პატრიოტული, ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების ქადაგება, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ მოწოდება არ კმარა მასების გამოსაღვიძებლად და დასარაზმავად. ამის პარალელურად ჩვენ უნდა დავანახოთ ხალხს კონკრეტული შედეგები მოსკოვის ვერაგული და მავნე პოლიტიკისა, რომელიც გამოიხატება ქართველთა ეროვნულ დისკრიმინაციაში, უცხო ეროვნებათა პრივილეგირებაში, დემოგრაფიულ ექსპანსიონიზმში, ინდუსტრიულ გიგანტიზმში, ეკოლოგიურ მავნებლობაში, რომელსაც ცენტრი ყოველნაირად ხელს უწყობს საქართველოში, რათა მაქსიმალურად გაზარდოს არაქართული მოსახლეობის ხვედრითი წონა ჩვენს ტერიტორიაზე, გარდაუვალი გახადოს ამ გიგანტურ საწარმოთა ელექტრომომარაგებისათვის ასეთივე გიგანტური ჰესების მშენებლობა, რაც მომავალში საწინდარია ჩვენი ერის ნამდვილი გენოციდისა.

ბალტიიისპირეთის, უკრაინისა და სომხეთის ერების გენოციდი, რომელსაც უთუოდ გეგმაზომიერი ხასიათი აქვს, ჩვენთვის უნდა

იქცეს საგანგაშო სიგნალად, სამომავლო გაკვეთილად, ჩვენ უნდა ავუხსნათ ქართველ ხალხს, რომ მასაც იგივე მოელის, თუ მხეცი საქართველო ერთ მუშტად არ შეიკრება და არ დაირაზმება კრემლის ამგვარი მავნებლობის წინააღმდეგ, თუ არ ჩაშლის ინდუსტრიული გიგანტიზმის და მსხვილი საწარმოო ობიექტების გაყიდვის შემდგომ გეგმას, თუ არ შეაჩერებს დემოგრაფიულ აგრესიას ჩვენი ერის წინააღმდეგ. ყოველივე ამის გაცნობიერების გარეშე მოსახლეობა არ იბრძოლებს საქართველოში ისეთი წყობილების დამყარებისათვის, რომელიც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე დაგეგმავს ჩვენს ეკონომიკას და არა იმპერიული ცენტრალური დაგეგმარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც იქნება ჭეშმარიტი მხსნელი ერისა. აი, რაოდენ ურთიერთგადაჯაჭვულია ეროვნული ხსნის მოძრაობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან! ერთი არ არსებობს მეორეს გარეშე, ვინაიდან ეროვნული მოძრაობა ყველა ქვეყანაში მასობრივი ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ალღოს აუღებდა ხალხის ინტერესებს, გადაეჯაჭვებოდა სიციალურეკონომიურ მოძრაობას, როდესაც ინტელიგენცია, არისტოკრატია და პლებსი შეერთდებოდა ერთი დიადი მიზნისათვის საბრძოლველად. ასე იყო იტალიაში, ირლანდიაში და ინდოეთში, ასევეა დღევანდელ ავღანეთში, პოლონეთსა და ბალტიისპირეთში.

ამასთან დროა გავაცნობიეროთ, რომ ეროვნული ხსნისათვის აუცილებელი ნაბიჯები გადადებას ველარ ითმენენ. ახლოვდება დემოგრაფიული კატასტროფა მიგრაციისა და იმიგრაციის გზით, ბიუროკრატიული აპარატის კორუფცია და ცრუ ინტერნაციონალიზმი აჩქარებს ამ პროცესს, დაგეგმილია გიგანტური წყალსაცავები, რომელთა აგებაც გენოციდის საწინდარია თანამედროვე გაზრდილი სეისმური აქტივობის პირობებში. თუ ხელისუფლებას უახლოეს ხანში არ გავაუქმებინებთ ეს მავნებლური პროექტები, არ შევაწყვეტინებთ ხელოვნურად გამოწვეულ მიგრაციას საქართველოდან და ასეთივე ხელოვნურ იმმიგრაციას არაქართველი მოსახლეობისა საქართველოში, არ შემოვაღებინებთ სამხედრო ბეგარის გაუქმებას, არ შევუშლით ხელს ინდუსტრიულ გიგანტიზმს, არ ჩავშლით მსხვილი საწარმოო ობიექტების გაყიდვას, პრაქტიკულად არ განვახორციელებთ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამას, არ შევაწყვეტინებთ მოსკოვს ქართველთა ეროვნულ დისკრიმინაციას საქართველოში, მომავალში

ქართველი ერი აღარ იარსებებს, ან იარსებებს როგორც ერთი მუჭა ეროვნული უმცირესობა თავის ყოფილ ტერიტორიაზე, მრავალ-რიცხოვან „ინტერნაციონალურ“ კონგლომერატში და მაშინ – აღარც არაფერი გვექნება გასათავისუფლებელი! ასე, რომ ეროვნული ხსნის მოძრაობისაგან განდგომა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩაშლაც არის.

დღეს პარტიები აყენებენ თეზისს თავიანთი რადიკალიზმის შესახებ. სიტყვა „რადიკალის“ პირველი ლათინური მნიშვნელობაა ძირეული, მყარი, საფუძვლიანი და არა ის, რაც დღეს ამ სიტყვამ შეიძინა. მე მოგაწოდებთ საზომს ჭეშმარიტი რადიკალიზმისას დღევანდელ პირობებში: ეს არის გონივრული და შედეგიანი ბრძოლა, რომელიც ამავე დროს ზიანს არ მოუტანს მოძრაობას, დარაზმავს ხალხის მასსას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

დღესდღეობით, ჩემის აზრით, ყველაზე მეტად რადიკალური იქნება ის პარტია ან ის ორგანიზაცია, რომელიც პრაქტიკულად განახორციელებს მუშათა მოძრაობის ორგანიზებას, თავისუფალი პროფკავშირების ჩამოყალიბებას, გასდებს ხიდს პოლიტიკური მოძრაობის აქტივისტებსა და მუშებს შორის, შექმნის მუშათა მოძრაობას, რომელიც შესძლებს, პოლონური მოდელის გადმოტანას ჩვენს სინამდვილეში. რა იქნებოდა პოლონეთის „კორ“-ი ან ახალგაზრდული ორგანიზაციები, მათ რომ არ ჩაებათ მუშათა კლასი თავიანთ მოძრაობაში? დღესდღეობით პოლონეთის პოლიტიკური მოძრაობა, ეკლესია და მუშათა მოძრაობა გაერთიანებულია, ერთი მიზნისათვის იბრძვის, ერთ მუშტად ერის შეკრული ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ.

ჩვენში კი რა ხდება? ერთობა არ არსებობს თვით პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის, რომელთაც თითქოს ერთი მიზანი უნდა აერთებდეს. ყველას სურს ავტონომიური მოქმედება. ეკლესია პარალიზებულია, ინფილტრირებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ, მას ფაქტობრივად ცენტრალური კომიტეტი მართავს, რის შედეგადაც იგი გამოთიშულია როგორც ეროვნული მოძრაობისაგან, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, მუშათა კლასი დაურაზმავია და დაშინებული, გლეხობა განზე დგას, არ არსებობს არავითარი რეალური კავშირი მასსებსა და ეროვნულ მოძრაობას შორის, რომლის აუდიტორიაც არის ძირითადად სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა. ამის გამო დღევანდელ პირობებში რადიკალიზმი უნდა ნიშნავდეს განდისა

და პოლონეთის გზით სიარულს, მასების მობილიზაციას საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობისათვის და არა გარიბალდის გზას. ის ეტაპი, როდესაც საჭირო გახდება გარიბალდისა და მოკავშირეების გზაზე დადგომა, ჩვენთვის ჯერ შორს არის. ნუ დავივიწყებთ, რომ ქვეყანას და ხალხს სამოცდაათწლიანი სტალინისტური ქადაგებით მოწამლულს, უკიდურეს აპათეაში ჩავარდნილს, აპოლიტიკურს, ურელიგიოს და ზნეობრივად ინდიფერენტულს, ჯერ სჭირდება აღზრდა, პოლიტიკური გათვითცნობიერება, გამოფხიზლება, ეთიკური ჩვევების შემუშავება და შემდეგ ხანგრძლივი შემზადება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის, რომლის შესაძლებლობაც შესაბამისმა ისტორიულმა მომენტმა უნდა მოგვიტანოს. ყოველგვარი ნაადრევი მოქმედება ამ მიმართულებით კი დამღუპველი იქნება ეროვნული მოძრაობისათვის.

ერთი სიტყვით, მოცემულ ეტაპზე ჩვენთვის პირველ პლანზე უნდა იყოს ჩვენი „პროგრამა მინიმუმის" პროპაგანდა და მისი განხორციელება, რის გარეშეც „პროგრამა მაქსიმუმზე" ფიქრიც კი წარმოუდგენელია.

მოდით, ნუ დაგვეხვევა თავბრუ იმ მცირე წარმატებებისგან, რომელთაც მივაღწიეთ. გვახსოვდეს, რომ მთავარი საქმე ჯერაც არ დაგვიწყია. მოდით, კვლავ ერთობლივი ძალისხმევით განვახორციელოთ ის, რაც მიგვიყვანს საბოლოო მიზნამდე. ცალ-ცალკე მოქმედება კი მხოლოდ დაგვაშორებს ამ მიზანს. ნურასოდეს დავივიწყებთ, რომ თავისუფლება მხოლოდ ბრძოლით როდი მოიპოვება, არამედ შრომითაც, შრომა, შრომა, თავაუღებელი შრომა, აი რა გვმართებს დღეს. მხოლოდ დროშების ფრიალით და ლოზუნგების სკანდირებით, თუნდაც მიტინგზე მშვენიერი სიტყვების წარმოთქმით, პასპორტების ან პარტიული მანდატების ხევით, ჩვენი უბედურების გლოვით, 26 მაისის ზეიმით, თავისუფლებას ვერ მოვიპოვებთ. ჩვენ უნდა ვიშრომოთ ერთობლივად, რათა ჩვენი მოძრაობა საერთოსახალხო, საქმიან მოძრაობად გადაიქცეს, რითაც ჩვენ უნდა ვიხსნათ ჩვენი ქვეყანა ზემოხსენებულ საფრთხეთაგან და მოვამზადოთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

აუცილებელია აგრეთვე პოლიტიკური განათლების შეტანა მასსებში, თანამედროვე პოლიტოლოგიისა და სოვეტოლოგიის იდეების პროპაგანდა, სოც. ბანაკის ეროვნულ და სოციალურ მოძრაობათა

შესახებ (განსაკუთრებით პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის მოძრაობის შესახებ) ფართოდ ინფორმირება მოსახლეობის ყველა ფენებისა. მხედველობაში მაქვს, როგორც სსრკ რესპუბლიკებში, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე პროცესები. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყველა ამ ერების გამოცდილება და მივუსადაგოთ იგი ჩვენს დღევანდელ ქართულ სინამდვილეს.

ჩვენ უნდა შევქმნათ კომისიები ყველა საჭირბოროტო ეროვნულ და სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით და უნდა ჩავაბაროთ ანგარიშები მათი მუშაობის შესახებ. ჩვენი საერთო მიზანი უნდა იყოს ამ გზით საქართველოს დღევანდელი საბჭოთა ხელისუფლების კონტროლი და კურირება ყველა სფეროში, მკაცრი კონტროლი ხელისუფლების ყველა ღონისძიებაზე, რათა ძირშივე აღმოვფხვრათ ყოველგვარი შესაძლებელი მავნებლობა ხელისუფლების მხრივ დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ თუ სხვა სფეროებში, ჩვენ უნდა დავაწესოთ კონტროლი მიგრაციასა და იმმიგრაციაზე, საქართველოს ინდუსტრიალიზაციაზე და აგრარულ პოლიტიკაზე, ჩვენი მიზანი უნდა იყოს აგრეთვე ეროვნული აღორძინების დაჩქარება ყველა სფეროში, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პრაქტიკული განხორციელება, ახალი კონსტიტუციისათვის ბრძოლა და ა.შ.

ამ მიმართებით, ხელისუფლებაზე დაწოლის მიზნით, შეიძლება გამოყენება სახალხო ფრონტისა. თუ ამ ფრონტის პროგრამა იქნება გამოხატულება ყველაზე რადიკალური ეროვნული ძალების მიზნებისა და ამოცანებისა, თუ ხელისუფლება ვერ შეძლებს ფრონტის გამოყენებას მავნე მიზნებით, რაზედაც დაწესებული იქნება ფრონტში მყოფი პატრიოტების კონტროლი, თუ ფრონტში გადამწყვეტი ხმა ექნებათ რადიკალებს, მაშინ შეიძლება დადებითი როლი ითამაშოს, ხოლო თუ ეს ყოველივე არ განხორციელდება, რადიკალები უნდა გამოვიდნენ სახალხო ფრონტიდან, გაემიჯნონ და ბრძოლა გამოუცხადონ მას, ვინაიდან იგი ერისათვის ზიანის მეტს არაფერს მოიტანს.

საინტერესოა მოსკოვის დამოკიდებულება საქართველოს სახალხო ფრონტთან. ნოემბრის შიმშილობის დღეებში მოსკოვმა აშკარად წაახალისა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება, მხარი დაეჭირა სახალხო ფრონტის შექმნისათვის, რომელიც მას სჭირდებოდა მდგომარეობის განსამუხტავად, ხალხის ყურადღების ფრონტზე გადასატანად და შიმშილობის აქციის ჩასაშლელად. მაგრამ შემდეგში, როგორც

სჩანს, მოსკოვი შეაშინა რადიკალების შესვლამ საქართველოს სახალხო ფრონტში და ახლა გადაწყვიტა ხელი შეუშალოს მათ მიერ ფრონტის ხელში ჩაგდებას. ინგლისში გამომავალ ჟურნალ „აღმოსავლეთ ევროპაში" დაბეჭდილი პასკვილი საქართველოს სახალხო ფრონტში დისიდენტების მონაწილეობის შესახებ ამ მიზნით უნდა იყოს ინსპირირებული მოსკოვის მიერ (ცნობილია, რომ ამ ჟურნალის მუშაობაში ფარულად ურევს ხელს შევარდნაძისეული „მიდი" და „კაგებე", ხოლო ინგლისში მოქმედებს სუკის ფართო ქსელი). ამით სურთ ქართულ დისიდენტებს დააბრალონ კოლაბორაციონიზმი და ამით დააფრთხონ სახალხო ფრონტიდან რათა შემდეგში თავად ჩაიგდონ ფრონტი ხელში და საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენონ (ძნელი წარმოსადგენია, ინგლისში იცოდნენ ისეთი ნიუანსები საქართველოს დისიდენტებზე, რომელიც ჩანს ამ წერილში, აშკარაა, რომ მასალა მოსკოვიდან არის მიწოდებული, მითუმეტეს, რომ სტატია ანონიმურია).

რაც შეეხება დიალოგს, მთავარია ჩვენ არ წავიდეთ მტერთან არავითარ კომპრომისებზე, ხოლო როდესაც მტერი თავად მოდის კომპრომისზე, მას უნდა შევუწყოთ ამაში ხელი. ამ გზით განხორციელდება ხელისუფლების ინფილტრაცია და მისი ამ გზით ეროვნული ძალების ნებისადმი დაქვემდებარება. ეს ყოველივე, ამავე დროს საწყისი ბაზაა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელიც მომავალში განვითარდება და სახეს იცვლის იმპერიაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად.

მაგრამ ამასთან ნუ მივეცემით ილუზიებს. საქართველოში ჯერაც მყარად არსებობს კომუნისტური ხელისუფლება და მას მონოპოლიზებული აქვს როგორც სოციალპოლიტიკური და ეკონომიური სფერო ასევე პროპაგანდისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ეს ხელისუფლება კვლავინდებურად ტოტალიტარულია და რეპრესიული, მიუხედავად ე.წ. „გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის" ნიღბისა, მისი დამხობა კი იმპერიის დღევანდელი სამხედროპოლიტიკური ძლიერების პირობებში ჯერჯერობით უტოპიაა. რაც შეეხება ზემოხსენებულ პროცესს ხელისუფლების ინფილტრირებისას, ეროვნულ ძალთა ნებისადმი მისი დაქვემდებარებისას და ამრიგად მისი რეალური და არა ილუზირებული გარდაქმნისა, ასეთი რამ უფრო შესაძლებელია, როგორც ამას ცხადყოფს ბალტიისპირეთის გამოცდილება. მე-20 საუკუნის იმპერიულ რეჟიმებთან ბრძოლის გამოცხადებაც ცხადყოფს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ახალ დროში ე.წ. „მცოცავი“ რევოლუციები უფრო დიდ შედეგს იძლევიან (მაგ. ინდოეთსა და პოლონეთში), ვიდრე უეცარი „ფეთქებითი“ „ბლიცკრიგის“ მსგავსი რევოლუციები, რომელიც ადრე გვახსოვს ახლო წარსულში (მაგ. უნგრეთში). პოლიტიკური რომანტიზმი დღეს ვერ გაიმარჯვებს, დღეს საჭიროა უკიდურესი რეალიზმი და პრაქტიკული ალღო პოლიტიკაში, რადიკალიზმთან ერთად.

რაც შეეხება ხელისუფლებასთან საქმიან დიალოგს ძალის პოზიციიდან, იგი პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა, იმ შემთხვევაში თუ იგი პრინციპულია და უკომპრომისო. დიალოგის, როგორც ბრძოლის საშუალების ეფექტიანობა დადასტურდა ისევ განდის „სოლიდარობის“ გამოცდილებამ. დიალოგი არის იმავე დროს მზა ორხელისუფლებიანობისაკენ, რომელიც აუცილებელი გარდამავალი ეტაპია ხელისუფლების იმფილტრაციისაკენ და საბოლოოდ, პარლამენტური გზით, დემოკრატიული არჩევნების გზით, ახალი ეროვნული ხელისუფლების შექმნისაკენ. ცხადია, დიალოგი სხვაა და კაპიტულაცია ან კომპრომისული, ამორალური გარიგება სხვაა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ჯერ არ მომხდარა არც ერთი ომი, სადაც არ ყოფილიყო მხარეებს შორის მოლაპარაკება. ასეთი მოლაპარაკებით კი გონიერი მოწინააღმდეგე ზოგჯერ მეტს აღწევს, ვიდრე ძალის გამოყენებით. როგორც მაგალითად ლეხ ვალენსამ მიაღწია ხელისუფლებასთან მოლაპარაკებით.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული არ მიიღწევა, სანამ ხელისუფლება არ დაინახავს სერიოზულ საფრთხეს ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციისას, სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვისას, სანამ არ დაკარგავს იმედს პროპაგანდისტული კამპანიებით და რეპრესიებით მოძრაობის ჩახშობისას და მდგომარეობის სათავისოდ გამოსწორებისას. ყოველივე ეს კი დადგება მაშინ, როდესაც ჩვენ შევძლებთ ფართო მასების ამოძრავებს, ავამაღლებთ მათ პოლიტიკურ ცნობიერებას, ცხადვყობთ, რომ ეროვნული ხსნისათვის, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას ალტერნატივა არ გააჩნია დღევანდელი რეჟიმის პირობებში. ყოველივე ეს კი წარმოუდგენელია მასსების ინფორმირების გარეშე, მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გარეშე, დაუმორჩილებლობის გარეშე, მასობრივი აგიტაციის გარეშე, მრავალათასიანი ტირაჟის მქონე პრესის გარეშე, აი რა მიმართულებით უნდა წარვმართოთ ჩვენი მუშაობა და ჩვენი სახსრები.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ცენტრიდანულ, დამშლელ ძალებს, განხეთქილების ძალებს დავუპირისპიროთ ცენტრისკენული, გამაერთიანებელი ძალისხმევა, შევქმნათ მთელი ეროვნული მოძრაობის გამაერთიანებელი საკოორდინაციო ცენტრი ან კომიტეტი, სათათბირო, რომელშიც გაერთიანდება ყველა პრინციპული, ნამდვილად ეროვნული გაერთიანებანი. ცენტრი ან სათათბირო შეიკრიბოს ხოლმე საჭიროებისამებრ და გადაწყვიტოს პარიტეტულ და დემოკრატიულ საწყისებზე ჩვენი მოძრაობის გეზი და პერსპექტივა. ერთობლივად დაგეგმოს დიდი მასშტაბის აქციები, იმსჯელოს მათ საჭიროებაზე. მოკლედ, ვიბრძოლოთ ჩვენი მოძრაობის გაერთიანებასა და კოორდინირებისათვის. დავგმოთ ყოველგვარი პარტიული ეგოიზმი, პარტიკულარიზმი, განსაკუთრებულობის და ელიტარულობის პრეტენზიები, თვითგანდიდება და თვითკმაყოფილება. მხოლოდ ამრიგად მივაღწევთ საბოლოო მიზანს, წინააღმდეგ შემთხვევაში გველის დაქსაქსვა და დაუძლურება.

1989 წ. ივნისი.

P.S. ამ დროს უკვე მოქმედებდა ეროვნული ხსნის კომიტეტი, მაგრამ მრავალმა ყურად არ იღო ასეთი მოწოდებები, რის შედეგადაც ეს კომიტეტი მალე დაიშალა. სამაგიეროდ მალე შეიქმნა „მრგვალი მაგიდა“, რომელმაც გააერთიანა ყველა ჭეშმარიტი ორგანიზაცია და რეალობად აქცია ის პრინციპები, რაც ამ წერილში თეორიულად არის ჩამოყალიბებული.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 ივნისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ფრანსუა მიტერანს

ბატონო პრეზიდენტო!

1921 წელს, მას შემდეგ რაც საქართველო ოკუპირებული იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ, ქართულმა მთავრობამ თავშესაფრად საფრანგეთი აირჩია, რომელმაც თავის მხრივ მას ფართოდ გაუღო საკუთარი გული და კარი.

1922 წელს საქართველოს მთავრობამ შეძინა პატარა მამული ლევილში (სენისა და აუზის დეპარტამენტი), პარიზთან ახლოს,

სადაც აგრეთვე მდებარეობს ქართული სასაფლაო, ლევილის მუნიციპალური სასაფლაოს გვერდით, და იქ ამჟამად განისვენებს ქართველთა ნეშტები.

დღეს, როდესაც საქართველო იბრძვის თავისუფლებისათვის და არჩეული ვარ პრეზიდენტად, მე გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, გამოიჩინოთ კეთილმოსურნეობა და დაიცვათ მამულის მთლიანობა და ხელშეუხებლობა, როგორც ქართველთა ისტორიული ნავსაყუდელისა საფრანგეთში, იგი მომავალში ჩვენი ერების დაახლოების კერა უნდა გახდეს.

მივესალმები საფრანგეთს და მის მარადჟამს სტუმართმოყვარე მიწაწყალს, გამოვთქვამ იმედს, რომ ის კვლავაც დაუჭერს მხარს ჩვენი ორი ხალხის მეგობრობასა და კავშირს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია

1991 წლის 26 ივნისი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 ივნისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას

ქართველ ხალხს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც 1918-1921 წლებში არსებობდა, მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ და ერთა ლიგამაც ცნეს, ბოლშევიკური რუსეთის მიერ ანექსირებულმა ქვეყანამ კვლავ გამოხატა მტკიცე ნება აღადგინოს 70 წლის წინათ დაკარგული სახელმწიფოებრიობა. საქართველოში მცხოვრებმა ხალხებმა თავიანთი ნებასურვილი მკაფიოდ გამოხატეს 1990 წლის 28 ოქტომბერს გამართულ უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ არჩევნებში. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში და არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირის ისტორიაში 1991 წლის 26 მაისს პირველად გამართულ პრეზიდენტის საყოველთაო პირდაპირ არჩევნებში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, აღასრულა რა ხალხის ნება, 1991 წლის 9 აპრილის აქტით იურიდიულად აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და დაადგა მისი ფაქტობრივად აღდგენის გზას.

საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც ესწრაფვის მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ადგილის დამკვიდრებას, ცნობს საერთაშორისო სამართლის პრიმატს, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში და მზად არის უმოკლეს ვადაში შეუერთდეს საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანეს კონვენციებს, დეკლარაციებს, პაქტებს, მოახდინოს მათი რატიფიკაცია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოგმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა მხარი დაუჭიროთ საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და ამით ხელი შეუწყოთ ქვეყანაში დემოკრატიის და სტაბილური სიტუაციის დამკვიდრებას. თქვენი მხარდაჭერის მკაფიო გამოვლინება იქნება საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთა მოწვევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალმხრივ საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი. 1991 წლის 28 ივნისი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 ივნისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესტიის რაიონის მოსახლეობას!

მესტიის რაიონში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიას!

ხაიშის აქციის მონაწილეებს! საქართველოს უზენაესი

საბჭოს დეპუტატების კანდიდატებს!

მესტიის რაიონის ხელმძღვანელობას!

ბატონებო!

ხაიშის აქციამ უკიდურესი დაძაბულობა გამოიწვია. ეს ხდება მაშინ, როცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მთელი ქართველი ხალხი, პირადად პრეზიდენტი მთელ ძალას, ენერგიას და უნარს მიმართავენ იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთ დროს ხაიშის აქციის მოწყობა ყოვლად გაუმართლებელია., უფრო მეტიც — დანაშაულის ელფერს იძენს.

საბჭოთა იმპერია ჯერ კიდევ ძალზე ძლიერია, ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის დროს იგი წარმატებით ახორციელებს ეთნოკონფლიქტებს, აქვს მრავალი ვარიანტი; ყოველ მათგანში ითვალისწინებს ჩვენს ფსიქიკას და, პირდაპირ მოგახსენებთ, ჩვენი ხასიათის ნაკლოვან მხარეებს.

დღეს ეროვნული ძალები სამართლიანად აკრიტიკებენ 1918–1921 წლების საქართველოს მთავრობის მოღვაწეობას უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მათ ვერ შეძლეს საქართველოს სულიერი გაერთიანება. პარტიულმა და პიროვნულმა შუღლმა დაღუპა საქართველო. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი დაძაბუნებულ წითელ რუსეთთან ჩვენი დამარცხებისა.

არ უნდა დავუშვათ ისტორიის განმეორება. აუცილებელია, გვახსოვდეს მისი გაკვეთილები, ვითვალისწინებდეთ მათ.

მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ორი ძლიერი პიროვნება ვერ დაეტია საქართველოში.

1625 წელს, სპარსეთის იმპერიის აქტიური ჩარევით, ერთმანეთს შეეჯახნენ თეიმურაზ I და გიორგი სააკაძე. ქართული ხმლით დაიღუპა უამრავი ქართველი.

უნდა გავიხსენოთ ისტორია. უნდა შევიცნოთ საკუთარი თავი და ბოლომდე გავიაზროთ, რომ მხოლოდ ფიზიკურ და სულიერ ერ-

თიანობას შეუძლია საქართველოს გადარჩენა.

გავიხსენოთ მღვდელი თევდორე, ცოტნე, ქეთევანი, ალექსანდრე, მეფე, დავითი და კონსტანტინე და მრავალი სხვანი.

ვიყოთ ქრისტიანები!

მაშინ, მხოლოდ მაშინ მივხვდებით, რომ ამ დაძაბულ ჟამს პარტიული და პირადი დაპირისპირება სამშობლოს ღალატს უდრის. არა აქვს მნიშვნელობა, ცნობიერია თუ არა ეს მოქმედება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაცხადებთ:

საქართველოს ჰელსინკის კავშირის რაიონულმა ორგანიზაციამ, საზოგადოება „სვანეთმა", სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებმა, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტიის ყოფილმა წევრებმა, წარმოება – დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, ხაიშის აქციის მონაწილეებმა და პირადად პრეფექტმა ყველაფერი უნდა იღონონ მესტიის რაიონში დაძაბულობის განსამუხტავად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ კი მესტიის რაიონში მოხდა რაიმე კონფლიქტი, იგი შეფასდება როგორც ქართველი ერის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული აქცია და მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ზემოთ ჩამოთვლილ პირებს, პარტიებსა და ორგანიზაციებს.

ვთხოვთ მესტიის რაიონის მოსახლეობას, ინტელიგენციას, გულთან ახლოს მიიტანონ შექმნილი სიტუაციის სერიოზულობა, გაითვალისწინონ მოსალოდნელი შედეგები და ყველაფერი იღონონ ამ რეგიონში სიმშვიდის დასამკვიდრებლად.

გფარავდეთ ღმერთი და სვანეთის ყველა წმინდა სალოცავი!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლები:

ზაურ ქობალია;

აკაკი გასვიანი;

ვალტერ შურღაია.

25/VI91 წელი

გაზ: „თბილისი", 2 ივლისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეოთხე კონგრესი (ყრილობა)

1991 წლის 8,9 და 10 ივნისს თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მეოთხე კონგრესი. კონგრესის სხდომებს თავმჯდომარეობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ბატონი ვანო ხუხუნაიშვილი.

I დღე

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივნის ბატონ მამუკა გიორგაძის მისალმების შემდეგ ყრილობამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია, სარედაქციო ჯგუფი, დაამტკიცა დღის წესრიგი და რეგლამენტი.

წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მიწისძვრით დალუპულთა ხსოვნას.

ეროვნულ-დემოკრტიული პარტიის მეოთხე ყრილობას მიესალმნენ ბატონი ნოდარ ნათაძე, ბატონი ვალერიან ადვაძე, ბატონი გიორგი ყორღანაშვილი, ბატონი ვახტანგ გოგუაძე და ბატონი რუსლან მიქაბერიძე.

საპროგრამო სიტყვით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიულიმ პარტიის თავმჯდომარე ბატონი გიორგი ჭანტურია, რის შემდეგაც გაიმართა კამათი (კამათში მონაწილეობა მიიღო 21 პირმა).

II დღე

დილის სხდომაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტიის პოლიტიკური მდივანი ბატონი მამუკა გიორგაძე, რომელიც განვლილ პერიოდში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მომენტებს შეეხო. ბატონმა გიორგაძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პარტიისათვის ესოდენ მძიმე პერიოდში, მაშინ, როდესაც სხვადასხვა შეთითხნილი ბრალდებით დაპატიმრებულია 8 ეროვნულ-დემოკრატი (მათ შორის პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ბატონი ვახტანგ ტალახაძე), არამცთუ არცერთ პირს პარტიის რიგები არ დაუტოვებია, არამედ პირიქით, პარტია იზრდება და მისი გავლენის სფეროები ფართოვდება.

თანამოხსენებით გამოვიდნენ:

ქალბატონი ირინა სარიშვილი, რომელმაც დასავლეთის პრესის მიმოხილვა გააკეთა და ბევრი საინტერესო სტატიის შინაარსი გააცნო ყრილობას. მან, აგრეთვე, ისაუბრა პარტიის პრესცენტრის საქმიანობაზე; ბატონი გიორგი ზუმბაძე, რომელმაც ისაუბრა მოსკოვში ახლახანს ამოქმედებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არაოფიციალური წარმომადგენლობის შესახებ.;

ბატონი ვასილ ჭყოიძე, რომელიც ამა წლის თებერვალში ორი პარტიის გაერთიანების დადებით შედეგებს შეეხო; ბატონი გიორგი ჭანტურია, რომელმაც დარბაზს სამი რეზოლუციის პროექტი გააცნო. კამათის შემდეგ სამივე რეზოლუცია მიღებულ იქნა (რეზოლუცია საქართველოში შექმნილი სიტუაციის შესახებ, რეზოლუცია პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით, რეზოლუცია საქართველოში შექმნილი კრიმინოგენური ვითარების თაობაზე).

შესვენების შემდეგ მოხსენებით გამოვიდნენ ბატონი ირაკლი ქადაგიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საერთაშორისო კონტაქტები);

ბატონი თენგიზ შარმანაშვილი (ადამიანი უფლებათა დაცვა საქართველოში);

ბატონი გურამ ჩახვაძე (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეკონომიკური პლატფორმა);

ბატონი თემურ ფიფია (ეროვნულ-დემოკრატიული ძალების გაერთიანების საქმეში და პარლამენტური ტიპის ეროვნულ-დემოკრატიული კავშირის აუცილებლობა);

ბატონი გიორგი კობახიძე (იმპერიის მოდერნიზაცია და საქართველო);

ბატონი ვანო ხუხუნაიშვილი (პარტიის სამომავლო გეგმები).

დღის ბოლოს გაიმართა კამათი.

III დღე

ყრილობამ მიიღო მისალმება პარიზში მცხოვრებ უხუცეს ეროვნულ-დემოკრატ ბატონ მიხეილ ქავთარაძისადმი.

ბატონმა თენგიზ შარმანაშვილმა ყრილობას გააცნო პარტიის პროგრამისა და წესდების ახალი რედაქცია, რომელიც კამათის შემდეგ მიღებულ იქნა.

პროგრამისა და წესდების მიღების შემდეგ გაიმართა მთავარი კომიტეტის არჩევნები. აირჩა შემდეგი შემადგენლობით: პარტიის თავმჯდო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარე – გიორგი ჭანტურია, პოლიტიკური მდივანი–მამუკა გიორგაძე;

მდივანი – თენგიზ შარმანაშვილი;

პრესმდივანი – ირინა სარიშვილი;

თავმჯდომარის მოადგილე – ვანო ხუხუნაიშვილი;

პოლიტიკური მდივნის მოადგილე – ვახტანგ ტალახაძე;

საგარეო ურთიერთობათა კომისიის მდივანი – ირაკლი ქადაგიშვილი;

ეკონომიკური კომისიის მდივანი–გურამ ჩახვაძე;

პარტიის სრულუფლებიანი და მუდმივი წარმომადგენელი–გიორგი ზუმბაძე;

პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს მდივანი – თენგიზ გუდავა (გერმანია).

გაზ: „საქართველო“, 2 ივლისი, 1991.

* * * * * * * * * * * *

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა

პრეამბულა

საქართველოს რუსეთის იმპერიაში ყოფნის მანძილზე ნათელი გახდა:

საქართველოს ხელისუფლება მთლიანად დამოკიდებულია ცენტრზე და ვერ ახორციელებს დამოუკიდებელ კონტროლს საქართველოს ტერიტორიაზე

ქართველი ერი მოკლებულია თავდაცვის საშუალებებს, მისი სურვილები და უფლებები იგნორირებულია, საქართველოს ბედს მოსკოვი წყვეტს;

გ) საქართველოს არ გააჩნია სახელმწიფოებრიობა და ის არის უცხო ქვეყნის ნაწილი. ქართველი ერის ყველა საჭირბოროტო საკითხის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ;

ერის სულიერი ცხოვრება ჩამკვდარია, ეკლესია იმყოფება ხელისუფლების კონტროლის ქვეშ. ამის შედეგია ზნეობის დაცემა;

ხელოვნურად დარღვეულია დემოგრაფიული წონასწორობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბუნება ჩანაგდება, ქვეყანა დგას ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე;

ზ) ქართული კულტურა, მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, დაბალ დონეზე იმყოფება;

თ)განათლების სისტემა ემსახურება არა განათლების, არამედ ადამიანის სულის დამახინჯების საქმეს. საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემა საჭიროებს არა რეფორმას არამედ აუცილებელია მისი ძირფესვიანად შეცვლა;

ქართველი პატრიოტები იდევნებიან, მათ არ ეძლევათ საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოთქმისა და გავრცელების საშუალება. ისინი იმყოფებიან დამსჯელი ორგანოების განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ. მათ წინააღმდეგ იყენებენ პროვოკაციებს, მიმართავენ რეპრესიებს; საქართველოში, ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში ადამიანთა უფლებები გამუდმებით ირღვევა;

კ) საქართველო არის რუსეთის კოლონია ეკონომიკურადაც.

საქართველოს ეკონომიკა არის რუსეთის ერთიანი ეკონომიკის ნაწილი და სახალხო მეურნეობის დარგების განვითარება განსაზღვრულია არა საქართველოს, არამედ იმპერიის ინტერესებით;

ლ) საქართველოში ძალით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რადგან ქართველი ერისათვის მიუღებელი იყო როგორც სხვისი ქვეყნის ნაწილად ყოფნა, ასევე ტოტალიტარიზმი. საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის, მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის აუცილებელია სრული დეოკუპაცია და ანექსიის შედეგების ლიკვიდაცია.

ძირითადი ნაწილი

1. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არის მეოთხე დასის ავანგარდი, საქართველოს ეროვნულპატრიოტულ ძალთა დემოკრატიული და შეურიგებელი ნაწილის პოლიტიკური გაერთიანება;

2. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, დემოკრატიის დამკვიდრება, ადამიანთა უფლებების განუხრელი დაცვა;

3. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მიზნად ისახავს მოდერნიზებული იმპერიის რღვევის პროცესებისათვის ხელის შეწყობას და ამ გზით საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდ-

გენის დაჩქარებას;

4. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ,,ფილოსოფიურ-ბიბლიურ ბაზისს წარმოადგენს თეოდემოკრატია, რაც ტრადიციულ დემოკრატიული ღირებულებების გარდა გულისხმობს ეკლესიის წამყვან როლს ერის ცხოვრების მორალურ საკითხებში;

5. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იბრძვის საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ერთეულის უფლებების დაცვისათვის, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური მშვიდობისათვის;

6. ჩვენ ვთანამშრომლობთ და ვითანამშრომლებთ იმპერიაში არსებულ დემოკრატიულ და ეროვნულ ძალებთან; ჩვენი მიზანი ერთია და თავისუფლებასაც ერთად მივაღწევთ.

დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთის ანტიტოტალიტარულ, დემოკრატიულ ძალებთან, დასავლეთის წამყვან პოლიტიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

დემოკრატიული ძალების კონსოლიდაცია და კოორდინირებული მოქმედება თავისუფლების იდეალების გამარჯვების საწინდარია;

7. საქართველოს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უარყოფს ძალადობას და იბრძვის მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით;

8. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ ემსახურება რომელიმე ცალკე კლასსა თუ ჯგუფს, ის მთელი ქართველი ერის ინტერესების დაცვისათვის იბრძვის.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია პარტიათა ზეკლასობრივი პარტიაა;

9. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ევროპული ტიპის პარლამენტური პარტიაა მაგრამ ანექსიის პირობებში პარტია უარს ამბობს ოფიციალურ ხელისუფლებაზე და იბრძვის დემოკრატიული, არაოფიციალური სტრუქტურების დასამკვიდრებლად;

10. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სცნობს საკუთრების ყველა ფორმას, ამასთან, კერძო საკუთრებას მიიჩნევს წმიდათაწმიდათ, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის შემდგომი პროგრესი.

11. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წინააღმდეგია დამოუკიდებლობის ,,ეკონომიკურ და პოლიტიკურ ეტაპებად'' დაყოფი-

სა, რადგან დამოუკიდებლობა გულისხმობს სახელმწიფოებრიობას, პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების ერთიანობას, ემპა-თან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე, საოკუპაციო ჯარების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანამდე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წინააღმდეგია რუსეთთან ნებისმიერი სახის პოლიტიკური ხელშეკრულების დადებისა;

12. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არის პოლიტიკური და სამართლებრივი მემკვიდრე საუკუნის დასაწყისში არსებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა.

გაზ: „საქართველო", 2 ივლისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ვიშ, ამ სამართალს!

(პატივცემულ მკითხველებს)

ვაქვეყნებ ორ დოკუმენტს. ჩემს განცხადებას სასამართლოში და მის პასუხს

განცხადება

1991 წლის 21 მაისს საქართველოს ტელევიზიით გადაიცა ზ. გამსახურდიას გამოსვლა „მიონში", სადაც მან განაცხადა, რომ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი (ხაზი ჩემია ნ.ნ.) ვინაიდან პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის მეც ვიყავი, ეს განცხადება მეც მეხება.

ზ. გამსახურდიას განცხადება ჩემთან მიმართებაში არის ცილისწამება. გთხოვთ აღძრათ ზ. გამსახურდია წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137ე მუხლით.

ზემოხსენებული გამოსვლის ტექსტი სასამართლოს შეუძლია გამოითხოვოს ტელერადიოკომიტეტიდან.

ნ. ნათაძე

27.V. 19191.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პასუხი

დადგენილება ქ. თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრმა ი. ტყეშელაშვილმა, განვიხილე რა ბატონ ნოდარ ნათაძის განცხადება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ გამოვარკვიე:

როგორც განცხადების ავტორი აღნიშნავს, 1991 წლის 21 მაისს ქარხანა „მიონში" გამოსვლისას რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ „პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი კრემლის თამაშს თამაშობს და მათ ეს იციან". აღნიშნული გადაიცა საქართველოს ტელევიზიით. რამდენადაც პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის იყო ბატონი ნოდარ ნათაძეც, მას მიაჩნია, რომ ასეთი განცხადება მასაც ეხება და იგი არის ცილისმწამებლური, ამიტომ მოითხოვს ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ საქმის აღძვრას საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 137–ე მუხლით.

განცხადება არ წარმოადგენს სასამართლო განხილვის საგანს და არ არსებობს საფუძველი სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 137–ე მუხლის მიხედვით, ცილისწამება არის შეგნებულად მონაჭორის გავრცელება, რომელიც სახელს უტეხს სხვა პირს. ავრცელებული ცნობა უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას საზოგადოების თვალში.

„კრემლის თამაშის თამაში" თავისთავად არ ჩაითვლება სახელის გამტეხ ქმედებათ. ამიტომ ამ გამოთქმის ავტორის მოქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და არ უნდა ჩაითვალოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ შეგნებულად მონაჭორის გავრცელებად.

თვითონ განმცხადებელი კონკრეტულად არ უთითებს, თუ რატომ არის ასეთი გამოთქმა მისთვის სახელის გამტეხი, რატომ მიიჩნევს, რომ მის მიმართ შეგნებულად გაავრცელეს მონაჭორი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელეთ, რა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავადგინე:

არ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ბატონ ნოდარ ნათაძისი განცხადების გამო.

დადგენილების ასლი გაეგზავნოს განმცხადებელს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი ი. ტყეშელაშვილი

გაზ: „საქართველო“, 2 ივლისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ზვიად გამსახურდია:
„ჩემი იდეალია გენერალი დე გოლი“

— ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს ფარგლებს გარეთ, როგორც ჟურნალისტები იტყვიან ხოლმე, „ცუდი პრესა“ გაქვთ, რატომ არის, რომ დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და დამოუკიდებელი დემოკრატიული პრესა ჩვენში ასე ერთსულოვნად უჭერენ მხარს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებაში და ასე კრიტიკულად არიან განწყობილი დამოუკიდებელი საქართველოსა და პირადად თქვენდამი?

— მთავარი მიზეზი ის არის, რომ ეს დემოკრატიული პრესა, ისევე, როგორც, სხვათაშორის, რუსეთის ბევრი დემოკრატიც და ეს სამწუხაროა, შოვინისტურად არის განწყობილი საქართველოს მიმართ. ცენტრი საქართველოს წინააღმდეგ ეწევა ნამდვილ საინფორმაციო ომს, მარჯვედ ამახინჯებს ფაქტებს, დეზინფორმაციას აწვდის მთელ მსოფლიოს, ბევრი ხვდება მის გავლენაში.

— მეც ვფიქრობ, რომ ზოგიერთი ჟურნალისტი შეიძლება დაბნეული იყოს. ალბათ, არ შეიძლება ერთი საზომით ვუდგებოდეთ ბალტიისპირეთსა და კავკასიას—ყველგან თავისი სპეციფიკაა....

— მოვიყვან კონკრეტულ მაგალითს: ჟურნალისტმა ტოლნიკოვმა დაწერა ფრიად ობიექტური სტატია ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის შესახებ, მაგრამ ყველაზე დამოუკიდებელმა გაზეთმა „ნეზავისიმაია გაზეტამ“, რომელსაც ჩვენ დიდ პატივს ვცემთ, ეს სტატია

არ დაბეჭდა. ამის უკან რაღაც იმალება, როგორც ჰამლეტი ამბობს: „დანიის სამეფოში რაღაც იხრწნება...“ ეტყობა დემოკრატიული მოძრაობის შიგნით რაღაც ხდება, რაც ჩვენ არ ვიცით. რატომ არ ქვეყნდება ობიექტური ინფორმაცია, მით უფრო თუ იგი არაქართველმა, არაკავკასიელმა დაწერა? მაშასადამე რაღაც წინასწარ შექმნილი აზრი მაინც არსებობს! სპეციფიკა კი, რომელზეც თქვენ ლაპარაკობთ, ის არის რომ აქ ძალიან მარჯვედ ქმნიან ეთნიკურ კონფლიქტებს, რომლებსაც შემდეგ ჩვენზე ზეგავლენისათვის იყენებენ. ცენტრში აყალიბებენ აზრს, რომ ამ კონფლიქტებში ბრალი მიუძღვით სწორედ იმ ძალებს, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, და ამ ხელოვნების ამოცნობა ზოგჯერ ძალიანაც ჭირს.

— თქვენს საჯარო გამოსვლებში ხშირად გაისმის ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მოღალატენი“, „ხალხის მტრები“, „პროვოკატორები“ და ა.შ. რა არის ეს—ტრადიციული კავკასიური ემოციურობა თუ რეალური პოზიცია საკუთარი ოპონენტების მიმართ?

— მე მიყვარს როცა საგნებს თავინთ სახელებს ვარქმევ, და ეს ყველას თვალში ხვდება. რას მიბრძანებთ, რა დავარქვა იმას, როდესაც მათი ქართველი კორესპონდენტები წერენ გაზეთ „მეგაპოლის ექსპრესში“—თითქოს საქართველოს ჰელსინკის კავშირი გაერიცხოთ ჰელსინკის საერთაშორისო კავშირიდან? და ამას წერენ ადამიანები, რომლებმაც იციან, რომ ეს ასე არ არის! და ეს იმ დროს, როცა საქართველო დგას ინტერვენციის საფრთხის წინაშე და საერთაშორისო მხარდაჭერა სჭირდება! განა ეს ღალატი არ არის? თქვენ თუ იცით რაიმე სხვა სიტყვა, მას ხალისით გამოვიყენებდი. მოღალატენი ყოველთვის ჰყავდა და ეყოლება ნებისმიერ ხალხს, და მათ თავიანთი სახელები უნდა დავარქვათ. მაგრამ ამას უადგილოდ არასოდეს არ ვამბობ, არასოდეს არ ვაზვიადებ.

— თქვენ ინტელიგენტთა ცნობილი ოჯახის წარმომადგენელი ბრძანდებით, მაგრამ სწორედ ინტელიგენციის გარშემო გყავთ ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე. თქვენი აზრით რა არის წინააღმდეგობათა თავი და თავი?

— აი კვლავ დეზინფორმაცია, რომელსაც ცენტრი ავრცელებს ჩვენი ადგილობრივი მოღალატეების მეშვეობით! არავითარი ინტელიგენცია არ მებრძვის! არიან ცალკეული ინტელიგენტები, რომლებსაც პოლიტიკაში ხელი მოეცარათ. მათ მთავრობასა და პარლამენტში მოხვედრა ეწადათ, მაგრამ ხალხმა ისინი არ აირჩია. განა ეს ჩემი

ბრალია? ახლა ისინი გაბოროტდნენ, დღე და ღამ ცილს სწამებენ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხელისუფლებას, იყენებენ სხვადასხვა „ხერხებს“. აი ის რამდენიმე ინტელიგენტი, რომლებიც შეძლება დავასახელო: ნიკოლოზ ჭავჭავაძე, ჭაბუა ამირეჯიბი და ა. შ. ხალხი მათ არ ენდობა, ისინი მუშაობდნენ კომუნისტური რეჟიმის დროს, ჰქონდათ პრივილეგიები, თუ რისთვის—ესეც ცნობილია, ამიტომ ისინი ხალხს არ უყვარს. ახლა მთელი თავიანთი ღვარძლი ჩემზე გადმოანთხიეს, თითქოს მე ვიყო მათი ხელმოცარულობის მიზეზი.

— ერთ-ერთ თქვენს ამასწინანდელ ინტერვიუში ბრძანეთ, მთლიანად ვერ ვენდობი რუსეთის პარლამენტს, რადგან მასში ძალიან ბევრია პარტოკრატი და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მუშაკი. ამავე დროს აზერბაიჯანის პარლამენტთან ძალიან გულითადი ურთიერთობა გაქვთ, თუმცა იქ ისეთი დეპუტატი ნაკლები როდია.

— არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ რუსეთის პარლამენტში არიან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ადამიანები. იგივე კრუჩკოვის მოადგილე. მოსკოვი, რომელიც დღესაც გაზეთ „პრავდაში“ წერს გამსახურდია უნდა დაეპატიმრებინათო და ა. შ. დღესაც ადგას იმ გეზს, რომელიც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ჰქონდათ, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენ ვთანამშრომლობთ რუსეთის პარლამენტთანაც და აზერბაიჯანის პარლამენტთანაც. კვლავაც ასე ვითანამშრომლებთ.

— საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. მზად არის თუ არა რესპუბლიკა ანგარიში გაუსწოროს დანარჩენ რესპუბლიკებს თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით და მსოფლიო ბაზრის ფასებით, როგორც ეს რუსეთის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის მინისტრმა განაცხადა?

— ამისათვის კი მზად არიან კავშირი ან რუსეთი, რომელიც უფასოდ ეწეოდა ჩვენი კურორტების, ჩვენი წიაღისეულის და ყოველივე დანარჩენის ექსპლოატაციას—მზად არის თუ არა იგი ამისათვის გადაიხადოს საზღაური? მზად არის იგი გადაგვიხადოს იგივე მანგანუმის ვალი, რომელიც ასობით მილიარდ დოლარს შეადგენს? იცით თუა არა თქვენ ეს? საქართველო სატრანზიტო გზაა ევროპიდან აზიისკენ, და ყველა ყველა გზა უფასოა. მზადა ხართ თუ არა გადაიხადოთ ყოველივე ამისათვის საერთაშორისო ფასებით? აი თავიდანვე ასე უნდა დაისვას საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იბრძოდით. დღეს როგორც პრეზიდენტს, გეხმარებათ თუ ხელს გიშლით ამ წლებში შეძენილი მებრძოლის ფსიქოლოგია?

— რა თქმა უნდა მეხმარება!

— რა აზრისა ბრძანდებით ისტორიაში პიროვნების როლზე?

— თვით ყველაზე ღირსეული, ბრძენი და ხალხის საყვარელი ადამიანები, მარადიული არ არიან.

— რამეს ღონობთ თუ არა მმართველობის სამართლებრივი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნისათვის?

— რა თქმა უნდა, ჩვენი პარლამენტის მთელი საქმიანობის მიზანი ის არის, რომ პროცესი შეუქცევადი იყოს, რომ აქ არასოდეს არ დამყარდეს კომუნისტური ან სხვა ტოტალიტარული წყობილება.

— როცა ადამიანებს ვხვდებოდი, ვთხოვდი აეხსნათ თქვენი კოლოსალური პოპულარობის მიზეზები. ბევრი ფიქრობს: გარდა იმისა, რომ აბსოლუტურად პატიოსანი კაცი ბრძანდებით, რომელიც მათ ნდობას იმსახურებს, ამავე დროს უზრუნველყოფილი კაციც ხართ, მხედველობაში აქვთ თქვენი განთქმული მამის—მწერლის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა. როცა ხმას გაძლევდნენ, მათ მიაჩნდათ, რომ „ხელეჩოსავით თქვენსკენ კი არ მიითლიდით, როგორც წინანდელი ხელმძღვანელები, არამედ იზრუნებდით საკუთარი ხალხის, საშობლოს კეთილდღეობისათვის“, მართლა ასეთი მდიდარი ხართ?

— ლიტერატურული საქმიანობა შესაძლებლობას მაძლევს საკმაოდ შეძლებულად ვიცხოვრო. რაც შეეხება შვეიცარიის ბანკში დადებულ მილიონებს, ეს ხმები, როგორც იტყვიან, ძალიან გაზვიადებულია.

— შეხვედრები მქონდა საქართველოს საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან. ისინი ახლა ძალიან აქტიურები არიან, ბევრ რამეს ელიან რესპუბლიკაში მიმდინარე ცვლილებებისაგან, მაგრამ ამავე დროს შიშობენ, რომ ჩაიკეტება საქართველოს საზღვრები, რამაც, მათი აზრით, შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მოკავშირე რესპუბლიკებთან ეკონომიკურ ურთიერთობაზე.

— დამოუკიდებელი სახელმწიფო ვერ იარსებებს საზღვრების, საბაჟოს და სხვათა გარეშე. ყოველივე ეს ბუნებრივია, შეიქმნება და თანაც უახლოეს მომავალში.

— რა გავლენას მოახდენს ეს სხვა რესპუბლიკებთან ურთიერთობაზე?

— მე მგონია, ისინიც თავის მხრივ ასევე მოიქცევიან.

— ასეთ შემთხვევაში, რა ელის სსრ კავშირის პრეზიდენტის აგარაკს გუდაუთის რაიონის დაბა მიუსერაში?

— ეს საკითხი, ალბათ, გადაწყდება ჩვენი დაგეგმილი პირადი შეხვედრის დროს.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ რამდენიმე თვის წინათ დაპატიმრებული სამხრეთ ოსეთის ლიდერის კულუმბეგოვის ბედზე?

— ტორეზ კულუმბეგოვის ბედი მთლიანად არის დამოკიდებული საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურასა და სასამართლოზე, სადაც მისი საქმე ამჟამად იხილება.

— თქვენზე ამბობენ, ღრმად მორწმუნე კაციაო. რას შესთხოვთ ღმერთს ლოცვისას?

— ამასწინათ დასავლეთის ერთმა გაზეთმა წარწერიანად დაბეჭდა ფოტო, სადაც მე თითქოს არჩევნებში ჩემი გამარჯვებისათვის ვლოცულობდი. ჩემი პირადი წარმატებისათვის არასოდეს არ ვლოცულობ. ვლოცულობ კაცობრიობისათვის, ჩემი ხალხისთვის.

— გვითხარით, რას ეძღვნება თქვენი ლექსები?

— მოკლედ თუ ვიტყვით ღმერთს, კაცობრიობასა და ჩემს სამშობლოს.

— თქვენ სამი ვაჟი გყავთ. როგორ გესახებათ მათი მომავალი?

— ორი პატარაა–მოსწავლეები არიან. მათ ჰუმანიტარული მიდრეკილებანი აქვთ; უყვართ ლიტერატურა და ენები, მისდევენ სპორტს. უფროსი ვაჟი აღმოსავლეთმცოდნეა–ირანისტი.

— გყავთ თუ არა პოლიტიკური მოღვაწის იდეალი?

— დიახ, გენერალი შარლ დე გოლი.

გაზეთი: „არგუმენტი ი ფაქტი" №25.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 4 ივლისი, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებისადმი

პატივცემულო დეპუტატებო!

მოგმართავთ თქვენ ამ ისტორიულ მომენტში, როცა საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მხოლოდ მთელი ძალების კონსოლიდაციის პირობებში, ეთნიკური და ეროვნული კუთვნილების მიუხედავად არის შესაძლებელი ეფექტიანი ბრძოლა ნამდვილად აყვავებული და დღეკეთილი საზოგადოების შექმნისათვის, რომელშიც ყველა ადამიანი იცხოვრებს ღირსეულად ცივილიზაციისა და დემოკრატიის მაღალი მოთხოვნების შესაბამისად.

აფხაზი ხალხი მუდამ ქართველი ერის გვერდით იდგა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, უცხოელ დამპყრობთა მრავალრიცხოვანი ურდოების წინააღმდეგ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის მანძილზე. ასევე ქართველ ერს არასოდეს არ მიუტოვებია გაჭირვებისას აფხაზი ხალხი, მაშინაც კი, როცა თვითონ გმინავდა თვითმპყრობელობის უღელქვეშ. ჩვენი ხალხების მეგობრობა არ ჩაუმწარებია ეჭვსა და ვერაგობას, რომლებიც სამწუხაროდ, წესად იქცა 1917 წლის და ამიერკავკასიაში ბოლშევიკური იდეოლოგიისა და ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის გავრცელების შემდეგ.

აღარ ჩამოვთვლი ყველა იმ ჭირვარამსა და ტრაგედიებს, რომლებიც გამოიარეს როგორც აფხაზებმა, ისე ქართველებმა. და დღეს კვლავ დაძაბულობაა აფხაზეთში, გამეფებულია ურთიერთუნდობლობა და ეჭვი აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის, თუმცა ამავე დროს, კიდევ უფრო მეტი ინტენსიურობით ხდება ქორწინებანი, მტკიცდება აფხაზთა და ქართველთა სისხლით ნათესაობა. ვერავინ ვერ მოსპობს ორი, ისტორიულად ერთმანეთის გვერდით მცხოვრები მონათესავე ხალხების ამ შეუკავებელ და ისტორიულად განპირობებულ ლტოლვას.

მთელი ამ სიძნელეების მიუხედავად, რომელიც წილად ხვად აფხაზ ხალხს მმართველობის მბრძნებლურ–ადმინისტრაციული სისტემის

ბატონობის პერიოდში, ამ ბოლო წლების მანძილზე უმაგალითო აყვავებას მიაღწია აფხაზთა ეროვნულ-კულტურულმა თავისთავადობამ.

ჩვენ გაგებით ვეკიდებით აფხაზი ხალხის მისწრაფებას, გაფორმდეს თოოს სახელმწიფო ავტონომია, რომელიც ხანგრძლივი წლების მანძილზე სრულყოფილი არ იყო, ისევე, როგორც სსრ კავშირში კომუნისტური რეჟიმის ბატონობის წლების მანძილზე შექმნილი ყველა პოლიტიკური ინსტიტუტი.

საქართველოს რესპუბლიკაში ახალ საზოგადოებას რომ ვაშენებთ, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ აფხაზეთი სტატუსის განვითარების ტენდენციები, რასაც გააკეთებს კიდეც სპეციალური კომისია, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის და აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წარმომადგენლებისაგან შედგება.

ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია იმის შესახებ, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ავტონომიის რესპუბლიკის სტატუსის შებღალვაზე, რაც დამკვიდრებულია კიდეც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში. რაც შეეხება აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის კომპეტენციის გაფართოებას, თანამედროვე მოთხოვნათა სულისკვეთების შესაბამისად, სწორედ ეს უნდა გახდეს მოლაპარაკების საგანი. ცალმხრივი მოქმედება როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან შეუწყნარებელია და მას შეიძლება მოჰყვეს განუჭვრეტელი შედეგები, რომლის მწარე გამოცდილებას, სამწუხაროდ, დღესაც ვგრძნობთ.

გარკვეული ძალები ცენტრში უკვე დიდ ხანია ცდილობენ შეარყიონ საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის შიგნიდან, კერძოდ, დაუპირისპირონ აფხაზი ხალხი ქართველ ხალხს, ამოგლიჯონ აფხაზეთი საქართველოს ცოცხალი სხეულიდან. ყოველი ამგვარი ცდა განწირულია ჩასაფუშავად, რამეთუ ცემენტი, რომელიც ადუღაბებს აფხაზეთს მთელ საქართველოსთან, იმდენად მტკიცეა, რომ მას ვერავითარი გარეშე თუ შინაგანი ძალა ვერ დაანგრევს.

თუ პოლიტიკური ავბედობის წლებშიც კი აფხაზმა ხალხმა შეძლო მიეღწია ეროვნულკულტურული და პოლიტიკური მწვერვალებისათვის, რომლებიც ვერ შეედრება ვერც ერთ ავტონომიურ, ბევრად უფრო დიდ რესპუბლიკასაც კი, თავისუფალ საქართველოში მისი მომავალი შეიძლება მხოლოდ უფრო გარანტირებული და წარმტაცი იყოს.

მხოლოდ აფხაზი და ქართველი ხალხების, აფხაზეთის ასსრ რეს-

პუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენელთა თანამეგობრობა და ურთიერთ გაგებაა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამართლიანი საზოგადოების შექმნის გასაღები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური რეალიზმი ამავე დროს გვიკარნახებს უწინარეს ყოვლისა აფხაზებისა და ქართველების—ამ ტერიტორიაზე ორი ისტორიულად მცხოვრები ხალხების მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას, რაც არ გამორიცხავს აფხაზი ხალხის გარკვეული უფლებების ცნობას პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნისა და ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურათა სრულყოფის დროს.

ქართველ ერს, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს ესმით აფხაზი ხალხის მისწრაფებანი, მაგრამ არ დაუშვებენ საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის რეალიზაციას, რაც საქართველოს რესპუბლიკისა და თვით აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის კონსტიტუციების უხეში დარღვევის ცდაა, რომლებიც მკაცრ იურიდიულ ბარიერებს აყენებს ამგვარი მოქმედების წინაშე, რომელსაც შეიძლება უაღრესად მძიმე შედეგები მოჰყვეს.

მხოლოდ მაშინ, თუ გამოვიჩენთ საღ გონებას, ჯეროვნად შევაფასებთ პოლიტიკურ და სამართლებრივ რეალიებს, გამოვიჩენთ ურთიერთნდობასა და ნამდვილი თანამშრომლობის სურვილს როგორც აფხაზეთში, ისე მთელ საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხის კეთილდღეობისათვის, გადავჭრით საკითხს საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის შესახებ, რომლის ტერიტორიული მთლიანობა გარანტირებულია საერთაშორისო სამართლით.

აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიას ვუსურვებ წარმატებას პოლიტიკური ძალაუფლების ახალ სტრუქტურათა შექმნის გზაზე, რომლებიც ორგანულად შეერწყმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემას.

ღრმა პატივისცემით

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 8 ივლისი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 10 ივლისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს
საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მთელ წინასაარჩევნო კომისიას და არჩევნების მსვლელობას, ამჟამად ჩვენ არ შევეხებით დაპყრობილ და მარიონეტულ ქვეყანაში პრეზიდენტის ინსტიტუტის დაარსებისა და წინასაარჩევნო კამპანიისათვის გამოყოფილი ვადების აბსურდულობას, არამედ მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიას და თვით არჩევნებს; კანდიდატებისათვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია: ცნობათა გავრცელების მთელი პროპაგანდისტული მანქანა მთელი დღე აწარმოებდა ზვიად გამსახურდიას აღვირახსნილ და სამარცხვინო ქება – დიდებასა და სხვა საპრეზიდენტო კანდიდატების ლანძღვა–გინებას და ცილისწამებას,–ისინი და მათი მხარდამჭერები გამოცხადებულ იქნენ ხალხის მტრებად და მოღალატეებად. თვითონ პრეზიდენტი მათი მისამართით მიმართავდა აშკარა მუქარას, არჩევნების რა დემოკრატიულობაზე, მეტიც საერთოდ რა არჩევნებზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც სახელმწიფოს მეთაური ამომრჩევლებთან შეხვედრაზე აცხადებს, რომ **სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს პრეზიდენტობის კანდიდატების წინააღმდეგ** და გაუსწორდება მათ, როგორც ერის მოღალატეებს (24 მაისს სახ. უნივერსიტეტში), ანდა რომ ოპოზიცია, სულ რაღაც ათასამდე კაცია და ის სულ ადვილად მოუვლის ამ საცოდავებს (დემოკრატიის ეს უკანასკნელი მშვენიერი ნიმუში ტელევიზიითაც კი გადაიცა „მოამბეში"). ხალხის მასობრივი დაპატიმრებისათვის და ფსიქოლოგიური ტერორის შექმნის მიზნით გამოყენებულ იყო ბოლშევიკური კოლექტუური წერილები და სამინისტროების განცხადებები ერთადერთი სრულუფლებიანი კანდიდატის შესახებ.

ამგვარად, ზედმეტიც კია ვიცოდეთ, თუ რას აკეთებდნენ კულისებში ამომრჩეველთა დაშინებისათვის პრეფექტები და სხვა ოფიციალური პირები. ოფიციალური პირები, როდესაც სახეზეა სრულიად აშკარა და ღია იძულება და დაშინება, არათანაბარი პირობები, ხდებოდა ოპოზიციური კანდიდატების ამომრჩევლებთან შეხვედრების

ორგანიზებული ჩაშლა, მაგალითად ყვარელში, ჩაშლის ცდები წყ-
ალტუბოში, ქუთაისში, სოხუმში, ოზურგეთში. წინასაარჩევნო კამ-
პანიის დროს მოხდა აგრეთვე ცნობილი თავდასხმა პრეზიდენტობის
კანდიდატ ვალერიან ადვაძის საარჩევნო შტაბზე, რომლის დროსაც
ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მის ნდობით აღჭურვილ პირებს და
სხვა ამ ხარდამჭერებს (მაგ. მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს და პროფე-
სორ გურამ ყორანაშვილს), გაანადგურეს კანდიდატის წინასაარჩევნო
პროგრამა ადა სხვა დოკუმენტები.

წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პროცესში უზენაესმა
საბჭომ რამდენჯერმე შეიტანა ცვლილებები და დამატებანი წინა-
საარჩევნო კანონში. მაგალითად, სპეციალურად იმ მიზნით, რითაც
უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპის სრული უგულებელყოფით
საარჩევნო უფლება წაართვა ათასობით ადამიანს, ხოლო 14 მაისს
მიღებული დამატებაა საერთოდ ახალი სიტყვაა „დემოკრატიული
არჩევნების" ისტორიაში: საარჩევნო კომისია, რომელიც ისედაც მთავ-
რობას ექვემდებარებოდა, ახლა უკვე სრულ ფიქციად იქცა, რადგან
კანონის ახალი დამატებით არჩევნების შედეგები და საერთოდ არ-
ჩევნები უშუალოდ დაიქვემდებარა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა.
დამატებაში ნათქვამია, რომ თუ არჩევნების შედეგების შეჯამებაში
კომისია გამოიჩენს ტენდენციურობას (ე.ი. თუ პრეზიდიუმს არ მოე-
წონება შედეგები, რადგან სწორედ ის განსაზღვრავს, რაა ტენდენ-
ციური და რაა ობიექტური), პრეზიდიუმი აუქმებს შედეგებს და
თვითონვე, მის მიერ გამოყოფილი კომისია ხელახლა აჯამებს მას,
როგორც იტყვიან, ამას უკვე კომენტარიც არ სჭირდება.

ამ ფონზე, ბუნებრივია, უშუალოდ წინასაარჩევნო გამოსვლები-
სათვის გამოყოფილი თანაბარი დრო ვერაფერს შეცვლიდა, მაგრამ
თვით ეს დროც კი რამდენჯერმე სრულიად უკანონოდ წაართვეს
ადვაძის ნდობით აღჭურვილ პირებს. ხოლო 24 მაისს. არ გადასცეს
პროფესორ ალექსანდრე ჯავახიშვილის უკვე ჩაწერილი გამოსვლა.
გაზეთში ნოდარ ნათაძის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ ცილისწამებაზე
უარი უთხრეს იმ ინგილოებს, რომელთა სახელითაც გამოქვეყნდა ეს
ცილისწამება.

„მრგვალი მაგიდის" ერთ-ერთი ტიპიური იარაღი — სატელეფონო
ტერორი—უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა წინასაარჩევნო
კამპანიაში. ამ საქმეში ჩვეულებრივ ჩართული (ძირითადად ცნობილი

კატეგორიის ქალებისაგან დაკომლექტებული) ძალები საპრეზიდენტო კანდიდატებისა და მათი ნდობით აღჭურვილი პირების წინააღმდეგ მიმართავდნენ არა მარტო უცენზურო ლანძღვაგინებას, არამედ შვილების მოკვლის, ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარასაც კი.

თვით არჩევნების დღესაც კი გრძელდებოდა „ერთადერთი კანდიდატისათვის" ხმის მიცემის გაცხოველებული პროპაგანდა, რაც სასტიკად აკრძალულია კანონით (ამის შესახებ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ უკვე განუცხადა პროტესტი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რა თქმა უნდა უშედეგოდ).

ასე რომ, წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა საარჩევნო კანონის და საერთოდ ელემენტარული საარჩევნო პრინციპების სრული უგულებელყოფით, (რაც არა ერთხელ აღინიშნა პრეზიდენტობის კანდიდატების მხრიდან) ტერორისა და პოლიტიკური დევნის ვითარებაში. ასეთ პირობებში არჩევნების შედეგი წინასწარაა დაპროგრამებული, და დაპატიმრების მუქარის ქვეშ მყოფ და მოღალატეებად გამოცხადებულ კანდიდატებისათვის ხმის მიცემა უმრავლესობის დაშინებული ცნობიერებისათვის უაღრესად საშიშ და სარისკო საქმედ გამოიყურებოდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უკვე 26 მაისამდე წინასწარ იყო განსაზღვრული არჩევნების შედეგები და გარანტირებული „ერთადერთი" კანდიდატის გამარჯვება, მაგრამ პრეზიდენტის მიერ შეკვეთილი 90%–ის უზრუნველყოფის მიზნით მაინც საჭირო გახდა არჩევნების გაყალბება. ჩვენი წარმომადგენლები ესწრებოდნენ არჩევნებს, როგორც მეთვალყურეები და კომისიის წევრები. ჩვენს ხელთაა მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც მოწმობს სხვადასხვა ტიპის გაყალბების შემთხვევებს. კერძოდ, მასიურად ხდებოდა ყალბი ბიულეტენების ჩაყრა, (ირღვეოდა პრინციპი–ერთი ამომრჩეველი–ერთი ხმა), ზოგან კომისიის წევრები ამოწმებდნენ ამომრჩევლებს, თუ ვის მისცეს ხმა, რითაც ირღვეოდა ხმის მიცემის საიდუმლოება და შინდებოდნენ ამომრჩევლები. ჩვენი მეთვალყურეები და კომისიის წევრები მოწმენი არიან იმ ფაქტისაც, რომ უწყისებში ხდებოდა არგამოცხადებულ ამომრჩეველთა მაგიერ ხელის მოწერა და შესაბამისი ბიულეტენების ჩაყრა (გასაგებია ვის სასარგებლოდ!). ასეთი რამ ჩვენთვის ცნობილია აფხაზეთში, ზუგდიდში, დმანისში, თბილისის გლდანის რაიონში და ა.შ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით კატეგორიულად მოვითხოვთ

უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდეს უწყისებზე ხელმოწერების შემოწმება. თუკი ექსპერტიზის ჩატარებამდე განადგურდება ეს უწყისები, ჩვენ ამას ჩავთვლით სიყალბის კვალის დაფარვად. ჩვენი პროტესტის განხილვამდე მოვითხოვთ შეჩერდეს არჩევნების შედეგები.

საპროტესტო განცხადებას თან ვურთავთ ზოგიერთ მასალას, საჭიროების შემთხვევაში წარმოგიდგენთ სხვა მასალებსაც.

გაზ: „ივერია" №29, 10 ივლისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

დეპუტატ თამაზ დიასამიძის გამოსვლა უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 28 აპრილს

რედაქციისაგან: საქართველოს ძირძველ მხარეშიაჭარაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესები სამართლიანად იპყრობს ჩვენს ყურადღებას, იმ პოლიტიკურ კურსს, რომელსაც დიდი ოქტომბრის სოციალური გადარჩევების აჭარაში „მრგვალი მაგიდა" ანხორციელებს, საერთო არაფერი აქვს ტრადიციულ ქართულ შიდაურთიერთობებთან. განა თუნდაც ამ საუკუნის დასაწყისში ილია ჭავჭავაძე, რომლის ინიციატივით ყურანი ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა, ასე მოღვაწეობდა სამუსულმანო საქართველოში? უფრო მეტიც, ასეთი, უკეთეს შემთხვევაში, უგუნური პოლიტიკა, არც ქართულ სოციალდემოკრატებს და თქვენ წარმოიდგინეთ, ბოლშევიკებსაც კი არ უწარმოებიათ. ასეა თუ ისე, „მრგვალების" საქმიანობა იმპერიის სპეცსამსახურებს დიდად უადვილებს მოღვაწეობას.

პიროვნული და პარტიული ამბიციების გამო „მრგვალი მაგიდა" ყურს არ უგდებს არც აჭარის მოსახლეობას, არც უზენაესი საბჭოს შინა თუ გარე ოპოზიციის სამართლიან შენიშვნებსა და მოთხოვნებს. ისინი ანგარიშს არ უწევენ აჭარიდან წარმოდგენილი დეპუტატების აზრს. მათ ხომ ყველაზე უკეთ იციან თავისი კუთხის ჭირვარამი და ისიც, თუ როგორ იმოქმედონ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ 1991 წლის 28 აპრილს სესიაზე დეპუტატ ბნ თამაზ დიასამიძის გამოსვლის ტექსტს, რომელიც ჩვენის აზრით, საკმაოდ სრულყოფილ ინფორმაციას შეიცავს, რაც აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა უზენაეს საბჭოს, ეს გამოსვლა არც ერთმა ოფიციალურმა ცენტრალურმა გაზეთმა არ დასტამბა, დღეს სწორედ მართალი ინფორმაციის დეფიციტი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზება ქმნის საფუძველს ისეთი სისხლიანი დანაშაულებისათვის თუ პოლიტიკური ტერორისათვის, რასაც, სამწუხაროდ ამ ბოლო ხანებში ჰქონდა ადგილი აჭარის ოფიციალურ ხელისუფლებაში და არა მარტო აჭარაში.

ქალბატონებო და ბატონებო!

აქ შეიმჩნევა ინფორმაციის დეფიციტი აჭარაში მომხდარი ამბების შესახებ. მე, როგორც ამ რეგიონიდან არჩეული დეპუტატი, საჭიროდ ვთვლი მოგახსენოთ ჩემი მოსაზრებანი, თვალსაზრისი ამ მოვლენებზე. 22-23 აპრილის ამბებით წყალში ჩავყარეთ ოთხწლიანი შრომის შედეგიპოლიტიკური ავტონომიის საკითხისადმი მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულება, ანუ ის დადებითი საზოგადოებრივი აზრი, რაც ჩამოყალიბდა მოსახლეობაში ავტონომიისადმი, ეს გახლდათ არა მიტინგი, არამედ მღელვარება, რომელიც ბუნტებითა და ფაქტიურად, ორთოდოქსი ავტონომისტების გამარჯვებით დასრულდა. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ავტონომისტთა და ანტიავტონომისტთა პოზიციები, შეიძლება ითქვას თანაბარია. შეიძლება ანტიავტონომისტები მეტნიც არიან, მაგრამ ავტონომიის რაღაც 500 კაციან მიტინგს ზომაზე დიდ რეზონანსი და პრეცედენტი ახლავს თან ყოველთვის. ამდენად საქმე გვაქვს (გვქონია თურმე) ძალიან სერიოზულ საკითხთან და სწორედ მაშინ არ გამოვიჩინეთ მის მიმართ სერიოზული ყურადღება. მე ვიტყოდი, ძალიან ზერელედ მოვეკიდეთ მას, ე.ი. ძალიან ზერელედ იყო პოლიტიკა აჭარის მიმართ, ავტონომიის მიმართ. პასუხისმგებლობა ყველამ უნდა გავიზიაროთ, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო მეტად ეს ეხება (ამაში არავითარი ანგარიშსწორება არ არის) „მრგვალი მაგიდის" აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციას, რომელმაც შინაომებით, ურთიერთქიშპით მიიყვანა საბოლოოდ მოსახლეობა ამ აქციამდე, აი ამ მიტინგამდე.

ქრონოლოგიურად მოვლენები ასე განვითარდა: 34 იანვარს აჭარაში გაიმართა სესია, 3 მარტს დაინიშნა არჩევნები, მალე აღმოჩნდა, რომ

მიღებულ საარჩევნო კანონში, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობდა ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია, გაიპარა „სეპარატისტული" მუხლი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დონეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ აჭარაში საარჩევნო კანონი მოყვანილი იყო შესაბამისობაში რესპუბლიკის საარჩევნო კანონსა და კონსტიტუციასთან. შესწორდა. არჩევნები გადაიდო 31 მარტისათვის. თებერვალში გარკვეული საკადრო ცვლილებები მოხდა აჭარის ავტონომიურ სტრუქტურაში, აქ შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა კობახიძე... ბოლო ხანებში ის პოლიტიკური კარიერიდან განზე იდგა. ამ ფაქტმა (წინასწარ აღვნიშნავ, რომ მე წმინდა ტექნიკური მოსაზრებით ვანაწევრებ ქართულ მოსახლეობას) არა მარტო აჭარლებში გამოიწვია უკმაყოფილება, არამედ ბათუმის მთელი მოსახლეობა გააკვირვა. თებერვლის ბოლოს ჩატარდა მიტინგი. მას ბუნტის ხასიათი ჰქონდა. მომიტინგეებმა კობახიძე კაბინეტიდან გამოაგდეს, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას (პრეზიდიუმის დონეზე) კობახიძის კანდიდატურას, თვლიდა რა მას კონსტიტუციური პროცედურის დარღვევად. ამას შედეგად მოჰყვა დიდი პოლიტიკური სკანდალი და გადაჰყვა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ხახვას ხელისუფლება. 14 მარტს გაიმართა სესია, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ბნი ასლან აბაშიძე, ხოლო მის მოადგილედ ბნი ნ. იმნაძე. ამ დღეს იქ ბნი თემურ ქორიძეც გვესწრებოდა და დეპუტატი გელანტიაც. ავღნიშნავ ჩემს მაშინდელ შთაბეჭდილებას, ცუდ სიტუაციაში ჩატარდა სესია. ეს იყო რაღაც მილიტარისტული შოუ. ავტომატებითა და რევოლვერებით შეიარაღებული დაცვა იჯდა პრეზიდიუმში, დეპუტატების წინ პირველ რიგში, უკან და გვერდით. რისთვის იყო საჭირო ამ მასშტაბის საგანგებო წესები, სამხედრო მანევრი, ჩემთვის გაუგებარია, მოსახლეობა უკმაყოფილო იყო ამისი, უკმაყოფილოა გვარდიელების. ზოგიერთი პრეფექტი მოსახლეობასთან შეხვედრისას დიდი რაოდენობის გვარდიელებით მიდის. მახინჯაურში, მაგალითად, ბნ პრეფექტს ბიბინეიშვილს, მოსახლეობამ მოსთხოვა და შეხვედრის დარბაზიდან გააყვანინა გვარდიელები... გვარდიელთა ასეთი დემარშები, ძალის პოზიციიდან ლაპარაკი, ცუდად განაწყობს მოსახლეობას. გვარდიაში ბევრი საეჭვო კაცი მოხვდა, რომლების არ ტოვებდნენ არც ერთ შემთხვევას, ქეიფის შემდეგ რომ არ დაეცხრილათ რესტორნის ჭერი, ჩატარდა წმენდა, მაგრამ ეს კვლავ

ყურადღებას საჭიროებს. აი, თქვენ, ბნო თემურ, როცა ბათუმიდან წაბრძანდით, იმ დღეს ინტურისტში სროლა ატყდა, გვარდიელებმა გაისროლეს, არის უამრავი შემთხვევა...(რეპლიკა არ ისმის). ავტონომიისტ-მისტები გამომწვევად იქცეოდნენ სწორედ იმის გამო, რომ შეცდომებს უშვებთ, ამაშია საქმე. ის ფაქტი, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი ავტონომისტურადაა განწყობილი, ავტონომიაში ხედავს რაღაც დამცავ მექანიზმს თბილისისაგან. ეს კომპლექსი ჩამოაყალიბა, განაპირობა, ერთის მხრივ, თვით ავტონომიის არსებობამ, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოში მმართველობის უვარგისმა ფორმამ, რომელიც დღემდე არსებობს. ამ ფაქტორებითაა განპირობებული მოსახლეობის ფსიქოლოგიური განწყობილებაც... (რეპლიკა, არ ისმის), ბნი ასლანის მოსვლით ვითარება თანდათან დაწყნარდა, მაგრამ უცებ აჭარაში თავი იჩინა ეიფორიამ. ინტელიგენციასაც დაეუფლა ეს, რომ მოსახლეობა მზად იყო ავტონომიის გაუქმებისათვის. კამპანიაში ჩართო პრესა, ტელევიზია, რადიო. დამოუკიდებელმა კანდიდატებმა აჭარის არჩევნებში დაიწყეს კანდიდატურების მოხსნა განცხადებებით, არჩევნების ნაცვლად ჩატარებულიყო რეფერენდუმი.

ასეთი განწყობილების ჩამოყალიბებას, რეფერენდუმის ფორსირებას ძლიერ შეუწყო ხელი პრეფექტის ინსტიტუტის დანერგვამ აჭარაში...

მე ამას უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ვთვლი. საკანონმდებლო დონეზე ჩვენ აქ მივიღეთ კანონი, რომელიც აჭარაში დანიშნულ პრეფექტებს პირდაპირ რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უქვემდებარებს, ამ ინსტიტუტმა ავტონომიის სტატუსი დასცა... პრეფექტთა ერთი ნაწილი დემონსტრაციულად უსვამდნენ ხაზს და არ სცნობდნენ ავტონომიურ ხელისუფლებას, მათ ზედმეტ რგოლად მიაჩნდათ ავტონომიური სტრუქტურები. ავტონომიური რესპუბლიკის ახლადდანიშნულ ხელისუფლებასა და პრეფექტებს შორის დაიწყო ფარული და აშკარა ბრძოლა.

ამასობაში, 14 აპრილს კარავი დასცეს წმინდა ილია მართლისა და მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრებმა და მოითხოვეს: არ ჩატარდეს არჩევნები, მის ნაცვლად დაინიშნოს რეფერენდუმი. სამწუხაროდ „მრგვალი მაგიდის" აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია დროულად არ გამოეხმაურა და არ მისცა შეფასება მასში შემავალი ამ ორი პოლიტიკური პარტიის აქციას. მან სწორედ 18 აპრილს, როცა

აქციამ ცუდი შედეგი გამოიღო, გააკეთა განცხადება, რომ აქციის ორგანიზატორები თვითმარქვიები, ჩვენგან გასულები, ავანტიურისტები არიან და, ამდენად, ჩვენ მათ მხარს არ ვუჭერთო, მაგრამ ეს დაგვიანებული აღმოჩნდა. 19 აპრილს აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება არჩევნების გადატანის შესახებ. ამან განუმტკიცა მოსახლეობას აზრი რეფერენდუმის ჩატარების შესახებ და დააჩქარა მოვლენები. ე.ი. შეცდომა დაუშვა, როგორც „მრგვალი მაგიდის" აჭარის რეგიონულმა ორგანიზაციამ, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის ახალმა ხელმძღვანელობამ. მე 18 აპრილს გახლდით ბნ პრეზიდენტთან და მოვახსენე, რომ ხელოვნურად ჩქარდება რეფერენდუმი, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს-მეთქი. უკვე 3-ჯერ გადაიდო არჩევნები, როდის ჩატარდება ის, მაშინ როცა „მრგვალი მაგიდა" კარგად მოემზადება? ის დღითიდღე კარგავს ქულებს. ეს იმას ნიშნავს, რომ არასერიოზულად ვეკიდებით არჩევნებს. თუ გვინდა გავთვისუფლდეთ კომუნისტური მაფიისაგან, რომელსაც ყველაფერს ვაბრალებთ, უნდა ჩატარდეს ეს არჩევნები...

ჩვენ მოვახდინეთ დეკლარირება, რომ აჭარის ავტონომია უნდა გაუქმდეს რეფერენდუმის გზით, მაგრამ მოსახლეობისათვის სანაცვლოდ არაფერი შეგვითავაზებია, არ დაგვიდია მაგიდაზე კონცეფცია, რაღაც პროექტი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კომპენსაციებისა. ჩვენ არ მიგვიღია გარანტია ავტონომიურ სტრუქტურებში დასაქმებული ათასობით ჩინოვნიკისათვის და საერთოდ მოსახლეობისათვის, რომელიც შეჩვეულია აქ რაღაც ტერიტორიულადმინისტრაციულ მმართველობას..

შეიძლებოდა პრობლემების ეტაპობრივად გადაწყვეტა, ავტონომიის ოლქის სტატუსზე გადაყვანა, და ამის რეალური შესაძლებლობა იყო. მოსახლეობა შეჩვეული იყო იმ აზრს, რომ გარკვეულ ეტაპზე ავტონომია* უნდა გაუქმებულიყო, თუკი შენარჩუნდებოდა აჭარის ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთიანი რეგიონი, მაგრამ დღეისათვის აქ ტონს იძლევიან პოლიტიკური ავტონომიის მომხრენი, გმადლობთ ყურადღებისათვის.

გაზ: „ივერია", №29, 10 ივლისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია

კითხვა — „ინტერ ფაქსის" სააგენტო:

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ის ურთიერთობის მოწესრიგების თაობაზე მოლაპარაკებას მოსკოვთან არ აწარმოებს. როგორია ამ მოლაპარაკების პერსპექტივა, ჯერ დელეგაციაც არ შექმნილა?

პასუხი — ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ ვინაიდან პასუხი ბუნდოვანია, კონკრეტული ნაბიჯები არ ჩანს, ვინაიდან არც ეს აძლევთ ხელს.

კითხვა — ცენტრთან თქვენი კონფლიქტის დროს რამდენად შეგიძლიათ დაეყრდნოთ რუსეთის დახმარებას? რა უშლის ხელს რუსეთთან კავშირების უფრო დინამიურ განვითარებას?

პასუხი — ჩემი აზრით ამას დღემდე არჩევნები უშლიდა ხელს, რადგან არჩევნების დროს მოლაპარაკებებისა და შეთანხმებებისათვის საკმარისი დრო არ გვქონდა. უახლოეს მომავალში კი, ალბათ ყველაფერი გაირკვევა.

მე ხომ შევხვდი ბატონ ელცინს. ჩვენი მომავალი ურთიერთობების შესახებ შევადგინეთ ოქმი, სადაც წერია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება უნდა დაიდოს და ეს, ალბათ, უახლოეს მომავალში მოხდება, თუ კი რუსეთის მხარე აზრს არ შეიცვლის, ჩვენ კი ეს არ გადაგვიფიქრებია.

კითხვა — ბატონო პრეზიდენტო, კომენტარს ხომ არ გაუკეთებდით იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენებს?

პასუხი — მე ძლიერ შეშფოთებული ვარ ამ მოვლენებით, მართალია ისინი ჯერ რეგიონალური მნიშვნელობისაა, მაგრამ მაინც ძალიან არასასიამოვნოა. მე ვფიქრობ, რომ აქ კომუნისტური ძალებია ჩარეული., რადგან ეს ბრძოლაა, ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და მის სისხლში ჩახშობა კომუნისტების ხელწერაა. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ იუგოსლავიის ხელისუფლება ჯერ კიდევ კომუნისტურ იდეებს ეჭიდება.

კითხვა — მაინც უფრო ზუსტად ხომ ვერ გვეტყვით, ვის მხარეზე ხართ?

პასუხი – ჩემი სურვილია, ეს პრობლემა ყოველგვარი ძალადობის გარეშე, მშვიდობიანად გადაწყდეს. რისთვის ჩქარობენ ასეთ ძალადობისა მე არ მესმის. ჯერ ხომ ყველა მშვიდობიანი შესაძლებლობა ამოწურული არ არის?

კითხვა – რამდენადაც ვიცი, თქვენ სომხეთსა და აზერბაიჯანს შუამავლობა შესთავაზეთ?

პასუხი – დიახ, ახლაც ვთავაზობთ, პასუხი მხოლოდ აზერბაიჯანის მხარემ მოგვცა. მან მზადყოფნა გამოხატა სომხეთმა კი არა.

კითხვა – როგორ ფიქრობთ რატომ?

პასუხი – არ შემიძლია ავხსნა. ერთი კი არის, რომ ცენტრი ძლიერ აქტიურობს, რათა ეს ჩაშალოს.

კითხვა – „დეილი ტელეგრაფი":

როგორია თქვენი შეხედულება 9+1 რესპუბლიკების ხელშეკრულებაზე?

პასუხი – ახლა უკრაინაში ძლიერი მოძრაობაა 9+1ის წინააღმდეგ და თუ უკრაინა უარს იტყვის, ჩემი აზრით, 9+1 ხელშეკრულება შეუძლებელი იქნება. აქ უკრაინა ძირითადი ფაქტორია.

კითხვა – რა იქნება მომავალში?

პასუხი – მომავალში? ეს დამოკიდებულია დასავლეთის ქვეყნებზე. დასავლეთის ქვეყნები უფრო სერიოზულად უნდა მოეკიდნონ ჩვენს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. უფრო მეტიც, მათ პირდაპირ კავშირები უნდა ჰქონდეთ რესპუბლიკებთან.

კითხვა – დასავლეთი დაინტერესებულია ამა თუ იმ ფორმით შეინარჩუნოს ერთიანი კავშირი, რათა შეინარჩუნოს ერთიანი ბაზარი, ეკონომიკის განვითარება და ამიტომ, როგორც ჩანს, მათი პოზიცია ისეთი არ არის, რაც თქვენ გსურთ.

პასუხი – დასავლეთს არ შეუძლია გაიგოს, რომ არანაირი რეფორმები არ მოხდება ასეთ კავშირში, ვინაიდან აქ ასეთი კონსერვატიული და ანტიდემოკრატიული ძალები არსებობს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგი არიან და უნდათ სოციალისტური სისტემის შენარჩუნება. რა რეფორმები უნდა მოხდეს აქ? რა რეფორმები შეუძლია განახორციელოს პავლოვის მთავრობამ, შეგიძლიათ ამიხსნათ? ასეთ სიტუაციაში ეს შესაძლებელია. დასავლეთი კი რაღაც რეფორმებს ელოდება. ისინი შეიძლება გატარდეს, მხოლოდ ცალკეულ რესპუბლიკებში, როცა ისინი დამოუკიდებლადაც იქნებიან.

ჩვენ დავინახავთ, თუ როგორი რეფორმები განხორციელდება რუსეთში, დემოკრატიულ რუსეთში, რომელმაც საკუთარი პრეზიდენტი აირჩია. აქ იქნება ნამდვილი რეფორმები, როგორც საქართველოში და ბალტიისპირეთში. კავშირში რეფორმები არ იქნება.

კითხვა — ჩეხეთსლოვაკეთი, „ჩეტეკა":

ორი შეკითხვა მაქვს. პირველიიმ პროცესებთან დაკავშირებით რომელიც ამჯამად მიმდინარეობს დემოკრატიული ძალების გაერთიანების მიზნით და არის მცდელობა კავშირის მასშტაბით შეიქმნას ერთიანი დემოკრატიული პარტია ან კონგრესი. თქვენი შეხედულებით, როგორია საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების დემოკრატიული ძალების გაერთიანების საუკეთესო ფორმა?

მეორე შეკითხვა — აპირებს თუ არა საქართველო უახლოეს მომავალში პირდაპირი ურთიერთობები დაამყაროს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან, კერძოდ, ჩეხოსლოვაკეთთან დაამყაროს პოლიტიკური და ეკონომიკური კონტაქტები?

პასუხი — რა თქმა უნდა, ჩვენ გვსურს პირდაპირი კონტაქტები, მაგრამ ბოლო დრომდე ისინიჩეხეთსლოვაკეთი, უნგრეთი და ა.შ. ფრთხილობდნენ, ვიდრე იქ საბჭოთა ჯარები იყო, პირდაპირ კავშირებზე არ მოდიოდნენ. ჩვენ ვგრძნობდით მათ შიშს, რომ საბჭოთა კავშირს შეიძლება გადაეფიქრა და ჯარები უკან დაებრუნებინა. და ვიდრე იქ შეუქცევადი, სტაბილური არ გახდება დამოუკიდებლობისა და ჯარების გაყვანის პროცესები, რეალური კავშირები არ გვექნება.

კითხვა — ეი. საქართველო ელოდება რაღაც ნაბიჯებს მათგან?

პასუხი — რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვენი ნაბიჯი უკვე გადავდგით, ახლა პასუხს მათგან ველით. მაგალითად, უნგრეთისაგან უკვე მივიღეთ პასუხი და გვექნება ურთიერთობები. ასე იქნება, ალბათ, ჩეხეთსლოვაკეთთანაც.

კითხვა — რას იტყვით ჩემს პირველ შეკითხვაზე დემოკრატიულ ძალთა შეკავშირების შესახებ?

პასუხი — დემოკრატიულ ძალთა გაერთიანებისა ჯერჯერობით არ მჯერა. აქ ხშირად დემოკრატიით სპეკულაციას ეწევიან, ხოლო რეალური დემოკრატია არ არის. მაგრამ არსებობს დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული გარკვეული ძალები, რომლებსაც მისი გამოყენება შეუძლიათ კომპარტიისა და სოციალისტური სისტემის გადასარჩენად. აი, საქართველოში ასე მოხდა: საქართველოში როცა ეს არჩევნები

დავიწყეთ, შექმნეს დემოკრატიული გაერთიანება, რომელშიც ყოფილი კომუნისტებიც შევიდნენ და კომპარტიაში დარჩენილი ადამიანებიც და ისინი გამოდიოდნენ არა როგორც კომუნისტები, არამედ როგორც ვილაც დემოკრატები. თავიანთ კავშირს დაარქვეს „თანხმობისა და აღორძინების კავშირი". აქ შესულები სკკპ პლატფორმაზე იდგნენ. ასე რომ, ჯერ საქმემ უნდა დაგვანახოს. როცა ეს დემოკრატიული ძალები გაერთიანდებიან მაშინ ვნახოთ რას გააკეთებენ და შემდეგ გეტყვით დასკვნას.

კითხვა — თქვენ ბრძანებთ, რომ სსრ კავშირში არავითარი რეფორმები არ მიმდინარეობს. ჩვენ კი ხშირად გვესმის რომ, რომ სსრ კავშირის ხელისუფალნი ატარებენ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების კურსს. ხომ ვერ განგვიმარტავთ თქვენს პოზიციას?

პასუხი — რეფორმების თაობაზე მე მხოლოდ შეძახილები მესმის, სხვა არაფერი. მე ვერ ვნახე ამ განცხადებების რეალური შედეგები. სინამდვილეში არაფერი არ იცვლება. ეკონომიკური სისტემა იგივეა. არ არსებობს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, არ არის პრივატიზაცია, არ არის ეკონომიკისა და ვაჭრობის ლიბერალიზაცია, კერძო ვაჭრობა. როგორ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აქ შესაძლებელია რაიმე რეფორმები. თუმცა დეკლარაციები კი გვესმის, ლამაზი დეკლარაციები.

კითხვა — „ტაიმსი", ლონდონი;

თქვენ თქვით, რომ მიესალმებით ნაზარბაევის წინადადებას, ცენტრის გარეშე 15 რესპუბლიკის შეკრების თაობაზე. ხომ ვერ გამოთქვამთ ვარაუდს, რა შედეგი შეიძლება ამ შეხვედრამ გამოიღოს. როგორი იქნება მომავალი კავშირის მოწყობაფედერაციული, კონფედერაციული თუ სხვა?

პასუხი — მე ვფიქრობ შეხვედრა უკეთეს ურთიერთგაგებამდე მიგვიყვანს, უკეთეს კონტაქტამდე ერებს შორის, თუ ეს მოხდება ცენტრის, ასე ვთქვათ, ე.წ. დახმარებისა და პროვოკაციების გარეშე. მაგალითად, ჩვენ ამჟამად კარგი კონტაქტები გვაქვს. ერთმანეთს ტელეფონით ვუკავშირდებით. საჭიროების შემთხვევაში მე ვურეკავ ყაზახეთის პრეზიდენტს, ყირგიზეთის პრეზიდენტი მირეკავს მე, აზერბაიჯანი მირეკავს. მე ვუკავშირდები მოლდოვას, ლიტვას, ლატვიას და ა.შ. ჩვენ უკვე კონტაქტებიც გვაქვს და ამ კონტაქტებს შედეგებიც მოაქვს. როცა ასეთი ოფიციალური შეხვედრა იქნება და ხელს მოვაწერთ რაიმე დოკუმენტს, ეს ურთიერთობები კიდევ უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმჯობესდება, ასე რომ, მე მივესალმები მათ.

კითხვა — იქმნება რაიმე დოკუმენტი ხელმოსაწერად?

პასუხი — შესაძლოა. ვიმედოვნებ, რომ, როდესაც ხელშეკრულებას 9+1 ჩაიშლება, ხელმოწერილი იქნება ნამდვილი დოკუმენტი. მაგრამ ჯერ 9+1 ხელშეკრულებამ მარცხი უნდა განიცადოს და ცენტრის გარეშე მოხდეს რესპუბლიკების შეკრება.

კითხვა — თუ შეიძლება ერთ-ერთ წინა შეკითხვასთან დაკავშირებით. რა როლს ასრულებს დემოკრატიული ძალების გაერთიანებაში ან გაერთიანებული დემოკრატიის პარტიის შექმნაში ედუარდ შევარდნაძე?

პასუხი — ამბობენ, რომ ედუარდ შევარდნაძემ დიდი ევოლუცია განიცადა, რომ იგი ის ედუარდ შევარდნაძე აღარ არის, რაც 15 წლის წინათ იყო. თავად ამბობს ასე და იგივეს ამბობენ მასზეც. მაგრამ მე მინდა, რომ ამაში საქმემ დამარწმუნოს, მე ასეთი რწმენა მაშინ გამიჩნდება, როცა შევარდნაძე თვითონ გაამჟღავნებს საკუთარ დამოკიდებულებას კომპარტიის მიმართ. როცა იტყვის სრულ სიმართლეს კომპარტიაზე და თავის საკუთარ როლზე კომპარტიაში, იტყვის ყველაფერს, როგორც აღსარებას, აღსარებას ხალხისა და ისტორიის წინაშე, თუ რა მოიმოქმედა მან კომპარტიაში და რა მოიმოქმედა მან საქართველოში, პირველ რიგში საქართველოში, სადაც იგი კომპარტიის ემისარი იყო, მხოლოდ მაშინ დავუჯერებ. ვიდრე ის დუმს, არაფერს ამბობს საკუთარ წარსულსა და თავის კომპარტიაზე, ვიდრე ის მხოლოდ ლაპარაკობს, რომ დემოკრატიის შექმნა სურს, ეს მე ძლიერ მაეჭვებს. ჯერ თქვით, თუ რა ჩაიდინეთ კაცობრიობის და ხალხის წინაშე და მხოლოდ შემდეგ დაგიჯერებთ. გაკიცხეთ ეს წარსული, თუნდაც ისე, როგორც ხრუშოვმა გააკეთა. მე, მაგალითად, ხრუშოვისა უფრო მჯერა, ვიდრე სხვა ლიდერებისა, თუნდაც იმიტომ, რომ მან გული გახსნა და აღსარება თქვა. ჩემი აზრით, იგი ამისასთვის პატივისცემას იმსახურებს, მათ კი არ სურთ, საკუთარი წარსულის შესახებ რაიმე თქვან. დე, კომენტარები საკუთარ წარსულს გაუკეთონ.

კითხვა — ბატონო პრეზიდენტო, თვლით თუ არა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებს, კერძოდ, უნგრეთს შეუძლია მხოლოდ მხარი დაუჭიროს საქართველოს სწრაფვას გახდეს დამოუკიდებელი ქვეყანა, რადგან მას არ გააჩნია დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის აუცილებელი ზოგიერთი ატრიბუტი? მე ნაწილობრივ გეთანხმებით, რომ ისინი უფრთხიან, მაგრამ

ხომ არ არის მეტი სიცხადე შიდა პრობლემებში? როგორ გესახებათ გზა სრული დამოუკიდებლობისაკენ, როგორია ეს გზა? საკუთარი ფული, საკუთარი არმია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი — რა თქმა უნდა ჩვენ ვქმნით საკუთარი ფულის სისტემას, ვქმნით არმიას, რაც შეეხება საზღვრებს, ამის გაკეთება ძალზედ რთულია, რადგან ამაში ხელს საბჭოთა კავშირი გვიშლის. იგი ძლიერ ერევა ჩვენ საბაჟო პოლიტიკაში, სურს შეინარჩუნოს საკუთარი საბაჟო და არ გვაძლევს ჩვენი საბაჟოს შექმნის საშუალებას. ამის გამო მუდმივი ჭიდილი გვაქვს სსრ კავშირთან საბაჟოს გამო. მაგრამ თქვენც იცით, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები არც თუ ისე დამოუკიდებლები იყვნენ საბჭოთა კავშირისაგან, და ახლაც ბევრად არიან მასზე დამოკიდებულები ეკონომიკურად. ამას, ალბათ, განაპირობებდა იქ საბჭოთა ჯარების ყოფნა. ახლა შეიძლება მეტი ინტერესი გამოიჩინონ ჩვენს მიმართ. უნგრეთი უკვე დაინტერესდა, მე პირადი კონტაქტებიც მაქვს უნგრეთის პრეზიდენტთან, დაგეგმილია ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი იქ. შესაძლებელია, მეც შევხვდე მომავალში უნგრეთის პრეზიდენტს, ეს ყოველივე მომავლის საქმეა., მთავარი კი ისაა, დასავლეთი დარწმუნდეს, რომ სსრ კავშირი აღარ წარმოადგენს მისთვის საშიშროების ფაქტორს, როგორც ეს აქამდე იყო. ალბათ, ასე იქნება ხვალ, და მასში აღარ დაინახავენ სამხედრო, პოლიტიკურ და სხვა სახის საშიშროებებს. აი, მაშინ ყველაფერი მოგვარდება.

კითხვა — ლატვია „დიენა"

გვითხარით, თუ შეიძლება, რა მნიშვნელობას ანიჭებთ ბალტიის ქვეყნებთან ურთიერთობას და როგორ გესახებათ ამ ურთიერთობათა პერსპექტივები?

პასუხი — ბალტიის ქვეყნებთან თავიდანვე შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა. მქონდა პირდაპირი კონტაქტები ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის მოძრაობებთან. მაგრამ იქაც არსებობს ძალები, რომლებიც ხელს უშლიან ამ პროცესებს. მაგალითად, თქვენმა გაზეთმა ამას წინათ ჩემს შესახებ ისეთი სიცრუე გამოაქვეყნა, რომ მაპატიეთ, ჩემს ადგილას სხვა თქვენ არც დაგელაპარაკებოდათ. არც აციეს და არც აცხელეს, დაბეჭდეს, თითქოსდა გამსახურდიამ განაცხადა, სოლჟენიცინი და სახაროვი „სუკის" აგენტები არიანო. ეს უმსგავსოებაა. თქვენ ყური მოჰკარით რაღაც ჭორს და პირდაპირ დაბეჭდეთ, ასე არ

შეიძლება. ასეთი მოქმედებით თქვენ ხელს უშლით საქართველოსა და ლატვიას შორის ნორმალურ კონტაქტებს. ნახეთ ეს გაზეთები: უფრო მეტი ანგარიში უნდა გავუწიოთ ერთმანეთს და საფუძვლიანად უნდა შევამოწმოთ ყოველგვარი მოარული ხმები. მაგალითად, ჩვენ არასოდეს არ დავბეჭდავთ რაიმე მონაჭორს ლანდსბერგისის ან გორბუნოვის შესახებ, ჩვენ ერთ ბედს ქვეშა ვართ და ამიტომ ერთმანეთს ანგარიში უნდა გავუწიოთ.

კითხვა — შეგიძლიათ უპასუხოთ ჩემს მეორე შეკითხვას? როგორ გესახებათ უახლოესი პერსპექტივები?

პასუხი — უახლოესი პერსპექტივები ისაა, რომ „კიშინიოვის ფორუმში" მონაწილეობენ ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლები და ყველა საკითხს იქ განიხილავენ.

კითხვა — ამბობენ, რომ საქართველო ნატოში შესვლას აპირებსო, მართალია ეს?

პასუხი — ეს სასაცილოა.

კითხვა — „კომსომოლსკაია პრავდას" კორესპონდენტი:

როგორც გავიგე, თქვენ თვლით, რომ კავშირის ფარგლებში დემოკრატიული გარდაქმნები შეუძლებელია. აქედან გამომდინარე ორი შეკითხვა მაქვს: ნიშნავს თუ არა ეს, რომ ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული აღორძინების, ეროვნული თვითგამორკვევის საფუძველზე და ხომ არ არის საშიშროება მოვლენების ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში ხომ არ შეიძლება განმეორდეს იუგოსლავიის ვარიანტი, რაც თქვენ ძლიერ გაფიქრებთ?

პასუხი — იცით, იუგოსლავიამ, მართლაც ძალიან ცუდი მაგალითი მოგვცა. მაგრამ არა მგონია, რომ საქმე აქამდე მივიდეს. ვიდრე სსრ კავშირის არ მოვლენ ძალაუფლებისათვის მებრძოლი რეაქციული ძალები, როგორც, მაგალითად, დეპუტატთა ჯგუფი „სოიუზია" და ა.შ., მანამდე ასეთი საფრთხე, მე მგონი, არ არსებობს.

კითხვა — ბულგარეთის დეპუტატთა სააგენტო:

თქვენი უახლოესი პროგნოზი საბჭოთა კავშირში მოვლენათა განვითარების შესახებ?

პასუხი —უახლოესი პროგნოზით, თუ არ მოხდება სამხედრო გადატრიალება, თუ ძალაუფლებას არ ჩაიგდებენ ხელში ბნელი ძალები, მოვლენების განვითარება აუცილებლად დემოკრატიული იქნება. ეს ცენტრის როლის დაკნინებას მოიტანს და ეს როლი სიმბოლური

გახდება. ამ სიმბოლურ ცენტრს აღარ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა რესპუბლიკების გათავისუფლების საქმეში. და ვფიქრობ, რომ რესპუბლიკების თავისუფლება ძალიან ახლოსაა. რესპუბლიკების, პირველ რიგში რუსეთის ფედერაციის, რეალური თავისუფლება, რეალური დამოუკიდებლობა.

კითხვა — რა ერქმევა ამ კავშირს?

პასუხი — ეს იქნება კონფედერაციის მსგავსი რამ. ეს იქნება სრულიად განსაკუთრებული სპეციფიკა. კონფედერაციის აღიარების გარეშე. კონფედერაცია დეფაქტო. სინამდვილეში ეს მდგომარეობა თითქმის უკვე არსებობს.

კითხვა — ბატონო პრეზიდენტო, შეკითხვა ენის ცოდნის შესახებ, თუ მე ენა არ ვიცი ან თუ ვინმემ ქართული ენა არ იცის, ის მოქალაქეობას ვერ მიიღებს?

პასუხი — ეს წესი იმოქმედებს მათთვის, ვინც საქართველოში არ ცხოვრობს და მომავალში უნდა მიიღოს მოქალაქეობა. ყველა ეროვნების ადამიანი, ვინც საქართველოში ცხოვრობს, მიიღებს მოქალაქეობას ქართული ენის ცოდნის მიუხედავად. მაგრამ, თუ კი თქვენ ჩამოხვალთ ჩვენთან და მოინდომებთ საქართველოს მოქალაქეობას, თქვენ უნდა ისწავლოთ ქართული. მე მგონი გასაგებია, არა?

კითხვა — და იმათმა ბავშვებმა, ვინც ახალა საქართველოში ცხოვრობს, უნდა ისწავლონ ქართული?

პასუხი — რა თქმა უნდა, უნდა ისწავლონ, მათი მშობლები უკვე მზად იქნებიან აღიარონ სახელმწიფო ენა და ბავშვებს ქართული ასწავლონ. ეს სახელმწიფო ენაა. მათ უნდა გამოხატონ ერთგულება, უნდა აღიარონ, რომ არიან ჩვენი კონსტიტუციის ერთგული. და თუ კი ისინი კონსტიტუციას აღიარებენ უნდა ისწავლონ ქართული.

კითხვა — მისცემთ თუ არა მოქალაქეობას იმათ, ვინც საქართველოს ფარგლებს გარეთ არის წასული.

პასუხი — თუ ისინი სამშობლოში დაბრუნდებიან, ჩვენ მივცემთ მათ მოქალაქეობას. ორმაგი მოქალაქეობა, როგორც წესი არ გვექნება.

კითხვა — ბატონო პრეზიდენტო, რით შეიძლება აიხსნას ის, რომ თქვენმა მთავრობამ შემოიღო ერთგულების ფიცი,? სხვა რესპუბლიკებსა და ქვეყნებში ასეთი რამ არ არის.

პასუხი — ზოგიერთ ქვეყანას აქვს. ჩვენთვის ეს აუცილებელია,

ვინაიდან ჩვენთან ბევრია ისეთი, ვინც მტრულად არის განწყობილი და იარაღით ხელში იბრძვის ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ეს ევიან ტერორს, ამიტომ უნდა გაირკვეს: გინდა იყო საქართველოს მოქალაქე?პატივი ეცი ჩვენს კანონებს, ჩვენს კონსტიტუციას, ხოლო თუ ის იტყვის არაო, მე გებრძვით იარაღით ხელშიო, მივიღოთ ასეთი მოქალაქედ? რას იტყვით? ეს საშიშია, არავინ არ მიიღებს ასეთს. მაგალითად, აშშ-ში მისცემენ მოქალაქეობას ერაყელ ტერორისტებს? არასოდეს.

კითხვა — მაგრამ თქვენ არ გეშინიათ, რომ ეს მასობრივად გამოიწვევს მოქალაქეობაზე უარის თქმას.

პასუხი — ალბათ, შესაძლებელია, ასეთების რიცხვი 50000 ათასამდე იყოს. იქნებ, ესეც დიდი ციფრია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრმა უარი თქვა ბრძოლის ასეთ მეთოდებზე. პოტენციურად მათი რიცხვი, ვინც არ ცნობს საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს სახელმწიფოს, დაახლოებით 50 000-მდეა.

კითხვა — შედგება თუ არა ტორეზ კულუმბეგოვის პროცესი? რა ბრალდებას უყენებთ მას?

პასუხი — მოკლედ მოგახსენებთ. დამტკიცებულია, რომ ის ჩადიოდა სისხლის სამართლის დანაშაულებს. ჰქონდა ადამიანის მკვლელობის მცდელობა, თავქვე ჰკიდებდა, აწამებდა, სცემდა ხალხს. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ საბრალდებო დასკვნა. და ამას გარდა აღვივებდა ეროვნებათშორის შულლს, აწყობდა ეთნოკონფლიქტებს.

კითხვა — როდის იყავით თქვენ უკანასკნელად მოსკოვში?

პასუხი — უკანასკნელად მოსკოვში ვიყავი როცა შევხვდი აშშ სახელმწიფო მდივანს, ბეიკერს. ეს იყო ამ წლის მარტში.

კითხვა — მანამდე დიდი იყო შუალედი?

პასუხი — არცთუ ისე. 1978 წელს მე მოსკოვში შევხვდი ჩეხოსლოვაკიის ახლანდელ პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს. ე.ი. მოსკოვში მიხდება ჩამოსვლა უცხოელ სახელმწიფო მოღვაწეებთან შესახვედრად. მანამდე შევხვდი რეიგანს. საბჭოთა ოფიციალური პირები მე არ მცნობენ.

კითხვა — თქვენ ბრძანეთ, რომ რესპუბლიკები მალე მიიღებენ დამოუკიდებლობას. როდის გახდება საქართველო სრულიად დამოუკიდებელი, როგორია თქვენი პროგნოზი?

პასუხი — 2 წელი. თქვენ აგრეთვე მკითხეთ ე.წ. სამხრეთ ოსეთსა

და ოსური პრობლემების შესახებ. უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან ბევრი დეზინფორმაცია იბეჭდება როგორც საბჭოთა, ასევე საზღვარგარეთის პრესაში. მე საგანგებოდ მოვიწვიე ინგუშეთის ეროვნული მოძრაობის ლიდერი დემოკრატიული პარტიის „ნიისჰოს" თავმჯდომარე ბატონი ისა კაძოევი—სახალხო დეპუტატი, მინდა, რომ მასაც მისცეთ შეკითხვები, რომ ინგუში ხალხის პრობლემა იყოს გაშუქებული დასავლეთის პრესაში. ეს პრობლემა ძლიერ უახლოვდება საქართველოს პრობლემასაც. ვინაიდან ჩვენ გვაქვს ანალოგიური პრობლემები. თქვენ იცით, რას უშვრებიან ჩვენს მოსახლეობას ოსი ექსტრემისტები. ზუსტად იგივეს სჩადიან ისინი ინგუშების მიმართაც, ისეთივე აგრესია, ისეთივე შევიწროვება, ტერიტორიის ხელყოფა. ბატონი კაძოევი მოგითხრობთ ამის შესახებ.

(პრესკონფერენციაზე ინგუშეთის ყველა დონის სახალხო დეპუტატთა ალმასკომის თავმჯდომარემ ბატონმა ისა კაძოევმა უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვებს).

ზვიად გამსახურდია ისღა დამრჩენია, რომ მადლობა გადაგიხადოთ აქ მობრძანებისათვის და გთხოვთ, ობიექტურად ასახეთ ის, რაც ამ პრესკონფერენციაზე მოისმინეთ და არ იყოს დამახინჯებები. ეს ჩემი თხოვნაა.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 11 ივლისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის" განცხადება

უგულებელყოფს რა დეპუტატთა უფლებებს, საქართველოს უზენაესი საბჭოს ოფიციალური ორგანო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" არ ბეჭდავს ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის" მიერ მიწოდებულ მასალებს: არ დაიბეჭდა და ამით საზოგადოებას დაუმალეს ფრაქციის შეკითხვა პატიმრების მდგომარეობის შესახებ, არ იბეჭდება განცხადებები ფრაქციის სხდომასთან დაკავშირებით, 19 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ფრაქციის განცხადებებში დაშვებულია უზუსტობა, რომელიც მთლიანად ცვლის განცხადების აზრს. ნაცვ-

ლად ტექსტში მოცემული სიტყვებისა „განიხილება რეგლამენტით დადგენილი წესის მიხედვით" უნდა იყოს „განიხილება რეგლამენტით დადგენილი წესის დარღვევით" ფრაქციის თხოვნა, გასწორებულიყო შეცდომა, რედაქციამ უპასუხოდ დატოვა, რაც გვაფიქრებინებს, რომ „შეცდომა" წინასწარ განზრახვით იყო დაშვებული.

ზემოთ მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრი" გამოთქვამს პროტესტს და იმედოვნებს, რომ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და მისი ორგანო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" შემდგომში მაინც დაიცავს დეპუტატთა უფლებებს, დაუბრკოლებლად მიაწოდონ ინფორმაცია ამომრჩევლებს.

„დემოკრატიული ცენტრის" სამდივნო.

გაზ: „საქართველო", № 14, ივლისი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

სომხეთის პრეზიდენტ ლევონ ტერპეტროსიანისა და საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია სომეხი და ქართველი ჟურნალისტებისათვის 1991 წლის 27 ივლისს

ლევონ ტერპეტროსიანი:

ესეს არის ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ვაპირებთ გავაღრმაოთ და გავაძლიეროთ საუკუნეთა მანძილზე ცნობილი კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობანი ჩვენს ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის. ოდითგანვე ცნობილია, რომ ამ თანამშრომლობას, ამ მეგობრობას დიდი ხნის ტრადიციები აქვს, რომელსაც ჩვენი ხალხები სათუთად უფრთხილდებიან. მინდა ჯანმრთელობა ვუსურვო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, ქართველ და სომეხ ხალხებს, ჩვენ გვაერთიანებს დიდი მეგობრობა, მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა და სიკეთე საქართველოში მცხოვრებ იმ სომხებს, რომლებსაც თავიანთი შრომით და გულმოდგინებით კეთილი წვლილი შეაქვთ მისი ეკონომიკის განმტკიცებაში. აქ მცხოვრები

სომხებისაქართველოს ნამდვილი მოქალაქენი არიან, და მათ პატივი უნდა სცენ მისთვის დამახასიათებელ ტრადიციებს. გამოვთქვამ რწმენას, რომ ჩვენი სახელმწიფოები და ხალხები ამრავლებენ თანამშრომლობისა და სიყვარულის ტრადიციებს, რომლებსაც ვასრულებდით ისტორიული განვითარების ხანგრძლივი გზის მთელი დროის განმავლობაში.

კითხვა: ბატონო ტერპეტროსიან, რა მიზანს ისახავს თქვენი ჩამობრძანება საქართველოში? და მეორენიშნავს თუ არა თქვენი ჩასვლა ნოვოოგარიოვოში, როგორც ამას მიხეილ გორბაჩიოვის სიტყვები მოწმობს, სომხეთის განზრახვას ხელი მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას? თქვენ ეს უარყავით, მაგრამ ვის დავუჯეროთ? რას გვეტყვით ახალ სამოკავშირეო ხელშეკრელებაზე? და კითხვა საქართველოს პრეზიდენტს: ბატონო ზვიად, როგორ განვითარდება სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობა?

ლევონ ტერპეტროსიანი:

თქვენ სამი შეკითხვა დამისვით. პირველს, ვფიქრობთ, უკვე ვუპასუხე. საქართველოში, თბილისში ჩემი ჩამოსვლის მიზანი იყო სომხეთისა და საქართველოს თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების თაობაზე ხელშეკრულების დადება. ჩვენ სოლიდური, მტკიცე საფუძველი ჩავუყარეთ ორ თავისუფალ სახელმწიფოს შორის შემდგომ ნაყოფიერ, ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას. ეს პირველი. მეორე, ნოვოოგარიოვო. მოგეხსენებათ ჩემი პრაქტიკა: არასოდეს უარი არ მითქვამს ფედერაციის საბჭოს სხდომებში მონაწილეობაზე, არასოდეს ხელოვნურად არ გამიმწვავებია ვითარება არც ცენტრთან, და არც სხვა რესპუბლიკებთან. ჩვენ ვიცით ჩვენი საქმე., მტკიცედ დავადექით დამოუკიდებლობის გზას, გამოვაცხადეთ მისი მიღწევის პროცესი და მტკიცედ ვადგავართ საკუთარ გეზს. მაგრამ ამასთანავე არ გინდა ხელოვნური კონფრონტაცია არც ერთ პარტნიორთან. ყოველთვის ვცდილობთ ნორმალური პარტნიორული ურთიერთობანი გვქონდეს როგორც ცენტრთან, ისე დანარჩენ რესპუბლიკებთან.

როგორც ცნობილია, ამას წინათ სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიმართა ექვს რესპუბლიკას, რომლებმაც განაცხადეს, რომ სურთ გამოსვლა სსრ კავშირის შემადგენლობიდან, გამოინახოს რაღაც ფორმები ცენტრთან და სხვა რესპუბლიკებთან თანამშრომლობის ტრადიციების შესანარჩუნებლად და მართლაც, გვესმის, რომ დამოუკიდებლობა ერთი მომენტის, ერთი წუთის აქტი არ არის, ეს

პროცესია. ვვარაუდობთ, რომ, რაკი სომხეთმა აირჩია დამოუკიდებლობის მიღწევის გზა საბჭოთა კანონებისა და საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში, ამიტომ საჭიროა ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდი, მაშასადამე, უნდა გამოიძებნოს გარდამავალი პერიოდის ამ ხუთი წლის გამოყენების რაღაც ფორმები. ეს ის პერიოდია, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ ურთიერთობა ცენტრთანაც და რესპუბლიკებთანაც, შევქმნათ დამოუკიდებლობის რეალური წინამძღვრები. ჩვენ არ გამოვრიცხავთ არავითარ ფორმას, ვთქვათ, მომავალ კავშირში სომხეთის ასოცირებულ წევრობასაც. ჩვენ იმასაც კი არ გამოვრიცხავთ, რომ სომხეთმა ხელი მოაწეროს სამოკავშირეო ხელშეკრულებას გარდამავალი პერიოდისათვის. ეს ვარიანტები ჯერ კიდევ იხილება, ვერ ვიტყვი, თითქოს ისინი მისაღები იყოს ცენტრისათვის, მაგრამ დიდი ყურადღებით იხილავს ასეთ ვარიანტებსაც. აი, ყველაფერი ის, რის თქმაც შემიძლია. და მესამე, როგორ შეაფასა გორბაჩოვმა ეს ვიზიტი? სხვადასხვაგვარად. წავიკითხე „იზვესტიაში", სადაც მან ზუსტად ასახა ჩვენი პოზიცია ამ შეხვედრაზე. იქ ვთქვი: სომხეთის დამოუკიდებულება მომავალი კავშირისადმი გაირკვევა მხოლოდ რეფერენდუმის შემდეგ, რომელიც 21 სექტემბერს გაიმართება.

ზვიად გამსახურდია:

სომხეთთან ურთიერთობა ყოველთვის მეგობრული იყო. სერიოზული წინააღმდეგობანი, სერიოზული კონფლიქტები ჩვენ არ გვქონია. და თუ ყოფილა გაუგებრობის ცალკეული ფაქტები, ყველაფერი ეს მოგვარდება. ამას ხელს შეუწყობს მომავალი სამთავრობათშორისო შეთანხმებაც: დაიდება ხელშეკრულებანი სხვა დარგებშიც. მათ შორის ეკონომიკის სფეროში. ასე რომ, ყველა ეს ღონისძიება კიდევ უფრო გააუმჯობესებს ჩვენს ურთიერთობას, ახალ სიმაღლეზე აიყვანს მას. ჩვენი დღევანდელი შეხვედრა კეთილი დასაწყისია, ორი სახელმწიფოს ურთიერთობის კეთილი დასაწყისი, რომლებიც დამოკიდებლობის გზას ადგანან.

კითხვა: ბატონო გამსახურდია, როგორ აფასებთ თქვენ და ბატონ ტერ-პეტროსიანის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას?

ზვიად გამსახურდია:

ეს კარგი ხელშეკრულებაა, მართალია ცოტა არ იყოს ზოგადი ხასიათისაა, მაგრამ ჯერჯერობით სხვაგვარი არ შეიძლება იყოს.

ეს, შეიძლება ითქვას, სიმბოლური ხელშეკრულებაა, ეს არის მომავალ ურთიერთობათა დასაწყისი, რომლებიც აუცილებლად გადაიქცევა დიპლომატიურ ურთიერთობებად. გვექნება დიპლომატიური წარმომადგენლობანი, რომლებიც, ალბათ, მიიღებენ საელჩოთა რანგს. ყოველივე ამას საფუძველს უქმნის ხელშეკრულება. ხელშეკრულება დადებითი მოვლენაა.

ლევონ ტერპეტროსიანი:

მე, ჩემი მხრივ, მინდა დავძინო: დღევანდელი ხელშეკრულება, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე სახელმწიფოსათვის, უკავშირდება ჩვენი ურთიერთობის ხვალინდელ დღეს. ნავარაუდევია დელეგაციის გაცვლა, საელჩოების გახსნა, ეკონომიკური, სოციალური და სხვა ურთიერთობანი. წინათაც მითქვამს, რომ ძველთაგანვე სომხეთსა და საქართველოს სახელმწიფოებს მტკიცე კავშირურთიერთობა ჰქონდათ, იგი დღესაც გრძელდება. ჩვენ არა გვაქვს სხვა გზა, გარდა ამისა.

კითხვა: ბატონო პრეზიდენტო, ჯერ კიდევ საქართველოს უმაღლეს ხელმძღვანელად თქვენს არჩევამდე, არაერთგზის აღგინიშნავთ ქართველი და სომეხი ერების საუკუნოვანი მეგობრობა. მე მინდა, რომ მოკლედ, ორიოდე სიტყვით გვითხრათ ამ კონტექსტით—რა ღონისძიებანი განხორციელდება სომეხი მოსახლეობისათვის კულტურული ავტონომიის მინიჭების დარგში და რა ღონისძიებანი განხორციელდება, რათა უზრუნველყოთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების არსებობა.

ზვიად გამსახურდია:

სომეხ ეროვნულ უმცირესობას, ისევე როგორც ყველას სხვა უმცირესობას საქართველოში, აქვს კულტურული ავტონომია, უკვე აქვს. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა კულტურული ავტონომია ღრმავდებოდეს, ვქმნით ამისათვის საკანონმდებლო ბაზისს. ასე რომ, ვერც ერთი სომეხი ვერ იტყვის, თითქოს მას რაღაც პრობლემები ჰქონდეს საქართველოში, თითქოს ვინმე უკრძალავდეს ილაპარაკოს თავის მშობლიურ ენაზე, გამოიყენოს იგი, რომ არ არის სომხური გაზეთი, რადიოგადაცემები, სკოლები, თეატრები. კულტურული საქმიანობის ყველა შესაძლო ფორმა სომხებისათვის საქართველოში ხელმისაწვდომია. აქ ცხოვრობენ მწერლები, კულტურის მოღვაწეები. მართალია, არის წვრილმანი პრობლემები, მაგრამ ისინი არ მომდინარეობს ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკიდან. ეს პრობლემებიც გად-

აიჭრება, ასე რომ, არავითარი, ვიმეორებ, არავითარი პრობლემები სომხებს არ ექნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა: ბატონო ტერპეტროსიან, როგორ უყურებთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებას თბილისში ამიერკავკასიის რესპუბლიკის სამი ხელმძღვანელის შეხვედრის შესახებ?

ლევონ ტერპეტროსიანი:

ჩვენ ამაზე ვისაუბრეთ პირისპირ შეხვედრის დროდაც, ჩვენი დელეგაციების მოლაპარაკების დროსაც, და შევთანხმდით, რომ სანამ არსებობს ახალი ინიციატივა ყარაბაღის ხელისუფლების არამრავალრიცხოვანი წარმომადგენლების მხრიდანუკვე გაიმართა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობასთან ყარაბაღის დელეგაციის პირველი შეხვედრა უნდა მივცეთ მას განვითარების შესაძლებლობა, თუ წარმატებით განვითარდა ეს მოლაპარაკება, იქნებ საჭიროც აღარ გახდეს საქართველოს შუამავლობა. ხოლო შემდეგ, თუ ეს მოლაპარაკება, ღმერთმა ნუ ქნას, ისე ჩაიშალა, ჩვენ გამოვნახავთ ახალ პოლიტიკურ ინიციატივებს. ამ კალაპოტით განვიხილავთ ამ საკითხსაც.

კითხვა: როგორ აფასებთ ვითარებას ახალქალაქის რაიონში? ზოგიერთი მონაცემით იქ შექმნილი უკანონო ფორმირებანი.

ლევონ ტერპეტროსიანი:

ეს ამბავი არ გამიგონია, ჩემამდე მოსულა ცნობები, რომ ქართველ და სომეხ მოსახლეობას შორის იყო რაღაც შუღლი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დროებითი სიძნელეებია, რომლებიც მალე უნდა გადაიჭრას. საქართველოში დიდი ხნის მცხოვრებმა სომხებმა, რომლებმაც უკვე ვთქვი, პატივი უნდა სცენ ტრადიციებსა და საქართველოს მიერ არჩეულ სახელმწიფო გზას, უნდა იცხოვრონ იმ ტრადიციებით, იმ განწყობილებით, მიმართულებითა და მიზნებით, რომლებსაც აცხადებს ქართველი ერი. სომხებს საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული არავითარი გადაუჭრელი პრობლემა არა აქვთ. მაგრამ, მათ რა თქმა უნდა, აქვთ სოციალური პრობლემები, რომლებიც უნდა გადაიჭრას. ეს სავსებით ადამიანური, საარსებო პრობლემებია, ისინი არის ახალქალაქშიც, და გადაჭრას მოითხოვს. მე მწამს, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი გადაიჭრება იმ ტრადიციებისა და კანონების შესაბამისად რომლებიც საქართველოშია მიღებული. იმ ადამიანურობით, რომელიც სჩვევია საქართველოს. მწამს, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა, საუბარი, ხელშეკრულება, იმ დიდი გზის

დასაწყისია, რომელსაც ჩვენ ვადგავართ.

კითხვა: სომხეთის პრესაში ახლახან გამოქვეყნდა სომხეთის ექვსი პოლიტიკური ორგანიზაციის განცხადება, რომლებიც მოუწოდებენ ხალხს ხმა მისცენ რეფერენდუმზე დამოუკიდებლობას. მათ არ შეურთდნენ მხოლოდ სომხეთის კომპარტია და ორგანიზაცია „დაშნაკუცინი". რამდენად ძლიერია სომხეთის მოსახლეობაზე ამ ორი ორგანიზაციის გავლენა?

ლევონ ტერპეტროსიანი:

დღეს სომხეთის საზოგადოება დემოკრატიულია. მუშავდება სხვადასხვა გზა, მიმართულება, თვალსაზრისი. არიან ადამიანები, რომლებიც სომხეთის დამოუკიდებლობის მიმართ რადიკალურად არიან განწყობილი, მაგრამ არიან ადამიანებიც, რომლებსაც სურთ იარონ იმ გზით, თავისუფლება და დამოუკიდებლობა რომ ჰქვია. ხშირად მოდის ყალბი ინფორმაცია საზღვარგარეთიდან, რაც გავლენას ახდენს საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე. დარწმუნებული ვართ, რომ 21 სექტემბერს სომეხი ხალხი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზას აირჩევს. ეს ჩვენი სურვილია!

კითხვა: ვთქვათ სომხეთმა და საქართველომ ხელი არ მოაწერეს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ხოლო ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა ხელი მოაწერა. როგორ წარმოგიდგენიათ ურთიერთობა მათ შორის?

ლევონ ტერპეტროსიანი:

ერთბაშად რაღაც რეცეპტების შემოთავაზება შეუძლებელია. მაგრამ, რადგან როგორც საქართველო, ისე სომხეთიც იღწვიან დამოუკიდებლობისათვის, არ აპირებენ გაწყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა როგორც საერთოდ კავშირთან თუ იგი შემორჩა ისე სხვა რესპუბლიკებთანაც. მე მგონი, ამ კონტექსტით შესაძლებელია ყოველგვარი ურთიერთობა და თანამშრომლობა აზერბაიჯანთან, ამას არ გამოვრიცხავ ეს—ერთი. მეორე—არ გამოვრიცხავ, რომ სომხეთსა და საქართველოში მიმდინარე პროცესები ადრე თუ გვიან დაიწყება აზერბაიჯანშიც, იმ რეჟიმის პირობებშიც რომელიც ამჟამად არსებობს. ასე რომ, ეს პროცესები შეუქცევადია, ყველა რესპუბლიკა ადრე თუ გვიან ჩაებმება დამოუკიდებლობის მიღწევის პროცესში.

რედაქციისაგან: პრესკონფერენციის დროს სომეხმა კოლეგებმა ჩვენ, ქართველი ჟურნალისტები, გაგვაფრთხილეს, რომ სომხურიდან ძალზე ცუდად ითარგმნებოდა ნიუანსები, ბატონ ტერპეტროსიანის აზრები ზოგჯერ საკმარისად ზუსტად არ გადმოიცემოდა. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ

შეიძლებოდა შემოვფარგლულიყავით მხოლოდ მოკლე ინფორმაციით პრესკონფერენციის შესახებ, მაგრამ ვითვალისწინებთ რა დიდ ინტერესს გამართული მოლაპარაკებისადმი, მაინც ვაქვეყნებთ პრესკონფერენციის ტექსტს და ვცადეთ მაქსიმალურად მიგვეახლოებინა იგი ორიგინალისათვის. რასაკვირველია, შეიძლება იყოს განსხვავება იმასთან, რაც გამოქვეყნდა სომხურ პრესაში, მაგრამ, ჩვენი მხრივ, არ შეგვეძლო ჩვენი მკითხველები დაგვეტოვებინა ასე თუ ისე ამომწურავი ინფორმაციის გარეშე.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 1 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარის ირაკლი წერეთლის განცხადება

უკანასკნელ ხანებში მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა არაერთი დეზინფორმაცია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის და მისი თავმჯდომარის ირგვლივ. ამ ინფორმაციების ერთ-ერთი აქტიური გამავრცელებელია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია, რომელიც ყველაფერს კადრულობს ხალხის შეცდომაში შესაყვანად.

იმისათვის, რომ დაინტერესებულმა საზოგადოებამ მიიღოს ობიექტური და უტყუარი ინფორმაცია ჩვენი პარტიის საქმიანობის შესახებ, ტელედებატებისა და პირდაპირი ეთერის მოყვარულ, საბჭოთა რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის ცნობილ ვარსკვლავს გიორგი ჭანტურიას ვიწვევ ტელედებატებში ამა წლის 20 აგვისტოდან 24 აგვისტომდე. ერთადერთი პირობით—პირდაპირ ეთერში დაგვეთმოს სულ მცირე 45 წუთი მაინც.

ირაკლი წერეთელი
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე.
5 აგვისტო, 1991 წლისა ქრისტეშობიდან.

გაზ: „თბილისი", 5 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა სამაჩაბლოს მოსახლეობისადმი

თანამემამულენო!

საქართველოს ყველა ღრმა და მწარე ჭრილობა შიდა ქართლშია გახსნილი. მართალია აღსდგა ისტორიული კანონზომიერება, გავაუქმეთ ძალადობით შეკოწიწებული ოლქი, ცხინვალის რაიონი გორს დავუბრუნეთ, ყორნისის რაიონი—ქარელს, მაგრამ აღნიშნულ რეგიონში პრობლემები ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, რომელიც სასწრაფოდ მოითხოვს ჩვენს მობილიზებას და არა მხოლოდ მორალურ თანადგომას.

ჩვენი დაულხინებელი ყოფა სტიქიამ კიდევ უფრო დაამძიმა. ოცდაცხრა აპრილის მიწისძვრამ, იმერეთზე და რაჭაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შიდა ქართლში ასეულობით ბინა დაანგრია და დააზიანა, ხოლო თხუთმეტი ივნისის ნგრევამ—ათასობით ჭერი დააქცია.

არც ოთხ ივლისს დაგვინდო სტიქიამ, კიდევ ერთხელ მოგვივლინა განსაცდელი, წინა მიწისძვრებს გადარჩენილი საბოლოოდ გაანადგურა.

რაც ყველაზე სავალალოა დაიღუპნენ ადამიანები.

სვერი, ქემერტი, ძარწემი, კეხვი, ქურთა, ხეითი, ქვემო აჩაბეთი, ჭარები, ქსუისი, დისევი, აწრისხევი, ბელოთი, საცხენეთი, ჯოჯიანთუბანი, ვანათი... აი, არასრული სია იმ სოფლებისა, რომელთა ნაწილი მიწასთან არის გასწორებული...

მე ციფრსაც მოგახსენებთ, მარტო გორსა და გორის რაიონში, რა თქმა უნდა, იგულისხმება შემოერთებული ცხინვალის რაიონიც, 4600-ზე მეტი სახლი თავიდანაა ასაშენებელი და შესაკეთებელი.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხე—კუნჭული შველას მოითხოვს. მეგობრებო, არ შეიძლება საჩხერელი და კეხველი კაცის სატკივარი სხვადასხვაგვარად გვაწუხებდეს, მაგრამ შიდა ქართლის გასაჭირი მაინც სხვაა და ამის მიზეზი ყველამ კარგად ვიცით.

აქაურობას ჩვენ ვაცხადებთ აღმშენებლობითი პროგრამის ნომერ პირველ ობიექტად. მართალია, ყურადღებას არ ვაკლებთ სტიქიით

დაზარალებულ სოფლებს, განსაკუთრებით სამაჩაბლოს ღია ცის ქვეშ დარჩენილ მოსახლეობას, პროგრამის განსახორციელებლად ვეებერთელა სამშენებლო კომპლექსია დასაქმებული, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა რესპუბლიკის ქალაქებმა და რაიონებმა, ცალკეულმა ორგანიზაციებმა გამონახონ საშუალება და ამოუდგნენ მშენებლებს მხარში.

მეგობრებო, ქუდზე კაცის დრო დაგვიდგა, დაზამთრებამდე ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ არც ერთი ოჯახი ღია ცის ქვეშ არ დაგვრჩეს, ახლა გულგრილობა, მხოლოდ სიტყვით ქადილი და გულხელდაკრეფა ღალატის ტოლფასია.

ჩვენ პირნათელი უნდა ვიყოთ გაუთავებელი ომით, წყალდიდობით, მიწისძვრებით შეწუხებული ქართველობის წინაშე, ვინც ამდენი თავსდამტყდარი უბედურების მიუხედავად, მაინც არ მიატოვა მამაპაპური კერა.

ისინი გმირები არიან, მეგობრებო, მეგობრობას კი დანახვა და დაფასება უნდა, რასაც, ალბათ, ჩვენი საერთო ძალისხმევით გავაკეთებთ კიდეც.

არის კიდევ ერთი საკითხიც, რომელიც თანდათან მტკივნეულ პრობლემად იქცა: გორში, თბილისში სხვა ქალაქებსა და რაიონებში თავმოყრილია ლტოლვილების დიდი ჯგუფები.

რა თქმა უნდა ისინი თავის ნებით არ აყრილან, დაარბიეს, სახლები დაუწვეს, შეურაცხყვეს, გამოაქციეს... მათთვის არავის არაფერი დაუყვედრებია. მთელი საქართველო მათი სამშობლოა, მაგრამ მაინც მძიმეა დიდხანს სხვის კარზე მყოფი ადამიანის ხვედრი.. მე არ მინდა ამ ხვედრს შეეჩვიოს ქართველი კაცი, თორემ ჩვენი შრომა წყალში ჩაიყრება.

ამიტომ ვფიქრობ, ლტოლვილებად მხოლოდ ქალაქ ცხინვალისა და სოფელ გუჯაბაურის მოსახლეობა უნდა მივიჩნიოთ, ისიც მხოლოდ ქალები და ბავშვები, დანარჩენები კი დროა დაუბრუნდნენ თავ–თავის სოფლებს.

თანამემამულენო, სამაჩაბლოს ქართული სოფლებიდან ლტოლვილებო, მიხედეთ თქვენ ფუძეს, თორემ, როგორც არაერთხელ მომხდარა, ისევ მოვა გადამთიელი და ჩვენ კუთვნილს დაეპატრონება.

ღმერთმა ხომ იცის, აღარაფერი დაგვრჩა დასაკარგავ-გასაცემი, ამიტომ, სამაჩაბლოში დაბრუნებული თითოეული ოჯახი საქართ-

ველოსათვის მტკიცე ციხესიმაგრის ტოლფასია.

ცხინვალელო მამაკაცებო: დაბეჯითებით გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ ქართული სოფლების აღდგენა–აღორძინებაში, შამაპაპეული მიწაწყლის დაცვაში. ხოლო ის, ვინც ამას არ გააკეთებს, მოღალატედ შეირაცხება.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ბედი დღეს შიდა ქართლში წყდება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 6 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 20 ივლისის ბრძანებულების მოქმედების შეჩერების შესახებ

1991 წლის 20 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ"

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შექმნის ეს აქტი აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, მოქმედ კანონმდებლობასა და თვით აფხაზეთის ასსრ კანონს „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ"

ცენტრალური საარჩევნო კომისიის საერთო რაოდენობის ორ მესამედს შეადგენენ ბლოკ „სოიუზის" წარმომადგენლები. კომისიის ის ცამეტი წევრი სოხუმელია, მაშინ როცა მის შემადგენლობაში ყოვლად უსაფუძვლოდ არ შეუყვანიათ გულრიფშის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონების აღმასკომების მიერ წარდგენილი კანდიდატურები. ამის გამო დაირღვა აფხაზეთის ასსრ საარჩევნო კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად ცენტრალური საარცევნო

კომისია უნდა ჩამოყალიბდეს რაიონული და საქალაქო საბჭოების/ალმასკომების წინადადებათა გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა შედეგად აშკარად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აღმოჩნდა აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, მისი საარჩევნო უფლებები არაქართველებთან შედარებით არაფრით არ არის დაცული, ქართველ ამომრჩეველთა მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ აფხაზეთის კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი. ყოველივე ამის გამო დარღვეულია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 34ე მუხლის დებულება, რომელიც ადგენს საქართველოს რესპუბლიკაში სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა თანასწორი უფლებებით უზრუნველყოფის პრინციპს.

აფხაზეთის ასსრ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების ჩატარება არადემოკრატიულად, კანონმდებლობის უხეში დარღვევით შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამთავითვე განაპირობებს თვით არჩევნების კანონსაწინააღმდეგო ხასიათს.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121(4)ე მუხლის მე13 პუნქტის საფუძველზე ვადგენ:

შეჩერებულ იქნას „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 20 ივლისის ბრძანებულება, რადგან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 5 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 6 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლახან გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა ანონიმ ავტორთა „დეკლარაცია“, რომელიც ამაყად გვამცნობს, რომ პარტიებით დახუნძლულ საქართველოში შეიქმნა კიდევ ერთი ჯგუფი— “ჰელსინკი91“

„დეკლარაციის“ შემოქმედთ მეტად უცნაური გულმავიწყობა დასჩემებიათ: დავიწყებიათ, რომ 1976 წლიდან ჩვენში უკვე მოქმედებს ბატონ ზვიად გამსახურდიას და აწ განსვენებულ მერაბ კოსტავას მიერ დაარსებული ჰელსინკის ჯგუფი (იგივე ჰელსინკის კავშირი). ამ ფაქტისათვის ანგარიშის გაუწევრობა თავისთავად მეტყველებს ანონიმ შემოქმედთა „კეთილსინდისიერებაზე“, მათს, უკაცრავად პასუხია და „დეკლარაციაში“ არ მოიძებნება არც ერთი პუნქტი, რასაც ვერ ვნახავდით საქართველოს ჰელსინკის კავშირის პროგრამაში. მაშ, რას მივაწეროთ ახლად გამომცხვარი „ჯგუფის“ ინიციატორთა ახირება? იქნებ ყოველივე მხოლოდ ფანტაზიის სიმწირის ბრალია? წარმოიდგინეთ, პატივცემულო მკითხველო, როგორი ვითარება შეიქმნება საქართველოში ყოველწლიურად რომ გაგრძელდეს მსგავსი პრაქტიკა? სავსებით დასაშვებია 1992 წელს ჩამოყალიბდეს „ჰელსინკი92“, 1993 წელს კი„ჰელსინკი93“ და ასე შემდეგ გაუთავებლად...

ნება მიბოძეთ, ჰელსინკის სულისკვეთებით ასე დაგვიანებულად „დამუხტულ“ ანონიმ ავტორებს შეგეკითხოთ: კი მაგრამ, მაშინ რატომ არაფერს ამბობდით პოლიტპატიმართა შესახებ, ქართველი დისიდენტები საპყრობილეებში რომ იტანჯებოდნენ, ან ხმას რად არ იმაღლებდით იმ დანაშაულებრივ დევნისა და არაადამიანური შევიწროების გამო, რასაც ისინი განიცდიდნენ? სად იყავით, მაშინ ბატონო ანონიმურო „ჰელსინკელებო“, დემოკრატიული არჩევნების შესაფერისი კანონებისათვის რომ იბრძოდა ქართველი ხალხი? თურმე, ნუ იტყვით და ამჟამად თქვენი მიზანი ყოფილა „მიღწევა იმისა, რომ საქართველოში არ იყვნენ პოლიტპატიმრები“. იქნებ, აქვე დაგემტკიცებინათ, რომ ჩვენში ნამდვილად არსებობენ „პოლიტპატიმრები“... აი აქ, უკვე კარგად გამოჩნდა, რომ ღია კარის მტვრევაზე დაფუძნებულმა თქვენმა „ჯგუფმა“ ვეღარ შესძლო ნამდვილ ზრახვათა დაფარვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი ერთადერთი მიზანია ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების დისკრედიტაცია და არა ადამიანის უფლებათა დაცვა. ხოლო ამ მიზნის ინსპირატორები, კარგად ვიცით, ვინც ბრძანდებიან. იქნებ ისიც დაგეზუსტებინათ, რას გულისხმობთ ადამიანის უფლებათა დაცვაში „კანონიერი ქურდებისა" და „მხედრიონის" დაცვას ხომ არა?

მიუხედავად იმისა, რომ აცხადებთ, ჩვენი ჯგუფი „არაპოლიტიკური ორგანიზაციაა", პოლიტიკანობის ბაცილა ერთობ ბლომად შეგყრიათ. ასე რომ არ იყოს და თქვენ მართლაც კეთილშობილი მიზნები გამოძრავებდეთ, მხარში ამოუდგებოდით ჩვენი ეროვნული მოძრაობის ავანგარდს — საქართველოს ჰელსინკის კავშირს. მაგრამ, როგორც ვხედავთ, საპირისპირო გზას დადგომიხართ, რამეთუ მარტოოდენ უსუსური ამბიციების ამარა შედგომიხართ „ადამიანის უფლებათა დაცვის" საშურ საქმეს. ნათქვამია, „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო" — რაც აქამდე არ დაგიცავთ, რისთვისაც როგორც იტყვიან, თითი თითზე არ დაგიკარებიათ, ვერც ახლა დაიცავთ. ამგვარი ტვირთის ზიდვა ერთობ დაგვიანებით გადაგიწყვეტიათ. „დაგვიანება, მაგრამ ასეთი? დაგვიანება, მაგრამ ამდენ ხნით?"— იტყოდა გალაკტიონი. თქვენი დაგვიანება კი, მართლაც კანონზომიერია. იქნებ კეთილი ინებოთ და სხვა, თქვენთვის უფრო შესაფერისი სახელით მოინათლოთ.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 6 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * *

დასკვნა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 26 მაისს გამართული არჩევნების პროცესის საერთაშორისო დამკვირვებლებისა

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერი ოფიციალური დამკვირვებლები საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 26 მაისს გამართული არჩევნების პროცესისა, მოწვეულნი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ, ვაცხადებთ შემდეგს:

— არჩევნებმა გამოხატეს ამომრჩეველთა ნება — სურვილის თავ-

ისუფალი გამოვლინება. არჩევნები სავსებით შეესაბამებოდა დემოკრატიულ პროცესთა საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს.

ჩვენი დაკვირვებით ამომრჩეველზე ზემოქმედების შემთხვევები და საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის ცდები არ ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დამკვირვებელმა შენიშნა საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული უმნიშვნელო გადახრები, იყო უმნიშვნელო დარღვევებიც, თუმცა ისინი გავლენას ვერ მოახდენენ საარჩევნო პროცესზე, კენჭისყრისა ან არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების გამოცდილება დიდი არ არის და ვაცხადებთ, რომ არჩევნები მაღალ დონეზე ჩატარდა.

თუ საქართველოს მთავრობა გადაწყვეტს მომავალი არჩევნებისათვის უცხოელ დამკვირვებელთა მოწვევას, სასურველია გაითვალისწინოს შემდეგი რჩევა:

— მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, როცა ერთ საარჩევნო უბანში რამდენიმე დამკვირვებელი იგზავნება, უფრო თანაბარზომიერი განაწილება დაკვირვების გეოგრაფიის გაფართოების საშუალებას მოგვცემდა:

— საარჩევნო კომისიებმა თავიანთი ინიციატივით უნდა გააცნონ დამკვირვებლებს არჩევნების მონაწილე ყველა კანდიდატის სია.

თბილისი 1991 წლის 27 მაისი.

საერთაშორისო დამკვირვებელთა ჯგუფი.

სულ 27 ხელმოწერაა.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ერთი განცხადების გამო

რამდენიმე ხნის წინ ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა რედაქციაში მოიტანეს განცხადება, რომელიც ეხებოდა ძმები გუდავების მოღვაწეობას და ეხმაურებოდა ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ საქინფორმის არხით მიღებულ გიორგი ბურჯანაძის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილს „ცივი ომი საქართველოს წინააღმდეგ“. ამის შესახებ ჩვენ ვაუწყეთ მკითხველს.

იგივე განცხადება შემოვიდა რედაქციაში ამასწინათ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ზურაბ გაგნიძის წერილის – „სიმართლე თავისას მოითხოვს“ – პასუხად.

განცხადებაში პროტესტია გამოთქმული ძმებ გუდავებზე „თავდასხმების“ გამო და ხაზი აქვს გასმული მათ მოღვაწეობას, კერძოდ ნათქვამია:

– ის, რაც ვერ შეძლო მთელმა ქართველმა ემიგრაციამ ათწლეულების განმავლობაში, ძმებმა გუდავებმა შეძლეს, ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების სენატის 110-ე რეზოლუცია, სადაც პირველად დაისვა ესოდენ მაღალ დონეზე საქართველოს საკითხი.

– 1988 წლის მარტში საქართველოში მიმდინარეობდა პერმანენტული შიმშილობა, რომელსაც მხარი დაუჭირეს ძმებმა გუდავებმა და ამ აქციის მხარდამჭერი რამდენიმე დემონსტრაცია გამართეს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

– წლების განმავლობაში თენგიზ და ედუარდ გუდავები წარმოადგენდნენ, ფაქტობრივად, იმ ერთადერთ საინფორმაციო ხიდს, რომელიც დასავლეთისა და საქართველოს ეროვნულ მოძრაობებს შორის არსებობდა.

– ძმები გუდავები მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში, სადაც ისინი გამოვიდნენ მოხსენებით საქართველოს, მისი ეროვნული მოძრაობის, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესახებ. ეს იყო ქართველების პირველი გამოსვლა ამერიკის კონგრესში.

– თენგიზ გუდავა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა. ამ შეხვედრაზე საუბარი იყო ამერიკის ადმინისტრაციის მხარდაჭერაზე საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი.

– 9 აპრილის ტრაგედიიდან რამდენიმე დღის შემდეგ ედუარდ გუდავას ხელმძღვანელობით გაიმართა დიდი საპროტესტო აქცია ნიუ–ორკში, რასაც შედეგად მოჰყვა საბჭოთა კონსულთან შეხვედრა და მისთვის ედუარდ გუდავას მიერ წერილობითი პროტესტის გადაცემა.

– „დემოკრატიის ცენტრმა“, რომლის აღმასრულებელი დირექ-

ტორიცაა ედუარდ გუდავა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიწვია საქართველოს დელეგაცია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელია ერწმუნო ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტებს, უფრო სწორედ შეუძლებელია ერწმუნო, თუ გავითვალისწინებთ ძმები გუდავების ბოლოდროინდელ „მოღვაწეობას". საქართველოს დღევანდელ ლიდერისადმი ბოლმით დაბრმავებულები (აღსანიშნავია, თუ რაიმე ფარული გაუკეთებიათ ძმებ გუდავებს, სწორედ იმ ადამიანების მფარველობითა და მხარდაჭერით, რომელთაც ისინი დღეს ებრძვიან). არაფერს თაკილობენ, რათა ყოველ ნაბიჯზე ჩირქი მოსცხონ საქართველოს და მის დღევანდელ მთავრობას. ამის კიდევ ერთი დასტურია თუნდაც ეს წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 7 ავგისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

მრავალი ათეული წლის განმავლობაში დამონებული ქართველი თუ საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ხალხებისათვის, მათთვის, ვისაც შენარჩუნებული ჰქონდა საღი აზროვნების უნარი და სამართლიანობის გრძნობა, იყო ერთი დიდი იმედი: არსებობს დასავლური, თავისუფალი სამყარო, რომლის ბასტიონია ამერიკის შეერთებული შტატები, რომ იგი იბრძვის და იბრძოლებს სამართლიანობის, თავისუფლებისა და ნათელი იდეალების დასამკვიდრებლად მთელს მსოფლიოში. ცხადია, იყო ცალკეული მოვლენები, რაც გარკვეულ ეჭვებს ბადებდა: მიუნჰენი, იალტა, საბჭოთა ტყვეების დეპორტაცია, ე.ი. მათი გადაბარგება გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებიდან საბჭოეთში და სხვა. მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში იყო და უსიამოვნო გამონაკლისებად აღიქმებოდა; შესაბამისად მწარე გაკვეთილებად, რომელთაგან უკვე გაკეთებული იყო საბოლოო დასკვნები.

სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებში ეჭვებს კვლავ მიეცათ საფუძ-

ველი, დასავლეთი, და კერძოდ, აშშ მმართველი წრეების პოზიციაში, მათ განცხადებებსა და გამონათქვამებში ხშირად გამოსჭვიოდა აზრი, დასავლეთის ქვეყნების ინტერესებშია საბჭოთა კავშირის, ანუ რუსეთის სახელმწიფოდ შენარჩუნება. ჩვენ, რამდენადაც შეგვეძლო, ვცდილობდით განგვემარტა, რომ ეს დამღუპველი იქნება არა მარტო საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნებისათვის, არამედ უაღრესად სახიფათოც მთელი მსოფლიოსათვის, ვინაიდან საბჭოთა კავშირი სრულიადაც არ არის კავშირი, ანუ ნებაყოფლობითი გაერთიანება, არამედ წარმოადგენს იმპერიას, ე.ი. ვერტიკალურ სტრუქტურაზე აგებულ, ძალადობაზე დამყარებულ გაერთიანებას, და რომ ყველა სახელმწიფო მასში ძალით არის ინკორპორირებული და თუ ეს ძალადობა გაგრძელდა, მას არ შეიძლება არ მოჰყვეს აფეთქება, შესაძლოა, კატასტროფული ხასიათის. ჩვენ ხაზს ვუსვამდით, რომ იმ პროცესში, რომელსაც „პერესტროიკა" დაერქვა, მოხდა ბევრი პოზიტიური: აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახსნა სოციალისტური მონობისაგან, გერმანიის გაერთიანება და სხვა. მაგრამ მთავარი საბჭოთა კავშირის იმპერიული, ტოტალიტარული სტრუქტურის სრული დაშლა და, მით უმეტეს, ახალ დემოკრატიულ, სამართლებრივ საწყისებზე მისი გარდაქმნა არ მომხდარა. ეს წარმოშობს უმძაფრეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამართლებრივ კრიზისს და მისი გადაწყვეტა შეიძლება ერთადერთი გზით დაწყებული პროცესების ბოლომდე მიყვანით. იმპერიის მიერ დაპყრობილ ყველა სახელმწიფოს უნდა მიეცეს სრული თავისუფლება არჩევანის გაკეთებაში. ვერ ვიტყვით, რომ ეს სტრატეგია დასავლეთში ყველასათვის გაუგებარი და მიუღებელი იყო. იგივე აშშში ბევრი წარმომადგენელი კონგრესიდან, ადმინისტრაციიდან იზიარებს ამ აზრს. მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონი პრეზიდენტი და შესაბამისად მისი უახლოესი პირები მართვის უმაღლესი ეშელონიდან საწინააღმდეგო პოზიციაზე აღმოჩნდნენ. ცხადია, ჩვენ ეს პოზიცია დიდად ვერ გაგვახარებდა და საკმაო ეჭვებსაც ბადებდა მათი ოფიციალური ლოზუნგების: „ბრძოლა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის" გულწრფელობაში. მაგრამ ამასთან მაინც რჩებოდა აზრი—რას იზამ, პოლიტიკა პოლიტიკაა, არის ინტერესთა დაპირისპირება და ყოველთვის ისე ვერ მოიქცევი, როგორც გსურს. მაგრამ ბატონი ბუში ვიზიტმა მოსკოვსა და კიევში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა—ვაშინგტონის, ჯეფერსონის, ლინკოლნისა და სხვათა მემკვიდრე—ჩამოდის იმპერიაში

და აგიტაციას უწევს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, მოუწოდებს დამონებულ ქვეყნებს, ნებით გაჰყონ თავი იმპერიის ყულფში, ხელი მოაწერონ მარადიულ მონობაზე, უარი თქვან თავიანთ წმიდა-წმიდა უფლებაზე—თავისუფლებაზე. ვიმეორებთ, ჩვენ არც ისე გულუბრყვილონი ვართ, და ვიცით, რომ პოლიტიკისათვის ხშირად უცხოა მორალი, მაგრამ ხომ ყველაფერს აქვს საზღვარი. პრეზიდენტი მიესალმა იმპერიულ ცენტრს, რომელსაც რეალურად არავითარი პროგრესული რეფორმა არ გაუტარებია, რომელიც დროდადრო სისხლში ახშობს თავისუფლებისმოყვარე ხალხების გამოსვლებს და დესპოტური უწოდა იმ რესპუბლიკებს, რომლებიც უმძიმესი მემკვიდრეობის და გარემოცვის მიუხედავად იბრძვიან დემოკრატიისა და სამართლიანობის დამკვიდრებისათვის. რა მორალზე შეიძლება ლაპარაკი, თუ საქართველოს, მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს, აწ დაპყრობილ სახელმწიფოს, მის ერს, მის უძველეს ორიგინალურ კულტურას უარს ეუბნები დამოუკიდებლობაზე, თავისუფალ განვითარებაზე; ერს, რომელიც ათასწლეულობის განმავლობაში ებრძოდა დამპყრობლებს; რომელმაც მე4 საუკუნეში მიიღო ქრისტიანობა და მიუხედავად უდიდესი შეჭირვებისა, არ დაუთმია იგი; რომელსაც 1989 წლის 9 აპრილს სასანგრო ბარებითა და მომწამლავი გაზებით დაუხოცეს თავისი საუკეთესო შვილები, ძირითადად, გოგონები; რომელმაც პირველად საბჭოთა კავშირში უმძიმეს ბრძოლაში მოიპოვა მრავალპარტიული არჩევნების უფლება და ამ ბრძოლაში დაამარცხა კომუნისტური პარტია; რომელმაც აირჩია პარლამენტი, პრეზიდენტი და საყოველთაო რეფერენდუმში ხმა მისცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას; პარლამენტი, რომელიც იღებს დემოკრატიულ კანონებს მოქალაქეობის, უცხოური ინვესტიციის დაცვის, კერძო მეწარმეობის დაკანონების, პრივატიზაციის და სხვათა შესახებ, რომელიც შეუერთდა პაქტს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

ასეთი უცერემონიო ჩარევა მძიმე დარტყმაა იმათთვის, ვისაც სჯეროდა, რომ ამერიკა თავისუფლებისათვის იბრძოდა. მაგრამ ჩვენ მაინც არ ვიტეხთ გულს, რადგან ვიცით, რომ არსებობს უამრავი უბრალო ამერიკელი თუ ბიზნესმენი, პოლიტიკოსი თუ სამხედრო, თეთრკანიანი თუ შავკანიანი, რომელთათვისაც სიტყვა თავისუფლება ლიტონი სიტყვა არ არის.

განა არ აცხადებდა ბატონი ბუში, რომ მისი ქვეყანა იბრძვის პატ-

არა ქუვეითის განთავისუფლებისათვის მაღალი პრინციპების დასაცავად? საინტერესოა, რატომ ამ შემთხვევაში არ დაინახა მან სეპარატიზმი? ანდა განა ქუვეითი ან საუდის არაბეთი უფრო დემოკრატიული ქვეყნებია, ვიდრე საქართველო, რომელსაც ხალხის მიერ არჩეული მთავრობა მართავს? რატომ არ მოუწოდებდა ბატონი ბუში ქუვეითს, მოეწერა ხელი ერაყთან სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე? ბოლოს-დაბოლოს, ხომ ბევრად მეტი საერთო აქვთ ერაყელებსა და ქუვეითელებს (ერთი ერი, მსაგვსი კულტურა და ა.შ.) ვიდრე ლიტველებს, ქართველებს, რუსებსა და ყირგიზებს? და თუ სპარსეთის ყურის ომში ამერიკის სამართლიან პოზიციას მხარს უჭერდა კაცობრიობის მთელი პროგრესული ნაწილი, მათ შორის საქართველოც, საბჭოთა კავშირის შენარჩუნების პროპაგანდას მოჰყვა ის, რომ უკრაინის ოპოზიციის წარმომადგენლებმა არ მოისურვეს მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს პრეზიდენტთან შეხვედრა!

ბატონი ბუში საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილი ერების ბრძოლას თავისუფლებისა და თვითგამორკვევისათვის „ნაციონალიზმის სახიფათო გამოვლინებებს" უწოდებს. ეს ეწინააღმდეგება ჰელსინკის ხელშეკრულების დასკვნითი აქტის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ყოველს ერს გარანტირებული აქვს საკუთარი ბედის განმგებლობის ე.ი. თვითგამორკვევის უფლება. ეს იგივეა, ამერიკელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ მე-18 საუკუნეში ვუწოდოთ „სახიფათო ნაციონალიზმი" და „სეპარატიზმი". საკითხავია, მაშ რატომ ზეიმობს დამოუკიდებლობას ყოველწლიურად ამერიკელი ხალხი, თუ ეს ყოველივე ზედმეტია ერებისათვის? ან რატომ თანაუგრძნობდა დღემდე ამერიკის უკლებლივ ყველა პრეზიდენტი დამონებულ ხალხთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის?

ჩვენ ვისურვებდით, რომ ამერიკის პრეზიდენტი და მთავრობა მხარს უჭერდნენ არა კომუნიზმს, ტირანიასა და მოჩვენებით რეფორმებს, არამედ ჭეშმარიტ დემოკრატიას, ერთა თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დარჩება ამერიკა თავისი ისტორიული მისიის ერთგული.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 9 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

გიორგი ჭანტურია–თანახმა ვარ ტელედებატებზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ამა წლის 5 აგვისტოს გაზეთ „თბილისში“ დაიბეჭდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარის სახელზე განცხადება, სადაც, ფრიად შეურაცხმყოფელი ფორმით მეპატიჟებიან ტელედებატებზე.

სამწუხაროდ, საქართველოში არ გახლდით და მხოლოდ ახლა მომეცა პასუხის გაცემის შესაძლებლობა: ადრეც მითქვამს და ამჯერადაც გავიმეორებ, რომ ტელედებატები პოლიტიკური პაექრობის საუკეთესო საშუალებად მიმაჩნია და, რა თქმა უნდა, თანახმა ვარ ირაკლი წერეთელთან ტელედებატებზე გასვლის (პირდაპირი ეთერით) მისთვის სასურველ ნებისმიერ დროს. ამავე დროს, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარეს შეუძლია დამხმარე ძალას ხელისუფლების ნებისმიერი მაღალი რანგის წარმომადგენელი მოიწვიოს ჩემს წინააღმდეგ ტელედებატებში მონაწილეობის მისაღებად, რომ ყველაფერს საბოლოოდ მოეფინოს ნათელი და თან... წონასწორობა რომ დაცული იქნეს.

სხვა თუ არაფერი, ეს ტელედებატები იმას მაინც გაარკვევს, თუ ვინ ვისი ან რისი ვარსკვლავია!...

გიორგი ჭანტურია,
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე.
12 აგვისტო, 1991. თბილისი.
გაზ: „თბილისი“, 13 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

რაც კადრს მიღმა დარჩა

ამა წლის 9 ივლისს მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საბჭოს შენობაში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის წევრის, ბატონ გიორგი ჭანტურიას პრესკონფერენცია საბჭოთა და

უცხოელი ჟურნალისტებისათვის. პრესკონფერენციის ვიდეოჩანაწერი თითქმის სრული მოცულობით გადაიცა საქართველოს ტელევიზიით, ამიტომ ჩვენს საინფორმაციო წერილში ყურადღებას გავამახვილებთ ძირითადად კადრს მიღმა დარჩენილ დეტალებზე და აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით იმ გარემოებებზე, რომელსაც შეიძლება არასწორი, არაობიექტური ინტერპრეტაცია მიეცეს ღია თუ ფარული სახელმწიფო ინსტიტუტების ინტენსიური ძალისხმევის შედეგად.

უწინარეს ყოვლის უნდა გავაბათილოთ ტელეგადაცემის ავტორთა დეზინფორმაცია პრესკონფერენციის მონაწილე ჟურნალისტთა შემადგენლობასთან დაკავშირებით. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ინგლისელი ჟურნალისტები უილიამ მილინშიპი „ობსერვერიიდან" და ბრუს კლარკი "თაიმსიდან", ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორი მოსკოვში მიხაილ ლევნერი, საფრანგეთის საელჩოს პირველი მდივანი თომას ვოკიე, „ფრანს-პრესის" კორესპონდენტი, მოსკოვში ლიტვის მუდმივი წარმომადგენლობის პასუხისმგებელი მუშაკი ოსვალდას მარკიავიჩუსი, ლატვიის გაზეთ „დეანას" კორესპონდენტი, ქართველთა სათვისტომოს წარმომადგენლები, მოსკოვის თითქმის ყველა არაფორმალური და ზოგიერთი გაზეთისა და საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტი და სხვა. პრესკონფერენციის მსვლელობა სრულად აღბეჭდეს ვიდეოფირზე საქართველოს ტელევიზიის, რუსეთის ტელევიზიის პროგრამა „ვესტის" და საქართველოს ეროვნული კონგრესის საინფორმაციო სამსახურის გადამღებმა ჯგუფებმა.

პრესკონფერენციის მოწყობის აუცილებლობა განაპირობა დასავლეთის პრესის ფურცლებზე საქართველოსადმი მიძღვნილმა მეტად არასასურველი შინაარსის მქონე მასალებმა, რომელთა არსებობა და სიმრავლე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსაც არ დაუფარავს თავის სატელევიზიო და საგაზეთო ინტერვიუებში. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ „უოლ სთრით ჯორნალი", „ბალთიმორ სანი", „ნიუორკ თაიმსი", „ვაშინგტონ პოსტი" და სხვა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრის, ამ პარტიის მუდმივი და სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ბატონ გიორგი ზუმბაძის მეცადინეობითა და ჩვენი მოსკოველი მეგობრების, ორგანიზაცია „მემორიალის" სამართალდამცავი კომისიის წევრთა დახმარებით, რისთვისაც მათ დიდ მადლობას

ვუთვლით, ივნისის თვის დასაწყისიდან შევუდექით ზემოხსენებული პრესკონფერენციის გამართვისათვის ზრუნვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ღონისძიება გათვლილი იყო, როგორც ერთი ხაბიჯი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საერთოდ ქართველი ერის საერთაშორისო ავტორიტეტის გადარჩენისა და ამაღლების გზაზე, რომელიც გასული წლის მიწურულიდან მოყოლებული გრაფიკულად დაღმავალი ტრაექტორიის მრუდის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ და მიმდინარე პერიოდისთვის საკმაოდ კნინი მახასიათებლებით წარმოჩნდება (ამის არაღიარება საკუთარი თავის მოტყუება იქნება მხოლოდ).

აქვე ვიტყვით, რომ მიზანი მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს. ამგვარი განცხადების უფლებას გვაძლევს პრესკონფერენციის დამთავრებისთანავე, ასევე შემდგომ დღეებში დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლ ერთა გულშემატკივარი ოფიციალური პირის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შეფასებები, იმ იმედით გამსჭვალული, რომ საქართველოში არსებობს რეალური ძალა, რომელიც არ ეთანხმება და მკვეთრად უპირისპირდება ჩვენი ქვეყნის ოფიციალური ხელისუფლების პოლიტიკას.

ქართული ოფიციალური პრესის ფურცლებზე არცთუ იშვიათად შევხვდებით შემდეგ შეგონებას: „ნურავის იმედი ნუ გვექნება, ჩვენს თავს ჩვენვე მივხედოთ". არ არის ძნელი შესამჩნევი ის „კანონზომიერება" რომ ეს, თითქოს ყოველთვის ხაზგასმული სიამაყით გაცხადებული ფრაზები არსებული ხელისუფლების სამართლიანი კრიტიკისაგან დაცვის დროს გამოიყენება ხოლმე. რა გაეწყობა, როცა კონტრარგუმენტები არ მოგეპოვება, დემაგოგია უნდა მოიშველიო.

პოლიტიკაში მეტნაკლებად გაცნობიერებულ მკითხველს არ სჭირდება მრავალსაფეხურიანი ახსნაგანმარტება იმ ჭეშმარიტების აღიარებისათვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზა, ჩვენი სურვილისაგან დამოუკიდებლად, მოსკოვსა და ვაშინგტონზე გაივლის.

პოლიტიკური ურთიერთობები, უწინარეს ყოვლისა, ინფორმაციის გაცვლას ეყრდნობა. კავშირების სიმტკიცე – ნდობის ხარისხი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ინფორმაციის მიწოდების ხარისხთან, რაც გაცემული ინფორმაციის სისრულეს, რაც შეულამაზებელ და შეუკვეცავ ინფორმაციას გულისხმობს.

როცა ტელეეკრანზე გაატარებ სუბტიტრს „პრესკონფერენციას „არც ერთი უცხოელი კორესპონდენტი არ ესწრებოდა“, ნუთარ ელი, ინგლისის, აშშს, საფრანგეთის ოფიციალური წრეებისა ... ველი, ლატვიელი და რუსი დემოკრატების კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. დროა, ერთხელ და სამუდამოდ გავაცნობიეროთ, რომ ცრუპენტელობას არსად დაფასება არა აქვს, ბრბოზე გათვლილი „ეშმაკობანი“ პოლიტიკოსს სიჭკვიანეში არ ეთვლება და მის მოღვაწეობას დადებითი კუთხით ვერ წარმოაჩენს.

გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ვინც ჩვენ ბეზღობასა და ღალატს გვწამებს, რატომღაც ვერ ამჩნევს, მაგალითად გაზეთ „ტრუდის“ ფურცლებზე ჩვენი და ჩვენი მეგობრების მისამართით გამოთქმულ დაუსაბუთებელ, ანუ ცილისმწამებლურ შეფასებებს...

ჩვენს გამოსვლებში ყოველთვის ვცდილობთ საფუძვლიანად გავაანალიზოთ „პერესტროიკად“ წოდებული იმპერიის მოდერნიზაციის გეგმა და ამ კონტექსტში, ფაქტობრივი და ლოგიკური პარალელების გზით, განვიხილოთ ოფიციალური სტრუქტურების და კერძოდ, რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების როლი და ადგილი, მათზე (ნებსით თუ უნებლიეთ) „დაკისრებული“ მისი ხსენებული გეგმის „წარმატებით“ განხორციელების საქმეში.

რატომ ჩატარდა პრესკონფერენცია მაინცდამაინც მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საბჭოს შენობაში?

ამგვარი გადაწყვეტილება უაღრესად პრინციპული ხასიათის მოსაზრებებზე დაყრდნობით მივიღეთ და ვფიქრობთ, იგი მხოლოდ-დამხოლოდ დადებით შეფასებას იმსახურებს:

1. „მოსსოვეტის“ შენობაში ჩვენი შესვლა ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიების გამართვის მიზნით, ოფიციალური მოსკოვის მიერ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფაქტობრივ აღიარებას ნიშნავდა, რაც, თავის მხრივ, იმ მდგომარეობის (ოკუპაციისა და ანექსიის) აღიარებასაც გულისხმობს, რის სალიკვიდაციოდაც არის მიმართული ჩვენი ძალისხმევა. ამგვარი შეფასება არავითარ შემთხვევაში არ მიეცემა ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა არცერთ ვიზიტს, (ამის მიხვედრას დიდ პოლიტიკური განათლება არ სჭირდება);

2. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე მზად ვართ ვილაპარაკოთ ყველგან და ყველა დონეზე, „მოსსოვეტი“ იქნება ეს თუ

„კრემლი", რაც უფრო მაღალი იქნება დონე, მით უფრო დიდ შედეგს უნდა მოველოდეთ;

3. არასოდეს და არავის წინაშე არ დაგვიფიცია, რომ ... ლახავდით მოსკოვის ზღურბლს, პოლიტიკური სპეკულაცია, როგორც ხერხი, იმთავითვე ამოღებული იქნა ჩვენი ბრძოლის ტაქტიკური არსენალიდან, ამის გამო არ გვიწევს სიტყვის გატეხვა და არ გვჭირდება ჩვენი მორალური სახის განწმენდაზე ზრუნვა „ორი კრემლის არსებობის" აბსურდული თეორიების თხზვით;

4. ჩვენს ამა თუ იმ ქმედებებს ვერ გავთვლით იმ საშიშროებების არსებობაზე ფიქრით, რომ იგი აღმოჩნდეს საფუძველი რაიმე დემაგოგიური ხუხულის აშენებისას. მოსკოვში ყველა დარბაზი „მოსსოვეტს" ეკუთვნის, ხოლო ენას მართაც რომ ძვალი არა აქვს.

დასასრულ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მიზანია გამოვააშკარაოთ „პერესტროიკის" არსი, ვაჩვენოთ ე.წ. პარლამენტური გზით დამოუკიდებლობის მოპოვების ილუზიურობა, დემოკრატიულ სამყაროს ავუხსნათ და დავაჯეროთ, რომ ერის და ხელისუფლების ერთმანეთთან გაიგივება არ არის სწორი და სამართლიანი, თუნდაც ეს ხელისუფლება თავისუფალი არჩევნების გზით იყოს მოსული ქვეყნის სათავეში; რომ ქართველი ერი ღირსია ნდობისა, თანაგრძნობისა და თანადგომისა დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლის რთულ გზაზე.

გიორგი კობახიძე.

საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის წევრი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრი.

18 ივლისი. 1991 წელი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 15 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის რეზოლუცია

ჩვენ მადლობას მოვახსენებთ გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას, რომელმაც სხვა გაზეთებისაგან განსხვავებით არ გვითხრა უარი ამ რეზოლუციის გამოქვეყნებაზე, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს ქრისტიანულ დემოკრატიული კავშირის II საგანგებო ყრილობაზე 1991 წლის 14 ივლისს თბილისში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ა/წ 26 აპრილის დადგენილებით ხელი შეუწყო სსრკ თავდაცვის სამინისტროს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ წვევამდელთა 15%ის „ნებაყოფლობით“ გაწვევაში საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში.

ეს დადგენილება აშკარა წინააღმდეგობაშია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 15 ნოემბერს მიღებულ კანონთან, რომლის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები არცერთი მოქალაქე არ უნდა გაგზავნილიყო სსრკ არმიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ზემოთ აღნიშნული დადგენილება ასევე არ შეესაბამება 1991 წლის 9 აპრილს დეკლარირებულ „დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს“.

ქართული ეროვნული მოძრაობა ყოველთვის ეყრდნობოდა ჰუმანურ, ქრისტიანულ პრინციპებს, ამის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა მოთხოვნა პატიმართა კანონიერი უფლების დაცვის შესახებ. რის დაკმაყოფილებაც მოხდა მრავალი საპროტესტო აქციისა და მაშინდელ ხელისუფლებასტან მოლაპარაკების სემდეგ. ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის პერიოდში, კერძოდ, მიღებულ იქნა დადგენილება, რომ საქართველოში გასამართლებული პატიმრები, სასჯელს საქართველოშივე მოიხდიდნენ. ეს ეს დადგენილება მთლიანად პატიმართა უფლებების დაცვის კომიტეტის დამსახურებაა, რომლის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას ჩვენი ორგანიზაცია წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ძალები, რომლებიც ადრე სხვებთან ერთად მოღვაწეობდნენ ამ სფეროში, მათ მიერ გაუქმებულ იქნა პატიმართა უფლებების დაცვის კომიტეტი,

მიზეზი: საქართველოს ეროვნული ხელისუფლება თვითონ უზრუნველყოფს აღნიშნული პრობლემების სამართლიან გადაწყვეტას. სამწუხაროდ მოხდა პირიქით, უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში არათუ შეწყდა პატიმართა გადმოყვანა საქართველოში, არამედ უფრო მეტიც, დაიწყო პატიმრების, მათ შორის არასრულწლოვანთა გაყვანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასჯელის მოსახდელად, რაზეც საქრთველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბოლო სესიაზე სამართლიანი პროტესტი განაცხადა საპარლამენტო ფრაქცია – „დემოკრატიულმა ცენტრმა“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი არსებული ხელისუფლების ამ ნაბიჯს მიიჩნევს დემოკრატიისა და ადამინის უფლებათა უხეშ დარღვევად და მოითხოვს:

1. შეწყდეს საქართველოში მსჯავრდებულ პირთა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე საპატიმროებში გაყვანა.

2. დაუყოვნებლივ განახლდეს უკვე გაგზავნილ მსჯავრდებულთა დაბრუნება.

3. ერთხელ და სამუდამოდ გასაგები უნდა გახდეს ხელისუფლებისათვის, რომ პატიმართა კატეგორიებად დაყოფა დაუშვებელია ელემენტარული სამართლებრივი ნორმებით და წარმოადგენს ადამიანის ღირსების ხელყოფას.

4. ოფიციალურმა ხელისუფლებამ განმარტოს ამ საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადადგმული ნაბიჯის ნამდვილი მიზეზი.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი.

გაზ: „საქართველო“, №15, აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის განცხადება

სამწუხაროდ, ვერ მოესწრო სახალხო ფრონტის დარბაზის შეკრება ქვემორე განხილულ საკითხზე სამსჯელოდ. საკითხის სიმწვავე მაიძულებს ჩემი პირადი პოზიცია გავაცნო მკითხველს მანამდე, სანამ საკითხი განიხილებოდეს სახალხო ფრონტის დარბაზის მიერ.

თავდაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი არსებითი ფუნქციაა. სახელმწიფო, რომელსაც შეიარაღებული ძალები არა ჰყავს, სახელმწიფო არ არის. აცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა და ვერ იქნება ისეთ სახელმწიფო, რომელსაც შეიარაღებული ძალა არ ჰყავს. ამგვარად, იმის თქმა, რომ საქართველო სახელმწიფოა, იმის თქმასაც ნიშნავს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალა (არმია) ჰყავს და თავისი თავის, თავისი ტერიტორიებისა და მოქალაქეების დაცვა შეუძლია მეტნაკლებად მაინც. როდესაც პოლიტიკოსები და მეცნიერები ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოებრიობა ფიქტიურია, ამ სიტყვებით, ისინი, პირველ ყოვლისა, იმას გულისხმობენ, რომ ამ რესპუბლიკებს საკუთარი შეიარაღებული ძალები, საკუთარი არმიები არ ჰყავთ.

საქართველოს ეროვნული პოლიტიკური ძალები, რომლებიც 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრის არჩევნებზე საქართველოს თავისუფლების ლოზუნგით გამოდიოდნენ და უზენაეს საბჭოში უმრავლესობა მოიპოვეს, (ბლოკი „მრგვალი მაგიდა", „საქართველოს სახალხო ფრონტი", „დემოკრატიული საქართველო") ხალხს აღუთქვამდნენ, რომ იბრძოლებდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ანუ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ამომრჩეველი, რომელიც ამ ძალებს ხმას აძლევდა, მათგან მოითხოვდა არა ფიქტიური, არამედ ნამდვილი, ფაქტობრივი სახელმწიფოს შექმნას, არცერთ ჩვენგანს, ვისაც ხალხმა ნდობა გამოგვიცხადა, არ გვაქვს უფლება, მას იმედი გავუცრუოთ.

როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესია შეიკრიბა (1990 წლის ნოემბერი), იგი მოვალე იყო, საქვეყნოდ გამოეცხადებინა, რომ საქართველოს უფლებაცა აქვს და ვალდებულიცაა

თავისი მოქალაქეების წინაშე, რომ არმია შექმნას. ჩვენ მაშინვე უნდა შეგვექმნა ჩვენი არმია, თუნდ მცირერიცხოვანი შემადგენლობით, რათა ამ პრაქტიკულად უმნიშვნელო ძალითაც კი, სამარადისოდ ჩაგვეყარა კანონიერი და ვერავისგან შესადავებელი ან უარსაყოფელი საძირკველი ჩვენი თავდაცვისუნარიანობისათვის. ამით, ჩვენ შევქმნიდით იმ შეუვალ კანონიერ ფორმას, რომელშიც ორგანიზაციულად ჩამოყალიბდებოდა, დღეიდან და სამარადისოდ, ჩვენი ხალხის ღვთით მომადლებული ვაჟკაცობა, ჭკუაგონება, ზნეობა და თავგანწირვა, რათა ჩვენი სამშობლო და მისი საზღვრები დაგვეცვა. საქართველოს უზენაესმა საბჭომ ეს არ გააკეთა არც მაშინ, არც 1991 წლის აპრილს, დამოუკიდებლობის აქტის მიღების დღეს, და ამით უარი თქვა ამ ვითარებაში თავის წმინდათაწმინდა მისიაზე—საკუთარი მოქალაქეებისა და მსოფლიოს წინაშე ჩვენი სახელმწიფოებრიობა და ჩვენი ეროვნული მეობა ყველა მისი არსებითი ატრიბუტებით წარმოედგინა. გავრცელებული აზრით, ეს მხოლოდ გაუბედაობის შედეგად მოხდა. მაგრამ ყველა შემთხვევაში, ეს დიდი შეცდომა იყო. იმპერია, რომელმაც ვერ აღმართა და არ აღმართა ხელი საქართველოს (აგრეთვე სხვა რესპუბლიკების) ეროვნულ პარლამენტებზე, ვერ აღმართავდა ხელს ვერც ჩვენი სახელმწიფოებრიობის იმ ძირითად ელემენტზე, რომელსაც საქართველოს შეიარაღებული ძალა ჰქვია. ხოლო თუ აღმართავდა, ჩვენი მცირე არმია გაიღებდა მხსვერპლს, მაგრამ სამაგიეროდ, ჩაიწერდა თავის ისტორიაში პირველ სახელოვან ფურცელს, რომელიც არმიას ისევე სჭირდება, თავისი მომავალი ბრძოლისუნარიანობისათვის, როგორც ერს სჭირდება თავის ისტორია.

არმიის შექმნის ნაცვლად საქართველოს ხელისუფლებამ კომპრომისული გზა აირჩია მან შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შექმნა ეროვნული გვარდია, რომლის არსებობასაც ჩვენს პირობებში ორი მთავარი გამართლება ჰქონდა და აქვს: ჯერ ერთი, გვარდიაში წასვლით, ჩვენმა ახალგაზრდებმა თავი დააღწიეს საბჭოთა არმიაში სამსახურს და ამ სამსახურზე უარის თქმასთან დაკავშირებულ სირთულეებს; მეორეც, გვარდია შესაფერისი ორგანიზაციული ფორმაა სპეციალური ცოდნის მიღებისა და ახალგაზრდების გაწვრთნისათვის. გვარდიის მინუსებიც ცნობილია: ჯერ ერთი, შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში ყოფნა გვარდიას აკისრებს პოლიციურ ფუნქციებს, რაც მისაღებია მრავალი ღირსეული

და უნარიანი ახალგაზრდისათვის, მაგრამ არა ყველასათვის. მეორეც, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურისათვის მოქალაქის სავალდებულო გაწვევა იურიდიულად მართებული არ არის. (შეიარაღებული ძალთა შედგენა გაწვევის პრინციპით დღევანდელ საქართველოში მე საერთოდაც შეცდომად მიმაჩნია. ეს ძალები მოხალისეობის პრინციპით უნდა შეიქმნას).

ხაზი მინდა გავუსვა: გვარდიის შექმნა, მისი სტატუსისა და ფუნქციების ზემოხსენებული ნაკლოვანებების მიუხედავად, ჩვენი ეროვნულსახელმწიფოებრივი საქმისათვის მაინც დიდ პლუსი იყო. მინუსი მხოლოდ ის იყო და არის, რომ მის გარდა, და მის გვერდით არმიაც არ შეიქმნა.

19 აგვისტოს მოსკოვში პუტჩი მოხდა და ახალმა „ხელისუფლებამ", რომელიც საბედნიეროდ ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა, გვარდიის დაშლა ბრძანა, როგორც „უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა". ჩვენი ეროვნული გვარდია უკანონო ფორმირებად მიაჩნდა და მიაჩნია სსრკ-ში მანამდე არსებულ და დღეს კვლავ არსებულ კონსტიტუციურ ხელისუფლებასაც. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ — ქართველმა ერმა და საქართველოს ხელისუფლებამ — მათ აზრს უსიტყვო კაპიტულაცია გამუვუცხადოთ და გვარდია დავშალოთ ან განვაიარაღოთ! სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გვარდიას წართმეული აქვს უფლება რაიმე იარაღის ქონისა იმის გარდა, რისი უფლებაც მილიციას აქვს. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, გვარდიას წართმეული აქვს ყველა ფუნქციის შესრულების საშუალება, გარდა იმისა, რაც მილიციას აკისრია, დღეს ეროვნული ხელისუფლების არსებობის ათი თვის თავზე, ჩვენ ჩვენი შეიარაღებული ძალები არ გვყვავს, ჩვენი სამხედრო მოქმედებისუნარიანობა ნულს უდრის!

წინამდებარე განცხადების მიზანი არაა უკვე ჩადენილი შეცდომების მხილება. მისი მიზანი ისაა, რომ ხელი შეუშალოს ახალი შეცდომების დაშვებას.

ამ ორი დღის წინ, რუსეთის ფედერაციულმა საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ საკუთარი არმიის შექმნა გამოაცხადა. ეს გარემოება ჩვენ, საქართველოს, პრაქტიკულად გვიადვილებს ჩვენი საკუთარი არმიის შექმნას. ჩვენ მოვალენი ვართ, ახლავე, დაუყოვნებლივ დავაკანონოთ საქართველოს რესპუბლიკის მიერ საკუთარი არმიის

შექმნა და პრაქტიკულად შევუდგეთ ამ დადგენილების განხორციელებას. ამის არქმნა საქართველოს ღალატი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიულებელია, რომ ჩვენი ეროვნული გვარდიის ბედის [illegible] ში ერეოდეს საბჭოთა არმიის სარდალი კავკასიაში გენერალ-პოლკოვნიკი პატრიკეევი და გამოთქვამდეს მოთხოვნის სახით თავის აზრს, რომ გვარდიამ იარაღი ჩააბაროს. ეს არის უხეში ჩარევა სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში.

საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი: თუ საქართველოს ხელისუფლება დაუშვებს საბჭოთა არმიის ნაწილების თავდასხმას საქართველოს ეროვნულ გვარდიაზე ან ჩვენი ქვეყნის ე. წ. „უკანონო გაერთიანებაზე" დღეს ან მომავალში, ეს იქნება მიუტევებელი დანაშაული ერის წინაშე.

რსფსრ უზენაესმა სახელმწიფო ხელისუფლებამ ამ ორი დღის წინ თავის იურისდიქციას დაუქვემდებარა რსფსრ ტერიტორიაზე არსებული სსრკ კუთვნილი საწარმოები. ეს ხელსაყრელ პირობებს უქმნის საქართველოს ხელისუფლებას ანალოგიური ნაბიჯის გადადგმისათვის. საქართველოს უზენაეს საბჭოს შეუძლია და მოვალეცაა ეს შესაძლებლობა დაუყოვნებლივ გამოიყენოს!

ნოდარ ნათაძე.

გაზ: „საქართველო". №16, აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ბატონ ვახტანგ რაზმაძეს

საქართველოს უზენაესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის" განცხადება

საქართველოს კომპარტიის გაზეთ „ცხოვრებაში" გამოქვეყნდა ამ პარტიის ცკ-ის ბიუროს დოკუმენტი, რომელიც მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის უზენაესი ხელისუფლების აღებას „საგანგებო მდგომარეობის საგანგებო კომიტეტის" მიერ, რომელსაც სათავეში უდგას სსრკ

ვიცე-პრეზიდენტი იანაევი. ეს დოკუმენტი პირდაპირ და უშუალოდ მიმართულია საქართველოს რესპუბლიკის ინტერესთა წინააღმდეგ.

ა) დოკუმენტი ეწინააღმდეგება საქართველოს დამოუკიდებლობის პრინციპს იმით, რომ გამოთქვამს პოზიციას უცხო ქვეყნის(სსრკ) შინაგანი პოლიტიკის ვითარების მიმართ და ამ ვითარების შეცვლის საჭიროებას საქართველოს პრობლემების გადაუჭრელობით ასაბუთებს, რითაც საქართველოს ზემოხსენებული უცხო ქვეყნის ნაწილად ცნობს.

ბ) ზემოხსენებული კომიტეტის პლატფორმა მოიცავს რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს კონსტიტუციაზე სსრკ კონსტიტუციის უზენაესობაზე აღიარებასა და მოთხოვნას, მ. გორბაჩოვის ადმინისტრაციას ეს მოთხოვნა არ წამოუყენებია. ამგვარად, საქართველოს კომპარტიის ცკს ბიუროს ზემოხსენებული დოკუმენტი არის მხარდამჭერი იმპერიის ადმინისტრაციული კურსისა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 17-18 ნოემბრის სესიის იმ დადგენილების გაუქმებაზე, რომელიც აკანონებს საქართველოს კანონების უზენაესობას საქართველოში და პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო 1991 წლის 9 აპრილს.

გ) დოკუმენტი მხარს უჭერს უცხო ქვეყნის ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც არ ცნობს საქართველოს გამოსვლას სსრკს შემადგენლობიდან და აღიარებს „სსრკ ტერიტორიული მთლიანობის" დაცვის პრინციპს, ანუ აღიარებს დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ ახალი აგრესიის დასაშვებობას მისი სსრში მისი იძულებითი ხელახალი შეყვანის მიზნით. ამით ზემოხსენებული დოკუმენტი ხელს უწყობს, უცხო აგრესიულ ძალას იმაში, რომ საქართველოზე თავდასხმისათვის და მისი ანექსიის მცდელობისათვის საბაბი ეძებოს.

მივაპყრობთ თქვენს ყურადღებას იმაზე, რომ საქართველოს კპ ცკ ბიუროს ზემოხსენებული დოკუმენტი არის ცნობიერი მოქმედება საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ, რის გამოც ბუნებრივი იქნება საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის დაინტერესება ამ მოქმედებით და ამის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრი",
22 აგვისტო, 1991 წელი.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოს ასლი: აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

ამა წლის 89 აგვისტოს რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ", რომელიც უხეშად არღვევს საარჩევნო კანონის და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მიერ დეკლარირებულ მოქალაქეთა თანაბარ საარჩევნო უფლების პრინციპებს და მასთან დაკავშირებით სხვა საკანონმდებლო დებულებებს.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1. ქ. ტყვარჩელში სადაც 13 737 ამომრჩეველია, შექმნილია 8 საარჩევნო ოლქი, ხოლო სოხუმის რაიონში, სადაც 29 339 ამომრჩეველია, შექმნილია სულ 4 საარჩევნო ოლქი.

2. ქ. სოხუმში 67 535 ამომრჩეველზე გათვალისწინებულია 10 საარჩევნო ოლქი. ამდენივე ოლქი არის შექმნილი ქ. გაგრაში 49 399 ამომრჩეველზე.

3. გუდაუთის რაიონში შექმნილია 9 საარჩევნო ოლქი, ხოლო გულრიფშის რაიონში – 6, თუმცა ამომრჩევლების რაოდენობა ამ რაიონებში კომისიის მონაცემების მიხედვით დაახლოებით თანაბარია (შესაბამისად, 39 800 და 39 094). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მონაცემების მიხედვით, გულრიფშელ ამომრჩეველთა რაოდენობა (39 197) სჭარბობს კიდეც გუდაუთელ ამომრჩეველთა რაოდენობას (36 060). (იხ. გაზეთი „სვობოდნაია გრუზია", 1991 წლის 2 ივლისი).

4. სოხუმის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა მინიმალური რაოდენობა არის 5 000 (2 საარჩ. ოლქი), ხოლო მაქსიმალური 9 500 (№8, 9 საარჩ. ოლქები), ამავე დროს ქ. ტყვარჩელში შესაბამისად 1 237 (№28 საარჩ. ოლქი) და 1 900(№21, 22, 24, 26, 27 საარჩ. ოლქები). სხვა მონაცემების მოყვანაც შეიძლება.

თქვენს ყურადღებას მივაქცევთ აგრეთვე, იმ ფაქტს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხსენებული დადგენილება გამოქვეყნდა

8 აგვისტოს და 24 ივლისს, არჩევნების გამოცხადებიდან, როგორც ამას მოითხოვს საარჩევნო კანონის მე-16 მუხლი.

ვფიქრობთ, ზემოხსენებული საკმარისია, რათა ცხადი გახდეს, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოახდინა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეთა საარჩევნო უფლების უპრეცენდენტო დარღვევა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მოვითხოვთ სასამართლო წესით განხილულ იქნას აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის, პერსონალურად მისი წევრების ვიაჩისლავ ცუგბას.

რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის
სახელით მალხაზ პატარაია

გაზ: „საქართველო" №16, აგვისტო, 1991 წელი.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა მშვიდობისა და დემოკრატიის მსოფლიო ლიგის კოსტარიკის 23-ე კონფერენციისადმი

პატივცემულო კონფერენციის მონაწილენო!

მოგმართავთ საქართველოს ჰელსინკის კავშირის სახელით, როგორც მისი თავმჯდომარე და რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ჩვენი კავშირი შეიქმნა 1976 წელს, იმ დროს, როდესაც იქმნებოდა ჰელსინკის ჯგუფები საბჭოთა კავშირში. მან გამოიარა არნახული დევნისა და შევიწროების წლები. მისი წევრები არაერთგზის იყვნენ რეპრესირებული, მაგრამ იგი მაინც განაგრძობდა ბრძოლას ადამიანის უფლებებისათვის, დემოკრატიული არჩევნების დამკვიდრებისათვის.

1990 წლის ოქტომბერში ჩვენ მივაღწიეთ დემოკრატიულ არჩევნებს საქართველოში, გავაუქმეთ კომუნისტური რეჟიმი და ავირჩიეთ პირველი მრავალპარტიული პარლამენტი საბჭოთა კავშირში, 1991 წლის 31 მარტს ჩავატარეთ პირველი რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხებზე, ხოლო 1991 წლის 26

მაისს–პირველი თავისუფალი არჩევნები პრეზიდენტისა, სადაც მე ამირჩიეს ხმათა 87 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსურს, გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრებები ჰელსინკის მოძრაობის პერსპექტივებზე, მის ამოცანებზე, ვინაიდან ამ მოძრაობაში ჩაბმული ვარ დღიდან ხელშეკრულების ხელმოწერისა (1978 წელი). პატიმრობაში მყოფი ჰელსინკის ჯგუფების სხვა წევრებთან ერთად წარდგენილი ვიყავი ნობელის მშვიდობის პრემიაზე.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ ჰელსინკის მოძრაობის უმთავრეს ამოცანად მიმაჩნია იმის შემოწმება, თუ როგორ ასრულებს საბჭოთა კავშირი 1975 წელს ჰელსინკში ნაკისრ ვალდებულებებს, რამდენად შეესაბამება მისი დღევანდელი პოლიტიკა საერთაშორისო სამართალს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ჰუმანიზმისა და დემოკრატიის აღიარებულ პრინციპებს. აუცილებელია აგრეთვე შესწავლა, თუ რამდენად რეალური პერსპექტივები აქვს რეფორმებს საბჭოთა კავშირში და რა უნდა გააკეთონ დასავლეთის ქვეყნებმა ამ რეფორმების განხორციელებისათვის.

1985 წლიდან, როდესაც სსრ კავშირის ახალმა კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ გამოაცხადა „პერესტროიკა" მისი მოქმედების სარბიელად უმთავრესად საგარეო პოლიტიკა იქცა. სამართლიანობა მოითხოვს, რომ აღინიშნოს ის ისტორიული ცვლილებები, რომელიც მსოფლიოში მოხდა–ბერლინის კედლის დანგრევა და გერმანიის გაერთიანება, ალმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა, ვარშავის პაქტის დაშლა და სხვა, მნიშვნელოვანწილად უკავშირდება „პერესტროიკას", რომელიც გამოიწვია დასავლეთის სახელმწიფოების, პირველ რიგში აშშს პოლიტიკამ საბჭოთა კავშირის მიმართ. საბჭოთა კავშირი თავისი ნებით არ გარდაქმნილა, იგი აიძულეს დაეწყო „ახალი აზროვნება" საგარეო პოლიტიკაში, რაც შეეხება სსრკ საშინაო პოლიტიკას, აქ რამდენადმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა: სსრ კავშირის ძალით შენარჩუნების ცდები, რაც ფაქტობრივად არის იმპერიის გადახალისება და სხვა არაფერი.

ჰელსინკის მოძრაობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას დღეს, ჩვენის აზრით, უნდა წარმოადგენდეს იმის შემოწმება, თუ როგორ შეასრულა და ასრულებს სსრ კავშირი ჰელსინკისა და ვენის დასკვნითი დოკუმენტებიდან გამომდინარე ვალდებულებებს.

ერის თავისუფლება გულისხმობს მის თვითგამორკვევას, საკუთარი

ბედის განმგებლობის უფლებას, სსრ კავშირის ხელმძღვანელობას და სსრკ ტერიტორიაზე მცხოვრებ დაპყრობილ ერებს ორად ყოფს: მთავრობისათვის კეთილსაიმედო და არაკეთილსაიმედოდ, მეამბოხედ. მაგალითად, კავკასიაში ყველაზე დისკრიმინირებულნი ქართველები და ჩეჩენინგუშები არიან, პრივილეგირებულნი კი აფხაზები და ოსები, ვინაიდან მათ სურთ „სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე" ხელის მოწერა.

შესაბამისია მთავრობის მიდგომას მეამბოხე „ურჩი" ერების წინააღმდეგ მიმდინარეობს გამოუცხადებელი ომი ყველა ხერხის გამოყენებით, ამ ხერხების არსენალი ფართოა:

ა) რესპუბლიკაში იქმნება კომუნისტების მიერ ინსპირირებული „ინტერფრონტები", რომლებიც გააფთრებულად ცდილობენ გააჩაღონ ეთნოკონფლიქტები, რათა კრემლს მიეცეს შეიარაღებული ჩარევის საბაბი. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა „შემრიგებლის" ნიღაბს ეფარება, მაგრამ მისი ჩარევით მრავალ რესპუბლიკასი დაიღვარა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, ამის მაგალითები უამრავი მოიპოვება: მოლდოვაში – გაგაუზთა და დნეპრისპირელთა „რესპუბლიკების" შექმნა; ბალტიისპირეთში „რუსულენოვანი" მოსახლეობის „მოთხოვნით" ჯარების შეყვანა, საქართველოში აფხაზი და ოსი სეპარატისტების პირდაპირი შეიარაღებული მხარდაჭერა; სომხეთაზერბაიჯანის კონფლიქტის „რეგულირება" და სხვა.

ბ) ეკონომიკური ბლოკადა „ურჩი" რესპუბლიკების მიმართ, რაც გამოიხატება ეკონომიკური შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების ცალმხრივ დარღვევაში, რესპუბლიკებისათვის განკუთვნილი ტვირთების გაგზავნის გაგზავნის თვითნებურ შეფერხებებსა და აკრძალვაში, ნავთობის გაზის და სხვა ნედლეულის მოწოდების შემცირებასა და შეწყვეტაში და ა.შ.

გ) „საკდესის" სიცრუის იმპერიის ამ უზარმაზარი მანქანის მეშვეობით სსრ კავშირში და საზღვარგარეთ ტენდენციური, გაყალბებული ინფორმაციის გავრცელება „ურჩ" რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესების შესახებ, დემოკრატიულად არჩეულ რესპუბლიკურ მთავრობებზე „ბირთვული იარაღის ღილაკების" დაუფლების სურვილის მიწერა, ცილისწამება ფაშიზმსა და დიქტატორობაში, ადამიანის უფლებათა შეზღუდვა (და ამას აკეთებს რეჟიმი, რომლისთვისაც კლასობრივი ზიზღი და კაცთა კვლა იდეოლოგიურ მიზანს წარმოადგენს). ამავე

დროს „ბრალდებულ ხალხებს“ არა აქვთ არავითარი საშუალება პასუხი გაცენ მათ საწინააღმდეგოდ მიმართულ პროპაგანდას. განსაკუთებით არასახარბიელო მდგომარეობაშია ამ მხრივ საქართველო, რომელიც „სამიზნედ“ ჰყავთ ამოღებული „საკდესის“ მიერ ანგაჟირებულ ჟურნალისტებს.

თუ ყოველივე ამას დავუმატებთ „სსრკდან რესპუბლიკების გასვლის შესახებ“ დრაკონულ კანონს, რომელიც სინამდვილეში არგასვლის კანონია, მთელი სიცხადით დავინახავთ ერთა თვითგამორკვევის საბჭოურ მოდელს.

ადამიანის უფლებების სფეროში 1986 წლის შემდეგ პროგრესი უფრო მოჩვენებითია, ვიდრე რეალური. ეს არის იძულებითი ლიბერალიზაცია და არა თანმიმდევრობითი დემოკრატიზაცია, ვინაიდან არ არსებობს ჭეშმარიტი კონსტიტუციური, საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთაც უნდა დაეფუძნონ ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი.

როგორია ვითარება ამ მიმართულებით დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რესპუბლიკებში, კერძოდ საქართველოში? მიუხედავად იმ საზარელი მემკვიდრეობისა, რომელიც დაუტოვა ახალ დემოკრატიულ ხელისუფლებას თავისი მმართველობის 70 წლის განმავლობაში, შესაძლებელი გახდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა. ეს არის მოქალაქეობის კანონი, რომელიც პირველი კითხვით მიიღო პარლამენტმა და რომელიც საქართველოს მოქალაქეებად აღიარებს ყველას, ვინც კანონის მიღების დღისათვის ცხოვრობს საქართველოში (ნულოვანი ვარიანტი); ეროვნული უმცირესობის უფლებების, მათი ეროვნულ კულტურული ავტონომიის სრული საკანონმდებლო გარანტია; ახალი ეკონომიკური სისტემის დაფუძნება, რომელიც ამკვიდრებს კერძო მეწარმეობას და თავისუფალ ბაზარს, უცხოური ინვესტიციების დაცვას, პიროვნული თავისუფლების გარანტია—მომზადებულია კანონები პრესის თავისუფლებისა და პარტიების შესახებ, ამას ემატება საქართველოს მშვიდობიანი ინიციატივა სომხეთაზერბაიჯანის კონფლიქტის მოგვარებაში, რომელმაც კრემლის წინააღმდეგობის მიუხედავად უკვე გამოიღო პირველი შედეგები.

რა თქმა უნდა, არავინ ამტკიცებს, რომ დღეს საქართველოში დასავლეთ ევროპის დარი დემოკრატია სუფევს—ეს არც შეიძლება ასე იყოს, არის შეცდომები, უკანდახევა, მაგრამ კურსი აღებულია

დემოკრატიისა და თავისუფლებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომდინარე სსრ კავშირზე ზემოთქმულიდან, იმის გაფვალ-ისწინებით, რომ შეუძლებელია მასშტაბური და ღრმა რეფორმების გარეშე ჰელსინკის პრინციპების გამარჯვებაზე ფიქრიც კი. 1991 წლის კონფერენციებზე ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ პრობლემებზე:

1. კონსტიტუციური, საკანონმდებლო ბაზისის შექმნა სსრკს დემოკრატიული რეფორმებისათვის, რაც უნდა შეიცავდეს:

ა) ერთა სრული თვითგამორკვევის გარანტიას იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის აღმოფხვრას;

ბ) თავისუფალი ბაზრისა და კერძო მეწარმეობის პრინციპების საკანონმდებლო დამკვიდრებასა და რეალიზაციას;

გ) ემიგრაციისა და ოჯახების გაერთიანების საკითხების მოგვარებას საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით (სპარსეთში მცხოვრები ფერეიდნელი ქართველების კონტაქტები თავიანთ ნათესავებთან საქართველოში: მათ არა აქვთ მიწერმოწერის და ტელეფონით საუბრის უფლება, არა თუ მისვლა მოსვლისა);

დ) სარელიგიო კანონმდებლობის დემოკრატიზაციას, ეკლესია კვლავ შეზღუდული და დისკრიმინირებულია, თავის უფლებებში, გრძელდება კომპარტიის კონტროლი ეკლესიაზე და უხეში ჩარევა მის საქმეებში.

2. ეკოლოგიური იმის შეწყვეტა დაპყრობილი ხალხების წინააღმდეგ, ე.ი. მათი ბუნების, მიწის, ჰაერის, ბარბაროსული ექსპლუატაციისა და განადგურების შეწყვეტა.

3. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების წინააღმდეგ ტერორის შეწყვეტა, ამ ტერორის ინიციატორებისა და შემსრულებლების გასამართლება სრული საჯაროობის პირობებში.

4. ჰელსინკისა და ვენის დასკვნითი დოკუმენტების ცხოვრებაში გატარების შემმუშავებელი ჯგუფების ოფიციალური აღიარება, ხელშეუხებლობის გარანტირება, დაცვა და ყოველგვარი ხელშეწყობა. ამ პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა განხორციელების მექანიზმის შექმნა, რომლისთვისაც აუცილებლად მიგვაჩნია;

1) გაეროს, ევროპარლამენტის, სამართალდამცავი ორგანიზაციების მუდმივი კონტროლის დაწესება სსრკში მიმდინარე პროცესებზე, განსაკუთრებით ეთნოკონფლიქტებზე;

2) ყოფილი სსრკს რესპუბლიკების დიპლომატიური ურთიერთობების დამკვიდრება დასავლეთის ქვეყნებთან;

3) საინფორმაციო ცენტრების შექმნა დასავლეთის ქვეყნებსა და რესპუბლიკების დედაქალაქებში;

4) გაეროსა და სხვა ორგანიზაციების ექსპერტთა მიერ შესწავლა საქართველში, ლიტვაში, ლატვიაში და სხვა რესპუბლიკებსა და ქალაქებში მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევისა, ეთნოკონფლიქტების მოწყობის, სხვა ანტიჰუმანური ქმედებებისა და მათი შედეგები.

დასკვნა

საბჭოთა კავშირი არ გარდაქმნილა და ვერც გარდაიქმნება დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოდ რეალური საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების გარეშე, ხოლო ამ რეფორმების განხორციელება შეუძლებელია, სანამ მისი ხელმძღვანელობა ებღაუჭება დრომოჭმულ მარქსიზლენინიზმს, გაკოტრებულ სოციალისტურ სისტემას, რეპრესიულ რეჟიმს, ნეოკოლონიალიზმს, სამართლებრივ ნორმებზე, საბაზრო ეკონომიკაზე, ადამიანის უფლებებზე, პლურალისტულ სისტემაზე დემოკრატიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ვიდრე სსრ კავშირს მართავს კორუმპირებული დემოკრატიული მაფია და არა დემოკრატიული კანონები. ამიტომ ერთადერთი გამოსავალია სსრ კავშირის იმპერიული სტრუქტურის სრული დემონტაჟი და დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოების შექმნა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 9 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებისაგან–დეპუტატთა ჯგუფის განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა.წ. 6 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტების პაატა ცინცაძისა და ედუარდ ედიბერიძის პუბლიკაცია, რომელშიც შეფასებული იყო უზენაესი საბჭოს სესიაზე სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტატთა ჯგუფის განცხადება, თუ როგორი ობიექტურობითა და კეთილსინდისიერებით გამოირჩევა ეს პუბლიკაცია, თავად მკითხველმა განსაჯოს. ჩვენ კი ვაქვეყნებთ განცხადებას, რომელიც წაიკითხა სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარემ ვაჟა ადამიამ უზენაესი საბჭოს სესიაზე 2 აგვისტოს.

ვ. ადამია, გ. ხავთასი, თ. ობგაიძე, ნ. კვაჭაძე, ე. ყაველაშვილი, ა. მაჭავარიანი, ს. ზვიადაძე, გ. ურიათმყოფელი, დ. კუპრეიშვილი, მ. ხუციშვილი, გ. გოლეთიანი, ჯ. საჯაია, ზ. გიგოლაშვილი, ა. ვარძელაშვილი.

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებისაგან დეპუტატთა ჯგუფის განცხადება

წინა სესიაზე სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტატთა ჯგუფმა პროტესტი გამოთქვა დეპუტატ არჩილ მაჭავარიანის ღირსების შელახვის გამო. ამ საკითზე სესიამ მიიღო გადაწყვეტილება საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ, მაგრამ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონი აკაკი ასათიანის უპრინციპობის გამო ეს კომისია არ ფუნქციონირებს, რითაც ირღვევა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 116-ე მუხლი.

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტატთა ჯგუფი აღნიშნავს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ა. ასათიანის უნიათობას მთელი რიგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, რაც გამოიხატება უპირატესად არასწორი საკადრო პოლიტიკის გატარებაში, დღემდე უზენაესი საბჭოს წევრებს არა აქვთ ელემენტარული სამუშაო პირობები, ანგარიში არ ეწევა კომისიების გადაწყვეტილებებს, უზენაეს საბჭოს თითქმის

ჩამოერთვა კანონის აღსრულებაზე კონტროლის უფლება, რის გამოც, სამწუხაროდ, სამინისტროებსა და უწყებებში სუფევს ანარქია, ხდება უხეში დარღვევები, თვით კორუფციაც კი. მეტიც, ბატონმა თიანმა წინა სესიის მიერ გამართულ მრგვალი მაგიდის დეპუტატთა შეკრებაზე ამ ბლოკის დეპუტატებს მონური მორჩილება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაწვევით დაემუქრა, და მრგვალი მაგიდის ტრადიციული, მეტად ნაყოფიერი შეხვედრების კვლავ ჩატარება შეუძლებლად მიიჩნია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტატთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი აკაკი ასათიანი ვალდებული გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვუწოდებთ ყველა დეპუტატს, ვისაც აღელვებს საქართველოს ბედი, მხარი დაუჭიროს სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტატთა ჯგუფის მოთხოვნას, რათა საკითხი დაყენებულ იქნას კენჭისყრაზე.

ვ. ადამია, გ. ხავთასი, თ. ობგაიძე, ნ. კვაჭაძე, ე. ყაველაშვილი, ა. მაჭავარიანი, ს. ზვიადაძე, გ. ურიათმყოფელი, დ. კუპრეიშვილი, მ. ხუციშვილი, გ. გოლეთიანი, ჯ. საჯაია, ზ. გიგოლაშვილი, ა. ვარძელაშვილი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 10 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების ნ. მოლოდინაშვილის, ჯ. გოლეთიანის, გ. მამფორიას, გ. ფირცხალაიშვილის, ბ. დანგაძის განცხადება

დღეს, ჩვენს სამშობლოში შექმნილ მეტად რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით მიგვაჩნია რა ყოვლად დაუშვებლად ნებისმიერი პოლიტიკური დემარში და ასეთად მივიჩნევთ ა/წ 2 აგვისტოს უზენაესი საბჭოს სესიაზე ბნ ვაჟა ადამიას გამოსვლას სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგა-

დოების სახელით, მთლიანად ვემიჯნებით აღნიშნულ გამოსვლისას გამოთქმულ აზრს და მივმართავთ სრულიად საქართველოს, მერაბ კოსტავას საზოგადოების გამგეობას, მის თავმჯდომარეს, ბატონ ... აღარ ჩაგვთვალონ ამ საზოგადოების წევრებად. ამასთან გამოვთქვამთ გულისტკივილს, რომ საზოგადოებამ ალღო ვერ აუღო დღევანდელ რთულ პოლიტიკურ სიტუაციას და ჩვენის აზრით მცდარი ნაბიჯი გადადგა.

ნ. მოლოდინაშვილი, ჯ. გოლეთიანი, გ. მამფორია, გ. ფირცხალაიშვილი, ბ. დანგაძე.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 10 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

შეკითხვები ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო ედუარდ! ჩვენ, ქართველი ჟურნალისტების ერთმა ჯგუფმა ამას წინათ ინტერვიუსთვის თქვენთან შეხვედრა ვინდომეთ. სამწუხაროდ დღემდე თქვენი გადაწყვეტილება არ გვაცნობეთ.

თქვენი დუმილი თქვენივე მოუცლელობის მიზეზად მივიჩნიეთ და გადავწყვიტეთ ჩვენთვის საინტერესო კითხვები წერილობით გამოგვეგზავნა.

იმედი გვაქვს, კითხვებზე პასუხების გასაცემად დროს გამოძებნით, რითაც დიდად დაგვავალებთ.

პატივისცემით

ედიშერ გიორგაძე, ირინე კუკავა, გია თასოევი, მარინე თექთუმანიძე, გიგლა გობეჩია, სოსო ბალაშვილი, ნინო კლარჯეიშვილი.

კითხვარი გაიგზავნა მოსკოვში, ელიზაროვის 1012, საგარეოპოლიტიკური ორგანიზაციის შტაბბინაში.

1. ბატონო ედუარდ, თქვენ თითქმის ექვსი წელი დაჰყავით საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. ამ ხნის მანძილზე, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არცერთი ოფიციალური ვიზიტის, შეხვედრის დროს, არცერთ ინტერვიუსა თუ მიმართვაში არ შეხებიხართ თქვენი მშობლიური ქვეყნის – საქართველოს პრობლემებს. რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვაწეროთ ეს? ნუთუ ზედმეტად მიგაჩნდათ მსოფლიოსათვის იმის შეხსენება, რომ ეროვნებით ქართველი ბრძანდებით?

2. რა პოზიცია გაქვთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ, როგორ აფასებთ მრავალპარტიულ არჩევნებში ბლოკ „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს" გამარჯვებას?

3. იცოდით თუ არა წინასწარ 9 აპრილს მოსალოდნელი ხოცვა-ჟლეტის შესახებ, და თუ იცოდით რა ილონეთ ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად? რა კომენტარს გაუკეთებდით ლიგაჩოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ თქვენთვისაც და ბატონი გორბაჩოვისთვისაც ცნობილი იყო, თუ რა მზადდებოდა თბილისში და უფრო მეტიც, რომ ეს იყო თქვენი ერთობლივი გადაწყვეტილება? რა აზრის ბრძანდებით სსრ კავშირის პროკურორის იმ განცახდებაზე, თითქოს 9 აპრილს თბილისში მომწამვლელი გაზები არ გამოუყენებიათ?

4. იცოდა თუ არა წინასწარ კრემლის ხელმძღვანელობამ თქვენი გადადგომის შესახებ? ონკრეტულად რომელ ძალებს, რომელ პიროვნებებს გულისხმობდით როცა ბრძანეთ, საბჭოთა კავშირს დიქტატურის საფრთხე ემუქრებაო?

5. თქვენი აზრით რა მოუტანეთ საქართველოს ესოდენ მაღალ პოსტზე ყოფნისას, ზიანი თუ სარგებელობა?

6. თქვენი ოპონენტების აზრით, საქართველოში თქვენი ხელმძღვანელობის პერიოდში გაძლიერდა რუსიფიკაცია და ქართული ენის დევნა, „ინტერნაციონალური ძმობის" ნიღბით უცხო ერების დემოგრაფიული ექსპანსიისათვის ხელის შეწყობა, რაც გამოიხატა აფხაზი პროვოკატორ-სეპარატისტების დაუსჯელობაში, როკის გვირაბის გაყვანაში და სამაჩაბლოს ოს ექსტრემისტებსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის მჭიდრო კავშირის დამყარებაში. რამდენად შეეფერება ეს მტკიცებები სინამდვილეს?

7. დანიშვნის პირველი დღეებიდანვე თქვენ გამოუცხადეთ ომი კორუფციას და ნეგატიურ მოვლენებს. ამავე დროს, თქვენ წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდით ყველაზე მეტად კორუმპირებულ დაწესებულებას—შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო შემდეგ კორუფციის სათავეს—პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. რა გააკეთეთ უშუალოდ ამ დაწესებულებებში კორუფციის აღმოსაფხვრელად?

8. შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე თქვენი ყოფნისას შეიქმ-

ნა თბილისის შსს საგამომძიებლო იზოლატორის ე.წ. სპეციალური მეოთხე კორპუსი („შინაგანი ციხის“ ფილიალი), რომელშიც ადგილი ჰქონდა არნახულ სადიზმსა და ბარბაროსობას, წამების უსაძრახელი მეთოდების გამოყენებას პატიმრების მიმართ, სადაც წლების მანძილზე დაასახიჩრეს, გააუპატიურეს და მოკლეს ორასამდე ადამიანი, რაც აისახა ცირიკიძეუსუპიანის და ფროლოვის გახმაურებულ სასამართლო, პროცესებში. თუ გქონდათ ამის შესახებ რაიმე ინფორმაცია და რა ზომებს იღებდით ყოველივე ამის აღმოსაფხვრელად?

9. 1978 წელს დახვრიტეს ქართველი პატრიოტი ვ. ჟვანია– მთავრობის შენობასთან საპროტესტო აქციებისათვის; 1983 წელს ჯალათებმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სიცოცხლე მოუსწრაფეს ჟურნალისტ ნაზი შამანაურს – დუშეთის რაიონში არსებული კორუფციის შესახებ მამხილებელი მასალების გავრცელებისათვის; 1984 წელს დახვრიტეს უდანაშაულო მღვდელი თევდორე ჩიხლაძე – ვითომცდა ე.წ. “თვითმფრინავის საქმესთან” კავშირისათვის; 1977 წლიდან 1984 წლამდე დააპატიმრეს და გაასამართლეს ათობით ადამიანი ეროვნულპატრიოტული საქმიანობისათვის, მათ შორის: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვანი, როგორი იყო თქვენი როლი?

10. თქვენ დღეს დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის კურსის გამტარებლად გიცნობენ, მაგრამ არც ისე დიდი ხნის წინათ თქვენ გმობდით ბორის ელცინს, როგორც „პარტიის მოღალატეს” და ყოველნაირად მავნე პიროვნებას, როგორი პოზიცია გაქვთ დღეს ამ საკითხზე?

11. ამჟამად საბჭოთა და მსოფლიო პრესაში არნახული დეზინფორმაციის კამპანია მიმდინარეობს საქართველოს წინააღმდეგ. როგორია თქვენი როლი უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის საქართველოზე სწორი ინფორმაციის მიწოდებაში?

12. როგორ გესახებათ თქვენი როლი მომავალ საქართველოში?

13. არსებობს აზრი, რომ საქართველოში მგელაძე-იოსელიანის „მოძრაობის” იდეური ინსპირატორი და ცენტრთან დამაკავშირებელი თქვენ ბრძანდებოდით, რომ დღევანდელი ხელისუფლების ოპოზიციონერები თქვენი ინსპირაციით მოქმედებენ, რას გვეტყოდით ამის შესახებ?

14. მიიღეთ თუ არა მონაწილეობა საბჭოთა კავშირის 17 მარტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფერენდუმში და რას მიეცით ხმა? მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას?

15. ერთ-ერთ კანადელ ჟურნალისტთან საუბრისას განგიცხადებიათ,—საქართველო როგორ გახდება თავისუფალი, როცა მას ღვინის გარდა არაფერი გააჩნიაო. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს და მომხრე ხართ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობისა?

გაზ: "თბილისი", №154, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

ქ. მოსკოვის ა.წ. 19 აგვისტოს ამბებისა და ამ ამბებთან დაკავშირებით საქართველოს პოზიციის გამო

საქართველოს სახალხო ფრონტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლების შეცვლა, რაც მოხდა 1991 წლის 19 აგვისტოს მოსკოვში, არის მემარჯვენე სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც მიზნად აქვს საბჭოთა კავშირის, როგორც უნიტარული სახელმწიფოს აღდგენა. რამდენადაც ის პოლიტიკური ჯგუფი, რომელმაც ხელისუფლება ხელში აიღო, თვლის, რომ საქართველო საბჭოთა კავშირში შემავალი ერთ—ერთი მოკავშირე რესპუბლიკაა და რომ ამგვარად, და რომ ამ ჯგუფის ხელისუფლება საქართველოზეც ვრცელდება, ამდენად, მოსკოვში მიმდინარე პროცესი ჩვენს ქვეყანასაც ეხება, და ჩვენი ინტერესების ხელყოფის მცდელობასაც მოიცავს. საქართველოს ხელისუფლების, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში არსებული პოლიტიკური ორგანიზაციების უფლება და მოვალეობაა, განსაზღვროს თავისი პოზიცია ამ გადატრიალების მიმართ. თქმულიდან გამომდინარე საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი, რომელიც შეიკრიბა 1991 წლის 29 აგვისტოს 13 საათზე აცხადებს:

1. სსფს მიაჩნია, რომ ქ. მოსკოვში მომხდარი მემარჯვენე გადატრიალება სავსებით მოსალოდნელი იყო, რამდენადაც სამხედრო-პოლიტიკური დიქტატურის დამყარების მცდელობა ერთ-ერთი აუცილე-

ბელი ეტაპია, რომელიც დაშლის გზაზე დამდგარმა იმპერიამ უნდა გაიაროს თავისი რღვევის პროცესში. ამავე დროს, ითვალისწინებ-
ეროვნული ბიბლიოთეკა
რა რუსეთის მოსახლეობის და რუსეთის პოლიტიკური ძალების უკვე მომხდარ რეაგირებას ამ გადატრიალებაზე, სსფს მიაჩნია, რომ ეს გადატრიალება ხანმოკლე იქნება. იგი გადატრიალების ინიციატორთა დამარცხებით დამთავრდება.

2. სსფს მიაჩნია, რომ შექმნილ ვითარებაში საქართველოსათვის ყველაზე უფრო არსებული ის არის, რომ არ შექმნას არც ერთი ისეთი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ოდნავ მაინც შეასუსტებს მის პოზიციას საბჭოთა იმპერიისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და შექმნას ყველა ის იურიდიული დოკუმენტი, რომელიც საჭიროა მისი პოზიციის განმტკიცებისათვის ამ ბრძოლაში. ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლებამ, საქართველოს პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და საქართველოს მოქალაქეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ საქართველოს რაც შეიძლება მეტად ასცდეს შესაძლო სისხლისღვრა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა ამოქმედების შედეგად. კერძოდ საჭიროდ ვთვლით:

ა) არც საქართველოს ხელისუფლებამ, არც საქართველოს მოქალაქემ არავითარი თანამშრომლობა არ გაწიოს მოსკოვში დღეს დამკვიდრებულ მილიტარისტული ხელისუფლების ორგანოებთან. საქართველოს პარლამენტი არ უნდა დაემორჩილოს მათს შესაძლო მოთხოვნას დაშლის ან მუშაობის შეჩერების შესახებ.

ბ) ვინაიდან, პოლიტიკოსები, რომელთაც საბჭოთა კავშირში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს, ლამობენ, რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოს თავს მოახვიონ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის უზენაესობა რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შედარებით, საქართველოს პარლამენტს მართებს ახალი, გაძლიერებული ფორმულირებით მოახდინოს თავის დადგენილებაში იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ საქართველოში მოქმედებს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კანონები და რომ ყოველი მცდელობა საქართველოსათვის სხვა ქვეყნის კანონთა უზენაესობის თავს მოხვევისა არის საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობა.

3. საქართველოს საწარმოებმა უნდა იმუშაონ საქართველოს ეკონომიკური ინტერესებისა და საქართველოს ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ამოცანათა შესაბამისად, ჩვენი თანაგრძნობა და თანადგომა

საბჭოთა კავშირის დემოკრატიული ძალების მიმართ არ მოითხოვს ჩვენს მონაწილეობას მათ მიერ ორგანიზებულ გაფიცვებში, თანამლებიც გამოხატავენ პროტესტს სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ, ვინაიდან ის გაფიცვები სხვა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლაა. გაფიცვებს უნდა მივმართოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში და მხოლოდ იმ ობიექტებზე, რომლებიც დაკავშირებული იქნება ჩვენს ტერიტორიაზე სსრკ შეიარაღებული ძალების ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებასთან.

4. საქართველოს მოსახლეობამ უნდა დაიცვას სიმშვიდე, რომლისკენაც მას მოუწოდებს პრეზიდენტისა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 19 აგვისტოს მიმართვა. საქართველოს პარლამენტი უნდა შეიკრიბოს უწყვეტი რიგგარეშე სესიისათვის, რათა მუდამ მზად იყოს მტრის იურიდიული და სხვათა აგრესიის მოსაგერიებლად. საქართველოს პარლამენტს უნდა ახსოვდეს, რომ იგი მოვალეა, მაქსიმალურად თავის თავზე აიღოს დღეს საქართველოს იურიდიული და პოლიტიკური დაცვის ტვირთი, რათა ეს ტვირთი ხალხს არ გადააკისროს. ამის შესაძლებლობა საქართველოს პარლამენტს აქვს, ვინაიდან ჩვენს გარშემო შექმნილი ახალი გართულება, არსებითად, პოლიტიკური გართულებაა, რომელსაც, პოლიტიკური გზითვე მოგვარება სჭირდება. ეს გართულება, ჯერჯერობით, მხოლოდ საქართველოს უფლებრივ ინტერესებს ეხება და ეს ინტერესები სწორედ პარლამენტის ფუნქციაა. იმ შემთხვევაში თუ სსრკ შეიარაღებულმა ძალებმა პარლამენტის გარეკვა ან მისი მუშაობის შეჩერება მოინდომეს, პარლამენტმა არც ერთი ნაბიჯით უკან არ უნდა დაიხიოს. პარლამენტს ეს შეუძლია და მან უნდა განუცხადოს ხალხს, რომ ამისათვის არავის დახმარებას არ საჭიროებს. პარლამენტმა, რომელიც საქართველოს, მის უფლებებსა და მის ღირსებას ასახიერებს, თვითონ უნდა დაიცვას და მას თვითონ შეუძლია დაიცვას საქართველოს უფლებაც და ღირსებაც. ისე, როგორც საქართველოს მესვეურებს მრავალჯერ დაუცავთ ქვეყნის ღირსება და უსაფრთხოება ჩვენი ისტორიის მანძილზე. საქართველოს უფლებასა და ღირსებას სხვა ვერავინ და სხვა ვერაფერი შელახავს თვით პარლამენტის მიერ უკან გადადგმული ნაბიჯის გარდა.

5. სსფ თავს უფლებას აძლევს შეახსენოს მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებრიობას და დემოკრატიული სახელმწიფოების მე-

თაურებს, რომ თუ მსოფლიოს ხალხებსა და მთავრობებს სური, აღკვეთონ სამომავლოდ საბჭოთა კავშირში სამხედრო შოვინისტურ გადატრიალებათა შესაძლებლობა, და თუ ისინი მართლაც ესწრაფვიან სტაბილურობას მსოფლიოს იმ რეგიონში, რომელსაც დღეს საბჭოთა კავშირი ჰქვია, მსოფლიოს დემოკრატიულმა ქვეყნებმა უნდა ცნონ ის რესპუბლიკები, რომლებსაც გამოცხადებული აქვთ დამოუკიდებლობა, და გამოიჩინონ ინიციატივა ამ რესპუბლიკების გაეროში მისაღებად.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ უნდა დაადგინოს, რომ როგორც ფაქტები გვიჩვენებს, საბჭოთა არმიის შემდგომი არარეგლამენტირებული ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე შეუთავსებელია, როგორც საქართველოს სუვერენიტეტთან, ისე საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოებასთან. საქართველოს უზენაესმა საბჭომ უნდა გამოყოს საგანგებო კომისია, რომელიც საბჭოთა კავშირის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებით განსაზღვრავს:

ა) საბჭოთა არმიის უფლებრივ სტატუსს მისი ყოფნის პერიოდისათვის.

ბ) საქართველოში საბჭოთა არმიის ყოფნის ვადას.

გ) საქართველოში საბჭოთა არმიის ყოფნის რეგლამენტს, მისი დისლოცირებისა და გადადისლოცირების წესის ჩათვლით.

დ) საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ბაზებით სარგებლობისათვის საბჭოთა არმიის მიერ გადასახდელი თანხების რაოდენობას და მისი გადახდის წესს.

საქართველოს სახალხო ფრონტი სოლიდარობას უცხადებს საბჭოთა კავშირის დემოკრატიულ ძალებს მათს მძიმე ბრძოლაში დიქტატურისა და ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ და უსურვებს გადამწყვეტ გამარჯვებას ამ წმინდა ბრძოლაში.

გაზ: „თბილისი", 21 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების–ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებს – ეროვნულ გვარდიას მიეცეს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის სტატუსი.

2. გაუქმდეს თავდაცვის სამთავრობო კომისია.

3. გაუქმდეს შინაგანი ჯარების–ეროვნული გვარდიის სარდლისთანამდებობა.

4. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის ხელმძღვანელობა დაეკისროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს.

5. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის ძირითად ამოცანებად განისაზღვროს:

ორგანიზებულ და განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა;

საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევების, მასობრივი არეულობების აღკვეთა;

მასობრივი (სპორტული, სანახაობითი და სხვა) ღონისძიებების დროს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა;

თავისუფლების აღკვეთის ადგილების დაცვა;

საბადრაგო სამსახურის შესრულება.

6) შინაგანმა ჯარებმა ისარგებლონ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტაბელური იარაღით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 19 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 აგვისტო, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

თ. ი. სიგუას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს თენგიზ იპოლიტეს ძე სიგუა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი, 1991 წლის 17 აგვისტო.
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 21 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი

საბჭოთა კავშირში შეიქმნა არასტაბილური სიტუაცია, რომლის გაკონტროლება ახლო მომავალში შესაძლოა შეუძლებელი გახდეს.

მოვლენათა ასეთი განვითარება ყოველთვის გარდაუვალია ტოტალიტარულ იმპერიაში, სადაც იწყება დიდი ლიბერალიზაცია. ასეთი მოვლენების პირისპირ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთის სახელმწიფოთა პრინციპულ პოზიციას, უკომპრომისო შეფასებას ყოველივე იმისა, რაც ხდება, აგრეთვე აქტიურ დიპლომატიურ თუ სხვაგვარ მოქმედებას. დასავლეთი არ უნდა იყოს პასიური მაყურებლის როლში, პოლიტიკური შეფასება მომხდარი გადატრიალებისა ძალზე რთულია, ვინაიდან ჯერჯერობით არ არის ნათელი ნამდვილი გადატრიალებაა ეს მხოლოდ გარიგება ან შოუ, რომლისგანაც პოლიტიკური დივიდენდების მიღებას მიელტვიან ცალკეული სახელმწიფო ლიდერები.

მთავარზე უმთავრესია დასავლეთმა მხარი დაუჭიროს საბჭოთა კავშირში მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, დემოკრატიის, პლურალიზმის დამკვიდრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა, რეაქციული ძალების შესაძლო გამარჯვება საფრთხეს უქადის უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირში შემავალ იმ რესპუბლიკებს, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, და რომელთაც ჰყავთ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და პრეზიდენტი. ისინი უშუალო სამხედრო აგრესიის საფრთხის წინაშე დგანან, ამიტომ მე მოვუწოდებ დასავლეთის მთავრობებს, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, სასწრაფოდ და გადაუდებლად დე ფაქტო და დე იურე ცნონ ამ რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობა და დიპლომატური ურთიერთობა დაამყარონ მათთან, რათა დაიცვან ჭეშმარიტად დემოკრატიული რეფორმების მონაპოვარი ამ ქვეყნებში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

1991 წლის 20 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიმართვა

საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიხეილ გორბაჩოვი ვერ შეძლებს შეასრულოს სსრკ პრეზიდენტის მოვალეობა. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას 1991 წლის 19 აგვისტოდან სსრ კავსირის კონსტიტუციის შესაბამისად შეუდგა სსრკის ვიცე-პრეზიდენტი გენადი იანაევი. გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა საბჭოთა კავშირის ცალკეულ ადგილებში 6 თვის ვადით 1991 წლის 19 აგვისტოს 04 საათიდან მოსკოვის დროით. საგანგებო მდგომარეობის კონკრეტული რეგიონები

მითითებული არ ყოფილა. შეიქმნა სსრკში საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი.

ეს განცხადებები საქართველოს ხელისუფლებისათვის მოულოდნელი იყო. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნიათ, რომ შექმნილ ვითარებაში მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა.

მოგმართავთ საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიურ რესპუბლიკების ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, გაითვალისწინოთ შექმნილი ვითარება, ერთიანი შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობა.

მოგიწოდებთ, ყველანი ვიყოთ სამუშაო ადგილებზე, შევასრულოთ სამსახურეობრივი მოვალეობა, არ ავყვეთ პროვოკაციებს, არ დავუშვათ თვითნებური მოქმედება, დავემორჩილოთ საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებებს.

დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ ამგვარად შევძლებთ ჩვენს რესპუბლიკაში სამოქალაქო სიმშვიდისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

იმედია საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა გამოიჩენს მაღალ შეგნებულობასა და პასუხისმგებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

თბილისი, 1991 წლის 19 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგი სხდომა, რომელზეც განხილულ სსრ კავშირის ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საკითხი და საგანგებო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტი

იმის გამო, რომ რესპუბლიკაში იმძლავრა სამართალდარღვევამ, ეკონომიკა დადგა კრახის წინაშე, რესპუბლიკის ბიუჯეტში დეფიციტმა მიაღწია არნახულ მოცულობას, მრეწველობამ თითქმის შეაჩერა ფუნქციონირება, ხოლო გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია კონტროლს მოკლებულია, დიდი ჩავარდნაა აგრარულ სფეროში (მიწის დიდი ნაწილი დაუთესავი დარჩა, არ იკრიფება ჩაის ფოთოლი, მეცხოველეობაში კლებულობს საქონლის სულადობა, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მევენახეობაში და მარცვლეული კულტურების მოყვანაში (მძიმე მდგომარეობაშია რესპუბლიკის ენერგეტიკა) შემცირდა ელექტროენერგიის წარმოება, შეჩერდა ელსადგურების მშენებლობა, დაიშალა ათეული წლების მანძილზე მოქმედი ენერგეტიკულ სიმძლავრეთა მშენებელი კოლექტივი, შეჩერდა გაზსადენის მშენებლობა და დაიკარგა ამ დანიშნულებით გამოყოფილი დიდ კაპიტალდაბანდება) დიდი ზიანი მიაყენა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას სამტრედიის რკინიგზის უაზრო ბლოკირებამ და რესპუბლიკის ხელისუფლების ინიციატივით გამოცხადებულმა თვითმკვლელობის ტოლფასმა ეროვნულმა დაუმორჩილებლობამ, რის გამოც ხდებოდა საწარმოო სიმძლავრეების ძალით გაჩერება, არადემოკრატიული გზით დანიშნული პრეფექტები თვითონ გახდნენ თვითნებობისა და განუკითხაობის ხელისშემწყობნი, დარღვეულია კანონის უზენაესობა, მიდის ომი საკავშირო კანონებთან, რითაც მკვიდრდება უკანონობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დროულად, მიზანშეწონილად მიაჩნია სსრკ მთელ რიგ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღება და საგანგებო კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელება, რაც ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარების მოწესრიგებისა და კანონიერების განმტკიცებას ითვალისწინებს.

ბიურომ გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს რესპუბლიკას მხ-

ოლოდ სიმშვიდე, საგანგებო კომიტეტისადმი მხარდაჭერა, ყველა ეროვნების მშრომელთა ერთიანობა და დაუღალავი შრომა გამოიყენეს: უმძიმესი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარებიდან. ამავე დროს ბიურო მოუწოდებს რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, მშრომელებს, ინტელიგენციას გაგებით მოეკიდონ შექმნილ მდგომარეობას და დაიცვან კეთილგონიერება.

ბიურომ მოისმინა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ს. რიგვავას ინფორმაცია აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში მივლინების შედეგების თაობაზე.

აღინიშნა, რომ აფხაზეთში ამჟამად საკმაოდ დაძაბული ვითარებაა. ბიურომ მიუღებლად ჩათვალა სოხუმის სტადიონზე საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენელთა მიერ ჩატარებული მიტინგი, სადაც აფხაზი მოსახლეობის, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და კომპარტიის მიმართ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან გაისმოდა მუქარა.

ბიურომ ისევე მიუღებლად და არადემოკრატიულად ჩათვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში ეროვნული ნიშნის მიხედვით კვოტების დაწესება, შემრიგებელ კომისიაში ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს წარმომადგენელთა უმართებულო პოზიცია. არჩევნების ასეთი დისკრიმინაციული წესი ერთმანეთს უპირისპირებს ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს, უგულვებელყოფას ხალხის ინტერესებსა და დემოკრატიას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.

გაზ: „ცხოვრება", 21 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

დღეს გაზეთ „ცხოვრებაში" გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრის ინფორმაცია ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განმარტავს, რომ 1991 წლის 19 აგვისტოს ჩატარდა ბიუროს სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად მოხდა აზრის გაზიარება ქვეყანაში სა-განგებო ვითარების შემოღებასთან დაკავშირებით.

მაგრამ, აღნიშნული ინფორმაცია არასწორად ასახავს ბიუროს დამოკიდებულებას მომხდარი ფაქტისა და საგანგებო კომიტეტისადმი, სრულად არ შეესაბამება ბიუროს მიერ მიღებული დადგენილების შინაარს.

ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ შექმნილ რთულ ვითარებაში რესპუბლიკის მოსახლეობას მართებს გამოიჩინოს თავშეკავება და სიმშვიდე. არ დაუშვას გაუაზრებელი, ნაჩქარევი, ემოციური მოქმედებანი.

აღსანიშნავია, ისიც, ბიუროს მიერ რაიონული კომიტეტებისადმი მიცემული მითითებები დაემთხვა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიციას აღნიშნულ საკითხებზე, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა რესპუბლიკაში პოლიტიკური სიტუაციის სტაბილურობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების სრული ტექსტი გამოქვეყნდება გაზეთ „ცხოვრების" უახლოეს, შაბათის ნომერში.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 22 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * *

მოსკოვი პრეზიდენტ ბ. ელცინს, რსფსრ სახალხო დეპუტატთა საგანგებო სესიას

გილოცავთ გამარჯვებას, შემდგომ წარმატებას ვუსურვებთ რუსეთის სფს რესპუბლიკის დემოკრატიულ ძალებს. გიცხადებთ თანაგრძნობას თავისუფლების დამცველთა დაღუპვის გამო.

პუტჩის პირველივე დღეს საქართველოში გამოგზავნეს იაზოვის მოადგილე არმიის გენერალი ჟურავლიოვი, რომელმაც რამდენიმე ულტიმატუმი წაუყენა საქართველოს ხელმძღვანელობას და შეეცადა უხეშად ჩარეულიყო ჩვენი რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. სამხედროებმა კონტროლი დაუწესეს აეროპორტს, ვაგზლებს, ცდილობდ-

ნენ განეხორციელებინათ მანევრები.

საბჭოთა აფხაზეთის ცენტრისტულმა ძალებმა და ეგრეთ წოდებულმა „სამხრეთ ოსეთის“ თვითმარქვია ხელისუფლებამ მთლიანად დაუჭირეს მხარი თვითმარქვია საგანგებო წესების თვითმარქვია სახელმწიფო კომიტეტს, მას აგრეთვე მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რაც გამოცხადებული იყო მათს გაზეთ „ცხოვრებაში“.

საქართველოს პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ 20 აგვისტოს დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდა მხარი დაეჭირათ სსრ კავშირში ხალხის მიერ არჩეული ყველა პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის და აქტიურად დახმარებოდნენ სამხედრო აგრესიის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას — პრეზიდენტს და პარლამენტს ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევიათ თავიანთი პოზიციებისთვის, არ უცვნიათ საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტი და მთლიანად უჭერდნენ და უჭერენ მხარს რუსეთი სფს რესპუბლიკის პრეზიდენტს ელცინს და პარლამენტს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

თბილისი. 1991 წლის 22 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას განცხადება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის

საქართველოს რესპუბლიკა მთელ მსოფლიოსთან ერთად უაღრესად გახარებულია მოსკოვის რეაქციული გადატრიალების ჩაშლით. როგორც პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, დემოკრატიამ კიდევ ერთხელ იზეიმა, რაც იმის ნიშანია, რომ საბჭოთა იმპერიაში შემავალ

ხალხებს უნდათ, რომ ჰქონდეთ თავისთვის სასურველი მთავრობის არჩევის უფლება და შესაძლებლობა. სწორედ ეს მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ უნათებს გზას საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებს, რომელთაც თვითონ სურთ იყვნენ საკუთარი ბედიღბლის გამგებელნი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 23 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

პოლიტიკურ ბლოკ „თავისუფლების" განცხადება

საქართველოს კომპარტიის ორგანო „ცხოვრება"ში დაიბეჭდა „ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შესახებ", რომლის გამოც ბლოკ „თავისუფლებას" საჭიროს მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

საქართველოს კომპარტიის ამ დოკუმენტს ჩვენ განვიხილავთ, როგორც პოლიტიკურ აქტს, რომელიც სხვა არანაირად არ შეიძლება შეფასდეს, თუ არა:

1. **როგორც დეკლარაცია პოლიტიკური თანამშრომლობისა უცხო სახელმწიფოსთან მისი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად საქართველოში და, მაშასადამე**

2. **როგორც პირდაპირი ხელყოფა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტისა დეკლარირებულის 1991 წლის 9 აპრილის საპარლამენტო აქტითა და რესპუბლიკის კონსტიტუციით;**

3. **როგორც პოლიტიკურ-ორგანიზაციული მზადყოფნა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებისათვის, სსრკის საიმპერიო სამხედრო ძალის დახმარებით რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დამხობისათვის.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, საქართველოს კომპარტიის წარმოადგენს უცხო სახელმწიფოს ორგანიზაციულად გაფორმებულ აგენტურას, მის „მეხუთე კოლონას", პოლიტიკური პარტიის სახელით მოქმედს. ამგვარად საქართველოს კომპარტიის სახით ჩვენ

საქმე გვაქვს კრიმინალურ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, რომლის არსებობაც ანტიკონსტიტუციურია და რომელიც, უნდა გამოცხადდეს კანონგარეშედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივმართავთ საქართველოს უზენაეს საბჭოს, თავის უახლოეს სხდომაზე განიხილოს საკითხი, თუ რამდენად კონსტიტუციურია არსებობა ამ პარტიისა და, კერძოდ, რამდენად კანონიერია მისი წარმომადგენლობა რესპუბლიკის პარლამენტში.

და ბოლოს, ბლოკი „თავისუფლება" შემოდის წინადადებით, აღძრას სისხლის სამართლის საქმე ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ბრალდებით.

თბილისი, 21 აგვისტო 1991 წელი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 24 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წევრების და მისი აპარატის მუშაკთა ჯგუფის განცხადება

21 აგვისტოს, გაზეთ „ცხოვრებაში" გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცკის ბიუროს სხდომის ანგარიში.

საგაზეთო მასალიდან ჩანს, რომ საქართველოს კომპარტიის ცკის ბიურომ მხარი დაუჭირა ანტიკონსტიტუციური ძალების მოქმედებას.

საქართველოს კომპარტიის ცკის ბიურო არ არ აკეთებს საჭირო დასკვნებს და აგრძელებს ორმაგ თამაშს, ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრიობა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების ერთმა ჯგუფმა, ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა და მისი აპარატის მუშაკმა, ბევრმა რიგითმა წევრმა არაერთხელ გამოთქვა თავისი შეურიგებელი პოზიცია ამ უზნეო მოქმედებების თაობაზე.

ეს გარკვეულ ნაწილში დადასტურდა 11 კომუნისტი დეპუტატის განცხადებითაც, რომელიც გამოქვეყნდა „ახალგაზრდა ივერიელში" ამა წლის 23 ივლისს, იმის მერე, რაც ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ უარი თქვა დასმული პრობლემების განხილვაზე.

ამავე საკითხებზე მიუთითებდა გაზეთ „ცხოვრებაში“ ამა წლის 23 თებერვალს გამოქვეყნებული წერილი „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვად მყოობადი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგვაჩნია, რომ საქართველოს კომპარტიის ცკის ბიუროს უკანასკნელი ნაბიჯი შეურაცხმყოფელია არა მარტო პარტიის წევრებისათვის, არამედ ჩვენი ერისა და საზოგადოებრიობისათვის.

ამიტომ ვთვლით: სასწრაფოდ მოწვეულ იქნეს საქართველოს კომპარტიის ცკის პლენუმი.

საქართველოს კომპარტიის ცკის ბიურომ პლენუმის მოწვევამდე შეწყვიტოს საქმიანობა.

პლენუმზე განხილული იქნეს საკითხი საქართველოს კომპარტიის, როგორც კონკრეტული პოლიტიკური ორგანიზაციის, შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობის შესახებ.

სანდრო კავსაძე, როდენ მემარნიშვილი, გივი ჩხაიძე, გიორგი ვარძელაშვილი, ამირან თავართქილაძე, გიგა კილასონიძე, არსენ არუთინიანი, ტრისტან ლაბარტყავა, ოლეგ ვადაჭკორია, ომარ ხანთაძე, დევი ფუტკარაძე, გურამ ბუაძე, თემურ შაშიაშვილი, ავთანდილ მარგიანი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 24 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირის გამგეობის განცხადება

სეფრკ გამგეობა ა.წ. 22 აგვისტოს სხდომაზე გაეცნო საქართველოს კპ (რომელმაც ოპერატიულად მოიშორა განსაზღვრება „დამოუკიდებელი“) ცკის ბიუროს სხდომის ანგარიში სსრკ ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და საგანგებო კომიტეტების შექმნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, სეფრკ გამგეობა თავს ვალდებულად თვლის განაცხადოს, რომ საქართველოს კპ არა მხოლოდ არ სცნობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტს და განიხილავს მას სსრკს შემადგენელ ნაწილად, არამედ ყოველგვარი საშუალებებით ცდილობს იბრძოლოს მოსახლეობის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლების დასამხობად.

აქედან გამომდინარე სეფრკ გამგეობა მოითხოვს:

1. საქართველოს კპ გამოცხადდეს დანაშაულებრივ ორგანიზაციად და კანონით აიკრძალოს მისი არსებობა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

2. მოხდეს საქართველოს კპ კუთვნილი ქონების რეკვიზაცია საქართველოს რესპუბლიკის სასარგებლოდ.

3. შეიქმნას სპეციალური სამთავრობო კომისია საქართველოს კპ საქმიანობის გამოსაძიებლად.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 24 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

პოლიტიკური ორგანიზაცია „დას"-ის პოლიტიკური საბჭოს განცხადება

21 აგვისტოს გაზეთ „ცხოვრებაში" გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრის ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის შესახებ. ცნობაში ნათქვამია, რომ ბიურო დროულად და მიზანშეწონილად მიიჩნევს საგანგებო წესების შემოღებას და მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას მხარში დაუდგეს ე.წ. „გკჩპ"-ს.

სამხედრო ბუნტისადმი ერთგულების გამოცხადებით ისინი ისეთი ოდიოზური პიროვნებების სიაში აღმოჩნდნენ, როგორიც არიან მუამარ კადაფი, სადამ ჰუსეინი, იასირ არაფატი და ფიდელ კასტრო, ან კიდევ ლატვიის კომპარტიის (სკკპ) პირველი მდივანი ალფრედ რუბიქსი, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ ლატვიის კომპარტია მოქმედებს საბჭოთა კავშირისა და ლატვიის სსრ (?!) კონსტიტუციების შესაბამისად, ხოლო სხვა პარტიებს თვითლიკვიდაცია მოსთხოვა.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ საქართველოს კომპარტიის მესვეურებს უკვე „დაავიწყდათ" თავისი „დამოუკიდებლობა", რაც აღარაა ასახული მის დასახელებაში და ისინი ღირსეულად აგრძელებენ ლენინურსტალინურ ტრადიციებს თავიანთი პარტიისა, რაც თუნდაც იმით გამოიხატება, რომ დღემდე საქართველოს კომპარტიის ერთ-

ერთი ხელმძღვანელია ორგანიზაცია „სტალინის“ ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი გრიგოლ ონიანი.

მართალია, მას შემდეგ, რაც ყველასათვის ცხადი გახდა, რომ რეაქცია დამარცხდა, საქართველოს კომპარტიამ მორიგი განცხადებით გააკეთა უსუსური ცდა თავის მართლებისა, მაგრამ არა გვგონია, ვინმემ მათ დაუჯეროს.

„დას“ის პოლიტიკურ საბჭოს მიაჩნია, რომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ თავისი მოქმედებით უხეშად დაარღვია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და საქართველოს რესპუბლიკის კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“. კერძოდ, ამ კანონის მე3 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ „დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა“.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 24 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ

შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც დაექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

შინაგანი ჯარი—ეროვნული გვარდია დაექვემდებაროს საქართველოს რვსპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანება

ვინაიდან შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი პრეზიდენტის დაქვემდებარებაში, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარება ეროვნული გვარდია, ვბრძანებ:

1. მოეხსნას გვარდიას განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის სტატუსი.

2. დღეიდან ყველა გვარდიელი, რომელიც განლაგებულია რკონის ხეობაში, დაუბრუნდეს ყაზარმებს თავისი რაიონებისა და ქალაქების მიხედვით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის–ეროვნული გვარდიის ბატალიონების, ლეგიონებისა და შენაერთების მეთაურთა დანიშვნის წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის–ეროვნული გვარდიის ბატალიონების, ლეგიონების და შენაერთების მეთაურები ინიშნებიან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მიმართვა ეროვნული გვარდიისადმი

ყოველმა ჩვენგანმა კარგად უწყის, რაოდენ დიდი საფრთხე დაემუქრა საქართველოს მიმდინარე წლის 1921 აგვისტოს მოსკოვში მოწყობილი კომუნისტური პუტჩის გამო. თბილისში საგანგებო მისიით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჟურავლიოვი, რომელმაც პირდაპირ გამოაცხადა, რომ საბჭოთა ჯარის ნაწილებს მიცემული აქვთ ბრძანება საქართველოს ეროვნული გვარდიის განადგურების შესახებ.

გვარდიის გადარჩენისა და საერთოს მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი გახდა სასწრაფოდ მიგვეღო გადაწყვეტილება ეროვნული ეროვნული გვარდიისათვის დროებითი სტატუსის შეჩერების თაობაზე. ეს გახლდათ ტაქტიკური ნაბიჯი, რომლის წყალობითაც შენარჩუნებული იქნა მშვიდობა და სტაბი-

ლურობა საქართველოში.

ამჟამად, როდესაც მდგომარეობა შეიცვალა, ეროვნულ გვარდიას უბრუნდება სამშობლოს დაცვის უმთავრესი ფუნქცია. ამასთანავე, უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე საკანონმდებლო აქტით დამტკიცდა თავდაცვის დეპარტამენტის შექმნა, რაც თავისთავად კიდევ უფრო განამტკიცებს ეროვნული გვარდიის მაღალ სტატუსს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ დაბრუნდეთ ყაზარმებში და კეთილსინდისიერად აღასრულოთ თქვენი ვალი სამშობლოს წინაშე. ღრმად გვწამს თითოეული თქვენგანი გულისხმიერებით მოეკიდება რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოსმოწოდებას. ამასთან გაცნობებთ, რომ გარანტირებულია ყოვლი თქვენგანის ხელშეუხებლობა, არავის დაედება დისციპლინარული სასჯელი.

ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი!

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ლატვიის პრეზიდენტის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ანატოლი გორბუნოვს

ლატვიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ივარს გოდმანის

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და ხალხის სახელით გულწრფელად გილოცავთ თქვენ და მთელ ლატვიელ ხალხს რუსეთის მიერ ლატვიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ცნობის ღირსშესანიშნავ ფაქტს.

ვუსურვებთ დამოუკიდებელ ლატვიის რესპუბლიკას მთელი მისი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნას თავისუფლების ნათელი ცის ქვეშ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 25 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 აგვისტო, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * * *

ლატვიის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

პატივცემულო დეპუტატებო!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მთელი ქართველი ხალხი მიესალმება ლატვიის ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, ულოცავს მას ლატვიის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 21 აგვისტოს ლატვიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ცნობს ლატვიის რესპუბლიკას დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად. მზად არის ნებისმიერ დროს დაიწყოს მოლაპარაკება ლატვიის ხელისუფლებასთან ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ესტონეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ არნო რიუიტელს

ესტონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ედგარ სავისაარს

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და ხალხის სახელით გულწრფელად გილოცავთ რუსეთის მიერ ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის ცნობას.

ვუსურვებთ ესტონეთის ხალხს წარმატებას და ბედნიერებას კვლავ მოპოვებული თავისუფლების მადლიან ნიადაგზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 25 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 აგვისტო, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ვადგენ:

1. ესტონეთის რესპუბლიკის მიერ 1991 წლის 21 აგვისტოს მიღებული დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკა ცნობს ესტონეთის რესპუბლიკას როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტს.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაიწყოს მოლაპარაკება ესტონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების თაობაზე.

3. საქართველოს რესპუბლიკა მიმართავს ყველა სუვერენულ სახელმწიფოს ცნოს ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * *

რუსეთის სფს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ბ. ელცინს

სანამ არსებობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, საკდესი და სხვა ასეთი ორგანიზაციები, აგრეთვე ისეთი სიცრუის მანქანები, როგორიც არის გაზეთები „კომსომოლსკაია პრავდა“, „კრასნაია ზვეზდა“ და მათნი მსგავსნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი მოძრაობა ვერ დათრგუნავს იმპერიის ბნელ ძალებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკაში გაიმარჯვა დემოკრატიამ, საქართველოსა და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ უწინდებურად გრძელდება სიცრუისა და ცილისწამების გააფთრებული კამპანია. კერძოდ, ისინი დეზინფორმაციას აწვდიან საზოგადოებრიობას, თითქოს მე დამეშალოს გვარდია, ბრალად მდებენ ლამის პუტჩის მიმართ შემრიგებლურ დამოკიდებულებას. და ეს იმ დროს, როცა მე იმავე დღეს ვამხილე პუტჩი დასავლეთის ქვეყნების მთავრობებისადმი ჩემს მიმართვაში, სადაც ამას ვუწოდე რეაქციული ძალების გამარჯვება და მოვუწოდე მათ მხარი დაეჭირათ სსრ კავშირში ხალხის მიერ არჩეული ყველა პრეზიდენტისა და პარლამენტისთვის, მივეცი რამდენიმე ინტერვიუ, რაზეც წერდა მთელი დასავლეთის პრესა და გადასცემდა ტელევიზია. რაც შეეხება გვარდიას, იგი უწინდებურად არსებობს და მასთან დაკავშირებული ვითარების თაობაზე სრულ ინფორმაციას მალე მიიღებთ, გთხოვთ, ნუ დაუჯერებთ ასეთ კომკავშირულ ჭორებს.

გულითადი სალმით ზ. გამსახურდია,
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ბ. პ. გუგუშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ბ. პ. გუგუშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერმინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

აკაკი ასათიანი

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს კომუნისტური პარტიის შესახებ

საბჭოთა კავშირში ა. წ. 1921 აგვისტოს კომუნისტური პუტჩის დღეებში საქართველოს კომპარტიამ მხარი დაუჭირა ე. წ. საგანგებო მდგომარეობის კომიტეტს. გარდა ამისა მისი არსებობა ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ.

აქედან გამომდინარე ვადგენ:

შეჩერდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის მოქმედება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს რესპუბლიკის სახელით

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ თავმჯდომარე გივი ბახტაძის, მსაჯულების ნუნუ მაჩაიძის და დავით ბერიაშვილის შემადგენლობით ზაურ თვალიაშვილის მდივნობით საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილის როლანდ გილიგაშვილის მონაწილეობით.

განიხილა ღია სამსჯავრო სხდომაზე თბილისში საქმე საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის განცხადებისა გამო საქართველოს კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ.

შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 174ე მუხლისა, სასამართლო კოლეგიას საქმის არსის შესახებ ახსნაგანმარტება მისცეს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილემ როლანდ გილიგაშვილმა და საქმეში დაინტერესეულ პირებად ჩაბმულმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯემალ მიქელაძემ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „ცხოვრების" რედაქტორმა ოთარ იოსელიანმა, საქართველოს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კარლო გუჯაბიძემ, ამავე პარტიის იდეოლოგიური მუშაობის განყოფილების გამგემ მიხეილ გვათუამ და საორგანიზაციო მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილემ ზურაბ ერქვანიამ.

სასამართლო კოლეგია გაეცნო მასალებს ამა წლის 19 აგვისტოს ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების შესახებ. მასზე საქართველოს, სსრ კავშირისა და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა და საზოგადოებრიობის რეაგირების შესახებ, ამ მოვლენის მიმართ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მისი ბეჭდვითი ორგანოს დამოკიდებულების შესახებ და გაანალიზა ისინი.

ითვალისწინებს რა იმას, რომ საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულების ორგანოები დეპოლიტიზებულია და იმას, რომ თანახმად საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 167-ე მუხლისა

საქართველოში სასამართლო მხოლოდ კანონს ემორჩილება, სასამართლო კოლეგია გადაწყვეტილებას აყრდნობს მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურად დადასტურებულ ფაქტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან, ხელმძღვანელობს რა საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლით, რომლის თანახმად, ფაქტებს, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს, მტკიცება არ სჭირდება, სასამართლო კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ:

1. ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას უწოდებდა, მრავალი წლის განმავლობაში ძალმომრეობის მეშვეობით მილიონობით ადამიანზე გაბატონებული ორგანიზაცია იყო.

სკკპს ბატონობის შედეგად სსრკში შემავალი ხალხები გამოეთიშნენ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების გზას და მატერიალური და სულიერი დეგრადაციის რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ.

2. სსრკში შემავალ რესპუბლიკებში სკკპ თავის პოლიტიკას ახორციელებდა მისი ადგილობრივი ორგანოებისრესპუბლიკური კომუნისტური პარტიების მეშვეობით.

3. რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიები, იწოდებოდნენ რა პარტიებად, რეალურად სტრუქტურულად წარმოადგენდნენ არა პარტიებს, არამედ სკკპს ქვეგანაყოფებს.

4. სკკპს პროგრამითა და წესდებით დამკვიდრებული ე.წ. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის მეშვეობით ხორციელდებოდა რესპუბლიკათა კომპარტიების უსიტყვო მორჩილება სკკპს განკარგულებათა მიმართ. ეს პრინციპულად მთლიანად გამორიცხავდა რესპუბლიკათა კომპარტიების თუნდაც ცოტაოდენ გადახვევას სკკპს განკარგულებებიდან.

5. საქართველოს კომპარტია ყოველთვის იყო სკკპს ერთ-ერთი გამორჩეული ქვეგანაყოფი იმით, რომ ის ისწრაფოდა და რეალურადაც აღწევდა იმას, რომ ყოფილიყო სკკპ საქმიანობის ავანგარდში.

6. ეგრეთწოდებული „გარდაქმნის" პროცესში სკკპ და მისმა ადგილობრივმა რესპუბლიკურმა ორგანომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ახალ პირობებში ძალაუფლების შესანარჩუნებლად, რისთვისაც აუცილებელი იყო ხალხის კიდევ ერთხელ მოტყუება,

მიმართეს შენიღბვის, თავის გადარჩენის ახალ მეთოდებს. კერძოდ, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გამოაცხადა, რომ ის ემიჯნება სკკპს და არის დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ჩათვალა რა, რომ მოსკოვში განხორციელებული გადატრიალება და ამ გადატრიალებისათვის მხარდაჭერა ქმნიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის კვლავ ხელისუფლების სათავეში მოქცევის პირობებს, ამასთან, ითვალისწინებდა რა, რომ ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ „ცენტრის" რეაქციულ ძალებთან კავშირის უსწრაფესად დემონსტრირებით, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც სახელწოდებიდან ამოიღო როგორც ამჟამად ზედმეტი მითითება მის დამოუკიდებლობაზე, მის ორგანო „ცხოვრება"ში გამოაქვეყნა ცნობა, რომლითაც ქართველ ხალხს მოუწოდა რეაქციული ძალებისადმი მორჩილება და იმავდროულად ამ რეაქციულ, ქართველი ერისადმი მტრულ ძალებს თავისი ერთგულება და სამსახური შესთავაზა.

სასამართლო კოლეგია საგანგებოდ აღნიშნავს საქართველოს კომუნისტური პარტიის ზოგიერთი ხელმძღვანელის სწრაფვას იმისკენ, რომ პერსონიფიცირებული ყოფილიყო მათი ერთგულება გარეშე ძალებისადმი. კერძოდ: გაზეთ „ცხოვრება"ს რედაქტორმა, გამორჩეულად, გაზეთის იმ ნომერს მოაწერა ხელი, რომელშიც ეს ცნობა გამოქვეყნდა.

ყოველივე ამით საქართველოს კომუნისტური პარტია დაუპირისპირდა საქართველოს რესპუბლიკის, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს და ამით პარტიის სახით არსებობის უფლება დაკარგა.

აღნიშნულის გამო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ

დაადგინა:

1.საქართველოს კომუნისტური პარტია აიკრძალოს, დღეიდან შეწყდეს მისი, როგორც ორგანიზაციის, არსებობა და საქმიანობა.

2. იმის გათვალისწინებით, რომ სსრკის დედაქალაქში განხორციელებული გადატრიალება ობიექტურად მიმართული იყო აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, ატარებდა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულების ხასიათს. ხოლო ასეთ პირობებში საქართველოს კომუნისტური პარტიის გაზეთ „ცხოვრება"ში ცნობის გამოქვეყნების ორგანიზაციის პროცესში ვლინდება სიყალბის

ნიშნები, სასამართლო კოლეგიას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე და 112-ე მუხლების საფუძველზე გამოაქვს კერძო განჩინება.

3. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წინაშე დაისვას საკითხი საქართველოს კომუნისტური პარტიის ქონების ნაციონალიზაციის შესახებ.

გადაწყვეტილება საბოლოოა და საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თავმჯდომარე გ. ბახტაძე.

მსაჯულები: ნ. მაჩაიძე, დ. ბერიაშვილი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

1991 წლის 1921 აგვისტოს სსრ კავშირში მიმდინარე მოვლენების დროს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, აფხაზეთის კპ რესპუბლიკური კომიტეტის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის კპ საოლქო კომიტეტისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა გაუქმებული საბჭოს თვითმარქვია აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებათა შესახებ

1991 წლის 1921 აგვისტოს სსრ კავშირში ადგილი ჰქონდა თვით სსრკ კონსტიტუციის უხეში დარღვევით მომხდარ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, რასაც მოჰყვა სსრ კავშირის ხელისუფლების მიერ შექმნილ ჯაშუშურ ორგანიზაციათა გააქტიურება სსრ კავშირის მოსაზღვრე სუვერენულ სახელმწიფოებში. ასეთ მოქმედებებს მოჰყვა კონსტიტუციური სახელმწიფო წყობილების დამხობის მიზნით პირდაპირი სამხედრო ჩარევა და ჩარევის მცდელობა ბალტიის რესპუბლიკებსა და საქართველოში.

საქართველოს კომპარტიის რესპუბლიკური (საქართველოს, აფხაზეთი ასსრ) და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანოების განცხადებები, რომლითაც ისინი მხარს უჭერენ სსრ კავშირში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორ დამნაშავეთა ჯგუფს,

ფაქტობრივად წარმოადგენენ პირდაპირ მიმართვას სხვა სახელმწიფოს უკანონო ხუნტისადმი სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში სამხედრო ჩარევის მოთხოვნით, რისი მიზანიც იყო კონსტიტუციური წყობილების დამხობა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა გაუქმებული საბჭოს თვითმარქვია აღმასრულებელი კომიტეტის „საქმიანობა". როგორც ცნობილია, უკვე რვა თვეა, რაც დამნაშავეთა ამ ჯგუფმა სსრკ შეიარაღებული ძალების უკანონო მხარდაჭერით მიითვისა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ფუნქცია შიდა ქართლის ტერიტორიის ერთ ნაწილზე, რის გამოც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ და პრეზიდენტმა არაერთხელ მიმართეს პროტესტით სსრ კავშირისა და მსოფლიოს შესაბამის ორგანოებს. სსრკ „კომპეტენტური" ორგანოების დანაშაულებრივი მოქმედებების გამო ეს უკანონობა დღემდე გრძელდება, ხოლო ამ პირებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რას წარმოადგენენ, როდესაც სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს ე.წ. სსრკ საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს საქართველოს კომუნისტური პარტია და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანება, შეწყდეს მათი ორგანოების ფუნქციონირება.

2. ნაციონალიზებულ იქნეს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანების ქონება და იგი გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად.

3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უზრუნველყოს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანების ქონებისა და ფულადი სახსრების მიღებაჩაბარება.

4. საქართველოს რესპუბლიკის ბანკებმა შეაჩერონ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს რეპუბლიკის ტერიტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანების, მათი პირველადი, რაიონული, საქალაქო, საოლქო, აგრეთვე მათ დამ-დაქვემდებარებული სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების ანგარიშ-წორების (მიმდინარე) ანგარიშებიდან ყოველგვარი ოპერაციები.

5. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განიხილოს და გადაწყვიტოს იმ პირთა იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც 1991 წლის 1921 აგვისტოს სსრ კავშირში მიმდინარე მოვლენების დროს საქართველოს რესპუბლიკის მიმართ ჩაიდინეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები.

6. შეჩერდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საქართველოს კომპარტიისაგან არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილება; სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიამ მოამზადოს და სესიის მომდევნო სხდომაზე დააყენოს ამ დეპუტატების უფლებამოსილების საკითხი.

7. არ დაიშვას მოქალაქეთა დევნა ან დისკრიმინაცია მათი კომუნისტური პარტიის წევრობის გამო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.
თბილისი. 1991 წლის 20 აგვისტო.
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ჯორჯ ბუშის ცხარე სიტყვის გამო

მაინც რა მოხდა კიევში ამა წლის 31 ივლისს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, მას შემდეგ, რაც მოსკოვში გუნდრუკი უკმია თავის მეგობარ გორბაჩოვს, სიტყვით მიმართა უკრაინის პარლამენტარებს? ჯორჯ ბუში წონასწორობიდან გამოიყვანა იმან, რომ უკრაინაში ჩაფრენისას, მას ათი ათასობით მოქალაქე დახვდა პლაკატებითა და დროშებით, რომელთა შინაარსი და ლოზუნგები გამოხატავდნენ მოსახლეობის ოპოზიციას გორბაჩოვისადმი, განსაკუთრებით კი სამოკავშირეო ხელშეკრულების საკითხში, რომელიც კრემლის ხელმძღვანელს სურს თავს მოახვიოს რესპუბ-

ლიკებსა და ანექსირებულ სახელმწიფოებს, სუკისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შემწეობით.

ჯორჯ ბუშს განზრახული ჰქონდა სიტყვით გამოსვლა, მაგრამ რამდენჯერმე თავი აარიდა ამას, იმდენად ემოციურად და ცხარედ, რომ შოკირებული აღმოჩნდნენ თვით უკრაინელი კომუნისტებიც კი, რომლებსაც (ისევე როგორც მათს პოლონელ ამხანაგებს) პარლამენტში ადგილების ორი მესამედი აქვთ. უნდა ვიცოდეთ, რომ იმ სატელევიზიო გადაცემების მიუხედავად, რომლებიც გვიჩვენებენ პრეზიდენტს გოლფის მოედანზე ან სარბენ ბილიკზე თამაშისა თუ სირბილის დროს, ბუშს საკმაოდ სერიოზულად შეერყა ჯანმრთელობა: სწრაფად იღლება და ხშირად უგუნებოდაა, ადვილად ღიზიანდება და ბრაზდება, როცა რაიმე მოვლენა ან რომელიმე პიროვნება გზას გადაუჭრის მესიანიზმს, რომლის მოციქულადაც მიიჩნევს თავს. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ამას მძიმე შედეგები მოჰყვება მომავალი პრეზიდენტის არჩევნების წინ, რომელიც 1992 წლის შემოდგომაზე მოეწყობა.

კიევში გაბრაზებულმა ბუშმა ლამის იღრიალა გაოგნებული პარლამენტარების წინაშე, რომ ,,თავისთავად თავისუფლება არ ნიშნავს დამოუკიდებლობას'', და დაუმატა: ,,ზოგიერთი მოგვიწოდებს მხარი დავუჭიროთ ან პრეზიდენტ გორბაჩოვს, ან დამოუკიდებლობისათვის მოძრაობას, რომელიც აქა-იქ მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში. ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. პრეზიდენტმა გორბაჩოვმა განსაცვიფრებელი საქმეები განახორციელა. ჩვენ შევინარჩუნებთ მასთან შეძლებისდაგვარად მჭიდრო ურთიერთობას. ჩვენ მხარს არ დავუჭერთ იმათ, ვისაც სურს წარსული ტირანია ადგილობრივი დესპოტიზმით და რასობრივ სიძულვილს დამყარებული ნაციონალიზმით შეცვალოს.

პირველ საკითხთან დაკავშირებით სამი დღის შემდეგ ამაღლებული სიტყვით მას უპასუხა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც შეახსენა ჩაგრული ერების განცდა და წუხილი იმის გამო, რომ უკვე იალტის კონფერენციის დროს ხალხებისა და ადამიანების უფლებებისათვის ბრძოლის ნაცვლად ვაშინგტონმა სტალინს შეატოვა გერმანელთა ტყვეობაში ნამყოფი ანდა სტალინური დიქტატურისგან თავის დასაღწევად მათ მხარეზე გადასული ათასობით რუსი და არარუსი. ისინი გასწირეს სასიკვდილოდ (ისევე როგორც 45 ათასი ავსტრიას შეფარებული ანტიკომუნისტი იუგოსლავი, რომლებიც ინ-

გლისელებმა და ამერიკელებმა გაუგზავნეს ტიტოს პირუტყვისათვის განკუთვნილი ვაგონებით, წინასწარ დაარწმუნეს რა იმაში, რომ მატარებლები დასავლეთისაკენ მიდიოდნენ, ყველა დახვრიტეს!).

საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სვამს კითხვას: ნუთუ მისი ქვეყანა, რომელმაც გასულ წელს ჩაატარა ნამდვილად თავისუფალი არჩევნები, ნაკლებად „დემოკრატიულია", ვიდრე ქუვეითი ან საუდის არაბეთი (სადაც არასდროს ყოფილა თავისუფალი არჩევნები). ნუთუ ორიათასწლოვანი ერი, კითხულობს იგი რომელმაც ქრისტიანობა IV საუკუნეში მიიღო და რომელიც ყოველთვის იცავდა სამართლიანობას და სამართალს, უნდა გმინავდეს მონობის ყულფში კისერგაყოფილი და რჩებოდეს სამოკავშირეო ხელშეკრულების უღელქვეშ, რომელიც მხოლოდ მასკარადია საბჭოთა დიქტატურის შესანარჩუნებლად გამიზნული.

ევროპის საინფორმაციო ცენტრი
22 აგვისტო 1991 წელი
გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 27 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

თენგიზ სიგუასა და გიორგი ხოშტარიას ინტერვიუ

ნებისმიერი ქვეყნის პრემიერის გადადგომა მყისვე აღმოჩნდება ხოლმე მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში. ამ უკანასკნელ ხანს საქართველოს მთავრობაში და თვით უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უზენაეს საბჭოში ბევრი საკადრო ცვლილება მოხდა. გადადგნენ ან გადააყენეს უზენაესი საბჭოს კომისიების თავმჯდომარეები, მინისტრები სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებრიობამ თითქმის არაფერი იცის ამ გადადგომა-გადაყენების ნამდვილი მიზეზების შესახებ უფრო ზუსტად, იცის მხოლოდ ფაქტი ერთი გადადგა, მეორე დაინიშნა. გადამდგართა შორის აღმოჩნდა ბატონი თენგიზ სიგუაც, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე.

თენგიზ სიგუა:

პრემიერმინისტრობიდან ჩემი გადადგომა რამდენიმე მიზეზმა განა-

პირობა. მათგან უპირველესი საკადრო საკითხია. თვალნათლივ ვხედავდი, არაპროფესიონალ ხალხს აძლევდნენ რეკომენდაციებს. საწუხაროა, როცა მთავრობის წევრები არიან ადამიანები, ვისაც არ გააჩნია აუცილებელი პროფესიული და საქმიანი თვისებები. ჩემს პროტესტებზე ბატონ პრეზიდენტს მუდამ ერთი პასუხი ჰქონდაეს ჩვენი ხალხია.

ჩემი აზრით, ერთადერთი რითაც ჩვენ შეგვიძლია უშურველად ვისარგებლოთ, გავცეთ ისე, რომ არ დავზარალდეთ, ჩვენი ხალხის ინტელექტია. ჩვენ ამას არ ვიყენებთ. ჯერ კიდევ მარტში დაიწყო შემოტევები. პრეტენზია წამიყენეს, მთავრობაში მთელი აკადემია მოიყვანაო. განა ეს ცუდია? ვითომ უკეთესია, როცა იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ იურისპრუდენციაში ნაკლებად ჩაუხედავ პიროვნებას ვნიშნავთ, ვაჭრობის მინისტრად კი პროფტექნიკური განათლების ცენზიან კაცს?

თავიდან მეგონა, ბრძოლით ჩემსას მაინც გავიტანდი. ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მე ვერ შევძელი პრეზიდენტის მოთხოვნის მოგერიება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მინისტრის, ირაკლი მენაღარიშვილის გადაყენების შესახებ. ვიცი, რომ იგი უპატიოსნესი ადამიანია და არ იქნებოდა გარეული „მედტექნიკის" მაქინაციებში. მაინც მაიძულეს გამეთავისუფლებინა თანამდებობიდან.

მე ვერ შევძელი დამერწმუნებინა პრეზიდენტი, რომ საქმე პროფესიონალმა უნდა აკეთოს; რომ არ შეიძლება მინისტრის მოადგილეობა უბოძო ისეთ ადამიანებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საჭირო პროფესიული ჩვევები.

მეორე საკითხი, რაც ჩემთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელია, გახლავთ, პრეზიდენტის ბრძანებულებები. საფრანგეთიდან მობრუნებულმა გზაში გაზეთში წავიკითხე მებაღეობის წინააღმდეგ მიმართული პრეზიდენტის ბრძანებულება. ცხვარიჭამიას ისტორია გამახსენდა, ოღონდ აქცია ამჯერად გაცილებით მასშტაბურია: საბაღე კოოპერატივებს გადაუკეტეს წყალი, გამოურთეს ელექტროენერგია, გადაუთხარეს მისასვლელი გზები... ბეწვზე მივუსწარი უკვე გამზადებულ, შეიძლება ითქვას, „განკულაკების" კანონს, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სუკს ევალებოდა მოსავლის აღების პერიოდში უკანასკნელ მარცვლამდე ჩამოერთვა გლეხისათვის მოსავალი. ორი დღე ვარბილეთ ეს კანონი, მაგრამ მაინც მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჩემთვის სრულიად გაუგებარია ასეთი ფაქტიც: პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი. მიმართვა დაიბეჭდა საქართველოს მთავრობის ბლანკზე და იმუ-ბაიგ ზავნა ამერიკაში, რომ საქართველოს მთავრობამ არაფერი იცოდა. არადა, 1 სექტემბრისთვის დაგეგმილი იყო ჩემი ვიზიტი შეერთებულ შტატებში, სადაც უნდა შევხვედროდი ბეიკერს და, შესაძლოა, პრეზიდენტ ბუშსაც. ასეთ დროს ამგვარი წერილის გაგზავნა პოლიტიკური შეცდომა იყო...

ასევე, გაუგებარი გახლდათ ჩემთვის აპრილის გაფიცვა, ეგრეთ წოდებული ბლოკადა, რომელმაც 400 მილიონი მანეთის ზარალი მიაყენა რესპუბლიკას, პოლიტიკურად კი არაფერი შეგვძინა...

შეიქმნა დახურული ზონები, სადაც ვერც ფინანსთა სამინისტრო და ვერც საგადასახადო ინსპექცია ვერ შედის. რა ხდებოდა იქ, არავინ იცოდა; მათ შორის არც მე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ.

დღემდე არ დაწყებულა რეფორმები ეკონომიკაში. კვლავინდებურად ცენტრალიზაციის პრინციპი მოქმედებს. ათი თვეა, ახალი ხელისუფლება მოვიდა და საქართველოში, ფაქტობრივად, ისევ არსებობს კოლმეურნეობა. ლოზუნგი „მიწა გლეხს!'' მხოლოდ ლოზუნგად დარჩა.

კერძო საკუთრების გარეშე მომავალი არ არსებობს, ერთ-ერთი შეხვედრისას მოვუწოდე პრეფექტებს, არ დალოდებოდნენ მიწის კანონს, დაეშალათ კოლმეურნეობები, საბჭოთა (საზაგადეობრივი) მეურნეობები და მიწა გლეხებისთვის გადაეცათ. პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებდი. არაფერი გამოვიდა. არც გამოვიდოდა, რადგან ეკონომიკის მართვის არსებული წესი სრულიად მისაღები აღმოჩნდა „პრეფექტურული'' მმართველობისათვის.

პრეფექტი რაიონის მეფეა. რაიკომის მდივანი კანონიერების რაღაც ფარგლებში მაინც მოქმედებდა. პრეფექტს განუსაზღვრელი უფლებები აქვს. არა, კარგი პრეფექტებიც არიან, მაგრამ ეს მათი დამსახურებაა და არა „პრეფექტის შესახებ კანონისა''. ალბათ, ბევრი ჩემსავით გაოცდა, როცა პრეზიდენტმა სესიაზე ერთ-ერთ გამოსვლაში სოციალისტური წყობის ზოგიერთ დადებით მხარეზე და სოციალიზმის ელემენტების შემოტანაზე ისაუბრა. ამის ახსნაც შეიძლება: დღეს ბევრი ჭკვიანი ახალგაზრდა გამოჩნდა, ვისაც აქვს ცოდნა და ენ-

ერგია. მაგრამ მათ ჯერ ფინანსური ძალა არ გააჩნიათ. გუშინდელ „ქურდებს" კი დიდი კაპიტალი აქვთ, გონება და ჭკუანაკლები. ამიტომ ეშინიათ ამ ახალგაზრდების, რომლებიც მათ 23 წლიდან-ში თავისი ცოდნით დაამარცხებენ. ჩამოყალიბდა კაპიტალის მქონე ხალხის კასტა, შეიქმნა ლობი. მათ, შესაძლოა, მოახერხეს პრეზიდენტზე ზეგავლენის მოხდენა. და, აი შედეგიც პრეზიდენტი გამოვიდა კოოპერატივების, ერთობლივი საწარმოების, ბირჟების წინააღმდეგ. გემახსოვრებათ, როცა სესიაზე ეკონომიკური რეფორმების კომისიამ გამოიტანა კანონი მეწარმეობის შესახებ, პრეზიდენტმა ეს კანონი გააცამტვერა. უნაკლო კანონი არ არსებობს. დღეს ტემპს აქვს მნიშვნელობა. დრო ისედაც ბევრი დავკარგეთ.

დასავლეთი დაეხმარება მხოლოდ იმ ქვეყანას, რომელსაც გეზი აქვს აღებული დემოკრატიისა და საბაზრო ურთიერთობისაკენ. უცხოეთში შეხვედრებისას კითხვების 90 პროცენტი სწორედ ამას ეხებაროდის გადახვალთ თავისუფალ ეკონომიკაზე?

რუსეთთან ურთიერთობა დაძაბა ხელშეკრულებამ თათარსტანთან. თებერვალში, საქართველოში ნავთობპროდუქტების კრიზისისას, მოსკოვში შევხვდი თათარსტანის ხელმძღვანელობას და მახმარება ვთხოვე. შევთანხმდით, რომ ისინი მოგვაწოდებდნენ 250 ათას ტონას ნავთობპროდუქტს და 200 „კამაზს". ჩვენ მივაწოდებდით ჩაის, ხილს, ღვინოს, შამპანურს. ეს იყო ერთჯერადი შეთანხმება. შემდგომში თათარსტანმა უარი თქვა რუსეთის არჩევნებში მონაწილეობაზე, ჩააბარა თავისი არჩევნები და გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ივლისში თათარსტანის პრემიერ-მინისტრმა ჩვენი დელეგაცია მიიწვია. ჩემი შეცდომაა, რომ დელეგაციის მეთაურად ჩემი მოადგილე, მურმან ომანიძე დავნიშნე. შეგახსენებთ, ომანიძეს ევალებოდა მოლაპარაკება ნავთობპროდუქტებზე, მეტი არაფერი. მან კი დაიწყო ლაპარაკი პოლიტიკურ ხელშეკრულებაზე, საქართველოსა და თათარსტანის პრეზიდენტების შეხვედრაზე და ასე შემდეგ. ეს იყო უდიდესი პოლიტიკური შეცდომა. ყაზბეგში შეხვედრისას ელცინი დაგვპირდა: თქვენს შინაურ საქმეებში არ ვერევი. რამდენჯერმე მოვიდა ჩემთან არძინბა თავისი დელეგაციით და არ მივიღეო. ამდენად, პოლიტიკურ ხელშეკრულებაზე ლაპარაკი თათარსტანთან, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ რუსეთის ფედერაციაში შედის, დაახლოებით იგივეა, ხვალ ელცინმა და არძინბამ საქართველოსთან შეუთანხმებლად პოლიტიკურ

ხელშეკრულებას მოაწერონ ხელი...

ყოველივე ეს გროვდებოდა. პირველი ხმამაღალი პროტესტი გამოვთქვი 22 ივნისს, მეორე 16 ივლისს და მესამე 15 აგვისტოს. დავრწმუნდი, ჩემს გამოსვლებს აზრი არ ჰქონდა. რაც მთავარია, პრაქტიკულად მე ვერ შევძელი გამეკეთებინა იმის მესამედიც კი, რაც მთავრობის თავმჯდომარედ ჩემი დანიშვნისას შევპირდი ხალხს. არა აქვს მნიშვნელობა, რა მიზეზით. ამიტომ გადავდექი. არც ვნანობ.

მომავლის ჩემი პროგნოზი ასეთია:

თუ საქართველოს უზენაესი ხელისუფლება რესპუბლიკას დღევანდელი კურსით წაიყვანს, ვშიშობ, მივიღებთ ალბანეთის „ქართულ ვარიანტს": მსოფლიოსაგან იზოლირებული, საკუთარ ნაჭუჭში ჩავიკეტებით და საკუთარ წვენში მოვიხარშებით. ანუ დემოკრატიული საზოგადოების შენების დაწყებას გვარიანად დავაგვიანებთ.

გიორგი ხოშტარია:

პირველი მძაფრი კონფლიქტი პრეზიდენტთან ჯორჯ ბუშის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ მომივიდა.

მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ გამსახურდიამ დამიბარა და საყვედური გამომიცხადა, რადგან, თურმე, არ შემომაქვს რესპუბლიკაში კარაქი, რძე, ხორცი... მართალი გითხრათ, აქამდე არ ვიცოდი, პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობაში თუ შედიოდა. საგარეო საქმეთა მინისტრს საგარეო ეკონომიკური კავშირების დამყარება ევალება და ამას ვაკეთებდი კიდეც. მაგალითად, ახლახანს თბილისში ჩამოვიყვანე ბროფმანი, რომელთანაც ხეირიანად შეხვედრა ჩვენმა პრეზიდენტმა არც იკადრა და იძულებული გავხდი, ფოთში, ევროპის ჩემპიონატის გახსნაზე შემეხვედრებინა. არადა, ეს არის მსოფლიო მილიარდელების ოცეულში შემავალი კაცი. როცა იგი ვაშინგტონში ჩავიდა, პრეზიდენტმა ბუშმა დასვენება შეწყვიტა და მის სანახავად ვაშინგტონში ჩაფრინდა. სექტემბერში, თენგიზ სიგუას შეერთებულ შტატებში ვიზიტისას, დაგეგმილი მქონდა მისი შეხვედრები ბიზნესის ელიტასთან. ესაა ჩემი ფუნქცია და არა კარაქის შემოტანა. მაგრამ პრეზიდენტმა ისევ გაიმეორაშენ მეურნეობა არ გეხერხება. ომანიძეს დავნიშნავ საგარეო საქმეთა მინისტრად და კარაქსაც და ხორცსაც შემოიტანსო. რა უნდა მეპასუხა?

ეს გახდა ოფიციალურად ჩემი მოხსნის მიზეზი. მაგრამ არის მო-

ერე მხარეც განუკითხაობის პერიოდში პრეზიდენტის გვერდით ვერ ვიქნებოდი. ადრეც ვიცოდი, ბატონ გამსახურდიას რთული ხასიათი აქვს, მაგრამ ბოლო დროს მისი მოქმედება ყოველგვარ ზღვრებს გასცდა. აქ ყველას მიუძღვის ბრალი, უპირველესად კი პარლამენტსა და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, როცა განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭეს პრეზიდენტს. თავის დროზე პარლამენტს ხმა უნდა ამოეღო. თუნდაც მაშინ, როცა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის მოხსნის გამო „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა სტატია სიგუასა და ბერიძის ხელმოწერით. ეს მათი სტატია კი არა, აბსანძის კომისიის დასკვნა იყო, რომელიც მინისტრთა საბჭომ არ მიიღო. მასალა ისე მიიტანეს რედაქციაში, თითქოს სიგუამ მოაწერა ხელი. ბატონმა თენგიზმა პროტესტი გამოთქვა და გასწორება იმავე გაზეთში დაიბეჭდა, მაგრამ ამ ფაქტმა საჭირო გაკვეთილის როლი ვერ შეასრულა.

გულახდილად გეტყვით, მიუხედავად მომხდარისა, მაინც არ ვნანობ, რაც გავაკეთე. „მრგვალი მაგიდის" არსებობის პირველი პერიოდი უბედნიერესი დროა ჩემს ცხოვრებაში. მაშინ ყველანი თანამებრძოლნი ვიყავით და საქმეს ერთად ვაკეთებდით. ბატონი ზვიადიც უფრო თვითკრიტიკული იყო. ახლა მას ველარ ვცნობ...

ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ პრეზიდენტს აუცილებელი ღონისძიებების პროგრამა წარვუდგინე, რის გარეშეც ამერიკის უმაღლესი პოლიტიკური წრეები მას არ მიიღებდნენ: სხვა პარტიებისთვის უნდა მიეცა პრესა და ტელევიზიაში გამოეყო დრო, რეალურად გაეტარებინა პრივატიზაცია, კათოლიკეებისათვის გადაეცა მეორე ეკლესია, შეეწყვიტა თავდასხმები შევარდნაძეზე, რომელიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს მთელს მსოფლიოში. ეს პირობები რომ მიეღო, დღეს საქართველო იმ 6 რესპუბლიკის რიცხვში იქნებოდა, ვისაც მსოფლიო ახლა დიპლომატიურად ცნობს. არ შეიძლება, ყველგან მტერს ხედავდე. არც ერთხელ საკუთარ თავს არ მოკითხო, რატომ არის უცხოეთის პრესა შენს მიმართ ნეგატიურად განწყობილი და ეს ვილაცას გადააბრალო...

მაქვს ერთი ფრიად საინტერესო ვარაუდი ჩემი გათავისუფლება ადრევე იყო ჩაფიქრებული. მაისის ბოლოს ამერიკაში ვიზიტისას ერთ-ერთი ერთობლივი საწარმოს გენერალურმა დირექტორმა, ჩვენმა თანამემამულემ ჩემს თანამშრომელს უთხრა, "ამიერიდან ომანიძესთან

ვამყარებ ურთიერთობას, რადგან მალე სიგუას მოხსნიან და ხოშტარიაც თან მიჰყვებაო" ახდა ეს წინასწარმეტყველება.

ბოლო დღეებში კიდევ ერთი ძალზე უსიამო ფაქტი მოხდა. უსაქციოდ დააპატიმრეს ჩემი ყოფილი თანაშემწე ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადეობის თავმჯდომარე სოსო ჯაჯანიძე და საზოგადოების 3 წევრი. ბრალად უყენებენ გვარდიის დაშლასთან დაკავშირებით პროკლამაციების დამზადებასა და გავრცელებას. პროკურატურაში დაგვიბარეს თენგიზ სიგუა და მე და კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ გაფრთხილებაზე მოგვაწერინეს ხელი.

ნახეთ, 6 რესპუბლიკის აღიარების საკითხი უკვე დგას დღის წესრიგში. წესით, ბალტიის რესპუბლიკების შემდეგ ჩვენი რიგი იყო. ახლა?

დღევანდელ სიტუაციაში ყველამ უნდა ვიგრძნოთ ჩვენი შეცდომა მინისტრებმა, პარლამენტმა, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, საზოგადოებამ. ჩვენ ზედმეტად ავყევით ემოციებს და სიფხიზლე ვერ გამოვიჩინეთ. როგორც ჩანს, ყველას არ შეუძლია უდიდესი პასუხისმგებლობის დიდი ტვირთის ზიდვა.

ანალოგიური შეკითხვით მივმართეთ მთავრობის თამჯდომარის ყოფილ მოადგილეს, ბატონ ოთარ ქვილითაიას. მისი პასუხი ლაკონური იყო: მთავრობის თავმჯდომარის გადადგომა ნიშნავს, რომ უნდა გადადგნენ მთავრობის დანარჩენი წევრებიც. ბატონ თენგიზ სიგუას გადადგომის შემდეგ მეც უნდა დამეტოვებინა ჩემი პოსტი. ამიტომაც გადავდექი.

გაზ: "დრონი", 30 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ფრანსპრესის სააგენტო იუწყება

ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ძალიან ენერგიულად გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიტყვებს, რომლის მიხედვითაც გორბაჩოვმა თვითონ მოაწყო პუტჩი, რათა პოპულარული გამხდარიყო. ეს გამსახურდიამ სიენენის კორესპონდენტს განუცხადა. პრესკონფერენციაზე გამსახურდიას სიტყვების თაობაზე

ასეთი რეპლიკა გაისმა: „ამას არავითარი საფუძველი არ აქვს". მანამდე ედუარდ შევარდნაძემაც გაილაშქრა თავისი ძველი მეგობრის გორბაჩოვის წინააღმდეგ. ყოფილმა მინისტრმა მიანიშნა, შესაძლებელია გორბაჩოვი პუტჩისტების თანამზრახველი იყოსო. ორშაბათს მან განაცხადა: „თუ გორბაჩოვი ამ შეთქმულებაში მონაწილეობდა, მაშინ მან ხალხის წინაშე პასუხი უნდა აგოს". საფრანგეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ის უფრო შორს წავიდა: „ვიმედოვნებ, რომ ამ შემთხვევაში გორბაჩოვი არის მსხვერპლი და არა წამქეზებელი, მაგრამ თუ არა, მაშინ ეს ნიშნავს მის ფიზიკურ, მორალუ და პოლიტიკურ სიკვდილს".

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 31 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * *

გაზეთი „ლიბერასიონი", 25 აგვისტო

საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ორშაბათს გამოთქვა აზრი, რომ „სსრკში შექმნილი ვითარება რთულია. მე უარს ვამბობ მოვლენათა პოლიტიკურ შეფასებაზე, განაცხადა მან ტელევიზიით. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შევინარჩუნოთ სიმშვიდე რესპუბლიკაში და არ მივცეთ მტრულ ძალებს ინტერვენციის საბაბი".

გუშინ, პუტჩის საბოლოო კრახის შემდეგ, ზვიად გამსახურდია კვლავ ფიქრობდა, რომ „ყველაფერი შესაძლებელია; ჩვენ დიდ სამხედრო ზეგავლენას განვიცდიდით და მე არ ვიცი, რა სურთ რეაქციულ ძალებს, რომელთაც ძალუძთ ხვალ ახალი გადატრიალების მოხდენა. ამიტომ აუცილებელია, რომ დასავლეთის ქვეყნებმა დაუყოვნებლივ ცნონ ჩვენი რესპუბლიკები და დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა".

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 31 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * *

ბატონ ზ. ბამსახურდიას ინტერვიუ ბაზ. „ფიგარო"ს კორესპოდენტთან საქართველოს პრეზიდენტს საეჭვოდ მიაჩნია გორბაჩოვის უდანაშაულობა პუტჩში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნიკეში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, მომხდარი პუტჩი თქვენ მიიჩნიეთ, როგორც მიზანსცენა, ინსცენირებული კრემლის ზოგიერთი ლიდერის მიერ. რა გაძლევთ ამის საფუძველს?

ძნელი სათქმელია, რა მოხდა სინამდვილეში, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ რა პერსპექტივები გადაუშალა გორბაჩოვს ამ პუტჩმა. მომხდარმა ამბავმა მას უდიდესი პოპულარობა და ნდობა მოუხვეჭა. ამჟამად მას დიდი შანსი აქვს გაიმარჯვოს პრეზიდენტის არჩევნებში. სწორედ ეს გარემოება მაფიქრებინებს სპეციალურად შემუშავებული ინსცენირების შესაძლებლობას, რომლის მიზანიც ხალხის მოტყუებაა. რატომ მოხდა, რომ ერთადერთი, ვინც დააპატიმრეს, იყო გორბაჩოვის პირადი მტერი გლდიანი. რატომ ეს არ შეეხო ელცინს ან სხვებს? ეს ყველაფერი ეჭვს იწვევს.

შევარდნაძის განცხადებამ, სადაც მან ეჭვი გამოთქვა იმ ჭეშმარიტ როლზე, რომელიც გორბაჩოვმა გადატრიალებაში შეასრულა, შესაძლებელია თუ არა გამოიწვიოს ნომერ პირველი საბჭოთა მოქალაქის დისკრედიტაცია?

არა, ამჟამად მისი სტატუსი ინგლისის დედოფლის სტატუსს ჰგავს. თანაც, ამას ემატება დასავლეთის მხრიდან გაძლიერებული დახმარების გაზრდის პერსპექტივა, რაც ძალიან მალე უნდა მოხდეს. ყველაფერი ეს ძალზე წარმტაც მონახაზებს იღებს. მაგრამ, მოდით დაველოდოთ იმას, თუ რა ბედი ეწევა იანაევს. თუ დააპატიმრეს, გაასამართლეს და დახვრიტეს, მაშინ ეს მართლაც პუტჩი ყოფილა. თუ ასე არ მოხდა და პატიმრობისას სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაამთავრებს, ან მძიმე ავადმყოფობა შეეყრება, მაშინ ცხადი გახდება, რომ პუტჩი ინსცენირებული იყო. ამას მალე გავიგებთ.

იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნება საბჭოთა კავშირში ვითარება, როგორ უყურებთ თქვენს ადგილს ამ სისტემაში? შესაძლებელია თუ არა ამ პირობებში მოაწეროთ ხელი ახალ ხელშეკრულებას?

თუ ეს ხელშეკრულება, ახალი იქნება, შესაძლოა ჩვენ მას გავ-

ეცნოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, აბსტრაქციული ცნებასსრ კავ-შირიმთლიანად იშლება, დეზინტეგრაციას განიცდის. ჩვენ, ვფიქრობ, ყველა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ამიერიდან აღარ იქნება ცენ-ტრის დიქტატურა, კონსერვატორების მკაცრი კურსი. საბჭოთა კავ-შირში შესაძლოა შეიქმნას რაღაც საერთო ბაზრის მსგავსი, რომლის სათავეში იქნება შეზღუდული უფლებების მქონე პრეზიდენტი.

რა ზომები მიგაჩნიათ საჭიროდ საქართველოს დამოუკიდებლობის უზ-რუნველსაყოფად: სწრაფი პრივატიზაცია, საკუთარი ფული, ქართული პას-პორტები, საზღვარგარეთ საელჩოები?

რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ამისათვის საჭიროა დასავლეთმა გვცნოს; ეს მალე უნდა მოხდეს. რაც შეეხება ფულს,მოვჭრით. ამისთ-ვის ერთი წელი გვჭირდება. მას ქართული სახელი ექნება მარჩილი. ხოლო პრივატიზაცია ჯერ პატარა საწარმოებსა და სავაჭროებს შე-ეხება, და არა დიდ ქარხნებსა და ფაბრიკებს.

რაც შეეხება მიწას?

პრივატიზაცია უკვე დაიწყო.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები რჩე-ბიან.

დიახ, სწორია, მაგრამ კოლმეურნეობების გარკვეული ნაწილი სახელმწიფო ფერმებად იქცა.

თქვენ იხმარეთ სიტყვა „დესოვეტიზაცია", ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ფერმები ქართული სახელმწიფოს საკუთრებად იქცა?

დიახ.

შესაძლებელია თუ არა ახლო მომავალში ამიერკავკასიის ერთიანობა, რომელსაც თქვენ ესწრაფვით?

რასაკვირველია. კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან კარგი ურთიერ-თობა გვაქვს. ამ ურთიერთობაში შემრიგებლობა და სტაბილურობა სუფევს. ვიმედოვნებ, რომ ვიხილავთ ამიერკავკასიას თავისუფალი ვაჭრობის ზონად.

დემოკრატია გულისხმობს ოპოზიციას. ის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში სუფევს, ხომ არ გამოიწვევს ძლიერი ხელის, ავტორიტარიზმის გამოჩენას?

წესრიგი და დისციპლინა აუცილებელია. საქართველოში გვაქვს წესრიგი, და ამავე დროს, გვყავს ოპოზიციური ჯგუფები. არსებობს ლეგალური ოპოზიცია, რომლის ლიბერალიზაციის პროგრამა ჩვენ

ანარქიამდე მიგვიყვანდა. არის კომუნისტური ოპოზიცია, რომელიც პუტჩის მხარდაჭერის შემდეგ ფაქტობრივად დაიშალა. ამასრ ქმნიდა შეიარაღებული დანაშაულებრივი ოპოზიცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეტაკებები იყო. ახლა რა ვითარებაა?

მთავარი ქალაქიცხინვალი ისევ ბანდიტების ხელშია. იქ არის უკანონო ხელისუფლება, რომელსაც არავითარი ავტორიტეტი არა აქვს. ,,სოიუზის'' მიერ შექმნილმა მოძრაობამ ქართველები ქალაქიდან გააძევა, ამიტომ იყო, რომ ამ ექსტრემისტებმა სიხარულით დაუჭირეს მხარი გადატრიალებას.

რა ელის გორბაჩოვ ელცინის ტანდემს?

წინასწარმეტყველი არა ვარ, მაგრამ ვიცი, რომ გორბაჩოვი ამჟამად საბჭოთა კავშირში დიდ ძალას აღარ წარმოადგენს. რაც შეეხება ელცინს, სასიხარულოა, რომ მან დიდი გამარჯვება მოიპოვა. მე მხარს ვუჭერ მის პოლიტიკურ მიზნებს.

ერიკ ფლამანი.

გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 31 აგვისტო, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ გაზეთ „ტრუდის" კორესპონდენტთან

ბატონო ზვიად, როგორ აფასებთ საქართველოს დღევანდელ საზოგადოებრივპოლიტიკურ სიტუაციას?

არის როგორც საშინაო, ისე საგარეო ხასიათის სიძნელეები. მაგრამ ყოველივე ეს ძირმოჭმული კომუნისტური რეჟიმის მემკვიდრეობა გახლავთ, რომელმაც ბოლო წლებში გახრწნა საზოგადოება. კრახის პირას მიიყვანა რესპუბლიკის ეკონომიკაც და საზოგადოებრივი ცხოვრებაც. განსაკუთრებით განვითარდა დამნაშავეობა, რომელსაც ეს რეჟიმი საქართველოში, გრძნობდა რა აღსასრულს, ვფიქრობ, შეგნებულად აკანონებდა კიდეც... ჩვენში კატასტროფული ვითარებაა ამ თვალსაზრისით. ეს სოციალური უბედურებაა, რომელიც პოლიტიკურ საშიშროებადაც გადაიზრდება. აი, მთავარი რაც მაშფოთებს.

ამ დროს კი რუსი დემოკრატები კვლავ „გვამხილებენ" და ამტკიცებენ, თითქოს ჩვენ ვაპატიმრებდეთ პოლიტიკურ ოპოზიციურ ერ-ებს მაშინ, როცა ვაკავებთ დამნაშავეებს. საკმარისია, გავიხსენოთ რომელიმე ბანდა, რომ თბილისადან სხვადასხვა გამოცემაში უმალ იგზავნება ცრუ ინფორმაცია, თითქოსდა დაზარალდა რომელიღაც პოლიტიკური ორგანიზაცია. **სხვათა შორის, დანაშაულებრივი სამყარო ახლა მოხერხებულად არის ამოფარებული სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებას, ამიტომაც მათთან ბრძოლა ძნელია. აი, რა ართულებს ჩვენს საშინაო პოლიტიკურ ვითარებას.**

გარდა ამისა, ხელოვნურ კონფლიქტებს ქმნიან ყოფილ სამხრეთ ოსეთში. ლტოლვილთა პრობლემა ასევე მწვავედ დგას მათმა რიცხვმა უკვე 10 ათასს მიაღწია და არ ვიცით, რა მოვუხერხოთ. ისინიც უმართავი ადამიანები არიან, აღგზნებულები, ყველაფერი დაკარგეს... ესეც ცენტრის პოლიტიკის მიზეზით ხდება, რომელსაც სურს აქ სიტუაციის დესტაბილიზაცია, ჩვენი მდგომარეობის შერყევა. ამას ემატება პირდაპირი, აშკარა ბლოკადა. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითებით ბარტერული გარიგებანიც კი იფუშება: ჩვენ ვგზავნით საქონელს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო კი აკავებს საქონელს, რომელიც სანაცვლოდ გვეგზავნება. სხვაგვარად თუ ვიტყვით, სურთ საქართველო მოაშთონ პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც. ასე რომ, მძიმე მდგომარეობა გვაქვს.

ზოგიერთი თქვენი ოპონენტი, მაგალითად, ადგილობრივი სოციალდემოკრატები გსაყვედურობენ, რადიკალური რეფორმები ეკონომიკაში ყოვნდებაო. წინასაარჩევნო ბრძოლის დროს აქაიქ გაისმა, რაც ახლა საქართველოში ხდება, ნეოსოციალიზმიაო. ეკონომიკის მართვაზე თუ ვილაპარაკებთ, იგი როგორც თქვენს ოპონენტებს ჰგონიათ, ცენტრალიზებული რჩება. რა რეფორმები და კანონპროექტები მზადდება ამ დარგში?

უწინარეს ყოვლისა პრივატიზაციის კანონი, ძალზე მალე, ვიმედოვნებ, მივიღებთ მიწის კანონს, დაკანონდება მისი პრივატიზაცია და ოპონენტებსაც გაუქრებათ „კოზირები"... საერთოდ კი უნდა გითხრათ, რომ ესენი ოპონენტები კი არა, პროვოკატორები არიან. თავის დროზე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ჩვენში შექმნა სოციალდემოკრატთა ფსევდოპარტია. მათ ყველა შესანიშნავად იცნობს. ასე რომ, მათი აზრები აქ მოსატანი არ არის. იცით, რითი სარგებლობენ? ექვს თვეში შეუძლებელია მთლიანად შეცვალო

სისტემა, რომელიც 70 წელზე მეტია არსებობს. აქედან ჩანს, რომ ისინი ბოროტი განზრახვით ამახინჯებენ ფაქტებს. განა ასე შეიძლება? სინამდვილეში ისინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგენტები არიან. ეს იგივე კომპარტიაა, მხოლოდ სახელი შეიცვალა.

როცა შარშან ნოემბერში პოლიტიკური ძალების ბლოკი თქვენი ხელმძღვანელობით ხელისუფლების სათავეში მოვიდა, თქვენ გამოაცხადეთ გარდამავალი პერიოდი საქართველოს სუვერენიტეტის გზაზე. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირში შექმნილ ესოდენ არასტაბილურ და გაუთვალისწინებელ ვითარებაში ძნელია რაიმეს განჭვრეტა და მაინც, თქვენი აზრით, როდის შეიქმნება საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძველი?

მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქართველო გავა სსრ კავშირის შემადგენლობიდან, გახდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. მანამ სრულყოფილი ეკონომიკური რეფორმაც კი პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან სოციალისტური სისტემა ძალმომრეობით, ეკონომიკურად, ერთი სიტყვით, ყოველმხრივ გვაფერხებს.

ნება მიბოძეთ დაგისვათ „საფირმო" კითხვა. არის აზრი, რომ საქართველოს დამოუკიდებელ პროფკავშირთა კონფედერაციაში, რომელიც ერთი წლის წინათ შეიქმნა, თავიდანვე არ ასრულებენ პროფესიული კავშირების მთავარ ფუნქციას, რაც გულისხმობს მშრომელთა ინტერესების დაცვას. თქვენი აზრით, რა როლი აკისრია პროფკავშირებს დღეს?

ჩვენთან, სამწუხაროდ, ამ დარგში ვერ მოგვარდა მუშაობა. კონფედერაციაში მეტად ძლიერი შინაბრძოლაა. ვერც საქმეა მაინცდამაინც ისე კარგად აწყობილი, როგორც გვინდოდა. გვსურს ვიხილოთ მთლიანად თავისუფალი პროფკავშირები, რომლებიც დაიცავენ მშრომელთა ინტერესებს. კონფედერაციაში პირად ამბიციებს არიან აყოლილები, პირადი ინტერესები ეჯახება ერთმანეთს. ამიტომ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, საქებარ სიტყვას ვერ შევაწევ ჩვენს პროფკავშირებს. მაგრამ ძალზე ვცდილობ მივაღწიო, რომ გვქონდეს ისეთი პროფკავშირები, როგორიც არის ამერიკის შრომის ფედერაცია და საწარმოო პროფკავშირების კონგრესი (ამერიკის შეერთებული შტატები) ან პოლონეთის „სოლიდარობა".

ყმაწვილკაცობიდან ცნობილი ხართ, როგორც სამართალდამცველი, ახლა კი გაგიჩნდათ ახალი, მშვიდობისმყოფლური ამპლუა: იცით, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი ჯერ კიდევ მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყე-

ბამდე ერთმანეთს კონტრპირობებს უყენებენ, თქვენ კი მაინც შუამავლობას სთავაზობთ. რას ეფუძნება მეზობლებს შორის მრავალწლიანი კონფლიქტის მოწესრიგების თქვენეული გზა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო ტრადიციულად ყოველთვის კისრულობდა აზერბაიჯანელთა და სომეხთა შემრიგებლის როლს. თქვენ უთუოდ იცით კავკასიაში მეფის რუსეთის ბატონობის ნაცადი მეთოდიმეზობელ ხალხებს შორის ნიადაგ შუღლის გაღვივება. მინდა ჩავაგონო ლევონ ტერპეტროსიანს და აიაზ მუტალიბოვს, რომ კონფლიქტი მათ თავს მოახვიეს გარედან, რომ ეს არც „ბუნებრივი" და მით უმეტეს, არც კავკასიური მოვლენაა. შუღლი იმპერიამ დანერგა. მაგალითად, 1905 წელს თბილისში სომეხ-აზერბაიჯანელთა საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოეწყო, რომელიც შეაჩერეს ქართველებმა, და შეარიგეს საუკუნოვანი მეზობლები. ჰოდა, მეც ვისწრაფვი ავაღორძინო ჩვენი ტრადიციული როლი. დღეს არ მინდა, კაცმა რომ თქვას, არც შემიძლია ყველაფერი ვთქვა, მაგრამ კრემლმა რამდენიმე ეფექტიანი ღონისძიება განახორციელა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა ნავარაუდევი შეხვედრის ჩასაფუშად, ისე რომ უკვე თითქმის შეუძლებელია ჩემი განზრახვის აღსრულება.

მიუხედავად ამისა, ვემხრობი თქვენს ინიციატივას და შეგახსენებთ, რომ 1922 წლის პირველ სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ამიერკავკასიის ფედერაციის მონაწილეებმა. რამდენად რეალურია უახლოეს მომავალში „საერთო კავკასიური სახლის" აშენება, როცა ახლა სამივე რესპუბლიკა ესწრაფვის თავისებურად გაგებულ დამოუკიდებლობას?

სანამ იმპერიის შემადგენლობაში ვიმყოფებით, შეუძლებელია ამ ჯანსაღი იდეის ხორცშესხმა. თუ კავკასია მთლიანად არ გამოეყო იმპერიას, მეზობელ რესპუბლიკებს შორის არანაირი პოზიტიური პროცესი არ დაიწყება. ამიტომ აქ ჩვენ ყველას ნიადაგ დაგვემუქრება მოვლენათა „ლიბანიზაცია". ძალზე ძლიერ იმპერიას რეგიონში თავისი მთავარი მიზნები აქვს. მისი მეთოდები კი იმდენად დახვეწილია, რომ იგი წაახალისებს ამიერკავკასიის ლიბანიზაციას და ბოლოს და ბოლოს მიაღწევს თავისას.

ერთ-ერთი ჩვენგანი, რომელმაც ნახევარი ცხოვრება თბილისში გაატარა, ვერაფრით გარკვეულა პარადოქსულ სიტუაციაში: როგორ მოხდა, რომ გასულ გაზაფხულზე პრაღაში გამართულ დისიდენტთა მსოფლიო ფორუმზე მიიღეს რეზოლუცია, რომ საქართველოს ახალი ხელისუფალნი

ყველა ნაციონალური უმცირესობის მტრები არიან და აპირებენ მათ გასახლებას რესპუბლიკიდან, ცოტა მოგვიანებით კი არაქართული მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაგიჭირათ პრეზიდენტის არჩევნებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ცენტრის და იმ მოღალატეთა ყოვლისშემძლე ხელი, რომლებიც აქ კრემლმა მოისყიდა. ისინი პრაღაში დისიდენტებად წარდგნენ. არიან ისეთებიც, რომლებმაც მოატყუეს ნამდვილი დისიდენტები, ემიგრანტები სსრ კავშირიდან. ამიტომაც ვამბობ, რომ რუს დემოკრატთა შორის ძალზე ბევრი შოვინისტურად არის განწყობილი საქართველოსადმი. ისე, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ჰაველმა რეზოლუციას ხელი არ მოაწერა, რადგან შესანიშნავად იცის კრემლის ეს სიყალბე.

კაცმა რომ თქვას, ცენტრალურ პრესაში ყველაზე მწვავედ აკრიტიკებენ თქვენს ეროვნულ პოლიტიკას. როგორ ხსნით ამას?

კრემლს სწორედ ეს გეზი აქვს აღებული ჩვენს მიმართ: დეზინფორმაცია, ცილისწამება, კომუნისტური სიცრუე, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ყოვლისშემძლეა. შემდეგ კი ეს ყოველივე ვრცელდება დასავლეთში. სხვათა შორის, რეფერენდუმის შედეგებიც კი არსად არ არის ნახსენები. არადა მოსახლეობის 98 პროცენტი, მათ შორის არაქართველთა უმრავლესობა მხარს უჭერს დამოუკიდებლობას. მათ აგრეთვე მომცეს ხმა პრეზიდენტის არჩევნებში. ყველაფერ ამას მალავენ და იმავდროულად ავრცელებენ სიცრუეს, თითქოსდა ყველა არაქართველს ვასახლებდე საქართველოდან, და ლამის გენოციდს ვუწყობდე აქ მცხოვრებ ყველა ეროვნებას... მაგრამ ფაქტები? სად არის ფაქტები? რსად. არის ასეთი ოხუნჯობა: ნაპოლეონი გაცოცხლებულა და გაზეთი „პრავდა" რომ წაუკითხავს უთქვამს, „ასეთი გაზეთი რომ მქონოდა, მსოფლიო ვერ შეიტყობდა ვატერლოოსთან ჩემი დამარცხების ამბავსო".

თქვენ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეთ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში: 3.600 ათასი ამომრჩველიდან ხმა მოგცათ 2. 500 ათასზე მეტმა კაცმა. დიდი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებშიც კი ასეთი შედეგები იშვიათია. ამავე დროს ლოგიკური იქნება ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთი იმათგანი, ვინც არ მონაწილეობდა არჩევნებში, ინდიფერენტულია პოლიტიკისადმი, სხვებისხვაგვარად მოაზროვნეებს განეკუთვნებიან. მაშ ასე: ხომ არ ყოფილა აქ უბრალოდ შიშიც? თქვენ სიჭაბუკიდან სხვაგვარად მოაზროვნე იყავით და იცით, რომ ხელისუფალნი ყოველთ-

ვის დევნიდნენ ასეთ ადამიანებს. ახლა ბევრს ებადება კითხვა: ხომ არ განაგრძნობს ახალი პრეზიდენტი ამ „ტრადიციას" და ხომ არ დაუწყებს დევნას ახალი მოწვევის დისიდენტებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კიდევ ასეთი კითხვა: როგორ გესახებათ საქართველოში საზოგადოების შემდგომი კონსოლიდაციის გზები?

საერთოდ უნდა გითხრათ, არჩევნების შედეგები ცხადყოფს, თუ რაოდენ ძლიერად არის შეკავშირებული საზოგადოება. მხოლოდ ათი პროცენტია ინდიფერენტული ან სხვა ორიენტაციის მქონე, მოსახლეობის 90 პროცენტი კი, და არა მარტო ქართველები, გაერთიანებული არიან ერთი იდეით., მეტი რაღა გინდათ! უნდა ვიბრძოლოთ კონსოლიდაციის შენარჩუნებისათვის და ვიბრძოლებთ კიდეც. რაც შეეხება დევნასვინ უნდა ვდევნოთ? ოპოზიციას არანაირი პოლიტიკური ძალა არა აქვს. მას ნულოვანი მხარდაჭერა აქვს ხალხში. ჩვენი ეგრეთ წოდებული ოპოზიცია პოლიტიკური მძორია, რომელიც არავისთვის არავითარი საშიშროება არ არის. რატომ უნდა ვებრძოლო მათ? პირიქით, მათი შენარჩუნება მინდა, მერე რომ არა თქვან, ოპოზიცია მოსპოო. ჩემთვის ავჯობებს კიდეც, თუ იგი იარსებებს.

ოპოზიციას, ალბათ შეუძლია ხელი შეუწყოს შეცდომების თავიდან აცილებას?

დიახ, რა თქმა უნდა. მათი ლანძღვაგინება, ნეგატიური გამონათქვამები გვეხმარება კიდეც, გვაფხიზლებს, რაღაც სტიმულს გვაძლევს. ასე რომ, აბსოლუტურად არავისი არ გვეშინია.

გვინდა დაგისვათ კითხვა თქვენ, როგორც ადამიანს, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ იყო საქართველოში პირველი თვითგამოცემითი გაზეთების და ჟურნალების რედაქტორ-გამომცემელი: დრო და დრო პრესას უტევთ, დაჟინებით უწოდებთ ჩვენს კოლეგებს „კრემლის აგენტებს" ან სუკის, ან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ნაცვლებს... თქვენ ყველა ჟურნალისტზე გაქვთ დოსიე?

გააჩნია ვინ გყავთ მხედველობაში... განა ის, ვინც შეგნებულად ავრცელებს სიცრუეს საქართველოზე, კრემლის აგენტი არ არის?

როგორ განასხვავებთ „კრემლის აგენტს" სუკის, ან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტისაგან?

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო არ მიხსენებია. კრემლის აგენტები ჩვენში არიან.

კრემლი ძალზე ძლიერი ორგანიზაციაა, მას ჰყავს თავისი აგენ-

ტები, და ეს არც არის გასაკვირი. იმათ, ვინც ადგას უსირცხვილო სიცრუისა და ფალსიფიკაციის კრემლისეულ გზას, სწორედ კრემლის აგენტებს ვუწოდებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან თქვენს თანამებრძოლთა შორის ისეთები, რომლებიც გაგიდგნენ?

სამწუხაროდ, ასეთები არიან. არიან მოღალატეებიც, რა დასამალია, ისეთებიც, ვინც გარეულია კორუფციაში, ვინც ულალატა ჩვენს მოძრაობას. ყველა მოძრაობას ჰყავს მოღალატე, და ამაშიც არაფერია სენსაციური.

რა პრინციპით იწვევთ ადამიანებს თქვენს „გუნდში", ნიშნავთ თანამდებობაზე ან ათავისუფლებთ?

უწინარეს ყოვლისა, საყოველთაო ეროვნული საქმისადმი ერთგულების პრინციპით. მთავარია აგრეთვე პატიოსნება, შეუბღალავი წარსული და აწმყო.

ბევრმა არ იცის, მეტადრე საქართველოს გარეთ, რომ ქალბატონი მანანა არა მარტო თქვენი მეუღლე, არამედ თქვენი დიდი ხნის თანამებრძოლი, საქართველოს ეროვნული მოძრაობის აქტივისტია. როგორ გგონიათ, დღეს იგი ნანობს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლეა? თუმცა საქართველოს პირველი ქალბატონის როლი ალბათ ყველა ქალისათვის სასიამოვნო უნდა იყოს.

დიახ, რა თქმა უნდა, რა დასამალია, რომ მას ძალზე უჭირს. ქალის საქმე არ არის ბრძოლა. სამწუხაროდ, საქართველო ისტორიულად ყოველთვის ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ქალებიც იბრძოდნენ ასეთია ჩვენი ხვედრი.

ბატონო ზვიად, თქვენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ვაჟი ბრძანდებით. რა ზნეობრივი და ადამიანური პრინციპებით ხელმძღვანელობთ, როცა საქართველოს ლიდერი გახდით, კერძოდ, მამის რომელ ფრაზას ახსენებთ უფრო ხშირად.

უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ადამიანი უნდა ემსახურებოდეს სულიერ საწყისს. მსხვერპლად სწირავდეს თავს იდეას. ეს აზრი ლაიტმოტივად გასდევს „დიდოსტატის მარჯვენას".

თქვენი პირადი თვისებებიდან რომელი მოგწონთ თქვენ, და რომლისაგან გინდათ განთავისუფლდეთ?

იცით, ჯერ ვერავინ მოახერხა შეუცდომლად გაეცლო ცხოვრების გზა, ასევე მეც ვუშვებ მათ. არ მიყვარს საკუთარი თავის აფიშირება. **ერთადერთი და მთავარი „პლუსი" ის მაქვს, რომ ჩემი ხალხისათვის არ**

მიღალატია. შეცდომები კი საკმარისზე მეტი დავუშვი.

თქვენი პირადი მეგობარი, ჩეხეთსლოვაკეთის პრეზიდენტი, დიდი ხანი არ არის, რაც გახდა ადგილობრივი ტელევიზიის სადისკუსიო ვადაცემის წამყვანი. თქვენ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, პოეტს და ბელეტრისტს არ გსურთ გქონდეთ ასეთი მომიჯნავე პროფესია პრეზიდენტის მოვალეობათა შესრულებასთან ერთად, მით უმეტეს, რომ საქართველოს ტელევიზიაში შემოგთავაზეს გაძღოლოდით პროგრამას „პრეზიდენტის საათი"?

დიახ, თანახმა ვარ, მაგრამ თუ საამისო დრო მექნება. ძალზე გადატვირთული მაქვს სამუშაო დღე. ჰაველისათვის ეს უფრო ადვილია, იმიტომ რომ კრემლი იქიდან თავისით მიდის, აქ კი ებღაუჭება საქართველოს, აქ ომი გვაქვს, იქ კი უკვე მშვიდობაა...

წარმოვიდგინოთ, რომ გაგიჩნდათ სახელმწიფო საქმეებისაგან სრულიად თავისუფალი ერთი საათი. რითი ამჯობინებდით მის შევსებას?

თავისუფალ დროს ყოველთვის რელიგიას ვანდომებ, იმიტომ, რომ მორწმუნე ვარ და რეგულარულად დავდივარ ეკლესიაში.

უმაღლესი დონის შეხვედრების როგორი პერსპექტივები გაქვთ როგორც კრემლში, ისე თეთრ სახლში?

იცით, ჯერჯერობით ვერა და ვერ მოვრიგებულვართ სსრ კავშირის პრეზიდენტთან შეხვედრის ფორმასა და ადგილზე. მასთან მოლაპარაკების შინაარსზე, მაგრამ ეს შეხვედრები მაინც გაიმართება უახლოეს მომავალში. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებას, პრეზიდენტ ბუშთან საუბარი ალბათ შემოდგომაზე გაიმართება.

ვინ მიგაჩნიათ პოლიტიკური მოღვაწის იდეალად?

შარლ დე გოლი.

თბილისი. „ტრუდი", 1991 წლის 27 ივნისი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წელი

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის

ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების-ეროვნული გვარდიის სამხედრო გარნიზონებში წესრიგის, დისციპლინის და ორგანიზებულობის დაცვის მიზნით

ვბრძანებ:

1. საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქში, სადაც განლაგებულია საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების-ეროვნული გვარდიის სამხედრო ნაწილები, ჩამოყალიბდეს საკომენდანტო სამსახური, რისთვისაც დაინიშნოს:

ქ. თბილისის სამხედრო გარნიზონის უფროსად პოლკოვნიკი ავთანდილ ცქიტიშვილი.

ქ. თბილისის სამხედრო გარნიზონის კომენდანტად ბატონი გელა ლანჩავა.

ქალაქებში, სადაც განლაგებული არიან სამხედრო ნაწილები, სამხედრო გარნიზონების უფროსებად დაინიშნონ ამ ნაწილების მეთაურები.

2. სამხედრო გარნიზონების უფროსებმა საგარნიზონო საკომენდანტო სამსახურის ჩამოყალიბებისათვის დანიშნონ შტატგარეშე სამხედრო გარნიზონების კომენდანტები და სისტემატური კონტროლი გაუწიონ მათ მიერ ფუნქციური მოვალეობის ზუსტად შესრულებას.

3. ბრძანება გაეცნოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის პირად შემადგენლობას.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის თამჯდომარე სარდალი თენგიზ კიტოვანი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წელი.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკა ეთანხმება მსოფლიო დემოკრატიული სახელმწიფოების თვალსაზრისს ისეთი ახალი მსოფლიოს მოწყობის შესახებ, სადაც მშვიდობიანი თანაარსებობა და ყველა ადამიანის უფლებები დაცული იქნება. ეს იქნება მსოფლიო, სადაც ქვეყნებსა და ერებს შორის წამოჭრილი უთანხმოებები მოწესრიგდება დიალოგის მეშვეობით და არა ძალისა და მუქარის გამოყენებით.

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს მოსახლეობამ საბოლოოდ თქვა უარი 70-წლიან მონობაზე და ხმა მისცა დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას. მან უპირობოდ დაუჭირა მხარი დემოკრატიული და სუვერენული საზოგადოების აღდგენას, რომელიც მეზობელ ქვეყნებთან წამოჭრილ ნებისმიერ სადავო საკითხს მშვიდობიანი გზით მოაგვარებს. იქ, სადაც წარმოიქმნება უთანხმოება, ჩვენი მოთხოვნა მარტივია: დავსხდეთ სასაუბროდ, გავმართოთ დიალოგი ისე, როგორც თავისუფალ, ერთმანეთის პატივისმცემელ ერებს შეჰფერის.

დემოკრატიული ქვეყნების მსგავსად, ჩვენც გვსურს ქვეყნად მშვიდობისა და თავისუფლების დამკვიდრება. ამავე დროს საქართველოს რესპუბლიკა გამოთქვამს იმედს, რომ უახლოეს მომავალში გახდება ერთი მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი.

საქართველოში საერთაშორისო სამართლის ნორმებთან სრული შესაბამისობით განუხრელად იქნება დაცული ყველა ეროვნული უმცირესობის უფლებები. ჩვენთან მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს სამეგობროდ ვუწვდით ხელს, მოვუწოდებთ მათ, რომ მონაწილეობა მიიღონ ახალი, დემოკრატიული საქართველოს შენებაში, სადაც განსხვავებული რწმენისა და შეხედულებების მოქალაქენი ჩვენთან ერთად იცხოვრებენ მშვიდობიანად და კეთილმეზობლურად. მოდით, მომავალ თაობებს უკეთესი და უფრო ბედნიერი ცხოვრება შევუქმნათ. დღეიდანვე დავიწყოთ ნებისმიერი სადავო საკითხის გულწრფელ და მშვიდ ვითარებაში გადაწყვეტა, რაც შემდგომი ურთიერთდაახლოების საწინდარი გახდება.

ქართველი ერის სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკ-

ენ გულისხმობს საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის უფლებათა დაცვას. ჩვენი პრინციპია საერთაშორისო საერთაშორისო ნორმების პრიმატი და ვაცხადებთ, რომ ეს ნორმები სრულად მოქმედებენ საქართველოს ტერიტორიაზე. მოსკოვს მივმართავთ, მოგვცეს წინსწრაფვის საშუალება, როგორც ეს კეთილ მეზობელსა და პარტნიორს შეჰფერის, რათა ჩვენს ხალხებს უკეთესი ცხოვრების საშუალება შევუქმნათ, ვიყოთ კარგი სავაჭრო პარტნიორები და დავეხმაროთ ერთმანეთს ნათელი მომავლის შექმნაში. თუკი არსებობს რაიმე უთანხმოებანი, ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე განვიხილოთ ისინი. მხოლოდ თანაბარ, პარიტეტულ საწყისებზე აგებულ დიალოგს შეუძლია მოგვცეს ის პოზიტიური შედეგი, რომლითაც თანაბრად უნდა იყოს დაინტერესებული ორივე მხარე.

ყველას ვუცხადებთ: მომავალი ნათელი და საიმედოა, ვისარგებლოთ ამ მშვენიერი შესაძლებლობით. დაე, დიქტატურა და ჩაგვრა სამუდამოდ შეცვალოს დემოკრატიამ და დიალოგმა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი, 1991 წლის 20 აგვისტო
გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
3 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის განცხადება

ამა წლის 2 სექტემბერს თბილისში, კინოს სახლთან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, თავს ვალდებულად ვრაცხთ, განვაცხადოთ შემდეგი:

ჯერ კიდევ უზენაესი საბჭოს 26 აგვისტოს საგანგებო სხდომაზე, რომელიც ჩვენი ინიციატივით იქნა მოწვეული, ბატონი თედო პაატაშვილის მოხსენებაში და გამართულ კამათში დაფიქსირდა ჩვენი საერთო პოზიცია და გამოითქვა რწმენა იმისა, რომ უნდა შეიცვალოს დღევანდელი „მკაცრი" პოლიტიკური კურსი, რომელიც ნაკ-

ლებად ითვალისწინებს გლობალური პროცესების ძირითად კანონზომიერებებს და ართულებს მსოფლიო პოლიტიკის გაბატონებული მიმართულებებისა და საქართველოს ეროვნული ინტერესების დაახლოების უნიკალური შანსის გამოყენებას. შევთავაზეთ რა სხდომას დადგენილების ტექსტი, რომელიც შეიცავდა 1921 აგვისტოს მოვლენების პოლიტიკურ შეფასებას, ჩვენ დავაყენეთ წინადადება უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის პოზიციისა და მოქმედების უარყოფითად შეფასების შესახებ.

ჩვენი აზრით, სწორედ არსებულმა პოლიტიკურმა კურსმა გარკვეულად მოამზადა 2 სექტემბრის მოვლენები, განსაზღვრა მათი დრამატული განვითარება.

დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოში და საბჭოთა კავშირში შექმნილი სიტუაციის ფონზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ აქციის ჩატარების ფორმა და დრო პროვოკაციულად იქნა შერჩეული. მაშინ, როცა ცხადი გახდა ამ პარტიის იდეოლოგიის კრახი და პოლიტიკური პროგნოზების უსუსურობა (მხედველობაში გვაქვს მათი პოზიცია ე.წ. ბალტიურ გზასთან დაკავშირებით). მიუხედავად ამისა, უყოყმანოდ უნდა განვაცხადოთ, რომ არავითარი გამართლება არა აქვს მომიტინგეთა დასაშლელად შეიარაღებული ფორმირებების გამოყენებას და ჩვენ მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ამგვარი გადაწყვეტილების გამო. მსგავსი პოლიტიკური კურსის გაგრძელების მცდელობა საფრთხეს უქმნის სტაბილურობასა და დემოკრატიული პროცესების განვითარებას საქართველოში.

ჩვენს მიერ წინა სხდომაზე დაწყებული კამათის გაგრძელების მიზნით ადრევე დაწყებული იყო და ახლა დაჩქარდა უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ხელმოწერების შეგროვება უახლოეს ხანში მორიგი სხდომის მოწვევისა და მისი პირდაპირი ტელეტრანსლიაციის მოთხოვნით. საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ხელისუფლებამ პოლიტიკური შეფასება უნდა მისცეს მომხდარ მოვლენებს, დაადგინოს დამნაშავენი და თავისი გაბედული გადაწყვეტილებებით გზა გაუხსნას საქართველოში დემოკრატიის საბოლოო დამკვიდრების პროცესს.

თედო პაატაშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, მერაბ ურიდია, მალხაზ კვანჭილაშვილი, ირაკლი მელაშვილი, გელა კობერიძე.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა", 4 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა/წ 2 სექტემბერს ქ. თბილისში რუსთაველის მოედანზე გამართულ მიტინგზე მოხდა შეტაკება მიტინგის მონაწილეებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა შორის, რომლის შედეგადაც დაიღვარა სისხლი, არიან დაჭრილები და დაშავებულნი.

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება გმობს ძმათა შორის სისხლის ღვრას, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს გამოწვეული და აღნიშნავს, რომ მსგავსი უპასუხისმგებლო ქმედებანი ჩრდილს აყენებს და ლახავს ქართველი ერის ღირსებას, რომელიც იბრძვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის და ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დასამყარებლად.

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",

4 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის განცხადება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა დეპუტატთა ჯგუფის განცხადება, სადაც გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება საქართველოში მიმდინარე პროცესების თაობაზე. კერძოდ, განცხადების ავტორები „უარყოფითად" აფასებენ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის პოზიციას 1921 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, თუ რაოდენ დიდი საფრთხე დაემუქრა საქართველოს მოსახლეობას მოსკოვის პუტჩის გამო. ამიტომ პრეზიდიუმმა თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნია მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან აცილება. სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას ის სიფრთხილე და თავდაჭერა, რითაც გამსჭვალული იყო პრეზიდიუმის მოქმედება. იმჟამად რადიკალიზმის გამოვლენა საბედის-

წერო აღმოჩნდებოდა ქართველი ხალხისათვის. ამასთან ერთად, რეს-
პუბლიკის პრეზიდენტმა გამოაქვეყნა საკმაოდ რადიკალური მიმართუ-
ვა, სადაც მკაცრად იყო შეფასებული პუტჩისტთა მოქმედება, რაც
მოუწოდებდა დასავლეთის სახელმწიფოთა მეთაურებს, ენერგიულად
დაეცვათ რუსეთის დემოკრატიული ძალები.

საქართველოს მოსახლეობა გაგებით შეხვდა რესპუბლიკის ხე-
ლმძღვანელობის გონივრულ მოქმედებას. დღეს ამის გამო მხოლოდ
შემცდარნი სტეხენ ყიჟინას.

რაც შეეხება 2 სექტემბერს თბილისში მომხდარ ინციდენტს, მას
არავითარი კავშირი არა აქვს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ
1921 აგვისტოს გამოხატულ პოზიციასთან. შეიარაღებულ მომიტინგეთა
მოქმედება, ისევე როგორც განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის
ღონისძიებანი, ცალკე საუბრის თემას წარმოადგენს. უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმი აქ არაფერ შუაშია. ჩვენის მხრივ ვფიქრობთ, საჭიროა
შეიქმნას აღნიშნული ინციდენტის გამოსაძიებელი საპარლამენტო კომი-
სია. მანამდე აჟიოტაჟის გამოწვევა მხოლოდ ვნებას მოუტანს ჩვენს
საერთო საქმეს. მსგავსი უპასუხისმგებლო განცხადებების გამოქვეყნე-
ბა კი მტრის წისქვილზე ასხამს წყალს და ხელს უწყობს საქართ-
ველოში დესტრუქციული ძალების გააქტიურებას, რაც ვნებს საქართ-
ველოს დამოუკიდებლობის აღიარებას საერთაშორისო ასპარეზზე.

აქვე შევნიშნავთ, რომ ვერ გავიზიარებთ ზემოაღნიშნული განცხა-
დების ავტორთა თვალსაზრისს დღევანდელი „მკაცრი" პოლიტიკის
შესახებ, ჩვენი პოზიციის საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავასახელოთ
უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული მრავალრიცხოვანი საკანონმდებლო
აქტები, რომელთა დემოკრატიული შინაარსი, ვფიქრობთ, ეჭვს არ
უნდა იწვევდეს. ცალკეული ხარვეზები კი, რაც ჩვენს ყოფას ახასი-
ათებს, გასაგებ მიზეზთა გამო გარდაუვალია და მისგან არავინ არის
დაზღვეული.

მთავარი ის არის, რომ დღეს ჩვენ რეალური დამოუკიდებლობის
კარიბჭესთან ვდგავართ, რაც დემოკრატიისა და საზოგადოების მა-
ტერიალური კეთილდღეობის სრულყოფის საწინდარს წარმოადგენს.
სწორედ ერთიანობითა და ურთიერთთანადგომით შევძლებთ ამ უმნიშ-
ვნელოვანესი მიზნის მიღწევას.

**ნუგზარ მოლოდინაშვილი, ბიძინა დანგაძე, ირინე ტალიაშვილი, სოსო
კასრაძე, თეიმურაზ გვანცელაძე, თემურ ქორიძე, ნათელა ქუთელია, გივი**

თაქთაქიშვილი, ტარიელ გელანტია, ჯემალ იონათამიშვილი, თემურ მდინარაძე, გურამ მაქაცარია, აკაკი კობაძე, ნიკო კილასონია, ავთანდილ კვეტენაძე, ირაკლი ჩხეიძე, გივი გოლეთიანი, მედეა თუშმალიშვილი, ნიკო ბურჭულაძე, ჯემალ გოლეთიანი, ვახტანგ ჭითავა, პაატა ბარათაშვილი, ვიქტორ ფხალაძე, თეიმურაზ ჯანელიძე, პაატა თოიძე, ლადო ცოფურაშვილი, რობერტ პეტრიაშვილი, ვახტანგ ცაგარეიშვილი, გოგი ჩიქავა, ბიძინა გიორგობიანი, თენგიზ ჩაჩავა, გურამ პეტრიაშვილი, ვანო ტურაშვილი, ბესო ქუთათელაძე, მაია თომაძე, იური ბურკაძე, ვიქტორ დომუხოვსკი, ზურაბ წიქარიძე, ნოდარ წულეისკირი, იგორ ნარმანია, ნუგზარ შავთვალაძე, ზურაბ გუჩუა, თენგიზ ბარამიძე, დალი ფიროსმანაშვილი, ნუგზარ მგალობლიშვილი, თემურ მუავია, თემურ ლორთქიფანიძე, ზვიად ნადარეიშვილი, დიმიტრი ქებურია, ვლადიმერ მირცხულავა.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
4 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო, კონგრესის დელეგაციის სახელით უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ თქვენს მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი. ჩვენ ვიმუშავებთ კონგრესში იმისათვის, რომ თქვენ მიაღწიოთ ამ მიზნებს.

ჩვენს შორის აზრთა ურთიერთგაზიარება იყო უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობათა განმტკიცებისათვის.

კონგრესის დელეგაციის ყველა წევრი მადლიერია თქვენი ჩვენთან კეთილშობილური და აზრიანი ურთიერთობისათვის.

გულწრფელი პატივისცემით
სემ გიბონსი,
ამერიკის კონგრესის წევრი.
1991 წლის 3 სექტემბერი

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
4 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს დემოკრატიულ გარდაქმნებს, პირველმა საბჭოთა კავშირში გამართა პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თავისუფალი მრავალპარტიული არჩევნები, სახალხოდ აირჩია პრეზიდენტი, 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა, მოსკოვის კომუნისტური პუტჩის ჩაშლის შემდეგ საერთაშორისო გაერთიანების მიერ თავისი ეროვნული სუვერენიტეტის ცნობის ზღურბლზე დგას.

ამასთანავე საქართველოში ჯერ კიდევ არიან შეიარაღებული ოპოზიციის დესტუქციული ძალები და მათ შორის დაჯგუფება, რომლიც თავისთავს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას უწოდებს და ამ ბოლო ხანს არაერთხელ მიუმართავს ანტიკონსტიტუციური მოქმედებისათვის, რომლის მაგალითად გამოდგება მასობრივი უწესრიგობანი და შეიარაღებული ექსცესები, რომლებიც საქართველოს დედაქალაქ თბილისში მოხდა 2 სექტემბერს მისი ინიციატივით, რასაც მოქალაქეთა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა დაშავება და დაჭრა მოჰყვა.

გამოდის რა ცრუდემოკრატიული და ცრუპატრიოტული ლოზუნგებით, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ინსტანციების არჩევნებს, გაფიცვებისა და საბჭოთა არმიასთან კონფრონტაციისათვის, მოქალაქეობრივი ურჩობისათვის და ხალხის მიერ არჩეული საქართველოს მთავრობის ძალადობრივად დამხობისათვის მოუწოდებდა ხალხს, რითაც რესპუბლიკის მოსახლეობას ძმათამკვლელი ომისთვის აქეზებდა.

ეროვნული დამოუკიდებლობის მშვიდობიანი კონსტიტუციური გზით მიღწევის გზა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკამ აირჩია, ხელს არ აძლევთ საქართველოს გარკვეულ ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს და სისხლისსამართლებრივად დასასჯელ მოქმედებას მიმართავენ, რითაც მსოფლიო სა-

ზოგადოებრიობის თვალში სახელს უტეხენ არა მარტო რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, არამედ მთელ დეამოკრატიულ საქართველოსაც. და მდგომარეობის დესტაბილიზაციის მეშვეობით, ნებსმიერ უფ-ებლიეთ, გვაშორებენ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის მიღწევის დღეს.

საქართველოს ხელმძღვანელობა, რომელიც რეპუბლიკის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტად გვევლინება და გაბედულად აღკვეთავს ანტიკონსტიტუციურ მოქმედებას, კვლავაც გაუძღვება ქვეყანას ეროვნული აღორძინების საერთაშორისო გაერთიანების მიერ აღიარებული სამართლიანი დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების გზით.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
4 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * *

სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის" განცხადება

იმან, რაც მიმდინარე წლის 2 სექტემბერს თბილისში მოხდა, ყოველი მოქალაქის აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. მიტინგის მონაწილეებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის შეტაკებას არასასურველი შედეგები მოჰყვა. არიან დაჭრილები. გამოძიება ყველაფერს დაადგენს, მაგრამ ერთი რამ ახლავე ნათელიაეს არ იყო საქართველოს საკეთილდღეოდ მიმართული აქცია.

სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია ,,ლემი'' გმობს ყოველგვარ აქციას, რაც ხელს არ უწყობს ერის კონსოლიდაციას და მოითხოვს პრინციპულად იქნას შესწავლილი მომხდარი ინციდენტის მიზეზები და დამნაშავეთა მიმართ გატარდეს კანონით გათვალისწინებული ზომები.

მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, ყველა მოქალაქეს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავიანთი მოქმედებით ხელი შეუწყონ საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობას, სადღეისოდ ეს ყოველი პატრიოტის ერი-ლესი მოვალეობაა.

სრულიად საქართველოს
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ორგანიზაცია „ლემის" ნაფიცთა
საბჭოს პრეზიდიუმი.
გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
5 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირის განცხადება

ა.წ. 4 სექტემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა დეპუტატთა ჯგუფის (თ. პაატაშვილი, გ. ჩორგოლაშვილი, მ. ურიდია, მ. კვანჭილაშვილი, ი, მელაშვილი, გ. კობერიძე) განცხადება, რომლის პირველ ნაწილში გამოთქმულ დებულებებს კატეგორიულად არ ვეთანხმებით.

განცხადებაში გამოთქმული აზრი გლობალურ პოლიტიკურ პროცესებს დაშორებული „მკაცრი" კურსის შეცვლის აუცილებლობის შესახებ, მავანმა შეიძლება გაიგოს, როგორც უარის თქმა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე. ამ აზრს თითქოს აძლიერებს განცხადების ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ „სწორედ არსებულმა პოლიტიკურმა კურსმა გარკვეულად მოამზადა 2 სექტემბრის მოვლენები, განსაზღვრა მათი დრამატული განვითარება".

უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი შეხედულებით 2 სექტემბრის მოვლენები განსაზღვრა გარკვეული ევროამერიკული პოლიტიკური წრეების პოზიციამ და მოქმედებამ საბჭოთა კავშირის ადგილზე ახალი ერთიანი მრავალეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად; განსაზღვრა სსრკ მმართველი წრეების ღრმა ინტერესმა, რომელიც არსებითად იზიარებს ხსენებული ევროამერიკული პოლიტიკური მიმდინარეობის მიზნებს.

ცხადია, ხალხის მიერ დემოკრატიული წესით არჩეული პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს პოლიტიკური კურსის ესოდენ რადიკალური შეცვლა შეუძლებელია დღევანდელ ვითარებაში პოლიტიკური ოპოზიციის მიერ პოლიტიკური ექსტრემიზმის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით, რაც თვალნათლივ დავინახეთ 2 სექტემბერს ისედაც უმცირესობაში მყოფი პოლიტიკური ოპოზიციის მცირე ნაწილის მოქმედებაში.

პოლიტიკური ექსტრემიზმის საფრთხე რეალურია და უნდა ვეცადოთ არ დავუშვათ იგი!

ჩვენი აზრით, არასწორადაა შეფასებული უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მოქმედება 1921 აგვისტოს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ზემოთ აღნიშნულ განცხადებაში გამოთქმული აზრის ჩვენეული ინტერპრეტაცია შეიძლება არა ზუსტიც აღმოჩნდეს, რასაც მოვლენათა განვითარება დაგვანახებს.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
5 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ინტერვიუ თენგიზ კიტოვანთან

ახლახანს მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების დღეებში ჩვენში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საქართველოს ეროვნულ გვარდიასთან დაკავშირებულმა ამბებმა. ყველას გეცოდინებათ, მაშინ გამოიცა რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანება, რომლის თანახმად გვარდია შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენელი ნაწილი უნდა გამხდარიყო. შემდეგ კი, უკვე პუტჩის დამთავრებისას, იგი კვლავ აღადგინეს და ახალ ხელმძღვანელ ორგანოდ თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი დაუნიშნეს. ამ საკითხებზე განმარტებით გამოვიდნენ საქართველოს პრეზიდენტი და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ამიტომ ახლა, ასე ვთქვათ, მეორე მხარეს ვაძლევთ სიტყვას...

საქართველოს ეროვნული გვარდია კასპის რაიონის სოფელ რკონის მიდამოებში, თეძამის ულამაზეს ხეობაშია დაბანაკებული. იაქურობა

ამერიკულ ფილმებში ნანახ სამხედრო ბაზას მოგაგონებთ: ვერტმფრენები, სამხედრო მანქანები, კარავთა ტყე, ჯარისკაცთა მწკრივები, საველე სიმაგრეები, გამუდმებული მოძრაობა... ვესაუბრეთ ოკუპაციის სამთავრობო კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს თენგიზ კიტოვანს. მართალია, რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანების შემდეგ მას თანამდებობრივად გვარდიასთან აღარაფერი უნდა აკავშირებდეს, მაგრამ თვითონ გვარდიელები უყოყმანოდ აღიარებენ თავიანთ სარდლად. **„მათი ნდობაა ჩემი მეთაურობა",გვითხრა ბატონმა თენგიზმა.**

რას გვეტყვით პუტჩის დროს გვარდიის შესახებ გამოქვეყნებულ ბრძანებაზე?

ეს იყო არასწორი, ნაჩქარევი გადაწყვეტილება. 19 აგვისტოს, როცა პუტჩი დაიწყო და მთელი ჩვენი უმაღლესი ხელისუფლება შეიკრიბა, პრეზიდენტმა მითხრა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ იმუშავებ და გვარდიაც ამ სამინისტროს დაექვემდებარებაო. მიზეზად, ცხადია, პუტჩი იყო დასახელებული. მე უარი ვუთხარი და ჩვენი პოზიციაც განვმარტე... უფრო ადრე დაგეგმილი გვქონდა ხევსურეთში, მუცოს ხეობაში წასვლა და იქ სამხედრო მანევრების ჩატარება. მაგრამ შექმნილი მწვავე ვითარების გამო სასწრაფოდ გამოვერმათეთ აქეთ, თეძამის ხეობისაკენ. მუცოს ხეობა ვიწროა და იქ საბჭოთა ჯარს უფრო ადვილად შეეძლო ჩვენი გამომწყვდევა.

რამდენად რეალური იყო თქვენზე თავდასხმის საშიშროება?

სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ გვარდიის განიარაღების გარდა, სამხედროებმა გასცეს ჩვენიმეთაურების დაპატიმრების სანქციებიც. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა პატრიკეევმა განიარაღებისთვის ვადად 4 დღეღამე მოგვცა. მეორე დღეს, 20 აგვისტოს ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი და ეს დრო ერთ დღე-ღამემდე შეგვიმცირა. დასკვნა თვითონ გააკეთეთ.

თუ საბჭოთა არმიას თქვენი განიარაღება ჰქონდა გადაწყვეტილი, ხომ შესაძლებელია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება სწორედ გვარდიის დაცვას ითვალისწინებდა პუტჩის დღეებში, რომ სამხედროები თავს არ დაგსხმოდნენ.

ვერ დაგეთანხმებით. არმიას შეეძლო თავს დასხმოდა ყოველ ქართულ შეიარაღებულ ფორმირებას, რა სახელიც არ უნდა გეწოდებინათ მისთვის. თან ჩვენ უკვე გამოვეშურეთ რკონისაკენ. სხვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რესპუბლიკებში მაშინ გამოაცხადეს თავიანთი ეროვნული გვარდიების შექმნა, ჩვენთან კი იგი, პირიქით, გაუქმდა.

ხომ მაინც აღადგინეს გვარდია...

ეს ჩვენმა მტკიცე პოზიციამ განაპირობა. სხვისი ინიციატივა არ ყოფილა. აქ ყველამ იცოდა, რომ გვარდიის ჯარისკაცი იყო და არა მებადრაგე მილიციაში. ჩვენთან საბჭოთა არმიის 600 ყოფილი ოფიცერი მსახურობს. ბევრი მათგანი თავისი რისკით წამოვიდა ნაწილებიდან, რათა ემსახურათ ეროვნულ სამხედრო შენაერთში. ძველი სამსახურის ადგილებზე ისინი დეზერტირებად არიან გამოცხადებულები... გვარდიის გაუქმებით ასეთ მომზადებულ კადრს ვკარგავდით, მათი თავიდან მომზადება კი, ვინ იცის, როდის იქნებოდა შესაძლებელი.

ჩვენი მოთხოვნები გავუგზავნეთ რესპუბლიკის პრეზიდენტს. აქ ჩამოვიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი და მოლაპარაკების შემდეგ შეგვპირდა, გვარდიას აღვადგენთო. მალე ბრძანებაც გამოსცეს თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ მისი და, საერთოდ, გვარდიის ახალი სტრუქტურების შექმნის პროექტი უფრო ადრე ჩვენ თვითონ შევიმუშავეთ და პრეზიდენტს წარვუდგინეთ.

პუტჩის დღეებში ან შემდეგ თუ ყოფილა გვარდიაზე ან გვარდიელებზე თავდასხმის ან მათი დაკავების მცდელობა?

ზოგიერთ რაიონში მილიციამ დაარბია გვარდიელთა ყაზარმები, იყო მათი ცემისა და დაკავების ფაქტები, მაგალითად თიანეთში, ტყიბულში, სხვაგანაც... ზოგიერთი ჩვენი ოფიცერი იძულებული გახდა ტყეში დამალულიყო. ჩვენ მაშინ თავი შევიკავეთ...

ახლა თუ გემუქრებათ რაიმე საშიშროება?

არა მგონია პუტჩის მარცხის შემდეგ საბჭოთა არმიამ ჩვენზე თავდასხმა გაბედოს. მილიციასთანაც ურთიერთობა აღარ გამწვავებულა, არც გვეშინია მისი. ჩვენ აქ, ალბათ ნახეთ, სამხედრო მომზადებას გავდივართ, ვვარჯიშობთ...

მაშ, რა გიშლით ხელს, რომ მუდმივი დაბანაკების ადგილებში დაბრუნდეთ? გვარდია ხომ ისევ ოფიციალურად არსებობს.

ჩვენ გვაფიქრებს შეუსაბამობა გვარდიასთან დამოკიდებულებაში-ერთს გვეუბნებიან და მეორეს აკეთებენ. უკვე გითხარით, ჩვენი ყაზარმები დარბეულია, ბევრი რამ დააზიანეს. 5 სექტემბერს მაინც ვაპირებდით თბილისში ჩამოსვლას, მაგრამ 2 სექტემბერს კინოს

სახლთან გამართული მიტინგის შემდეგ პოლიტიკური სიტუაცია გართულდა და ჯერჯერობით აქ დარჩენა გადავწყვიტეთ. გვარდია ცხადია, არ მონაწილეობდა მიტინგის დაშლაში და არც ამბავალში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს ვიცავთ.

მთლიანად აკონტროლებთ გვარდიის მოქმედებას?

აქ იმყოფება გვარდიის შემადგენლობის 90 პროცენტზე მეტი. მხოლოდ ზუგდიდის ქვეგანყოფილებამ 500 გვარდიელმა გადაწყვიტა გამოგვყოფოდა და პირდაპირ პრეზიდენტის დაქვემდებარებაში გადასულიყო. ჩვენ ის ქვეგანაყოფი გავაუქმეთ და მათ მოქმედებაზე პასუხს აღარ ვაგებთ.

რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით მოუწოდეს გვარდიელთა მშობლებს, მიდით და თქვენი შვილები შინ წაიყვანეთო...

აქ მართლაც ამოდიან მშობლები, ამაში მათ პრეფექტურებიც უწყობენ ხელს. არც ერთი ახალგაზრდა არ გაჰყვა მათ. ჩვენ მშობლებს ვუჩვენებთ და თვითონაც ხედავენ, რომ მათ შვილებს არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ, ურიგოდ არ იკვებებიან და ასე შემდეგ.

ხმები დადიოდა, საკავშირო სახსრებით ინახავენო.

ასეთ მტკიცებას მე უკვე გავეცი პასუხი. გვარდიას საქართველოს ბიუჯეტიდან აქვს გამოყოფილი სახსრები წესის მიხედვით.

როგორც ვიცით, რამდენიმე დღის წინ თბილისში ბრძანდებოდით და შეხვდით საქართველოს პრეზიდენტს. შეთანხმდით რაიმეზე?

ფაქტობრივად, ვერაფერზე შევთანხმდით, თუმცა გულახდილად ვისაუბრეთ. ბატონ ზვიადს ისიც ვკითხე, რა მიზნით გაემგზავრა მურმან ომანიძე პუტჩის წინა დღეს მოსკოვში, 19 სექტემბერს კი უკან დაბრუნდა. პრეზიდენტმა მიპასუხა, ამას პუტჩთან არავითარი კავშირი არ ჰქონდაო.

მაინც როდის დაბრუნდებით თბილისში?

როცა პოლიტიკური სტაბილურობა იქნება, ან შეიქმნება სამოქალაქო ომის საშიშროება.

ვის დაიცავს საქართველოს ეროვნული გვარდია?

ჩვენ მუდამ ხალხის გვერდზე ვიქნებით და ხალხს დავიცავთ.

პრეზიდენტი?...

ჩვენ ჯერ ხალხი უნდა დავიცვათ და შემდეგ პრეზიდენტი.

გაზ: "დრონი", 6 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ჰელსინკის კავშირის პრესცენტრის განცხადება

ქართული ტრადიციული პოლიტიკური დაპირისპირება ყოველგვარ ზღვარს სცილდება. მსოფლიო უყურებს ჩვენს „თავდავიწყებას" და გაოცებულია. შთამომავლობა დაგვწყევლის ყველას, თუ თითოეულმა წინაპართა სიბრძნეს, სიდარბაისლეს არ მოვუხმეთ ამ ისტორიულ ჟამს. მოახლოებულ თავისუფლებას ვეთამაშებით.

ქვეყნის პოლიტიკური ავანგარდი დღე-დღეზე შეაღებს თავისუფალი სამყაროს კარს, არიერგარდი, ე.წ. შეურიგებელი ოპოზიცია კი ქვეყანაში პოლიტიკურ დესტაბილიზაციას ქმნის, საკუთარ სიმახინჯეს აშიშვლებს და ამ სიმახინჯეს სხვადასხვა გზით მთელს მსოფლიოს სთავაზობს „აი, რა უბადრუკი ხალხი ვართ ქართველები, მაგრად ჩარაზეთ თავისუფალი სამყაროს ჭიშკარი, არ შეცდეთ, არ მიგვიღოთ, არ გვალიაროთ, აქ უნდა ჩავიმარხოთ, იმპერიის ნანგრევებშიო".

ყოველმხრივ მიუღებელი სამიტინგო ალიანსი შეკოწიწდა საპარლამენტო და ქუჩის ოპოზიციას შორის. ვის ვებრძვით?! ერის სახეს, ერის არჩევანს? რა უფლებით?!

მართალია, გვიჭირს სწორი, გამართული სიარული, მაგრამ ხომ აშკარაა, რომ სწორედ საპარლამენტო ბრძოლის კონსტიტუციური გზა ყოფილა ტაძრისაკენ მიმავალი გზა. ხომ აშკარაა, რომ უპერსპექტივო და უაზრო იყო ტოტალური დაპირისპირების, საყოველთაო დაუმორჩილებლობისა და საოკუპაციო ჯარის „გარეკვის" აბსურდული ტაქტიკა. ჩვენ დღეს ერთადერთი რამსიმშვიდე გვჭირდება.

სწორედ ამის შეგნება აცოფებს სამიტინგო ალიაქოთის პროფესიონალებს.

ქუჩის პოლიტიკის დრო დამთავრდა.

თუ ვინმეს, შეურიგებელი ოპოზიციის პოზაში მდგომ ახალგაზრდა პოლიტიკოსთაგან, სამშობლოსათვის უძგერს გული და საღი აზროვნება შერჩენია, მათ სუმბათაშვილისეული, ჭანტურიასეული პოლიტიკური ტაქტიკის მარცხი უნდა აღიარონ დ საბოლოოდ დაემშვიდობონ ყოველგვარ პოლიტიკას.

საქართველოს თავისუფლების ხარჯზე პოლიტიკური თამაში არა-

ვის ეპატიება. ასეთ „მოთამაშეებს'' ხალხი შეაჩვენებს და განაჩენსაც გამოუტანს ღალატია ღმერთისა და ერის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუკრი მიხანაშვილი,

საქართველოს ჰელსინკის კავშირის პრესცენტრის ხელმძღვანელი

გაზ: "თბილისი", 6 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

გაზ. "დრონის" ინფორმაცია 2 სექტემბრის შესახებ

რამდენიმე დღით ადრე გამოცხადდა, რომ ორ სექტემბერს, თბილისში, კინოს სახლთან, საღამოს ექვს საათზე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით გაიმართებოდა მიტინგი.

დათქმული დროისათვის რუსთაველის მოედანზე, კინოს სახლის წინ, შეიკრიბა დაახლოებით 350-400 კაცი. მანამდე მილიციის გაძლიერებულმა რაზმებმა გადაკეტეს მოძრაობა რუსთაველის პროსპექტისა და ელბაქიძის დაღმართის მიმართულებით.

მიტინგის ორგანიზატორები იდგნენ კინოს სახლის წინ კიბეებზე. ეჭირათ ტრანსპარანტები: „მოვითხოვთ უზენაესი საბჭოს თვითლიკვიდაციას!'', „თავისუფლება პოლიტპატიმრებს!'', „თავისუფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს!''.

ერთი დეტალიც: მიტინგის დაწყებამდე სამოქალაქო ტანსაცმლიანი ახალგაზრდები პროვოკაციულად ცდილობდნენ შეხლა-შემოხლისა და აყალ-მაყალის გამოწვევას. ეს მათ, პრაქტიკულად, ვერ შეძლეს.

ზუსტად ექვს საათზე, ისე, რომ ორგანიზატორებმა მიტინგის გახსნაც ვერ მოასწრეს, კინოს სახლის კიბეებზე მდგომთ თავს დაესხა ჯავშანჟილეტებსა და ფოლადის მუზარადებში გამოწყობილი მილიციის სპეციალური დანიშნულების (ე.წ. „ომონი'') ასეული (ეს არის ქართული ეროვნული გვარდიის ის ნაწილი, რომელმაც თანხმობა განაცხადა შინაგან ჯარებში სამსახურზე).

უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე მოქალაქეთა მხრიდან რაიმე ექსცესებს ადგილი არ ჰქონია, „ომონელების'' გამოჩენას მომიტინგეები შეხვდნენ შეძახილებით: „ჩაუშესკუ!'', „ჩაუშესკუ!'' აგრეთვე საკმაოდ უცენზურო გამოთქმებით.

ომონელებმა ხელკეტები დაუშინეს მომიტინგეებს. ამ უკანასკნელებმა მათი პირველი შეტევა მოიგერიეს და დროებით უკან დაახევინეს. უკანდახეულებს მომიტინგეებმა წყელვა-კრულვასა და გინებასთან ერთად ქვა და ღორღიც მიაყოლეს.

ორიოდე წუთის შემდეგ რაზმელებმა ისევ შეუტიეს მომიტინგეებს. ამჯერად ხელკეტებთან ერთად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებითაც. ხალხი გაიფანტა, მაგრამ შორს არავინ წასულა. რაზმელები კიბეებზე გამწკრივდნენ. მათ ხალხმა ისევ დაუშინა ქვები, ჯოხები და, საერთოდ, ყველაფერი, რაც ხელში მოხვდათ. ამგვარ თავდასხმას რაზმელებმა ისევ ცეცხლით უპასუხეს.

საბოლოოდ, მილიციის სპეციალური დანიშნულების ასეულმა დატოვა მოედანი.

ცეცხლსასროლი იარაღით დაიჭრა სამი მოქალაქე, ორი ფეხში, ერთი გულმკერდის არეში. სხეულის მსუბუქი და ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო რამდენიმე კაცმა, მათ შორის არიან „ომონელებიც".

მილიციის მუშაკებს, რომლებსაც გადაკეტილი ჰქონდათ რუსთაველის პროსპექტი და ელბაქიძის დალმართი, შეტაკებაში ფაქტიურად მონაწილეობა არ მიუღიათ.

დარბევის მიუხედავად, მიტინგი მაინც ჩატარდა. ორატორებმა მოითხოვეს უზენაესი საბჭოს, მთავრობის და თვით საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას გადადგომა. იყო უფრო რადიკალური მოთხოვნებიც. მიტინგის მონაწილენი (მათი რიცხვი უკვე რამდენიმე ათასს აღწევდა) ამგვარ მოთხოვნებს ტაშით შეხვდნენ.

დაახლოებით საღამოს ცხრის ნახევრისათვის მომიტინგეები საქტელერადიოს დეპარტამენტისაკენ გაემართნენ. ისინი მოითხოვდნენ მომხდარის შესახებ ტელევიზიით ინფორმაციის გადაცემას, რაზეც კატეგორიული უარი მიიღეს.

გაზ: "დრონი", 6 სექტემბერი, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხდა ეროვნული ტრაგედია: მომიტინგეებსა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმს შორის კონფლიქტისას გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი. არიან დაჭრილები და მძიმედ დაშავებულნი. ამ სამარცხვინო ფაქტს, ალბათ მომავალში მიეცემა ობიექტური შეფასება. მით უფრო, რომ ოფიციალურად გაკეთდა განცხადება მომხდარის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და გამოძიების დაწყების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ეგრეთ წოდებული „ინციდენტი" მოხდა საღამოს ექვს საათზე, საქართველოს დედაქალაქის ცენტრში, ასობით ადამიანის თვალწინ, ფართო საზოგადოებრიობამ მის შესახებ სრული სიმართლე, ჯერჯერობით, არ იცის. რესპუბლიკის ყველაზე კომპეტენტურმა პირებმა განაცხადეს, რომ „ინციდენტი" ინსპირირებული იყო მომიტინგეთა მხრიდან; რომ ისინი შეიარაღებულები იყვნენ; რომ პირველებმა სწორედ მათ დაუშინეს ქვა-ღორღი და ტყვია წესრიგის დამცველებს და ა. შ. არის მომხდარისადმი პოლიტიკური შეფასების მიცემის მცდელობაც. კერძოდ, ბატონმა პრეზიდენტმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა და სხვებმა ერთმნიშვნელოვნად ბრალი დასდეს მიტინგის ორგანიზატორებს და მათი დასჯისკენ მოუწოდეს საზოგადოებრიობას (საუბარი ეხება გიორგი ჭანტურიას, ნოდარ ნათაძეს, რევაზ ჩხეიძეს, გიორგი ხაინდრავას).

ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებობს და მოქმედებს სამართლებრივი ცნება „უდანაშაულობის პრეზულცია", რომლის თანახმადაც, დამნაშავედ არ შეიძლება გამოვაცხადოთ ადამიანი, ვიდრე მის ბრალეულობას ოფიციალურად არ დაადგენს სასამართლო. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში კი ოფიციალური პირები საჯაროდ უმძიმეს ბრალდებებს უყენებენ, დამნაშავეებად აცხადებენ ადამიანებს ფაქტობრივად ძიების დაწყებამდე! ამგვარი წინასწარი განცხადებები, მით უფრო, მაღალი თანამდებობის პირების მიერ გამოთქმული, უთუოდ ზეგავლენას მოახდენს წინასწარ და სასამართლო გამოძიებაზე და ეჭვის ქვეშ დააყენებს განაჩენსაც.

გარდა ამისა, სამ სექტემბერს საქართველოს ტელევიზიის პროგრამა "მოამბეთი" გადაიცა სიუჟეტი, სადაც მოქალაქეები მოითხოვდ-ნენ დამნაშავე პირების დასჯას („ერის მოღალატეები, პრეზიდენტის ოპონენტები, ბუნტისთავები... მოიკვეთონ საზოგადოებისგან, დაპატიმრებული, ან გასახლებულ იქნენ" და ა.შ.) ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს მეტისმეტად პოლიტიზებულ ქალთა ჯგუფი, რომლებიც, საზოგადოდ, გამოირჩევიან თავიანთი რადიკალური მოთხოვნებით.

ასეთი ქმედება, როგორც ხელისუფალთა, ისე საზოგადოებრიობის მხრიდან, გარდა იმისა, რომ არის იურიდიულად სრულიად გაუმართლებელი, ანტიკონსტიტუციური, სახიფათოცაა. გავიხსენოთ ჩვენი უახლოესი წარსული: ჯერ იქმნებოდა იდეოლოგიური საფუძველი, სწორედ ხალხი მოითხოვდა „დამნაშავეთა" დასჯას და ამ „წინასწარი სამუშაოების" შემდეგ იწყებოდა რეპრესიები. სამწუხაროდ, დღევანდელი სიტუაცია ძალიან ჰგავს იმ ძველს. ყოველ შემთხვევაში, ნებსით თუ უნებლიეთ სწორედ იქითკენ მივექანებით.

ასეთი მეთოდით დემოკრატიულ საზოგადოებას ვერასოდეს ავაშენებთ. ქართველთა (საზოგადოდ, საქართველოში მცხოვრებთა) შორის მტრობას, შუღლს, დაპირისპირებულობას კი გავაღრმავებთ.

მოვუწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ბედი, მიუხედავად მისი ეროვნებისა თუ თანამდებობრივი მდგომარეობისა, თავი შეიკავოთ არასამართლებრივი მოთხოვნებისაგან. ეს გზა დამღუპველია!

გაზ: "დრონი", 6 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების განცხადება(2 სექტემბრის მიტინგი)

1991 წლის ორ სექტემბერს თბილისში, კინოს სახლის წინ, რუსთაველის მოედანზე, საღამოს ექვსი საათიდან შვიდ საათამდე, ხალხმრავლობისას, სპეციალურმა რაზმმა დაარბია მშვიდობიანი მიტინგი. მიტინგის აღსაკვეთად დანაშაულებრივად იქნა გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი. არიან დაჭრილნი და უმოწყალოდ ნაცემნი.

შემაშფოთებელია, ისიც რომ სასტიკი გაბოროტებით ქართველებს ქართველები დაარბევინეს.

მთელი საღამო შეწყდა საქართველოს ტელევიზიის გადაცემები, მოსახლეობას კი მხოლოდ ის ეცნობა, რომ კინოს სახლის წინ „ინციდენტი მოხდა". ეს კი ინციდენტზე ბევრად მეტია.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება გმობს 2 სექტემბერს რუსთაველის მოედანზე, ხელისუფალთა მიერ მომიტინგეთა დარბევას, რაც დემოკრატიული საზოგადოების არსებობის ნორმებს არასგზით არ უთავსდება.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის სასწრაფო მოწვევას და სპეციალური კომისიის შექმნას საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. რომელიც გამოიკვლევს მომხდარი ძალადობის ფაქტს, უმკაცრესად დასჯის ხელისუფალთა იმ წარმომადგენლებს, რომელთაც გასცეს ეს განკარგულება. მსგავსი ქმედებანი საქართველოს განთავისუფლების მტრების წისქვილზე ასხამს წყალს და აბრკოლებს მისი დამოუკიდებლობის აღიარებას საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

გაზ: "დრონი", 6 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

უზენაესი საბჭოს დეპუტატი მოგვითხრობს
(2 სექტემბრის მიტინგი)

1991 წლის 2 სექტემბერს 14 საათზე შესდგა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა, სადაც გადაწყდა საინფორმაციო მიტინგის ჩატარება 6 სექტემბერს, 18 საათზე, რის შესახებაც განცხდებით ეცნობა ქ. თბილისის მერიას. იქვე გავიგეთ, რომ იმავე დღის 18 საათზე ედპ აწყობდა მიტინგს კინოს სახლის წინ, დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ და მე გადავწყვიტეთ, რომ მივსულიყავით მიტინგზე, რამეთუ დავინახეთ, როგორ გროვდებოდნენ მილიციელები იქ დაახლოებით 16 სთ. 30 წთ.ზე. საქართველოს მეცნიერებათა აკა-

დემიის წინ მივედით 17 სთ და 45 წუთზე. გავედით კინოს სახლთან, დავინახეთ აუარება მილიციელები და მაღალჩინოსანი ოფიცრები. ასევე შორის ქალაქის მილიციის ხელმძღვანელობა. ცალკე ადგა - ოფიცრის პიჯაკში ჩაცმული გენერალი გ. კვანტალიანი. დაახლოებით 17 სთ. და 55 წუთზე აკადემიის წინ გამოჩნდა ორ ასეულამდე მომიტინგე დროშებით ხელში, რომლებმაც შეუხვიეს ლეონიძის ქუჩისკენ. პირველი შეტაკება მოხდა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულ ახალგაზრდებთან, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ასევე სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული მილიციის მაიორი სახვაძე. ეს ადგილი იყო ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისი, მომიტინგეებმა დაიხიეს კინოს სახლის კიბეებისკენ, სადაც ისევ გააგრძელეს თავიანთი შეტევა „გადაცმულებმა", მე და აკაკი ბობოხიძემ მივირბინეთ იქ, რომ გაგვეგო, ვინ იყვნენ ეს ახალგაზრდები (გადაცმულები) და მოვუწოდეთ მათ სიმშვიდისაკენ. მომიტინგეები განლაგდნენ კინოს სახლის წინ, მაგრამ მათ უკვე შეტევა დაუწყეს მილიციელებმა. ჩვენი აზრით, მათი ძირითადი მიზანი იყო მომიტინგეთა დაშლა, მოედნის განთავისუფლება და მათთვის ვიდეოკამერის წართმევა. ეს დაადასტურა ქალაქის მილიციის უფროსმა.

მე და აკაკი ბობოხიძემ მივმართეთ გენერალ კვანტალიანს, რომ ყოველივე ამას შეიძლებოდა მძიმე შედეგი მოჰყოლოდა და უნდა მიელო სათანადო ზომები. მას ხალხისათვის არ მიუმართავს.

ამ დროს კინოს სახლის წინ განლაგებულ მომიტინგეებს შემოუტიეს თეთრ მუზარადებში და ჯავშანჟილეტებში ჩაცმულმა „ომონელებმა", რომელნიც ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებულნი. ჯერ ეს კეთდებოდა მიწოლით, რასაც გაუძალიანდნენ მომიტინგეები, ამას კი, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ხელკეტების ამუშავება მოჰყვა. აკაკი ბობოხიძე და მე ისევ შევვარდით ხალხში, აკაკიმ მიმართა „ომონელებს", რომ ჩვენ დეპუტატები ვართ, ასეთი რამ დაუშვებელია, ამას მოჰყვა მაიორ სახვაძის დარტყმა, რის შედეგადაც დეპუტატ ბობოხიძეს ყბა მოსტყდა; ხოლო მე მხარზე ხელკეტმა ჩამომკრა. „ომონელებმა" ხელკეტებით გადათელეს ხალხი და დაიკავეს მოედანი. ჩვენ მივმართეთ გენერალ კვანტალიანს, რათა მოეწვია „ომონელების" ხელმძღვანელი და შეეწყვიტა ხალხის დარბევა. ამ დროს, ხალხის მხრიდან, რომლებიც ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისში, იქვე მდებარე სახლის წინა მოედანზე იყვნენ, დაიწყო სამშენებლო მასალის ნარჩენების სროლა.

„ომონელები" შემდეგ აკადემიის კიდეს მოეფარნენ, „დაუბრუნეს" ხალხს სამშენებლო მასალები რუსთაველის გამზირის მხრიდან. ხალხმა დაიწყო დაბრუნება კინოს სახლის წინა მოედანზე. ... მოჰყვა „ომონელების" სროლა ჰაერში. ჩვენ ამ დროს ვიდექით მოედნის გზაჯვარედინზე, ჩვენთან ერთად იდგნენ სხვა დეპუტატებიც ა. კავსაძე, რ. მემარნიშვილი, პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი და დავინახეთ, რომ პისტოლეტებით ისროდა დაახლოებით ათი ომონელი.

ხალხი დაიბნა და გაიქცა, ომონელები გაეკიდნენ ხალხს ლეონიძის ქუჩისკენ ხელკეტების ცემით. ომონელები დაბრუნდნენ მოედნისაკენ. გამწარებული ხალხი შემობრუნდა ჯოხებით და ქვებით, აგურის ნამტვრევებით და განმეორებით შეუტია ომონელებს, რასაც მოჰყვა ომონელთა მხრიდან განმეორებითი სროლა. მომიტინგეთა ერთმა ნაწილმა სცადა ჩაეხერგა გზა ომონელებსა და ხალხს შორის. უნდა ითქვას, რომ მილიციელებიც ჩადგნენ ომონელების წინ, ჩვენი აზრით იმიტომ, რომ არ მომხდარიყო გამწარებულ ხალხს და ომონელებს შორის ახალი შეტაკება.

ამის შემდეგ ომონელები წავიდნენ მოედნიდან, ხოლო მილიციამ გააკეთა ორი კორდონი პროსპექტზე, გასტრონომის წინ და სპორტული მაღაზიის წინ. ამ დროს დავინახე დაგვიანებული გ. ჭანტურია, რომელიც მორბოდა რუსთაველის ძეგლისაკენ.

მიტინგი მაინც მოეწყო ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისში, რუსთაველის ძეგლთან. აქვე მინდა დავამატო, რომ ბატონი ნ. ნათაძე მიტინგზე მოვიდა ამ მოვლენის შემდეგ, მიტინგის ბოლოს და აღშფოთება გამოთქვა მომხდარის გამო.

პაატა კოლუაშვილი.

გაზ: "საქართველო", სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს:

– საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული არმიის ჩამოყალიბება;

– საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მატერიალურტექნიკური უზრუნველყოფა.

ეროვნული გვარდია დაექვემდებაროს უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 9 სექტემბერი.
გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
10 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანება

ეროვნული გვარდიის ყოფილმა სარდალმა თ. კიტოვანმა შავნაბადას ტერიტორიაზე უკანონოდ შეკრიბა გვარდიის ნაწილები, რათა ისინი ჩაითრიოს ანტისახელმწიფოებრივ პუტჩში, აქედან გამომდინარე ვბრძანებ:

გვარდიის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა დატოვონ შავნაბადა, დაუბრუნდნენ ქალაქის ყაზარმებს და დაელოდნონ ჩემს ბრძანებას შემდგომი მოქმედებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 9 სექტემბერი.
გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
10 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ჟურნალისტთა ჯგუფის მიმართვა კოლეგებისადმი

საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია მეტისმეტად დაიძაბა. ქვეყანა თითქოს ერთ უზარმაზარ მიტინგად იქცა, სადაც ორატორებსა და მსმენელ მაყურებლებს ერთმანეთისა არ ესმით.

ოფიციალური ხელისუფლება ოპოზიციას ამქვეყნიურ ცოდვაში სდებს ბრალს. არც ოპოზიციის წარმომადგენლები არჩევენ დიდი გულმოდგინებით გამოთქმებს ოფიციალური ხელისუფლების „შესამკობად".

ხშირად, ერთი და იგივე ფაქტი სრულიად განსხვავებულად აიხსნება. ამის მჭერმეტყველური დასტურია 2 სექტემბრის ამბები, როცა „ომონმა" დაარბია მომიტინგენი, გამოყენებულია ცეცხლსასროლი იარაღი, დაიღვარა სისხლი.

უფრო ადრე, ამის დასტური იყო ეგრეთწოდებული მოსკოვური „პუტჩის" ორაზროვანი შეფასება;

ქართველ ჟურნალისტთა კორპუსს პირუთვნელად არ შეუფასებია „პუტჩის" დროს ჩვენი ხელისუფლების, თვით საქართველოს ჟურნალისთთა კავშირის პოზიცია;

ოფიციალური პრესა და ტელევიზია ცალმხრივად გამოეხმაურა ორი სექტემბრის მოვლენებს, არაფერი უთქვამს რესპუბლიკური გაზეთების გაუქმება – შეერთების თაობაზე, არც ჟურნალისტ ოთარ იოსელიანის დასაცავად თქმულა სიტყვა.

არსად ჩანს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ანალიზი, არსად ჩანს მართალი და პირუთვნელი სიტყვა.

„მეოთხე ხელისუფლება" დუმს.

დუმს საქართველოს ძნელბედობის ჟამს.

ამას შთამომავლობა არ გვაპატიებს.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერ ჟურნალისტებს აუცილებლად მიგვაჩნია სრულიად საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა, სადაც განისაზღვრება ქართული ჟურნალისტიკის როლი და ადგილი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენ კოლეგებს მოვუწოდებთ, რომ გამოიჩინონ პროფესიული და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყრილობის მომზადებასა და მუშაობაში.

ამ მიმართვას ხელს აწერენ:

გია ახალაძე, ელგუჯა ბერიშვილი, მერაბ ბალარჯიშვილი, ციალა გოგოჭური, ნოდარ გუგუშვილი, ოთარ გელაშვილი, გიგლა გობეჩია, ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, ნოდარ კობერიძე, ზაზა კახაძე, რუსუდან ლებანიძე, თამაზ მიგრიაული, მერაბ რატიშვილი, იოსებ სიმონიშვილი, გია ტუხაშვილი, ზურაბ ფოცხვერია, ბონდო ქურდაძე, თეიმურაზ ქორიძე, შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი, თამარ ჩიქოვანი, მაია ჭალაბანიძე, უშანგი ჭიჭინაძე.

ხელმოწერები გრძელდება.

გაზ: „შანსი", 11 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

ნ. ქ. გიორგაძის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ნოდარ ქუჩუკის ძე გიორგაძე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 9 სექტემბერი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",

11 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. თ. ქობალიას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ვახტანგ თევდორეს ძე ქობალია საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 10 სექტემბერი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",

11 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

გ. მ. ლანჩავას თბილისის გარნიზონის კომენდანტის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს გვარდიის მაიორი გელა მიხეილის ძე ლანჩავა საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების—ეროვნული გვარდიის თბილისის გარნიზონის კომენდანტის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 11 სექტემბერი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",

13 სექტემბერი, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * * *

20 августа

«г. Москва – начальнику Управления по руководству спецчастями войск КГБ СССР,г. Тбилисиначалнику войск Закавказского пограничного округа, г.Витебсккомандиру 103 гв.вдд, г. Нахчеван командиру 75 мсд, г. Чугуев – командиру 48 мсд, г. Москва командиру 27 гв, омсбр

С 20.00 20 августа 1991 года 103 вдд, 75 мсд, пограничных войск КГБ СССР подчинитъ Управлению по руководству спецалъными частями войск КГБ СССР. Указанному управлению абеспечитъ руководство служебнобоевой деятелъностъю передаваемих соединений.

Председателъ Комитета госбезопасности СССР

В. Крючков»

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
11 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების განცხადება

არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება, განმსჭვალული კულტურულაღმშენებლობითი სულისკვეთებით და დატვირთული პოლიტიკური მუხტით, გახლდათ პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტობის ერთადერთ ღირსეულ კანდიდატად წამოაყენა ზვიად კინსტანტინეს ძე გამსახურდია.

აი, უკვე რამდენიმე თვეა ეს პიროვნება დგას ამ მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე და სრული ძალმიცემით მეცადინობს რესპუბლიკის ხომალდის მშვიდობიანად გატარებას რიფებითა და მეჩეჩებით სავსე პოლიტიკური ზღვის დიდროვან ტალღებში.

ზვიად გამსახურდიას პიროვნებისა და ქმედებისადმი არაკეთილმოსურნე სხვადასხვა პარტიებმა, ერთხანს რომ ყუჩობდნენ, მიუხედავად ერთმანეთისადმი მკვეთრად ანტაგონისტური დამოკიდებულებისა,

ახლა პირი შეკრეს, ისედაცისედაც რთული ისტორიული ვითარება გათანგეს აუტანელი დაძაბულობით და ყველა გზა-ხერხებით ცდილობენ რესპუბლიკის ჩაძირვას ქაოსისა და ანარქიის მორევში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერცერთი ეს პარტია ცალკე აღებული თუ ასეთი ჯგუფის ორგანიზაციათა მთელი ალიანსი, (რამეთუ მათ არ მოეძევებათ ჩამოყალიბებული პროგრამა, არ გააჩნიათ გამოკვეთილი მრწამსი და არ ჰყავთ საჩინო ლიდერი) ჩენის საზრისით ვერა და ვერ შეირაცხება ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ოპოზიციად.

მათ მოთხოვნათა უმეტესობა ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას.

ჩვენ სრულ უაზრობად ვთვლით ბრალი დავდოთ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას იმაში, რომ მან ვერ შეძლო საოკუპაციო ჯარების გაყვანა ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან, და არ ვაპირებთ იმაზე მსჯელობის განვრცობას რომ ზემოხსენებული ხელისუფლება სწორედ ამ მისწრაფებით არის თხემით ტერფამდე მოცული.

უპრეცედენტო ინსინუაციად ვრაცხთ საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის რაიმე კავშირს პუტჩის მომწყობ პირებთან, რადგან ასეთი არა და არ გახლავთ საქართველოს დღევანდელი განმგებლობის პოლიტიკური ხელმოწერა.

ასე წოდებული ოპოზიციის მიერ პრეფექტურის აპარატის ბევრ შემთხვევაში მართლაც ნაკლოვანი მუშაობისადმი გაწონილი ისარი მსგავსია რამ ლოგიკური ბუმერანგისა, რადგან ასეთ აპარატში ბევრგან ურევია ამ მკიცხველგამკილველთა ხალხი. კერძოდ, წყალტუბოს რაიონის პრეფექტურასა და მის მხარდამჭერ ჯგუფში (რომელიც ამასწინათ გამართულ თავყრილობაზე სასტიკად გააკრიტიკა ადგილობრივმა მოსახლეობამ და წერილობით უნდობლობაც გამოუცხადა) მრავლად იპოვებიან ე.წ. კონგრესის წევრები და მათი თანმდგომი კრიმინალური ელემენტები.

თუკი საქართველოს დღევანდელ მმართველობას ნიშანს უგებენ იმით, რომ მას განუდგა ეროვნული გვარდიის ნაწილი, ეს არგუმენტიც შესაძლოა კვლავ ბუმერანგის დარი გამოდგეს, რადგან ამ საქმეშიც ნაწილობრივ ურევია ე.წ. ოპოზიციის ამალა. გვარდიის ძველმა ხელმძღვანელობამ ხომ, მიუხედავად ჩვენსმიერი შეტყობინებისა, თავის წიაღში ჩარიცხა ჩვენი საზოგადოებიდან ინტელექტუალურ-მატერიალური ქონების გატაცება-მითვისებისათვის კანონიერად გარიცხული და სამართალში მიცემული პირნი (წურწუმია, წილო-

სანი, ბეჟანიშვილი, ხართიშვილი), სხვათაშორის ე.წ. კონგრესის წევრნი, დახელოვნებულნი მათი პროკლამაციების გავრცელებაში, რომელნიც ფარისევლურად მიეკედლნენ გვარდიას, სინამდვილეში კი მას შეატყუეს განხეთქილების ვაშლი.

როცა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის მოპირისპირე მხარე სიტყვასა სძრავს შესახებ იმისა, რომ მათ არა აქვთ საკუთარი აზრის გამოთქმის ვრცელი ასპარეზი პრესასა თუ ტელევიზიაში, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ჟამი, როცა მათ ჰქონდათ ამის საშუალება და ისიც თუ რა უაზრობისა და უცენზურო სიტყვების კორიანტელი დააყენეს მათ ეთერში. მათი კაზუისტიკა ზედმიწევნით წააგავდა რგოლზე ჩამომჯდარი ციყვის ფართიფურთს, რომელიც ჰგონებს, რომ სადღაც მიდის, სინამდვილეში კი ერთ ალაგას დგას. ხალხი ხომ იქამდე მოვიდა ბეზარს, გაზეთს განზე სდებენ და თიშავდნენ რადიოტელევიზორს.

მრავალი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება.

ამიტომაც ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია, პოეტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ამ ბუტაფორიის შეხლაშემოხლა—ასეთი სახის პროტესტის გამოთქმა მოსავლის აღებისა და სწავლის დაწყების წინა ხანებსა და თუ გნებავთ საქართველოს დედაქალაქში ამერიკელ კონგრესმენთა ჩამოსვლის ჟამს.

ჩვენი რესპუბლიკის მატარებელს ამა ყოველს სათადარიგო ხაზზე გადაჰყავს, ამიტომაც ჭანტურია-წერეთელ-კიტოვანის და ძმათა მათთა განზრახულობათა ხაზი ნებსით თუ უნებლიედ კვეთს შევარდნაძე-ფოფხაძე-სირაძის და მთელი ამ ჯამაათის ხაზს.

აქვე შევნიშნავდით, რომ დღევანდელ პროტესტანტთა რიგებში მრავლად ურევია წითელი ხელისუფლების ნებიერი კარისკაცები და მისი გულმხურვალე ტრუბადურები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ თანხებით, რომლებიც იხარჯება ე.წ. ოპოზიციურ პარტიათა და ორგანიზაციათა შენახვისათვის, შესაძლო იყო ტევადი ბეჭდვითი ორგანოს დაარსება, მიტინგებისათვის კი ვაკის ან ვერის პარკის გამოყენება და მათი გადაქცევა ჰაიდპარკის მსგავს ტერიტორიებად. თავისუფალი აზრი, თუკი ის ჭეშმარიტიც იქნებოდა, აგრე უფრო ჰპოვებდა საკადრის ატმოსფეროს.

აქვე ვიტყოდით, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან ჩვენცა გვაქვს სადავო საკითხები და მომენტები. მაგალითად

ჩვენ ვფიქრობდით და ვფიქრობთ, რომ გლეხობას დაუყოვნებლივ უნდა მისცემოდა მინიმუმ სამი ჰექტარი მიწა საკარმიდამო მფლობელობაში, მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით, რაც საგრძნობლად ასწევდა ჩვენი ცხოვრების დონეს. ჩვენ ვფიქრობდით, რომ უმეტეს ფართო გასაქანი უნდა მისცემოდა და ხელშეწყობა ჰქონოდა ხელოსნობის განვითარებას, რაც აგრეთვე საგრძნობალად გააუჯობესებდა ჩვენს ყოფას.

ჩვენის ფიქრით უნდა გამოსულიყო ვერდიქტი შესახებ აგრე გავრცელებული უსაქმურობისა (განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის). ჩვენ გვქონდა სხვაგვარი მოსაზრებანი საკადრო პოლიტიკის მხრივაც. მეტი ყურადღება უნდა მიპყრობოდა მუზეუმებს –ბიბლიოთეკებს, სწავლა–აღზრდას, საერთოდ კულტურას და ქართული ეროვნული დვრიტის აღშენება–განცოცხლება და ესრეთ უშორეს.

მაგრამ ყოველივე ეს როდი ქცეულა მიზეზად თუ საბაბად იმისა, რომ მოგვეგროვებინა ჯართი, დაგვეყარა დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე, გაგვეწყვიტა მოძრაობის ძარღვი და შეგვექმნა სულიერი თუ ფიზიკური ანტისანიტარია.

დასასრულ ვიტყოდით, რომ ჩვენ დავყვებოდით ე.წ. ოპოზიციის ნებას მხოლოდ ერთ რასმეში და ისიც ვარაუდის სფეროში. თუკი წარმოსახვით დავუშვებდით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელახალ არჩევნებს, მაშინ ყოველი ნამდვილი წევრი სახელოვანი ქართველი მამულიშვილის არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებისა, სადაც გაერთიანებულია არაერთი ჭეშმარიტი ინტელიგენტი, პატიოსანი მუშა და დამაშვრალი გლეხი, კვლავინდებურად ხმას მისცემდა დღესდღეობით პრეზიდენტობის ერთადერთ ღირსეულ კანდიდატს, ახალი ქართული ეროვნული მოძრაობის დამწყებსა და განმგრძობა (ერთქმნილს მერაბ კოსტავას დიად აჩრდილთან) ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას.

ედიშერ გიორგაძე

არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების პრეზიდენტი.

გაზ: „თბილისი", 13 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს ჰელსინკის კავშირი–ეროვნული აღორძინების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის განცხადება

მოსკოვში სახელმწიფო გადატრიალების მარცხით დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის დაშლის პროცესი სწრაფი ტემპით ვითარდება. ქართველ ერს, რომელმაც არაერთგზის გამოხატა თავისი ნება–სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა–გაუჩნდა ისტორიული შანსი თავი დააღწიოს იმპერიულ ურჩხულს. ახლოსაა ნანტრი თავისუფლება და რაოდენ სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ვაიოპოზიციონერი სარგებლობს რა გარდამავალი პერიოდის სირთულით, ყოველნაირად ცდილობს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებისათვის სახელის გატეხას. შაქართველოს პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ გაჩაღებულმა კამპანიამ მწვავე და ინტენსიური ხასიათი განსაკუთრებით ბოლო დღეებში მიიღო. ამის მაგალითია ა.წ. 2 სექტემბერს თბილისში რუსთაველის პროსპექტზე გამართული მიტინგი. ე.წ. ოპოზიციონერები ცდილობენ ჩირქი მოსცხონ ჩვენში ჭეშმარიტად ბოლო თვეებში საფუძველჩაყრილ დემოკრატიას, რომელიც ბუნებრივია, ზემოხსენებული გარდამავალი სირთულისა თუ სპეციფიკურობის გამო არავიტარ შემთხვევაში უნაკლო არ არის.

ჩვენ ვგმობთ პროვოკაციულ გამოხდომებს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინააღმდეგ. უყოყმანოდ ვაცხადებთ, რომ სრულიად კატეგორიულად ვგმობთ აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებას 2 სექტემბრის მომოტინგეების მიართ და ამავე დროს დარწმუნებულები ვართ, მავანთა ზრახვა–დაასამარონ ჩვენი ერის მარადიული სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ–განუხორციელებელია. ვერც მოსკოველი ინსპირატორები აიხდენენ ჩვენი ქვეყნისათვის მონობის სამუდამო უღელის დადგმის წადილს.

მოვუწოდებთ ყველა ქართველს, სამშობლოსათვის ამ მეტად საპასუხისმგებლო ჟამს გამოიჩინოს მაქსიმალური გონიერება და სიმტკიცე. გზა, რომელიც ბოლომდე ჯერ კიდევ არ გაგვივლია, გმირ წინაპართა გზა, ამ გზაზე თან მოგვყვება დიდი ილიას თანმდევი სული.

მოვუწოდებთ სრულიად საქართველოს საყოველთაო ერთიანობისაკენ. ვინძლო შთამომავლობას არ მივცეთ მიზეზი ჩვენი სახელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყევლაკრულვით მოხსენიებისა.

ღმერთი შეეწიოს სრულიად საქართველოს!

საქართველოს ჰელსინკის კავშირი–ეროვნული აღორძინების – ცხუმა-ფაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ავთანდილ დავითაია.

გამგეობის წევრები: იზოლდა უბილავა, დალი სილაგაძე, ზურაბ კვარაცხელია, მალხაზ გაბელაია, ზვიად ნადარეიშვილი, სოსო ჯომიდავა, ზაურ კვარაცხელია, შოთა ჯღამაძე.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
13 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

გაზ: „დრონი"-ს ინფორმაცია

11 სექტემბერს რუსთაველის საზოგადოებაში მოეწყო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს მრავალი პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები. შეკრებილებმა ერთხმად მოითხოვეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გადადგომა. ამის საფუძვლად ისინი მრავალ მიზეზს ასახელებდნენ, მათ შორის, იმასაც, რომ, მათი აზრით, პრეზიდენტი ატარებს ანტიდემოკრატიულ პოლიტიკას, მის მოქმედება მოსკოვის პუტჩის დროს იყო კაპიტულანტური და ქართველი ერის პოლიტიკური პრესტიჟის შემლახავი, საქართველოს მიაქნებს თვითიზოლაციისკენ, რომ პრეზიდენტი თავისი პოლიტიკით გახდა ბარიერი საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე, ერის ერთ ნაწილს მოუწოდებს მეორე ნაწილის წინააღმდეგ ანგარიშსწორებისკენ და სხვა.

თავის მხრივ რუსთაველის საზოგადოებაში შეკრებილმა პარტიებმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ პრეზიდენტის გადადგომისთვის მიმართავენ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან მეთოდებს.

შეკრებილებმა გადაწყვიტეს, რომ ორშაბათს 17 საათზე, თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე მოაწყონ მიტინგი, ხოლო უახლოეს

ხანში მოაწყობენ კონფერენციასაც.

რუსთაველის საზოგადოებაში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდ-ნენ შემდეგი პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს მონარქისტული პარ-ტია, კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, ქრისტიანულ-დემოკრა-ტიული კავშირი, საქართველოს სოციალური სამართლინობის კავშირი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, „მხედრიონი", სტუდენტი ახალგაზრდობის დროებითი კავშირი, საქართ-ველოს დემოკრატიული ფონდი, საქართველოს მწვანეთა პარტია, თავ-ისუფალ დემოკრატთა კავშირი, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, დემოგრაფიუ-ლი საზოგადოების ეროვნული პარტია, ლიბერალურდემოკრატიული ეროვნული პარტია, ქართველ მაჰმადიანთა უფლებათა დაცვის ლიგა, ორგანიზაცია „დას"-ი, სახელმწიფოებრივი აღდგინების პარტია, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება, ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი, რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს სახალხო პარტია, საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმი, საქართველოს სახ-ალხო ფრონტი.

გაზ: „დრონი", 13 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს კინემატოგრაფისტთა სამდივნოს განცხადება

საქართველოს კინემატოგრაფისტთა სამდივნომ თავის ოფიციალ-ურ განცხადებაში უზნეობად მიიჩნია მასობრივ საინფორმაციო სა-შუალებებში გაჩაღებული კამპანია, რომლის მიზანია 2 სექტემბრის მიტინგის ორგანიზატორთა და მონაწილეთა (მათ შორის ორი კინე-მატოგრაფისტის) შეურაცხყოფა, დევნა და ერის მტრებად გამოცხა-დება, მით უმეტეს, რომ განცხადების თანახმად იმ ორიდან ერთ-ერთი თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა: იღებდა მოვლენებს, მეორე კი, უბრალოდ მიტინგს ესწრებოდა. „ჩვენი ღრმა რწმენით საქართველოს კონსტიტუციაცა და ადამიანის უფლებათა დეკლარა-

ციაც ყოველ პიროვნებას აძლევს უფლებას თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი, რწმენა და პოლიტიკური შეხედულება, თუნდაც ეს ეწინააღმდეგებოდეს ოფიციალურს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ ჩვენი კოლეგების მიმართ უდანაშაულობის პრეზუმპციის იგნორირება, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება ღირსებას არ მატებს ამ ქმედების ორგანიზატორებს. ამ დღეებში გამოქვეყნებული კოლექტიური წერილები და მათში წამოყენებული მოთხოვნები ძალიან გვაგონებს ავადსახსენებლ დროს, რომელიც ჩვენი ისტორიის სამარცხვინი ფურცლად დარჩა" (განცხადების ტექსტიდან).

სამდივნო კატეგორიულად არ დაეთანხმა საქართველოს უზენაესი საბჭოს კინოს სპეციალური კომისიის და კონოკორპორაციის პრეზიდიუმის უფრო ადრე გამოქვეყნებულ განცხადებას, რომელშიც კინომატოგრაფისტთა მონაწილეობა მიტინგში მიჩნეულია ანტიკონსტიტუციურ და ანტიეროვნულ აქტად. ისიც აღინიშნა, რომ სამდივნომ მხოლოდ ამ განცხადებით შეიტყო საქართველოს კინოკორპორაციის არსებობა.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა სამდივნოს განცხადებას ხელს აწერენ:

ე. შენგელაია, თ. აბულაძე, ლ. ღოღობერიძე, მ. კოკოჩაშვილი, ნ. დროზდოვი, გ. დვალიშვილი, ო. გვასალია.

გაზ: „დრონი", 13 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

გაზ: „დრონი"ს ინფორმაცია

11 სექტემბერს თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში საქართველოს მწვანეთა პარტიის ინიციატივით დაიწყო მჯდომარე გაფიცვა, რომელსაც შეუერთდა ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ალბათ მონაწილეთა გვარების ჩამოთვლა არ ღირს (აქციაში 80 კაცი მონაწილეობს), რადგან ყოველი მათგანი ღირსია აღნიშვნისა და რომელიმე მათგანის

გამოტოვება უტაქტობა იქნებოდა. გაფიცულების აზრით მათი მოთხოვნები ყველა ნორმალურ ადამიანს აწუხებს—ესაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დეზინფორმაციის გავრცელება, დემოკრატიული თავისუფლების სრული უგულებელყოფა, განსხვავებული აზრის სამშობლოს ღალატად გამოცხადება...

შეკითხვაზე, თუ როდემდე გაგარძელდება გაფიცვა, აქციის მონაწილემ პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა მოიხმო „სურამის ციხიდან" ზურაბის და დედის დიალოგი: „შვილო, ზურაბ, სადამდის? — ვაიმე, დედა, გავთავდი" და დაამატა, სანამ არ გავთავდებით, მანამდისო...

გაზ: „დრონი", 13 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ინტერვიუ ჟურნალისტ ვალერი კვარაცხელიასთან

ახლა ბევრ რამეს თვით ჭეშმარიტად მომხდარ ზოგიერთ ამბავსაც, ოფიციალური ცნობით კი არა, მოარული ხმებით ვიგებთ. ასე შევიტყვეთ, რომ საქართველოს ტელერადიო დეპარტამენტის თანამშრომელთა ერთმა ჯგუფმა ტელევიზიის შენობაში მიტინგი მოაწყო და თავისი მოთხოვნები წამოაყენა. უფრო დაწვრილებითი ცნობებისათვის მივმართეთ მიტინგის ერთ-ერთ მონაწილეს ბატონ ვალერი კვარაცხელიას, რომელსაც, დამეთანხმებით, ჩვენს მკითხველთა წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება.

— ცხრა სექტემბერს, ტელევიზიაში შევიკრიბეთ თანამშრომელთა ერთი პატარა ჯგუფი—ასე, თხუთმეტიოდე კაცი. ერთმანეთს ვუთხარით, რომ ჩვენ ფაქტობრივად საკუთარ პროფესიას ვღალატობდით. არ შეიძლება, რომ ჟურნალისტი იყოს ცალმხრივი, ტენდენციური და რომელიმე პოლიტიკური დაჯგუფებისა თუ ბლოკის ინტერესების გამომხატველი. დღეს კი საქართველოში სწორედ ასეთი ჟურნალისტიკა ბატონობს. ეს თანაბრად ეხება ტელევიზიას, რადიოს და ოფიციალურ პრესას... შეკრებილებმა გადავწყვიტეთ მიგვემართა ტელერადიო დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის. მიმართვაში ვითხოვდით, რომ ეკრანზე და რადიოგადაცემებში აღარ ყოფილიყო

ის ინფორმაციული და ანალიტიკური ვაკუუმი, რაც დღეს არსებობს, რათა ხალხს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ მხოლოდ ოფიციალური ხელისუფლების აზრი ან ჭორები კი არ გაეგო, არამედ ობიექტური მოთხოვნებს, მის პოზიციასაც გასცნობოდა, ოპოზიციასაც მისცემოდა საშუალება თვითონ ეთქვა თავისი სათქმელი.

შემდეგი მოთხოვნა ის იყო, რომ ჟურნალისტები აღარ შეეზღუდათ, რათა მათ სრულად გამოევლინათ თავიანთი ნიჭი და პროფესიული უნარი... მიტინგზე რამოდენიმე ათეული თანამშრომელი შემოგვიერთდა, საბოლოოდ კი მიამართვას სამოცდაათზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი.

ჩვენ ვთხოვეთ დეპარტამენტის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს ბატონ გელა ლეჟავას, რომ მიმართვა გადაეცა პროგრამა „მოამბეს". ეს არ უნდა ყოფილიყო რთული საქმე, რადგან მიმართვაში ისეთი არაფერი ეწერა, ხელისუფლებისთვის, ხალხისთვის თუ, ვინმესთვის საზიანო ყოფილიყო.

იმ დღეს „მოამბეს", ალბათ, ყველამ უყურეთ. ეს არ იყო ის, რაც ჩვენ გვინდოდა, მხოლოდ ისღა თქვეს, ტელერადიო დეპარტამენტის თანამშრომელთა ერთმა ჯგუფმა დემოკრატია მოითხოვაო.

მეორე დღეს, 10 სექტემბერს ისევ მოვაწყვეთ მიტინგი. იქ გელა ლეჟავამ განაცხადა, დეპარტამენტის გენერალურ დირექტორს, ბატონ თემურ კვანტალიანს საუბარი ჰქონდა რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან, რომლებმაც ნება დართეს ტელევიზიასა და რადიოგადაცემებში დრო ოპოზიციისათვისაც დაეთმო.

მიტინგმა განცხადება ცნობად მიიღო და დაიშალა იმ იმედით და განწყობით, რომ ამიერიდან დეპარტამენტი თავის მუშაობაში იხელმძღვანელებს დემოკრატიული პრესის პრინციპებით და დაეყდნობა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს პრესის შესახებ.

ყველას, ვინც გაზეთ „დრონის" ფურცლებზე ამ წერილს წაიკითხავს, უკვე ეცოდინება შეასრულა თუ არა თავისი დაპირება ტელერადიო დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა.

ისიც მინდა ვთქვა, რომ დღევანდელი დაძაბული სიტუაცია ინფორმაციულმა ცალმხრივობამაც გამოიწვია. და, საერთოდ, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს ტელევიზიამ მთავრობას, ხელისუფლებას, პირადად ბატონ პრეზიდენტს ძალიან ცუდი სამსახური გაუწია. ტელე-

ვიზიის მონური მორჩილებით დაზიანდება ხალხი, ოპოზიცია–მით/ უმეტეს. ყველა კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. თავის დროზე მე ამის შესახებ ვუთხარი კიდეც ბატონ პრეზიდენტს, მაგრამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონო ვალერი, ხომ არ ყოფილა საუბარი იმის შესახებ, რა ფორმით მოხდება ოპოზიციის გამოსვლა ტელეეკრანზე?

— არა, მიტინგზე ასეთ კონკრეტულ საკითხებს ვერ განიხილავ. მაგალითად, 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ტელერადიო კომიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ასეთი მიზნით შემოიღო ალტერნატიული საათი. გადაცემაში მონოლოგის, დიალოგისა თუ ინტერვიუს სახით ერთი საათი ეთმობოდა მაშინდელ ოპოზიციონერებს, მათ შორის იმათაც, ვინც დღეს საქართველოს ხელისუფლებაში არიან. გადაცემის ეს ფორმა, შეიძლება დღესაც მისაღები იყოს, თუმცა მე პირადად იგი საუკეთესოდ არ მიმაჩნია. უმჯობესია, რომ საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამები თავისუფალი იყოს, არაა საჭირო მკვეთრად გამოიკვეთოს, რომ, აი, ახლა ხელისუფლების წარმომადგენლები გამოდიან, შემდეგ — ოპოზიციონერები და ასე შემდეგ. ჟურნალისტმა — გადაცემის ავტორმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს გადაცემაში ვისი და რა ფორმით გამოსვლა იქნება მიზანშეწონილი. ეს არ გამორიცხავს, რომ ერთსა და იმავე გადაცემაში მონაწილეობდნენ, ასე ვთქვათ სხვადასხვა ბანაკის წარმომადგენლები. არ უნდა დაგვავიწყდეს: ტელევიზია მაინც შემოქმედებითი სამსახურია.

ჩაიწერა გიორგი იოსებიძემ.

და ბოლოს, გაცნობებთ ზემოაღნიშნული ოფიციალური მიმართვის ძირითად ნაწილს.

,,საქართველოში დღითიდღე იძაბება პოლიტიკური სიტუაცია, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, აშკარად ხელს უწყობს საქტელერადიო დეპარტამენტის ყოვლად გაუმართლებელი, არათუ ცალმხრივი პოზიცია, არამედ მის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია...

კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ არ გამოვხატავთ არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის პოზიციას, ვდგავართ ერის სამსახურში, ვიბრძვით სიტყვის თავისუფლებისა და მოვლენათა ობიექტური ასახვისათვის, რისი საშუალებაც სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია.

ვგმობთ საქატელერადიო დეპარტამენტის მუშაობის სტილს და მოვუწოდებთ მას კარდინალურად შეცვალოს თავისი დამოკიდებულება მოვლენებისადმი, უკუაგდოს მუშაობის ბოლშევიკური მეთოდები,

რაც ცუდ სამასახურს უწევს, სახელს უტეხს რესპუბლიკას და ხელს უშლის დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას"...

გელა ქოქიაშვილი, მერაბ ბერიძე, ბადრი ცირამუა, ზურაბ ...ძე, ვალერი კვარაცხელია, ზაზა ქინქლაძე, ლია დავლიანიძე, ციური ბავჯელიძე, თამარ ცაგარეიშვილი, ოთარ შაორშაძე, ბადრი ვადაჭკორია, ნანა ჯაფარიძე.

სულ 81 ხელმოწერა.

გაზ: „დრონი", 13 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

რუსეთის სფსრ პრეზიდენტს ბატონ ბ. ნ. ელცინს

პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ!

ზოგიერთმა გარემოებამ მაიძულა თქვენთვის მომემართა წერილით. როგორც მოგეხსენებათ, 2 სექტემბრიდან, ინციდენტის — თბილისში რესპუბლიკური მილიციისა და დემონსტრანტების შეტაკების დღიდან, რომლის შედეგად ტყვიით დაიჭრა სამი კაცი, ცენტრალურმა ტელევიზიამ და საბჭოთა პრესამ პრაქტიკულად დემოკრატიული საქართველოს დისკრედიტაციის კამპანია გააჩაღეს. ყოველივე ეს ხდება იმის შესახებ ჩემი განცხადების მიუხედავად, რომ საქართველოს ხელძღვანელობას არ გაუცია მომიტინგეთა გარეკვის ბრძანება და რომ გამოძიების დამთავრების შემდეგ დამნაშავენი, ვინც უნდა იყვნენ ისინი, პასუხისგებაში მიეცემიან. ახალი ამბების სატელევიზიო სამსახურის პროგრამა, მაგალითად, მოქმედებს „ვრემიას" პროგრამის საუკეთესო „ტრადიციებით": ხან აჩვენებს საქართველოს მთავრობის მხარდამჭერი მიტინგის კადრებს, და ურთავს მათ კომენტარებს, რომ ეს ოპოზიციის მიტინგია, ხან აცხადებს, რომ მოსალოდნელია ეროვნულ გვარდიელთა თავდასხმა, ხან იუწყება, რომ ეს თავდასხმა უკვე მოხდა—არიან 67 დაჭრილი და დახოცილები და ა.შ. იგივე ხერხებით მოქმედებს რუსეთის ტელევიზიაც. კერძოდ პროგრამა „ვესტი".

საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებისა და შესაძლებლობების

კვალობაზე გავლენა მოახდინოთ ანტიქართულ ძალებზე, რომლებიც ცდილობენ განხეთქილება ჩამოაგდონ ჩვენსა და დემოკრატიულ რუსეთს შორის. სხვათაშორის რუსეთის დეპუტატთა ჯგუფმა ბრალად დამდო, თითქოს უკორექტოდ დამემონებინოს თქვენი ავტორიტეტი, რაც წინასწარ განზრახული სიცრუეა და ხელს უწყობა საქართველოს წინააღმდეგ იმავე საინფორმაციო ომს.

უფრო მეტიც, რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო საქმეთა კომიტეტები და რესპუბლიკათაშორის ურთიერთობის ქვეკომიტეტი წინადადებას იძლევიან, რომ „ალბათ ურიგო არ იქნებოდა გაგვეზიარებინა საკითხი საქართველოში კონფლიქტის ყველა ზონაში, ესე იგი მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე საგანგებო წესების რეჟიმის შემოღების შესახებ".

ბატონო პრეზიდენტო!

თქვენ იცნობთ ჩვენს პოზიციას, **ჩვენ ერთმორწმუნე რუსეთთან ნამდვილად კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების მომხრენი ვართ.** ხელშეკრულება ჩვენს ქვეყნებს შორის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ არსებითად ხელმოსაწერად მზად არის, და მოხარული ვიქნებით მივიღოთ რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა მინისტრი უახლოეს დღეებში.

ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ დიდ პატივს გცემთ პირადად თქვენ და რუსეთის ხელმძღვანელობას, რომელსაც თქვენ მეთაურობთ.

საუკეთესო სურვილებით ზვიად გამსახურდია.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",

14 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

რუსეთის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განცხადება საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების გამო

შეშფოთებული ვართ იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოს რესპუბლიკაში, მათ შორის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე, ამ დღეებში, კი თბილისშიც მიმდინარე პროცესები ვერ თავსდება ადამიანის უფლებათა დაცვის, მათ შორის ეროვნული უმცირესობის უფლებათა დაცვისა და მათი გარანტიების შესახებ ცივილიზებულ წარმოდგენათა ფარგლებში, განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ აღნიშნული მოვლენები ხდება ადამიანის უფლებათა წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმებისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების გარანტიების შესახებ სახელმწიფოთაშორისი კონვენციის დადების საჭიროების თაობაზე ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ინიციატივის ფონზე და მოსკოვში მისი გამართვის ზღურბლზე, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია ზოგჯერ არცთუ კორექტულად იყენებს რუსეთის სფსრ პრეზიდენტის ბ.ნ. ელცინის სახელსა და ავტორიტეტს.

ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია შეგახსენოთ, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები ამა თუ იმ სახელმწიფოს საშინაო საქმე არ არის და, მაშასადამე ჩვენი განცხადება ამთავითვე არ შეიძლება გაგებულ იყოს, როგორც ჩარევა საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში, რომლის სუვერენიტეტს ჩვენ უთუოდ პატივს ვცემთ.

გარდა ამისა, გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებათა გამო საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დარღვევები ართულებს საშინაო ვითარებას რუსეთის სფს მომიჯნავე ტერიტორიებზე. ამით მსგავს მოქმედებას იმთავითვე მკაფიოდ გამოხატული სახელმწიფოთაშორისო ასპექტიც ჰქონდა.

ჩვენი აზრით, ადამიანის უფლებათა სფეროში სიტუაციის გასაუჯობესებლად მიზანშეწონილი იქნებოდა დაგეყენებინა რუსეთის სფს რესპუბლიკისა და რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან არჩეულ სსრ კავ-

შირის დეპუტატთა და საქართველოს რესპუბლიკისაგან დეპუტატთა მუდმივმოქმედი სამეთვალყურეო პოსტები—აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში უკვე შექმნილი ანალოგიური სტუქტურების მაგალითისამებრ, ვითარების შემდგომი გაუმჯობესების შემთხვევაში, ურიგო არ იქნებოდა გაგვეაზრებინა კონფლიქტის ყველა ზონაში საგანგებო წესების რეჟიმის შემოღების საკითხი.

რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს
ადამიანის უფლებათა კომიტეტი,
რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს რესპუბლიკათაშორისი ურთიერთობის
ქვეკომიტეტი.
რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტი.
„სოვეტსკაია როსია“, 1991 წლის 10 სექტემბერი.
გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
14 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს

1991 წლის 19 სექტემბერს გამოქვეყნდა რუსეთის სფსრ უზენაესი საბწოს რამდენიმე კომიტეტის განცხადება საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ამ დოკუმენტში ცდილობენ დაამახინჯონ საქართველოში რეალურად არსებული საქმის ვითერება და სახელი გაუტეხონ რესპუბლიკის დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას ადამიანურ განზომილებათა საერთაშორისო კონფერენციის გახსნის წინ.

განცხადებაში უსაფუძვლოდ ამტკიცებენ, თითქოს საქართველოში ირღვეოდეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, ავტორებს საფუძვლიანად უნდა შეესწავლათ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები, შეედარებინათ ამ აქტების მოთხოვნები

საქართველოში უმცირესობათა ცხოვრების რეალურ პირობებთან. ეროვნულ უმცირესობათა უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონებით. მათ საქმეს უზრუნველყოფს საქართველოს ხელმძღვანელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებაში აღნიშნულია საქართველოს რესპუბლიკის რეგიონები, სადაც თითქოს ირღვეოდეს ადამიანის უფლებები. ამგვარი მტკიცებანი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

აფხაზეთში ემზადებიან ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების მოსაწყობად. ამ კონტექსტით განცხადებას აშკარად პროვოკაციული ხასიათი აქვს და ხელს უწყობს ამ რეგიონში ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავებას.

ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არასასურველი პროცესები ბევრად განსაზღვრა შემდეგმა გარემოებებმა: რუსეთის სფს რესპუბლიკის ეგრეთ წოდებული ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიიდან საქართველოს ტერიტორიაზე გზავნიან შეიარაღებულ ბანდიტურ ფორმირებებს, რომლებიც მიმართავენ ტერორს, მკვლელობას, ძარცვას, შემოაქვთ იარაღის დიდი პარტიები ექსტრემისტებისათვის, მთელი ამ კონფლიქტის მანძილზე რუსეთის ხელისუფალთ არ გადაუდგამთ რამდენადმე სერიოზული ნაბიჯი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბანდიტურ დაჯგუფებათა შემოგზავნისა და იარაღის შემიტანის აღკვეთისათვის, რამაც სწორედ შეუძლებელი გახადა კონფლიქტის მოწესრიგება ამ ეტაპზე.

განცხადებაში ნათქვამია, რომ შეიძლება შემოღებულ იქნას საგანგებო წესები „კონფლიქტის ყველა ზონაში". ეს უნდა მივიჩნიოთ სამხედრო ძალის გამოყენების, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის აშკარა მუქრად.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს რამდენიმე კომიტეტის განცხადება ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემაზე დაფუძნებულ დემოკრატიულ პრინციპებს, რომელიც დამახასიათებელია რუსეთის სფსრ ხელმძღვანელობის ახლანდელი კურსისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო მტკიცე პროტესტს გამოთქვამს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის, შეარაღებული ინტერვენციით დამუქრების, საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დისკრედიტაციის ცდის გამო და მიაჩნია, რომ ამგვარი განცხადებები ხელს არ უწყობს ჩვენს სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას.

საქართველოს რესპუბლიკის საგრეო საქმეთა სამინისტრო.

თბილისი. 1991 წლის 12 სექტემბერი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",

14 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ბ. დ. პანკინს

ღრმად პატივცემულო ბორის დიმიტრის ძევ!

მადლობას მოგახსენებთ, რომ მიმიწვიეთ მონაწილეობა მივიღო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სამინისტროების საბჭოს 16 სექტემბრის სხდომაში, დავამყაროთ თქვენთან პირადი კონტაქტები და მოვაგვარო ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, ამასთანავე ვიმედოვნებ, რომ თქვენ გაგებით მოეკიდებით ქვემოთ მოყვანილ ჩვენს პრინციპულ მოსაზრებებს.

სახელმწიფო საბჭოს პირველსავე სხდომაზე მიღებული იყო ერთა თვითგამორკვევის, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის სავსებით შესაბამისი თვითგადაწყვეტილებანი, რომელთა საფუძველზე ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის ხალხებს ბოლოს და ბოლოს მიეცათ შესაძლებლობა აღედგინათ თავიანთი დამოუკიდებლობა. ამავე დროს საქართველოს რესპუბლიკის თხოვნა მისთვის იმ უფლების მინიჭების შესახებ, რომ თვითონ განსაზღვრავდეს თავის ბედს, ამა წლის 31 მარტის რეფერენდუმზე გამოხატული ხალხის ნებასურვილის შესაბამისად ყოველგვარი არგუმენტების გარეშე უგულებელყოფილი იყო, ჩვენს ხალხასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ეს სრულიად გაუმართლებელ დისკრიმინაციად მიაჩნიათ.

ზემოთ ჩამოყალიბებულის საფუძველზე, მზად ვარ მონაწილეობა მივიღო თქვენ მიერ შემოთავაზებულ სხდომაში თუ მის დღის წესრიგში გათვალისწინებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის

სუვერენიტეტისა სახელმწიფო დამოუკიდებლობის საკითხის განხილვა, დარწმუნებული ვართ, რომ ამ საკითხის განხილვა, თათბირის მონაწილეთა გამოთქმული აზრები უთუოდ უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს საკითხის სამართლიანი გადაჭრის მიღწევაში.

ამასთანავე, მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ თქვენ მიერ შემოთავაზებული თათბირის დღის წესრიგით გავალისწინებული საკითხის განხილვაში.

საქართველოს რესპუბლიკა მზად არის აქტიური მონაწილეობა მიიღოს როგორც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამნისტროსთან ორმხრივ თანამოქმედებაში, ისე რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სამინისტროებთან მრავალმხრივ თანამშრომლობაშიც, აგრეთვე — ერთობლივი აქციების განხორციელებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პროცესის სულისკვეთებით იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის მიერ გამოცხადებულ პოლიტიკას.

მადლობელი ვიქნებოდი, თუ შეგვატყობინებდით თქვენს აზრს ჩამოყალიბებულ საკითხებზე.

პატივისცემით

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე,
საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ომანიძე.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
14 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ჰელსინკის კავშირის მესტიის რეგიონალური ორგანიზაციის მოშიმშილე წევრთა წერილი გაზ „საქართველოს რესპუბ-ლიკის“ რედაქციას

ძვირფასო რედაქციავ!

ჩვენ ჰელსინკის კავშირის მესტიის რეგიონალური ორგანიზაციის წევრები, რომლებიც 7 სექტემბრიდან ვშიმშილობთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახლის წინ, მივმართავთ მთელ საქართველოს, ქართველ ერს, რომელიც შეშფოთებულია ჩვენს რესპუბ-ლიკაში მიმდინარე პროცესებით.

ორი საუკუნის მანძილზე რაც საქართველომ თავისუფლება და-კარგა, ასეთი რთული და სახიფათო პოლიტიკური მდგომარეობა არ ჰქონია ჩვენს ერს, როგორიც დღეს დაუდგა, თითქოს ძალზე მოგვი-ახლოვდა ნანატრი თავისუფლება, იშლება რუსეთის იმპერია, გვყავს მრავალპარტიული არჩევნებით კანონიერად არჩეული პარლამენტი, გვყავს ხალხის მიერ ორგზის არჩეული პრეზიდენტი. ერთი სიტყვით, გვაქვს ყველაფერი ის, რაც შეიძლება ჰქონდეს თავისუფლების გზაზე დამდგარ ქვეყანას.

ერი მოჰყვება თავის ხელისუფლებას და პრეზიდენტს და სწამს, რომ ორსაუკუნოვანი ნატვრა– დაიბრუნოს სახელმწიფოებრივი და პოლიტიკურეკონომიკური დამოუკიდებლობა–სულ მალე განხორ-ციელდება. თუ გონიერებას შევინარჩუნებთ, თუ დავთრგუნავთ პატივ-მოყვარეობას, რომლის გამო თვითეულ ჩვენგანში პრეზიდენტი ზის, თუ არ ავყვებით დემაგოგებს, მეჭორეებს, იმათ ვისაც რატომლაც არ სურთ, საქართველომ მიაღწიოს თავისუფლებას და საბოლოოდ დაიხ-სნას თავი რუსეთის იმპერიის ბატონობისაგან.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ დღევანდელი დაძაბულობა, რაც საქართ-ველოს დედაქალაქშია, არის იმ ორი ძალის წინააღმდეგობის შედეგი, რომელთაც შეუძლიათ საქართველო გზაჯვარედინიდან ან დიდი და თავისუფალი მომავლისაკენ წაიყვანონ, ან უფსკრულში გადაჩეხონ, ეს ძალებია–საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება და პრეზი-დენტი, რომლის გზა არის პარლამენტური ბრძოლა და გამარჯვების უხიფათო გზა, და ეგრეთ წოდებული ოპოზიცია, რომელიც გმობს ამ

გზას, მოითხოვს პრეზიდენტის გადაყენებას, ამით ხელოვნურად ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი არ დაისვას არც რუსეთის ფედერაციის, არც უკვე ... დაშლილი საბჭოთა კავშირის და არც დასავლეთის ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტში.

ეს კატასტროფის გზაა პოლიტიკურად, ხოლო თვით საქართველოში შეიძლება ძმათაშორის სისხლისღვრამდე მიგვიყვანოს.

ის, რომ აუცილებლად მიგვაჩნია ასეთი მდგომარეობის განმუხტვა საქართველოში, გახდა ჩვენი აქციის მიზანი და მიზეზი.

ჩვენი მოთხოვნებია:

1. შეწყდეს ცენტრის პროვოკაციები საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის მიმართ;

2. მხილებულ და დასჯილი იქნან დესტაბილიზაციის ორგანიზატორები;

3. ვგმობთ 2 სექტემბერს თბილისში ჩატარებულ მიტინგზე მომხდარ უპრეცედენტო შემთხვევას. მოვითხოვთ დამნაშავეთა მხილებასა და დასჯას;

იმისათვის, რომ საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობას მუშაობის ნორმალური საშუალება ჰქონდეს, ქართველმა ერმა თავისი პოზიცია უნდა გამოხატოს ე.წ. ოპოზიციის მიმართ. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობას ჰყავდეს ნამდვილი კონსტუქციული ოპოზიცია, რომელიც თავის აზრს გამოხატავს არა ლანძღვაგინებით, ხულიგნობით, სტვენითა და ღრიანცელით, არამედ მშვიდობიანი პოლიტიკური დებატებით, დემონსტრაციით, მიტინგით, არსებული წესების დაცვით, როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაში ხდება. პრეზიდენტი და მთავრობა ვალდებულია ასეთ ოპოზიციასა და მის აზრს ანგარიში გაუწიოს. ისნი კი ვინც დღეს ხელოვნური ლანძღვაგინებით, სტვენით, ჭორებით ცდილობს და აღწევს კიდეც რესპუბლიკაში დესტაბილიზაციის შექმნას — ოპოზიციად არ ჩაითვლება. ესენი შეიძლება მოინათლონ ერის მტრებად და ეს არ უნდა გაუკვირდეთ მათ, ამას ისინი თავიანთი ქმედებით იმსახურებენ, რადგან აშკარად მოქმედებენ საქართველოს განთავისუფლების წინააღმდეგ.

ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც შეურთდა სტვენია და ქვასროლია ოპოზიციონერებს, რომელიც ლაპარაკობს ერის სახელით და საქართველოს მოუწოდებს

თავის მიერ არჩეული პრეზიდენტის გადაყენებას, მთლიანად აგებს პასუხს საქართველოს მომავლისათვის. მათ ისიც უნდა შეგახსენონ, რომ ისინი, ვინც აირჩია ბატონი ზვიად გამსახურდია თავის პრეზიდენტად, ცხოვრობენ და შრომობენ საქართველოს ყველა კუთხეში და ჭეშმარიტი ეროვნული აზრის დასადგენად მათი ფიქრი და ნება უნდა იქნას გათვალისწინებული.

ერმა თავისი სიტყვა უნდა თქვას და ამისათვის აუცილებელია დიალოგი ოპოზიციასა და ხალხს შორის. აუცილებელია ერი გაერკვეს ყველაფერში და ყველას თავისი ადგილი მიუჩინოს.

ამისათვის დაპირისპირებულ მხარეს ვთავაზობთ ჩაებას დიალოგში ქართული (სვანური) სამართლის საფუძველზე, რომელიც გამორიცხავს ტენდენციურობას, მიმკერძოებლობას. ამ ტრადიციით, ის ვინც მოლაპარაკებაზე არ გამოვა, ამტკიცებს თავის დანაშაულს.

ჩვენი აქციის მიზანი არ არის ვინმეს განადგურება, როგორც ამას ე.წ. ოპოზიცია გვივრცელებს. ჩვენ მშვიდობისათვის ვშიმშილობთ, ჩვენი შვილების, ძმების, დების, დედების, მამების სიმშვიდისათვის, არც ვინმეს დაქირავებულნი ვართ, როგორც ჭორებს გვივრცელებენ, რაზეც მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ. ჩვენ საქართველოს სიყვარულმა, მისი ერთიანობისა და თავისუფლების სიყვარულმა მოგვიყვანა და არ შევწყვეტთ აქციას, ვიდრე არ დაიწყება მოლაპარაკება, არ მიეცემა ნორმალური მუშაობის საშუალება საქართველოს კანონიერ პრეზიდენტსა და ხელისუფლებას.

უფალო ადიდენ ერთობლივი ბაგრატოვანნი, ერთობლივი საქართველო და ერთობლივი ხევი სვანეთისა!

გვფარავდეს ღმერთი და დაგვიბრუნოს მშვიდობა.

მოშიმშილეები: ზოია ბურჩიანი, ზოია შაფრიანი, ეთერ მჭედლიანი, ომარ ჭკადუა, მაია კახიანი, ლუცინდა შაფრიანი, ანუელა ავალიანი, ფოთოლა ჯაჯვანი, მანანა საღლიანი.

თბილისის ჰელსინკის კავშირის ზედამხედველი: მზია მიმინოშვილი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
14 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს განმარტება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „შანსში" დაიბეჭდა საქართველოს ჟურნალისტთა ჯგუფის მიმართვა კოლეგებისადმი.

ისინი სხვადასხვა საკითხებთან ერთად შეეხნენ ჟურნალისტთა კავშირის ერთგვარ ინერტულობას ზიგიერთი ფაქტის მიმართ, კერძოდ ისეთების მიმართ, როგორიც იყო გაზეთების გაუქმება, ჟურნალისტ ოთარ იოსელიანის საკითხი, პუტჩის შეფასება და სხვა.

აქედან გამომდინარე საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს საჭიროს მიაჩნია განმარტოს:

1. გაზეთების გაუქმების ფაქტი ჩვენთვისაც, ისევე როგორც საზოგადოებრიობისათვის, ცნობილი გახდა გაზეთებიდან. წინასწარ ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდით, ამ ცნობის დაბეჭდვის მეორე დღეს საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარეს ინტერვიუ ჩამოართვა საქტელერადიო დეპარტამენტის კორესპონდენტმა.

ინტერვიუში თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დადგენილების მიღება უნდა მომხდარიყო ერთობლივად (გაზეთების კოლექტივრების აზრის გათვალისწინებით). მისი აზრით უზენაეს საბჭოს მეტი გაზეთი აქვს ვიდრე საჭიროა. დიდი ფორმატის და მრავალგვერდიანი გაზეთების დაარსება, ისეთისა, როგორიც გამოდის დასავლეთის ქვეყნებში, მიზანშეწონილია. მით უმეტეს, რომ დადგენილებაში აღნიშნული ყველა ჟურნალისტი დასაქმებული იქნებოდა ამ გაზეთში და უფრო მეტიც, გამოჩნდებოდა საჭიროება დამატებითი (სასაურველია ახალგაზრდა) კადრების აყვანისა. (ინტერვიუს ჩანაწერის ასლი ინახება ჟურნალისტთა კავშირში).

როგორც ცნობილია, უზენაესი საბჭოს ეს დადგენილება დღეისათვის გაუქმებულია.

2. რაც შეეხება გაზეთ „ცხოვრების" რედაქტორს ო. იოსელიანის საკითხს, სამდივნომ იმსჯელა და მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ მისი ქმედება განეხილა არა სამართალდამცავ ორგანოებს, არამედ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმს. ამის შესახებ დაიბეჭდა ცნობა გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა" და „სვობოდნაია გრუზია".

3. 20 აგვისტოს, სამდივნომ ქართველი ჟურნალისტების სახელით ჟურნალისტთა ფედერაციის გენერალურ მდივანს ედან უაიტს გაუგ-

ზავნა მიმართვა, რომლის ტექსტიც შემდეგ დაიბეჭდა გაზეთ „სვობოდნაია გრუზიაში". ამ მიმართვაში ნათლად ჩანს ჟურნალისტთა კავშირის პოზიცია ავანტიურისტული პუტჩის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, სამდივნომ მხარი დაუჭირა გაზეთ „დემოკრატიჩესაკაია აფხაზიას" ჟურნალისტებს, რომელთაც არ აძლევდნენ გაზეთის რეგისტრაციის საშუალებას.

აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტთა კავშირს ჰქონდეს თავის მუშაობაში ნაკლოვანებები, თუნდაც ის, რომ ზოგიერთი ჟურნალისტის უფლებები სათანადოდ ვერ დავიცავით. ამას გარდა ჩვენ გაგვაჩნია არაერთი ნაკლი, რომელთა შესახებ საუბარი შორს წაგვიყვანდა. ყოველივე ამაზე მომავალ პლენუმზე ვიმსჯელებთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რესპუბლიკას არ ჰქონდა პრესის კანონი, რომლის დაცვაც ყველასათვის აუცილებელი იქნებოდა.

რაც შეეხება ყრილობის მოწვევას, კავშირის იმ წესდების IV თავის 1 და 2 მუხლებში, რომელიც რესპუბლიკის ჟურნალისტებმა შარშან თავის პირველ ყრილობაზე მიიღეს, აღნიშნულია:

1. „კავშირის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც მოიწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ, რიგგარეშე ყრილობის მოწვევა შეიძლება გამგეობის გადაწყვეტილებით ან კავშირის წევრთა ნახევრის მოთხოვნით.

2. ყრილობის მოწვევა კავშირის წევრებს ეცნობებათ სამი თვით ადრე, რიგგარეშე ყრილობის მოწვევა არაუგვიანეს ერთი თვისა".

გამგეობა ახლო მომავალში მოიწვევს პლენუმს, სადაც იმსჯელებს ყველა იმ საკითხის ირგვლივ, რომლებიც აინტერესებთ ჟურნალისტებს. არდა ამისა, ჟურნალისტთა პლენუმზე მზადდება ჟურნალისტთა სოციალური დაცვის საკითხების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი (მხედველობაში გვაქვს პროფკავსირის ფუნქციების გადმოცემა ჩვენი კავშირისათვის).

და ბოლოს, საქართველოს რესპუბლიკის კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" არის იურიდიული დოკუმენტი, რომელიც დაამშვენებდა ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობას. ახლა კი ჩვენი, ჟურნალისტების ვალია არამარტო მისი განხორციელება, არამედ მისი ყოველმხრივი დაცვა.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნო.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",

14 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და საზოგადოებრიობის ჯგუფის განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვგრძნობთ, რა უდიდეს პასუხისმგებლობას ღვთის, ერის და შთამომავალთა მსჯავრის წინაშე, ვითვალისწინებთ რა ისტორიული მომენტის არსსა და მნიშვნელობას, პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირების სიმძაფრეს და მოვლენათა შესაძლო არასასურველი განვითარების პერსპექტივას, ვესწრაფით რა საქართველოში საყოველთაო სამოქალაქო მშვიდობის დამყარებას, ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი საქვეყნოდ ვაცხადებთ:

1. ჩვენი მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა–დაფუძნება სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოსი, რომელიც უნდა იქცეს საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად და თავისუფალი სამყაროს განუყოფელ ნაწილად;

2. ამგვარი სახელმწიფოს მშენებელი და მისი დამცველი შეიძლება გახდეს მხოლოდ თავისუფალი მოქალაქე–პიროვნება, ვინც საბოლოოდ დააღწია თავი ტოტალიტარული რეჟიმის ტყვეობას, დაძლია რა წლების მანძილზე ხალხის ცნობიერებაში დანერგილი უსასოობა და შიში;

3. მიუხედავად ამჟამინდელი რთული პოლიტიკური ვითარებისა, დაუშვებელია ადამიანის ძირითად უფლებათა შეზღუდვის გზით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყაზარმული დისციპლინის დამკვიდრება. ჩვენში გავრცელებული ლოზუნგი–„ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია"–მავნეა, და მასში გამოვლენილი იდეულოგიური მრწამსი, უწინარეს ყოვლის, სწორედ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას აფერხებს;

4,. აუცილებლად მიგვაჩნია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანთა უფლებათა დეკლარაციის, ჰელსინკის, მადრიდის, ვენისა და პარიზის შეჯამებულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული ძირითადი იდეების სახელმწიფო რანგში აყვანა და ცხოვრებაში გატარება, რაც ხელს შეუწყობს მსოფლიო გაბატონებული მიმართულებებისა და საქართველოს ეროვნული ინტერესების დაახლოებას;

5. საჭიროა საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალური ლიბერალიზაცია. უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სრული გამიჯვნა, შეწყდეს თავისუფალი აზრისა და სიტყვის ჩახშობა. დაინერგოს პოლიტიკური ბრძოლი ცივილიზებული, კონსტიტუციური მეთოდები, გზა გაეხსნას საბაზრო ეკონომიკასა და კერძო მეწარმის ინიციატივას, გადაწყდეს აგრარული საკითხი, აილაგმოს კორუმპირებული მაფია, რომელიც არსებული ცვლილების ძირეულ ცვლილებას ეწინააღმდეგება. თავისუფალი ქვეყნის მშენებელი თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეს სახელმწიფოს წინსვლის მთავარ მამოძრავებელ ძალად;

6. კატეგორიულად უნდა დაიგმოს ძალადობის ყოველგვარი გამოვლინება. იარაღი უნდა აღიმართოს მხოლოდ აგრესორის წინააღმდეგ. ერის ღირსებისა და სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ხოლო ჩვენი შინაური პოლიტიკური უთანხმოებანი უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი დიალოგის გზით, გარეშე ძალების ჩაურევლად.

ვიმედოვნებთ, რომ ჩამოთვლილი ძირითადი პრინციპების საფუძველზე შესაძლებელია საქართველოში სამოქალაქო მშვიდობის დამყარება, მოვუწოდებთ მათ, ვისთვისაც მისაღებია წინამდებარე დოკუმენტის სულისკვეთება, შეურთდნენ ხელისმომწერთა რიცხვს.

ილია II, თედო პაატაშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, მალხაზ კვანჭილაშვილი, მერაბ ურიდია, გელა კობერიძე, ირაკლი მელაშვილი, ელდარ შენგელაია, გია ბულაძე, ლანა ღოღობერიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, თენგიზ აბულაძე, კობა იმედაშვილი, აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ დოჩანაშვილი, ირაკლი წერეთელი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
14 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

საქართველოს ეროვნული ფრონტი–რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტის განცხადება

1991 წლის 1922 აგვისტოს სსრკ–ში სამხედრო გადატრიალების მცდელობამ დააჩქარა მსოფლიოში უკანასკნელი იმპერიის დაშლა, რაც 5 სექტემბერს სსრკ სახალხო დეპუტატთა V საგანგებო ყრილობაზე იურიდიულად დაფიქსირდა.

საბჭოურ ტოტალიტარულ რეჟიმთან ბრძოლაში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ თავისი წვლილი შეიტანა. საქართველო მუდამ იდგა სსრკში ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდში. ამ ბრძოლაში გადამყვეტი იყო 1989 წლის 9 აპრილის გმირული ღამე. 1990 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მოპოვებული გამარჯვება, 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმი, რომელთა შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დეკლარირება 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

რუსეთისა და სსრკ იმპერიის 200 წლიანმა ბატონობამ საქართველოში უმძიმესი მემკვიდრეობა დატოვა. მის დასაძლევად საქართველო დაადგა აღორძინებისა და აღმშენებლობის რთულ გზას. დადგა ჟამი სახელმწიფოებრივი, სახმეურნეო და საზოგადოებრივი დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბებისა, საქართველოს ფაქტობრივი დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო აღიარების მიღწევისა;

ახლა, როდესაც მსოფლიო საზოგადოებრიობა სულ უფრო მეტი ყურადღებით ადევნებს თვალს კავკასიასა და საქართველოში მიმდინარე პროცესებს, როდესაც განსაკუთრებით აუცილებელია ერთობა და სიმტკიცე, სიმშვიდე და პოლიტიკური წინდახედულება, შეიქმნა ისეთი ვითარება, რომელიც სრულიად არ შეესაბამება ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ჩვენი აზრით ყოველივე ამას იყენებენ და მომავალში უფრო ინტენსიურად გამოიყენებენ, ისინი, ვისთვისაც მიუღებელია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღდგენა და მისი სუვერენიტეტის იურიდიული ცნობა მსოფლიო სახელმწიფოების მიერ, გარკვეულ წილად ამ ვითარებამ უკვე შეასრულა თავისი ნეგატიური როლი როგორც მთლიანად

საქართველოს, ასევე მისი კანონიერი ხელისუფლებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უკლებლივ ყველა პოლიტიკური ორგანიზაციების დისკრედიტაციაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქედან გამომდინარე მთავარი კომიტეტი სეფრკ აცხადებს:

1. 1991 წლის 2 სექტემბრის მიტინგზე მომხდარი ინციდენტის გამოსაკვლევად გამოსაკვლევად შეიქმნას საპარლამენტო კომისია, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იქნან საზოგადოების ფართო და ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2. სეფრკ მთავარი კომიტეტი მზად არის გამართოს პოლიტიკური დიალოგი ყველა ოპოზიციურ პარტიებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, საქართველოს სახელმწიფო აღიარებისა და მისი საერთაშორისო ცნობის გზების მიმართებაში, აგრეთვე მათთვის საინტერესო პოლიტიკურ პრობლემატურ საკითხებზე.

სეფრკ მთავარი კომიტეტი მიიჩნევს:

საქართველოს ტელევიზიის დეპარტამენტის რეორგანიზაციის პროცესთან დაკავშირებით უნდა შეიქმნას რუბრიკა „პოლიტიკური ეკრანი", რომელშიც გაშუქდება ყველა პოლიტიკური ორგანიზაციების პოზიცია.

სეფრკ აღნიშნავს, რომ საქართველოს ახალი საპარლამენტო არჩევნები შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მსოფლიო წამყვანი სახელმწიფოების მიერ ცნობისა და ამავე დროს უმნიშვნელოვანესი საკანონდებლო აქტების, მათ შორის კანონთა პაკეტის — მიწის პრივატიზების, ახალი პარლამენტის საარჩევნო კანონის მიღების შემდეგ.

სეფრკ მიუღებლად მიაჩნია ოპოზიციური პარტიების მიერ საქართველოს პესპუბლიკის პრეზიდენტის გადაგომის მოთხოვნა, რადგან იგი არჩეულია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ.

სეფრკ მიაცნია აგრეთვე, რომ უნდა იქნეს გამოყენებული ყველა პოლიტიკური და დიპლომატიური შესაძლებლობა საქართველოში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის, მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის საყოველთაო ცნობის დასაჩქარებლად.

დღეს საქართველოს სჭირდება ერთობა, თანადგომა და სიუვარული, რათა ერთელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს ჩვენში მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

ღმერთი იყო ჩვენი მფარველი! ამინ!

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
14 სექტემბერი, 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * * *

ზვიად გამსახურდიას გამოსვლა სესიაზე 1991 წლის 15 სექტემბერს

ძვირფასო მეგობრებო, მე ამდენი ხანია ვისმენ შეფასებას, რომელიც მოხდა 2 სექტემბერს და გაოცებული ვარ ერთი გარემოებით. არავის არ გახსენებია, არ გამოუთხვამს მოსაზრება, თუ ვის წინააღმდეგ იყო ეს ყოველივე მიმართული და ვინ დაზარალდა ყველაზე მეტად ამ სავალალო ინციდენტის შედეგად. ამით ყველაზე მეტად დაზარალდა რესპუბლიკის პრეზიდენტი. და მე მგონი, არც თუ ისე ძნელი მისახვედრია, რომ ეს იყო მიმართული პირველ რიგში პრეზიდენტის წინააღმდეგ, რასაკვირველია, მთლიანად პარალამენტისაც, ვინაიდან ჩვენ განუყოფელი ვართ. ამის იგნორირება იწვევს შემდეგ ათასგვარი ვერსიების გავრცელებას და ელემენტარული ჭეშმარიტების დავიწყებას. აი, წარმოიდგინეთ, მეგობრებო, დღე, როდესაც ამერიკის კონგრესის დელეგაცია ჩამოდის თბილისში, როდესაც მე მას ვხვდები, და მასთან მაქვს საუბარი, ამ დროს გაისმის სროლა რუსთაველის პროსპექტზე. რა ჰქონდა მიზნად დასახული ყოველივე ამის ჩამდენს და მომწყობს, გეკითხებით მე! მე მგონი, დღესავით ნათელია, მეგობრებო, მზადდებოდა ცნობა ჩვენი ქვეყნისა მრავალი უცხო ქვეყნების მიერ, დელეგაციის ჩამოსვლა მისადაგებული იყო სწორედ ამასთან და აი, ეს უნდა ჩაშლილიყო. ნუთუ ამის მიხვედრა ასე ძნელია, მეგობრებო? და მიაღწიეს კიდეც. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ერთადერთი მიზანი ყოველივე ამისა იყო ეს. მე იმას არ ვამბობ, რომ ეს მხოლოდ მომიტინგეებიდან მოდიოდა და მხოლოდ იმ პროვოკატორებიდან, რომელთაც იქ მოაწყვეს ექსცესები. არა, მემგობრებო, მე მწარე სიმართლე უნდა ვთქვა. **მილიციაში არის ჩვენდამი მტრულად განწყობილი ძალები შემოპარული. ეს აშკარაა.** ამაში მე მინისტრიც მეთანხმება, სამწუხაროდ. რა დასამალია, ეს არის მეგობრებო, ჩვენი ხელისუფლების არსებობის მთელი ტრაგიზმი, რომ ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში და დაგვხვდა წინა ხელისუფლების აპარატიდან იგივე მილიცია და ყველაფერი. აი, ეს არის, მეგობრებო. მართალია, მილიციამ უდიდესი ევოლუცია განიცადა, განსაკუთრებით 9 აპრილის შემდეგ. ჩვენი არჩევნების შემდეგ დიდ ნაწილი ჩვენს მხარეს არის, არ არის ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასამალი, მაგრამ განა ვინმესთვის დამალულია, რომ იქ მტრული ძალები მოქმედებენ? თუნდაც იმპერიული ცენტრის მიერ [illegible] წარმართული მტრული ძალები? ეს ხომ ჩვენ ყველამ კარგად [illegible] მეგობრებო, ვინც იცის რა მდგომარეობაა იქ. აი, ამის დავიწყება იწვევს უკვე არასწორ შეფასება ამ მოვლენისას და გადაბრალებას ყოველივე ამისას ხელისუფლებაზე. ე.ი. ნუთუ ხელისუფლებამ თავის თავს ესროლა ტყვია? ეს ხომ ჩვენს მიმართ იყო ნასროლი ტყვია, მეგობრებო, ჩვენი პრესტიჟის საფეთქებლად. ამის მიხვედრა განა ძნელია? მე მაგალითად, იმ დღეს, იმავე დღეს ძალიან ტენდენციური ინფორმაცია მომაწოდეს ყოველივე მომხდარზე და მართალი გითხრათ, იმ საღამოს გამოვედი ტელევიზიით და მე თვითონ არ მომწონს ის გამოსვლა იმიტომ, რომ არ მქონდა სრული ინფორმაცია. ვერ მივეცი ამას ჯეროვანი შეფასება მაშინ, მაგრამ ახლა ვხედავ, მეგობრებო, რაც მოხდა ამ ანალიზის შემდეგ. მაქვს კიდევ ფაქტები, რომელსაც აქ ჯერ ვერ გამოვამზეურებ, თავის დროზე ეს გამომზეურდება და გაირკვევა, რომ ეს იყო შეგნებულად მოწყობილი პროვოკაცია ჩემს წინააღმდეგ ორივე მხრიდან, როგორც მილიციის მხრიდან, ასევე მომიტინგეების მხრიდან, რომლებიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ერთი ცენტრიდან იმართებოდნენ და ერთი ავტორი ჰყავს ყოველივე ამას. აი, ასეთი არის ჩემი შეფასება, მეგობრებო. და რა შედეგებს მიაღწევს, კარგად ხედავთ ის ვაჟბატონები, ეს, ე.წ. ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც ტელევიზიით გამოდიან და პროვოკაციულ ქადაგებას ეწევიან, არიქა, ხელისუფლებამ ესროლა ხალხს, არიქა, ხელისუფლებამ ეს ჩაიდინაო, აი, სწორედ იმათ წიქვილზე ასხამენ წყალს, ვინც ეს ყოველივე მოაწყო. აი, ასეთი გახლავთ სიმართლე, მეგობრებო. **მე საგანგებოდ გამოვიძიებ ამას, ჩვენ არ უნდა გადავაჭარბოთ, ხალხისთვის არ უსროლით, ეს მართალია. ხალხისთვის ნამდვილად არ უსროლიათ, მაგრამ ჰაერში რომ ისროლეს, ესც დანაშაულია. ამიტომ, მე ვითხოვ კატეგორიულად მათ დასჯას, მეგობრებო. იმიტომ, რომ სროლა მიტინგის დროს, თუნდაც ჰაერში, ეს არის უკვე დანაშაული, და ეს არის უკვე საწინდარი სისხლის დაღვრისა,** იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, რომ ქალაქი ისეთი რამეა, შენობები... არსებობს რეკოშეტით მოხვედრილი ტყვია, და სხვათა შორის, ყველა, ვინც არის ტყვიით დაჭრილი, რიკოშეტით არის დაჭრილი. მე მგონი, ამაში ბატონი ვახტანგი დამეთანხმება. უკვე ჩანს ეს გამოძიებიდან, უკვე ჩანს ეს იმ პირების

ჩვენებიდან, ვინც დაიჭრა იმ დროს. არც ერთი მათგანი არ ამბობს, რომ ვინმემ დაინახა ხალხის მიმართულებით ნასროლი ტყვია. ეს, აი, ეს დავიმახსოვროთ კარგად, მაგრამ ჰაერში სროლაც რასაკვირველია, უდიდესი დანაშაული იყო და აი, ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა ზომები, რომ დამნაშავენი დაისაჯონ. ეს არის ჩვენი მოვალეობა. მაგრამ ამავე დროს მოდით, კარგად შევაფასოთ ეს მოვლენები და გამოვავლინოთ ის ძალები, რომლებიც ჩვენ ამას გვიწყობენ ჩვენივე მილიციის შიგნიდან. აი, ეს არის, მეგობრებო, ჩემი თვალსაზრისი და რაც შეეხება იმას, რომ საქართველოს იმიჯი ძალიან გაფუჭდა და ამაში ყველაფერში პრეზიდენტია დამნაშავე, ავიწყდებათ რამხელა დეზინფორმაციის მანქანა, იმპერიის რამხელა დეზინფორმაციის მანქანა ებრძვის პრეზიდენტს და ებრძვის საქართველოს. აი ეს ვაჟბატონები ამას ვითომდა ივიწყებენ. კი არ ივიწყებენ, შეგნებულად ივიწყებენ. აი, ეს გაიხსენონ და სწორედ იმ მანქანამ, დეზინფორმაციის იმ მანქანამ შესანიშნავად გამოიყენა თვით იმ ცენტრის მიერვე მოწყობილი ეს პროვოკაცია, მეგობრებო, მაგრამ არც ისეა საქმე, დასავლეთის პრესაში და დასავლეთის საზოგადოებაში ამას არაერთგვაროვანი შეფასება აქვს და მათგან საღი შეფასებაც არის ამ მოვლენებისა და ისიც არის ნათქვამი, რომ ეს შესაძლოა ყოფილიყო პროვოკაცია პრეზიდენტის წინააღმდეგ. აი, მეგობრებო, თუ ეს კომისია შეიქმნება და რასაკვირველია, შეიქმნება, მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს გამოიკვლიოს, რა მექანიზმით მოხდა ამ ინციდენტის პროვოცირება ჩემს წინააღმდეგ. აი, ასეთი საშინელი ნაბიჯის გადადგმა. რასაკვირველია, უნდა შევიყვანოთ კომპეტენტური ხალხი, მაგრამ წყლის ამღვრევი ხალხიც არ უნდა იყოს, მეგობრებო, იცით? აქ ბევრი ამღვრევს წყალს. ხომ ხედავთ მთავარი ტენდენციაა ის, რომ ეს გამოიყენონ ჩვენს წინააღმდეგ და მე არ მინდა, რომ ჩვენი ე.წ. ოპოზიცია, მეგობრებო, აღმოჩნდეს ბრმა იარაღი მტრის ხელში, რომელიც ესოდენ გააქტიურდა ბოლო ხანებში. მეგობრებო, დღევანდელი სიტუაცია საქართველოში ძალიან მაგონებს 1918-21 წლების სიტუაციას, ძალიან მაგონებს. მაშინაც მოსკოვს გადახვეწილი მოღალატე ქართველები მართავდნენ ყველაფერს. ისინი ქმნიდნენ აქ თავიანთ დასაყრდენ ჯგუფებს ვითომდაც ამბოხების, ვითომდაც რევოლუციის, ვითომდაც აჯანყების მიზნით. აწყობდნენ აქ ანალოგიურ პროვოკაციებს, ყოველივე ამით შეუქმნეს ბაზისი ჯარის შემოყვანას და საქართველოს ანექსიას. აი,

ამ მეორე ანექსიას ამზადებენ. მეგობრებო, მოსკოვში გადახვეწილი ჩვენი მოღალატე თანამემამულენი და ამაზე გავახილოთ თვალი, ამაზე გავახილოთ თვალი და ამ ოპოზიციას ავუხილოთ თვალი, ნუ-გადაიქცევა მათ სათამაშო თოჯინად და მათ მარიონეტად. აი, ეს მინდოდა მეთქვა, მეგობრებო.

დემოკრატიის წინააღმდეგი არავინ არ არის, მაგრამ ვინც არ ეთანხმება იმ აზრს, რომ დემოკრატია არის სწორედ კანონების უზენაესობა, ხალხის მიერ აპრობირებული კანონების უზენაესობა და ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების უზენაესობა, ის უკვე დემოკრატიას ურევს ანარქიაში. და დემოკრატია, მეგობრებო, ცენტრალურ პროსპექტზე ნაგვის დაყრით არ გამოიხატება. არ გამოიხატება არც ხულიგნობით არც მტვრევით, არც ლანძღვაგინებით, მეგობრებო. დემოკრატია არის ის, რასაც ჩვენ ვაშენებთ და ავაშენებთ აუცილებლად დიდი წარმატებით. გმადლობთ.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
14 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * *

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის განცხადება

1991 წ. 15 სექტემბერს, სესიის დაწყებისთანავე, 39 დეპუტატმა პრეზიდიუმს წაუყენა ულტიმატუმი, რომ მომხდარიყო სესიის მიმდინარეობის პირდაპირი ტელეტრანსლაცია. საკითხის ირგვლივ გაიმართა კამათი. კამათის შედეგად აღნიშნული 39 დეპუტატი დათანხმდა ტელერეპორტაჟის საკითხისათვის ეყარათ კენჭი, რითაც ფაქტობრივად დროებით მოხსნა თავიანთი ულტიმატუმი. კენჭისყრა სახელობითი ჩატარდა, კანონის მკაცრი დაცვით, მაგრამ, როდესაც გამოირკვა, რომ კენჭისყრა მათ სასარგებლოდ არ წყვეტდა საკითხს, რამდენიმე დეპუტატმა დემონსტრატიულად დატოვა სხდომა, რითაც დემოკრატიულ პროცედურას, კენჭისყრას გამოუცხადეს პროტესტი.

ჩააყენეს პრეზიდიუმი გამოუვალ მდგომარეობაში, რადგან პრეზიდიუმს არ შეეძლო მაინც და მაინც მათი აზრი გაეზიარებინა და

სრულიად უგულებელყო დანარჩენი დეპუტატების აზრი.

3) რაც მთავარია, მათ ჩააგდეს პრეზიდენტის წინადადებაც, ბულიყო კონსტრუქციული დიალოგი ოპოზიციასთან გამოუვალი პოლიტიკური ვითარების განმუხტვის მისაღწევად.

ზემონათქვამიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ოპოზიციის მოქმედება სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების კიდევ მეტად დაძაბვისა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ დაძაბულობის შესაძლო გამწვავება მთლიანად ეკისრება აღნიშნულ 39 დეპუტატს.

მ. გაბაშვილი, ი. ჩხეიძე, ნ. ხაჭაპურიძე. ა. ასათიანი. მ. თუშმალიშვილი, ბ. გიორგობიანი, ნ. კილასონია, ზ. სანიკიძე, ი. ტალიაშვილი, ბ. ქუთათელაძე, პ. ბარათაშვილი, შ. ქიტიაშვილი, მ. მაჭავარიანი, ბ. ჩოლოყაშვილი, თ. ბარამიძე, გ. იმერლიშვილი, გ. პეტრიაშვილი, თ. ჩაჩავა, ი. ბურკაძე, ი. ნარგანია, რ. პეტრიაშვილი, გ. ისაკაძე, ვ. დომუხოვსკი, მ. წიკლაური, გ. თაქთაქიშვილი, დ. გოგაძე, ვ. ფხალაძე, თ. ჟორჟოლიანი, დ. ქებურია, ჯ. შონია, თ. ლორთქიფანიძე, თ. ყურაშვილი, ნ. მოლოდინაშვილი, ბ. დანგაძე, ჯ. გოლეთიანი, ნ. მგალობლიშვილი, თ. ქორიძე, ვ. მირცხულავა, გ. სანიკიძე, შ. წიკლაური, ქ. იონათამაშვილი, ვ. ტურაშვილი, კ. ფირცხალავა, ნ. ბურჭულაძე, ბ. დანგაძე, თ. ლორთქიფანიძე, ა. მათიაშვილი, ლ. ახმეტელი, ლ. ცოფურაშვილი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
17 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ბაერის გენერალურ მდივანს ბატონ პერეს დე კუელიარს

ბატონო გენერალურო მდივანო!

ბოლო წლებში აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ამ ქვეყნებში მცხოვრები ხალხების ბედზე.

საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში გაშლილმა დემოკრატიულმა მოძრაობებმა დღის წესრიგში დააყენა იმ სახელმწიფოე-

ბის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი, რომლებიც თავის დროზე ძალით იყვნენ შეყვანილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

1991 წლის 1921 აგვისტოს პუტჩის მარცხმა კიდევ ერთხელ დაადასტურა დემოკრატიული პროცესების შეუქცევადობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რისი დამადასტურებელიც გახდა ბალტიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნების მიერ.

საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, სადაც მძლავრად გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1990 წელს ჩატარებული მრავაპარტიული არჩევნების შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ დემოკრატიული ძალები. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმმა ნათლად დაადასტურა საქართველოს მოსახლეობის სწრაფვა აღედგინა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ იდეას მხარი დაუჭირა საქართველოს მოსახლეობის 90მა პროცენტმა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლებში ცნო 20მდე ქვეყანამ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ ერთა ლიგის მუშაობაში. 1921 წელს ერთა ლიგის სხდომაზე ბალტიის რესპუბლიკებთან ერთად ამ ორგანიზაციაში საქართველოს მიღების საკითხიც იდგა. მასინ ჩვენმა რესპუბლიკამ ორჯერ უფრო მეტი ხმა მიიღო, ვიდრე ბალტიის რესპუბლიკებმა, რაც საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდაზე მიუთითებდა; მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს ანექსიამ შეაჩერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი.

ქართველ ხალხს არასოდეს შეუწყვეტია თავისუფლებისათვის ბრძოლა. 1924 წლის აჯანყების ჩახშობა, 30-იანი და 50-იანი წლების მასობრივი რეპრესიები, 70-იან 80-იან წლებში ქართული დისიდენტური მოძრაობა და ბოლოს – 1989 წლის 9 აპრილი არის არასრული სია იმ უბედურებებისა, რაც ქართველმა ხალხმა გადაიტანა ბრძოლის ამ ტანჯულ გზაზე. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პარლამენტმა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით გამოასხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ბოლო ხანებში გაეროს როლი განსაკუთრებით გაიზარდა. ეს საერთაშორისო ორგანიზაცია დღეს წარმოადგენს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვის გა-

რანტს, რისი დამადასტურებელიც არის მისი წვლილი ერაყ-ქუვეითის კონფლიქტის მოგვარებაში. ასეთ ვითარებაში ჩვენ გამოვთქვამთ ნდობ-ას, რომ გაერო გულისხმიერებით მოეკიდება საქართველოს ხელისუ-ფლების თხოვნას ჩვენი სახელმწიფოს ამ ორგანიზაციაში მიღების შესახებ. ჩვენი მხრივ ვაცხადებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მტკიცედ ადგას დემოკრატიის გზას. შაქართველოს პარლამენტი შეუერთდა ადამიანის უფლებათა დეკლარაციას, ჰელსინ-კის ხელშეკრულების დასკვნით აქტს და სხვა საერთაშორისო დოკუ-მენტებს. გაეროში საქართველოს შესვლა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კავკასიის რეგიონში მშვიდობის განმტკიცებას.

საქართველოს რესპუბლის უზენაესი საბჭო.

თბილისი. 1991 წლის 15 სექტემბერი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",

17 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

მიტინგები

გუშინწინ ღამით უზენაესი საბჭოს სესია ხომ არ გადაიცა და არ გადაიცა, ადგილი ჰქონდა დეზინფორმაციას, თითქოს ვილაც ვილა-ცეები შეჭრილიყვნენ ტელერადიო დეპარტამენტში და დაეკავებინათ სტუდია, რათა ეთერში გასულიყვნენ.

მოხდა უარესიც: ფირი, რომელიც უნდა გაშვებულიყო ვილაცამ მოიპარა და გადამალა. გუშინ იგი დაგვიანებით და შეკვეცილი წავი-და. რა გვსურს? – რადიოტელევიზიის ბლოკადის მოხსნა.

მიტინგზე გამოვიდნენ ვალერი კვარაცხელია, ზურაბ ხავთაძე, დოდო შონავა, მარკ რივკინი, მერაბ ბერაძე. ზურაბ ხავთაძემ წაი-კითხა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის და ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის მიმართ საქტელერადიოს დეპარტამენტის ჟურნალისტთა მიმართავა, რომელიც მიიღეს 12 სე-ქტემბერს.

საღამოს 7 საათზე ტელევიზიის შენობის წინ მიტინგი განახლდა.

მათ შეუერთდნენ რესპუბლიკის მოედანსა და უნივერსიტეტის ეზოში გამართული მიტინგების მონაწილეთა ნაწილი.

სიტყვებით გამოვიდნენ ჟურნალისტები და სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები—ირაკლი შენგელაია, ვალერი კვარაცხელია, გერმანე ფაცაცია, ზურაბ ჟვანია, ზაზა ქინქლაძე, ლია დარსაველიძე, უკრაინელი ვალენტინ ოსენინი და სხვები. მომიტინგეები მოითხოვდნენ პრეზიდენტის გადადგომას, პრეზიდენტის პოსტის გაუქმებას და საპალამენტო რესპუბლიკის აღდგენას. ტელერადიოდეპარტამენტის გაუქმებას, მისი ხელმძღვანელების გადადგომას, ქართველ პოლიტპატიმართა განთავისუფლებას, პრესიას და ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას. თქვეს, რომ ტელერადიოს დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შედეგად გავიდოდნენ ეთერში, მოითხოვეს ეთერში სიგუას გასვლა. თუ მათ მოთხოვნას არ შესრულებენ, პიკეტირებას მოახდენდენ.

ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა დელეგაცია ნოდარ ნათაძის, ვალერი კვარაცხელიას, ზურაბ ჟვანიას, ირაკლი წერეთლის, ლაშა თაბუკაშვილის, გერმანე ფაცაციას, გიორგი მაისურაძის (სტუდენტების სახელით), გიორგი ხაინდრავას, ირაკლი შენგელაიასა და სხვათა შემადგენლობით.

მთავრობის სახლთან

გუშინ თბილისში, მთავრობის სახლის წინ, 17 საათზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც შემოუერთდა რესპუბლიკის მოედანზე მომიტინგეთა ნაწილი. მასში მონაწილეობდნენ, როგორც მუშათა კლასის, სტუდენტობის, ინტელიგენციის, ისე მთავრობის წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ბატონმა ავთანდილ რცხილაძემ.

სიტყვით გამოვიდნენ ბატონები: აკაკი ასათიანი, თემურ ქორიძე და გურამ პეტრიაშვილი.

აჭარაში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ბადრი მელაძემ აღნიშნა, რომ მთელი აჭარის მოსახლეობა მზად არის ქართველი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის მხარდამხარ იბრძოლოს საქართველოს დამოკიდებლობისათვის.

სრულიად საქართველოს სვანეთის საზოგადოება „ლემის“ თავმჯდომარემ აკაკი გასვიანმა, აღნიშნა, რომ ამ მიტინგს ესწრება

„ლემისა“ და მთიელთა საძმოს წარმომადგენლები შვიდი რეგიონიდან. ისინი მხარს უჭერენ საქართველოს პრეზიდენტის მოქმედებას ჯუჯჩის დღეებში, სხვა შემთხვევაში პირველი დარტყმა საძმედროების მიერ აფხაზეთზე უნდა მოსულიყო. ამის რეპეტიციები უკვე ჩატარებული ჰქონდათ მედესანტეებს.

სიტყვა სტუდენტებმაც მოითხოვეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტმა ლალი გაფრინდაშვილმა არასამართლიანად ჩათვალა სტუდენტების ნაწილის მიერ მთელი უნივერსიტეტის სახელით ჩატარებული მიტინგი, მაშინ როდესაც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ჯერ არ დაწყებულა. დაგმო საქართველოს მტრებს ნებით თუ უნებლიეთ აყოლილი ახალგაზრდების საქციელი. მომიტინგეებს მიმართა განცხადებით, თუ უნივერსიტეტის კიბეებზე მჯდომი პროფესორმასწავლებლები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის ოპოზიციად თვლიან თავს, არ დატოვებენ უმაღლესი საწავლებლის კიბეებს, უნივერსიტეტის სტუდენტები იწყებენ სასიკვდილო შიმშილობას.

გია ძოწენიძემ, ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტმა, ბატონ ზვიად გამსახურდიას მთელი ქუთაისის მხარდაჭერა ამცნო და გადასცა მას უძველესი ქალაქის მკვიდრთა თხოვნა, ჩავიდეს ქუთაისში, რათა თავისი თვალით ნახოს, თუ როგორი ტრიუმფით შეხვდება მას ქალაქი.

მიტინგზე აღინიშნა, რომ ჩეჩენი და ინგუში ხალხი, რომლებმაც ხელისუფლება აიღო ხელში, საქართველოს პრეზიდენტის გვერდით დგას.

სიტყვით გამოვიდა ბატონი ზვიად გამსახურდია.

მიტინგზე იყო მოწოდება გონირებისაკენ და დიალოგისაკენ—პრესით, ტელევიზიით, პირდაპირ შეხვედრებზე.

ბოლოს, ბატონმა ნუგზარ მგალობლიშვილმა მიტინგის მონაწილეებს გააცნო მიმართვა ქართველი ერისადმი.

გაზ: “საქართველოს რესპუბლიკა”,
17 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

1991 წლის 16 სექტემბერს თბილისში, მთავრობის სახლთან გამართული მიტინგის მონაწილეთა მიმართვა ქართველი ერისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამემამულენო!

დღეს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა რეალურ ფაქტად იქცა, როდესაც დაიწყო ამ დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი, განსაკუთრებით გააქტიურდნენ როგორც შინაური, ისე ქვეყნის გარეთ არსებული რეაქციული ძალები. სარგებლობენ რა გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი სიძნელეებით, მათ განიზრახეს შინააშლილობისა და დესტაბილიზაციის გამოწვევა, ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლების დისკრედიტაცია, დამხობა და ამ გზით საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფა. ყოველივე ეს კატასტროფულად გვაახლოებს სამოქალაქო ომთან, რაც დამღუპველი იქნება ქართველი ერისათვის. რეაქციონერები მიმართავენ სხვადასხვა სახის პროვოკაციებს, ავრცელებენ დეზინფორმაციასა და ცილისწამებას, საფრთხეს უქმნიან ქართველთა მშვიდობიან ცხოვრებას, დემოკრატიულ ნიღაბს ამოფარებული ადამიანები აშკარად ითრევენ საზოგადოებას ძმათა გამთიშველ სახიფათო კონფლიქტში.

ვგრძნობთ რა შექმნილ ვითარების სიმწვავეს, მოგიწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლებისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის ინტერესები, ერთსულოვნად დავდგეთ კანონიერი ხელისუფლების გვერდით და მასთან ერთად ვიბრძოლოთ საქართველოში სამოქალაქო მშვიდობის დასამკვიდრებლად.

თანამემამულენო!

დროა ტრადიციულად, ქართულად, ქუდზე კაცი გამოვიდეს საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად. ქართველი ერი უნდა დაირაზმოს თავის მიერ არჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის გარშემო.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
17 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება

1991 წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისში მიტინგის დროს მომხდარი ფაქტის შესახებ

ამა წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისში რუსთაველის მოედანზე მოხდა შეტაკება მიტინგის მონაწილეებსა და მილიციის ნაწილს შორის, რომლის შედეგადაც დაშავდნენ როგორც მომიტინგეები, ასევე მილიციის მუშაკები.

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის აღიარებული პრინციპების მოთხოვნებს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ამ ფაქტს მიიჩნევს ქართველი ერის ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად და, აქედან გამომდინარე, ადგენს:

1. დაიგმოს ამა წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისში რუსთაველის მოედანზე მიტინგის დროს ძალის გამოყენების ფაქტი.

2. მიღებულ იქნეს ცნობა, რომ ამ ფაქტის გამო ქ. თბილისის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და აწარმოებს გამოძიებას.

3. მომხდარი ფაქტის გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლა და სათანადო დასკვნების გამოტანის მიზნით შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისია ყველა რეგისტრირებული პარტიის, აგრეთვე საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

4. კომისიამ თავისი დასკვნა წარუდგინოს უზენაეს საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 15 სექტემბერი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა".

17 სექტემბერი. 1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * * *

მიტინგები

საითკენ მივექანებით?...

კვლავ მჯდომარე აქციები მიმდინარეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში, საქტელერადიოს დეპარტამენტის შენობასთან. რუსთაველის პროსპექტის შუაგული ბარიკადებად ქცეულა.

აქ, მთავრობის სასახლიდან ვიდრე სასტუმრო „ივერიამდე" არ წყდება ხალხის მიმოსვლა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული პარტია), თავისუფალ დემოკრატთა კავშირი, მწვანეთა პარტია.

3 საათზე, ეროვნულ-დამოუკიდებლობის შტაბის წინ, ყოფილი „იმელის" შენობასთან გაიმართა მიტინგი. ოპოზიციონერები კვლავ მოითხოვდნენ პრეზიდენტობის ინსტიტუტის გაუქმებას საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვას, პატიმრების გათავისუფლებას.

მიკროფონთან არის ირაკლი წერეთლი, გიორგი სიხარულიძე, ავთანდილ კალანდაძე, ვანო გოგიშვილი, ავთანდილ მარგიანი (საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი), გია თვალავაძე, ვახტანგ ტალახაძე, რომელიც ირინა სარიშვილთან და გიორგი ჭანტურიასან ერთად თვითმფრინავით მოსკოვში მიფრინავდა. ვახტანგ ტალახაძე მოკლედ მოუთხრობს ხალხს თვითმფრინავში შექმნილ ვითარებას, დაპატიმრების დეტალებს. ორატორი აღნიშნავს, რომ მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან და საზღვარგარეთის წარმომადგენლებთნ აპირებდნენ შეხვედრას. ხალხი უსმენდა, მაგრამ გაოგნებული იყო—ათასი კითხვა აწუხებდა, ნუთუ საქართველოში არ შეიძლება ერთიანი, საერთო აზრის არსებობა?

„ძირს დიქტატურა"—ეს ლოზუნგი მეფობს დღეს რუსთაველის პროსპექტზე. ღელავს თბილისი ვის ებრძვიან ოპოზიციონერები—ხალხის ნებით არჩეულ მთავრობას?... ორად გაყოფილი ხალხი ფართო თვალებით შესცქერის ორატორებს—სიმართლეს ელოდება. მხოლოდ სიმართლეს, რადგან იცის, რომ თავისუფლება, მომავალ ბედნიერებაზე ფიქრი, მხოლოდ სიმართლით და ჭეშმარიტებით მოიპოვება.

მიტინგი გაიმართა მთავრობის სახლთან. შეკრებილთ სიტყვით

მიმართა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. მან აღნიშნა, რომ არის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, ხალხს მოუწოდა დაიცვას ერის მიერ არჩეული პარლამენტი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა".

18 სექტემბერი. 1991.

* * * * * * * * * * * * *

მიტინგი ტელევიზიის შენობის წინ

გუშინ საქართველოს ტელერადიო დეპარტამენტის შენობის წინ, რომელიც პიკეტირებულია ოპოზიციის მიერ და მიმდინარეობს მჯდომარე გაფიცვა, ჩატარდა მიტინგი მოთხოვნით: გადადგეს ტელერადიო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, დაცულ იქნეს ტელევიზიის და რადიოს ჟურნალისტთა უფლებები.

მიტინგში მონაწილეობდნენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. სიტყვით გამოვიდნენ ზაზა ქინქლაძე, ირაკლი შენგელაია, ლევან ღვინჯილია, ჭაბუა ამირეჯიბი, ლაშა თაბუკაშვილი და სხვები.

მომიტინგეები შეეხნენ გიორგი ჭანტურიას და სხვათა დაპატიმრების ფაქტს, რამაც, მათი აზრით, თვითმფრინავის – 200 მგზავრის, მათ შორის უცხოელი კორესპონდენტების სიცოცხლე საფრთხის წინაშე დააყენა.

აღნიშნა, რომ არ ებრძოდნენ კონკრეტულ პიროვნებს, და მოითხოვენ პრეზიდენტის პოსტის გაუქმებას, პარლამენტის საერთო-სახალხო არჩევნების დანიშვნას და საქართველოს ბედის რეფერენდუმის გზით გადაწყვეტას.

მიტინგზე წაიკითხეს ტრადიციონალისტთა კავშირის განცხადება.

ითქვა, რომ მართალია შენობა პიკეტირებულია, მაგრამ მიტინგის დაშლა ძალის გამოყენებით დაუშვებელია, რომ მთელი ძალებით წინ აღუდგებიან ამგვარ ქმედებას.

კითხვაზე, არის თუ არა ტელევიზიის შენობის ბლოკირება დიქტატი, მათ უპასუხეს: მათი ვალია აღკვეთონ დანაშაული და წინ აღუდგნენ მას.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",

18 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვებს, ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციას, საქტელერადიო დეპარტამენტის ჟურნალისტთა მიმართვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მიიღო 12 სექტემბერს საქტელერადიოდეპარტამენტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფის მიერ გამართულმა კრებამ.

საქტელერადიოდეპარტამენტის ხელმძღვანელობამ არ შეასრულა 9 და 10 სექტემბერის დეპარტამენტის თანამშრომელთა ელემენტარული მოთხოვნა იმის შესახებ, რომ საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურებს ობიექტურად გაეშუქებინათ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, ამიტომ ამა წლის 12 სექტემბრიდან, დეპარტამენტის პროფკავშირებთან შეთანხმებით, ჩვენ, ტელერადიოჟურნალისტთა ერთმა ჯგუფმა, დავიწყეთ საპროტესტო აქცია, რომლის მოთხოვნებია:

1. შეწყდეს დიქტატი საქტელერადიოდეპარტამენტის მიმართ. მის თანამშრომლებს მიეცეთ საშუალება შეასრულონ თავიანთი უფლებამოვალეობა, ობიექტურად გააშუქონ მიმდინარე მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები.

2. დროებით შეწყდეს დეპარტამენტის ხელმძღვანელობის (გენერალური დირექტორის, მისი მოადგილეების და დეპარტამენტის კოლეგიის) უფლებამოსილება.

3. შეიქმნას დეპარტამენტის დროებითი საკოორდინაციო საბჭო (მას აირჩევს თანამშრომელთა საერთო კრება ხმათა უმრავლესობით), რომელიც იხელმძღვანელებს საერთაშორისო ნორმების დაცვით და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონით.

წინაალმდეგ შემთხვევაში ჟურნალისტები არ შევწყვეტთ საპროტესტო აქციას.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა", 18 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის მიმართვა

რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის „საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ" განცხადებასთან დაკავშირებით

პატივცემულო კოლეგებო!

ჩვენ ყურადღებით გავეცანით „საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ" თქვენს გაცხადებას, რომელიც გაზეთმა „სოვეტსკაია როსიამ" გამოაქვეყნა 1991 წლის 10 სექტემბერს.

ალბათ, ჩვენ არც კი მოვაქცევდით ყურადღებას გაზეთის ამ პუბლიკაციას, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ იმით იყო „სახელგანთქმული", რომ თავლაფს ასხამდა რუსეთის მთელ დემოკრატიულ მოძრაობას. გაზეთისა, რომელიც იგორ ლიგაჩოვისა და ნინა ანდრეევას რუპორი იყო, რამეთუ მას სავსებით შეეძლო ინერციით დაებეჭდა ეს ტექსტიც. მაგრამ ჩვენ განგვაცვიფრა და გული გვატკინა იმან, რომ ამ განცხადებას სხვებთან ერთად ხელს აწერს ჩვენთვის პატივსაცემი რუსეთის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტი. ამიტომ, ჩვენ, თქვენი კოლეგები, საქართველოს უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის უფლებათა წევრები, მოვალენი ვართ გიპასუხოთ და გამოვთქვათ ჩვენი დამოკიდებულება თქვენი განცხადებისადმი.

სამწუხაროდ, იგი ეყრდნობა შეუმოწმებელ და შეთითხნილ ფაქტებს, ეფუძნება ქართველი ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული პრეზიდენტისა და საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას.

სამწუხაროდ, დესტრუქციული ძალები არიან როგორც რესპუბლიკაში, ასევე მოსკოვშიც. ესენი ძირითადად ყოფილი კომუნისტური ბოსებია, რომლებიც დემოკრატიულ მანტიას ამოფარებიან და გაყვირიან, ვითომდა ადამიანის უფლებების დარღვევებზე. არადა, თავად ისინი ხომ, ოდესღაც ყოვლისშემძლე ძალაუფლების მპყრობელნი არათუ ფეხქვეშ თელავდნენ ყოველი ადამიანის უფლებებს, არამედ უბრალოდ კრძალავდნენ ამ სიტყვის ხმამაღლა წარმოთქმას. და მხოლოდ ამისათვის სვამდნენ ადამიანებს ციხეებში, სადაც სუფევდა

ახლანდელი ენერგიული, მომლიმარე „დემოკრატის" მიერ მოგონილი და დანერგილი წამების მახინჯი მეთოდები.

ისტორიაში ხშირად გვხვდება ანალოგები. 1918-1921 წლების დემოკრატიულ საქართველოს არ ჰყავდა უფრო საშიში მტერი, ვიდრე წარმოშობით ქართველი სტალინი. ბოლოს და ბოლოს, მან თავის ბანდასთან ერთად თავისას მიღწია: საბჭოთა რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან დადებული 1920 წლის 7 მაისის მეგობრობის ხელშეკრულება, მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და შეიერთა იგი, რითაც უდიდესი სამსახური გაუწია მომავალ „ყველა ხალხის ბელადს". ამით სტალინი ემიგრანტიდან გადაიქცა რუსეთის სრულუფლებიან მოქალაქედ, რამაც შესაძლებლობა მისცა ხელთ ეგდო ძალაუფლება. თუ რით დამთავრდა ეს რუსეთისათვის, რა თქმა უნდა, ცნობილია. აქვე უნდა ითქვას, თავდაპირველად მას, ბოლშევიკების სხვა ლიდერებისაგან (ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, ძერჟინსკი და სხვები) განსხვავებით თავი ისე ეჭირა, თითქოს რბილი ხასიათის ყოფილიყო. ეს ინფორმაციაა ფიქრისათვის დემოკრატიის თემაზე.

პატივცემულო კოლეგებო! თქვენ წერთ, რომ პატივს სცემთ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ სიტყვებია. ამის დასტურია თქვენი უპატივცემულობა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიმართ, რამეთუ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოში ორი ავტონომიური რესპუბლიკაა—აჭარა და აფხაზეთი, ხოლო სამხრეთ ოსეთი არ არსებობს. ოსეთი კავკასიონის ქედის გადაღმაა, და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთს ბოლშევიკებმა შექმნეს, რა მიზანს ისახავდნენ ისინი, რა ეროვნულ პოლიტიკას ახორციელებდნენ და სადამდე მიიყვანეს ადამიანები კავშირის მთელ ტერიტორიაზე, ეს თქვენთვის ნათელია.

მაგრამ თავი დავანებოთ ისტორიას, ისტორიული ჭეშმარიტება თავად დაამტკიცებს თავის სიმართლეს.

რაც შეეხება თქვენს მტკიცებას ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დარღვევისა და მათი გარანტიების შესახებ, ამაზე აღარ შეგაწყენთ თავს, ეს ხომ ასე არ არის, ამაზე ბევრი დაიწერა და ითქვა. თქვენ რომ გენებათ და ჩაგეხედათ ჩვენს კონსტიტუციაში, ასე უაპელაციოდ არ მოჰყვებოდით სრულიდ საწინააღმდეგო მტკიცებას, მაგრამ, ალბათ, თქვენ მაინც მოექეცით ჩეხოევისა და ბლოკ „სოიუზ"ისა და მისი მეგობრების გავლენის ქვეშ. ეს ისინი და ეგრეთ

წოდებული ყოფილი ოლქის ხელმძღვანელები იყვნენ, სულით რომ გამხნევდნენ 19 აგვისტოს. ეს, ისინი მიესალმნენ და ეფექტური გამოსვლებით დაუჭირეს მხარი საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტს. ეს მათ გაიტაცეს „ადამონ ნიხასის" ერთ-ერთი ლიდერი ვ. გაზაევი, რომელმაც შეიგნო საუკუნეების მანძილზე მშვიდობინად მცხოვრები ორი ხალხის დაპირისპირების მთელი უაზრობა, და რომელმაც საქართველოს მთავრობასთან ერთად დასახა კონფლიქტის მოწესრიგების გეგმა. დიახ, რა თქმა უნდა, ისინი გახარებული იყვნენ, რადგან ფიქრობნენ მათი მფარველები და ამ ამბების ორგანიზატორები პუგო, იაზოვი, კრუჩკოვი გაიმარჯვებდნენ! პუტჩის დამარცხების შემდეგ ისინი იძულებული გახდნენ გაჩუმებულიყვნენ და ვ. გაზაევიც კი „გაუშვეს" და ახლა, როცა დაისახა მშვიდობიანი გადაწყვეტის კონტურები, ეს აშკარად არ აძლევს ხელს ზოგზოგებს. ჩვენ არ გვინდა გვჯეროდეს, რომ კვლავ გაცოცხლდნენ შავი პოლკოვნიკები, მაგრამ იმ ოს ცრუ ლიდერებს, რომლებმაც ხალხის ფული მიითვისეს და მიიმალნენ არ სურთ სიმშვიდე. ერთ-ერთი მათგანია. ჩოჩიევი, რომელიც სამართლინობას იცავს და გაყვირის საქართველოში ვითომდა ადამამიანის უფლებების დარღვევებზე, ამჟამად მოსკოვში მოკალათდა, სადაც ქალაქის ცენტრში ბინა შეიძინა. თქვენ უკეთ იცით—ადვილია თუ არა მოსკოვში ბინის ყიდვა და რა ღირს იგი. იქნებ დაინტერესდეთ ამით, უბრალოდ ჰკითხეთ მას, რა ფულით შეიძინა იგი, ანდა სად შოულობდნენ და იღებენ იარაღს საქართველოში მოქმედი ოსი ექსტრემისტები, როგორ ატყუებდნენ იგი და მისი თანამებრძოლები უბრალო ადამიანებს, იქნებ ღირდეს მასთან ამაზე საუბარი, რა თქმა უნდა ისე, რომ არ დაირღვეს მისი მოქალაქეობრივი უფლებები?!

რაც შეეხება აფხაზეთს, ჩვენდა საბედნიეროდ და სხვათა საუბედუროდ,—მდგომარეობა იქ მშვიდია. აღმოჩნდნენ იქ ადამიანები, რომლებიც სწორად აფასებენ სიტუაციას. ამჟამად ერთობლივი საპარლამენტო კომისიები შეთანხმდნენ, და ავტონომიური რესპუბლიკა არჩევნებისათვის ემზადება.

ჩვენ ძალიან გვაინტერესებს, საიდან მიიღეთ ინფორმაცია აფხაზეთის შესახებ, იქნებ წინასწარ გაგიმჟღავნეს საიდუმლო იმათ, ვისაც სურს დაარღვიოს იქ სიმშვიდე? თუ თქვენ იცთ ეს, ღვთის გულისათვის, დაწვრილებით გვაცნობეთ, ეს ხომ თქვენი, სამართალდამცველების მოვალეობაა. თუ თქვენ სასურველს ასაღებთ სინამდვილედ?

ჩვენ არ გვინდა გვჯეროდეს ეს?

თქვენ გაწუხებთ თბილისში შექმნილი სიტუაცია. დიახ, ამ დღეებში საქართველოს დედაქალაქში არ არის სიმშვიდე, ეგრეთ წოდებული ოპოზიციის წარმომადგენლები არეულობებს აწყობენ. ისინი მოითხოვენ კანონიერად არჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის გადადგომას, მაგრამ პარადოქსი ის არის, რომ ამ არეულობათა ორგანიზატორებს მონაწილეობა არ მიულიათ არც პრეზიდენტის, არც პარლამენტის არც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში. ისინი განუწყვეტლივ იმეორებდნენ, არ მოგვწონსო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საპარლამენტო გზა, რომელიც ჩვენთვის მიულებელიაო, და ამას ლიტვის გზას უწოდებდნენ. ეს მათ არაერთგზის განუცხადებიათ ტელევიზიითაც, მიტინგებზეც, გაზეთებშიც, ახლა კი, როცა შეიგნეს თავიანთი შეცდომა, არ სურთ აღიარონ ეს და ცდილობენ შექმნან არასტაბილური ვითარება, რათა ამით ხელი შეუშალონ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. ხალხის დიდი უმრავლესობა არ იწონებს მათს მოქმედებას, ეს ნათლად ჩანს პრეზიდენტისა და კანონიერი ხელისუფლებისათვის მხარდასაჭერად გამართულ მრავალაათასიან მიტინგზე.

კოლეგებო!

ნუ დაუჯერებთ საბჭოთა ტელევიზიის ინფორმაციებს, რომლის პროგრამებში შეგნებულად თუ შეუგნებლად, მაგრამ ხშირად მოსდით, რბილად რომ ვთქვათ „კურიოზული" შეცდომები. მაგალითად, „ტსნ"ში პრეზიდენტის მხარდასაჭერი მიტინგი გამოაცხადეს როგორც ოპოზიციური, მაშინ როცა კადრში მსხვილი პლანით უჩვენეს ლოზუნგი ქართულ ენაზე, რომელიც მოუწოდებდა ხალხს ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერას. და ასეთი „შეცდომა" მოუვიდა ტ. მიტკოვას.

რა ვქნათ, რით დავიცვათ თავი ასეთი ინფორმაციული ძალმომრეობისაგან?!

თქვენი მტკიცებების მიუხედავად ყველაფერი თავსდება „ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ცივილიზებული წარმოდგენების ფარგლებში". პირიქით, ირღვევა პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებანი, რომლებსაც აშკარად ლანძღავს და ჩირქს სცხებს ზოგიერთი მომიტინგე.

ჩვენ, თქვენს კოლეგებს, ძალიან გვინდა ვიცოდეთ თქვენი აზრი ასეთი მოდელის შესახებ. წარმოიდგინეთ, რომ ჟირინოვსკის ტიპის

ადამიანებმა მოსკოვის ცენტრში შეაჩერონ მოძრაობა და აგინონ და მოითხოვონ ბ. ნ. ელცინისა და რუსეთის პარლამენტის გადადგომა, თქვენ როგორ მოიქცეოდით? მოთავსდებოდით ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ცივილიზებულ წარმოდგენათა ფარგლებში, დაიცავდით ჟირინოვსკისა და მის მსგავსთა უფლებებს? და თუ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ადამიანის უფლებათა კომიტეტი ამის გამო განაცხადებს, რომ „საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად ადამიანის უფლებათა გარანტიების დაცვის საკითხები არ არის ამა თუ იმ სახელმწიფოს საშინაო საქმე", და მოითხოვს „გაიზიაროს საკითხი საგანგებო წესების რეჟიმის შემოღების შესახებ" უცხოეთის არმიის ძალებით, მიიჩნევდით თუ არა თქვენ ამას რუსეთის სფს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევად?

ახლა რაც შეეხება თქვენს განსაკუთრებულ შიშს იმის თაობაზე, რომ „ჩვენი პრეზიდენტი ყოველთვის კორექტულად არ იყენებს რუსეთის სფსრ პრეზიდენტის სახელს" და აქ თქვენ სამწუხაროდ, არასწორი ინფორმაციის გავლენას განიცდით.

როგორც ვიცით, ორ პრეზიდენტს შორის დამყარდა კარგი და კეთილი ურთიერთობა და თუ მათ რაღაც მომენტებში სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებანი აქვთ ხოლმე, ეს სავსებით ბუნებრივია.

მთავარი კი ის არის, რომ ჩვენ ყოველთვის გვწამდა რუსეთის დემოკრატიული ძალები და პირადად ბ. ნ. ელცინი და ეს არაერთგზის ყველას გასაგონად განუცხადებია ზ. გამსახურდიას.

პატივცემულო კოლეგებო, ტოტალიტარული რეჟიმის ხანგრძლივი ბატონობის შემდეგ ჩვენ ახლა დავადეგით დემოკრატიის გზას. ეს ძალზე გრძელი გზა იქნება: არც ისე ადვილია თავიდან ავიცილოთ საშინელი მემკვიდრეობა, ძნელია გადავეჩვიოთ იმპერიულ აზროვნებას. სამწუხაროდ თქვენს განცხადებას ეს სულისკვეთება დაჰკრავს, და ეს განსაკუთრებით საწყენია, რამეთუ ჩვენ გულწრფელად გვწამდა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ამ ძნელ გზას დავძლევთ ერთობლივი ძალისხმევითა და კეთილი საქმეებით, გამოცდილების აზრთა გაზიარებით. აი, რატომ არის რომ, ჩვენი აზრით თქვენ უბრალოდ მოვალენი იყავით განცხადების ხელმოწერამდე თუნდაც ზრდილობის გულისთვის შეგეტყოთ ჩვენი აზრი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის განცხადება „საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი

მდგომარეობის შესახებ" ჩვენი რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევად და სუვერენული სახელმწიფოს უფლებების ხელყოფად მიაჩნია და მტკიცე პროტესტს აცხადებს, განსაკუთრებით გულსატკენია, რომ ამ განცხადებას ხელს აწერს რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტი.

ისინი, ვისაც მართლა აღელვებს ადამიანის უფლებანი, თავს ნებას არ მისცემენ გზა გადაუღობონ თავისუფლებისმოყვარე ხალხებს. სამწუხაროდ, ამას ვერ იტყვი განცხადების ავტორებზე. სამწუხაროა, რომ ისინი გამოდიან რუსეთის უზენაესი საბჭოს სახელით, რომლის დეპუტატებმა დაიცვეს თავისუფლება თეთრ სახლთან მოსკოვში, სადაც მათთან ერთად იმ საგანგაში ჟამს დღედაღამ იყვნენ ქართველი ხალხის წარმომადგენლებიც, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს დროშა რუსეთის დროშასთან ერთად ფრიალებდა მოსკოვში მანეჟის მოედანზე და სანკტპეტერბურგში სასახლის მოედანზე კომუნისტი პუტჩისტების მოქმედების წინააღმდეგ გამართულ ყველა საპროტესტო მიტინგზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისია.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
18 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საბჭოს განცხადება

ყოფილი საბჭოთა კავშირის შიგნით პოლიტიკური პროცესების განვითარება 1921 აგვისტოს პუტჩის შემდეგ ფაქტობრივად საბჭოთა იმპერიის დაშლით დასრულდა. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთ უაღრესად მნიშვნელოვან დროს მეტად გამწვავდა პოლიტიკური ვითარება, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. არ მოქმედებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა გამიჯვნისა და მათი ურთიერთგაწონასწორების სავალდებულო მექანიზმი.

2. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მიუღებელია არსებული ურთიერთობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.

ერთის მხრივ ოპოზიციას არა აქვს პოლიტიკურად ორიენტირებული ლეგალური ძალაუფლება, თითქმის არ მონაწილეობს სახელმწიფოს პოლიტიკურ სტრუქტურებში, მისი მოქმედება, მიმართული ოფიციალური მოქმედების წინააღმდეგ, სამწუხაროდ, იმავდროულად მიმართულია საერთოდ ლეგიტიმური პოლიტიკური სტროქტურების წინააღმდეგაც, რაც დაუშვებელია.

მეორე მხრივ, ხელისუფლება არ უზრუნველყოფს ოპოზიციის კანონიერ უფლებათა რეალურ დაცვას, უაღრესად რთულდება პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის პროცესი;

3. პოლიტიზირებულია და ორ ბანაკადაა გაყოფილი ახლად ჩამოყალიბებული ეროვნული გვარდია.

4. ყოველივე ამასთან დაკავშირებით თავს უფლებას ვაძლევთ განვაცხადოთ, რომ საქართველოში პოლიტიკური კრიზისია, რომლის კონსტიტუციური დაძლევა როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა.

ვინაიდან ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი მმართველი ბლოკის წევრი ორგანიზაციაა და, შესაბამისად, პასუხისმგებელია ხელისუფლების ყოველგვარი მოქმედებისთვის, კავშირის საბჭო აცხადებს:

1. დაუყოვნებლივ დაიწყოს ოპოზიციასთან ხელისუფლების დიალოგი, რომლის დროსაც განიხილავენ ოპოზიციის ყველა მოთხოვნას. ამ მოთხოვნებს თავის უახლოეს სხდომაზე შეფასება უნდა მისცეს უზენაესმა საბჭომ.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უახლოესი სხდომა პირდაპირ გადაიცეს ტელევიზიით და მასზე გამოსვლის საშუალება მიეცეთ პარლამენტგარეშე ოპოზიციის წარმომადგენლებს.

3. პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს დაუყოვნებლივ მიეცეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა.

4. პოლიტიკური სარბიელიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის წასვლამ რადიკალურად შეცვალა 1990 წლის 28 ოქტომბრამდე არსებული პოლიტიკური რეალობა და დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობა ვეღარ გამოხატავს მოქმედ პოლიტიკურ

ძალთა ნამდვილ თანაფარდობას;

არსებული კრიზისის მოსაგვარებლად აუცილებელია ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პასუხისმგებლობის გადანაწილება, რის გამო სავალდებულო ხდება ხელისუფლების გადანაწილებაც, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია უზენაესმა საბჭომ:

ა) დანიშნოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნები;

ბ) შეიმუშაოს და მიიღოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების ახალი კანონი.

5. დაევალოს ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საპარლამენტო ჯგუფს საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება გაიტანოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მორიგ სხდომაზე.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე — აკაკი ასათიანი.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
18 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტაციის განცხადება

ა.წ. 15 სექტემბერს სრულიად საქრთველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტაციამ უზენაესი საბჭოს სესიაზე გააკეთა შემდეგი შინაარსის განცხადება: თუ დადებითად არ გადაწყდებოდა სესიის პირდაპირი ტელეტრანსლიაციის საკითხი, ისინი არ მიიღებდნენ მონაწილეობას უზენაესი საბჭოს ამ სხდომის მუშაობაში. რადგანაც დამსწრე 168 დეპუტატიდან 72 იყო პირდაპირი ტელეტრანსლაციის მომხრე, 78 წინააღმდეგი, 18-მა კი თავი შეიკავა, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტაციის 18 დეპუტატიდან 17-მა დატოვა დარბაზი. ვინაიდან დეპუტატების უმრავლესობას არ სურს ხალხმა გაიგოს მთელი სიმართლე და წინააღმდეგია პირდაპირი ტელეგადაცემებისაც კი, აღარავითარი აზრი არ ჰქონდა ჩვენს შემდგომ მონაწილეობას სხდომის მუშაობაში და იმ მოთხოვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყენებას, რომლებიც ადრე გავაცანით უზენაეს საბჭოს. ამიტომ დავტოვეთ დარბაზი, საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ეზოში დავიწყეთ შიმშილობა;

ჩვენი მოთხოვნები არ შეცვლილა და მათ უკვე იცნობს საზოგადოებრიობა:

1. გადაგეს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

2. მკვეთრად შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის უფლებამოვალეობანი;

3. განხორციელდეს პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზაციის ღონისძიებანი;

4. უზენაესი საბჭოს სხდომების მუშაობა გადაიცეს პირდაპირ ეთერში.

ეს განცხადება იმავე დღეს 15 სექტემბერს ჩაიწერა საქართველოს ტელევიზიაში, და საღამოს საინფორმაციო პროგრამის „მოამბის" შემდეგ, ტელერადიოკომიტეტის ხელმძღვანელობის ნებართვით, უნდა გასულიყო ეთერში, მაგრამ უკანასკნელ წუთს, უზენაესი საბჭოდან ტელეფონის ზარის შედეგად უკვე ჩაწერილი ფირი ტელერადიოკომიტეტიდან გაქრა.

16 სექტემბერს ჩვენ კვლავ კატეგორიულად მოვითხოვეთ ჩვენი განცხადების გადაცემა ტელევიზიით, მაგრამ ამ ფირის ბედი გაურკვეველია. თუმცა, ფირი რა საკითხავია, როცა უკვე მესამე დღეა მიმდინარეობს შიმშილობის აქცია და მისი მონაწილენი მოკლებული არიან ელემენტარულ სამედიცინო მომსახურებას.

მმართველი პარტიის კანონიერი მოთხოვნის ხელისუფლების მხრიდან იგნორირების შეფასება ხალხისთვის მიგვინდია.

ვინაიდან მოსახლეობა მოკლებულია ინფორმაციას ჩვენი საზოგადოების დეპუტაციის მიერ დაწყებული შიმშილობის აქციის, ჩვენი მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ა.წ. 19 სექტემბერს 18 საათზე მერაბ კოსტავას ეზოში გაიმართება საინფორმაციო მიტინგი.

ვ. ადამია. გ. ხავთასი, მ. ხუციშვილი, დ. კუპრეიშვილი. თ. ობგაიძე, ა. ვარძელაშვილი, გ. სუბელიანი, ზ. გიგოლაშვილი, ჯ. საჯაია, გ. გიგოლოშვილი, გ. ურიათმყოფელი, ე. ყაველაშვილი, რ. ქემულარია, ჯ. გოლეთიანი, ა. მაჭავარიანი, ნ. კვაჭაძე, ს. ზვიადაძე, ა. საკანდელიძე.

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",

18 სექტემბერი, 1991.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * * * * * * * * * * * *

სრულიად საქართველოს საზოგადოება ქართველ შევარდენთა ლეგიონის სამხედრო საბჭოს განცხადება

ვითვალისწინებთ რა საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის კრიზისულ მდგომარეობას, რომლის შედეგადაც საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე არნახული ემოციები მეფობენ, ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით განვაცხადოთ შემდეგი:

თბილისში, ამა წლის 2 სექტემბერს ტრაგიკკული ინციდენტის შემდეგ, მთელი რესპუბლიკა მოიცვა ურთიერთდაპირისპირებების მძლავრმა ტალღებმა.

ბოლო დროს კი, ვნებათა ღელვამ თავის ზენიტს მიაღწია, ზოგიერთებმა საქვეყნოდ იარაღით მუქარაც კი იკადრეს, რაც ძმათა სისხლისღვრით ანუ სამოქალაქო ომით გვემუქრება!

ქართველ შევარდენთა ლეგიონი, რომელიც 9 აპრილსა და 1517 ივლისს დაღვრილი უცოდველი სისხლით შედულაბებული ქართველთა საძმოა, მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს–ნებისმიერი, ვინც პირველი მიმართავს იარაღს ქართველი ხალხისაკენ, გამოცხადდება ჩვენი საძმოს მოსისხლე მტრად.

გვინდა გავაფრთხილოთ ყველა უგუნური, რომ ახსოვდეს ეს!

ხოლო მათ, ვინც დღემდე ეს ვერ შეიგნო თუ სად შეიძლება იარაღით დგომა და მისი სასიკეთოდ გამოყენება, ჩვენ მოგვაკითხონ, ჩვენ დაგვიდგნენ გვერდში და თავიანთი ვაჟკაცობა იქ დაუმტკიცონ ქართველ ერს, სადაც ასე უჭირს დღეს მას!

გაზ: "საქართველოს რესპუბლიკა",
18 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ირაკლი წერეთელთან

რას მოითხოვენ ოფიციალური ხელისუფლებისაგან, პრეზიდენტისაგან ისინი, ვინც რუსთაველის პროსპექტზე ბარიკადები ალმართა?

ინტერვიუ ბატონ ირაკლი წერეთელთან, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერთან:

(ეს ინტერვიუ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შენობაში, უცხოელი ჟურნალისტების მონაწილეობით ავიღე, ამიტომ აქ მათი კითხვებიც არის შეტანილი).

— ბატონო ირაკლი, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველო 1992 წლის 16 სექტემბერს?

— საქართველო იქნება დამოუკიდებელი, ამ დროისათვის დამთავრდება საოკუპაციო ჯარების გაყვანა. ოღონდ იარაღს აქ დატოვებენ. 70 წლის განმავლობაში მოყენებული მორალური და მატერიალური ზარალის საკომპენსაციოდ. ჩემი ვარაუდით, ჯარების გაყვანისათვის ერთი წელი საკმარისი იქნება.

— მოელით თუ არა თქვენზე შეიარაღებულ თავდასხმას?

— ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ჩვენზე შეიარაღებული თავდასხმა ნაკლებად სავარაუდოა. მეტად მნიშვნელოვანი იქნება დილარ ხაბულიანის პოზიცია.

— თქვენი აზრით, რამ განაპირობა პოლიტიკურ არენაზე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ესოდენ დიდი გამარჯვება, და მაღალი რეიტინგი?

— მისმა ავტორიტეტმა, სახელგანთქმული მამის შვილობამ; უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მას დიდი წვლილი მიუძღვის მასობრივი გაფიცვების მოწყობაში; გამსახურდია ქართველი კაცის ცნობიერებაში დამკვიდრდა როგორც ადამიანის უფლებების დამცველი პირველი მერცხალი. მის პოპულარობას ხელი შეუწყო კიდევ იმან, რომ არც ერთმა აპოლიტიკურმა პატიმარმა პრინციპული შეფასება არ მისცა ზვიად გამსახურდიას მონანიებას კომუნისტების წინაშე. და კიდევ, არჩევნების დროს ხალხი არ იყო სათანადო სიმაღლეზე.

— თქვენი პარტია რადიკალურია, გულისხმობს თუ არა ეს ბრძოლის უკუდურესი ფორმების გამოყენებას?

— ჩვენ არ მოვითხოვთ გამსახურდიას დაპატიმრებას, არც იარაღის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოყენების მომხრენი ვართ, მაგრამ თუ ვინმე შეეცდება ბარიკადების აღებას, თავს დავიცავთ.

— შევარდნაძის როლზე რას იტყვით?

— შევარდნაძე, მისი უდიდესი ავტორიტეტი მსოფლიოში, ერის საკეთილდღეოდ უნდა გამოვიყენოთ. შევარდნაძის ლანძღვა მე მიმაჩნია პათოლოგიურ მოვლენად პოლიტიკაში. მისი საწინააღმდეგო კამპანიით შევარდნაძე არაფერს დაკარგავს.. მას მეტად მაღალი რეიტინგი და საღი გონება აქვს.. ზოგს გონია შევარდაძე საქართველოს პრეზიდენტობაზე ოცნებობსო. რა თქმა უნდა არა! **მისი ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ იგი საქართველოში არ წამოვა პრეზიდენტად..** ეს თითქმის იგივეა, რომ ბუში დათანხმდეს რომელიღაც მცირე ქვეყნის პრეზიდენტობაზე.

— რაიმე კავშირი გაქვთ შევარდნაძესთან?

— არა.

— თანამშრომლობთ ჭანტურიასთან?

— დიახ.

როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს მომავალი მეფე?

— ისტორიულად მეფობა რომ აუცილებელი ყოფილიყო საქართველოში, დღეს აქ მეფე იქნებოდა. მეფე წარმომიდგენია ეროვნულ ტანსაცმელში. გამოწყობილი ცხენზე ამხედრებული ქართველი რაინდი, ხმლით ხელში.. კოსტუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი მეფის წარმოდგენა ჩემთვის ძნელია.

15 სექტემბერს ზვიად გამსახურდიამ მოუწოდა პარლამენტის ოპოზიციას მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და დიალოგისაკენ, მოუწოდა ნუ აჩქარდებიან და ნუ დატოვებენ პარალმენტს..

გაზ: "შანსი", 18 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * * * * * * *

ტელევიზიასთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია დავლინიძე, საქართველოს ტელევიზიის ახალგაზრდობის მთავარი რედაქტორის მთავარი რეჟისორი:

— ყოფილი მთავარი რეჟისორი! საუბრისას მისწორებს ლია—ასე ისურვა ტელერადიოდეპარტამენტის მთავარმა ხელმძღვანელობამ.

— რამდენი კაცი მონაწილეობს საპროტესტო აქციაში?

— ოთხმოცამდე კაცმა მოაწერა ხელი მოთხოვნას, რომელიც გავუგზავნეთ ტელერადიოდეპარტამენტის ხელმძღვანელობას, გაზეთების „თბილისის", „დრონის" რედაქციებს. მოვითხოვთ რათა ჟურნალისტებს (და არა ოპოზიციას) მოგვცენ საშუალება ობიექტურად მივაწოდოთ ის, რაც ახლა საქართველოში ხდება. ჩვენ ვგმობთ კომუნისტურ მეთოდებს, ეკრანის მთელი დრო დათმობილი აქვს ოფიციალურ ხელისუფლებას. უნდობლობას ვუცხადებთ ტელედეპარტამენტის ხელმძღვანელობას და მოვითხოვთ მის გადადგომას.

დღეს, ყველა წამყვანი ჟურნალისტი და დიქტორი ტელევიზიის კიბეებზე სხედან: ოთარ შაორშაძე, ნანა ჯაფარიძე, მამუკა არეშიძე, ქეთევან კაპანაძე, თამარ ცაგარეიშვილი, მარკ რივკინი, ირინა მათიაშვილი, ქეთევან გვარამია, მერაბ ოდიშარია, მერაბ ბერაძე, გელა ქოქიაშვილი, ზურაბ ღავთაძე და სხვები. მას შემდეგ, რაც კვანტალიანი ტელედეპარტამენტის დირექტორად დანიშნეს, დამყარდა აბსოლიტური დიქტატი, ახალმა დირექტორმა ერთხელაც არ ისურვა რედაქციების კოლექტივებთან და ცალკეულ თანამშრომლებთან შეხვედრა. როცა მრავალგზის მოთხოვნის მიუხედავად მან არ მოისურვა ჩვენთან შეხვედრა შენობის გარეთ კიბეებზე დავჯექით. კვანტალიანმა კომუნისტების ნაცად ხერხს მიმართა და დაგვიპირისპირა ტექნიკური პერსონალი, მემანქანეები, ბუღალტრები და სხვები. ისინი მართავენ კრებას და მართავენ აქციას. მე მეცოდებიან ის მუშები და გლეხები, რომლებიც ტელეეკრანიდან მოითხოვენ ვიღაცის დასჯას, დაჭერას, ჩამოხრჩობას, განადგურებას. ეს 37 წლის ფსიქოლოგიაა.

რომელ ცივილიზებულ ქვეყანაში ემუქრება ენერგეტიკის სამინისტრო მომიტინგეებს შუქს გამოგირთავთო?

ტელევიზია ისეთი ამორალური გახდა, რომ აკაკი ბაქრაძე ხალხის მტრად გამოაცხადეს..

ნორმალურ ქვეყანაში ასეთი რამ არ ხდება და თუ საქართველოში მარ თლა დაიწყო სამოქალაქო ომი, ლომის წილი ტელევიზიას ეჭნება.

გაზ: "შანსი", 18 სექტემბერი, 1991.

* * * * * * * *

თენგიზ სიგუას წარმოთქმული სიტყვა 1991 წლის 10 სექტემბრის მიტინგზე

დებო და ძმებო, შვილებო! უპირველეს ყოვლისა მე მინდა უღრმესი მადლობა მოგახსენოთ თქვენ, რომ თქვენი მცდელობით დღეს მე მომეცა საშუალება გამოვსულიყავი თქვენს წინაშე და მეთქვა სიმართლე მთელი ქართველი ხალხისათვის. ჩემი არაერთგზის მცდელობა, მომცემოდა საშუალება გამოვსულიყავი საპარლამენტო ტრიბუნაზე, ან საქართველოს ტელევიზიით უნაყოფო აღმოჩნდა. მე ბრალს მდებენ იმაში, რომ ინტერვიუს ვაძლევდი საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის მთელ რიგ სააგენტოებს. მე გეტყვით სიმართლეს, პირველი დღიდან ჩემი გადადგომისა მე ბრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ როგორც ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, მე უნდა მომცემოდა საშუალება პარლამენტის ტრიბუნიდან მეთქვა დეპუტატებისა და მთელი ქართველი ხალხისათვის ჩემი გადადგომის მიზეზები. ეს ჩემი უპირველესი ვალდებულება იყო, მაგრამ ეს საშუალება ვიმეორებ მე არ მომეცა. ამიტომ მე დღეს ამ ტრიბუნიდან ვიტყვი მთელ სიმართლეს. უთანხმოება ჩემსა და ბატონ პრეზიდენტს შორის დიდი ხანია დაიწყო, უთანხმოების მიზეზი ერთი არ ყოფილა, უთანხმოება იყო ეკონომიკურ საკითხებში, უთანხმოება იყო საკადრო სფეროში, უთანხმოება იყო საგარეო პოლიტიკურ საკითხებში და იმ იდეოლოგიაში რომელსაც პრეზიდენტი და მისი დამქაშები ახორციელებდნენ ეკონომიკურ საკითხებში. უთანხმოება დაიწყო ჯერ კიდევ ზამთარშივე. თქვენ მოგეხსენებათ, რომ რა მძიმე მემკვიდრეობა მივიღეთ. კიდევ უფრო დამძიმდა სიტუაცია მას შემდეგ რაც ცენტრმა ფაქტი-

ურად ჩვენ გამოგვიცხადა მძიმე ომი. თქვენ იცით, რომ ჩვენ არ გვაწვ-
დიდნენ ელექტროენერგიას, ნავთობპოდუქტებს, ბუნებრივ გაზს. ეს,
ეს ომი ჩვენმა ხალხმა მედგრად გადაიტანა. იანვარში, თებერვალში,
მარტში რესპუბლიკის წარმოება ფაქტიურად გაჩერებული იყო. ეს
იყო უდიდესი დარტყმა ჩვენი ეკონომიკისათვის. ის იყო დავიწყეთ
ენერგეტიკული კრიზისიდან გამოსვლა, წარმოებებს მუშაობა უნდა
დაეწყოთ, რომ პრეზიდენტმა სრულიად გაუმართლებელი ნაბიჯი გად-
ადგა–გახსოვთ, აპრილში მან გამოაცხადა რესპუბლიკის თვითბლოკა-
და. რესპუბლიკიდან არაფერი არ გადიოდა რესპუბლიკაში არაფერი
არ შემოდიოდა, მარტო ამ ერთ თვეში რესპუბლიკამ 400 მილიონი
მანეთი ზარალი განიცადა. რა პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა პრ-
ეზიდენტი ჯერ ჩემთვის გაუგებარია. ჩემთვის სრულიად გაუგებარია
და არც ღრმა ეკონომისტობაა ამისთვის საჭირო, რაც მოხდა მაისის
თვეში. თქვენ იცით, რომ საკავშირო მთავრობამ განახორციელა ფასე-
ბის რეფორმა. სანამ ჩვენ არა გვაქვს დაცული ჩვენი ეკონომიკური
საზღვრები, სანამ ჩვენ არა გვაქვს საბაჟოები. რომელიმე სასურსათო
პროდუქტზე ასე ვოლუნტარისტულად ფასის დაკლება(მხედველობაში
პურის ფასის დაკლება)ყოვლად დაუშვებელი ავანტიურიზმია ეკონო-
მიკაში. მე რამდენჯერმე ვუთხარი მას, მოსახლეობა არაფერს იზარა-
ლებს თუ იმ 380 მილიონ მანეთს, რომელსაც ბიუჯეტიდან პურის
მრეწველობას ვაძლევთ, მოსახლეობას მივცემთ კომპენსაციის სახით.
თითო მოსახლეზე გამოდიოდა თვეში თორმეტი მანეთი, სამაგიეროდ
ამ გზით მოხსნილი იქნებოდა ისეთი უარყოფით შედეგები, რომელიც
მოჰყვა პრეზიდენტის ამ განკარგულებას. პირველი დიდი რაოდენო-
ბით ხორბალი გადიოდა რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ, ეს ადვილი
გასაგებიც არის: როდესაც სომხეთში, აზერბაიჯანში, რუსეთში, ჩვენს
მოსაზღვრე რესპუბლიკებში კილოგრამი პური ღირს მანეთი და ოცი
კაპიკი. ჩვენგან გაქონდათ ძალიან დიდი ოდენობით ხორბლეული, იმ
დროს როდესაც რესპუბლიკა კრიტიკულ სიტუაციაში იყო, და ამ
დროს ასეთ დარტყმას აყენებს პრეზიდენტი რესპუბლიკის ეკონო-
მიკას. მეორე ნეგატიური მომენტი, რაც იმას მოჰყვა–უფაქტურო
ოპერაცია–გასაგებია, როდესაც პურის საწყობი ფქვილს ღებულობს
მანეთად გამომცხვარი პური უნდა გაყიდოს 40 კაპიკად. ის ამ ოპ-
ერაციას არ ატარებს, ის ყიდის ფქვილს. საქართველოს მთელ რიგ
რეგიონებში უპუროდ დარჩა ხალხი. ამის თაობაზე არაერთხელ იყო

შეხსენება. მე გადაჭრით მოვითხოვდი ამ ეკონომიკური ავანტიურიზმის შეჩერებას და გამოსწორებას. ეს იყო პოლიტიკური ფაქტი: საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ხალხის თვალის ახვევის ბანაკი, რომ ვითომ პრეზიდენტი ასე ზრუნავს ხალხზე. აი მესამე, ნეგატიური მოვლენა ამ ფაქტზე, როცა ქატო მანეთნახევარი ღირს და ამ დროს გამომცხვარი პური 40 კაპიკი, ცხადია გლეხი საქონელს ქატოს კი არ აჭმევს არამედ პურს.. ამდენად პურის ფასი საქართველოში ორჯერ გაიზარდა და მე მეშინია, რომ ოქტომბერში ქვეყანა საერთოდ უხორბლოდ არ დარჩეს. თქვენ გახსოვთ ალბათ პრეზიდენტის განკარგულება საბაღე-საბოსტნე ნაკვეთების აკრძალვის შესახებ. ეს არასწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნდა და მოვახსენე მას, რომ ეს ხალხის უკმაყოფილებას გამოიწვევს. ეს არასწორი ნაბიჯია და რა მოჰყვა ამას თქვენ კარგად იცით. მე მას სხვა სახელს ვერ დავარქმე—ეს არის გაკულაკება. პრეზიდენტმა ისე რომ არ შეუთანხმებია ეს საკითხი არც საპარლამენტო სასურსათო—სამეურნეო კომისიასთან, არც მთავრობასთან, ხელი მოაწერა განკარგულებას საშემოდგომო მოსავლის აღების თაობაზე, სადაც პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ სამართალდამცავ ორგანოებს, მათ შორის, შინაგან საქმეთ სამინისტროს თანამშრომლებს, სუკის თანამშრომლებს, უფლება ეძლეოდათ შესულიყვნენ სოფელში და ბოლო მარცვლამდე ამოელოთ მოსახლეობისაგან მოსავალი. ეს იყო საშინელი განკარგულება, კიდევ კარგი ბოლო მომენტში მისივე საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით მე შემატყობინეს, რომ ხელმოწერილია ასეთი კანონი. მე მაშინვე დავუკავშირდი მას და ვუთხარი, ბატონო ზვიად ამის გაკეთება არ შეიძლება. ჩვენ ორი ღამე გავათიეთ, რომ როგორმე შეგვერბილებინა პრეზიდენტის ბრძანებულება და ის რაც პრესაში გამოქვეყნდა არ არის მისაღები, მაგრამ გარწმუნებთ 80 პროცენტით შერბილებულია პირველ ვარიანტთან შედარებით. მოგახსენებთ მხოლოდ რამდენიმე მომენტს, რადგან გაუთავებელი წყება იყო ეკონომიკური შეცდომების. მე მესმის რომ პრეზიდენტს, განათლებით ფილოლოგს არ მოეთხოვება ღრმა ცოდნა ეკონომიკური საკითხებისა და ის ვოლუნტარისტული მეთოდები, რომლითაც იგი მოქმედებდა, ჩემთვის ყოვლად მიუღებელი იყო. მეორე საკითხი გახლავთ საკადრო საკითხი. საქმე ისაა რომ საქართველოში დღეს ძალიან მძიმე ეკონომიკური კრიზისია, არ გვაქვს სასურსათო პროდუქტები, გვიჭირს ენერგეტიკა ნავთობ-

პროდუქტები. მაგრამ საბედნიეროდ ერის ინტელექტუალური ძალები საკმაოდ ძლიერია. ამ დროს როდესაც პასუხსაგებ თანამდებობებზე პრეზიდენტი და მისი ოჯახის წევრები დაჟინებით მოითხოვდნენ დაბალი კვალიფიკაციის, უცოდინარი ხალხის დასმას ეს ჩემთვის მიუღებელია. პირველი შემოტევები ჯერ კიდევ ზაფხულში დაიწყო, როდესაც ბრალად დამდეს, რომ ბატონმა სიგუამ მთავრობაში მთელი მეცნიერებათა აკადემია მოიყვანაო. ანდა ერისათვის სასახელო არ არის ის, რომ მთავრობასი იქნებიან აკადემიის წევრები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, კანდიდატები, არა ასეთი განათლებული მთავრობა მას არ აწყობდა. მას აწყობს ფეზეო დამთავრებული კაცი მინისტრის პოსტზე. ვიმეორებ მას არ აწყობდა მაღალკვალიფიციური, განათლებული ხალხი იმიტომ, რომ მასში გამჯდარია მტრის სინდრომი, კრემლის აგენტი, ერის მოღალატე, სუკის აგენტი, აი, ეს არის მისი ზნეობის ძირითადი გამომხატველი.

და მესამე — უთანხმოებანი პოლიტიკურ საკითხებში. დაახლოებით ივნისის შუა რიცხვებიდან თვალნათლივ ვატყობდი, რომ ბატონ პრეზიდენტს არ აწყობს ფართო კავშირების დამყარება დასავლეთის ქვეყნებთან. სტრასბურგიდან ძალზე სასიხარულო შედეგებით დავბრუნდი. ევროპალამენტმა ფაქტიურად გაუღო კარი საქართველოს, მე შევატყვე რომ ეს მას არ ესიამოვნა. მეორე—პირველ სექტემბერს რესპუბლიკის დელეგაცია უნდა გამგზავრებულიყო შეერთებულ შტატებში, ძალზედ მაღალი მისიით. მათ შეხვედრა ექნებოდათ ვიცეპრეზიდენტთან ბატონ ბეიკერთან, ლოსანჯელესისა და კალიფორნიის ბიზნეს კლუბის წარმომადგენლებთან. მისიის წინ ხდება ჩემთვის გაუგებარ ფაქტი, პრეზიდენტი მთავრობის ბლანკზე, ხაზს ვუსვამ არა პრეზიდენტის არამედ მთავრობის ბლანკზე, ადგენს საკუთარი ხელით ამერიკელი ხალხისათვის მიმართვის ტექსტს დაახლოებით ამგვარს: თქვენ რასაკვირველია დემოკრატები ხართ, მაგრამ გყავთ ძალიან ცუდი პრეზიდენტი, ლაპარაკია პრეზიდენტ ბუშზე. ეს იყო უდიდესი პოლიტიკური შეცდომა, თუ არა უფრო მეტი პოლიტიკური ავანტიურა. ე. ი. ეს მიმართვა იქითკენ იყო მიმართული რომ ჩაშლილიყო სამთავრობო დელეგაციის მისია შეერთებულ შტატებში.. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბატონ პრეზიდენტს სურდა დახურული ტიპის სახელმწიფოს შექმნა, როგორიც არის ალბანეთი და შემდეგ განუყოფლად ებატონა აქ. მე თვალნათლივ ვხედავდი,

რომ საქმე მიდიოდა სუფთა დიქტატორული წყობისაკენ. პირველი ჩემი ხმამაღალი პროტესტი მე განვაცხადე 24 ივნისს, მეორედ შეხვედრა იყო 16 ივლისს, ხოლო საბოლოოდ 15 აგვისტოს. მე მივიღე გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ (მაპატიეთ ამ სიტყვის ხმარებისათვის) ამ სიბინძურეში არ შეიძლება მე მონაწილე ვყოფილიყავი.

ეხლა იმ ცრუ იდეოლოგიის შესახებ რომელსაც პრეზიდენტი და მისი დამქაშები ცდილობან მოახვიონ თავს ქართველ ხალხს, თითქოს ჯერ თავისუფლება, შემდეგ დემოკრატია. ეს ყალბი ლოზუნგია ბატონებო, არც ერთი თავისუფალი სამყაროს ერი ჩვენკენ არ გამოიხედავს, სანამ თვალნათლივ არ დაინახავს, რომ ქართველი ერი გადადის დემოკრატიული სტრუქტურების აქტიურ აგებაზე და გადადის თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე. ხოლო ჩვენი პრეზიდენტი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის აქტიური წინააღმდეგია. არაერთხელ მას დაჟინებით მოუთხოვია ჩემთვის იმ მცირედი ყლორტების, რომელსაც დღეს განეკუთვნება თავისუფალი ეკონომიკის კოპერაციულ მოძრაობა და ერთობლივი საწარმოების ლიკვიდაციია. ეს იქნებოდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის ზურგში მახვილის ჩაცემა. მე, რასაკვირველია, მას არ ვეთანხმებოდი და არც ერთი განკარგულება, რომელსაც ის დაჟინებით მოითხოვდა, ჩემი ხელიდან არ გამოსულა და არც გამოვა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, და ამის შემდეგ მის მიერ პარლამენტში წარმოთქმული სიტყვა მისი სიტყვაც ადასტურებს, როდესაც მან სოციალიზმის კონვერგენციაზე დაიწყო საუბარი. მან პირზე ნიღაბი ჩამოიხადა საბოლოოდ, რომ მას ისევ სოციალიზმისა და კაპიტალიზმის შერწყმა უნდა. ეს არის ერის დაღუპვა, ერის ეკონომიკის დაღუპვა.

მე ღმად ვარ დარწმუნებული, რომ მას არ აქვს ისეთი ეკონომიკური ცოდნა, რომ ამ თეორიებს თვითონ ამუშავებდეს და თვითონ წარმოთქვამდეს პრეტენზიებს. მის ზურგს უკან დგას ჯგუფი ეკონომიკური ავანტიურისტებისა, რომლებიც მას უდგენენ ამ ახალ ეკონომიკურ თეორიებს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ მით უმეტეს ეკონომისტებს, რომ სოციალისტური კონვერგენციის თეორია 60-იანი წლების ევროპაში იყო გავრცელებული, ხოლო 1964 წელს ჟენევაში გამართულ კონფერენციაზე საბოლოოდ დაიმარხა. და აი, 1991 წლის ზაფხულში საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტში ხელახლა გამოაქვს ეს საკითხი. ეს არის სრული უვიცობა, უმეცრება

ეკონომიკაში. შემდეგი საკითხი ეს გახლავთ იდეოლოგიის საკითხი, რომელშიც ჩვენ აგრეთვე დიდი უთანხმოება გვქონდა. არ შეიძლება დღეს ასეთ დაძაბულ ვითარებაში ამყოფო და გადაკიდო ქართველი ხალხი ერთმანეთს. კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ყველანი კრემლის აგენტები ვართ. მაშ ვინ აირჩია იგი პრეზიდენტად? კრემლის აგენტებმა? ერის მოღალატეებმა? ჩვენ არასოდეს არ მივცემთ თავს უფლებას დავიდეთ იმ დონემდე, რომელსაც მისი დამქაშები—პეტრიაშვილები მიმართავენ. ჩვენი გამოსვლები უნდა იყოს აკადემიური ტონისა და უნდა ვამხილოთ ის ფაქტები მშვიდად დაწყნარებით, რომელიც ხელთა გვაქვს—შემდეგი საკითხები, იდეოლოგიას რაც ეხება ის გახლავთ და მე ღრმად ვარ დარწმუნებული ამაში და უახლოეს პერიოდში მთელი ქართველი ხალხი შეიტყობს ამ სიმართლეს, რომ ბატონ გამსახურდიას და მის უახლოეს მრჩევლებს ჰქონდათ ღია კავშირი მოსკოვში 1922 აგვისტოს მომხდარ ამბებთან.

17 აგვისტოს ღამის 11 საათზე, მე თუმცა გადამდგარი ვიყავი, მაგრამ ვაგრძელებდი ჩემს მუშაობას იმიტომ, რომ საკმაოდ ბევრი მასალა იყო დასამუშავებელი და ჩემი მემკვიდრისათვის არ მინდოდა დამეტოვებინა ეს მასალა. მე თვითონ უნდა მომეთავებინა. ღამის 11 საათზე ჩემთან შემოვიდა ჩემი თანაშემწე და მითხრა, რომ თქვენს ქვემოთ კაბინეტში რაღაც ძალიან საინტერესო შეკრებაა. მე ვკითხე ვინ არიანმეთქი, პასუხი ასეთი იყო. საქართველოს სუკის ხელმძღვანელობა, თითქმის მთლიანად, გარდა ბატონ ოთარ ხატიაშვილისა და ამ შეხვედრას რატომღაც ესწრებოდა ბატონი რამაზ გოგლიძე. ჩემთვის ამ ფაქტს არავითარი მნიშვნრლობა არ ჰქონდა. იმიტომ რომ მე ვიცოდი რასთან იყო ეს დაკავშირებული. 28 რიცხვში მე ისევ ვაგრძელებდი მუშაობას. რაღაც პრინციპიალურ საკითხთან დაკავშირებით მინდოდა გამომეძახნა ბატონი ომანიძე. იგი თავის კაბინეტში არ იყო, თანაშემწეს ვთხოვე სასწრაფოდ მოეძებნათ და მოეყვანათ ჩემთან, გაირკვა, რომ იგი სასწრაფოდ მოსკოვში გაფრენილა. მოსკოვში გაფრინდა 18 რიცხვში გოგლიძეც. ე. ი. უტყუარია, გოგლიძე როგორც უახლოესი კომკავშირში ერთად მუშაობიდან, შეხვდნენ ბატონ იანაევს და ქართველი ხალხისა და საქართველოს ხელისუფლების სახელით სრული ლოიალობა გამოუცხადეს პუტჩის ხელმძღვანელებს. როდესაც ამ ვერსიის გარკვევა დაიწყო ბატონმა გოგლიძემ აღიარა, რომ 17-ში იყო ასეთი შეკრება და პირადად ესწრებოდა ამ შეხვედრას.

მან აღიარა რომ 18-ში იგი იყო მოსკოვში, ხოლო ბატონ იანაევთან შეხვედრის ფაქტს იგი უარყოფს, ხოლო ომანიძე ცდილობს ეჭვქვეშ დამალოს კვალი. ჯერ იგი აცხადებს, რომ იგი 18-ში მარტოდენ არ ყოფილა თბილისში, მაგრამ იყო ყაზბეგში, შემდეგ ცვლის ლეგენდას, რომ ვითომ დღის პირველ ნახევარში იყო ჩემთან ერთად. აი ჩვენ ეხლა უახლოეს დღეებში მივიღებთ იანაევის დაკითხვის ოქმს, სიტყვიერად ამის თაობაზე ვიცით და მაშინ ბატონ გამსახურდიას და მის დამქაშებს სათქმელი აღარაფერი ექნებათ. მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმ სიცრუეს, რომელსაც ბატონი პრეზიდენტი თავს ახვევს ქართველ ხალხს, ვითომდა 2 სექტემბერს, თბილისში კინოს სახლის წინ დატრიალებული ტრაგედიის შესახებ მან არაფერი არ იცოდა. მეორდება იგივე ისტორია, რაც 1989 წლის 9 აპრილს მოხდა. არაფერი არ იცოდა ბატონმა გორბაჩოვმა, არაფერი არ იცოდა შეიარაღებული ძალების მინისტრმა, არაფერი არ იცოდა სუკის ხელმძღვანელობამ და ვიღაც მაიორმა გასცა ბრძანება. - დღესაც ასე უნდათ ხელი შეახოცონ მეისრეს—არ გამოვა ბატონებო. არ არის გამორიცხული ხვალ და ზეგ ანალოგიური შეიარაღებული თავდასხმები მშვიდობიან მომიტინგეებზე გაგრძელდეს. ამდენად მე ჩვენი გვარდიის ხელმძღვანელობისაგან უფლებამოსილი ვარ გავაკეთო შემდეგი განცხადება: საქართველოს ნაციონალური გვარდია მხარს არ უჭერს არცერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას და ეს არც არის მისი ვალი. საქართველოს ნაციონალური გვარდია ჩაებმება საქმეში მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ ოფიციოზი ან ოპოზიციური პოლიტიკური ძალები გამოიყენებენ იარაღს ქართველი ხალხის წინააღმდეგ. უნდა მოგახსენოთ იმ გაუთავებელი პროვოკაციების შესახებ რომელიც საქართველოს ნაციონალური გვარდიის წინაღმდეგაა მიმართული. ჯერ კიდევ 19 აგვისტოს დილით პრეზიდენტი იბარებს გვარდიის სარდალს ბატონ კიტოვანს და სთავაზობს დაუყოვნებლივ დაშალოს საქართველოს ნაციონალური გვარდია. ბატონი კიტოვანი არ დაემორჩილა პრეზიდენტის განკარგულებას და მას სასწრაფოდ გაჰყავს გვარდია თეძამის ხეობაში. აი თ. კიტოვანის გმირობამ გადაარჩინა ეროვნული გვარდია. ალბათ თქვენთვის ცნობილია რომ თბილისში სპეციალური მისიით ჩამობრძანდა საკავშირო თავდაცვის მინისტრის მოადგილე შურავლიოვი, მას ჰქონდა შეხვედრა ბატონ პრეზიდენტთან. ამ შეხვედრის შინაარსი ჩემთვის უცნობია.

ბატონებო! მე აღარ შეგაწყენთ თავს ჩემი გამოსვლით. მაგრამ მინდა ძალიან მოკლედ ჩამოვაყალიბო, რომელიც ალბათ მისაღები უნდა იყო ქართველი ერისთვის. პირველ რიგში ძალიან მიჭირს ამის თქმა და ეს სამწუხაროა ქართველი ერისათვისაც, რომ დღეს საქართველო არ აღმოჩნდა მზად საპრეზიდენტო მმართველობისთვის. მით უმეტეს როდესაც ერთი ადამიანი იღებს ხელში ხელისუფლებას. აი მას აქამდე მივყევართ. ამიტომ ჩვენი მოთხოვნაა დაუყოვნებლივ დაისვას საკითხი საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობის გაუქმების თაობაზე; მეორერაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა; მესამედაჩქარდეს პრივატიზაციის პროცესები; მეოთხესასწრაფოდ მიღებულ იქნეს კანონი მიწის თაობაზე და უმოკლეს დროში განხორციელდეს მიწის რეფორმა; თუ ეს პროცესები არ განხორციელდა ჩვენი ერი დაღუპვის პირას არის მისული, და ამ მდგომარეობიდან გამოსვლის მხოლოდ ეს გზა არსებობს. გზა დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა და საბაზრო ეკონომიკისაკენ. მინდა გამოვიყენო ეს ტრიბუნა და გავაფრთხილო ოფიციოზი, რომელიც ახალ პროვიკაციებს გეგმავს. კერძოდ, დაგეგმილია საქართველოს ეროვნული გვარდიის ნაწილის ე. წ. ზუგდიდის ბატალიონის, რომელიც პრეზიდენტის მხარეზეა, გამოყენება საბჭოთა არმიის ერთ-ერთ საწყობზე თავდასხმისათვის. ეს პროვოკაცია გამოიწვევს უკუქმედებას საბჭოთა არმიისა და იგი მოსპობს იმას, რაც თავისთავად განწირულია. მაგრამ ამას მოჰყვება საბჭოთა არმიის ნაწილების თავდასხმა შავნაბადაზე განლაგებულ გვარდიაზე და მისი ფაქტობრივი მოსპობა. აი ასეთი მზაკვრული მეთოდებით ცდილობს პრეზიდენტი იმ გვარდიის მოსპობას, რომელიც გვიცავს სისხლისღვრისაგან. მე ძალიან ბევრი მაქვს სათქმელი და ალბათ ვიმედოვნებ უახლოეს ხანში მაინც მომეცემა საშუალება ტელევიზიით თუ არა საპარლამენტო ტრიბუნიდან ვთქვა სიმართლე, არა ასეთი სახით, არამედ დაწვრილებით.

სიტყვა ჩაწერილია მიტინგზე. სტილი დაცულია. იბეჭდება შემოკლებით 1991 წლის 10 სექტემბერი.

გაზ: „განათლება“, 19 სექტემბერი, 1991.

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება 3

საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის განცხადება 7

პოლიტიკურ ბლოკ მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველოს განცხადება 10

ნოდარ ნათაძის ღია პასუხი საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას 11

კანონი საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების-ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ 17

შიმშილობა გამოაცხადეს ქალებმა 18

ედუარდ შევარდნაძე–საქართველოს მინისტრი .....

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას საქართველოს ტელერადიო კომიტეტის თანამშრომელთა მიმართვა 20

კატეგორიულად არ ვეთანხმებით (ტელერადიოკომიტეტის თანამშრომელთა წერილი 22

მოშიმშილეთა მოთხოვნები 24

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ ამერიკელი ჟურნალისტის ედმუნდ სტივენსისადმი 25

საქართველოს ეროვნული კონგრესის თვალსაზრისი საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ. ბნ თეიმურაზ სუმბათაშვილის მოხსენება, წაკითხული საქართველოს ეროვნული კონგრესის მეორე სესიაზე 27

საქართველოს ეროვნული კონგრესის დადგენილება №1 35

საქართველოს ეროვნული კონგრესის დადგენილება №2 47

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება.....48
სამოქალაქო ომი თუ მშვიდობა.....48
ქართველი ყოფილი პოლიტპატიმრების განცხადება.....51
ილია ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება.....54
ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტის განცხადება.....55
ირაკლი წერეთლის შიმშილობა.....58
უპრეცედენტო, სამარცხვინო(ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და მის მხარდამჭერთა მიერ მოწყობილი მიტინგის ჩახშობა.....60
ილია ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება.....61
ღია წერილი ჩემს ძველ მეგობარს ვახტანგ ბახტაძეს.....62
ინფორმაცია მხედრიონის შიმშილობის აქციის შესახებ.....64
ვლადისლავ არძინბა: აფხაზი და ქართველი ხალხები დაიღალნენ კონ-ფლიქტებისაგან, მათ მშვიდობისა და ურთიერთპატივისცემის აღდგენა სურთ.....66
საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება.....66
საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის განცხადება.....70
მხედრიონი იარაღს ყრის.....73
გიორგი ჭანტურია: „ჩვენი მიზანია უზენაესი საბჭოს კომპრომეტაცია ხალხის თვალში.....77
საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა.....79
თბილისში, ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ, ილია ჭავჭავაძის
საზოგადოების ინიციატივით გამართული საპროტესტო მიტინგი.....81
ინტელიგენციის ნაწილის მიმართვა საქართველოს რესპუბლი-კის ტელევიზიისა და რადიომაწყებლობის ხელმძღვანელობას საქართველოს გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორებს ასლი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას.....82

საქართველოს უზენაეს საბჭოსსაქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუ-
ტატების მოთხოვნა 85

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების II ყრილობა 88

ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის I სხდომის
შესახებ 90

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება 91

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება 93

ორი თვის ქრონიკა 94

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით 1991 წლის 4 მარტს
გამართული მიტინგის რეზოლუცია №1 97

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით 1991 წლის 4 მარტს
გამართული მიტინგის რეზოლუცია №2 98

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის
საგამომძიებლო იზოლატორის უფროსი, პოდპოლკოვნიკი ტარიელ
დილიბაზაშვილი ტელედებატებში იწვევეს გიორგი ჭანტურიას 100

ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ 100

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ
ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი
ჟურნალისტებისათვის 1991 წლის 10 აპრილს 105

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ
ზვიად გამსახურდიას სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარის ლ. ტერპეტროსიანის მილოცვა 110

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტე-
ტის განცხადება 110

"მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადება 111

ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა საბჭოს განცხადება საქართველოს
რესპუბლიკაში მიმდინარე ამბების გამო 112

"მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადება 113

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება 114

საქართველოს მწვანეთა განცხადება 115

პოლიტიკურ ბლოკ „თავისუფლებისაგან 116

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების განცხადება .. 116

RESOLUTION 117

კანონი პრეფექტურის შესახებ 117

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების—ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ დროებითი დებულების" დამტკიცების თაობაზე 119

დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 23 აპრილის დადგენილებით დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების—ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ 131

ინტელიგენციის ნაწილის მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის

უზენაესი საბჭოს, საქართველოში მოქმედ ყველა პარტიას 134

ნოდარ ნათაძის ღია წერილი „მრგვალი მაგიდის" წევრებს—საქართველოს უზენაესი საბჭოს უმრავლესობას 138

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 145

საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 28 აპრილს საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინებისა კავშირის გამგეობის წერილი „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას 150

მრგვალი მაგიდის ბლოკის პარლამენტური უმრავლესობის ღია წერილი ბატონ ნოდარ ნათაძეს 155

ა. დ. სახაროვის, პ. გ. გრიგორენკოს, ს. ვ. კალისტრატოვას წერილი სსრკ პროკურორს 165

ზვიად გამსახურდიას მიმართვა დასავლეთის ქრისტიანული ორგანიზაციებისადმი 165

საქართველოს ეროვნული ფრონტი–რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტის განცხადება 166

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 8 მაისს. 171

ნახვამდის „სალამო მშვიდობის 174

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ბლოკის დეპუტატებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სასაწავლოსაბრძოლო ნაწილი–ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის" საწინამძღვროს მიმართვა 175

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადება 176

ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია უცხოელი ჟურნალისტებისათვის 178

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება საქართველოს უზენაეს საბჭოსა და ეროვნულ კონგრესთან დაკავშირებით 186

საქართველოში ჰელსინკის შეთანხმებათა შესრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფის მიმართვა იურისტთა საერთაშორისო ასოციაციას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლიგას, საერთაშორისო ამნისტიას 189

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობის წერილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას 191

ვაქარწყლებთ ცრუ აზრს 193

ინტერვიუ მერაბ კოსტავას დედა ქალბატონ ოლღა დემურიასთან. 195

პრეზიდენტი პოლიტიკის გარეშე 203

მიმართვა აფხაზეთის ასსრ მოსახლეობას 206

ირაკლი კაკაბაძე–რამდენიმე მოსაზრება და ფაქტი საქართველოს შესახებ 206

გიორგი ჭანტურიას ღია წერილი დეპუტატ არჩილ მინდიაშვილს.. 214

საქართველოს მონარქისტული(კონსერვატიული) პარტიის განცხადება

სახალხო ფრონტი—უხალხოდ? (ღია წერილი ბნ ნოდარ ნათაძეს.. 217

ირაკლი ქადაგიშვილის ღია წერილი „მრგვალ მაგიდას..... 226

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია საზღვარგარეთის და საქართველოს ჟურნალისტებისათვის 1991 წლის 27 მაისს..... 229

1991 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების საერთაშორისო მეთვალყურეთა დასკვნა..... 240

კიშინიოვის ფორუმის დეკლარაცია..... 241

სომხეთის საერთო ეროვნული მოძრაობის, ესტონეთის სახალხო ფრონტის, საქართველოს „მრგვალი მაგიდის", ლატვიის სახალხო ფრონტის, ლიტვის „საუდისის" მოძრაობისა და მოლდოვეთის სახალხო ფრონტის გადაწყვეტილება კიშინიოვის ფორუმის დაფუძნების შესახებ.243

კიშინიოვის ფორუმის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ პერეს დე კუელიარს სსრ კავშირის პრეზიდენტს ბატონ მიხეილ გორბაჩოვს..... 245

კიშინიოვის ფორუმის მიმართვა სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს სსრ კავშირის პრემიერმინისტრს ვ. ს. ავლოვს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს გ. კ. პუგოს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს დ. ტ. იაზოვს..... 248

პროექტი კიშინიოვის ფორუმის მიმართვა სომხეთის, ესტონეთის, საქართველოს, ლატვიის, ლიტვისა და მოლდოვეთის პარლამენტებს..... 248

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ, რომელიც მან მისცა თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ცენტრალური გაზეთის "თურქიას" რედაქტორს ევროპის დეპარტამენტის ხაზით ბატონ გილალ ქოჩაკს და ეკონომიკურ მიმომხილველს ბატონ ენგინ სენოლს..... 249

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს..... 256

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება..... 256

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი 268

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის განცხადება 273

დისიდენტ ესაია გოლდშტეინის ღია წერილი ვალერი ჭალიძეს 275

საქართველოს ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრის მიმართვაგაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ ხავიერ პერეს დე კუელიარს; ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ მანფრედ გერნერს; ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მუდმივ საბჭოს; ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო კომიტეტს; ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაერთიანებული ქვეყნების სახელმწიფო მეთაურებსა და მთავრობათა ხელმძღვანელებს 280

ზვიად გამსახურდია სამახსოვრო ჩანაწერი საქართველოს ეროვნული პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი 286

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ფრანსუა მიტერანს . 295

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას 296

მესტიის რაიონის მოსახლეობას! მესტიის რაიონში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიას! ხაიშის აქციის მონაწილეებს! საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების კანდიდატებს! მესტიის რაიონის ხელმძღვანელობას 298

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეოთხე კონგრესი (ყრილობა 300

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა 302

ვიშ, ამ სამართალს! (პატივცემულ მკითხველებს) ვაქვეყნებ ორ დოკუმენტს. ჩემს განცხადებას სასამართლოში და მის პასუხს (ნოდარ ნათაძე) 305

ზვიად გამსახურდია: „ჩემი იდეალია გენერალი დე გოლი“ 307

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებისადმი ... 312

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ... 315

დეპუტატ თამაზ დიასამიძის გამოსვლა უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 28 აპრილს ... 318

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია ... 323

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის" განცხადება ... 332

სომხეთის პრეზიდენტ ლევონ ტერპეტროსიანისა და საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია სომეხი და ქართველი ჟურნალისტებისათვის 1991 წლის 27 ივლისს ... 333

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარის ირაკლი წერეთლის განცხადება ... 339

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა სამაჩაბლოს მოსახლეობისადმი ... 340

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 20 ივლისის ბრძანებულების მოქმედების შეჩერების შესახებ ... 342

საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის განცხადება ... 344

დასკვნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 26 მაისს გამართული არჩევნების პროცესის საერთაშორისო დამკვირვებლებისა ... 345

ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ერთი განცხადების გამო ... 346

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განცხადება ... 348

გიორგი ჭანტურია–თანახმა ვარ ტელედებატებზე ... 352

რაც კადრს მიღმა დარჩა ... 357

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის რეზოლუცია 359

საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის განცხადება 362

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ბატონ ვახტანგ რაზმაძეს) საქართველოს უზენაესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის" განცხადება 364

აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოს ასლი: აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 365

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა მშვიდობისა და დემოკრატიის მსოფლიო ლიგის კოსტარიკის 23-ე კონფერენციისადმი 371

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებისაგან–დეპუტატთა ჯგუფის განცხადება 372

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების ნ. მოლოდინაშვილის, ჯ. გოლეთიანის, გ. მამფორიას, გ. ფირცხალაიშვილის, ბ. დანგაძის განცხადება 373

შეკითხვები ედუარდ შევარდნაძეს 373

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება ქ. მოსკოვის ა.წ. 19 აგვისტოს ამბებისა და ამ ამბებთან დაკავშირებით საქართველოს პოზიციის გამო 376

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების–ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ 380

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. ი. სიგუას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ 381

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი 381

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიმართვა 382

გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საკითხი და საგანგებო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტი 384

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება 385

მოსკოვი პრეზიდენტ ბ. ელცინს, რსფსრ სახალხო დეპუტატთა საგანგებო სესიას 386

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას განცხადება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის 387

პოლიტიკურ ბლოკ „თავისუფლების" განცხადება 388

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წევრების და მისი აპარატის მუშაკთა ჯგუფის განცხადება 389

საქართველოს ეროვნული ფრონტი–რადიკალური კავშირის გამგეობის განცხადება 390

პოლიტიკური ორგანიზაცია „დას"–ის პოლიტიკური საბჭოს განცხადება 391

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ 392

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ 393

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანება 394

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის–ეროვნული გვარდიის ბატალიონების, ლეგიონებისა და შენაერთების მეთაურთა დანიშვნის წესის შესახებ 394

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მი-

მართვა ეროვნული გვარდიისადმი 395

ლატვიის პრეზიდენტის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ანატოლი გორბუნოვს, ლატვიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ივარს გოდმანის 396

ლატვიის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს 396

ესტონეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომრეს ბატონ არნო რიუიტელს ესტონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ედგარ სავისაარს 397

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ 397

რუსეთის სფს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ბ. ელცინს 397

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ბ. პ. გუგუშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერმინისტრად დანიშვნის შესახებ 398

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ბ. პ. გუგუშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერმინისტრად დამტკიცების შესახებ 399

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს კომუნისტური პარტიის შესახებ 399

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლოს გადაწყვეტილება 400

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება 1991 წლის 1921 აგვისტოს სსრ კავშირში მიმდინარე მოვლენების დროს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, აფხაზეთის კპ რესპუბლიკური კომიტეტის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის კპ საოლქო კომიტეტისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა გაუქმებული საბჭოს თვითმარქვია აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებათა შესახებ 403

ჯორჯ ბუშის ცხარე სიტყვის გამო 405

თენგიზ სიგუასა და გიორგი ხოშტარიას ინტერვიუ 407

ფრანსპრესის სააგენტო იუწყება 413

გაზეთი „ ლიბერასიონი'', 25 აგვისტო 414

ბატონ ზ. გამსახურდიას ინტერვიუ გაზ. „ფიგარო''-ს კორესპოდენტთან საქართველოს პრეზიდენტს საეჭვოდ მიაჩნია გორბაჩოვის უდანაშაულობა პუტჩში 415

ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ გაზეთ „ტრუდის'' კორესპონდენტთან 417

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის ბრძანება 425

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ 426

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის განცხადება 427

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების განცხადება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის განცხადება 429

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას 429

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება 431

სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის'' განცხადება 432

საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირის განცხადება 433

ინტერვიუ თენგიზ კიტოვანთან 435

საქართველოს ჰელსინკის კავშირის პრესცენტრის განცხადება 439

გაზ. "დრონის" ინფორმაცია 2 სექტემბრის შესახებ 440

ნუ დავივიწყებთ წარსულის გაკვეთილებს 442

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების განცხადება (2 სექტემბრის მიტინგი) 443

უზენაესი საბჭოს დეპუტატი მოგვითხრობს (2 სექტემბრის მიტინგი).

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ .. 444

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანება 447

საქართველოს ჟურნალისტთა ჯგუფის მიმართვა კოლეგებისადმი.. 447

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ნ. ქ. გიორგაძის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ 449

საქართველოს რესპუბლიკი პრეზიდენტის ბრძანებულება ვ. თ. ქობალიას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ 450

საქართველოს რესპუბლიკი პრეზიდენტის ბრძანებულება გ. მ. ლანჩავას თბილისის გარნიზონის კომენდანტის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ 450

20 августа «г. Москва – начальнику Управления по руководству спецчастями войск КГБ СССР 451

არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების განცხადება 451

საქართველოს ჰელსინკის კავშირი–ეროვნული აღორძინების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის განცხადება 455

გაზ: „დრონი"ს ინფორმაცია 456

საქართველოს კინემატოგრაფისტთა სამდივნოს განცხადება 457

გაზ: „დრონი"ს ინფორმაცია 458

ინტერვიუ ჟურნალისტ ვალერი კვარაცხელიასთან 459

რუსეთის სფსრ პრეზიდენტს ბატონ ბ. ნ. ელცინს 462

რსფსრ უზენაესი საბჭოს ადამიანის ადამიანის უფლებათა განცხადება საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების გამო 464

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს 465

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ბ. დ. პანკინს 467

ჰელსინკის კავშირის მესტიის რეგიონნალური ორგანიზაციის მოშიმშილე წევრთა წერილი გაზ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას 469

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს განმარტება 472

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქისა და საზოგადოებრიობის ჯგუფის განცხადება 474

საქართველოს ეროვნული ფრონტი–რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტის განცხადება 476

ზვიად გამსახურდიას გამოსვლა სესიაზე 1991 წლის 15 სექტემბერს.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის განცხადება 478

გაეროს გენერალურ მდივანს ბატონ პერეს დე კუელიარს 481

მიტინგები 484

1991 წლის 16 სექტემბერს თბილისში, მთავრობის სახლთან გამართული მიტინგის მონაწილეთა მიმართვა ქართველი ერისადმი 487

დადგენილება 1991 წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისში მიტინგის დროს მომხდარი ფაქტის შესახებ 488

მიტინგები 489

მიტინგი ტელევიზიის შენობის წინ 490

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიას, ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციას, საქტელერადიო დეპარტამენტის ჟურნალისტთა მიმართვა 491

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის მიმართვა რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის „საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ" განცხადებასთან დაკავშირებით 492

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საბჭოს განცხადება.....497

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების ფუნდაციის
განცხადება.....499

სრულიად საქართველოს საზოგადოება ქართველ შევარდენთა ლეგიონის სამხედრო საბჭოს განცხადება 501

ინტერვიუ ირაკლი წერეთელთან.....502

ტელევიზიასთან.....504

თენგიზ სიგუას წარმოთქმული სიტყვა 1991 წლის 10 სექტემბრის მიტინგზე.....505

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №45
E – mail: info@meridianpub.com ტ. 239-15-22

(22) 9/#x
ტ-323
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საახალგაზრდო ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი